საქართველოს მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტი

ალექსანდრე ბენდიანიშვილი

საქართველოს პირველი რესპუბლიკა (1918-1921 წწ.)

თბილისი
2001

УДК 947. 922
ბ 482

წიგნში გაშუქებულია ქართველი ხალხის გამათავისუფლებელი მოძრაობა პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის იმპერიის მეორე რევოლუციის პერიოდში; ასახულია ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის, მშენებლობის პროცესი, საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მრავალპარტიული დემოკრატიის ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

რედაქტორი - ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი **ალ. დაუშვილი**

რეცენზენტები: პროფ. **გურამ ყორანაშვილი**
პროფ. **გურამ შენგელია**

კრებული გამოსაცემად მომზადდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის გამომცემლობაში „მემატიანე“.

გამომცემლობის მთავარი რედაქტორი: **თ. ჭყონია**

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: ქეთევან ჩხაიძე

ბ --42---
2001

საქართველოს ტერიტორიაზე გვაროვნულ-ტომობრივი ორგანიზაციიდან სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე გარდამავალი პერიოდი სამი ათასი წლის წინ დაიწყო. მის შემდეგ განვლილი ოცდაათი საუკუნე შინა ეკონომიკურ-სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების პროცესი როდია მხოლოდ. იგი იმავდროულად არის ქართველი ხალხის გაპათავისუფლებელი ომების ისტორიაც. ირანელი, რომაელი, ბიზანტიელი, არაბი, თურქი, მონღოლი და სხვა დამპყრობელი ზოგჯერ ახერხებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფას, მისი მოსახლეობის მეტნაკლები ხნით დამორჩილებას, მაგრამ თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია უცხოელთა ბატონობას, ყოველთვის თავდადებით იბრძოდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და მიზანსაც აღწევდა. საქართველოში ყველაზე დიდხანს, თითქმის ორასი წელი გაგრძელდა რუსეთის ბატონობა. ქართველი ხალხი ვერც ქრისტეს ჯვრით შემოსულ აბსოლუტურ-მონარქიულ სახელმწიფოს შეეგუა და ვერც წითელი დროშით შემოჭრილ ტოტალიტარულ-კომუნისტურ რეჟიმს, აგრძელებდა თავისუფლებისათვის ბრძოლას.

რუსეთმა ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი ერთეულები XIX ს-ის დამდეგს ჩაყლაპა, საქართველო იმპერიის ერთ-ერთ ვანაპირა პროვინციად გადააქცია. ქართველი ხალხი ვერ შეურიგდა ძალადობას. XIX ს-ის პირველ ოცწლეულში ხუთი საკმაოდ ფართო მასშტაბიანი ანტირუსული აჯანყება მოაწყო. მომდევნო ათწლეულში შეთქმულთა საზოგადოების გაპათავისუფლებელი მოძრაობაც გაიშალა. ამ პერიოდში საკმაოდ ამაღლდა ეროვნულ-გაპათავისუფლებელი მოძრაობის თეორიული და ორგანიზაციული დონე, წინ წაიდა საზოგადოებრივი აზრი სახელმწიფოებრივი სტრუქტურების არსისა და ფუნქციონირების ფორმების შესახებ უფრო მძლაყრად ამოქმედდა დევიზი — „ხმა ხვოისა და ხმა ერისა“. ქართველთა კონსერვატიულ საზოგადოებას, რომელიც სჯერდებოდა ტრადიციული მონარქიული სახელმწიფოს აღდგენას, გამოეთიშა პარლამენტართა მცირე ჯგუფი, საისახა კონსტიტუციურ-მონარქიული და რესპუბლიკური მიმდინარეობანი. 1832 წლის შეთქმულების ჩავარდნით დამთავრდა ანტირუსული ეროვნულ-გაპათავისუფლებელი მოძრაობის პირველი ეტაპი.

XIX ს-ის 50-60-იანი წლების მიჯნაზე დაიწყო ქართველი ხალხის გაპაოავისუფლებელი მოძრაობის მეორე პერიოდი. მას საფუძველი

მოუმზადა ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ ურთიერთობაში მომხდარმა ცვლილებებმა; თანდათან გაფართოვდა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, დაიწყო კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება. დაჩქარდა ფეოდალური წყობილების რღვევა, რომლის გამოხატულება იყო საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში მომხდარი ანტიბატონყმური აჯანყებები. ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა ინტელიგენციაზე. ბატონყმობის დამხობის, თავისუფალი შრომის უპირატესობის იდეა გამოიხატა დ. ჭონქაძის, რ. ერისთავის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის, ს. მესხის, ნ. ნიკოლაძის, ი. გოგებაშვილის და სხვათა შემოქმედებაში, ნაშრევში.

გლეხთა აჯანყებებმა და მოწინავე ინტელიგენციის პროტესტანტულმა მოძრაობამ რუსეთის ცარიზმი აიძულა ბატონყმობა გაუქმებინა არა მარტო იმპერიის ცენტრში, არამედ პერიფერიებშიც. საქართველოში პირადი თავისუფლება მიიღო 0,5 მლ. სულზე მეტმა გლეხმა, რაც თავისუფალ შრომაზე დამყარებული კაპიტალისტური წყობილების განვითარება-გაძარჯვების აუცილებელი წინაპირობა იყო.

XIX ს-ის 60-იან წლებში მაღალ საფეხურზე დადგა ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობაც. საკმაოდ ფართოდ გაიშალა „ახალგაზრდა საქართველოს" და სხვა საზოგადოებათა ანტირუსული საქმიანობა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ ნაწილად იქცა ქართველი ხალხის ბრძოლა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა შექმნის, მათი უფლება-კომპეტენციის გაფართოებისათვის. გამათავისუფლებელ მოძრაობას საათავეში ჩაუდგნენ თერგდალეულები. მაგრამ რუსეთის ცარიზმის მიერ პოლონელთა აჯანყების ჩახშობის (1863 წ.) და თავისუფლების შენარჩუნებისათვის მებრძოლ ჩრდილო-კავკასიელ ხალხთა დაპყრობის დამთავრების (1864 წ.) შემდეგ, ქართველმა პატრიოტებმა დროებით ხელი აიღეს შეიარაღებულ ბრძოლაზე, საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნაზე. დაიწყეს რუსეთის მრავალეროვნული იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნის, ამ ახალი ხასიათის გაერთიანებაში საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს შექმნის თეორიის პროპაგანდა.

მაგრამ იმის გამო, რომ რუსეთის მმართველი ზედაფენა ფედერაცია-ავტონომიის იდეასაც კი არ იწყნარებდა, თერგდალეულები ცივილიზებული მეთოდებით აგრძელებდნენ ბრძოლას პროგრესული შინაარსის სოციალ-ეკონომიკური და ადმინისტრაციულ-ეროვნული რეფორმების გატარებისათვის. ხმას იმაღლებდნენ კოლონიზაციისა და რუსიფიკაციის წინააღმდეგ, იცავდნენ ქართულ ენას, კულტურას, ისტორიულ ტრადიციებს.

XIX ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე თერგდალეულთა კვალს გაჰყვა რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველი სტუდენტების მიერ ჩამოყალიბებული ფარული ორგანიზაცია — „საქართველოს თავისუფლების ლიგა", რომელმაც თავის მიზნად გამოაცხადა სამშობლოს სამსახური, თვითმპყრობელური რუსეთისაგან საქართველოს გათავისუფლება, ქართული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნა.

XIX-XX სს-ის მიჯნაზე დაიწყო გამათავისუფლებელი მოძრაობის მესამე პერიოდი, კიდევ უფრო გაფართოვდა როგორც ეროვნული, ისე სოციალური მოძრაობა. ჩამოყალიბდა ახალი ტიპის საზოგადოებრივი გაერთიანებანი, პოლიტიკური პარტიები. შეიქმნა კონცეფციები ერისა და სახელმწიფოს მიმართების, მათი განვითარების ეტაპების შესახებ. ილია ჭავჭავაძემ და მისი საქმის გამგრძელებელმა არ. ჯორჯაძემ, ი. წერეთელმა და ზოგმა სხვა მოღვაწემ ისტორიულ ასპექტში, მოლიანობაში გაიაზრეს ერი და ეროვნული სახელმწიფო. მათ მიაჩნდათ, რომ ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესში მთელი რიგი ფაქტორები მოქმედებდა; ეროვნულ თვითშეგნებას აღვივებდა ქართული ენა, მწერლობა, ქრისტიანული ეკლესია, ეკონომიკა, ისტორიული ცხოვრების ერთიანობა საერთოდ. მაგრამ ერის მთავარი ნიშანი, მისი გამძლეობის ციხე-სიმაგრე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია იყო. ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესმა კულმინაციას, მათი აზრით, მიაღწია XII საუკუნეში, როცა ტომობრიობა და კუთხურობა თითქმის მთლიანად წაიშალა, ყველა ქართველი ერთიანი და განუყოფელი საქართველოს მზეს ფიცულობდა და როცა ჩაისახა წოდებრივ-წარმომადგენლობითი და პარლამენტარული მონარქიის პირველი ელემენტებიც.

ილია ჭავჭავაძემ, მისმა თანამებრძოლებმა და საქმის გამგრძელებლებმა კარგად იცოდნენ, რომ ოქროს ხანის მომდევნო პერიოდში საქართველოს სახელმწიფოს, ქართველი ერის აღმავალი განვითარება ჯერ შეფერხდა, შემდეგ უკუპროცესიც კი დაიწყო. XV ს-ის მეორე ნახევარში ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ეკონომიკა და კულტურა დაეცა, მაგრამ მათი აზრით გაერთიანება-განახლების პოტენციური შესაძლებლობანი არსებობას განაგრძობდა არა მარტო XVI-XVIII საუკუნეებში, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგაც. ამ ოპტიმიზმს, მოწინავე ეროვნულ-სოციალურ იდეოლოგიას საფუძველს უმაგრებდა ქართველი ხალხის პრაქტიკული საქმიანობა, გამათავისუფლებელი მოძრაობის ახალი აღმავლობა, რომელიც XX ს-ის დამდეგს კულმინაციას მიუახლოვდა. ქართველი საზოგადოების მთავარი

მიზანი გახდა საერთო დემოკრატიული ამოცანების გადაწყვეტა; როგორც ეროვნული თვითგამორკვევის უფლების განხორციელება, ისე ბატონყმობის ყველა ნაშთის მოსპობა — პიროვნების თავისუფლების დამკვიდრება.

საქართველოში 1902-1904 წელს მიმდინარე გლეხთა ავრარულმა მოძრაობამ, მუშათა გაფიცვებმა და ინტელიგენციის საპროტესტო გამოსვლებმა რევოლუციის თითქმის ყველა ნიშანი შეიძინა. კოლონიამ, გასაგები მიზეზის გამო, წინ გაუსწრო მეტროპოლიას. შეიძლება ითქვას, რომ პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია საქართველოში 1902 წელს დაიწყო და 1904 წელს ზენიტს მიუახლოვდა. ქართველი ხალხი, მართალია, შეუერთდა 1905 წლის შემდეგ რუსეთში აგორებულ საპროტესტო დემონსტრაციების ტალღას, მაგრამ თვით ბრძოლის ფორმებსა და რევოლუციის გაქანებაში თითქმის არაფერი შეცვლილა. მხოლოდ იმის აღნიშვნა შეიძლება, რომ მეტროპოლიაში დაწყებულმა რევოლუციამ უფრო პერსპექტიული გახადა განაპირა ხალხის (ქართველების) ბრძოლა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის.

ქართველი გლეხის, მუშისა და პროგრესული ინტელიგენციის მოთხოვნები ასეთი იყო: 1) ბატონყმობის ყველა ნაშთის მოსპობა; 2) სახელმწიფო ხაზინისა და მსხვილ მეპატრონეთა მიწების კონფისკაცია, უმიწაწყლო გლეხებისათვის მისი დარიგება; 3) წოდებრივი პრივილეგიების გაუქმება, კანონის წინაშე ყველა მოქალაქის გათანასწორება; 4) პიროვნების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფა, სიტყვის, ბეჭდვის, კრების, კავშირების შექმნის, ვაფიცვათა თავისუფლების დაკანონება; 5) დამფუძნებელი კრების მოწვევა, ხალხის წინაშე პასუხისმგებელი დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება; 6) ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი სამაზრო, საქალაქო და სარაიონო თვითმმართველობის ორგანოთა შექმნა; 7) 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ქართულ ენაზე საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლების შემოღება; 8) სამუშაო დროის შემცირება და ხელფასების მომატება, შრომის უშიშროების, დაზღვევის სისტემის შექმნა და, რაც ინტელიგენციისათვის მთავარი იყო, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ავტონომიური რესპუბლიკის ფორმით.

ქართველმა ხალხმა ამ მოთხოვნების წამოყენებასთან ერთად, რუსეთის ცარიზმის ბიუროკრატიულ აპარატს რეალური ძალაც აჩვენა, თითქმის ყველა მაზრაში დაამხო სამაზრო ხელისუფლება და შექმნა რევოლუციური თვითმმართველობის ორგანოები. დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ ავტონომიური საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ვადაჭრიდა, ეროვნული მიმართულების პარტიების აზრით, ქართველი ხალხის წინაშე

მდგარ ყველა პრობლემას და მათ შორის ქართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალურად მოწყობის საკითხსაც.

ცარიზმის დაქცევა, დემოკრატიული მართვა-გაკეთების სისტემის შექმნა იმპერიის მოსახლეობის თითქმის ყველა სოციალური ფენის ინტერესებს შეესაბამებოდა. მაგრამ საერთო დემოკრატიულ რევოლუციაში დისონანსი შეიტანეს ბოლშევიკებმა; ლენინმა მუშათა კლასი გამოაცხადა რევოლუციის პეგემონად, აღჭურვა იგი ბურჟუაზიული რევოლუციიდან სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის თეორიით. ბურჟუაზიამ და ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა რეალობად აღიქვა ბოლშევიკურ-სოციალისტური გადატრიალების საფრთხე, დატოვა რევოლუციის ბანაკი. გამარჯვებისაკენ მიმავალი პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია საერთო დემოკრატიის გათიშვამ მარცხის გზაზე დააყენა. მეფის მთავრობამ მოსპო რევოლუციის ძირითადი კერები, არსებითად აღადგინა თავისთვის მისაღები საზოგადოებრივი წესრიგი. მაგრამ უარი არ უთქვამს 17 ოქტომბრის მანიფესტისა და სახელმწიფო სათათბიროს მოწვევაზე. 1906 წლის მაისში ამოქმედდა პირველი სახელმწიფო სათათბირო. მემარცხენე პარტიებმა მოითხოვეს მეფის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის გადადგომა და სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნა, რის გამო ნიკოლოზ მეორემ ურჩი სათათბირო გარეკა. რადიკალური მიმართულებისა და მთავრობის კრიტიკისათვის 1907 წლის 3 ივნისს მეორე სათათბიროც დაითხოვეს: ქართველი დეპუტატები დააპატიმრეს.

1907 წლის 30 აგვისტოს ქართველი ხალხის მტრებმა მოკლეს ერის მამად წოდებული დიდი მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. მაგრამ ილიას მემკვიდრეებსა და საქმის გამგრძელებლებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ; კიდევ მეტი ენერგიით ცდილობდნენ ქართველი ერის სულიერ გამთლიანებას, პოლიტიკური პარტიების „საერთო მოქმედების ნიადაგზე" გაერთიანებას. 1912 წლის საარჩევნო ბრძოლაში ეროვნული მიმართულების პარტიებმა საგრძნობ წარმატებას მიაღწიეს, მეოთხე სახელმწიფო სათათბიროში წარგზავნეს ვარლამ გელოვანი, რომელმაც სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან ამხილა ცარიზმის რუსიფიკატორულ-კოლონიური პოლიტიკა და საქართველოსათვის ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მინიჭება მოითხოვა.

ამგვარად, ქართველი ხალხის ბრძოლა რუსეთის ცარიზმის დიდმპყრობელურ-შოვინისტური რეჟიმის წინააღმდეგ 117 წლის განმავლობაში თითქმის პერმანენტულად მიმდინარეობდა. გამათავისუფლებელ მოძრაობაში მის მიერ შეტანილი წვლილი საყოველთაოდ

აღიარებულია. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია, მის შემდეგ დატრიალებული მოვლენები წინა წლებში მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის გაგრძელება და ლოგიკური დასასრული იყო. ამიტომ უაზროა ზოგიერთთა განცხადება იმის შესახებ, რომ 1917 წლის თებერვლის რევოდუცია საქაროველოში ფოსტით, ტელეგრამით შემოვიდა.

პირველმა მსოფლიო ომმა და 1917 წლის რევოლუციამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოების, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. მრავალსაუკუნოვან დროთა სრბოლაში საქაროველოს პირველი რესპუბლიკის სამწლიანი მონაკვეთი ერთი გაელვებაა, მაგრამ თავისი მნიშვნელობით ჩვენი ისტორიული პროცესის განსაკუთრებული პერიოდია. სწორედ ამ დროს შეიცვალა მონარქიული წყობილება რესპუბლიკურით და ამდენად ქართული სახელმწიფოებრიობის ოცდაათსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ხანა დაიწყო, რომლის შესწავლას აქვს არა მარტო წმინდა შეცნიერული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

1918-1921 წლებში აღდგენილ-განახლებული ქართული სახელმწიფოს არსის არა თუ შესწავლა, დიდი ხნის განმავლობაში ხსენებაც კი იკრძალებოდა. ათეოდე წელია. რაც მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. სიტყვისა და აზრის გამოთქმის თავისუფლება დამკვიდრდა, ამ ახლო წარსულის ობიექტურად გააზრების, ფაქტებისა და მოვლენების მეცნიერულად შეფასების პირობები შეიქმნა. პირველი ნაყოფი უკვე სახეზეა; გამოქვეყნდა ახალი ნაშრომები, სათანადოდ გაშუქდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა, საშინაო პოლიტიკის ზოგი ასპექტი. მაგრამ ჩვენი ქვეყნის, სახელმწიფოს ეს სამწლიანი ისტორია მთლიანობაში ჯერ კიდევ არაა გაშუქებული. ჩემი მიზანი იყო ნაწილობრივ მაინც ამომევსო ქართული ისტორიოგრაფიის აღნიშნული ხარვეზი, ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში სათანადო ადგილი დამემკვიდრებია საქართველოს პირველი რესპუბლიკისათვის.

თავი I

საქართველო პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში

1. ომის დაწყება. საქართველოს პოლიტიკური პარტიების პოზიცია. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი ომის წლებში

დიდ სახელმწიფოებს შორის გავლენის სფეროების, კოლონიების განაწილებისა და გადანაწილებისათვის ბრძოლა XIX-XX სს. მიჯნაზე თანდათან გამწვავდა. ჩამოყალიბდა ორი ერთმანეთისადმი მტრულად დაპირისპირებული სამხედრო ბლოკი. 1914 წლის ივლის-აგვისტოს მიჯნაზე გლობალური წინააღმდეგობანი გადაიზარდა მსოფლიო ომში, რომელშიც ჩაბმული აღმოჩნდა 33 სახელმწიფო. საომარი ოპერაციების ძირითადი მონაწილენი, ერთის მხრივ იყვნენ ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი, იტალია, მეორე მხრივ კი — გერმანია, ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი, ბულგარეთი. საქართველოს უშუალო მეზობელი თურქეთი ერთხანს თითქოს ნეიტრალიტეტს იცავდა, მაგრამ გერმანიის ზეწოლას ვერ გაუძლო და 1914 წლის ოქტომბერში ომი გამოუცხადა რუსეთს. საქართველო ფრონტისპირა ქვეყნად გადაიქცა.

რუსეთის ცარიზმმა მობილიზაცია იმპერიის თითქმის ყველა განაპირა ქვეყანაში გამოაცხადა. საქართველოდან არმიაში დაახლოებით 200-250 ათასი კაცი გაიწვიეს. ქართველი ჯარისკაცები იბრძოდნენ ომის ყველა მთავარ უბნებზე, რუსეთის იმპერიულ ზრახვებს ეწირებოდნენ გერმანიის, ავსტრიისა და თურქეთის ფრონტებზე.

გერმანიის მთავარსარდლობამ შეიმუშავა ელვისებური ომის სტრატეგია და ტაქტიკა. გერმანიის ჯარებმა თავდაპირველად დიდი შეტევითი ოპერაციები გაშალეს დასავლეთის ფრონტზე, შეავიწროვეს საფრანგეთ-ინგლისის შეიარაღებული ძალები და პარიზს მიუახლოვდნენ. ამ მომენტში მოკავშირეების მოთხოვნით რუსეთის ორი არმია შეიჭრა აღმოსავლეთ პრუსიაში, რამაც აიძულა გერმანია შეესუსტებინა დაწოლა პარიზზე და ჯარის ნაწილი გადაესროლა აღმოსავლეთის

ფრონტზე. პარიზი გადარჩა. დასავლეთის ფრონტზე ომმა პოზიციური ხასიათი მიიღო. რუსეთის ჯარებმა კი აღმოსავლეთ პრუსიაში მარცხი განიცადეს. თითქმის მთლიანად დაიღუპა სამსონოვის 300 ათასიანი არმია. შედარებით წარმატებული აღმოჩნდა რუსეთის არმიის ოპერაციები ავსტრიის ფრონტზე. მან მოიგერია მტრის შემოტევა, დაიბრუნა ომის საწყის ეტაპზე დაკარგული ტერიტორიები (ქ. ლვოვი და სხვ.) და კონტრშეტევაზე გადავიდა. რუსეთის ჯარებმა ალყა შემოარტყეს პერემიშლის ციხე-სიმაგრეს, დაიკავეს გალიცია, ავსტრიის კუთვნილი პოლონეთის ტერიტორიის ნაწილი, საფრთხე შეუქმნეს თვით უნგრეთსა და სილეზიას. გერმანია იძულებული გახდა ავსტრიის ფრონტზე თავისი ჯარის მრავალრიცხოვანი ნაწილები გადმოესროლა. მიუხედავად ამისა, ვარშავა-ივანგოროდის ოპერაციებში გერმანელებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. ორივე მხარემ დიდი ზარალი განიცადა და ომმა აღმოსავლეთის ფრონტზეც პოზიციური ხასიათი მიიღო.

ყველაზე დიდი და აქტიური საომარი ოპერაციები ჩატარდა 1914 წლის აგვისტო-ოქტომბერში. ვერცერთმა მხარემ გადამწყვეტ წარმატებას ვერ მიაღწია. ორივე სამხედრო ბლოკი, ბუნებრივია, ცდილობდა გაეზარდა თავის პოტენციალი, ორივე კოალიციამ გააჩაღა ფართო დიპლომატიური ბრძოლა თავის მხარეზე ახალ მოკავშირეთა მიზიდვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა იმ ქვეყნებს, რომელთაც ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობა გააჩნდათ (თურქეთი, ბალკანეთის სახელმწიფოები და სხვ.). მეომარ კოალიციათა დიპლომატები არ იშურებდნენ უხვ დაპირებებს, ტერიტორიებს და სხვა სიკეთეს ჰპირდებოდნენ პოტენციურ მოკავშირეებს მოწინააღმდეგე სამხედრო ბლოკის ხარჯზე. განსაკუთრებით მწვავე ბრძოლა გაჩაღდა თურქეთის გადაბირებისათვის. ოსმალეთის იმპერიაზე გადიოდა მნიშვნელოვანწილად ის გზები, რითაც დიდი ბრიტანეთი თავის კოლონიებს უკავშირდებოდა. ბოსფორ-დარდანელის სრუტეთა მფლობელ თურქეთს შეეძლო დიდი ვნება მიეყენებინა რუსეთისათვის. ამიტომ გერმანიამ ყველაფერი გააკეთა ამ ბრწყინვალე გეოპოლიტიკური მდგომარეობის ქვეყნის თავის მხარეზე გადასაყვანად და მიზანსაც მიაღწია. 1914 წ. ოქტომბერ-ნოემბრის მიჯნაზე თურქეთმა, რომელსაც 500 ათასიანი სახმელეთო არმია და საკმაოდ კარგი სამხედრო ფლოტი გააჩნდა, საომარი ოპერაციები გააჩაღა რუსეთის წინააღმდეგ, ამის საპასუხოდ, ინგლის-საფრანგეთმაც ომი გამოუცხადეს ოსმალეთს.

რუსეთის კავკასიური 170 ათასიანი არმია შეტევაზე გადავიდა მეცირე აზიაში. 7 ნოემბერს მან დაიკავა პოზიციები 50 კილომეტრზე

ქ. ერზრუმიდან. მაგრამ ვერ გაუძლო თურქეთის გაცილებით მრავალრიცხოვანი არმიების დაწოლას და უკან დაიხია. ამით გამხნევებულმა თურქებმა 3 დეკემბერს საერთო შეტევა წამოიწყეს. სარიყამიშის ოპერაციაში, რომელიც ორი თვე გრძელდებოდა, მაინც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაიმარჯვეს. თურქებმა დაკარგეს რა 90 ათასი კაცი, საწყის პოზიციებზე დაიხიეს.[1]

ომის ძირითადი ტვირთი, მის მიერ დატრიალებული უბედურება ხალხის ზურგზე გადადიოდა და იგი, ბუნებრივია, ხორცვა-ჟლეტის მომხრე ვერ იქნებოდა. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, რომელთაც კონკრეტული ამოცანა და მიზანი გააჩნდათ, მათი პოზიცია ომისადმი დამოკიდებულებაში ერთგვაროვანი არ ყოფილა.

რუსეთის ბოლშევიკურმა პარტიამ და მის კვალზე ქართველმა ბოლშევიკებმაც დაგმეს ომი, არწმუნებდნენ ხალხს, რომ იგი ორივე მხრიდან დაპყრობითი იმპერიალისტური ხასიათისა იყო, მოუწოდეს მსოფლიო პროლეტარიატს და ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმულ გლეხობას იარაღი საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ შეებრუნებინათ, იმპერიალისტური ომი სამოქალაქო ომად გადაექციათ. ბოლშევიკთა 1914 წლის 2 ნოემბრის კონფერენციამ პარტიის ყველა წევრსა და მის თანამგრძნობს დაავალა კონკრეტულ სამოქმედო პროგრამად გამოეყენებინათ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის მანიფესტი იმპერიალისტური ომის შესახებ.

ქართველმა ბოლშევიკებმა უყოყმანოდ გაიზიარეს ომისა და რევოლუციისადმი დამოკიდებულების ლენინური ხაზი, ცდილობდნენ მის პრაქტიკულ რეალიზაციას. 1914 წლის სექტემბერში ბოლშევიკებმა გურიის საიდუმლო სტამბაში დაბეჭდეს და მთელ ამიერკავკასიაში გაავრცელეს პროკლამაცია სახელწოდებით — „გამოვუცხადოთ ომი ომს“. ჟანდარმერიამ დაადგინა, რომ ეს ანტისახელმწიფოებრივი, მოღალატური პროკლამაციები ჯარისკაცთა შორისაც გავრცელდა. პროკლამაციის შინაარსში მთავარი იყო მოწოდება, რომ მშრომელ მასებს (მათ შორის ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმულ გლეხებს) იარაღი ქვეყნის მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ მიემართათ, არსებული წყობილება დაემხოთ, გზა გაეკაფათ სოციალიზმისათვის, რომელიც დაიხსნიდა კაცობრიობას ომის საშინელებისა და ექსპლოატაციისაგან.[2]

რუსეთის ცარიზმი, მისი ბიუროკრატიული აპარატი ებრძოდა ბოლშევიკთა მავნე გავლენას, ცდილობდა, ზედა ფენებთან ერთად,

ხალხის ძირითადი ნაწილი მთავრობისადმი კეთილგანწყობილ პოზიციაზე გადაეყვანა, ომის ძლევამოსილად დამთავრების სამსახურში ჩაეყენებინა. მთავრობის სურვილის შესაბამისად ჩამოყალიბდა სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები, რომლებშიც წამყვან როლს ბურჟუაზია ასრულებდა, მაგრამ გარკვეული ფუნქცია დაეკისრა ამ კომიტეტებთან შექმნილ მუშათა ჯგუფებსაც. ამერკავკასიაში სამხედრო-სამრეწველო კომიტეტები 1915 წლის ივნისში ჩამოყალიბდა. რუსეთის სამხედრო მინისტრს გუჩკოვსა და მეფის ნაცვალს კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვს იმედი ჰქონდათ, რომ ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფდა მხარის სამრეწველო ბურჟუაზიისა და სამრეწველო პროლეტარიატის თანამშრომლობას ომით გამოწვეულ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში. ზედაფენების ამ ზრახვებისათვის ქართველ მენშევიკებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ბოლშევიკებმა კი პროპაგანდა გააჩაღეს სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების „იმპერიალისტური ბუნების" მხილებისათვის, მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებში კიდეც ჩაშალეს მუშათა წარმომადგენლების არჩევა, კომიტეტებში მათი წარგზავნა.

ომისადმი დამოკიდებულების საკითხში ბოლშევიკებისაგან არსებითად განსხვავებული პოზიცია დაიკავეს სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა. დასავლეთ ევროპელი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც თავს მშობლიური სახელმწიფოს ჩვეულებრივ მოქალაქეებად, საერთო დემოკრატიის ნაწილებად თვლიდნენ, საკუთარი მთავრობის პოზიციაზე დადგნენ, ხმა მისცეს სამხედრო კრედიტებს და ყველაფერს აკეთებდნენ ამ დიდ ომში მშობლიური ქვეყნისა და მისი მოკავშირეების გამარჯვებისათვის. რუსი და ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) უმრავლესობამ დასავლეთელ თანამოძმეებს მიბაძა, სამშობლოს დაცვის პოზიციაზე დადგა. ქართველი სოციალ-დემოკრატების მხოლოდ მცირე ნაწილს ეუხერხულებოდა იმპერიალისტური ომისათვის აშკარა მხარდაჭერა და ნეიტრალიტეტის დაცვას ამჯობინებდა. შეიძლება ნეიტრალიტეტის პოლიტიკას სხვა სარჩულიც ჰქონდა. არაა გამორიცხული, რომ ეროვნული მიმართულების პარტიების მსგავსად ისინიც გარკვეულ იმედს ამყარებდნენ დიდი სახელმწიფოების ჭიდილზე, ვარაუდობდნენ, რომ რუსეთის დამარცხებას ამ ომში შეიძლება ხელი შეეწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. მაგრამ ეს თვალსაზრისი და ვარაუდი გასაგები მიზეზის გამო არ გაიზიარა 1915 წლის 4 ოქტომბრის კონფერენციამ. მან აღიარა სამშობლოს დაცვის ლოზუნგი.

ამასთან დაკავშირებით მეფის მთავრობის ადგილობრივი ჟანდარმერია კმაყოფილი აუწყებდა ზემდგომ ინსტანციას, რომ სოციალ-დემოკრატების კონფერენციაზე გაიმარჯვეო თავდაცვის იდეამ. „ამის მჭერმეტყველური დამადასტურებელია თათბირის გადაწყვეტილება — მონაწილეობა მიიღონ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტების მუშაობაში. ამ გადაწყვეტილებით საბოლოოდ იცვლება ტაქტიკა კავკასიის სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც პასიური და საეჭვო ნეიტრალიტეტიდან გადადის აქტიურ გამოსვლაზე თავდაცვის იდეის სასარგებლოდ“.[3]

მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ „პორაჟენცული“ პოზიცია დაიკავა. მაგრამ მისი ასეთი განწყობილების მოტივი და მიზანი არსებითად განსხვავდებოდა ბოლშევიკურისაგან. თუ ეს უკანასკნელნი ომში რევოლუციის კატალიზატორს ხედავდნენ და სოციალისტური წყობილების დამყარებაზე ოცნებობდნენ, სოციალისტ-ფედერალისტები იმედოვნებდნენ, რომ დიდ სახელმწიფოთა ჭიდილი წყალს დაასხამდა დაჩაგრული ერების წისქვილზე, რუსეთის დამარცხება გააადვილებდა მათ განთავისუფლებას, ეროვნული სახელმწიფოების აღდგენას. ასევე ფიქრობდნენ ეროვნულ-დემოკრატებიც.

ქართველი ინტელიგენციის დიდი ნაწილი უარყოფდა პირველი მსოფლიო ომის იმპერიალისტურ ხასიათს, მას ერების ომად აცხადებდა. გაზ. „სახალხო ფურცლის“ რედაქციას მსოფლიო ომის დაწყება მიაჩნდა ინტერნაციონალიზმის იდეის მარცხისა და ეროვნული იდეის გამარჯვების მაუწყებელ მოვლენად. „დღევანდელი ომი — წერდა გ. ქიქოძე — ეროვნული ომია და სწორედ ამიტომ არის იგი გამსჭვალული დიდი მიზნებითა და იდეალებით“.[4] სოციალ-დემოკრატია, აცხადებდა თ. ღლონტი, აქტიურად მონაწილეობს ამ ეროვნულ ომში. იგი აღნიშნავდა, რომ „ ევროპის ახლანდელმა ომმა სოციალ-დემოკრატიულ აზროვნებაში ეროვნული მიმართულება გააძლიერა. სოციალ-დემოკრატებს შორის ახლა ნაციონალური მისწრაფება უკიდურეს ზომამდე ვითარდება“.[5]

ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი ქართველი ხალხის ეროვნული იდეალის (ავტონომია, სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა) განხორციელებას ომში რუსეთის გამარჯვებას და დემოკრატიულ საფუძველზე მის რეორგანიზაციას უკავშირებდა. მეორე ნაწილს კი პირიქით, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის წინაპირობად გერმანია-ავსტრიის ბლოკის გამარჯვება და

რუსეთის მარცხი მიაჩნდა, რის გამო შეიარაღებული ბრძოლის ტაქტიკა წამოსწია წინა პლანზე. მათი ინიციატივით ქუთაისში ჩატარდა თათბირი, რომელზეც ს. ფედერალისტთა პარტიის ახალგაზრდა წევრებმა წამოაყენეს დაუყოვნებლივი ანტიცარისტული აჯანყების წინადადება. კ. აბაშიძემ, გ. მაიშვილმა და სხვ. მოღვაწეებმა აჯანყების იდეა არ გაიზიარეს. მათი აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა თანაგრძნობის დეპეშა გაეგზავნათ ინგლისისა და საფრანგეთისათვის, რადგან, მათი განცხადებით, ეს ორი დიდი სახელმწიფო გადამწყვეტ როლს შეასრულებდა ომის შემდგომი მსოფლიოს მოწყობაში და საზავო მოლაპარაკების დროს ქართველი ხალხის ინტერესებაც გაითვალისწინებდნენ, ხელს შეუწყობდნენ მისი სახელმწიფოებრიობის აღორძინებას. 1914 წლის სექტემბრის ბოლოს თბილისში ჩატარდა სოციალისტ-ფერედალისტთა პარტიის ყრილობა, რომელმაც ანტიცარისტული აჯანყების დაწყება გადადო უფრო ხელსაყრელი მომენტის დადგომამდე.[6]

მალე ამის შემდეგ უცხოეთში მყოფი მ. წერეთელი და გ. მაჩაბელი შეხვდნენ გერანიის მთავრობის წარმომადგენლებს. მ. წერეთელმა გრაფ პურტალესს მიმართა თურმე შეკითხვით – მომავალ საზავო კონფერენციაზე იქნებოდა თუ არა მოსმენილი საქართველოს მემორანდუმი, გამარჯვებული გერმანია და მისი მოკავშირეები დაეხმარებიან თუ არა ქართველ ხალხს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენაში. საპასუხოდ გერმანიის რწმუნებულმა განაცხადა, რომ ჩვენი პოლიტიკა განისაზღვრება ქართველთა მიერ დაკავებული პოზიციის შესაბამისად. თუ ისინი აქტიურად იმოქმედებენ რუსეთის წინააღმდეგ, გერმანია დაიცავს საქართველოს ინტერესებს, მხარს დაუჭერს მის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. მ. წერეთელმა ივარაუდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული ქართველები 50-ათასიან ლაშქარს შეკრებდნენ. გერმანიის წარმომადგენლებმა კი ივალდებულეს ამ ლაშქრის შეიარაღება, დაარწმუნეს მოლაპარაკებაში მონაწილე ეროვნული დემოკრატები, რომ საომარი საჭურვლის ნაწილი უკვე მიტანილი იყო ტრაპიზონში და თუ შეთანხმება ოფიციალურად გაფორმდა, იგი გადაეგზავნებაო აჯანყებულ ქართველთა ლაშქარს.[7]

რუსეთის საზღვარგარეთულმა აგენტურამ ამ დიალოგის ამბავი გაიგო და თავის მთავრობას აცნობა: გერმანია ცდილობს მიაღწიოს ქართველთა აჯანყებას რუსეთის წინააღმდეგ და ამას უკავშირებს მსოფლიო ომში თურქეთის ჩაბმის მომენტს. გერმანიიდან აჯანყებულ-

თათვის გამოიგზავნება იარაღი 50 ათას კაცზე, აგრეთვე ფული 2 მლნ მანეთის ოდენობით.[8]

რუსეთის ცარიზმის კავკასიური ადმინისტრაცია ყველა საშუალებას იყენებდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დათრგუნვისათვის. ამ მოძრაობის ბევრი მონაწილე იძულებული ხდებოდა დაეტოვებინა სამშობლო, ანტირუსული საქმიანობა დასავლეთ ევროპაში განეგრძო. 1913 წელს ამ დევნილმა პატრიოტებმა ჟენევაში ჩამოაყალიბეს ეროვნულ-დემოკრატიული ორგანიზაცია – „თავისუფალი საქართველო", რომლის აქტიური წევრები იყვნენ პეტრე სურგულაძე, ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, გიორგი მაჩაბელი, ლეო კერესელიძე, გერონტი ქიქოძე და სხვები.

მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ამ ორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბდა „საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი", რომელიც ჟენევიდან ბერლინში გადავიდა და მჭიდრო კონტაქტი დაამყარა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. პროგერმანული ორიენტაციის ამ ორგანიზაციის წევრებს მიაჩნდათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა შეუძლებელი იქნებოდა იმ დიდ ომში რუსეთის დამარცხების გარეშე. სწორედ ამიტომ დაუკავშირდნენ რუსეთის მთავარ მოწინააღმდეგეს გერმანიას, რომლის ინტერესებში შედიოდა რუსეთის შინაგანი დაშლა, იმპერიის განაპირა რეგიონებში ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, მათი გერმანიის გავლენის სფეროში მოქცევა.

დამოუკიდებლობის კომიტეტმა აქტიური საქმიანობა გააჩაღა. იგი ეწეოდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდას, კავშირს ამყარებდა დასავლეთ ევროპის გავლენიან სახელმწიფო მოღვაწეებთან, ცდილობდა უცხოეთსა და საქართველოში მოქმედ ეროვნულ ძალთა კოორდინაციას, საერთო მოქმედების გეგმის შემუშავებას, რომლის განხორციელების ძირითად იმედს გერმანიაზე ამყარებდა. დამკომმა გერმანიის მთავრობის წარმომადგენლებთან გააფორმა სათანადო ხელშეკრულება. მასში დაფიქსირდა მუხლი იმის შესახებ, რომ თუ გერმანია ომში გაიმარჯვებდა, დაეხმარებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენაში, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დაცვაში.[9]

ამ შეთანხმების დადების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები სტამბოლისაკენ გაემგზავრნენ, რათა მოლაპარაკება გაემართათ თურქეთის მთავრობასთან, რომელმაც იმ ხანებში ომი გამოუცხადა რუსეთს და გერმანიის მოკავშირე გახდა. კონსტან-

ტინეპოლში დამკომის წევრებს შეუერთდნენ აქამდე ცალკე მოქმედი გ. მაჩაბელი და მ. წერეთელი. მალე იქვე ჩავიდნენ ლ. კერესელიძე, მ. ქარცივაძე, ზ. აბაშიძე, შ. ვარდიძე. თურქეთის დედაქალაქში თავი მოიყარა სამ ათეულამდე ქართველმა პატრიოტმა. ამ ჯგუფმა გერმანიის სტამბოლელი ელჩის და გავლენიანი მაჰმადიანი ქართველების მეშვეობით კავშირი დაამყარა ოსმალეთის მთავრობასთან.

მხარეთა საკმაოდ ხანგრძლივი და რთული მოლაპარაკების შედეგად გაფორმდა ორი შეთანხმება (დოკუმენტი): 1) კავკასიის ნეიტრალიზაციისა და მისი მომავალი პოლიტიკური ორგანიზაციის პროექტი და 2) საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისა და ამ ახალი სახელმწიფოს საზღვრების მონახაზი. ამ მეორე შეთანხმებაში ნათქვამი იყო: ოსმალეთის მთავრობა სცნობს საქართველოს დამოუკიდებლობას მის ისტორიულ-რეალური ტერიტორიის ფარგლებში. წინააღმდეგობას არ გაუწევს და შესაძლებლობის მიხედვით ხელსაც კი შეუწყობს რუსეთის ჯარისაგან გაწმენდილ ტერიტორიაზე საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას. როგორც კი ეს მთავრობა გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას, თურქეთი მაშინვე სცნობს ამ სახელმწიფოს და მიიღებს მის სრულუფლებიან წარმომადგენელს (ელჩს) სტამბოლში. იქვე აღნიშნული იყო, რომ თურქეთი ხელს შეუწყობდა ქართველთა შეიარაღებული ძალების ფორმირებას. ქართულ ლეგიონებში უნდა ჩაერიცხათ გერმანიასა და ავსტრიაში ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები, აგრეთვე მოხალისეები მუსლიმანური და ქრისტიანული საქართველოდან. ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველოს ჯარის სტრუქტურა, მისი თურქეთის არმიასთან ურთიერთობის ფორმა. მართალია, ქართული ლეგიონების მეთაურთა დანიშვნა საქართველოს მთავრობის კომპეტენციად ცხადდებოდა, მაგრამ ოსმალეთის მთავრობისათვის სასურველი იყო ქართულ შეიარაღებულ ძალებს სათავეში ჩადგომოდა თურქეთისადმი ლოიალურად განწყობილი პირი, რომელიც სამხედრო ოპერაციებს თურქეთის არმიის გენერალურ შტაბთან შეთანხმებით განახორციელებდა. თურქეთის მთავრობა პირობას დებდა თავის ტერიტორიაზე დაუბრკოლებლად გაეტარებინა გერმანიიდან ქართული ლეგიონებისათვის გამოგზავნილი სამხედრო ტექნიკა. ხელშეკრულების მეცხრე მუხლის თანახმად ომის განმავლობაში თურქეთი ისარგებლებდა საქართველოს რკინიგზებით და გზატკეცილებით. მაგრამ ოსმალეთის ჯარისათვის საჭირო

რეკვიზიციები მოხდებოდა მხოლოდ საქართველოს მთავრობის თანხმობითა და მეშვეობით. როგორც ჩანს, ქართული მხარის მოთხოვნით იმავე მეცხრე მუხლში ჩაიწერა, რომ ომის დამთავრების შემდეგ ოსმალეთის მთავრობა დაუყოვნებლივ გაიყვანდა თავის ჯარს საქართველოს ტერიტორიიდან.[10]

ერთი სიტყვით, გერმანია და თურქეთი ძირითადად თავის გავლენის სფეროთა გაფართოებისათვის იღწვოდნენ. ემიგრაციაში მყოფი ქართველი პოლიტიკოსები კი მათი ამ მისწრაფების საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის გამოყენებას ცდილობდნენ და ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს.

არც სამშობლოში დარჩენილი ქართველი მოღვაწეები ისხდნენ გულხელდაკრეფილი. სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს და 1914 წლის ოქტომბერში ჩამოაყალიბეს საიდუმლო ორგანიზაცია — „ქართული ეროვნული კომიტეტი", რომელიც ფაქტობრივად ინტერპარტიული გაერთიანება იყო. იგი წარმატებით აგრძელებდა ეროვნულ ძალთა მობილიზაციას, აგროვებდა იარაღს, ემზადებოდა გადამწყვეტი მოქმედებისათვის. გერმანიის აგენტებს მიაჩნდათ, რომ საქართველოში ხელსაყრელი პირობები იქმნებოდა ანტირუსული აჯანყებისათვის, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდა 30 ათასამდე კარგად შეიარაღებული ქართველი მებრძოლი.[11]

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობა იყო საქართველოში მოქმედ და უცხოეთში არსებულ ორგანიზაციათა მჭიდრო კავშირი, მათი საქმიანობის კოორდინაცია. გერმანიის მთავრობის ხელშეწყობით დასავლეთ ევროპიდან საქართველოში ჩამოვიდა გიორგი მაჩაბელი. თათბირი გაიმართა ქუთაისში, ვასილ ფალიაშვილის ბინაზე. მონაწილეობდნენ სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლები — ნოე ჟორდანია, ევგენი გეგეჭკორი, სამსონ ფირცხალავა, გრიგოლ რცხილაძე, შალვა ამირეჯიბი, რეზო გაბაშვილი. გ. მაჩაბელმა მათ გააცნო გერმანიისა და თურქეთის მთავრობებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და მოითხოვა გამოეხატათ თავიანთი პოზიცია. გამოირკვა, რომ სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) უმრავლესობა პროანტანტურ ორიენტაციაზე იდგა, გერმანიასთან კავშირის დამყარებას მხარს უჭერდა მხოლოდ ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ე. გეგეჭკორი. სოციალისტ-ფედერალისტებს

ჯერ კიდევ გარკვევით არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული თავისი თვალსაზრისი. ეროვნულ-დემოკრატებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი გერმანიის და მისი მოკავშირეების სამხედრო ბლოკთან თანამშრომლობას. მათი ინიციატივით შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თბილისის ფილიალი, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ სპირიდონ კედია, დავით ვაჩნაძე და რეზო გაბაშვილი.[12]

იმავე ხანს აღდგენილ იქნა „ქართული საქველმოქმედო საზოგადოება“. რ. გაბაშვილის გადმოცემით, იგი ომის წლებში ფაქტობრივად „იყო ფარული საკოალიციო მთავრობა საქართველოსი“. ამ საზოგადოება-მთავრობის თავმჯდომარის როლს ასრულებდა მიხეილ მაჩაბელი. მასში შედიოდნენ ეროვნულ-დემოკრატები — რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, ვ. ყიფიანი, სოციალ-დემოკრატები — ნ. რამიშვილი, პ. საყვარელიძე, აგრეთვე რამდენიმე სოციალ-ფედერალისტი და უპარტიო პატრიოტი. საზოგადოება ლეგალურად დაჭრილებსა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა, ფარულად კი პოლიტიკური საკითხების გადაჭრას ცდილობდა.[13]

გერმანიის მთავრობა ყოველნაირად უწყობდა ხელს ქართველთა ანტირუსულ მოძრაობას, 2 მლნ მარკა გამოყო ქართველ მოხალისეთა რაზმების ჩამოყალიბების და ანტირუსული აჯანყების ორგანიზაციისათვის. ამ რაზმების შემადგენელ კონტინგენტს თავდაპირველად ტყვეთა ბანაკებში დაუწყეს ძებნა. რამდენიმე ასეული ქართველი ტყვე გამოეხმაურა დამკომის მოწოდებას და ჩაეწერა მოხალისეთა ლეგიონში, რომელიც თურქეთში გაიგზავნა და რუსეთის საზღვრის სიახლოვეს დაბანაკდა.

1914 წლის ოქტომბერში მოღვაწეობას რომ იწყებდა, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს ორი ძირითადი ამოცანა ჰქონდა დასახული: 1) ქართული ლეგიონის შექმნა, 2) მოსახლეობისათვის გერმანიის მთავრობის მიერ დაპირებული იარაღის მიწოდება. ლეგიონების შექმნას კომიტეტი ანიჭებდა არა მარტო სამხედრო მნიშვნელობას, არამედ პოლიტიკურსაც; სიტუაცია მოითხოვდა ქართველი სალხი დარწმუნებულიყო იმაში, რომ ოსმალთა ჯარი საქართველოში შემოდიოდა არა როგორც მტერი, არამედ როგორც მოყვარე და თანაც ქართულ ლეგიონებთან ერთად, რომელთა სათავეში ქართველი ოფიცრები იდგნენ.

რუსეთსა და თურქეთს შორის ომი ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული, რომ დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები საქართველოს

საზღვრისაკენ გაემართნენ, ქართველ პატრიოტთა საქმიანობა რამდენადმე შეაფერხა „ახალგაზრდა თურქთა კომიტეტის“ ტრაპიზონის ორგანიზაციამ, რომელიც ქართული ლეგიონების შექმნის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. მიუხედავად ამისა, უკვე შექმნილი ქართული ლეგიონი ომში ჩაება და დიდ წარმატებას მიაღწია მურღულთან გამართულ ბრძოლაში. საქართველოს საზღვარზე მყოფ რუს კაზაკთა რაზმები ქართველმა ლეგიონერებმა გაანადგურეს და აიღეს რამდენიმე სოფელი. მათ ხელში ჩაიგდეს რამდენიმე ქვემეხი და ტყვედ აიყვანეს მრავალი რუსი ჯარისკაცი.

მურღულთან დამარცხებამ და თურქთა არმიების შემოტევამ რუსეთის არმიაში ისეთი პანიკა გამოიწვია, რომ მან თავისი პოზიციები უბრძოლველად დატოვა ბორჩხაში, მარადიდში, აჭარისწყალზე. მიუხედავად იმისა, რომ აჭარაში შესვლის, იქ ანტირუსული აჯანყების ორგანიზების შესაძლებლობა შეიქმნა, დამოუკიდებლობის კომიტეტმა თავი შეიკავა დაუყოვნებლივ შეტევისაგან, რადგან მოხალისეთა ლეგიონი არც მრავალრიცხოვანი იყო და არც კარგად შეიარაღებული. დამკომმა სცადა მოხალისეთა კორპუსის ორგანიზება და მოლაპარაკება დაიწყო ახალგაზრდა თურქთა ლიდერ რიზა ბეისთან. მას მონაწილეობა უნდა მიეღო აჭარის ქართველების მობილიზაციაში, მათგან ახალი რაზმების ჩამოყალიბებასა და შეიარაღებაში. დამკომის წევრები ვალდებულებას კისრულობდნენ ახლად შექმნილი კორპუსით აეღოთ ქობულეთი, შეჭრილიყვნენ გურიაში და გადაეკეტათ რკინიგზა, რასაც რუსეთისათვის დიდი სტრატეგიული და ტაქტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ ახალგაზრდა თურქთა კომიტეტმა და თვით ოსმალეთის მთავრობამ უნდობლობა გამოუცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, გერმანიის მოთხოვნის მიუხედავად არსებითად არაფერი გააკეთა ქართული კორპუსის ჩამოყალიბებისათვის.[13]

გერმანიის მთავრობას, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, თავისი ინტერესები ამოძრავებდა. მისი მიზანი იყო ქართველთა აჯანყებით რუსეთისათვის დამატებითი სიძნელეების შექმნა, საქართველოს ტერიტრიის გამოყენება წინააზიაში თავისი გავლენის სფეროების გაფართოებისათვის. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრებმაც კარგად იცოდნენ, რომ კაიზერული გერმანია მთლად უანგაროდ არ მოქმედებდა. მაგრამ მათ სურდათ დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგობა და მსოფლიო ომი თავიანთ იდეალთა ხორცშესხმისათვის გამოეყენებინათ და ამიტომ დაუკავშირეს ეროვნული აჯანყება

ოსმალეთის გერმანიის მოკავშირედ გადაქცევას, კავკასიის ფრონტზე საომარი მოქმედების დაწყებას.

საომარი მოქმედების დაწყების პირველი კვირეებში თურქთა ჯარებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს, საკმაოდ ღრმად შემოიჭრნენ ბათუმ-ყარსის ოლქების ტერიტორიაზე. კავკასიის შეშინებულმა რუსულმა ადმინისტრაციამ ევაკუაცია დაიწყო. ფრონტიდან გამოქცეულმა მეფის ნაცვლის მოადგილე მიშლევსკიმ ქართველ თავადაზნაურობასა და ხალხს მოსთხოვა თავის ხელით დაენგრიათ გზები, ხიდები, სახლები, გაენადგურებინათ ბაღ-ვენახები და ყანები, რათა გამარჯვებულ მტერს დახვედროდა მხოლოდ შიშველი მიწა. გენერალი უტიფრად აცხადებდა, თბილისსა და სხვა ქალაქებს ჩვენ თვითონ ავაფეთქებთ, ისე დავანგრევთ, რომ ქვა ქვაზე არ დარჩეს თურქების თავშესაფრად. თითო ოროლა რენეგატმა ქართველმა მხარი აუბა მიშლევსკის. უფრო მეტმა კი გაბედა მისი განცხადების დაგმობა. რეზო გაბაშვილმა პატრიოტებს შეახსენა, რომ უკვე იყო ხელშეკრულებები გაფორმებული გერმანიასა და მის მოკავშირეებთან, რომელნიც ქართველ ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დახმარებას, საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას პირდებოდნენ.[14]

მართლაც ხელსაყრელი მომენტი დგებოდა ანტირუსული აჯანყების, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის გეგმის განხორციელებისათვის. საქართველოში მოქმედ პატრიოტებს შეუერთდნენ შობის არდადეგების დღეებში ჩამოსული რუსეთის უმაღლეს სასწავლებელთა ქართველი სტუდენტები, რომელნიც ხალხის ფართო მასაში ეწეოდნენ ეროვნული აჯანყების იდეის პროპაგანდას. გააქტიურდნენ დამკოშის ძველი წევრებიც. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო საყოველთაო აჯანყების ორგანიზება ვერ მოხერხდა.

რუსეთის ჟანდარმერიასა და დაზვერვას არ ეძინა. მათ მიერ შეკრებილმა მასალამ საფუძველი მისცა დიდმპყრობელ რუს შოვინისტებს აეტეხათ განგაში, ხმა აღემაღლებინათ, აღვირახსნილი კამპანია გაეჩაღებინათ ქართველი ხალხის სეპარატისტულ მისწრაფებათა წინააღმდეგ. გაავრცელეს ინფორმაცია, რომ აჭარლები ელოდებიან თურქთა ჯარების მიახლოვებას და აჯანყებისათვის ემზადებიანო. იმასაც ამბობდნენ, რომ ქრისტიანული საქართველოს აჯანყება გერმანელთა დესანტის გადმოსხმისთანავე დაიწყებაო. ქართულმა პრესამ დარხეული ხმები, რა თქმა უნდა სიყალბედ, ცილისწამებად გამოაცხადა; ქართულ კულტურულ დაწესებულებათა და პრესის მუშაკთა თათბირმა

მკაცრი პროტესტი გამოთქვა ამ პროვოკაციული მონაჭორის გამო და მისი ოფიციალური უარყოფა მოითხოვა.

პირველ მსოფლიო ომის წლებში კიდევ უფრო ცხადი გახდა საქართველოს ტრაგედია. სინამდვილისა და სასურველის დაშორი-შორება, ქართველი ხალხის გაორებული განწყობილება-მოქმედება. იმ დროს, როცა ბევრი ქართველი გენერალი და ოფიცერი, ათი ათასობით ჯარისკაცი რუსეთის არმიის გვერდიგვერდ იბრძოდა დასავლეთის თუ მცირე აზიის ფრონტებზე, ეროვნული მიმართულების პარტიებსა და განთავისუფლების კომიტეტში ორგანიზებული ინტელიგენცია, მათი თანამგრძნობი საზოგადოება აჯანყებას ამზადებდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა-განმტკიცების გეგმას ამუშავებდა. ამ გაორების აღმოფხვრა, ქართველი ხალხის კონსოლიდაცია დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. თითქმის ყველას ესმოდა, რომ სრული სეპარატიზმი ხიფათს უმზადებდა ქართველებს. სინამდვილისა და სასურველის შეთანაწყობა მხოლოდ კომპრომისის გზით, ავტონომიის იდეის საფუძველზე შეიძლებოდა. ბევრ ქართველ მოღვაწეს მიაჩნდა, რომ გრანდიოზული ომით გამოწვეულ სიძნელეთა პირობებში რუსეთის ცარიზმი უფრო დამთმობი გახდებოდა. თუ ქართველები კატეგორიულად მოითხოვდნენ ეროვნულ თვითმმართველობას, მეფის მთავრობა დააფასებდა მათ ამაგს — საქართველოს იმპერიაში შემავალი ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსს უბოძებდა.

ზომიერებს ასეთი მსჯელობის გარკვეული საფუძველი გააჩნდათ. მათ დაინახეს, რომ განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობა დიდ შედეგს არ იძლეოდა. მცირეაზია-კავკასიის ფრონტზე თურქეთის წარმატება ეპიზოდური აღმოჩნდა. რუსეთის ჯარები შეტევაზე გადავიდნენ, ქართველი და სხვა ეროვნებათა მებრძოლების დახმარებით დაამარცხეს თურქეთის არმიები, გაათავისუფლეს მათ მიერ ოკუპირებული ბათუმის ოლქის ტერიტორიები და არზრუმ-ტრაპიზონის მიმართულებით დაიძრნენ. ასეთ პირობებში განთავისუფლების კომიტეტის მიერ წამოყენებულმა ანტირუსული აჯანყების იდეამ მიმზიდველობა დაკარგა. გერმანია-თურქეთზე ორიენტაციის მომხრეთა რიცხვი სწრაფად შემცირდა. ეროვნულმა პარტიებმა დროებით უარყვეს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გეგმა. მათ საქართველოს ავტონომიური სახელმწიფოს შექმნის პრობლემა რუსეთში მოსალოდნელ პოლიტიკურ ცვლილებებს დაუკავშირეს და სათანადო

მუშაობაც გააჩაღეს, რათა ხელსაყრელ მომენტს მომზადებული შეხვედროდნენ.

1915 წელს ქართველი პატრიოტები მარტო გერმანელ პოლიტიკოსებს როდი სთხოვდნენ დახმარებას. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა განათლებული კაცობრიობისადმი, გააცნო დასავლეთის სამყაროს ქართველთა ვინაობა, მისი მრავალსაუკუნოვანი ისტორია. მოიხსენია 1783 წლის ტრაქტატი, რომელიც 17 წლის შემდეგ დაარღვია რუსეთმა და საქართველო დაიპყრო, მოსპო მისი სახელმწიფოებრიობა, გააუქმა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, ქართული ენა განდევნა სკოლიდან, სასამართლოდან, ეკლესიიდან, ყველა საშუალებით ცდილობს გაარუსოს ქართველი ერი. მიმართვის ავტორები აცხადებდნენ, რომ ქართველი ხალხი ვერ შეურიგდება დისკრიმინაციას, თავის ეროვნულ უფლებათა აბუჩად აგდებას.

მიმართვაში ყურადღებაა გამახვილებული ომის დაწყებისას დიდ სახელმწიფოთა მიერ გაკეთებულ განცხადებაზე, რომ „ომი" დაიწყეს ცივილიზაციის სახელით, პატარა ერების დასაცავად, საერთაშორისო სამართლიანობისათვის. ჩვენ გულწრფელად გვსურს დავუჯეროთ ამ მშვენიერ სიტყვებს, მაგრამ როდესაც რუსეთის მთავრობა აგრძელებს თავის ძველ საქციელს, არ შეგვიძლია მწარე ღიმილით არ ვუპასუხოთ ამ დეკლარაციას.[15]

ომის დროს გერმანიაში მრავალი ემიგრანტული კომიტეტი საქმიანობდა. ამა თუ იმ დაჩაგრული ერის ინტერესებს გამოხატავდა. 1915 წლის ივნისში ფინეთისა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტებმა დადეს ხელშეკრულება ორივე ერის გამათავისუფლებელი მოძრაობის შეკავშირების თაობაზე. 1916 წლის მარტში კი ჩამოყალიბდა რუსეთის სხვა ტომელთა ლიგა, რომელსაც რუსეთის იმპერიის მასშტაბით ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობათა კოორდინირების ფუნქცია დაეკისრა. სხვატომელთა ლიგამ აშშ-ს პრეზიდენტ ვ. ვილსონსაც მიმართა, სთხოვა მას თანაგრძნობა-თანადგომა. შეახსენა, რომ რუსეთი არ მოისვენებს ვიდრე თავის მიზანს არ მიაღწევს. ამიტომ ჩვენ მოვუწოდებთო ყველას — გვიშველეთ, გადაგვარჩინეთ სრული მოსპობისაგან. ამ მიმართვას ქართველთაგან ხელს აწერდა მ. წერეთელი.[16ა]

ქართველი პატრიოტები ომის წლებშიც ცდილობდნენ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს გამოყენებას. 1916 წლის 7 თებერვალს

სპ. კედიამ ღია წერილი გაუგზავნა, სათათბიროს დეპუტატებს კ. ჩხეიძესა და აკ. ჩხენკელს. შეახსენებდა მათ, სახელმწიფო სათათბირო თავის არსით ისეთი დაწესებულებაა, რომელიც მოწოდებულია აღადგინოს უკანონოდ გათელილი უფლება ერისა და პიროვნებისა. საქართველო თავის დეპუტატებისაგან მოითხოვს, რომ მათ ხელში აიღონ ქართული ეროვნული დროშა, ქართველი ხალხის ეროვნულ უფლებათა დაცვა-გაფართოებისათვის იბრძოლონო.[17]

როგორც ჩანს, სპ. კედიას წერილმა გარკვეული გავლენა მოახდინა აკ. ჩხენკელზე. 1916 წლის ივნისში სახელმწიფო სათათბიროს ტრიბუნიდან მან მხარი დაუჭირა რუსეთის იმპერიის დაჩაგრული ერების შელახულ უფლებათა აღდგენას, რასაც თავის მიმართვაში სხვატომელთა ლიგა მოითხოვდა.

1916 წლის 17 ივნის ლოზანაში ჩატარდა ერების წარმომადგენელთა კონფერენცია. ერთ-ერთი მომხსენებელი იყო მ. წერეთელი, რომლის გამოსვლას დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ. მან მიმოიხილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, დაახასიათა 1783 წლის ტრაქტატის ფორმა და შინაარსი, აღნიშნა რუსეთის მთავრობის მიერ მისი ცალმხრივად დარღვევის ფაქტი და საქართველოს ანექსია. „ერთ საუკუნეზე მეტია – განაცხადა მ. წერეთელმა – რუსეთის მთავრობამ ქართველ ერს ახადა ყოველივე უფლება, ...მაგრამ მტრის გამარჯვება არ სპობს დამარცხებულის უფლებას“ და ქართველი ხალხი იბრძვისო დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ეს სიტყვა ცოტა მოგვიანებით გამოქვეყნდა ბერლინში გამომავალი „ქართულ გაზეთში.[17ა]

მ. წერეთლის და ჰ. მაჩაბელის ინიციატივით, მათი უშუალო მონაწილეობით მომზადდა და შვეიცარიაში ფრანგულ ენაზე გამოიცა დოკუმენტი – „საქართველოს დამოუკიდებლობის უფლებანი“. მასში ხაზგასმულია, რომ საქართველო მიისწრაფის ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ და ამის ყველა საფუძველი, ბუნებრივი და სამართლებრივი უფლება აქვს. „კმარა გულგრილ მოწმედ ყოფნა განათლებული ერის მოსპობისა, რომლის აღსადგენად საკმარისია სცნოთ მისი, ყოველ ეჭვგარეშე მყოფი და უწმინდესი უფლებანი, რათა მოეწყოს იგი პოლიტიკურად და დაიკავოს თავისი ადგილი დამოუკიდებელ ერთა ოჯახში“. ეს დოკუმენტიც პირველად დაიბეჭდა ბერლინის „ქართულ გაზეთში“ 1917 წელს.

პირველი მსოფლიო ომის წინ და მისი დაწყების შემდეგ კიდევ უფრო გააქტიურა ნაციონალური საქმიანობა დაშნაკების პარტიამ,

რომელსაც ადგილობრივი ორგანიზაციები საქართველოს ზოგიერთ ქალაქსა და რაიონშიც ჰქონდა ჩამოყალიბებული. დაშნაკებმა შექმნეს სომხური მოხალისეთა რაზმები, რომლებიც უნდა დახმარებოდნენ რუსეთის არმიას და ამით ხელი შეეწყოთ თურქეთის სომხეთის განთავისუფლებისათვის. პარალელურად ისინი ეწეოდნენ ზომიერებას მოკლებულ ანტითურქულ და ანტიქართულ პროპაგანდას. მთავრობის მოხელეებს ანიშნებდნენ, რომ აზერბაიჯანელები და ქართველები (დიდი ნაწილი) თურქოფილები არიან, ამიერკავკასიაში თურქთა ჯარების შემოსვლას მოუთმენლად ელოდებიანო. დაშნაკები გამსჭვალული იყვნენ „დიდი სომხეთის" შექმნის იდეით. ისინი ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე საიდუმლო არხებით დაუკავშირდნენ მეფის ნაცვალს ვორონცოვ-დაშკოვს, ურჩიეს მას ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა და ცალკე სომხური გუბერნიის შექმნა. 1913 წელს ეს საკითხი კიდეც განიხილა სპეციალურად ჩატარებულმა თათბირმა, მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობამ გეოგრაფიულ-ეკონომიკური თვალსაზრისით ამ მაზრების თბილისის გუბერნიიდან გამოყოფა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.[18]

ომის დაწყების შემდეგ დაშნაკებმა „დიდი სომხეთის" შექმნის იდეის პროპაგანდა კიდევ უფრო ინტენსიურად გააგრძელეს. მათ შეიმუშავეს ნახევრად ფანტასტიური გეგმა რუსეთისა და თურქეთის სახელმწიფოებში შემავალი ყველა სომხური ტერიტორიების გაერთიანების და რუსეთის მფარველობის ქვეშ ავტონომიური სომხური სახელმწიფოს შექმნისა, რამაც, სხვასთან ერთად, ნიადაგი მოუმზადა ოსმალთა მიერ სომეხთა გენოციდს.

2. ეკონომიკის დაცემა, ხალხის ცხოვრების დონის დაძვეითება და სოციალური მოძრაობა

რუსეთის იმპერია ომისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ეს ცხადი გახდა ფრონტზეც და ზურგშიც. ომის საჭიროებისათვის დახარჯული მილიარდები მოაკლდა სახალხო მეურნეობას და მისი უამისოდაც დაბალი დონე კიდევ უფრო დაქვეითდა. საომარი ოპერაციების შედეგად რუსეთმა დაკარგა თავისი ეროვნული სიმდიდრის 60%.

ომით გამოწვეულმა სიძნელეებმა მალე იჩინა თავი საქართველოსა და ამიერკავკასიაში. მეფის მთავრობის ადმინისტრაცია ამ განაპირა

ქვეყანაშიც შეეცადა სახალხო მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანას. მართალია პირველ-ორ წელს სამხედრო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა, მაგრამ ეს წარმატება მოპოვებულ იქნა არა სამხედრო ქარხნების მშენებლობის, არამედ ძველ საწარმოთა სამხედრო რელსებზე გადაყვანის გზით, რასაც თავისთავად მოჰყვა ფართო მოხმარების საქონლის გამოშვების მკვეთი შემცირება. სათბობისა და ნედლეულის ნაკლებობის გამო ფაბრიკა-ქარხნები საერთოდ სანახევრო დატვირთვით მუშაობდნენ, ხალხის მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდნენ.

ომის დაწყების შემდეგ, რასაც მოჰყვა საზღვაო-სავაჭრო გზების ჩაკეტვა, თითქმის მთლიანად შეწყდა ჭიათურის მანგანუმის მოპოვება და ექსპორტი. ჩაკვდა ფოთის ნავსადგურის სავაჭრო-კომერციული ცხოვრება. საქართველოს ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრი ბათუმი ფრონტისპირა ქალაქი გახდა, რაც უარყოფითად აისახა მის ეკონომიკაზე. ბათუმის ნავთობგადამამუშავებელმა ქარხანამ და ზოგმა სხვა საწარმომ მოქმედება საერთოდ შეწყვიტა. განახევრდა თბილისისა და სხვა ქალაქების ფაბრიკა-ქარხნების მწარმოებლურობა.

ომმა უარყოფითი გავლენა მოახდინა სოფლის მეურნეობაზეც. მოსახლეობის ყველაზე ჯანსაღი და შრომისუნარიანი ნაწილის არმიაში გაწვევის გამო ყველა დარგში იგრძნობოდა მუშა ხელის უკმარისობა. აღარ ხდებოდა მანქანა-იარაღების შევსება და მეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობა თანდათან გაუარესდა. საგრძნობლად შემცირდა ხორბლეულის ნათესთა ფართობი და მოსავლიანობა. წარმოების შეკვეცის ტენდენცია შეინიშნებოდა მევენახეობა-მეღვინეობაში, მეთამბაქოეობასა და მებამბეობაში. კიდევ უფრო დაეცა მეცხოველეობა, რომელსაც აჩანაგებდა არა მარტო საკვები ბაზის სისუსტე, არამედ სამხედრო რეკვიზიციებიც.

ომის მეორე წელს მარცვლეულის ნათესთა ფართობი ამიერკავკასიაში 30-35%-ით შეიკვეცა. თუ 1909-1913 წლებში საქართველოში პურის, სიმინდის, ქერისა და სხვა მარცვლეულის ფართობი 708 ათას დესეტინას უდრიდა, 1915 წელს შემცირდა 500 ათას დესეტინამდე. იმის გამო, რომ აიკრძალა ღვინითა და სპირტით ვაჭრობა, შეწყდა ალკოჰოლურის სასმელების რუსეთსა და უცხოეთში გატანა, არარენტაბელური გახდა მევენახეობა-მეღვინეობა. ვენახების ფართობი 45 ათასი დესეტინიდან 37 ათას დესეტინამდე შეიკვეცა. მევენახენი ვერ ახერხებდნენ მანქანა-იარაღების და ვაზის სამკურნალო

პრეპარატების შეძენას, რამაც განაპირობა ფილოქსერისა და სოკოვან დაავადებათა გაძლიერება. ამის შედეგად მკვეთრად დაეცა ყურძნის მოსავლიანობა და ღვინის დაყენება, რამაც მოსახლეობის ნაწილი მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. შინაური პირუტყვის რაოდენობა 1913 წლიდან 1916 წლამდე 29%-ით შემცირდა. სოფლის მოსახლეობის 15,3%-ს საეროოდ აღარ ჰყავდა შინაური პირუტყვი, 38,8 პროცენტს აღარ ჰყავდა მუშა საქონელი, 36,5%-ს — ძროხა. საქონლის ეპიდემიურ დაავადებათა გაძლიერებისა და საკვები ბაზის არასაკმარისობის გამო საგრძნობლად დაეცა შინაური პირუტყვის პროდუქტიულობა.

ომის წლებში ძალიან გაუჭირდა ნორმალური ფუნქციონირება რკინიგზას, შეფერხდა ტვირთების გადაზიდვა, მოიშალა სამეურნეო-სავაჭრო კავშირები იმპერიის სხვადასხვა რეგიონებს შორის. პურის ფქვილის შემოზიდვა რუსეთიდან ამიერკავკასიაში თითქმის მთლიანად შეწყდა, ადგილობრივი მოსავალი კი არ იყო საკმარისი. განსაკუთრებით გაუჭირდა ქალაქთა მცხოვრებლებსა და იმ რაიონების მოსახლეობას, რომელიც მევენახეობა-მეღვინეობაში, მეცხოველეობაში, ტექნიკურ და სპეციალურ კულტურებში იყო დასპეციალებული. ბევრგან იგრძნობოდა აგრეთვე ხორცისა და რძის პროდუქტების ნაკლებობა. მძიმე მდგომარეობაში, შიმშილის პირზე აღმოჩნდა დაბალი მასის დიდი ნაწილი. სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის მკვეთრი შემცირების პირობებში საყოველთაო მოვლენა გახდა სიძვირე და ინფლაცია. მანეთის კურსი სამი წლის განმავლობაში 4-5-ჯერ დაეცა. ეს მაშინ, როცა მუშათა ხელფასი თითქმის არ გაზრდილა.

ეკონომიკის დაცემამ, პირველი მოთხოვნილების საგნების ნაკლებობამ და სიძვირემ, ბუნებრივია, ხალხის მზარდი უკმაყოფილება გამოიწვია. მთავრობა გრძნობდა სოციალური აფეთქების საშიშროებას, მშიერი კუჭის რევოლუციის მოახლოვებას და გარკვეულ ღონისძიებებს ატარებდა დაძაბული სიტუაციის განმუხტვისათვის. ამავე პრობლემაზე ფიქრობდნენ საერობო და მუნიციპალური მოღვაწეები. რუსეთში ჩამოყალიბდა ერობათა და ქალაქთა კავშირები. რაკი ამიერკავკასიაში საერობო თვითმმართველობა არ არსებობდა, თბილისის მუნიციპალიტეტის ინიციატივით ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის ქალაქთა კავშირი, რომელმაც მნიშვნელოვანწილად თავის ხელთ აიღო ქალაქის მოსახლეობის სურსათ-სანოვაგით მომარაგების ფუნქცია.

მეფის მთავრობა თავდაპირველად ეჭვით შეხვდა ერობათა და ქალაქთა კავშირის შექმნას, მაგრამ მალე შეურიგდა მომხდარ ფაქტს

და შეეცადა მისი საქმიანობა ვიწრო ჩარჩოებში (დაჭრილ მეომართა მოვლა-პატრონობა, ინვალიდთა სახლების შექმნა) ჩაეყენებია.

1914 წლის სექტემბერში ჩატარდა ამერკავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მესამე ყრილობა, რომელმაც თითქმის მხოლოდ დაჭრილთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის საკითხზე იმსჯელა. მუშაობის გაცილებით ფართო პროგრამა ჰქონდა ქალაქთა წარმომადგენლების მეოთხე ყრილობას, რომელიც 1915 წლის მაისში გაიმართა თბილისში. ყრილობამ, კერძოდ, განიხილა სიძვირისა და ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები. ყრილობამ დაადგინა: 1) აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პირველი მოთხოვნილების საგნებით მოსახლეობის მომარაგების სფეროში ქალაქთა კავშირის უფლება-კომპეტენციის გაფართოებისა და მისთვის გრძელვადიანი კრედიტის გახსნის თაობაზე. 2) მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქალაქთა კავშირისა და კოოპერაციული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მონაწილეობა სასურსათო პრობლემაზე მომუშავე მთავრობის კომისიებში. 3) გადაუდებელ საქმედ გამოაცხადეს ქალაქის თავების ხელმძღვანელობით საგუბერნიო და სამაზრო სასურსათო კომისიების ჩამოყალიბება. 4) სასურსათო კაპიტალი შეიქმნა ყველა ქალაქებისაგან სათანადო შესატანის დაწესების გზით. 5) მუნიციპალური სავაჭრო ქსელი მოეწყოს კომერციულ საწყისებზე, რადგან საქონლის თვითღირებულების მიხედვით გაყიდვა საფრთხეს შეუქმნის კერძო ვაჭრობას და მიგვიყვანს საქალაქო თვითმმართველობათა მიერ სასურსათო საქმის მონოპოლიამდე, რაც პრაქტიკულად განუხორციელებელია. 6) იმის გამო, რომ საქონელზე ნიხრის დაწესებას არ შეიძლება მოჰყვეს ფასების არსებითი შემცირება, მიზანშეწონილია პირველი მოთხოვნილების საგნებზე ფასების ნორმირება მოხდეს მათი წარმოების ადგილზე. 7) სიძვირის ზრდის ერთ-ერთი მიზეზია რკინიგზის ცუდი მუშაობა, რკინიგზის აგენტების ბოროტმოქმედება, რის აღკვეთაზეც მთავრობამ უნდა იფიქროს. 8) სიძვირესთან ბრძოლაში გადამწყვეტი როლი უნდა შეასრულონ კოოპერატივებმა და ამიტომ მათ უნდა გაეწიოს ფინანსური დახმარება. 9) გადაუდებელ საქმედ ჩაითვალოს კოოპერაციის შესახებ კანონის მიღება, რაც გააადვილებს ამ ორგანიზაციების დაარსებას და ნაყოფიერ მუშაობას. 10) მიზანშეწონილია განსაკუთრებული სტატისტიკური ბიუროების შექმნა. მათ უნდა დაევალოს სურსათის მარაგის, მოხმარების ზომის აღრიცხვა, ფასების მოძრაობის რეგისტრაცია.[19]

აღნიშნული და სხვა გადაწყვეტილებათა შესასრულებლად პრაქტიკული ნაბიჯებიც გადაიდგა, მაგრამ სამეურნეო ნგრევის, სიძვირის ზრდის ტენდენციის დაძლევა შეუძლებელი აღმოჩნდა. სასურსათო კრიზისი თანდათან გამწვავდა. თბილისის პოლიციმეისტერი ზდანევსკი 1915 წლის დეკემბერში ზემდგომ ინსტანციას სწერდა: „ცხოვრება ქალაქში შეუჩერებლივ ძვირდება. ვაჭართა მტაცებლურმა სიხარბემ და მომხმარებელთა ტანჯვა-წვალებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ამაზე ყოველდღიურად ჩივიან და გვთხოვენ დახმარებას საარსებო მინიმუმის შეძენის საქმეში. ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენა ისეთ დიდ გაჭირვებას განიცდის, რომ მზადაა დათმოს სხვა ყოველივე, ოღონდ შეიძინოს პური არსებობისა. ქალაქში არც შაქარი, ზეთი, ღორის ქონი, კარტოფილი, რძე და სხვ. პირველი მოთხოვნილების პროდუქტი იშოვება. მოსალოდნელია ფასების შემდგომი გადიდება“.[20]

სურსათ-სანოვაგის სიმცირისა და ყოველდღიურად მზარდი სიძვირის გამო ამიერკავკასიის ქალაქებში თანდათან გახშირდა ე.წ. სასურსათო ბუნტები, რომელშიც ძირითადად მონაწილეობდა მოსახლეობის ქვედა ფენა, განსაკუთრებით აქტიურობდნენ ოჯახის დიასახლისები. ამ სახის მოძრაობამ ფართო მასშტაბი მიიღო ბაქოში, სადაც მომხმარებელთა ჯგუფებმა 1916 წლის 14 თებერვალს ალექსანდრე ნევსკის ბაზრის მიდამოებში დაარბიეს დუქნები და მაღაზიები. მიუხედავად იმისა, რომ პოლიცია ფეხზე დადგა და დამნაშავეთა ნაწილი დააპატიმრა, მეორე დღეს სასურსათო მაღაზიების რბევა უფრო დიდი მასშტაბით განმეორდა.

ბაქოს ამბებმა მთელ ამიერკავკასიაში ჰპოვა „გამოძახილი“. 21 თებერვალს თბილისის პოლიციმეისტერი ზემდგომ ინსტანციას აუწყებდა: ბაქოში დატრიალებული ამბები ცნობილი გახდა ჩვენი ქალაქის მცხოვრებთათვის. ეს სამი დღეა ვაკვირდებით დაბალი მასის განწყობილებას და ვხედავთ, რომ მუშები და სხვა ღარიბები, რომლებიც დიდი რაოდენობით გროვდებიან პურის საცხობებისა და ხორცის მაღაზიების წინ აღელვებით უზიარებენ ერთმანეთს აზრებს ბაქოს რბევის შესახებ და ცდილობენ დააშინონ ვაჭრები და სპეკულიანტები იმ ზარალზე მითითებით, რაც მათ სოციალურ თანამოძმეებს დაატყდათ ბაქოში.[21] თებერვლის დღეებმა თბილისში, პოლიციის ენერგიული საქმიანობის შედეგად, ინცინდენტის გარეშე ჩაიარა, მაგრამ მომდევნო თვეებში სასურსათო კრიზისის გამწვავების პარალელურად, დაძაბულობა თანდათან გაძლიერდა. 1916 წლის ივლისის დამდეგს თბილისს

გადაუარა დამშეულ და გაჭირვებულ მოქალაქეთა მღელვარების ტალღამ. სხვადასხვა უბნებში დაარბიეს ბაზრები, საწყობები, სასურსათო მაღაზიები. საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად ამოქმედდა ქალაქის პოლიცია. მოხდა მოქალაქეთა არაერთი შეტაკება პოლიციელებთან და კაზაკებთან. დააპატიმრეს 333 კაცი — „ძარცვა-რბევაში" მონაწილე ქალები, ბავშვები, მზარეულები, მეეზოვეები, ხელზე მოსამსახურეები, მოწყალების დები, მოსწავლეები.[22] თბილისში მომხდარ სასურსათო ბუნტს „გამოძახილი" ჰქონდა ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, გორში, ფოთში, სიღნაღში, თელავში და სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში.

გაჭირვების გამო მოთმინებიდან გამოსული ღარიბი მოსახლეობის პროტესტის ეს გამოხატულება, სტიქიურად აღმოცენებული სასურსათო ბუნტები, რა თქმა უნდა, არ წარმოადგენდა კლასობრივი ბრძოლის ცივილიზებულ ფორმას, მაგრამ ვ. ი. ლენინს და ბოლშევიკებს შესაძლებლად მიაჩნდათ ეს სტიქიური გამოსვლებიც გამოეყენებინათ რევოლუციური სიტუაციის შესაქმნელად, სამოქალაქო ომის გასაჩაღებლად.

გაჭიანურებულმა ომმა და მეურნეობის დაცემამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა აგრეთვე სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ღარიბი სოფლელი ფითქმის ისევე განიცდიდა სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას, როგორც ქალაქელი მუშა. კიდევ უფრო უჭირდა მას ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და სხვა პირველი მოთხოვნილების საგნების შეძენა. ერთ-ერთი კორესპონდენტი წერდა: „ადამიანი ძნელად წარმოიდგენს მას, რაც ამჟამად სოფლებში ხდება. რომ ყველა ეს გაითვალისწინოთ და იგრძნოთ, ამისათვის უნდა დაიაროთ თქვენივე ფეხით ეს სოფლები, ნახოთ ნახევრად შიშველ-ტიტველი ბავშვები, ქალები და დაღვრემილი მამაკაცები, რომლებიც უიმედოდ შეჰყურებენ ერთმანეთს. აქ ყველაფერს შავი ზეწარი გადაფარებია და საერთო მწუხარების ხმა გაისმის.[23] გაზ. „თანამედროვე აზრი" იუწყებოდა, რომ სამეგრელოში „შიმშილმა ფართოდ გაშალა ფრთები". იმავე გაზეთის სხვა კორესპონდენტი წერდა, რომ აჭარაში „მე ვნახე სრულიად შიშველი ადამიანები, რომელთაც ჯერ კიდევ არ გაქრობიათ სირცხვილის გრძნობა და რაღაცა მჩვრები (ჭინჭები) შემოერტყათ წელზე, ტანისამოსის ნასახი თითქმის არავის არ გააჩნია".[24] სოციალური დაძაბულობა, რა თქმა უნდა, სოფელშიც ძლიერდებოდა, რევოლუციური სიტუაცია იქაც იქმნებოდა.

მუშათა ტრადიციული საგაფიცვო მოძრაობა ომის პირველ წელს სამხედრო მდგომარეობისა და რეპრესიების გაძლიერების პირობებში, მართალია, რამდენადმე შენელდა, მაგრამ 1915 წელს ნათლად გამოიკვეთა მისი გაძლიერება-გაფართოების ტენდენცია. სჭარბობდა ეკონომიკური ხასიათის გაფიცვები, მაგრამ ბოლშევიკები ზოგჯერ მაინც ახერხებდნენ ბრძოლის ამ ფორმისათვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ. 1915 წლის პირველი მაისის აღსანიშნავად თბილისელმა ბოლშევიკებმა დაბეჭდეს და გაავრცელეს პროკლამაციები, რომლებიც მუშებს ომისა და ცარიზმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ.

1915 წლის მეორე ნახევარში საგაფიცვო მოძრაობა გაფართოვდა, აგვისტოში ტყიბულელმა მეშახტეებმა საზოგადოება „ნახშირას" მოსთხოვეს ხელფასის მომატება. რაკი ეს მომატება არ დაკმაყოფილდა, მეშახტეებმა მუშაობა შეწყვიტეს, გაფიცვა გამოაცხადეს. მოითხოვეს 8-9 საათიანი სამუშაო დღის დაწესება, ხელფასის 30-40%-ით მომატება, მუშებისათვის იაფი სასადილოს გახსნა, ზედამხედველთა უხეშობა-თვითნებობის აღკვეთა, მუშათა კომისიის ნებართვის გარეშე მეშახტეთა დათხოვნის აკრძალვა, ორმხრივი მოლაპარაკების მეშვეობით სამუშაოთა ნორმირება და სხვ., თავდაპირველად აქციონერული საზოგადოება ამ პრეტენზიების დაკმაყოფილებაზე უარის თქმას აპირებდა, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა მოლაპარაკება გაემართა მუშათა წარმომადგენლებთან. ბოლოსდაბოლოს „ნახშირა" იძულებული გახდა მაღაროელთა სამუშაო დღე რვა საათით განესაზღვრა და რამდენადმე გაედიდებინა მათი ხელფასი.[25]

1915 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაიფიცნენ თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები. მათ მხარი აუბეს ტრამვაელებმა და თბილისის სასაქონლო სადგურის მტვირთავმა მუშებმა. ყველა მათგანი შრომის პირობების გაუმჯობესებასა და ხელფასის მომატებას მოითხოვდა.[26] იმავე ხანებში გაიფიცნენ ჭიათურელი მაღაროელები. ისინი მრეწველ კაპიტალისტებს შეახსენებდნენ 1913 წლის დიდი გაფიცვის გაკვეთილს და ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ.

1916 წელს მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობამ მთელი იმპერიის მასშტაბით გაცილებით ფართო მასშტაბი მიიღო. გაიზარდა გაფიცვების რიცხვი და მათში მონაწილე მუშათა რაოდენობა საქართველოშიც. კვლავ გაიფიცნენ თბილისის რკინიგზელები, ტყიბულელი მაღაროელები. გაფიცვები გაიმართა ბათუმში, ქუთაისში, ფოთში, ჭიათურაში. გაძლიერდა

პოლიტიკური გაფიცვების ზრდის ტენდენცია. 1916 წელს საქართველოში სულ მოხდა 68 გაფიცვა, რომელშიც 21500 კაცი მონაწილეობდა.[27]

მუშათა გაფიცვების წინააღმდეგი საქართველოს არცერთი პოლიტიკური პარტია არ ყოფილა. სოციალისტ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებსაც მშვიდობიანი ბრძოლის ეს ფორმა მიაჩნდათ შრომისა და კაპიტალის ურთიერთობათა დარეგულირების, სოციალური სამართლიანობის მიღწევის ძირითად საშუალებად. სხვაგვარად ჰქონდათ გააზრებული გაფიცვების მნიშვნელობა სოციალ-დემოკრატებს. ბოლშევიკების აზრით პოლიტიკურ გაფიცვებსა და დემონსტრაციებს უნდა მოემზადებინათ პირობები შეიარაღებული აჯანყებისათვის, რომლის გარეშე ცარიზმის დამხობა და დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება ვერც წარმოედგინათ. მენშევიკები კი პირველი რევოლუციის გამოცდილების ანალიზმა იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ შეიარაღებული ბრძოლა და აჯანყება შეცდომა იყო (ვ. პლეხანოვი). მენშევიკების აზრით დემოკრატიულ რევოლუციას გამარჯვებამდე მიიყვანდა საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა, რომელსაც მხარს დაუჭერდა ყველა განვითარებადი კლასი და მათ შორის ინტელიგენცია. ისინი დიდ იმედს ამყარებდნენ აგრეთვე ბურჟუაზიულ-ოპოზიციურ მოძრაობაზე, რომლის ძირითადი მიზანი კონსტიტუციურ-მონარქიული წყობილების დამყარება იყო, თუმცა ბურჟუაზიის ნაწილი არც რესპუბლიკის გამოცხადებაზე ამბობდა უარს.

3. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუცია და პოლიტიკური ვითარება საქართველოში

ომის წლებში სამხედრო შეკვეთების წყალობით მიღებულმა მოგებამ საგრძნობლად გაზარდა ბურჟუაზიის ეკონომიკური ძალა, რასაც, ბუნებრივია, მისი პოლიტიკური გავლენის რამდენადმე ამაღლება მოჰყვა. ამ კლასის ბასტიონად გადაიქცა ერობა და საქალაქო თვითმმართველობა. 1914 წლის 8-9 აგვისტოს რუსეთის ქალაქის თავთა პირველ სრულიად რუსეთის თათბირზე მიღებულ იქნა დადგენილება ქალაქთა კავშირის შექმნის თაობაზე. თავდაპირველად სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირში 140 საქალაქო თვითმმართველობა გაერთიანდა, 1915 წლის ბოლოსათვის კი კავშირის

წევრთა რიცხვი 464-მდე გაიზარდა. ჩამოყალიბდა ერობათა კავშირიც. მალე ერობათა და ქალაქთა კავშირები ფაქტობრივად გაერთიანდა.

რუსეთის იმპერატორი და მისი მთავრობა დიდი ეჭვით შეხვდა ერობათა და ქალაქთა კავშირის ჩამოყალიბებას. როცა სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკომ არმიის ჩექმებით მომარაგების საკითხის გადაწყვეტა ერობათა და ქალაქთა წარმომადგენლების ყრილობის მოწვევას დაუკავშირა, შინაგან საქმეთა მინისტრმა უარყო ყრილობის მოწვევის იდეა; ჩვენ ვიცნობთ თქვენს ყრილობებს, გინდათ, რომ ჩექმების საკითხის საფარქვეშ ყრილობა მოიწვიოთ, მთავრობას სხვადასხვა პრეტენზიები წაუყენოთ და მათ შორის სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელ მინისტრთა კომიტეტის შექმნა მოსთხოვოთო.[28]

მაგრამ მეფის თვითმპყრობელობის მომხრეებმა ვერ შეაჩერეს მოვლენათა განვითარება, ვერ მოახერხეს ერობათა და ქალაქთა კავშირის ოპოზიციური საქმიანობის აღკვეთა. ნიკოლოზ მეორემ ძალაუნებურად მომხდარ ფაქტად სცნო ერობათა და ქალაქთა კავშირების შექმნა, მაგრამ შეეცადა მათი საქმიანობა ვიწრო (არაპოლიტიკურ) ჩარჩოებში ჩაეყენებინა. როცა რუსეთის ქალაქთა კავშირმა თავისი ამერიკავკასიური განყოფილების მეშვეობით ხელი მოჰკიდა თურქეთიდან ლტოლვილი სომხების საყოფაცხოვრებო მოწყობის საქმეს და პრეტენზია განაცხადა გარკვეული პოლიტიკური ფუნქციის შესრულებაზე, ნიკოლოზ მეორე გაცხარდა და ქალაქთა კავშირს „თვითნებური" და „თვითმარქვია" ორგანიზაცია უწოდა, კატეგორიულად აკრძალა მისი ჩარევა მთავრობის პოლიტიკაში.

1915 წელს გალიციაში განცდილი მარცხის შემდეგ მეფის მთავრობა იძულებული გახდა შერიგებოდა ერობათა და ქალაქთა კავშირების არსებობას, რადგან მათი დახმარების გარეშე უკვე აღარ შეეძლო ლტოლვილებისა და დაჭრილი ჯარისკაცების მოვლა-პატრონობა. 1915 წლის 1 ნოემბრისათვის ქალაქთა კავშირის ლაზარეთებში 164 ათასი საწოლი ითვლებოდა. 1916 წლის 1 იანვრამდე კავშირმა დახმარება გაუწია 600 ათას ლტოლვილსა და ადგილგადანაცვლებულ პირს. დიდ როლს ასრულებდა იგი არმიის ტანსაცმლით მომარაგების საქმეშიც.[29]

მეფის მთავრობისა და ბურჟუაზიის თანამშრომლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მათ შორის მთელ რიგ საკითხებზე უთანხმოებამ იჩინა თავი. ბურჟუაზია დარწმუნდა, რომ რუსეთის ცარიზმს მომწიფებული რეფორმების გატარება და ომის გამარჯვებამდე მიყვანა

არ შეეძლო. საერობო და მუნიციპალური ოპოზიცია გაძლიერდა. ბურჟუაზიულმა პარტიებმა სახელმწიფო სათათბიროში ჩამოაყალიბეს „პროგრესული ბლოკი“, რომელმაც მიზნად დაისახა „ნდობის სამინისტროს“ შექმნა. ბურჟუაზია დიდ პრეტენზიებს თითქოს არ აყენებდა, მეფისაგან მოითხოვდა ძალაუფლების მისთვის გაზიარებას. ბურჟუაზიას საკმარისად მიაჩნდა დანიშვნა რამდენიმე ისეთი მინისტრისა, რომელნიც მოითმენდნენ ბურჟუაზიული ორგანიზაციების (ერობათა კავშირი, ქალაქთა კავშირი და სხვ.) არსებობას, მხარს დაუჭერდნენ პოლონეთისა და ფინეთის ავტონომიას, აღადგენდნენ პროფესიული კავშირებისა და მუშური პრესის ლეგალობას, რის შედეგადაც რამდენადმე აღმოიფხვრებოდა ერებსა და კლასთა შორის არსებული წინააღმდეგობა, დამყარდებოდა შინაგანი მშვიდობიანობა. პროგრესული ბლოკის წევრებმა დასვეს საკითხი აგრეთვე უკვე ჩამოყალიბებულ ერობათა და ქალაქთა კავშირების საკანონმდებლო წესით გაფორმება-დამტკიცების შესახებ. ბურჟუაზიას ამით სურდა ეს მონაპოვარი ომის დამთავრების შემდეგაც შეენარჩუნებინა.

„პროგრესული ბლოკის“ მხარდაჭერამ ერობათა და ქალაქთა კავშირს გამბედაობა შემატა. 1916 წლის 14 სექტემბერს ორივე ამ კავშირის გაერთიანებულმა ყრილობამ წამოაყენა მოთხოვნა მართვა-გამგეობაში ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დაშვების, სახელმწიფო სათათბიროს წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის შექმნის თაობაზე.

ბურჟუაზიული ოპოზიციის გააქტიურებამ იმპერატორი შეაშფოთა. მან საიდუმლო დავალება მისცა გუბერნატორებს, ძირი გამოეთხარათ ერობათა და ქალაქთა კავშირისათვის. ეს უკანასკნელნიც სწრაფად ამოქმედდნენ; ურჩევდნენ ცალკეულ თვითმმართველობებს დაეტოვებინათ კავშირის რიგები, თუ ამას გააკეთებთ, მთავრობა გაცილებით იმაზე მეტ დახმარებას გაგიწევთ, რასაც კავშირისაგან იღებთო.[30] მაგრამ ასეთ ძირგამომთხრელ საქმიანობასაც არ მოჰყოლია მეფის მთავრობისათვის სასურველი შედეგი. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი ტენდენცია იყო ბურჟუაზიული ოპოზიციის გაძლიერება, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად ამზადებდა რევოლუციურ სიტუაციას.

ნიკოლოზ მეორე არჩევანის წინაშე დადგა; ან განეგრძო ომი და მოახლოებულ რევოლუციასაც გამკლავებოდა, ან გერმანიასა და მის მოკავშირეებთან სეპარატული ზავის დადებით რამდენადმე დაეწყნარებინა ომით მოღლილი ხალხი და ჯარისკაცთა მასა. 1916

წლის ბოლოს მეფემ გარკვეული ნაბიჯი გადადგა სეპარატული ზავისაკენ, რამაც ანტანტისა და ომის გამარჯვებამდე მიყვანის მოსურნე რუსეთის ბურჟუაზიის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ნიკოლოზ მეორემ ხელი მოაწერა ბრძანებას სახელმწიფო სათათბიროს მუშაობის შეჩერების შესახებ. ამის საპასუხოდ „პროგრესულმა ბლოკმა", რომელსაც ამხნევებდა ინგლის-საფრანგეთის მთავრობათა მხარდაჭერა, შეთქმულების მომზადება დაიწყო, მიზნად დაისახა სასახლის გადატრიალების გზით მეფის შეცვლა (ნიკოლოზ მეორის ნაცვლად ტახტზე მიხეილ მეორის დასმა) და ახალი მთავრობის შექმნა.

მაგრამ ვერც მეფემ მოასწრო თავისი განზრახვის შესრულება და ვერც პროგრესულმა ბლოკმა. ვიდრე ზედა ფენების ურთიერთსაწინააღმდეგო შეთქმულება ხორცს შეისხამდა, ქვედა ფენების რევოლუციური მოძრაობა აზვირთდა.

1917 წლის 23 თებერვალს გაიფიცა პეტროგრადის 90 ათასი მუშა. 24 თებერვალს გაფიცულთა რიცხვმა 200 ათასს გადააჭარბა. 25 თებერვალს დედაქალაქის მოსახლეობის პოლიტიკურმა გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო და იგი დემონსტრაციებში გადაიზარდა. ხალხის ამოძრავებამ დიდი გავლენა მოახდინა არმიის განწყობილებაზე. 26 თებერვალს რევოლუციის მხარეს გადავიდა პეტროგრადის გარნიზონის 600 ჯარისკაცი. 27 თებერვლის საღამოს რევოლუციის მხარეს უკვე იდგა 66 ათასი, ხოლო 28 თებერვალს — 112 ათასი ჯარისკაცი. 1 მარტისათვის ცარიზმის წინააღმდეგ აღსდგა პეტროგრადის მთელი გარნიზონი — 170 ათასი კაცი. მუშების გაფიცვა-დემონსტრაციებისა და ჯარისკაცთა ბუნტის შერწყმამ თავზარი დასცა ნიკოლოზ მეორეს, იგი ტახტიდან გადადგა. რევოლუციამ გაიმარჯვა.

დემოკრატიული რევოლუციის პირველ დღეებში მოვლენათა განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენდა მომენტალურად ჩამოყალიბებული მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, თითქმის მთელი ძალაუფლება მას ეკუთვნოდა. მაგრამ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს), რომელნიც უმრავლესობას შეადგენდნენ საბჭოში, ეს გარემოება ისტორიული კანონზომიერების დარღვევად მიაჩნდათ. გამოდიოდნენ რა თავიანთი თეორიიდან, მენშევიკები აცხადებდნენ, რომ რევოლუცია ბურჟუაზიულ-დემოკრატიულია და ხელისუფლებას საბჭოები კი არა ბურჟუაზია უნდა დაეპატრონოსო. „ცარიზმის შესაცვლელად მოწოდებული ხელისუფლება — წერდა სუხანოვი — ბურჟუაზიული უნდა იყოს. ტრეპოვი და რასპუტინი უნდა შესცვალონ...

სათათბიროს პროგრესული ბლოკის წარმომადგენლებმა. აუცილებელია ასეთი გადაწყვეტილებისაკენ ავიღოთ გეზი. სხვაგვარად გადატრიალება არ მოხერხდება, დემოკრატიული რევოლუცია დაიღუპებაო".[31]

1917 წლის 1 მარტს სახელმწიფო სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა თავის სხდომაზე მიიწვია პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლები. საბჭოს თავმჯდომარე კ. ჩხეიძემ, აგრეთვე, სოკოლოვმა, სუხანოვმა და სხვებმა დაარწმუნეს ბურჟუაზიის ლიდერები, თავის ხელთ აეღოთ მთელი ხელისუფლება, ჩამოეყალიბებინათ რუსეთის დროებითი მთავრობა. მალე ამ მოლაპარაკების შემდეგ პეტროგრადის საბჭომ დაადგინა სახელმწიფო სათათბიროს დროებითი კომიტეტის ნებასურვილზე მიენდო მთავრობის შედგენა და სამაგიეროდ მისგან მოეთხოვა: 1) სრული ამნისტიის გამოცხადება, ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლება. 2) სიტყვის, კავშირებისა და გაფიცვების თავისუფლების დაკანონება. 3) ყველა წოდებრივ, ნაციონალურ და რელიგიურ შეზღუდვათა გაუქმება. 4) პოლიციის შეცვლა სახალხო მილიციით. 5) ადგილობრივ თვითმმართველობათა დემოკრატიზაცია და სხვ.

სათათბიროს დროებითმა კომიტეტმა მისაღებად ჩათვალა ესერ-მენშევიკთა ლიდერების მიერ წარდგენილი მოთხოვნები, უარი არ უთქვამს შეთავაზებულ ხელისუფლებაზე და ჩამოაყალიბა დროებითი მთავრობა, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში მან ვერ შესძლო მთელი ხელისუფლების დაუფლება. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომაც შეინარჩუნა ძალაუფლება. რამდენიმე ხნით პრაქტიკულად დაკანონდა ორხელისუფლებიანობა. ზედაფენები მხოლოდ დროებით მთავრობას სცნობდნენ, ქვედა ფენები კი საბჭოებს უჭერდნენ მხარს.

ცარიზმის დამხობას, დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებას აღტაცებით შეხვდა საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. ასეთივე იყო განწყობილება აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ამოძრავდა ყველა კლასი, ყველა სოციალური ფენა, რევოლუციური სულისკვეთება ამ მხარეში მდგარ არმიასაც მოედო. გააქტიურდნენ პოლიტიკური პარტიები.

რევოლუციის პირველი დღეებიდანვე თბილისში პოლიტიკური მდგომარეობის ტონის მიმცემი გახდა ახლად ორგანიზებული მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო (თავმჯდომარე ნ. ჟორდანია), მაგრამ მალე მან ხელისუფლება მოსახლეობის სხვა ფენათა წარმომადგენლებსაც გაუზიარა. 1917 წლის 5 მარტს ჩამოყალიბდა თბილისის დროებითი

აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდა ხუთ-ხუთი წარმომადგენელი მუშათა საბჭოსაგან, საქალაქო სათათბიროსა და ჯარისკაცთა საბჭოსაგან. ეს ორგანო მყისვე შეუდგა მუშაობას და რამდენიმე ხანს მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არა მარტო ამიერკავკასიის ამ ადმინისტრაციული ცენტრის, არამედ მთელი მხარის მართვა-გამგეობაში.

რუსეთის დროებით მთავრობას ოფიციალურად არ უცვნია თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი. მან ამიერკავკასიის მართვა-გამგეობისათვის ჩამოაყალიბა ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი (ოზაკომი), რომელშიც შევიდნენ მეოთხე სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები — კადეტები ვ. ხარლამოვი და მ. პაპაჯანოვი, მუსავატის პარტიის წევრი მ. ჯაფაროვი, სოციალისტ-ფედერალისტი კ. აბაშიძე და სოციალ-დემოკრატი აკ. ჩხენკელი. მათი ჩამოსვლის შემდეგ ამიერკავკასიაში საკმაოდ რთული სიტუაცია შეიქმნა. პრაქტიკულად დაისვა საკითხი — მხარის მართვა-გამგეობის ფუნქცია ადგილობრივი მოსახლეობისაგან არჩეულ აღმასრულებელ კომიტეტს უნდა შეესრულებინა, თუ დროებითი მთავრობისაგან დანიშნულ საგანგებო კომიტეტს?

1917 წლის 18 მარტს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტების ყრილობა, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა 160 კაცი. ყრილობაზე წარმოდგენილი იყვნენ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების, საქალაქო სათათბიროების, სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, ეროვნულ-დემოკრატების, დაშნაკების, ვაჭარ-მრეწველთა კავშირისა და სხვა ორგანიზაციებისაგან გამოგზავნილი დელეგატები. დაწესებულებებმა და პოლიტიკურმა პარტიებმა თითქმის სრული ნდობა გამოუცხადეს ოზაკომს. ზოგმა დელეგატმა ის აზრი გამოთქვა, რომ საჭირო არაა აღმასრულებელი კომიტეტების სამხარეო ორგანოს შექმნა, რადგან მხარის უმაღლესი ხელისუფლება ოზაკომს ეკუთვნის და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევით არასასურველი პარალელიზმი შეიქმნებაო. მართალია, უმრავლესობამ არ გაიზიარა ასეთი თვალსაზრისი და ყრილობამ აირჩია ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, მაგრამ მან მართვა-გამგეობის თითქმის ყველა ფუნქცია ნებაყოფლობითი დაუთმო ოზაკომს. ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ რევოლუციის წამყვანი ძალა ბურჟუაზია და პროლეტარიატია და მომენტის თავისებურება მათს სრულ

სოლიდარობას მოითხოვსო. ყრილობის დასკვნით სხდომაზე მიღებული რეზოლუცია იწონებდა რუსეთის დროებითი მთავრობის საქმიანობას და ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ურჩევდა ხელი შეეწყო ოზაკომისათვის. ადგილობრივი მართვა-გამგეობის ორგანოებად აღიარებულ იქნენ საგუბერნიო აღმასრულებელი კომიტეტები, მაგრამ ოზაკომმა მათი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის დანიშნა საგუბერნიო კომისრები.

მეფის ნაცვალი და ამიერკავკასიის ბიუროკრატიული აპარატის სხვა მოხელეები რევოლუციის პირველი ათი-თხუთმეტი დღის განმავლობაში თავის თანამდებობებზე რჩებოდნენ, მაგრამ ხალხი მათ აღარ უსმენდა. ოზაკომისა და საგუბერნიო კომისრების მიერ ფუნქციონირების დაწყების შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა. მეფის ნაცვალი პეტროგრადში გაიწვიეს. 1917 წლის 13-14 მარტს გადადგნენ თბილისის და ქუთაისის გუბერნატორები, მათ მიჰყვნენ მაზრის უფროსები,ზოგი მათგანი დააპატიმრეს კიდეც. მთელ ძალაუფლებას თბილისში და ადგილებზე ახალი, რევოლუციური ხელისუფლება დაეპატრონა.

თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ, პირველი ორი თვის განმავლობაში მაინც ფაქტი გახდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გაერთიანება. მაგრამ საბჭოების მუშაობას თითქმის ყველგან მენშევიკები აძლევდნენ ტონს. უმრავლესობა ჰქონდათ მათ აგრეთვე ცენტრალურ, საგუბერნიო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებში.

თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭო დაარსებისათანავე შეუდგა თავისი ფუნქციების შესრულებას. საბჭოსთან შეიქმნა სასურსათო, საფინანსო, საგამომძიებლო, სამხედრო-საორგანიზაციო, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, სარედაქციო და სხვ. კომისიები. მუშათა დეპუტატების საბჭოები ჩამოყალიბდა აგრეთვე ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ჭიათურაში, გორში, ტყიბულში, ზოგიერთ დაბა-სოფლებშიც კი.

რევოლუციამ მოძრაობაში მოიყვანა აგრეთვე კავკასიის არმიის ჯარისკაცები. ისინი რევოლუციური პროცესის აქტიური მონაწილენი გახდნენ. ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმული გლეხები და მუშები აღარ ემორჩილებოდნენ ოფიცრებს, აყალიბებდნენ ასეულის, ბატალიონის, პოლკის ჯარისკაცულ კომიტეტებს და მხოლოდ მათ განკარგულებებს ასრულებდნენ. თბილისში ჩატარდა ქალაქის გარნიზონის დელეგატთა კრება, რომელმაც თბილისის ჯარისკაცთა საბჭო აირჩია. ჯარისკაცთა

დეპუტატების საბჭოები შეიქმნა თითქმის ყველგან, სადაც კი ჯარის ნაწილები იყო ჩაყენებული. ამ ორგანოებშიც ტონის მიმცემი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) ორგანიზაცია იყო. ჯარისკაცთა ზოგიერთ საბჭოში ესერები გაბატონდნენ.

რევოლუციის პირველ დღეებსა და თვეებში სხვადასხვა კლასებს შორის წინააღმდეგობა თითქოს შესუსტდა. ბურჟუაზიული და მუშურ-გლეხური დაწესებულება-ორგანიზაციები შეთანხმებულად მოქმედებ-დნენ. მენშევიკები და ეროვნული მიმართულების პარტიები ყოველნაირად ცდილობდნენ არ დაეშვათ საერთო დემოკრატიის გათიშვა, რაც წყალს დაასხამდა მონარქისტებისა და ყველა ჯურის რეაქციონერთა წისქვილზე. სოლიდარობა ჩანდა თბილისის საქალაქო სათათბიროსა და თბილისის მუშათა საბჭოს საქმიანობაში. მენშევიკებს, სოციალისტ-ფედერალისტებსა და ეროვნულ-დემოკრატებს თბილისის მუნიციპალიტეტი მიაჩნდათ ქალაქის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოდ და მუშათა საჭოს მის დამხმარე ფუნქციას აკისრებდნენ. ასეთივე სიტუაცია და განწყობილება იყო საქართველოს სხვა თვითმმართველ ქალაქებში. ჯარისკაცთა საბჭოებიც კი (სადაც უმრავლესობას რუსები შეადგენდნენ) არ ამჟღავნებდნენ დამოუკიდებლობისათვის სწრაფვას, ისინიც ოფიციალურ ორგანოებს ემორჩილებოდნენ, მათ ეხმარებოდნენ.

ასეთ განწყობილებას კარგად ასახავს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: 1) თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებას და აწარმოოს გადამჭრელი ბრძოლა ყველა კონტრრევოლუციურ ძალასთან. 2) თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო მიისწრაფვის... ხელი შეუწყოს ახალი ხელისუფლების ორგანიზაციას ადგილობრივ, თვალყური ადევნოს მისი წარმომადგენლების მოქმედებას და სრული დემოკრატიის დამყარების მიზნით მოახდინოს რევოლუციური ზეგავლენა როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ ხელისუფ-ლებაზე".[32]

ცხადია, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ხელისუფლების ორგანოდ არ მიაჩნდა თავი, იგი თავის მოვალეობად თვლიდა რევოლუციური ზეგავლენა მოეხდინა ოზაკომზე, აღმასრულებელ კომიტეტებზე და ამით უზრუნველეყო დემოკრატიის სრული გამარჯვება, ქვედა ფენების ინტერესების დაცვა.

გლეხობა პოლიტიკური ცხოვრების ზედაპირზე ნაკლებად ჩანდა, მაგრამ აგრარული მოძრაობა ახალი ძალით გაჩაღდა. მთავარი და ძირითადი მოთხოვნა გახდა ბატონყმობის ყველა ნაშთის მოსპობა, მსხვილი მიწათმფლობელთა მამულების კონფისკაცია, ღარიბი და საშუალო გლეხებისათვის მიწის ნაკვეთების საკუთრებაში გადაცემა. ოზაკომი და აღმასრულებელი კომიტეტები იძულებული იყვნენ ანგარიში გაეწიათ არა მარტო მუშათა კლასის, არამედ გლეხთა მოთხოვნილებებისათვის. შეემუშავებინათ სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ჩატარების პროგრამა.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის უშუალო ხელქვეითი მოხელეები იყვნენ საგუბერნიო კომისრები, მაგრამ დებულებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ გუბერნიის კომისარს დროებითი მთავრობა ნიშნავდა და მისი პირველი წარმომადგენელი იყო გუბერნიაში. გუბერნიის კომისარი მისადმი რწმუნებულ ტერიტორიასა და მოსახლეობას სამაზრო კომისრების დახმარებით მართავდა. მაგრამ მაზრის კომისარი, მუშაობდა რა საგუბერნიო კომისრის უშუალო ხელმძღვანელობით, ისიც აგრეთვე წარმოადგენდა დროებითი მთავრობის ნების გამომხატველს მაზრის მასშტაბით. ორივე ინსტანციის კომისრებს ოფიციალურად ევალებოდა ანგარიში გაეწიათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის. მართალია საქალაქო თვითმმართველობისა და ერობის უფლება-კომპეტენცია რამდენადმე გაფართოვდა, მაგრამ რუსეთი უნიტარულ სახელმწიფოდ რჩებოდა. ეროვნული საკითხის დასმა-გადაწყვეტაზე საუბარს ცენტრალური საერთო სასურსათო მთავრობა თავს არიდებდა.

საგუბერნიო, სამაზრო კომისრებსა და ადგილობრივ არჩევით ორგანოებს შორის რევოლუციის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ხასიათზე აზრთა სხვადასხვაობა თითქმის არ არსებობდა. მაგრამ დავა მიმდინარეობდა უფლება-კომპეტენციის გამიჯვნის პრობლემის გარშემო. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მეტ დამოუკიდებლობას, თვითმოქმედების საშუალებას მოითხოვდნენ. გუბერნიისა და მაზრის კომისრები კი ადგილებზე ანარქიული სიტუაციის შექმნას დემოკრატიის თვითნებობით ხსნიდნენ და თავიანთი ერთპიროვნული ხელისუფლების კიდევ უფრო გაძლიერება-გაფართოების საკითხს აყენებდნენ. ერთი სიტყვით, საერთო დემოკრატიაში გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდა, შეძლებული კლასებისა და დაბალი მასის ინტერესები არცთუ იშვიათად ერთმანეთს უპირისპირდებოდა.

ინტერესთა სხვადასხვაობა აშკარად იჩენდა თავს კომისრების დანიშვნის, თვითმმართველობის განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების დროს. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ყოფილი მოხელეები, ვაჭარ-მრეწველები და მდიდარი გლეხები, ერთი მხრივ, და მოსახლეობის ღარიბი ფენების წარმომადგენლები, მეორეს მხრივ.

ფაქტია, რომ ზოგიერთი მაზრის კომისრად ყოფილი მოხელე დაინიშნა. ახალციხეში კომისარი გახდა ყოფილი მაზრის უფროსი გუდიევი. დუშეთის მაზრაში ხელისუფლებას თითქმის მთლიანად დაეუფლნენ მემარჯვენეები, რომლებმაც „თავის" ტერიტორიაზე სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) პროპაგანდისტები არ შეუშვეს. დაბალი მასისათვის არასასურველი პირებით დაკომპლექტდა სურამის კომიტეტი. როცა სურამის მოსახლეობამ კომიტეტის გადარჩევა მოითხოვა, საქმეში მილიცია ჩაერია, საპროტესტო დემონსტრაცია დაშალა. ბურჟუაზიული ელემენტების მომრავლება მმართველობის ადგილობრივ ორგანოებში, მართალია, თებერვლის რევოლუციის სოციალურ-პოლიტიკურ ხასიათს არ ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ ბოლშევიკური პროპაგანდით გაბრუებულ მშრომელი მასის ერთ ნაწილს საქალაქო და სასოფლო თვითმმართველობაში ყოფილი მოხელის, ყოფილი სოფლის მწერლის, სტრაჯნიკის, მამასახლისისა და მედუქნის გასვლა ანაქრონიზმად მიაჩნდა, მოითხოვდა ამ ორგანოებში თვით მუშების, გლეხების და მათი ინტერესების გამომხატველი ინტელიგენტების არჩევას.

სოციალ-დემოკრატია (მენშევიკური) ცდილობდა ამ წინააღმდეგობების მინიმუმამდე შესუსტებას. მისი ორგანო წერდა: „კარგად უნდა დავიმახსოვროთ დღევანდელი დიადი რევოლუციის ნიშანდობლივი ხასიათი, ის წარმოებს ორი მოპირდაპირე კლასის — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის საერთო ხელმძღვანელობით. მაშასადამე ამ ძალების გათიშვა, ერთი მეორეზე ამხედრება და განმარტოება გზას გაუხსნის რეაქციას და კონტრრევოლუციას".[33] ადგილობრივი მმართველობის ჩამოყალიბების პრინციპთან დაკავშირებით იგივე გაზეთი წერდა — ხელისუფლებას ის ძალები უნდა დაეპატრონონ, რომელთაც რევოლუცია მოახდინეს. „ადგილობრივი რევოლუციური მართვა-გამგეობა უნდა მიენდოს ორივე ჯგუფის თანასწორ წარმომადგენლებს". ამგვარად შექმნილი ქ. თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი გააუქმებს ძველ ადმინისტრაციას, პოლიციას ფრონტზე გაგზავნის, სახალხო მილიციის

საშუალებით დაამყარებს საზოგადოებრივ წესრიგს და შეეცდება ძველი წყობილების მომხრეთა ალაგმვას. „ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი – დაასკვნიდა გაზეთი – დროებითი რევოლუციური მთავრობის ორგანო იქნება, მას მხარში ამოუდგება და ადგილობრივ ახალი წყობილების განმტკიცებას იკისრებს“.[34]

ქართული სოციალ-დემოკრატიის და ეროვნული მიმართულების პარტიების ნაყოფიერი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ ბოლშევიკები საქართველოს მუშათა საბჭოებსა და გლეხთა კომიტეტებში უმცირესობას წარმოადგენდნენ, ბევრ მათგანში დეპუტატი საერთოდ არ ჰყოლიათ. ბოლშევიკების ექსტრემისტულ საქმიანობას ფრთები შეეკვეცა.

მენშევიკები თავდაპირველად საჭიროდ თვლიდნენ ბოლშევიკებთან ორგანიზაციულ გაერთიანებას. ამას მხარს უჭერდა ბოლშევიკთა ნაწილიც (ფ. მახარაძე, ნ. ელიავა, ნ. ქარცივაძე). მაგრამ ეს ერთიანობა, ისიც ფორმალური მხოლოდ ორიოდე თვეს გაგრძელდა. ამ ვითომდა ერთიანობის დროსაც გრძელდებოდა კამათი, თავს იჩენდა პოზიციათა აშკარა განსხვავება. ჯერ კიდევ 1917 წლის 12 მარტს თბილისის თვითმმართველობის სასახლეში შედგა მენშევიკებისა და ბოლშევიკების კრება, სადაც დღის წესრიგში იდგა დროებით მთავრობასთან და ბურჟუაზიულ პარტიებთან დამოკიდებულების საკითხი. მენშევიკები ამ კრებაზე დროებითი მთავრობისადმი მხარდაჭერისა და ბურჟუაზიულ პარტიებთან თანამშრომლობის პროგრამით გამოვიდნენ. ბოლშევიკებმა კი დაგმეს მეშნევიკთა „შემთანხმებლური“ ლოზუნგები. ფ. მახარაძემ და ს. ქავთარაძემ მოითხოვეს დროებითი მთავრობის და ბურჟუაზიული პარტიების „ანტიხალხური“ საქმიანობის მხილება, ამიერკავკასიაში არსებული საბჭოების გადაქცევა ადგილობრივი ხელისუფლების ავტორიტეტულ ორგანოებად. ბოლშევიკური პარტიის სრულიად რუსეთის VII კონფერენციის შემდეგ ქართველმა ბოლშევიკებმა მთლიანად აიღეს ხელი მენშევიკებთან თანამშრომლობა-შეთანხმებაზე. 14 მაისს თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის კრებამ მიიღო დადგენილება მენშევიკებისაგან გათიშვის შესახებ, რის შემდეგაც კიდევ უფრო გაფთრებული გახდა სოციალ-დემოკრატიის ამ ორი ფრაქციის იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა. მენშევიკები დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებას თვლიდნენ თავის მიზნად, ბოლშევიკები კი „სოციალისტური რევოლუციისათვის“ ნიადაგის მომზადებას ცდილობდნენ.

1917 წლის აპრილის დამდეგს გამოქვეყნდა ოზაკომის მიმართვა და მოწოდება ამიერკავკასიის მოსახლეობისადმი. მასში ჩამოთვლილი იყო ყველა ის ღონისძიება, რომელთა განხორციელებას დროებითი მთავრობის ეს ფილიალი ვარაუდობდა... ამ დოკუმენტის ავტორები ხალხს აუწყებდნენ, რომ სასამართლო რეფორმის გასატარებლად შეიქმნა სპეციალური საბჭო, გზებისა და ტრანსპორტის წესრიგში მოსაყვანად იმუშავებს განსაკუთრებული კომისია, ხოლო საადგილმამულო საკითხის გადაწყვეტა დაევალა საგანგებო კომიტეტს. ოზაკომი ხალხს ურჩევდა ხელი აეღო თვითნებურ და ძალადურ მოქმედებაზე, ხელი არ ეხლო „სხვისი საკუთრებისათვის", დალოდებოდა დამფუძნებელი კრების მოწვევას, ახალი კანონების დამტკიცებას, მათ საფუძველზე განხორციელებულ რეფორმების შედეგებს.

მაგრამ ოზაკომისა და მის მიერ შექმნილი კომისიების მუშაობის ტემპი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ აკმაყოფილებდა. სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „ერთობა" წერდა, რომ მეფის მთავრობის დროინდელმა ბევრმა მოხელემ თანამდებობა შეინარჩუნა, ძველ ბიუროკრატიას ახალი დაემატა. სხვადასხვა კომისია-კომიტეტი კი შეიქმნა, მაგრამ მათი პრაქტიკული საქმიანობა თითქმის არ ჩანსო.[35]

რუსეთის დროებით მთავრობას და მის კვალობაზე ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტსაც, მართალია, მეტნაკლები სიმწვავით აკრიტიკებდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატია და ეროვნული მიმართულების პარტიები, მაგრამ ამით მმართველი და ოპოზიციური დემოკრატიის ერთიანობა არ ირღვეოდა. რაც შეეხება ბოლშევიკებს, ისინი არსებითად გამოთიშულნი იყვნენ საერთო დემოკრატიისაგან, მტრულად უპირისპირდებოდნენ როგორც მთავრობისა და მის ადგილობრივ ორგანოებს, ისე თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას, რომლებსაც ისინი „ბურჟუაზიულ და შემთანხმებლურ პარტიებს" უწოდებდნენ. ბოლშევიკებს არ აკმაყოფილებდა დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება, მას იმდენად მიესალმებოდნენ, რამდენადაც ნიადაგს ამზადებდა სოციალისტური რევოლუციისათვის. ამ პერიოდში ვ.ი. ლენინმა კვლავ გამოაცოცხლა თავისი პერმანენტული რევოლუციის თეორია, ალაპარაკდა ბურჟუაზიული რევოლუციის სოციალისტურ რევოლუციაში გადაზრდის აუცილებლობის შესახებ.

ემიგრაციაში მყოფი ლენინი აღტაცებით შეხვდა თებერვლის რევოლუციას, მაგრამ მაშინათვე აღნიშნა, რომ ცარიზმის დამხობით მხოლოდ რევოლუციის პირველი ეტაპი დამთავრდაო. რუსეთის

პროლეტარიატის წინაშე, წერდა იგი, დგას უდიდესი ამოცანა, გამოიჩინოს ინიციატივა, დიდი გმირობა და გამარჯვებას მიაღწიოს მეორე ეტაპზეო. „არავითარი მხარდაჭერა დროებით მთავრობას“, „არავითარი მხარდაჭერა შემთანხმებლურ პარტიებს“ – გაჰყვიროდა ლენინი და მუშებს მოუწოდებდა შეექმნათ შეიარაღებული მილიცია, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო, მისი აზრით, ბურჟუაზიის დათრგუნვისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

ლენინს ბურჟუაზია რეაქციულ ძალად მიაჩნდა. მისი განცხადებით, ცარიზმის დამხობაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მუშათა კლასმა და გლეხობამ. ბოლშევიკების ლიდერმა სოციალისტური რევოლუციის ძირითად ძალად გამოაცხადა პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა, რომელთა საარსებო ინტერესები დიამეტრალურად ეწინააღმდეგებოდა ბურჟუაზიის ინტერესებს. რუსეთში დამყარებული ორხელისუფ-ლებიანობა, ამბობდა ბოლშევიკების ხელმძღვანელი, არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს, პოლიტიკურ ძალთა ჭიდილი უნდა დამთავრდეს ან ბურჟუაზიის დიქტატურით, ან პროლეტარიატის დიქტატურით. იგი დიდი რწმენით აცხადებდა, რომ შექმნილ სიტუაციაში სავსებით შესაძლებელია დამყარება პროლეტარიატის დიქტატურისა, რომლის სახელმწიფოებრივი ფორმა საბჭოების რესპუბლიკა იქნებაო. ლენინის ცნობილი აპრილის თეზისების (რომელსაც პლეხანოვმა ბოდვა უწოდა) საფუძველზე ბოლშევიკების პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი – „მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ და გაშალა ფართო აგიტაცია-პროპაგანდა დაბალი მასის იდეური დაპყრობისა და სოციალისტური რევოლუციის მომზადებისათვის.

1917 წლის 24-29 აპრილს ჩატარდა ბოლშევიკური პარტიის სრულიად რუსეთის VII კონფერენცია, რომელმაც ყველა ძირითად საკითხზე მიიღო ლენინის წინადადებები. კონფერენციის მუშაობაში დისონანსი შეიტანეს მხოლოდ კამენევმა და რიკოვმა, რომლებიც ასაბუთებდნენ, რომ რუსეთში არაა მომწიფებული ობიექტური პირობები სოციალისტური რევოლუციისა და ამ ახალი საზოგადოებრივი წყობილების დამყარებისათვის. მაგრამ მათ არავინ მოუსმინა. ბოლშევიკების პარტიაში დემაგოგიური და ექსტრემისტული სტილი გაბატონდა. ძირითადი მიზანი გახდა არა პროლეტარული ხელისუფლების, არამედ ბოლშევიკური პარტიის დიქტატურის დამყარება. როგორც ჩანს, თვით ვ.ი. ლენინი იმ თავითვე პირადი დიქტატურის დამყარებაზე ოცნებობდა.

რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და მისი ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები, ბუნებრივია, გმობდნენ ბოლშევიკების დემაგოგიურ პროპაგანდას, ცდილობდნენ, დემოკრატიული ფენების დაცვას ბოლშევიკური სენისაგან. ისინი აშზადებდნენ პირობებს პროგრესული რეფორმების განხორციელებისათვის, რაც დააკმაყოფილებდა მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ინტერესს.

1917 წლის 21 აპრილს დროებითმა მთავრობამ ჩამოაყალიბა მთავარი საადგილმამულო კომიტეტი, ხოლო მალე ამის შემდეგ შეიქმნა საგუბერნიო, სამაზრო და სათემო კომიტეტები. საგუბერნიო კომიტეტებში უმრავლესობას ბურჟუაზიული მთავრობის მოხელეები შეადგენდნენ, სამაზრო და სათემო კომიტეტებში კი გლეხთა წარმომადგენლები სჭარბობდნენ. თითქმის ყველა ეს კომიტეტი გლეხობას მოუწოდებდა თავი შეეკავებინა თვითნებური, ძალისმიერი მოქმედებისაგან, დაეცადა აგრარული რეფორმისათვის. ბოლშევიკები კი ცდილობდნენ საადგილმამულო კომიტეტები გადაექცია აჯანყების ორგანოებად, გლეხებს ურჩევდნენ ქვემოდან ებრძოლათ მიწისათვის, ორგანიზებულად დაუფლებოდნენ მემამულეთა ლატიფუნდიებს. ბოლშევიკთა ქადაგება უშედეგოდ როდი რჩებოდა, აგრარული მოძრაობა აღმავალი ხაზით ვითარდებოდა. ასეთ სიტუაციაში ჩატარდა სრულიად რუსეთის გლეხთა პირველი ყრილობა, რომელმაც მიიღო რეზოლუცია მთელი მიწის ფონდის გლეხთა კომიტეტების განკარგულებაში გადაცემის, მიწის სოციალიზაციის, ე.ი. განსაზოგადოების თაობაზე. საერთო მიწის ფონდიდან გლეხები სარგებლობაში მიიღებდნენ გარკვეული ზომის ნაკვეთებს.[36]

რუსეთის გლეხთა ყრილობის გადაწყვეტილებას საქართველოში მხარი დაუჭირეს სოციალ-დემოკრატებმა, ესერებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა. მის წინააღმდეგ კი ეროვნულ-დემოკრატები გამოვიდნენ; მათ განაცხადეს, რომ მიწის სოციალიზაცია რეგრესული მოვლენაა, იგი ქართველი გლეხობისათვის მიუღებელია. სოციალიზაცია თუ კანონის სახეს მიიღებს, მაშინ ქართველმა ხალხმა მიწის საკითხის დამოუკიდებლად გადაჭრის უფლება უნდა მოითხოვოს, რადგან „არადემოკრატიული იქნება, თუ რუსი გლეხი თავს მოახვევს ქართველ გლეხს ისეთ რამეს, რაც არ გამომდინარეობს ქართველი გლეხის ეკონომიკური ცხოვრების პირობებიდან“.[37]

მალე გამოირკვა, რომ ქართველი გლეხი მხარს მართლაც არ უჭერდა მიწის სოციალიზაციის პროგრამას. 1917 წლის 25 ივნისს

ამიერკავკასიის გლეხთა ყრილობამ, მართალია, მოითხოვა მსხვილი თავადაზნაურული მამულების კონფისკაცია, მაგრამ დაადგინა, რომ მიწის მფლობელობის წესი მესაკუთრეობის პრინციპს უნდა დამყარებოდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ამ გადაწყვეტილებით აღფრთოვანებული დარჩა. აღნიშნა, რომ ქართველმა გლეხმა სწორი პოზიცია დაიკავა და ეს ბუნებრივიაო. „ვინ არ მისცემს უპირატესობას ნამდვილ საკუთრებას სათუო საერთო მფლობელობასთან შედარებით? ჩვენი პარტია და გაზეთი იმ თავითვე იცავდა მესაკუთრეობის დედააზრს“.[38]

ქართველმა გლეხმა, მართალია, გამოთქვა თავისი აზრი მიწის საკითხზე, მაგრამ თვით აგრარული რეფორმა იგვიანებდა, საადგილმამულო ურთიერთობა დაძაბული რჩებოდა. კიდევ მეტი უკმაყოფილების საფუძველი ჰქონდა მუშათა კლასს. იგი მოითხოვდა უმუშევრობის აღმოფხვრას, ხელფასის მომატებას, კაპიტალისტთა მოგებაში გარკვეული წილის დადებას, საერთოდ თავის უფლებრივ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

4. ძართული ქრისტიანული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ინტერპარტიული საბჭოს საქმიანობა.

მთელი XIX ს-ის სიგრძეზე მიმდინარე ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში სამღვდელოებაც მონაწილეობდა. იგი განსაკუთრებით გააქტიურდა პირველი რევოლუციის წლებში. სამღვდელოების ძირითადი მიზანი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა.

ქრისტიანული ეკლესიის ავტორიტეტის დაცემის, რწმენის შესუსტებისა და მრევლის უკმაყოფილების მიზეზად ქართველი ეპისკოპოსები და მღვდელები რუსეთის სინოდს, მის მიერ დანიშნულ საქართველოს ეგზარქოსის ანტიხალხურ ქმედებას და საერთოდ ქართული ეკლესიის რუსიფიკაციას თვლიდნენ. ჩვენს მღვდელმთავრებს მდგომარეობის გამოსწორების წინაპირობად ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა მიაჩნდათ.

ეპისკოპოსი დავითი წერდა: ეგზარქოსები არ მოგზაურობენ ეპარქიებში, არ ეცნობიან ხალხს, არ ზრუნავენ ეკლესიების კეთილმოწყობისათვის, აქამდე ერთი კაპიკი არ გაულიათ სვეტიცხოვლის შეკეთებისათვისაც

კი. სამღვდელოების მომზადება მხოლოდ რუსულ ენაზე სწარმოებს. სამრევლო სკოლებსა და სასულიერო სემინარებს უსახავენ არა პედაგოგიურ მიზნებს, არამედ იყენებენ ქართველი სამღვდელოების და ხალხის გარუსების ინტერესებისათვის. სასულიერო სკოლების დირექტორ-ზედამხედველებად თითქმის მხოლოდ რუსები ინიშნებიან. ეგზარქოსები არ ერიდებიან ქართველთა ეროვნული გრძნობების შებღალვას, ცდილობენ გათიშონ ქართველი ხალხი და ამით გააადვილონ მისი გარუსება. ეგზარქოსის მმართველობისა და რუსების ბატონობის პირობებში საეკლესიო ცხოვრების ნაკლოვანებანი არ აღმოიფხვრებაო.

1905 წლის თებერვალში იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებამ გამართა კრება, შეიმუშავა მოთხოვნილება „პეტიცია" და გაუგზავნა იგი უმაღლეს მთავრობას. რუსეთისა და განსაკუთრებით კავკასიის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების თანამედროვე ფორმები, ნათქვამია პეტიციაში, პროტესტსა და დაგმობას იმსახურებს. ახლახან დაწყებული საზოგადოებრივი მოძრაობა ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგაც წარიმართა და ეს ბუნებრივია, რადგან მღვდელი, რომელიც ხალხთან ერთად უნდა იყოს ლხინსა და ჭირში, ქარიველების თვალში გადაიქცა რაღაც საფრთხობელად. მას ყველა ერიდება, ყველა გაურბის, მღვდელები მიაჩნიათ საიდუმლო პოლიციის აგენტებად, გადაცემულ ჟანდარმებად და ამიტომ ებრძვიან მათ. ეს ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ეკლესია წმიდათაწმიდათ ითვლებოდა და რომელსაც 15 საუკუნის განმავლობაში ეყრდნობოდა ქართული სახელმწიფოებრიობა. რა მოხდა, ნუთუ ქართველები გადაუდგნენ ქრისტეს და მის მოძღვრებას? არა, ქართველები მართლმორწმუნე ქრისტიანებად რჩებიან, მაგრამ აღშფოთებული არიან თანამედროვე საეკლესიო წყობით.

სამღვდელოების ავტორიტეტის დაცემის მთავარი მიზეზი, პეტიციონერთა აზრით, იყო მისი შენახვის სისტემის უვარგისობა. მღვდლის წლიური ჯამაგირი არ აღემატება 250-300 მანეთს და ამიტომ უმრავლესობა დამოკიდებულია სასოფლო საზოგადოებაზე მათ სასარგებლოდ გაწერილ დრამის ფულზე, რომლის აკრეფის დროს ხშირად უხეშ ძალასაც იყენებენ. ამის გარდა მორწმუნეებს ფულს ართმევენ ჯვრის წერის, ნათლობის, მიცვალებულთა წესის აგების და სხვ. შემთხვევებში, რაც აგრეთვე განაწყობსო მათ სამღვდელოების წინააღმდეგ.

ბოროტების ძირშივე აღმოფხვის, მდგომარეობის გამოსწორების მიზნით იმერეთის სამღვდელოების კრებამ მთავრობისაგან მოითხოვა:

1) აღდგეს საქართველოს ეკლესიის სრული დამოუკიდებულობა; 2) დაწესდეს კათალიკოსისა და ეპისკოპოსების სამღვდელოთა კრებულისა და ხალხის წარმომადგენლებისაგან არჩევა; 3) ჩატარდეს სასკოლო საქმის ძირეული რეფორმა, დაარსდეს მაღალი ტიპის ეროვნული სასულიერო სასწავლებელი; 4) სამღვდელოებას მიეცეს სიტყვის, ბეჭდვის, შეკრებისა და თავყრილობის თავისუფლება; 5) სამღვდელოება განთავისუფლდეს მრევლის მატერიალურ დამოკიდებლებისაგან და რაკი საქართველო პოლტიკურად ჯერ ისევ რუსეთის შემადგენლობაში რჩება, უზრუნველყოფილი იქნეს იგი სახაზინო ჯამაგირით. ამ მოთხოვნებს ხელს აწერდა იმერეთის სამღვდელოების 45-ე ყრილობის მონაწილე 387 კაცი.[40]

ერთი თვის შემდეგ ანალოგიური მოთხოვნა რუსეთის მთავრობას გაუგზავნა გურია-სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებამ. იმავე წლის აპრილში კი ქართლ-კახეთის სამღვდელოებამაც შეიმუშავა მოთხოვნილებათა ნუსხა.

1905 წლის დამდეგიდან აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებამ არაერთხელ მოითხოვა ყრილობის ჩატარების უფლება, მაგრამ ეგზარქოსი განგებ აჭიანურებდა ნებართვის გაცემას. ამიტომ მოთმინებადაკარგული სამღვდელოების წარმომადგენლობა თვითნებურად შეიკრიბა თბილისში, სასულიერო სემინარიის დარბაზში ყრილობა გახსნა და ეგზარქოსს სთხოვა ეცნო მისი კანონიერება. ეს უკანასკნელი ამაზე დათანხმდა, მაგრამ ყრილობას თვით მისცა მუშაობის პროგრამა. მასში ჩამოყალიბებულ არაარსებითი საკითხების განხილვაზე ყრილობამ დრო არ დაკარგა, მსჯელობა დაიწყო შექმნილ სიტუაციაზე და ხელი მიჰყო მთავრობისათვის წარსადგენი „პეტიციის“ შედგენას.

საქართველოს ეგზარქოსმა ურჩი სამღვდელოების დასასჯელად პოლიციის რაზმი გაგზავნა. სტრაჟნიკები შეიჭრნენ სემინარიის შენობაში და ყრილობა დაარბიეს, სამღვდელოების წარმომადგენლები ქუჩაში ცემა-ტყეპით გამოყარეს.

1905 წლის 10 ივნისს პოლიციის მიერ დარბეული ყრილობის თავმჯდომარე ეგზარქოსთან გამოცხადდა და ქართლ-კახეთის სამღვდელოების მიერ შედგენილი მოთხოვნილებათა ნუსხა გადასცა. მის პრეამბულაში ლაპარაკი იყო ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის ძალდატანებითი გაუქმების, ქართველი სამღვდელოების ზნეობრივი და ქონებრივი უფლებების დარღვევაზე, ხალხისათვის უცხო საეკლესიო მმართველობის უარყოფით შედეგებზე. პეტიციონერთა აზრით, მხოლოდ

თვითმმართველ ქართულ ეკლესიას შეეძლო მდგომარეობის გამოსწორება, ხალხისა და ქვეყნის წინაშე თავის ღვთაებრივი მოვალეობის შესრულება და ამიტომ აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოება მოითხოვდა: 1) საქართველოს ეკლესიისათვის ავტოკეფალიის დაბრუნებას, მცხეთის საკათალიკოსოს თავის ძველ საზღვრებში აღდგენას; 2) საეკლესიო თანამდებობის დაკავებაში არჩევითობის პრინციპის დაკანონებას; 3) კათალიკოსის თავმჯდომარეობით საქართველოს სინოდის შექმნას; 4) საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიისათვის ყველა იმ მამულების დაბრუნებას, რაც XIX საუკუნეში რუსეთის ხაზინამ მიითვისა. მიმართვას ხელს აწერდა სამღვდელოების 472 წარმომადგენელი.[41]

ქართველი სამღვდელოების გამათავისუფლებელი მოძრაობა, მის მიერ წამოყენებული მოთხოვნილებები ცნობილი გახდა რუსეთის საზოგადოებისათვის, რომლის მცირე ნაწილმა გაიზიარა ქართველ მღვდელმთავართა პოზიცია. ჭეშმარიტად მართლმორწმუნე, სამართლიანობის პრინციპის ერთგული მღვდელი ნიკანდრო პოკროვსკი წერდა: „ჩვენს ერთმორწმუნე ქართველ ერს სურს იყოს დამოუკიდებელი კოლექტიური პიროვნება და აცხადებს თავის უფლებას საეკლესიო-ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი გახდეს. ზედმეტია მტკიცება, რომ მისი უფლება კანონიერია და ქრისტეს მოძღვრებით დადასტურებული; ქრისტიანობა თავისუფლების რელიგიაა. ყოველგვარი ძალმომრეობა პიროვნების მიმართ და ერთი ერისა მეორისადმი არსებითად ეწინააღმდეგება ქრისტეს სჯულს,... რუსები პატივს უნდა სცემდნენ სხვა ეროვნებათა უფლებას, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას და განსაკუთრებით ქართველი ერისა, რომელიც ქრისტიანობაში უფროსი ძმაა, ძმა მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებით“.[42]

სულ სხვაგვარი პოზიცია დაიკავა რუსი ხალხის მმართველმა ზედაფენამ. ქართველი სამღვდელოების თხოვნა-პეტიციები რუსეთის იმპერიის უმაღლეს სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლებას არც განუხილავს, ყველა დოკუმენტი შესასწავლად და დასკვნისათვის საქართველოს ეგზარქოსს გადმოუგზავნა. მასვე გადაეცა ქართველი თავადაზნაურობის, თბილისისა და ქუთაისის ქალაქის თავების და საეგზარქოსოს ოთხივე ეპისკოპოსის საერთო მოთხოვნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შესახებ.

საქართველოს ეგზარქოსმა ნიკოლოზმა დეტალურად შეისწავლა მის ხელთ მოხვედრილი დოკუმენტები და სინოდს ვრცელი მოხსენებითი ბარათი გაუგზავნა. მისი აზრით ყველა ეს თხოვნა-პეტიცია ერთი ძლიერი, გავლენიანი პარტიის შედგენილი იყო. პეტიციონერები ცდილობენ შექმნილი მძიმე პოლიტიკური სიტუაციის გამოყენებას, თავის მიზნების განხორციელებას. ეს პარტია შეიძლება არ გამოხატავს მთელი ქართველი ხალხის პოზიციას, მაგრამ ჩანს, რომ მისი მომხრენი დიდი გავლენით სარგებლობენ. საეკლესიო ცხოვრება იმდენად გართულებულია, რომ იგი საშუალებას იძლევა პეტიციონერთა მოთხოვნა მიჩნეულ იქნას მთელი საქართველოს მოთხოვნად. ამიტომ იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთო სამღვდელოებისა და ქართველი ხალხის მისწრაფებას.

ეგზარქოსი მოხსენებით ბარათში წერდა აგრეთვე, რომ ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფოებრივი წყობილების რეორგანიზაციისათვის. მიზანშეწონილადაა მიჩნეული საეკლესიო მმართველობის დეცენტრალიზაციაც სამიტროპოლიტო ოლქების დაწესების მეშვეობით. ამიტომ არ გვაქვს საფუძველი უარი ვთქვათ ქართული ეპარქიებისაგან ერთი განსაკუთრებული სამიტროპოლიტო ოლქის დაარსებაზე. მაგრამ თუ ქართველი ავტოკეფალისტები არ დაკმაყოფილდებიან მიტროპოლიტარული ავტონომიით და ახლავე მოითხოვენ სრულ საეკლესიო გამოყოფას, ჩვენ არ გვაქვს უფლება მათ ამაზე უარი ვუთხრათო. რაკი არ შეგვიძლია ქართველები დავარწმუნოთ რუსულ ეკლესიასთან მჭიდრო კავშირის სარგებლობაში, იძულებული ვართ მათი თხოვნა დავაკმაყოფილოთ, ქართულ ქრისტიანულ ეკლესიას ავტოკეფალობა მივანიჭოთო.[43]

რუსეთის სინოდს არ მოეწონა ეგზარქოს ნიკოლოზის არგუმენტაცია, მის მიერ დაკავებული პოზიცია. მინისტრთა კომიტეტსაც დაუშვებლად მიაჩნდა ხელიდან გაეშვა ქართველთა გარუსების ერთ-ერთი საუკეთესო იარაღი ეკლესია. მთავრობამ საკითხის გამორკვევა-გადაწყვეტისათვის, მართალია, შექმნა სპეციალური კომისია, მაგრამ ფარული მითითება მისცა მას საქმე გაეჭიანურებინა.

უმაღლესი მთავრობისაგან პასუხის დაგვიანებამ ქართველი სამღვდელოების აღშფოთება გამოიწვია. ავტოკეფალისტები უფრო რადიკალური ზომების გამოყენების საჭიროებაზე ალაპარაკდნენ. 1906 წლის 3 თებერვალს იმერეთის ეპისკოპოსმა ლეონიდმა ეგზარქოსს გულისწყრომით მოახსენა — კომისიის მოქმედება ქართველებს

გვაიძულებს სინდისის, რწმენისა და საეკლესიო მმართველობის თავისუფლება (რითაც დაუბრკოლებრივ სარგებლობენ ჩვენი მეზობელი სომხები, კათოლიკენი და მაჰმადიანები) რუსულ ეკლესიასთან ყოველგვარი კავშირის გაწყვეტით მოვიპოვოთო. და ეს ასეც იქნება თუ რუსეთის ეკლესია ანგარიშს არ გაუწევს თავის უმცროსი დის სურვილებს და ავტოკეფალურ უფლებებს არ დაუბრუნებსო.[44]

ქართველი სამღვდელოების საპროტესტო გამოსვლები, როგორც ჩანს, გარკვეულ გავლენას მაინც ახდენდა რუსეთის მთავრობასა და სინოდზე. 1906 წ. აგვისტოში გადაწყდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი შეეტანათ სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების დღის წესრიგში. მაგრამ საქმემ ვერც ამჯერად მიიღო სასურველი მიმართულება. ალ. ცაგარელი წერდა, საფრთხის ქვეშ დადგაო მართლმადიდებლური ეკლესიის შინაგანი მშვიდობა. იგი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ რუსი სამღვდელოების უმრავლესობა ქართული ეკლესიის ავტოკეფალობის წინააღმდეგია, რისი უშუალო შედეგი იქნებაო რუსული და ქართული ეკლესიების დაპირისპირება და ბრძოლა.

ამ სამწუხარო შესაძლო მოვლენის პირველი მიზეზი პროფ. ალ. ცაგარელის აზრით, ის იყო, რომ რუსეთის სამღვდელოება ქართულ ეკლესიას თვლიდა ბრალდებულად და ამიტომ საკითხის ობიექტურ განხილვას ვერ ახერხებდა. მეორე კი ის, რომ საეკლესიო საკითხების გადაჭრის დროსაც პოლიტიკურ მეთოდებს იყენებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ საკითხის განხილვისათვის დაედოთ კანონიკური საფუძველი, რაც სავსებით ამართლებდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნას. მთავრობის წევრები მიმართავენ დაშინებას, ავტოკეფალისტებს აცხადებენ სეპარატისტებად და ამდენად პოლიტიკურად არა საიმედო პირებად. რუსეთის საეკლესიო კრებამ, წერდა ალ. ცაგარელი, ქართული ეკლესიისთვის ავტოკეფალიის ბოძებაზე კი არ უნდა იმსჯელოს (დამოუკიდებლობა ქართულმა ეკლესიამ მიიღო ანტიოქიის საპატრიარქო კრების გადაწყვეტილებით), არამედ იმაზე, რომ აკრძალვა მოიხსნას და საშუალება მიეცეს ქართულ ეკლესიას განახორციელოს თავის ავტოკეფალური უფლება. ამას კი წინ უნდა უძღვოდეს გაუქმება იმ დადგენილებისა, რითაც ქართული ეკლესია სინოდს დაუმორჩილესო.

ალ. ცაგარელი იმასაც აღნიშნავდა, რომ ავტოკეფალიის მოპოვების სურვილმა კი არ განაპირობა ქართველთა სეპარატისტული მოძრაობა,

არამედ პირიქით, საქართველოში ამჟამად მიმდინარე პოლიტიკური და რელიგიური მოძრაობა მნიშვნელოვანწილად ქართული ეკლესიის გაუქმებით არისო გამოწვეული. თუ ქართული ეკლესია თავის 1,5 მილიონიანი მრევლით დაქვემდებარებული აღარ იქნება სინოდისადმი, ეს არ დაემუქრება რუსეთის სახელმწიფოს და მართლმადიდებლურ ეკლესიას რაღაც გაურკვეველი უბედურებით, როგორც ამას ზოგიერთები აცხადებენ. ქართული საკათალიკოსოს აღდგენა სეპარატიზმის გაძლიერებას კი არ გამოიწვევს, არამედ აღმოფხვრის ქართველთა უკმაყოფილებას, რუს-ქართველთა ურთიერთობას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებსო.[45]

ქართულ ავტოკეფალისტთა მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს ასრულებდნენ ეპისკოპოსები ლეონიდი, კირიონი, პეტრე და დავითი. ჯერ კიდევ 1905 წლის ოქტომბერში მათ ჩამოაყალიბეს „ავტოკეფალისტთა საზოგადოება", რომლის საქმიანობაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე მღვდელები და არქიმანდრიტები – იოსებ ჩიჯავაძე, ამბროსი ხელაია, ამბროსი ფსაკაძე, კალისტრატე ცინცაძე, პოლიევქტ კარბელაშვილი და სხვ. ავტოკეფალისტთა მოძრაობას მთელი საქართველოს მასშტაბით თბილისის ცენტრი მეთაურობდა. ქუთაისში არსებობდა ბიურო ათი კაცის შემადგენლობით.[46]

„ავტოკეფალისტთა საზოგადოების" (მას ჟანდარმერიის მოხელეები პარტიას უწოდებდნენ) მიზანი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა, მისი ეროვნული ფორმისა და შინაარსის აღორძინება. საზოგადოებამ თავისი საქმიანობა განსაკუთრებით მას შემდეგ გააქტიურა, როცა საქართველოდან გაიწვიეს ეგზარქოსი ნიკოლოზი (იგი მიზანშეწონილად თვლიდა დათმობას, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას) და მის ადგილზე გამოგზავნეს პირწავარდნილი შოვინისტ-რუსიფიკატორი ნიკონი.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე ახალმა ეგზარქოსმა მიიღო ჩიჯავაძისა და კარბელაშვილის წერილი, რომელშიც გაკრიტიკებული იყო სინოდისა და საქართველოს რუსი ეგზარქოსების პოლიტიკა. ქართველი მღვდელები ნიკონს იმასაც სწერდნენ, რომ თქვენ გეჯავრებათ ქართველი ხალხი, არ იცით მისი ენა. ამიტომ სინოდს თქვენი ეგზარქოსად დანიშვნის უფლება არ ჰქონდაო. გირჩევთ უარი თქვათ თანამდებობაზე, არ დაარღვიოთ საეკლესიო კანონები, არ განაწყოთ თქვენს სამტროდ ქართველი სამღვდელოება და მრევლი. ხოლო თუ თქვენ უარს არ იტყვით ეგზარქოსობაზე, შედეგისათვის ჩვენ პასუხს

არ ვაგებთო. ჟანდარმერიის მასალის ჭეშმარიტებას თუ ვირწმუნებთ, ნიკონმა მუქარის სხვა წერილებიც მიიღო, მაგრამ ეგზარქოსობაზე მაინც არ თქვა უარი და საქართველო არ დატოვა.[47] ურთიერთობა რუს ეგზარქოსსა და ქართველ სამღვდელოებას შორის კიდევ უფრო დაიძაბა.

ავტოკეფალისტებმა შეადგინეს და სტამბურად დაბეჭდეს ბროშურა – „როგორ ტაქტიკას უნდა იყენებდეს ქართველი სამღვდელოება საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლაში“. ავტორი რჩევას იძლეოდა, დიდი მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში გამოყენებული ყოფილიყო ყველა საშუალება და მათ შორის შიშველი ძალაც.

რათა დაესუსტებინა ავტოკეფალისტთა საზოგადოება, რუსეთის სინოდმა ნიკონის რჩევით საქართველოდან „გაიწვია“ კირიონი და დანიშნა იგი ლიტვის ვიკარად. ამან აღაშფოთა ავტოკეფალიისათვის მებრძოლი ქართველი სამღვდელოება, რომელმაც კატეგორიულად მოითხოვა ეგზარქოს ნიკონის საქართველოდან გაწვევა და უდანაშაულო კირიონის საქართველოში მობრუნება. ულტიმატური ტონით განაწყენებულმა სინოდის მესვეურებმა ჯავრი კირიონზე იყარეს, იგი უბრალო ბერად განამწესეს კურიაჟის მონასტერში (ხარკოვის გუბენია).

1907 წელს გამოქვეყნდა მღვდელ კელენჯერიძის ბროშურა „სიმართლე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“ (რუსულ ენაზე) და რამდენიმე ავტორის „ქართული ეკლესიის ბედისწერა“ (რუსულ ენაზე). ამ მეორე ნაწარმოებში ლაპარაკია იმაზე, რომ რუსმა ეგზარქოსებმა გაძარცვეს თითქმის ყველა ქართული ეკლესია-მონასტერი. ახლანდელი ეგზარქოსი უცხოა მრევლისათვის. იგი მიჩნეულია უზურპატორად. ნიკონი ეკლესიას მართავს თავის მრჩეველთა მეშვეობით და ქართველ სამღვდელოებას ყოველნაირად ავიწროებსო. ავტორთა აზრით, ქართველ სამღვდელოებას რუსეთის სინოდისაგან უნდა მოეთხოვა: 1) საქართველოდან რუსი ეგზარქოსის გაწვევა; 2) გადასახლებული კირიონის სამშობლოში დაბრუნება; 3) საქართველოს ეკლესია-მონასტრებში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის დაკანონება; 4) სასულიერო სასწავლებელთა ხელმძღვანელებად ქართველების დანიშვნა; 5) ბოდბის მონასტრის ქართველი ბერებისათვის დაბრუნება. თუ სინოდი ამ კანონიერ მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, საჩივარი მსოფლიო საეკლესიო კრებას უნდა გაეგზავნოსო.[48]

1908 წლის 26 მაისს ეგზარქოსი ნიკონი თავისსავე ბინაში მოკლეს უცნობმა პირებმა. პოლიციას ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მკვლელობა ავტოკეფალისტთა მიერ იყო მოწყობილი, მაგრამ კონკრეტულ დამნაშავეს მან ვერ მიაგნო.

ავტოკეფალისტთა საზოგადოების სტრუქტურისა და საქმიანობის შესწავლამ რუსეთის ეკლესიის მესვეურები და ჟანდარმერიის მოხელეები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მათ საქმე ჰქონდათ არა იმდენად სამღვდელოების საპროტესტო გამოსვლებთან, რამდენადაც ეროვნულ-პოლიტიკურ მოძრაობასთან, რომელიც გარკვეული მოსაზრებით ეფარებოდა ავტოკეფალიის მოთხოვნას. ჟანდარმერიის საგამომძიებლო მასალაში, კერძოდ, არის მინიშნება ავტოკეფალისტთა მოძრაობაში სოციალისტ-ფედერალისტების აქტიური მონაწილეობის შესახებ. ეს მიხვედრა არ უნდა იყოს მცდარი. ავტონომიურ ქართულ სახელმწიფოს ავტოკეფალური ქართული ეკლესია შეესაბამებოდა და ორი პარტიის ერთობლივი ბრძოლა ამ ორივე მიზნის განხორციელებას ააღვილებდა.

ნიკონის მოკვლის შემდეგ საქართველოს ეკლესიის ეგზარქოსად დანიშნული ინოკენტის საპოლიციო დაცვა დაუყენეს. მიუხედავად ამისა ქართველი სამღვდელოება იმედოვნებდა, რომ ზეგავლენას მოახდენდა ახალ ეგზარქოსზე, დათმობებზე წაიყვანდა, გამოიყენებდა მას თავისი ინტერესებისათვის. ეს გაიგეს მთავრობის მოხელეებმა და ინოკენტის მოახსენეს. ეგზარქოსი იძულებული გახდა თავისი თვალსაზრისი აშკარად გამოეთქვა. იმერეთის ეპისკოპოსისათვის გაგზავნილ წერილში ინოკენტიმ აღიარა, რომ იგი არაა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მომხრე და არც შეიძლება იყოს თავისი სამსახურებრივი მდგომარეობის გამო. ამის შემდეგ ავტოკეფალისტთა საზოგადოების რადიკალური მოძრაობა ისევ გაძლიერდა. ქართველმა მღვდელმთავრებმა და საერო პირებმა თხოვნა-საჩივარი გაგზავნეს უცხოელი პატრიარქებისა და მსოფლიო საეკლესიო კრების სახელზე. მასში ლაპარაკი იყო დამოუკიდებელი ქართული ეკლესიის ისტორიაზე, მის სახელოვან საქმეებსა და ტრადიციებზე, რუსეთის მთავრობის მიერ ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის უკანონოდ გაუქმებასა და რუსი მღვდელმთავრების ანტიქართულ საქმიანობაზე. სინოდისა და ეგზარქოსის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველი ხალხის სამართლიანი ბრძოლა კარგახანია მიმდინარეობს, მაგრამ საიმპერიო მთავრობა და სინოდი ყურად არ იღებს ქართველთა

კანონიერ თხოვნას, უარს ამბობს საქართველოს ეკლესიისათვის დამოუკიდებლობის დაბრუნებაზე. ამიტომ, გთხოვთ ჩაერიოთ ამ კონფლიქტში და საკითხი გადაწყვიტოთო ქრისტიანული კანონიკური სამართლის საფუძველზე.[49] მაგრამ მსოფლიო საეკლესიო კრება რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარევას მოერიდა. გარედან დახმარებაზე იმედის დამყარება ფუჭი ოცნება აღმოჩნდა.

რუსი მღვდელმთავრების მცირე ნაწილი თითქოს პრინციპული წინააღმდეგი არ იყო საქართველოს ეკლესიის ატოკეფალიისა, მაგრამ მოითხოვდა, რომ იგი დასაბუთებულიყო არა ისტორიულ-კანონიკურ უფლებებზე მითითებით, არამედ საქართველოს საჭიროებითა და საეკლესიო წყობილების ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ინტერესებით. ასეთი გამოსვლების საპასუხოდ ეპისკოპოსი დავითი 1912 წელს წერდა: რუსი ეგზარქოსები გვერდს უვლიან თავის პირდაპირ მოვალეობას და ძირითადად ემსახურებიან „რუსულ საქმეს", ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას. საქართველოს ეკლესიის მდგომარეობა რუსეთის ბატონობის პირობებში მკვეთრად გაუარესდა. საქართველოს ეკლესიის კეთილდღეობის ამაღლების ინტერესი მოითხოვს მისი დამოუკიდებლობის აღდგენას, მხოლოდ ამის შემდეგ გაუმჯობესდება ქართველთა ეკლესიური ცხოვრება.

ავტოკეფალიის მოწინააღმდეგეები, აღნიშნავდა ბოლოს დავითი, ამტკიცებენ, რომ ეს იდეა აღმოცენდა სეპარატიზმის ნიადაგზე. მართალია, ქართველებს სურთ შეინარჩუნონ თავისი ენა, კულტურა, ტრადიციული თავისებურებანი, მაგრამ განა ეს სეპარატიზმია? დაგვიმტკიცეთ, რომ ეროვნული თვითმყოფობა ვერ უთავსდება ქრისტიანულ მოძღვრებას, რელიგიურ რწმენას, სახელმწიფოს ინტერესებს. ამის დამტკიცება შეუძლებელია. ქართველი ქართველად რჩება, ველიკორუსი შოვინისტები ტყუილად ნუ იოცნებებენ მის გარუსებაზე. ამდენად, ჩვენ ქართველები ისტორიული უფლებიდან და პრაქტიკული მოსაზრებიდან გამოვდივართ და ამიტომ ვთხოულობთ დაჟინებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას.[50]

ასეთი წერილები, დასაბუთებები, თხოვნები, განცხადებები სხვაც ბევრი დაიწერა, მაგრამ რუსეთის ცარიზმი და სინოდი მაინც უარს ამბობდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალური უფლების აღდგენაზე, მისი დამოუკიდებლობის აღიარებაზე.

იმპერიის ცენტრში ბევრს მუშაობდნენ სასულიერო სფეროს რეფორმაზე. რამდენიმე წელი მოანდომეს რუსეთის მართლმადი-

დებლური ეკლესიის რეორგანიზაციის პროექტის შედგენას, რომლის მიზანი იყო სინოდის პოზიციების განმტკიცება, მის უწყებაში მყოფი ეკლესიათა მართვა-გამგეობის გაადვილება, „სეპარატიზმის" მთლიანად აღმოფხვრა.

ზემოხსენებული პროექტი, რომელიც 1916 წელს წარედგინა მთავრობას დასამტკიცებლად, ითვალისწინებდა რუსეთის იმპერიის გაყოფას რვა სამიტროპოლიტო ოლქად. მათ შორის ერთი იქნებოდა კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქი, რომელშიც გაითქვიფებოდა საქართველოს საეგზარქოსო. განზრახული რეფორმის რეალიზაციის შედეგად კიდევ უფრო გაუარესდებოდა ქართველი სამღვდელოების მდგომარეობა, მეტი საშუალებანი შეიქმნებოდა ქართული ეკლესიისა და ხალხის რუსიფიკაციისათვის. ქართველმა პატრიოტებმა კარგად გამოიცნეს დიდმპყრობელ შოვინისტთა მიზანდასახულება, ხმა აღიმაღლეს მართლმადიდებლური ეკლესიის ამგვარი რეორგანიზაციის პროექტის წინააღმდეგ.

ქართულ პერიოდულ პრესაში ყურადღება გაამახვილეს საქართველოს საკათალიკოსოს საქართველოს საეგზარქოსოთი შეცვლის მომენტის შესახებ. აღინიშნა, რომ საქართველოს მთავარმმართველმა ტორმასოვმა საეკლესიო რეფორმის გატარების დროს მთელი სისრულით ვერ გაითვალისწინა საიმპერიო ხელისუფლების მიზანი. მართალია, საქართველოს საკათალიკოსო საქართველოს საეგზარქოსოთი შეცვალა, იგი რუსეთის სინოდს დაუმორჩილა, მაგრამ ქართველ სამღვდელოებას დაუტოვა ავტონომიის რაღაც ელემენტები. კორნელი კეკელიძე წერდა: ტერმინი „საქართველოს საეგზარქოსო" ფილოლოგიური, კანონიკური და ისტორიული თვალსაზრისით აღნიშნავს უზენაეს გამგეს ავტოკეფალური ოლქისას, რომელიც მეორე ოლქის გარეშე იმყოფება და მის ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს. ტერმინი „საქართველოს საეგზარქოსო" გვეუბნება, რომ საქართველოს ეკლესიის ინკორპორაცია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, ის ფაქტობრივად დღესაც დამოუკიდებელი საპატრიარქოა, მხოლოდ მას, როგორც „დაქვრივებულს" დროებით რუსი ეგზარქოსი განაგებს. ტორმასოვის უნებლიე შეცდომა შეიგნეს ვოსტორგოვმა და სინოდის დღეანდელმა წევრებმა და მოინდომეს მისი გასწორება. მათ განუზრახავთ „საქართველოს საეგზარქოსოს" გაუქმება და მის მაგივრად „კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქის" შექმნა".[51]

რუს მოღვაწეთა ერთმა ნაწილმა 1916 წლის პროექტი აღიქვა როგორც რუსეთის სინოდის კონტრშეტევა ქართველ ავტოკეფალიტსთა მოძრაობის წინააღმდეგ, ქართველი სამღვდელოებისათვის იმისი წართმევის მცდელობა, რაც ჯერ კიდევ შერჩა. ნ. დურნოვო წერდა, რომ კიდევ ერთხელ მოინდომეს საქართველოს ეკლესიის შეურაცხყოფა და მისი საბოლოოდ მოსპობა-გაუქმება. დაპროექტებულ კავკასიის სამიტროპოლიტო ოლქში შევა საქართველოს ეკლესია და ამით ჯვარი დაესმება ქართველ ავტოკეფალისტთა კანონიერ მოთხოვნებს.[52]

რუსი დიდმპყრობელი შოვინისტების სამიზნედ იქცა აგრეთვე საქართველო-იმერეთის სინოდური კანტორა. იგი 1815 წელს შეიქმნა და ამ ფაქტს ქართველი სამღვდელოება სიხარულით არ შეხვედრია. მაგრამ XX ს-ის დამდეგიდან იქ მართლაც მოღვაწეობდნენ პატრიოტი ქართველი მღვდელმთავრები, არცთუ წარუმატებლად ცდილობდნენ მის გამოყენებას ერის და მრევლის ინტერესების დაცვისათვის.

ცარისტულმა ხელისუფლებამ თავისი გეგმების რეალიზაცია ველარ მოასწრო. ხელუხლებელი დარჩა საქართველოს საეგზარქოსოცა და საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორაც. ავტოკეფალისტებიც ბრძოლას განაგრძობდნენ, ხელსაყრელი მომენტის გამოყენებისათვის ემზადებოდნენ.

1916 წლის მეორე ნახევარში ავტოკეფალისტთა საქმიანობა კვლავ გააქტიურდა. მათი რჩევის თანახმად სამღვდელოების კრებამ დაადგინა: „ივერიის ეკლესიას ერთი ძირითადი რეფორმა სჭირდება, აღდგენილ უნდა იქნეს უფლებები ქართული ეკლესიისა, აუცილებელია ერს დაუბრუნდეს მისი წმინდა ეკლესია. 1916 წლის 15 დეკემბერს ქართლ-კახეთის საეპარქიო კრებამ რუსეთის იმპერატორს გაუგზავნა ასეთი თხოვნა: „განხორციელდეს სურვილი ქართველი ერისა, მის ეკლესიას, თქვენი უმოწყალესი ბრძანებით, დაუბრუნდეს ავტოკეფალია.“[53]

ქართველმა სამღვდელოებამ, ავტოკეფალისტთა საზოგადოებამ შესანიშნავად გამოიყენა ცარიზმის დამხობის მომენტი. 1917 წლის 12 მარტის მღვდელმავრებმა სვეტიცხოვლის ტაძარში შეკრებილი საზოგადოების წინაშე საზეიმოდ გამოაცხადეს საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა. კრების დადგენილებაში ნათქვამია: „ამიერიდან საქართველოს ეკლესია განაგრძობს თავის ავტოკეფალურ ცხოვრებას, რომლის სვე-ბედს, წინააღმდეგ მსოფლიო კრების დადგენილებისა, ასი წლის განმავლობაში განაგებდა რუსეთის თვითმპყრობელობა“.

სამღვდელოების კრების ოქმში ჩაიწერა: „1917 წელსა, მარტის 12 დღესა მცხეთის საკათალიკოსო საყდარში, შეკიკრიბეთ რა საქართველოს ეკლესიის მწყემსმთავარნი, სამღვდელოების კრებული და სამწყსოთა წარმომადგენელნი, შეკასრულეთ წირვა და საკედრებელი პარაკლისი რუსეთის ახალი მთავრობის საკეთილდღეოდ, გაკითვალისწინეთ რუსეთის სახელმწიფოში მომხდარი ძირითადი ცვლილებანი და განსაკუთრებით სინდისისა და სარწმუნოების თავისუფლების მისგან აღიარება, მივიღეთ გადაწყვეტილება:

1) ვინაიდან საქართველოს ეკლესია არსებობდა დამოუკიდებლად, რომელსაც ჰქონდა მსოფლიო კრებათა დასტური... და სრულიად არაკანონიერად შეაჩერეს მისი ავტოკეფალური მმართველობა; 2) ვინაიდან რუსეთის სახელმწიფოში დაწესდა ახალი მართვა-გამგეობა, რომელსაც აღარ შეესაბამება საქართველოს ეკლესიის უფლება ახდილად ყოფნა, ამისათვის აუცილებლად ესცანით და ერთხმად დაკადგინეთ:

ა) საჩქაროდ განგრძობილ იქნეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მართვა-გამგეობა, ხოლო ვიდრე სრულ კანონიერ ნიადაგზე მოხდებოდეს საქართველოს ეკლესიის კათალიკოსის არჩევა, დროებით დაინიშნოს კათალიკოსის ადგილის აღმავსებლად, საქართველოს ეკლესიის გამგედ სამღვდელო და საერო პირთაგან შემდგარი დროებითი აღმასრულებელი კომიტეტი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის ლეონიდეს თავმჯდომარეობით; ბ) ვინაიდან საქართველო გულწრფელად აღიარებს რუსეთის ახალ მთავრობასთან სრულ სოლიდარობას თავის არსებობის ქვაკუთხედად, ამისათვის ეს დადგენილება მოხსენდეს რუსეთის ახალი მთავრობის თავმჯდომარეს თავად ლვოვს, სინოდის ობერ-პროკურორს და ეცნობოს თბილისში კავკასიის კომისარიატს."[54]

ლეონიდემ დეპეშით მიულოცა სინოდის ობერ-პროკურორს ცარიზმის დამხობა და იმედი გამოთქვა, რომ „ახალი მთავრობა თავისუფალი რუსეთისა გაანთავისუფლებს ივერიის ეკლესიას ასის წლის უკანონო ტყვეობისაგან და მისცემს მას შესაძლებლობას ხელახლა ავტოკეფალურის ცხოვრებით იცხოვროს რუსეთის ეკლესიასთან ძმურ კავშირში". უფრო ადრე, 13 მარტს ლეონიდემ წერილობით აცნობა ეგზარქოს პლატონს, რომ საქართველოს ეკლესიამ აღიდგინა რუსეთის მთავრობის მიერ გაუქმებული ავტოკეფალია, და ამიტომ „ამიერიდან თქვენ იურიდიულად და ფაქტიურად აღარ ბრძანდებით საქართველოს

ეგზარქოსი, გერთმევათ უფლება განაგოთ საქართველოს ეპარქიები და მრევლი, სასულიერო სასწავლებლები და საეკლესიო დაწესებულებანი".[55]

16 მარტს თბილისში გამართულმა სამღვდელოების კრებამ აირჩია საქართველოს ეკლესიის დროებითი გამგებლობა, რომელშიც შეიდნენ: გორის ეპისკოპოსი ანტონი, ალავერდის ეპისკოპოსი პიროსი, თბილისის სემინარიის რექტორი – კ. კეკელიძე, დეკანოზი ნ. თალაკვაძე, მღვდელი ვ. კარბელაშვილი. საერო პირნი – იპ. ვართაგავა, ვ. ბარნოვი, ს. გორგაძე, პ. კიზირია, ს. ახვლედიანი, თ. სახოკია, პ. ბარათაშვილი, დ. ნახუცრიშვილი. თავმჯდომარედ აირჩიეს კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდე.[56]

19 მარტს ხალხით სავსე სიონის ტაძარში ქართულად წირა კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდემ. მანვე წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ასე დაამთავრა: „ქართველო ერო, ჩემო სანატრელო სამწყსო! ყურად ვიღოთ განთავისუფლებული ეკლესიის დედობრივი ძახილი. ფიცი და აღთქმა დავდოთ ქალმა და კაცმა, რომ მსხვერპლად შევეწირებით საყვარელ სამშობლოს და სულ მოკლე ხანში თავისუფალ ეკლესიას გვერდში ამოვუყენებთ თავისუფალ საქართველოს".[57]

ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენამ უდიდესი სიხარული გამოიწვია ქართველებში. პრესაში იბეჭდებოდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დაწესებულებათა და ცალკეულ პირთა მისალმებანი. ეპისკოპოსი კირიონი ვიტებსკიდან იწერებოდა – დიდხანს ტანჯვის ცრემლებს ვღვრიდით, ახლა სიხარულის ცრემლებს ვაფრქვევთ თავისუფალი ქვეყნის თავისუფალ ეკლესიასო. არქიმანდრიტმა ამბროსი ხელაიამ სტარაია რუსადან გამოგზავნა დეპეშა: „მრავალტანჯულ საქართველოს ვულოცავ სასიხარულო ამბავს, მისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას."[58]

ამიერკავკასიაში მცხოვრებმა რუსებმა დაგმეს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გამოცხადება და კრებაზე დაადგინეს ეუწყებინათ სინოდისათვის, რომ შეუძლებლად მიაჩნიათ შევიდნენ საქართველოს საკათალიკოსოში. უწმინდეს სინოდს ვთხოვთ დააარსოს ამიერკავკასიის საეგზარქოსო, რომელიც სინოდს დაემორჩილება. ამ საეგზარქოსოს მრევლს შექმნიანო რუსები და სხვა ეროვნებათა მართლმადიდებელი ქრისტიანები. სინოდმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა. 1917 წლის 14 ივლისს მან გამოსცა „დროებითი წესები კავკასიაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მოწყობისათვის". მის

საფუძველზე თბილისში შეიქმნა რუსული სამიტროპოლიტო კათედრა, რაც ეწინააღმდეგებოდა მსოფლიოს პირველ საეკლესიო კრების მიერ მიღებული კანონის მერვე მუხლს.

რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა ეცნო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა და შეაფასა იგი როგორც „ქართული ეკლესიის თვითგამორკვევის აქტი". მაგრამ სინოდის რჩევით გააკეთა განცხადება, რომ საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის კანონიკური უფლებები ვრცელდება მხოლოდ ქართველ მართლმადიდებელ ქრისტიანებზე, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ რუსთა და სხვა ეროვნებათა ეკლესიები სინოდის გამგებლობაში დარჩებიანო. ამ ანტიქართულ მანევრს საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ პროტესტით უპასუხა, მოითხოვა საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია აღიარებული ყოფილიყო ტერიტორიულ ერთეულად, რომლის შემადგენლობაში შევიდოდა რუსთა საეპისკოპოსო კათედრაც. ცენტრმა არ მიიღო ეს წინადადება. 1917 წლის 25 ივლისს დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა რუსეთის სახელმწიფოში ქართული ეკლესიის არსებობა-საქმიანობის ძირითადი წესები, რომლის მიხედვითაც ქართული ავტოკეფალური ეკლესიის უფლება-კომპენტენცია ვრცელდებოდა მხოლოდ ქართველებზე.[59]

რუსი მართლმადიდებლებისათვის შეიქმნა თბილისის სამიტროპოლიტო ოლქი. მის ეპისკოპოსად დანიშნეს ნაეგზარქოსალი პლატონი. იგი ძველ რეზიდენციაში რჩებოდა, არაფრის დათმობას არ აპირებდა. ამიტომ ქართველმა მღვდელმთავრებმა საერო პირთა დახმარებით 1917 წლის 15 აგვისტოს ძალით დაიკავეს ეგზარქოსის ყოფილი შენობა, ყველა დაწესებულება.

ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ ქართველი სამღვდელოების პირველი საეკლესიო კრება გაიხსნა 1917 წლის 9 სექტემბერს სიონის ტაძარში. თავმჯდომარეობდა კათალიკოსის მოსაყდრე ლეონიდე. პრეზიდიუმში იყვნენ საერონიც – გიორგი ჟურული, ტრიფონ ჯაფარიძე, სპირიდონ კედია. განიხილეს საქართველოს ეკლესიის სტრუქტურის პროექტი (წესდება), სასულიერო სასწავლებლების კეთილმოწყობის, სოხუმის ეპარქიის საკითხები. იმავე სხდომაზე უნდა აერჩიათ კათალიკოს-პატრიარქი.

დამტკიცებული წესდების მიხედვით საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია აერთიანებდა ყველა მართლმადიდებელ ქართველს და თავის

სურვილით მის ნაწილში შესულ არაქართველ მართლმადიდებელსაც, თუ იგი ცხოვრობდა საქართველოს ტერიტორიაზე. აცხდებოდა, რომ საქართველოს ეკლესია დამოუკიდებელია, აქვს საკუთარი იერარქია, კანონები, წეს-ჩვეულებები. საქართველოს ეკლესია იყოფოდა ეპარქიებად, ეპარქიები ოლქებად, ოლქები სამრევლოებად. ეპარქია იყო თორმეტი: მცხეთის, თბილისის, ქუთაისის, ჭყონდიდის, ალავერდის, ბოდბის, ჯუმათის, აწყურის, ცხუმის, ურბნისის, ნიკორწმინდის, ცაგერის, საქართველოს ეკლესიას მთლიანად და ცალკეულ ნაწილებს განაგებდნენ საეკლესიო კრებები, რომელთა აღმასრულებელი ორგანოები იყო საბჭოები — საკათალიკოსო, საოლქო, სამრევლო.

სრულიად საქართველოს საეკლესიო კრების ფუნქციაში შედიოდა: საეკლესიო სამართალი, საბჭოს მიერ შეტანილი საკითხების განხილვა-დამტკიცება, საეკლესიო თანამდებობის პირთა არჩევა, ახალი ეპარქიების გახსნა, სასულიერო სასწავლებლებზე ზრუნვა. ამ კრების აღმასრულებელ ორგანო-საბჭოში შედიოდა რვა წევრი — 4 სასულიერო, 4 — საერო. წესდების მიხედვით კათალიკოს-პატრიარქად შეიძლება არჩეულიყო საერო პირი, რომელსაც ჰქონდა უმაღლესი განათლება, საღვთისმეტყველო მომზადება, შესაფერისი ზნეობა.

კათაკოლიკოსობაზე კენჭი იყარეს კირიონმა და ლეონიდემ. პირველს ხმა მისცა კრების 241 დელეგატმა, ლეონიდეს — 230-მა. კათალიკოსად არჩეულმა კირიონმა საზოგადოებას ასე მიმართა: „ჩვენი ეკლესია მუდამ ედგა დარაჯად ქართველი ერის მთლიანობას და დამოუკიდებლობას. ის იყო დროშა, რომლის ქვეშ ღვიოდა ნაპერწკალი ქართველთა თანხმობის იდეისა. ეროვნული დროშის ქვეშ ქართველი უძლეველი იყო... დღესაც ვალად აქვს ჩვენს ეკლესიას ემსახუროს იმავე იდეას და მედგრად გაახსენოს კაცობრიობას სახელი ქართველი ერისა; მან ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს განმტკიცება-გაერთიანებას, რათა კაცობრიობის ფერხულში ჩვენც ვიპოვოთ შესაფერისი და დამსახურებული ადგილი“.[66]

ქართველი ხალის მეგობარი ნ. დურნოვო რუსეთიდან იწერებოდა, რომ ორმოცი წელი ველოდი ამ ღდესო. „ივერიის ჯვაროსანი და სამოციქულო ეკლესია გვერდში ამოუდგება თავის სულიერ თანამოძმეს ბერძენთა ეკლესიას, მასავით წამებულს,... ეხლა საქართველოს, რომელმაც შემოიკრიბა თავის შვილები, ჰმართებს აღადგინოს პოლიტიკური ავტონომიაც 1783 წლის ხელშეკრულებისა.“[61]

1917 წლის 9-17 სექტემბრის საეკლესიო კრება „საქართველოს“ რედაქციამ ასე შეაფასა: „ეს კრება ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის განხორციელებაა. ავტოკეფალური კრება პოლიტიკური აქტია. ასე უყურებენ მას რუსეთში და ასევე შეხედავენ მას ევროპაშიც. იმავე დროს ავტოკეფალიის განხორციელებას უდიდესი მოქალაქეობრივი და კულტურული მნიშვნელობა აქვს. დღეიდან ერი თვითონ აირჩევს თავის მოძღვრებს და მაშასადამე, თვითონვე მოაწესრიგებს თავის სარწმუნოებრივსა და კულტურულ საქმეებს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია ქართველთა სარწმუნოებრივი სინდისის ტყვეობიდან განთავისუფლებაა.“[62] გაზეთის რედაქცია არ ცდებოდა; ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. მან განაპირობა პოლიტიკური პარტიების გააქტიურება, გააფართოვა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლთა ბანაკი.

X X X

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციას აღტაცებით შეხვდნენ რუსეთის იმპერიის დაჩაგრული ხალხები. მას დაუკავშირეს ეროვნული თვითგამორკვევის უფლების დაცვა-განხორციელება. მაგრამ დროებითი მთავრობა არ ჩქარობდა ეროვნული საკითხის გადაწყვეტას. იგი ფაქტობრივად კვლავ იცავდა „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ ცარიზმისდროინდელ დოქტრინას. ამიტომ დემოკრატიულ თავისუფლებათა გამოცხადების შემდეგ იმპერიის განაპირა ქვეყნებში ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა გაფართოვდა, გაცილებით რადიკალური ელფერი მიიღო. თანდათან გამრავლდა ეროვნულ-კულტურული დაწესებულებები, ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები. თითქმის ყველა განაპირა ქვეყანაში ჩამოყალიბდა ეროვნული საბჭოები, რომლებმაც გააჩაღეს ბრძოლა ეროვნულ სახელმწიფოთა აღდგენა-შექმნისათვის.

ომისა და რევოლუციის პერიოდში სოციალ-დემოკრატიამ შედარებით მეტი ყურადღება მიაქცია ეროვნულ საკითხს, მაგრამ მისი ვერცერთი ფრაქცია ვერ გასცილდა ერთა თვითგამორკვევის უფლების თეორიულ აღიარებას. ბოლშევიკ-მენშევიკთაგან პროპაგანდირებული საოლქო ავტონომია და ეროვნულ-კულტურული თვითმმართველობა თავის უფლება-კომპეტენციით დიდად როდი აჭარბებდა ცარიზმისდროინდელ ადგილობრივ (საერობო და საქალაქო) თვითმმართველობას.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა სოციალისტ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატების პოზიცია. მათ ერთხანს თითქმის მთლიანად უარყვეს ომის დასაწყისში აღებული დასავლური ორიენტაცია, საზღვარგარეთულ ძალებზე დაყრდნობის ტაქტიკა და საქართველოს უკეთესი მომავალი, ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პრობლემა რუსეთის განახლების პროცესს დაუკავშირეს. სოციალისტ-ფედერალისტებმა გააძლიერეს ავტონომია-ფედერაციის იდეათა პროპაგანდა. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ საერთო სარუსეთო თათბირებში, ცდილობდნენ დამობაზე წაეყვანათ რუსეთის დროებითი მთავრობა, უზრუნველეყოთ იმპერიის ფედერაციულ საწყისებზე რეორგანიზაცია, შეექმნათ საქართველოს ავტონომიური სახელმწიფო.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გრ. რცხილაძე წერდა, რომ თვით რუსეთის სახელმწიფოს ინტერესი მოითხოვდა განაპირა ქვეყნებისათვის ავტონომიურ სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებას, ამ ნაციონალურ სახელმწიფოთა კავშირის, „რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის" შექმნას. ფედერაციული სახელმწიფოს სიმტკიცისათვის, მისი აზრით, საჭირო იყო „საერთო საქმეთა გამგებლობა დამყარებოდა „რუსეთის ყველა ხალხთა წარმომადგენლობას და არა ნაციონალურ სახელმწიფოთა ერთიანობას".[63]

შინაგანად დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა ფედერაციის იდეას თავგამოდებით იცავდა აგრეთვე თ. ღლონტი. მისი განცხადებით, ცარიზმის დამხობის შემდეგ ფართო გასაქანი მიეცა „საავტონომიო და საფედერაციო პოძრაობას". დიდი რუსეთი ფედერალისტური მოძრაობის ალში გაეხვია; ყველა ერი ავტონომიას და რუსეთის სახელმწიფოს დემოკრატიულ-ფედერაციულ საფუძველზე გარდაქმნას მოითხოვდა. თ. ღლონტი ასაბუთებდა, რომ ქართველი ხალხი მომზადებული იყო ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის, რომ იგი ფედერაციული რუსეთის განვითარებაში საკუთარ წვლილს შეიტანდა.[64]

სოციალისტ-ფედერალისტებმა, ომისა და რევოლუციის პერიოდში კიდევ უფრო გააძლიერეს „ერთიანი მოქმედების ნიადაგის" თეორია. მათი აზრით, იმ დროს, როცა თვით დიდ სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმაც კი კლასობრივი ნიადაგი დატოვეს და საკუთარი ქვეყნის მმართველ კლასს ბურჟუაზიას ეხმარებიან, რატომ

არ უნდა გაერთიანებულიყვნენ პატარა საქართველოს ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი სოციალური ძალები? „თანამედროვე საქართველოს მდგომარეობაში – წერდა თ. ღლონტი – დანაშაულად მიგვაჩნია გაეჩუმდეთ და არ ვიბრძოლოთ ერის სხვადასხვა ჯგუფის შესათანხმებლად, ეროვნული ინტერესების დასაცავად". შექმნილ სიტუაციაში მას საქართველოს სხვადასხვა კლასებისა და პარტიების გაერთიანების საფუძვლად მიაჩნდა ავტონომიისა და ფედერაციის იდეა, რომლის რეალიზაციისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა თებერვლის რევოლუციამ.

1917 წლის მარტში პეტროგრადის ქართველი ინტელიგენტების შეკრებაზე საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით გამოვიდა ივ. ჯავახიშვილი.[65] ოდნავ მოგვიანებით ბაქოში მდგარი 51-ე დივიზიის ქართველმა ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მხარი დაუჭირეს „თავისუფალი საქართველოს" ავტონომიურ მოწყობას, რასაც საიმოვნებით გამოეხმაურა ს. ფედერალისტთა პარტია.

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის მემარჯვენე – ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციაც ჯერ კიდევ კმაყოფილდებოდა პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნით. 1917 წლის აპრილში გაზეთ „საქართველოს" ფურცლებზე დაიბეჭდა დ. გვაზავას ვრცელი სტატია – „საქართველოს ავტონომია". თებერვლის რევოლუციის შთაბეჭდილებათა გავლენით ავტორი წერს: „თავისუფლება მართავს ქვეყნიერებას,... იგი ამოძრავებს პიროვნებას, აღაფრთოვანებს ერს,... უიმისოდ ზრდა და განვითარება შეუძლებელია". გ. გვაზავა უფრო კონკრეტულად, მიზანმიმართულად ლაპარაკობს თავის სამშობლოზე, თუ „როგორი განსახიერება უნდა მიიღოს თავისუფლებამ საქართველოში", როგორი უნდა იქნეს საქართველოს პოლიტიკური და სოციალური წყობა.

გ. გვაზავას იდეალურად მიაჩნდა ფედერაციული სახელმწიფოები (აშშ, შვეიცარია, ავსტრია, კანადა), რომელნიც მეტ-ნაკლები რაოდენობით აერთიანებდნენ პატარა სახელმწიფოებს, ისეთ პოლიტიკურ ერთეულებს, რომელთაც ჰქონდათ „თავისი კონსტიტუცია, თავის კანონმდებელი საკრებულო, თავისი მმართველობა და სამართალი, თავის ხაზინა და ხარჯთაღრიცხვა" (ბიუჯეტი). შეიძლება რუსეთში, განაგრძობს ავტორი, ვერ მოხერხდეს ფედერაციული წყობილების დამყარება, მაგრამ საქართველომ ავტონომია მაინც უნდა მიიღოს. ზოგი ავტონომია ეიწროა, ზოგიც ფართო და თავის უფლება-მოსილებით უახლოვდება დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ქართველი ხალხი გვაზავას აზრით,

არ უნდა დალოდებოდა რუსეთის ფედერაციულ საწყისებზე გარდაქმნას და რაც შეიძლება მალე უნდა მოეთხოვა ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილი პოლიტიკური ავტონომია.

იმავე სტატიაში გ. გვაზავა ეხება კავკასიის ავტონომიის პრობლემას. რაკი ეს საკითხი დასმული იყო, ქართველებს ანგარიში უნდა გაეწიათ მისთვის, მაგრამ ამ დიდი მხარისათვის უნდა მოეთხოვათ ფართო ავტონომია. „კავკასიაში უნდა იყოს დემოკრატიული პარლამენტი და მის წინაშე პასუხისმგებელი სამინისტრო. გენერალ გუბერნატორს, როგორც რუსეთის წარმომადგენელს, მიენიჭება მხოლოდ ვეტოს უფლება, სხვა არაფერი". კავკასიის ავტონომიას ექნება „თავის სადამოჟნო საზღვარი, თავისი საფინანსო პოლიტიკა, თავისი ფული, თავისი ჯარი და ცოტაოდენი თავისუფლებაც საერთაშორისო ურთიერთობაში. თუ ამგვარად იქნება მოწყობილი კავკასიის ავტონომია, აცხადებს ბოლოს გ. გვაზავა, ქართველები მის წინააღმდეგ არ გამოვლენ. ხოლო თუ რუსეთმა ასე ფართო ავტონომია არ მიანიჭა კავკასიას, ჩვენ ქართველები წინ უნდა აღვუდგეთ მას, რადგან კავკასიის შეზღუდული ავტონომია, კიდევ უფრო შეზღუდავს საქართველოს".[66]

გ. გვაზავას აზრით, ავტონომიური საქართველოს შემადგენლობაში უნდა შესულიყო თბილისის და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმისა და სოხუმის მხარეები, საინგილო, არტაანისა და ოლთისის ოლქები.[67]

დაახლოებით ასევე მსჯელობდნენ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის სხვა წევრები. ყველა მხარს უჭერდა საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის იდეას, იბრძოდა მისი რეალიზაციისათვის. თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ გაძლიერდა ეროვნულ-დემოკრატთა ცალკე პარტიად ფორმირების ტენდენცია. დამფუძნებელი ყრილობა 1917 წლის ივნისში ჩატარდა. დეპუტატებს პირველი მიესალმა მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე სპ. კედია. პირველ საკითხზე — „საქართველოს ავტონომიის შესახებ" მოხსენება გააკეთა გ. გვაზავამ. აგრარულ საკითხზე — ალ. ასათიანმა. დიდი დებატები გაიმართა პოლიტიკური მომენტის შეფასებისა და ქართველი ხალხის ამოცანების განსაზღვრასთან დაკავშირებით. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობის დადგენილებაში ჩაიწერა: რუსეთის თანამედროვე რევოლუცია ბურჟუაზიულია. ჩაგრულ ერთა განთავისუფლება უმეტეს შემთხვევაში ბურჟუაზიულ რევოლუციებთან და ომებთან არის დაკავშირებული. ედპ იმედოვნებს, რომ უკანასკნელი დიდი ომი და რევოლუცია აღადგენს საქართველოს ეროვნულ

უფლებებს. ედპ ეცდება, რომ ნიადაგი მოუმზადოს სრულიად საქართველოს ეროვნულ დამფუძნებელ კრებას; ეცდება, რომ ქართველ ერს წარმომადგენლები ყავდეს მომავალ საზავო კონფერენციაზე. რუსეთის დამფუძნებელ კრებაში ჩვენი პარტია დემოკრატიული წყობილების დამყარებას და საქართველოს ავტონომიას მოითხოვს.[68]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დაფუძნების შემდეგ კიდევ უფრო მკვეთრად დაუპირისპირდა სოციალისტური მიმართულების პარტიებს. ამირეჯიბმა ეს იმით გამოხატა, რომ განაცხადა, ჩვენი გაერთიანება ბურჟუაზიული პარტია არისო. ბევრი არ დაეთანხმა მას. ის აზრი გამოთქვა, რომ ახლად დაფუძნებული პარტია არ იყო მხოლოდ ბურჟუაზიის ინტერესების გამომახტველი. იგი საერთო სახალხო, ზეკლასობრივი, ჭეშმარიტად ეროვნული პარტია უნდა ყოფილიყო. და მართლაც ფაქტია, რომ ედპ უარყოფდა კლასთა ბრძოლის თეორიას, შესაძლებლად მიაჩნდა სოციალურ ურთიერთობათა დარეგულირება და ერის ძირითად ძალთა გაერთიანება ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის საბრძოლველად.

ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტი იძულებული იყო ანგარიში გაეწია რეგიონის ერთა სულისკვეთებისა და პოლიტიკური პარტიების პოზიციისათვის. 1917 წლის ივნისში მან შექმნა ეროვნებათა საბჭო, იქ სამოღვაწეოდ მიიპატიჟა ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და სხვ. ეროვნებათა წარმომადგენლები. ამ სათათბირო ორგანოში უნდა განხილულიყო ყველა ხალხებისათვის საერთო და ცალკეულ ეროვნებათათვის საინტერესო საკითხები. გამოირკვა, რომ ეროვნებათა წარმომადგენლები არც ყველა საკითხში იყვნენ კომპეტენტური და არც ყველა საკითხის გადაწყვეტით იყვნენ დაინტერესებულნი. ამიტომ ქართველთა წარმომადგენლებმა მოითხოვეს ეროვნებათა საბჭოს სამ სექციად გაყოფა. კიდევ მეტი, მათ მიზანშეწონილად მიიჩნიეს ერთიანი ეროვნებათა საბჭოს ნაცვლად ცალკე საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოების ჩამოყალიბება.

მაგრამ ოზაკომმა და ეროვნებათა საბჭოს უმრავლესობამ ამ იდეას მხარი არ დაუჭირა. ამის გამო ზემოდან კარნახით დაარსებულ ამ ორგანოს საქმიანობაში თავი იჩინა სიძნელეებმა და წინააღმდეგობებმა. შეუძლებელი გახდა შეთანხმება ამიერკავკასიის ადმინისტრაციული დაყოფის, სასამართლო ორგანოების ხასიათისა და სხვ. საკითხებზე. საბჭოს ზოგიერთი წევრი მოითხოვდა, რომ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ერთეულებში უნდა დანიშნულიყო სამი გუბერნატორი

და სამი მაზრის უფროსი, სამი ძირითადი ერის (რუსი, სომეხი, თათარი) შესაბამისად. ქართველთა წარმომადგენლებმა ამ პრინციპის წინააღმდეგ გაილაშქრეს; აღნიშნეს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე 80% ქართველია და აქ არაა საჭირო სამი გუბერნატორი და მაზრის უფროსი. საქართველო ცალკე პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულად უნდა ჩამოყალიბდეს და იქ დაუყონებლივ უნდა გატარდესო საერობო რეფორმა.[69]

რაკი ეროვნებათა საბჭომ ბევრი ვერაფერი გააკეთა, გაჩნდა კავკასიის წარმომადგენლების ყრილობის მოწვევის იდეა. ქართველ მოღვაწეებს ამის წინააღმდეგ არ გაულაშქრიათ, მაგრამ საჭიროდ მიიჩნიეს წინასწარი მუშაობის ჩატარება, ამ დიდი ფორუმისათვის სათანადოდ მომზადება. გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ ქართველებს აქვთ ეროვნული პროგრამა. „ეს გახლავთ პოლიტიკური ავტონომია საქართველოსი“, რაც ყველა ქართველში, თითქმის ყველა ქართულ პარტიაში ცოცხლობს. მაგრამ ამ იდეის რეალიზაცია ძნელდება. „საზოგადო დებულება გვაერთებს, დეტალები გვანსხვავებს,... ჩვენ გვაერთებს, მაგალიად, საქართველოს ავტონომია, როგორც ფორმა, მაგრამ გვანსხვავებს შინაარსი — კომპეტენცია ამ ავტონომიისა, საზღვრები ტერიტორიისა და მთელი რიგი სხვა საკითხები. რასაკვირველია, უიმედო ამ განსხვავებაში არაფერია. აქაც შეიძლება შეთანხმება და სწორედ იმიტომ, რომ შეთანხმება შეიძლება, ყველაზე უწინარეს ქართველებში უნდა მოხდეს ეს შეთანხმება“. ასეთი შეთანხმება, ერთიანი პლატფორმის შემუშავება იყო, რედაქციის აზრით, აუცილებელი წინაპირობა კავკასიელთა ყრილობის მოწვევის და იქ ქართველთა წარმომადგენლობის გაგზავნისა. „საქართველოს“ პუბლიცისტები იმედს გამოთქვამდნენ, რომ პოლიტიკური პარტიები ერთსულოვნებას გამოიჩენდნენ და ერთიან ეროვნულ პროგრამას შეიმუშავებდნენ.[70] ეს პროგნოზი გამართლდა.

1917 წლის აპრილ-ივლისის განმავლობაში საქართველოს ყველა პოლიტიკური პარტია (გარდა ბოლშევიკებისა) თანდათანობით იმ დასკვნამდე მივიდა, რომ აუცილებელია დაპირისპირებულ კლასთა კომპრომისი, პარტიების ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანება. უკვე აპრილის დამდეგს ჩატარდა ასეთი გაერთიანების მომხრეთა პირველი სხდომა, რომელზეც თავიანთ მიზნად გამოაცხადეს მოქმედების ერთიანი პროგრამის შემუშავება. მეორე კრება შედგა 18 აპრილს. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები,

სოციალ-დემოკრატები და ორიოდე უპარტიო ინტელიგენტი. პირველი ორი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს უნიტარული რუსეთის ფედერაციულ საწყისებზე რეორგანიზაციის იდეას, ისტორიული ერებისათვის ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მინიჭების მოთხოვნას. სოციალ-დემოკრატები კვლავ მერყეობდნენ, ჯერ კიდევ მთლიანად ვერ დაელწიათ თავი ცენტრალიზმის პრინციპისა და ეროვნული ნიჰილიზმის სენისათვის. სჯერდებოდნენ უსახო კულტურულ ნაციონალური (ექსტერიტორიული) ავტონომიის მოთხოვნას. მაგრამ ორიოდე თვის შემდეგ ისინიც პოლიტიკური ავტონომიის მომხრეთა რიგებში გადავიდნენ.

1917 წლის 12 აგვისტოს ჩატარდა ინტერპარტიული გაერთიანების, საინფორმაციო ბიუროს დამფუძნებელი კრება. ესწრებოდნენ: ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ალ. ლომთათიძე, პ. საყვარელიძე, კ. მესხი, სპ. კედია, გ. გვაზავა, დ. ვაჩნაძე, გ. ვეშაპელი, გრ. რცხილაძე, ა. პაპავა, ა. ჯაჯანაშვილი. კრებამ დაადგინა ინტერპარტიულ ბიუროში ყველა პოლიტიკური პარტია ყოფილიყო წარმოდგენილი. ბოლშევიკებმა ამ ორგანოში შესვლაზე უარი განაცხადეს; სხვა პარტიებმა საინფორმაციო ბიუროში ხუთ-ხუთი კაცი აირჩიეს; სოციალ-დემოკრატებმა ამ გაერთიანებულ ორგანოში წარგზავნეს — ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, ნიკოლოზ ქარცივაძე; ეროვნულ-დემოკრატებმა — სპირიდონ კედია, გიორგი ჟურული, დავით ვაჩნაძე, გრიგოლ ვეშაპელი, იოსებ გედევანიშვილი; სოციალისტ-ფედერალისტებმა — გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, სამსონ ფირცხალავა, შ. მესხიშვილი; სოციალისტ-რევოლუციონერებმა — გრიგოლ ნათაძე, კოტე მესხი, ივანე ჩერქეზიშვილი, ანდრია დგებუაძე, დავით კაჩაური.

საინფორმაციო ბიუროს თავის მხრივ შექმნა მუდმივმოქმედი ორგანო პრეზიდიუმი, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს აკაკი ჩხენკელი, მის ამხანაგად გიორგი ლასხიშვილი, ხაზინადარად კოტე მესხი. პრეზიდიუმმა 1917 წლის 2 აგვისტოს ინტერპარტიული ბიურო გადანათლა, მას საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო, ხოლო მის ბიუროს აღმასრულებელი კომიტეტი უწოდა. მალე ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოში პარტიათა წარმომადგენლობა ათ-ათ კაცამდე გაიზარდა.[71]

პოლიტიკური პარტიების ეროვნულ ნიადაგზე გაერთიანება ქართველმა საზოგადოებამ იმთავითვე ფრიად მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნია. გაზეთი „სახალხო საქმე" წერდა: „ქართველმა პოლიტიკურმა ჯგუფებმა უკვე შეიგნეს, რომ საქართველოს მშრომელი ხალხის,

ერისა და რევოლუციის ინტერესები მოითხოვს გაერთიანებას და სწორედ ამ შეგნების ნაყოფია,... დაარსება ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოსი".[72] ამ ორგანოს შექმნით ხორცი შეისხა არ. ჯორჯაძისეულმა „საერთო მოქმედების ნიადაგის" თეორიამ. შესაძლებელი გახდა პოლიტიკური პარტიების შეთანხმებული მუშაობა ერის გამთლიანების, ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ინტერპარტიული საბჭო საჭიროდ თვლიდა ოფიციალური დეკლარაციით გამოსულიყო ფართო საზოგადოების წინაშე, თავის მუშაობა მთელი ქვეყნის მასშტაბით გაეფართოებინა. 1917 წლის 28 აგვისტოს ინტერპარტიული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა საქართველოს ქალაქებსა და პროვინციებში არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციებს, შეექმნათ ინტერპარტიული საბჭოს განყოფილება-ფილიალები და სწორი გზით წარემართათ გამათავისუფლებელი მოძრაობა.

1917 წლის 12 აგვისტოს პეტროგრადელ მენშევიკთა ლიდერი კ. ჩხეიძე ერთ-ერთ კრებაზე სიტყვით გამოვიდა და დროებითი მთავრობისაგან მოითხოვა გამოქვეყნება დეკლარაციისა ერების თვითგამორკვევის უფლების შესახებ, რომელიც შემდეგ განხილულ-დამტკიცებული იქნებოდა დამფუძნებელი კრების მიერ.

1917 წლის სექტემბერში ინტერპარტიულმა საბჭომ თავის წარმომადგენლები გაგზავნა პეტროგრადში და საერთო სარუსეთო დემოკრატიულ თათბირზე ქართველი ხალხის სახელით გამოსვლა აკაკი ჩხენკელს დაავალა. ამ უკანასკნელმა თათბირის ტრიბუნიდან განაცხადა, რომ ეროვნულ საკითხზე ქართველ საზოგადოებას, პოლიტიკურ პარტიებს უკვე აქვთ საერთო აზრი. ისინი მოითხოვენ საქართველოსათვის ავტონომიური სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებას, რაშიც რუსეთის მიერ დარღვეულ ისტორიულ უფლებას და სამართლიანობის პრინციპს ემყარებიანო.[73]

ფედერაციისა და ავტონომიის პრინციპის შესაბამისად ჩაგრული ერების თვითგამორკვევის უფლებაზე რუსეთის დემოკრატიას თითქოს უარი არ უთქვამს, მაგრამ ფაქტია, რომ ეროვნული საკითხის გადასაჭრელად არსებითად არაფერი გაკეთებულა. რუსეთის დროებითმა მთავრობამ განაპირა ქვეყნებისათვის ავტონომიის მინიჭება დამფუძნებელი კრების პრეროგატივად გამოაცხადა.

ინტერპარტიული საბჭოს მესვეურებს ეჭვი სულაც არ ეპარებოდათ რუსეთის დამფუძნებელი კრების უახლოეს ხანს მოწვევაში და

გადაწყვიტეს მომზადებული შეხვედროდნენ ამ მნიშვნელოვან მოვლენას. ისინი იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აუცილებელი იყო მოწვევა საქართველოს ეროვნული ყრილობისა, რომელიც აირჩევდა ოფიციალურ ორგანოს – ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვილ ეროვნულ საბჭოს. ე.ი. პარიტეტულ პრინციპზე მოწყობილ ინტერპარტიულ საბჭოს შეცვლიდა სალხის, მისი ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო. ამ გარდამავალ პერიოდში ის შეასრულებდა ხელისუფლების ყველა ფუნქციას.

თავი II

ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობა. (1917 წ. ნოემბერი - 1918 წ. მაისი)

რუსეთის დროებითი მთავრობა ერთგულებას იჩენდა ანტანტისადმი, აუცილებელ მოვალეობად თვლიდა ომის გამარჯვებამდე მიყვანას. ფრონტზე ჯარის ახალ-ახალი ნაწილები იგზავნებოდა. გადამწყვეტი შეტევა მზადდებოდა. დასავლეთის ფრონტზე საერთო შეტევა დაიწყო 1917 წლის ივნისში და, როგორც მოსალოდნელი იყო, მარცხით დამთავრდა. ათი ათასობით ჯარისკაცი დაიღუპა.

დროებითი მთავრობის საომარმა განწყობილებამ და მარცხით დამთავრებულმა დიდმსხვერპლიანმა შეტევამ ჯარისკაცთა უკმაყოფილება გააძლიერა. პაციპიზმის იდეით გამსჭვალული ხალხი გმობდა არა მარტო დროებითი მთავრობის პოლიტიკას, არამედ აკრიტიკებდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებსაც, რადგან ისინი სასურველ გავლენას ვერ ახდენდნენ მთავრობაზე. 3 ივლისს პეტროგრადში დაიწყო მშვიდობიანი დემონსტრაცია, რომელმაც მომდევნო ორ დღეში შეიარაღებულ აჯანყებაში გადაზრდის ტენდენცია გამოამჟღავნა. დროებითმა მთავრობამ სოციალისტი მინისტრების თანხმობით, ძალის გამოყენებით გარეკა დემონსტრაცია. დაიწყო რეპრესიები ბოლშევიკური ორგანიზაციის წინააღმდეგ. გაიცა ლენინის დაპატიმრების ბრძანება.

ივლისის ამბებმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ამიერკავკასიაში. არაბოლშევიკურმა სოციალისტურმა პარტიებმა განგაში ატეხეს იმ საფრთხის შესახებ, რომელიც დემოკრატიულ რევოლუციას მარცხნიდან დაემუქრა. მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ მიღებული რეზოლუციით დაგმო დროებითი მთავრობის საწინააღმდეგო უპასუხისმგებლო გამოსვლები და სოლიდარობა გამოუცხადა სრულიად რუსეთის საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც უმრავლესობა მენშევიკებსა და ესერებს ეკუთვნოდა. ქართველი

ბოლშევიკები გაემიჯნენ ამ რეზოლუციას. მათ თბილისში მოიწვიეს მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგი, მოითხოვეს ხელისუფლების საბჭოებისათვის გადაცემა როგორც ცენტრში, ისე პერიფერიებში.[1] ასეთივე მოთხოვნით მიტინგები ჩატარდა საქართველოსა და ამიერკავკასიის რამდენიმე ქალაქში.

ბოლშევიკების გავლენის ზრდამ, მუშათა საგრძნობი ნაწილის გამემარცხენებამ და გლეხობის აგრარული მოძრაობის აღმავლობამ შეაშფოთა ამიერკავკასიის მოსახლეობის ზედა ფენები. ოზაკომის შინაგანი მშვიდობისაკენ მოწოდებამ მშრომელი მასა ვერ დააწყნარა. ამიტომ რუსეთის დროებითი მთავრობის ეს ფილიალი შეტევაზე გადავიდა, მიზნად დაისახა საბჭოების გარეკვა და ადგილებზე მთელი ძალაუფლების საგუბერნიო და სამაზრო კომისრებისათვის გადაცემა.

კორნილოვის და მის თანამზრახველთა გამოსვლამ ფრთები შეასხა ამიერკავკასიის მემარჯვენე ძალებს. ოზაკომმა კვლავ სცადა თავის ერთხელისუფლებიანობის დამყარება. მაგრამ საბჭოები არც ცენტრში სთმობდნენ პოზიციებს და არც პერიფერიებში. კორნილოველთა განადგურების შემდეგ რუსეთში კიდევ უფრო გაძლიერდა საბჭოების ბოლშევიზაციის ტენდენცია. 1917 წლის აგვისტო-სექტემბერში რუსეთის ბევრი ქალაქის საბჭომ მიიღო ბოლშევიკური რეზოლუცია საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადაცემის შესახებ.

1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკურმა პარტიამ მთელი რუსეთის მასშტაბით ფართო აგიტაცია-პროპაგანდა გააჩაღა სრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევისათვის, რადგან, მისი აზრით, მშრომელი რუსეთის მხოლოდ ამ წარმომადგენლობით კრებას შესწევდა უნარი გამოეცხადებინა და დაეკანონებია დროებითი მთავრობის გარეკვა, მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლა. პარტიის მოწოდებას, რა თქმა უნდა, ქართველი ბოლშევიკებიც გამოეხმაურნენ, მაგრამ არსებით წარმატებას ვერ მიაღწიეს. თბილისის საბჭოს უმრავლესობამ მენშევიკური პოზიცია დაიკავა, მიიღო დადგენილება საბჭოების მეორე ყრილობის დაუყოვნებლივ მოწვევის წინააღმდეგ.

დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის (რომელშიც მენშევიკები და ესერებიც შევიდნენ) სოციალ-ეკონომიკური პროგრამა, არ სცილდებოდა კაპიტალიზმის ფარგლებს. იგი ითვალისწინებდა სახელმწიფო სექტორის რამდენადმე გაფართოებას და სოციალური ანტაგონიზმის შესუსტების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარებას. მაგრამ მზარდი სასურსათო კრიზისი და ხალხის ცხოვრების

დონის დაქვეითების შეუნელებელი ტენდენცია ბოლშევიკების წისქვილზე ასხამდა წყალს. ამ ექსტრემისტი სოციალისტების წაქეზებით მუშებმა დაიწყეს ბურჟუაზიის დატერორება, წარმოებისა და განაწილების საქმეში აქტიური ჩარევა, მუშური კონტროლის ორგანოების შექმნა. მაგრამ ლენინს ესეც არ მიაჩნდა საკმარისად. მისი აზრით, შექმნილ სიტუაციაში გადაუდებელ საქმეს წარმოადგენდა ბანკების, სინდიკატების და სხვა მონოპოლისტური გაერთიანების ნაციონალიზაცია, მსხვილ მიწათმფლობელთა ექსპროპრიაცია და მიწის ფონდის გლეხთა რევოლუციური კომიტეტების განკარგულებაში გადაცემა. ბოლშევიკების ლიდერი არწმუნებდა მშრომელ მასას, რომ მისი ინტერესები მოითხოვდა სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას.

1917 წლის ოქტომბრის ბოლოს რუსეთის იმპერიის სოციალურ ძალთა და პოლიტიკურ პარტიათა მშვიდობიანი ბრძოლა სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ბოლშევიკებმა გადამწყვეტი შეტევა დაიწყეს ბურჟუაზიული წყობილების დამხობისათვის. მათს დემაგოგიურ მოწოდებებს აჰყვა პეტროგრადისა და რუსეთის ზოგი სხვა ქალაქის პროლეტარიატი, მუშათა გვარდია და არმიის ერთი ნაწილი. მრავალპარტიული დემოკრატიისაგან გამოთიშულმა ბოლშევიკებმა ვამოიყენეს ხელსაყრელი სიტუაცია, დაამხეს დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და დაეუფლნენ ხელისუფლებას. ლენინის მეთაურობით შექმნილმა სახალხო კომისართა საბჭომ, ადგილობრივი ბოლშევიკური ორგანიზაციების დახმარებით ორიოდე თვეში თავისი ხელისუფლება რუსეთის დიდ ნაწილზე გაავრცელა.

ბოლშევიკური გადატრიალების ფაქტი თბილისში მეორე დღესვე გახდა ცნობილი. საქართველოს მშრომელი მოსახლეობის მცირე ნაწილი თანაგრძნობით შეხვდა „რევოლუციის გაღრმავებას", რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. ქართველმა ბოლშევიკებმა პასიური სოლიდარობა არ იკმარეს, მშრომელ მასებს რუსეთის სახკომსაბჭოსათვის აქტიური, შეიარაღებული მხარდაჭერა მოსთხოვეს.

ბოლშევიკურ გადატრიალებაზე სხვაგვარი რეაგირება მოახდინა მოსახლეობის უმრავლესობამ, მისი ინტერესების გამომხატველმა პოლიტიკურმა პარტიებმა. ამ მომენტში საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობის დიდი ნაწილი დარაზმული იყო ადგილობრივი რევოლუციური თვითმმართველობის — საბჭოების გარშემო, რომელთა მუშაობას ტონს აძლევდნენ სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები).

ოქტომბრის მიწურულს გამართულ თბილისის მუშათა საბჭოს სხდომამ დაგმო ბოლშევიკური ავანტიურა, გამოაცხადა, რომ პეტროგრადში მომხდარი გადატრიალება საფრთხის ქვეშ აყენებდა საერთო დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარს. ძალიან მალე ამიერკავკასიის სამხარეო საბჭომ ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილს და სხვათა წინადადების შესაბამისად მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერა: „ბოლშევიკების გამოსვლა პეტროგრადში, მისი დროებითი წარმატებისა და ჩახშობის შემთხვევაშიც, კონტრრევოლუციის გამარჯვებას და დემოკრატიის დაღუპვას გამოიწვევს. რევოლუციის ინტერესები გვიკარნახებს აჯანყების მშვიდობიანი ლიკვიდაციის აუცილებლობას. ... აცხადებს რა ამას სამხარეო ცენტრი მოუწოდებს ყველას შეინარჩუნონ რევოლუციური წესრიგი და რევოლუციური დემოკრატიის ერთიანობა.[2]

ცხადია, სოციალ-დემოკრატიას, საბჭოების გარსშემოკრებილ მშრომელი ხალხის დიდ ნაწილს აშინებდა როგორც რევოლუციის ბოლშევიკური გაღრმავება, ისე კონტრრევოლუციურ ძალთა გამარჯვება. მიაჩნდათ, რომ ორივეს შედეგად მოჰყვებოდა საერთო დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა დაკარგვა. ბოლშევიკურმა გადატრიალებამ, ბუნებრივია, კიდევ უფრო დიდი აღშფოთება გამოიწვია თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის რიგებში. ეს კლასები აქტიურად ამოქმედდნენ, მიზნად დაისახეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპზე შეჩერება თუ მთელ რუსეთში არა ამიერკავკასიასა და საქართველოში მაინც.

თავადაზნაურთა სოციალური და ქონებრივი ინტერესები გარკვეულ წილად 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამაც დააყენა საფრთხის ქვეშ. დღის წესრიგში დადგა თავადაზნაურთა წოდებრივი პრივილეგიების გაუქმების, კანონის წინაშე ყველა კლასის გათანაბრების საკითხი. 1917 წლის 28 მარტს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი რუსეთის ზემდგომ ინსტანციას სწერდა: დროებითი მთავრობა ითვალისწინებს წოდებათა უფლებრივ გათანაბრებას. ჩნდება ვარაუდი, რომ გაუქმებული იქნება თავადაზნაურთა წოდებრივი თვითმმართველობა. ასეთ პირობებში ისმება საკითხი — როგორ მოვექცეთ თავადაზნაურობის როგორც იურიდიული პირის ქონებას. მოვითხოვთ მოგვეცეს უფლება ჩვენი სურვილისამებრ მოვახდინოთ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წოდებრივი ორგანიზაციის უძრავ-მოძრავი ქონების განკარგვა.[3]

პეტროგრადიდან გაურკვეველი ხმები მოდიოდა. ქართველ თავადაზნაურობას კი, ბუნებრივია, აღელვებდა თავის საერთო ქონების ბედი. 1917 წლის 14 ოქტომბერს შედგა ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა წინამძღოლებისა და დეპუტატების კრება. დაისვა საკითხი — შეიძლებოდა თუ არა რუსეთის მთავრობას გაუქმებულ თავადაზნაურთა წოდებისათვის ჩამოერთმია უძრავ-მოძრავი ქონება და თუ ეს მოსალოდნელი იყო, როგორ მოეხერხებინათ 15 მლნ მანეთად შეფასებული სიმდიდრის შენარჩუნება ქართველი ერის საკეთილდღეოდ. გამოითქვა მოსაზრება, რომ თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წოდებრივი ორგანიზაციის ქონება გადასცემოდა საქართველოს ახლად აღორძინებულ საკათალიკოსოს, ქართულ კულტურულ საზოგადოებათა კავშირს, საქართველოს მომავალ ავტონომიურ მმართველობას. მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული. კრებამ აირჩია კომისია — კ. აფხაზის, მ. ყაზბეგის, ვ. ყიფიანის, გრ. რცხილაძის და გ. გუნცაძის შემადგენლობით, რომელსაც დაევალა საკითხის დეტალური შესწავლა.

16 ოქტომბერს შედგა კომისიის სხდომა. კ. აფხაზმა განაცხადა: თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა ქონებას რუსეთის მთავრობა ვერ შეეხება, რადგან ჩვენი წოდება და მისი ქონებაც ქართველი ერის განუყოფელი ნაწილია. ეს ქონება უნდა გადაეცეს საქართველოს ეროვნულ თვითმმართველობას და საკითხი წინასწარ უნდა განიხილოსო მთელი ქართველი ერის წარმომადგენელთა ყრილობამ.[4]

ცნობამ ბოლშევიკური გადატრიალების შესახებ, საკითხის განხილვა დააჩქარა. 1917 წლის 29 ოქტომბერს ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა ყრილობამ დაადგინა: „ქართველი თავადაზნაურობა ყოველთვის იღწვოდა და ემსახურებოდა საერთო კულტურულ და ეკონომიურ საჭიროება-მოთხოვნილებებს. ახლა კი პოლიტიკური წყობილების შეცვლის შემდეგ, სახელმწიფოში აწ დაწყებული 'თავისუფლების წიაღში, თავადაზნაურობას ეძლევა საშუალება გადალახოს წოდებრივი ზღუდენი და გაერთიანდეს მთელ ერთან, რომლის გარკვეულ ნაწილს ის შეადგენს,... თავადაზნაურობას შეგნებული აქვს, რომ მხოლოდ ერის ყველა ელემენტის შეერთებას შეუძლია დაამყაროს საქართველოში ის პოლიტიკური წყობილება, რომელიც შეესაბამება მის ისტორიულ უფლებებს და უკვე მომწიფებულ რეალურ ინტერესებს. ამ რწმენით გამსჭვალული თავადაზნაურთა კრება ადგენს: ყველა უძრავ-მოძრავ ქონებას, რაც კი შეადგენს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის

კუთვნილებას, როგორც წოდებრივი ორგანიზაციისა, თავადაზნაურობა აღიარებს მთელი ქართველი ერის ავლადიდებად და გადასცემს საკუთრებად საქართველოს თვითმმართველობის საჯარო უფლებრივ ორგანოს, როდესაც იგი შეიქმნება".[5]

ქართველმა თავადაზნაურობამ, როგორც ვხედავთ, სწორად შეაფასა სოციალ-პოლიტიკური ქარტეხილების ეპოქა და მართებული გადაწყვეტილება მიიღო. ამით მოიპოვა მან ქართველი ხალხის ნდობა და თითქმის ყველა პოლიტიკური პარტიის პატივისცემა. თავადაზნაურთა ზემოთ ციტირებულმა დადგენილებამ დააჩქარა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევა, ეროვნული საბჭოს არჩევა, რომელმაც ჩაიბარა კიდეც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა უძრავ-მოძრავი ქონება და მოახმარა ქართველი ხალხის საჭიროებას.

საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა თავის დროზე დაგმეს კორნილოვის კონტრევოლუციური ამბოხება, მაგრამ 1917 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მთავარ საფრთხედ მათ მიიჩნიეს რევოლუციის „გაღრმავება", ტოტალური ბოლშევიკური რეჟიმის დამყარება. დემოკრატიის ერთიანობისა და ზომიერი პოლიტიკის გატარების წინაპირობად რუსი მენშევიკების ერთ-ერთ ლიდერს მარტოვს მიაჩნდა ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობის ჩამოყალიბება. ასეთსავე იდეას ავითარებდა ნ. ჟორდანია. მაგრამ პეტროგრადში არ მოხერხდა ბოლშევიკებისა და სხვა სოციალისტური პარტიების შეთანხმება, კოალიციური მთავრობის შექმნა. ეს იყო იმის მთავარი მიზეზი, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატებიც კი ალაპარაკდნენ საბჭოთა რუსეთისაგან გამოყოფისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ამიერკავკასიაში შენარჩუნების აუცილებლობის შესახებ.

ქართველი ბოლშევიკები არ დაემორჩილნენ ამიერკავკასიის სამხარეო საბჭოს ზემოთმოტანილ დადგენილებას, საერთო დემოკრატიის ნებას. მათ გააგრძელეს აგიტაცია-პროპაგანდა რუსეთის სახკომსაბჭოს ცნობის, ამიერკავკასიაში საბჭოების ხელისუფლების დამყარების აუცილებლობაზე. მათ დიდი იმედი დაამყარეს რუსეთის საჯარისო ერთეულებზე. თბილისის გარნიზონის ჯარისკაცებმა მართლაც დაგმეს მენშევიკური საბჭო, მოითხოვეს მისი გადარჩევა. რუსი სამხედროების ასეთი პოზიცია მაინცდამაინც მათი ბოლშევიკური მსოფლმხედველობით როდი იყო ნაკარნახევი. ბევრი მათგანი, ალბათ, ბოლშევიკურ პროგრამას არც ეთანხმებოდა, მაგრამ მათთვის მთავარი იყო რუსეთის სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეა და ამიტომ მხარი დაუჭირეს

ქართველი ბოლშევიკების რუსულ ორიენტაციას. ფ. მახარაძეს და სხვა ბოლშევიკებსაც კარგად ესმოდათ, რომ რუსი ჯარისკაცების მხარდაჭერა საგრძნობლად ზრდიდა მათი გამარჯვების შანსს. მიუხედავად ამისა, მარტო უცხო ძალაზე დაყრდნობით მათ ვერ გაბედეს შეიარაღებული ბრძოლის დაწყება, რადგან ამიერკავკასიის საბჭოების სამხარეო ყრილობამ ანარქიის მორევში ჩაძირული რუსეთისაგან გამოყოფა მოითხოვა.

ასეთ ვითარებაში ქართველმა ბოლშევიკებმა მიზნად დაისახეს საბჭოების შემადგენლობის შეცვლა ხელახალი არჩევნების ჩატარების გზით. თბილისის საბჭოს გადარჩევნები კიდეც მოხდა, მაგრამ მას არ მოჰყოლია ბოლშევიკებისათვის სასურველი შედეგი. მენშევიკებმა კიდევ უფრო გაზარდეს საბჭოებში თავის წარმომადგენლობა.

ბოლშევიკური გადატრიალებისა და საბჭოთა რუსეთისადმი კიდევ უფრო მტრული პოზიცია დაიკავეს ეროვნული მიმართულების პარტიებმა. ქართველმა სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა, აგრეთვე სომეხმა დაშნაკებმა და აზერბაიჯანელმა მუსავატელებმა მიიჩნიეს, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი და ყველაფერს აკეთებდნენ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. რაკი იმ დროს ამიერკავკასია ერთ ადმინისტრაციულ ერთეულს წარმოადგენდა და თანაც აქაური ერების ინტერესები იმ მომენტში ძირითადად ერთმანეთს დაემთხვა, შესაძლებელი გახდა ანტისაბჭოური და ანტირუსული აქტის ამიერკავკასიური მასშტაბით განხორციელება.

V1917 წლის 11 ნოემბერს თბილისში ჩატარდა თათბირი. მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის პოლიტიკური პარტიების, მუშათა და ჯარისკაცთა სამხარეო საბჭოს, თბილისის საბჭოსა და კავკასიის ფრონტის წარმომადგენლები. თათბირმა უარი თქვა რუსეთის სახალხო კომისართა საბჭოს ცნობაზე, მიიღო გადაწყვეტილება ამიერკავკასიის დამოუკიდებელი მთავრობის შექმნის შესახებ. 15 ნოემბერს ჩამოყალიბებულ ამიერკავკასიის კომისარიეტის შემადგენლობაში შევიდნენ: ე. გეგეჭკორი (თავმჯდომარე), აკ. ჩხენკელი, შ. ალექსი-მესხიშვილი, მ. ჯაფაროვი, ხან-ხოისკი, ტერგაზარიანი, დ. დონსკოი და სხვ., ეს იყო დროებითი მთავრობა, რომელმაც 18 ნოემბერს დეკლარაციით მიმართა ამიერკავკასიის ხალხებს.

დაეკლარაციაში აღნიშნული იყო, რომ დროებითი მთავრობა იმოქმედებდა რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევამდე; ხალხს

ჰპირდებოდნენ, რომ ჩამოყალიბდებოდა აგრარული კომიტეტები, მათ გადაეცემოდა სახაზინო, საუფლისწულო, მსხვილ მემამულეთა მიწები, რომელთა კონფისკაციისა და გლეხებზე გადანაწილების აქტი მალე მომზადდებოდა; ნაციონალური საკითხი გადაწყდებოდა ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე. დეკლარაციაში გამოთქმული იყო იმედი, რომ ამიერკავკასიაში შექმნილი ნორმალური, სტაბილური სიტუაცია დადებით გავლენას მოახდენდა ცენტრზე, ხელს შეუწყობდა რუსეთში კოალიციური დემოკრატიული მთავრობის შექმნას.[6]

ამიერკავკასიის დროებით მთავრობას, მართალია, სოციალ-დემოკრატიასთან ერთად მხარი დაუჭირეს ეროვნული მიმართულების პარტიებმაც, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის ფორმაზე კამათის დროს. სოციალ-დემოკრატები ჯერ კიდევ უპირატესობას ანიჭებდნენ უნიტარულ სახელმწიფოს, ზედმეტად თელიდნენ ცალკეული ერებისათვის ავტონომიური სტატუსის მიცემას. სოციალისტ-ფედერალისტები მოითხოვდნენ ამიერკავკასიის სამი ძირითადი ერის ავტონომიური სახელმწიფოების ჩამოყალიბებას და ფედერაციაში მათ გაერთიანებას. ეროვნული დემოკრატები უფროშორს მიდიოდნენ, მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის კონფედერაციას, იმედი ჰქონდათ, რომ იგი უფრო სწრაფად მოამზადებდა პირობებს საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

ინტერპარტიული საბჭოს დადგენილებით 1917 წლის 19 ნოემბერს ოპერის თეატრში გაიხსნა საქართველოს ეროვნული ყრილობა. თავმჯდომარედ, ნოე ჟორდანია, ხოლო მის ამხანაგებად გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, ვლადიმერ გობეჩია და აკაკი ჩხენკელი აირჩიეს. მდივნებად დაასახელეს გრ. ურატაძე, ს. დადიანი, მ. გაბაშვილი, ივ. გომართელი; სამანდატო კომისიაში გაიყვანეს გ. ფალავა, შ. მიქელაძე, ივ. ჩერქეზიშვილი, ა. ბარათაშვილი, რ. გაბაშვილი, ლ. შენგელია და სხვ. ყრილობაზე წარმოდგენილი იყო სულ 348 დელეგატი. აქედან 67 ხმა ჰქონდათ ინტერპარტიულ საბჭოში შემავალ პარტიებს, 15 — მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოებს, 33 — საქალაქო თვითმმართველობებს, 39 — საგუბერნიო, სამაზრო და საოლქო აღმასრულებელ კომიტეტს, 20 — ქართული ჯარის წარმომადგენლებს, 20 — კოოპერატივებს, 8 — პროფესიულ კავშირებს, 9 — მასწავლებელთა კავშირს, 9 — ქართული პრესის მუშაკებს, 9 — კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, 35 — ვაჭარ-მრეწველებსა და

ბანკირებს. ყრიოლბაზე წარმოდგენილი იყვნენ აგრეთვე საკათალიკოსო საბჭო, ქართველი მაჰმადიანები და კათოლიკები, აფხაზები, საქართველოში მცხოვრები ებრაელები.

ყრილობამ თავდაპირველად დაამტკიცა დღის წესრიგი: 1) თანამედროვე მომენტი და ქართველი ერი; 2) მოხსენება თავადაზნაურთა წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანიზაციის ქონების შესახებ; 3) მიმდინარე საკითხები (ერობის შემოღება, ჯარის ნაციონალიზაცია, სკოლების ნაციონალიზაცია, სასურსათო პრობლემა, ეროვნული საბჭოს არჩევა). მუშაობის დაჩქარებისა და საკითხების მაღალპროფესიულ დონეზე განხილვა-გადაწყვეტის მიზნით ჩამოყალიბდა სექციები: 1) ეროვნული საკითხის სექცია – თავმჯდომარე ივ. გობეჩია; 2) საერობო რეფორმის (მ. მაჩაბელი); 3) ჯარის ნაციონალიზაციის (ი. გედევანიშვილი); 4) სკოლა და უნივერსიტეტის (ივ. ჯაკელიშვილი); 5) ადმინისრაციის (გრ. გიორგაძე); 6) იუსტიციის (შ. მესხიშვილი); 7) საფინანსო (ნ. ნიკოლაძე); 8) სასურსათო (ილ. ქარცივაძე); 9) თავადაზნაურთა ქონების საკითხის (აკ. ჩხენკელი).[7]

ყრილობის მუშაობის ფორმა და შინაარსი, განსახილველ საკითხთა ფართო სპექტრი იმაზე მეტყველებს, რომ მის ორგანიზატორთა მიზანი იყო სათანადო საფუძვლების მომზადება ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ნ. ჟორდანია. მისი თქმით, თებერვლის რევოლუცია იყო საერთო სახალხო, რომლის გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მუშათა კლასმა, ჯარისკაცის ფარაჯაგადაცმულმა გლეხობამ და ბურჟუაზიამ. ოქტომბრის გადატრიალება კი ბოლშევიკთა შეთქმულება-აჯანყების გზით განხორციელდა. მან საფრთხის ქვეშ დააყენა რუსეთის მთლიანობა და დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარი. ჩვენ მხარს ვუჭერთ დემოკრატიული რუსეთის მთლიანობას. ადგილობრივი მთავრობის (კომისარიატის) შექმნა იმიტომ მივიჩნიეთ საჭიროდ, რომ აქედან შევუწყოთ ხელი დემოკრატიული წყობილების აღდგენას. თუ რუსეთში ვერ მოხერხდა დამფუძნებელი კრების მოწვევა, იძულებული გავხდებით აქ მოვიწვიოთ ადგიოლბრივი დამფუძნებელი კრება. ინტერპარტიულ საბჭოში ჩვენ შევთანხმდით ერთგვარ მინიმუმზე. საქართველოს უნდა მიეცეს სრული შინაური თვითმმართველობა (ავტონომია), საკანონმდებლო უფლებით. ავტონომიურ საქართველოს უნდა ჰყავდეს ნაციონალური ადმინისტრაცია, საკუთარი ჯარი, მილიცია, სასამართლო,

ეროვნული სკოლა. ამგვარად, დაასკვნა ნ. ჟორდანიამ, ჩვენი სურვილი, ეროვნული თვითგამორკვევის ფორმა ახლაც ისეთივეა, როგორიც იყო ასი წლის წინათ. გვინდა დავრჩეთ რუსეთის საზღვრებში და გვინდა აღვადგინოთ ავტონომია. განსხვავება ისაა, რომ მაშინ თვითმმართველობის მატარებელნი და მეთაურები იყვნენ ქართველი მეფენი, ახლა კი მათ ნაცვლად არის ქართველი ხალხი, ქართველი დემოკრატია.[8]

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენელმა გრ. რცხილაძემ განაცხადა: ჩვენ თავიდანვე მომხრე ვიყავით საერთო მოქმედების ნიადაგის შექმნისა. ახლა ეს იდეა განხორციელდა, პოლიტიკური პარტიები გაერთიანდნენ. მიმდინარეობს ეროვნულ ძალთა კონცენტრაცია და ავტონომიური საქართველო რეალობა ხდებაო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით გ. გვაზავამ თქვა: ნოე ჟორდანიას სიტყვა გვაერთიანებს ყველას. რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს შორის არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და ზოგიერთ საკითხზე უთანხმოება. მაგრამ ამჟამად სავსებით ვეთანხმებით მოხსენების დედააზრს და არ გამოვდივართ სეპარატული განცხადებით.

ჯერ კიდევ ინტერპარტიულმა საბჭომ დაიწყო ზრუნვა რუსეთის ჯარის შემადგენლობაში ქართული ეროვნული კორპუსის ჩამოყალიბებისათვის, მაგარმ ბევრს ვერაფერს მიაღწია. ამიტომ ეს საკითხი ეროვნულმა ყრილობამ განიხილა და მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერა: ქართული სამხედრო ერთეულების შედგენასა და დაუყოვნებლივ შევსებას მოითხოვს დღევანდელი მომენტი. ყრილობა იზიარებს სამხედრო სექციის წინადადებას და მომავალ ეროვნულ საბჭოს ავალებს განახორციელოს შემდეგი ღონისძიებანი: 1) იშუამდგომლოს სადაც ჯერ არს, რათა ქართველ ჯარისკაცებს მიეცეს ქართულ ეროვნულ ნაწილებში გადასვლის უფლება; 2) მოწოდებით მიმართოს ქართველ ერს, კერძოდ ბრძოლისუნარიან ახალგაზრდებს ნებაყოფლობით ჩაეწერონ ქართულ საჯარისო ერთეულებში; 3) მოუწოდოს რუსეთის არმიიდან გაქცეულ დეზერტირებს დაუბრუნდნენ სამხედრო ბეგარის მოხდას ეროვნულ არმიაში.[9]

21 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო. მასში შევიდა 25 სოციალ-დემოკრატი — ნ. ჟორდანია, აკ. ჩხენკელი, ს. ჯიბლაძე, ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი და სხვ.; 10 სოციალ-ფედერალისტი — გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, შ. მესხიშვილი, ს. ფირცხალავა, ი. გედევანიშვილი, დ. უზნაძე, ალ. წერეთელი, ს. მდივანი,

ი. ბარათაშვილი; 9 ეროვნულ-დემოკრატი — ნ. ნიკოლაძე, მ. ქიქოძე, ი. დადიანი, გ. ჟურული, გ. გვაზავა, შ. ამირეჯიბი, მ. მაჩაბელი, სპ. კედია, გრ. ვეშაპელი; 6 სოციალისტ-რევოლუციონერი — კ. მესხი, ივ. გობეჩია, გ. ნათაძე, ვ. ჩერქეზიშვილი, იას. გობეჩია; 4 კაცი ალიონის ჯგუფიდან — პ. ქავთარაძე, ივ. გომართელი, ნ. ქარციკაძე, პ. საყვარელიძე; 1 რადიკალ-დემოკრატი — ლ. ჩიქოვანი, ორი უპარტიო ინტელიგენტი — კ. აფხაზი, კ. მაყაშვილი. აჭარას წარმოადგენდა სამი კაცი — ჯიბელ ბეგ ხიმშიაშვილი, მეჰმედ ბეგ აბაშიძე, რ. ნიჟარაძე; სოხუმის ოლქს — ორი კაცი, ზაქათალას ოლქსა და ცხინვალის რაიონს თითო კაცი.

ეროვნულ საბჭოს ფაქტობრივად უნდა შეესრულებინა პარლამენტის ფუნქცია და, ბუნებრივია, საჭირო იყო მუდმივმოქმედი აღმასრულებელი ორგანოს შექმნაც. აღმასრულებელი კომიტეტი აირჩიეს 15 კაცის შემადგენლობით. თავმჯდომარედ დაამტკიცეს ნ. ჟორდანია, მის ამხანაგებად (მოადგილეებად) — ა. ჩხენკელი, გრ. რცხილაძე, გრ. ვეშაპიძე; მდივნად — პ. საყვარელიძე, ხაზინადარად — კ. მესხი.[10]

საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი მიიღო, საიმედო დასაბამი მისცა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის პროცესს. ყრილობის მიერ არჩეულმა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს ეროვნული პარლამენტის წინამორბედის როლი და ფუნქცია შეასრულა. პირველად სცადა დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ერისა და ქვეყნის სახელმწიფოებრივი სტრუქტურის, მისი საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრა.

1917 წლის 6 დეკემბერს ეროვნულმა საბჭომ გამოაქვეყნა მიმართვა ქართველი ხალხისადმი: „საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს თაოსნობით მოწვეულმა პირველმა ეროვნულმა ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი პოლიტიკური ორგანო. ეს. არის საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელიც მოწოდებულია გამოარკვიოს, გაუძღვეს და განახორციელოს საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეროვნული მოთხოვნილებანი, დაიცვას და განამტკიცოს ქართველი ხალხის რევოლუციურ-დემოკრატიული აღთქმა და ლტოლვილებანი.

„ეროვნულმა ყრილობამ გამოიტანა დადგენილებანი ერის საჭირბოროტო საკითხების შესახებ. მან დაადგინა სკოლის, სასამართლოს, ადმინისტრაციის და ჯარის ნაციონალიზაცია (გაეროვნულება ა.ბ.), ერობის შემოღება, თავადაზნაურთა კოლექტიური

ქონების მიღება და მოვლა, სასურსათო საკითხის მოგვარება, ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება, ...ყრილობამ დაავალა ეროვნულ საბჭოს მოითხოვოს და განახორციელოს საქართველოს ეროვნულ-ტერიტორიული საკანონმდებლო თვითმმართველობა (პოლიტიკური აკტონომია ა.ბ.).

„საქართველოს ეროვნულმა საბჭომ თავის მხრივ აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი, რომელიც უკვე შეუდგა ეროვნული ყრილობის ყველა დადგენილების და საბჭოს გადაწყვეტილებათა სისრულეში მოყვანას. დაარსდა და მუშაობს სხვადასხვა საქმეთა გასაძღოლად სექციები,...

„საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, გრძნობს რა პასუხისმგებლობის სიდიდეს ქართველი ერის წინაშე, თამამად ღებულობს თავის თავზე ეროვნული ყრილობის დავალებათა გაძღოლა-განხორციელებას იმ ღრმა რწმენით, რომ ამ საქმეში მასთან ერთად იქნება მჭიდროდ დაკავშირებული მთელი ქართველი ხალხი“.[10a]

ეროვნული საბჭოს კომისიებში მეტნაკლები რაოდენობით შეიყვანეს ყველა პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლები. სახელმწიფო საქმეთა კომისიის გამგედ (თავმჯდომარედ) აირჩიეს გ. გვაზავა, სამხედრო კომისიის — ნ. რამიშვილი, საფინანსო — კ. მესხი, ადმინისტრაციისა და სასამართლოს — გრ. რცხილაძე, სასკოლო და ხელოვნების — ალ. ლომთათიძე, საერობო კომისიის — აკ. ჩხენკელი, სახალხო მეურნეობის და სასურსათო საქმეთა — გ. ლასხიშვილი, სამუსლიმანო საქართველოს საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ აკ. ჩხენკელი.[11]

1917 წლის 10 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული საბჭოს მეორე სხდომა. იმსჯელეს საკითხზე — როგორი ურთიერთდამოკიდებულება უნდა დამყარდეს ეროვნულ საბჭოსა და ამიერკავკასიის მთავრობას შორის. სახელმწიფო სამართლის ამ მნიშვნელოვან პრობლემაზე აზრთა სხვადასხვაობა გამომჟღავნდა. აღმასრულებელ კომიტეტს დაევალა საკითხზე მოემზადებინა სპეციალური მოხსენება.

იმავე სხდომაზე განიხილეს ეროვნული ჯარის ნაწილების ჩამოყალიბების საკითხი, სამხედრო სექციის წევრმა დავით ვაჩნაძემ განაცხადა, რომ უკვე ჩამოყალიბებულია ორი ქართული პოლკი. მესამე და მეოთხე პოლკების დაკომპლექტებას დიდი დაბრკოლებები ხვდებაო. მართალია, რუსეთის დროებითი მთავრობა დათანხმდა ეროვნული საჯარისო ერთეულების ფორმირებაზე, მაგრამ ქართველი

ჯარისკაცებისა და ოფიცრების გამოცალკევება საერთო სარუსეთო ჯარისგან და ცალკე ნაწილების შექმნა არ გამოდგა ადვილი საქმე. ეროვნული საბჭო, მისი სამხედრო სექცია ცდილობდა, რომ დასავლეთის ფრონტზე მებრძოლი ქართველები სამშობლოში ჩამოეყვანა, მაგრამ ორგანიზებული წესით ამის განხორციელება გაძნელდა. თვით კავკასიის ფრონტზე მყოფი ქართველების ეროვნულ ნაწილებში ორგანიზებაც ნელა მიმდინარეობდა. ამ ცნობებს ი. გედევანიშვილმა დაამატა: ქართული კორპუსის შედგენა ფერხდება იმით, რომ ხალხი ნელა მოდის ნაწილების შესავსებად. ფრონტის სარდლობა, მართალია, გვეხმარება, მაგრამ ადგილებზე რუსი ოფიცრები არ ასრულებენ ზემოდან მიღებულ მითითებებს. „ქართველი ჯარისკაცები ტერორის ქვეშ ჰყავთ, რადგან ნაწილების დაშლა ოფიცრების უადგილოდ დარჩენას მოასწავებს და მათი ინტერესები ეწინააღმდეგებაო ნაციონალიზაციას. ისიც აღინიშნა, რომ რუსი ოფიცრები, ჯარისკაცები იარაღს არ უთმობენ ქართველებს, სამხედრო ტექნიკა რუსეთისაა და თან უნდა წავიღოთო.[12] ერთი სიტყვით, ეროვნული საბჭოს წევრები გრძნობდნენ, რომ რუსეთის მთავრობა, გენერალიტეტი, ოფიცრობა ფაქტობრივად საბოტაჟს უწევდნენ ეროვნული ნაწილების ფორმირების საქმეს, მაგრამ უკან დახევას არ აპირებდნენ, ენერგიულად საქმიანობდნენ ქართული ეროვნული არმიისათვის მტკიცე საფუძველის ჩასაყრელად.

ამიერკავკასიის დროებით მთავრობასა და საქართველოს ეროვნული საბჭოს (მის აღმასრულებელ კომიტეტს) შორის პირველ ხანებში წინააღმდეგობა თითქმის არ ყოფილა. ერთად უპირისპირდებოდნენ საბჭოთა რუსეთს, ცდილობდნენ ამ რეგიონში დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა შენარჩუნებას. დემოკრატიასა და წესრიგს კი დიდ საფრთხეს უქმნიდა კავკასია – მცირე აზიის ფრონტზე მდგარი, ბოლშევიკური აგიტაციით დაშლის გზაზე დამდგარი, მაგრამ მაინც ძლიერი რუსეთის არმია. ხანგრძლივი ომით მოღლილი დივიზიებისა და პოლკების ჯარისკაცთა მასა თვითნებურად სტოვებდა პოზიციებს, ყველა თავის ქვეყნისა და კუთხისაკენ მიისწრაფოდა. გენერალი მაზნიაშვილი თავის მემუარებში წერს: „შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამიერკავკასიას და კერძოდ საქართველოს ორი მხრიდან მოელოდა საფრთხე; ერთი საფრთხე იყო ოსმალეთი, რომლის ჯარები უკან დახეულ ჩვენს ჯარებს ფეხდაფეხ მოსდევდნენ, ...მაგრამ ვიდრე ოსმალები ჩვენამდე მოაღწევდნენ, რუსეთის ჯარები გვაწვებოდნენ, ...ამ უკან დახეულ რუსეთის ჯარებს გზა თბილისზე ჰქონდათ.

მოაღწევდნენ თბილისამდე და როგორც მტერი ალყაშემორტყმულ ქალაქს, გვიდგენდნენ სხვადასხვა მოთხოვნებს, ...ერთხელ ისიც კი მოითხოვეს, რომ ამიერკავკასიის მთავრობა გადამდგარიყო და ხელისუფლება ჩაებარებინა არმიის საოლქო ყრილობისათვის.[19]

1918 წლის დამდეგს თბილისს მოადგა ფრონტიდან წამოსული ჯარისკაცთა 16 ეშელონი ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. სწორედ მათ მოითხოვეს მთავრობის გადადგომა. პრემიერმა გ. გეგეჭკორმა ქალაქის დაცვის უფროსად გ. მაზნიაშვილი დანიშნა. გენერლის განკარგულებაში, მართალია, მცირერიცხოვანი შეიარაღებული ძალა იყო, მაგრამ აქტიური მოქმედების გეგმა შეადგინა და განახორციელა კიდეც; მთავრობის სახელით წარმომადგენელი გაგზავნა, გააფრთხილა რუს ჯარისკაცთა ხელმძღვანელები, თუ ეშელონები შეეცდებიან ქალაქში გადმობარგებას, მოექცევიან არტილერიის ცეცხლის ქვეშ. ქვემეხები კი განალაგა სოღანლუღის ქედსა და მახათას მთაზე, საიდანაც ხელისგულივით მოჩანდა ეშელონები. რუსი ჯარისკაცები შეშინდნენ, დასჯერდნენ სურსათ-სანოვაგის მიღებას და გზა განაგრძეს ბაქოს მიმართულებით. ნ. რამიშვილმა ყოველშემთხვევისათვის ეშელონებს დაადევნა ჯავშნიანი მატარებელი, რომელსაც არ უნდა დაეშვა რუსი ჯარისკაცების ვაგონებიდან გადმოსვლა. საქართველოს საზღვრებში ინციდენტი არ მომხდარა. სადგურ შამქორთან კი აზერბაიჯანულმა ჯარის ნაწილებმა შესძლეს ეშელონების ძალდატანებითი განიარაღება. ბრძოლაში დაიღუპა 2 ათასამდე რუსი ჯარისკაცი. იქვე დაასრულა სიცოცხლე ჯავშნიანი მატარებლის მეთაურმა ევგენი აფხაზავამ და მისმა ორმა თანაშემწემ.[14]

ამიერკავკასიის კოალიციური მთავრობის შექმნა და რუსეთისაგან გამოყოფის მცდელობა დაგმეს ამიერკავკასიის ბოლშევიკურმა ორგანიზაციებმა. გაზ. „ბრძოლის" კორესპონდენტი მკითხველს აუწყებდა: თავბრუდამხვევი სისწრაფის შეიქმნა ამიერკავკასის მთავრობა. ადგილობრივმა პარტიებმა რამდენიმე საათში მიაღწიეს შეთანხმებას პორტფელების განაწილების საკითხში. ამიერკავკასიის კომისარიატს, მართალია, ჯერ არ გამოუქვეყნებია მოქმედების პროგრამა, მაგრამ მისი შემადგენლობა თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ მთავრობა რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების მტერია. არავითარი მხარდაჭერა კომისარიატს, რომელიც შექმნეს მენშევიკებმა, დაშნაკებმა, ესერებმა და კადეტებმა ხალხისზურგს უკან. მუშებო, გლეხებო, ჯარისკაცებო! მხარი დაუჭირეთ რუსეთის მუშურ-გლეხურ მთავრობას. მხოლოდ

რუსეთის მშრომელებთან სოლიდარობა, თანაბრძოლა მოგვიტანს თავისუფლებას და ბედნიერებას.[15]

ბოლშევიკებმა ასეთი მოწოდებებით ბევრს ვერაფერს მიაღწიეს.. ამიერკავკასიის მშრომელი მასის დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებსა და ეროვნულ პარტიებს გაჰყვა. თვით რუსმა ჯარისკაცებმაც ვერ გაამართლეს ბოლშევიკთა იმედი. თბილისის ძველმა გარნიზონმა ვერ შესძლო არსენალის შენარჩუნება. იქ დაცულ იარაღს სოციალ-დემოკრატებისაგან შექმნილი სახალხო გვარდია დაეპატრონა, რამაც საგრძნობლად შეარყია ბოლშევიკთა სამხედრო უპირატესობა.

1918 წლის 5 იანვარს პირველი სხდომა ჩაატარა რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ, რომლის დეპუტატთა აბსოლუტურ უმრავლესობას ბურჟუაზიული და არაბოლშევიკური სოციალისტური პარტიები შეადგენდნენ. მათ უარი თქვეს ეცნოთ სახალხო კომისართა საბჭო, დაედასტურებინათ მის მიერ მიღებულ-გამოქვეყნებული დეკრეტები. ლენინის ბრძანებით ურჩი დამფუძნებელი კრება გარეკეს, რამაც დასავლეთისა და რუსეთის დემოკრატიული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია.

საყოველთაო პროტესტის ამ ტალღას საქართველოს პოლიტიკური პარტიებიც შეუერთდნენ. ეროვნულ-დემოკრატიული „საქართველოს" რედაქცია წერდა, რომ ბოლშევიკები რუსეთს ღუპავენ, ეს ვეებერთელა ქვეყანა ანარქიის ალში გაახვიეს. ქართველი ხალხი თავის ბედს ასეთ სახელმწიფოს ვერ დაუკავშირებს. იგი დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს „თავის ბედის გამოყოფას ამ ცეცხლწაკიდებული ბედისაგან". რედაქციის აზრით, საქართველოს უკეთესი მომავალი მოითხოვდა რუსეთის დამფუძნებელი კრების ფერფლზე საქართველოს დამფუძნებელი კრების აღმოცენებას.[16]

[საქართველოს სოციალ-დემოკრატია კი დამფუძნებელი კრების გარეკვის შემდეგაც არ კარგავდა რუსეთში დემოკრატიული მართვა-გამგეობის აღდგენის იმედს და ახლად დაბადებული ამიერკავკასიის მთავრობა მის შემადგენელ. ნაწილად მიაჩნდა. მათ დაიწუნეს საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეა. მიმდინარე ეტაპზე თავის ძირითად ამოცანად გამოაცხადეს ამიერკავკასიის საკანონმდებლო ორგანოს — სეიმის შექმნა. საქართველოს სუვერენული, ხალხისგან არჩეული ხელისუფლების ორგანიზებაზე ჯერ კიდევ არ ფიქრობდნენ.

სოციალ-დემოკრატთა ფართომასშტაბური პოლიტიკა ყველა ქართველი პატრიოტის, უპირველესყოვლისა კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გულისწყრომას იწვევდა. „საქართველოს“ რედაქცია წერდა: „როცა პოლიტიკური პარტია ასეთ სახიფათო დროს მთელი ერის ნდობას ღებულობს და წინამძღოლობასაც კისრულობს, ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს მას მეტი გარკვეულობა მოსთხოვოს, ...ჩვენ არ გვინდა, რომ ბ. გეგეჭკორსა და ბ. ჩხენკელს კერენსკის ბედი ვუწინასწარმეტყველოთ, მაგრამ ვშიშობთ, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ვერაფერი ისწაელეს რუსი ოპორტუნისტების გაკვეთილებიდან, ...ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, აპირებენ თუ არა ქართველი სოციალ-დემოკრატები ხერხემლის ოპერაციას,... თუ ისინიც იმ განუკურნებელი სენით არიან ავად, რომელმაც რუსი მენშევიკები სიკვდილის პირას მიიყვანა, ხოლო მათი მოკავშირე სოციალისტ-რევოლუციონერები მოხეტიალე მუსიკოსებად აქცია“.[17]

ეროვნული მიმართულების პარტიებს სოციალ-დემოკრატიის მთავარ ნაკლად ვიწროკლასობრივი თვალთახედვა მიაჩნდათ. ეროვნულ-დემოკრატები ხაზგასმით წერდნენ და ლაპარაკობდნენ, რომ ჩვენ ვერ გავყვებითო „რომელიმე ერთი კლასის ინტერესებით ნაკარნახევ პოლიტიკას“. ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას თავის ამოცანად მიაჩნია კლასთა ურთიერთობის მარეგულირებელი როლი შეასრულოს და პერსპექტივაში არსებული ეროვნული სახელმწიფოს „კომპრომისული ხაზი მონახოს“. ახლა საქართველო განმარტოებულია, თითქმის არავის იმედი არ აქვს. „თუ დაუყონებლივ არ მოხდა საქართველოს ყველა ფიზიკური, ფინანსური და კულტურულ ძალთა ძალდატანებითი მობილიზაცია, ისე ჩვენი საშშობლო უთუოდ რომელიმე ახალი აღამაჰმადხანის კერძი გახდება. ასეთ მობილიზაციას დიქტატორული ცენტრი, ძლიერი მთავრობა უნდა. ასეთ დიქტატორობას ვერ იჩენს დღევანდელი ამიერკავკასიური კომისარიატი და ვერც სეიმი გამოიჩენს, რომელსაც ახლა იწვევენ. აუცილებელია ძლიერი ეროვნული ცენტრის, საქართველოს დროებითი მთავრობის დიქტატურა. მას ვერ შექმის დღევანდელი ფორმაციის ეროვნული საბჭო. ამ დიქტატურის წყარო მხოლოდ ისეთი კანონმდებელი კრებული იქნება, როგორც სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრება. მხოლოდ ამ გზით შეიძლება დანგრეული ეროვნული სახელმწიფოებრივი შენობის ხელახლა აგება, ...სამხედრო ლაშქრის, ეროვნული გვარდიის შექმნა, რომელსაც დაეყრდნობა ქართველ სარდალთა მძიმე მკლავი ქართული ლაშქრის ნამდვილ ჯარად გადასაქცევად“.[18]

1918 წლის 14 იანვარს გაიხსნა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მეორე კონფერენცია. დელეგატებმა ის აზრი გამოთქვეს, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევასა და კონსტიტუციის შემუშავებას დიდი დრო უნდა, დაძაბული სიტუაცია კი დაუყონებლივ განმუხტვას მოითხოვსო. კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ჩაიწერა: დაუყონებლივ უნდა შედგეს საქართველოს დროებითი მთავრობა, რომელიც შეკრებს ძლიერ ლაშქარს, დაიცავს ქართველი ერის სუვერენულ უფლებებს ზავის ჩამოგდების დროს და მოიწვევს საქართველოს დამფუძნებელ კრებას.[19]

მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას არ აკმაყოფილებდა ეფემერული პოლიტიკური გაერთიანება, ფორმირების პროცესში მყოფი ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა და 1918 წლის დამდეგიდან დაჟინებით ლაპარაკობდა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს შექმნის საჭიროებაზე, თანაც ამ გარდამავალ პერიოდში ყურადღებას ამახვილებდა ძლიერი ხელისუფლებისა და ბრძოლისუნარიანი არმიის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე.

მკაცრი დისციპლინით შედუღაბებული და ერის წინაშე თავის მოვალეობის შეგნებით გამსჭვალული ჯარის ორგანიზების საჭიროებასა და მისი რეალიზაციის პრაქტიკული გზების შესახებ კიდევ უფრო კომპეტენტურად მსჯელობდნენ იმ დროინდელი ქართველი სამხედრო მოღვაწეები. პრესაში გამოქვეყნდა ჩამოყალიბების საწყის სტადიაში მყოფი მეორე ქართული დივიზიის მოწოდება. იქ ნათქვამი იყო: მემარცხენე პარტიების აგიტაცია-პროპაგანდამ ხალხი გააააქტიურა, შეიქმნა რაღაც ძალა ქვეყნის თავდაცვისათვის, მაგრამ იგი სახელმწიფოს ძლიერების საფუძვლად არ კმარა. დღეს ძირითადი ამოცანა არის „შექმნა ეროვნული, პარტიათა გარეშე მდგარი ისეთი ჯარისა, რომელსაც დაემყარება ხალხისაგან არჩეული დემოკრატიული ძალაუფლება". ეროვნული ჯარი კი იმ შემთხვევაშია ბრძოლისუნარიანი არმია და არა ბრბო, როცა მჭიდროდ არის შეკრული, ემორჩილება სამხედრო წესებს, დისციპლინას, თანაც, დემოკრატიული სახელმწიფოს ჯარს სამხედრო დისციპლინა შეთვისებული უნდა ჰქონდეს არა შიშით, არამედ ოფიცერთა და ჯარისკაცთა ურთიერთნდობით, პატივისცემით. ჩვენ გვესმის სიმწვავე სიტუაციისა, მოსალოდნელი განსაცდელის საშიშროება და მოვუწოდებთ ყველა შეგნებულ ქართველს მოიხადოს სამშობლოს წინაშე მოქალაქეობრივი მოვალეობა. „მივმართავთ

პოლიტიკურ პარტიებს თავიანთი ავტორიტეტით შეუწყონ ხელი ქართველ მოქალაქეთა ჩაწერას ეროვნულ ჯარში".[20]

ამიერკავკასიის დროებით მთავრობასაც, რა თქმა უნდა, კარგად ესმოდა შეიარაღებული ძალების მნიშვნელობა სახელმწიფოს შინაგანი წესრიგის შენარჩუნებისა და საგარეო საშიშროების თავიდან აცილებაში, თითქოს სათანადო ღონისძიებებსაც მიმართავდა, მაგრამ ერთიანი ჯარის ჩამოყალიბება მან ვერ შესძლო. საჭიროების დროს ეყრდნობოდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ საჯარისო ერთეულების მექანიკურ გაერთიანებას, რომელიც მოისუსტებდა დისციპლინით, შეიარაღება-გაწვრთნილობით და ამდენად ბრძოლისუნარიანობითაც.

საგარეო საშიშროების ზრდის ტენდენცია კი მალე დიდ ომში გადაიზარდა, რასაც ამიერკავკასიის ხალხები და კოალიციური მთავრობა სათანადოდ მომზადებული ვერ შეხვდნენ.

როგორც ითქვა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს დროებითი მთავრობის შექმნას და დამფუძნებელი კრების მოწვევას გეგმავდა, მაგრამ საქართველოს ყველაზე გავლენიანმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ ამ იდეას მხარი არ დაუჭირა. იგი კოალიციაში დარჩა დაშნაკებთან და მუსავატელებთან, მათთან ერთად შესძლო ამიერკავკასიის სეიმის (პარლამენტის) მოწვევა.

ამიერკავკასიის სეიმში, რომელმაც მუშაობა 1918 წლის 10 თებერვალს დაიწყო, ყველაზე მეტი დეპუტატი (32) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ჰყავდა. აზერბაიჯანელი მუსავატელები პარლამენტში წარმოდგენილი იყვნენ 30, ხოლო სომეხი დაშნაკები — 27 დეპუტატით. სხვა პარტიათა ფრაქციები გაცილებით მცირერიცხოვანი, ხოლო ზოგიერთის სიმბოლური იყო.

სეიმის პირველ სხდომაზე სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პროგრამით ნ. ჟორდანია გამოვიდა. ჩვენს პარტიას მიაჩნია, განაცხადა მან, რომ მიმდინარე რევოლუციის ამოცანა არაა კაპიტალისაგან შრომის განთავისუფლება. იგი მხოლოდ საამისო პირობებს მოამზადებს, ე.ი. შექმნის ისეთ სამეურნეო და პოლიტიკურ პირობებს, რომლებიც მომავალში გააადვილებენ ჩვენს ბრძოლას სოციალიზმისათვის. ქართველი სოციალ-დემოკრატები და ჩვენი რუსი ამხანაგები, პეტროგრადში ამ თეორიის თანახმად ვსაქმიანობდით, დემოკრატიული რევოლუციის ამოცანების გადაწყვეტას ვაპირებდით საერთო რუსული მასშტაბით. მაგრამ ხსენებული პროგრამით ჩვენი მოღვაწეობა შეწყვიტა ბოლშევიკურმა ავანტურამ. რუსეთის პროლეტარიატში, შეიძლება

ითქვას, გაიმარჯვა მაქსიმალისტურმა იდეებმა, მუშათა კლასმა დაიწყო სოციალისტურ რევოლუციაზე გადასვლა. გაჩაღდა სამოქალაქო ომი. რუსეთი დაიშალა. ასეთ პირობებში ჩვენი პარლამენტის ამოცანაა ამიერკავკასიას მისცეს სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმა, შექმნას რესპუბლიკური მართვა-გამგეობის სისტემა. ნ. ჟორდანიას აზრით, სეიმს ანგარიში უნდა გაეწია ხალხის სურვილებისა და მოთხოვნილებებისათვის, გაეტარებინა აგრარული რეფორმა, მთელი დატვირთვით ემუშავნა მუშათა საკითხის მოგვარებისათვის. უნდა ვაღიაროთ, რომ მუშებს შორის სჭარბობს ბოლშევიკური განწყობილება, თვით მენშევიკი მუშებიც კი ბოლშევიზმის სენით არიან შეპყრობილი. პროლეტარები ფიქრობენ, რომ მათი მატერიალური მდგომარეობაც უნდა გაუმჯობესდეს და მრეწველობამაც წინსვლა განაგრძოს, რაც ჩვენი აზრით შექმნილ სიტუაციაში თითქმის გამორიცხულია; კაპიტალისტური მრეწველობის და მუშათა კლასის ინტერესთა შეთანწყობა ძნელია, მაგრამ მუშური პოლიტიკა ჩვენ ამ მიმართულებით უნდა განვავითაროთ. შრომისა და კაპიტალის ბრძოლისათვის უფლებრივი ფორმის მიცემა თავიდან აგვაცილებსო ანარქიას.

ამიერკავკასიისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, ნ. ჟორდანიას განცხადებით, ეროვნული საკითხი იყო. მას ჩვენ ყოველთვის ორ ასპექტში განვიხილავდითო: ყურადღებას ვაქცევდით როგორც ამ მხარის ხალხთა ცენტრთან დამოკიდებულების, ისე შიგაკავკასიური ეროვნული ურთიერთობის მოწესრიგების პრობლემებს. ჯერ არ ვიცით, თუ როგორი იქნება მომავალში ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან. ამიტომ პირველი მხარე, დროებით მაინც, მოხსნილია. სეიმმა ძირითადად შინაგანი ეროვნული საკითხის გადაჭრაზე უნდა იმუშაოს. რაკი რევოლუცია ხალხებს თვითმართველობას აძლევს, იგი ეროვნული უნდაიყოს. სეიმი იზრუნებს იმაზე, რომ ამიერკავკასიის ერები ტერიტორიულად გაიმიჯნონ და თვითმმართველი კანტონების სახით ჩამოყალიბდნენო.[21]

სეიმის იმავე სხდომაზე სოციალისტ-ფედერალისტთა სექციამაც მოითხოვა სამი ძირითადი ერის ტერიტორიულ-პოლიტიკური გამიჯვნა და მათი კონფედერაციული კავშირის ჩამოყალიბება. გადაწყვეტა საკითხისა ამიერკავკასია დამოუკიდებელი იქნებოდა თუ შევიდოდა რუსეთის ფედერაციაში, ს. ფედერალისტების აზრით, დამოკიდებული იყო რუსეთის სოციალ-პოლიტიკურ ფორმაზე. თუ რუსეთში აღდგებოდა დემოკრატია, გაიმარჯვებდა სოციალური სამართლიანობის პრინციპი,

ამიერკავკასია დარჩებოდა მის შემადგენლობაში ავტონომიური სახელმწიფოებრივი ერთეულის სახით.

სეიმის ტრიბუნიდან გ. გვაზავამ წაიკითხა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დეკლარაცია. რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მათი ფრაქცია მხარს უჭერს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს პოლიტიკურ გამოყოფამდე, მაგრამ დასაშვებად ჩათვლის ერების კავშირს, თუ იგი დაემყარებაო თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხელშეკრულებას. გ. გვაზავამ მკაცრად გააკრიტიკა რუსული პარტიები (განსაკუთრებით ბოლშევიკები), რომელნიც სიტყვით აღიარებდნენ ერების თვითგამორკვევის უფლებას, საქმით კი ხშირად ხელს უშლიდნენ მის განხორციელებას. ამის მკაფიო მაგალითად მან დაასახელა თვითგამორკვევა – დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი უკრაინა, რომელსაც ბოლშევიკურმა რუსეთმა ომი გამოუცხადა. თითქმის ასევე იქცევიანო მენშევიკებიც. მათ არსებითად დაივიწყეს ეროვნული იდეა, ბევრს ლაპარაკობენ კლასობრივ ბრძოლასა და რევოლუციის გაღრმავებაზე. ჩვენ კი ეროვნულ-დემოკრატებს რევოლუციის მთავარ ამოცანად მიგვაჩნია დაჩაგრული ხალხების განთავისუფლება, ეროვნული ხელისუფლების შექმნა.

ამიერკავკასიელმა ესერებმაც დაუჭირეს მხარი ამიერკავკასიის სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცებას, მოითხოვეს ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობის შექმნა, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა სეიმის წინაშე.

ამიერკავკასიელი კადეტების და აქაური რუსი მოსახლეობის თვალსაზრისი ჩამოაყალიბა სემიონოვმა. მისი აზრით, შექმნილ სიტუაციაში სეიმის მოწვევა აუცილებელი იყო, მაგრამ არავის არ უნდა დაევიწყებინა, რომ ამიერკავკასია ერთიანი რუსეთის განუყოფელი ნაწილია, რომელიც დედასაშობლოს მხოლოდ დროებით ჩამოსცილდა. მან იმედი გამოთქვა, რომ ამიერკავკასიის სეიმი ხელს შეუწყობდა რუსეთში დემოკრატიის აღდგენას და მის კვლავ გაერთიანებას.

აზერბაიჯანის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ამიერკავკასიის ძირითადი ერების კანტონების შექმნას და მათ გაერთიანებას ფედერაციაში. სომეხმა დეპუტატებმაც საჭიროდ მიიჩნიეს ამიერკავკასიის სეიმის შექმნა, მის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობის ჩამოყალიბება. ცალკეულ ერებს კი პოლიტიკური ავტონომია არ სჭირდებათ, მათთვის საკმარისიაო კულტურულ-ნაციონალური ავტონომია.[22]

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თითქმის მთლიანად იწუნებდა სოციალ-დემოკრატიის სოციალურ პროგრამას, მაგრამ დროებით მზარს უჭერდა ამ პარტიის ამიერკავკასიური მასშტაბის ჰეგემონიას, რადგან იმედოვნებდა, რომ მმართველი პარტია ნებსით თუ უნებლიეთ ისე წარმართავდა ახალი სახელმწიფოს პოლიტიკას, რომ მომზადდებოდა ერების ნორმალური გამიჯვნისა და ქართული სუვერენული სახელმწიფოს შექმნის პირობები.

საბჭოთა რუსეთის ცნობაზე უარის თქმით და ამიერკავკასიის გამოყოფის პოზიციაზე დადგომით საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ამიერკავკასიის თითქმის ყველა პარტიის ნდობა დაიმსახურა და სეიმის ფრაქციებისაგან ახალი მთავრობის ჩამოყალიბების სანქცია მიიღო. აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით შექმნილ და სეიმის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობაშიც მინისტრთა პოსტების უმრავლესობა თანმიმდევრობით მენშევიკებმა, მუსავატელებმა და დაშნაკებმა დაისაკუთრეს.

გაზ. „საქართველოს“ პუბლიცისტები გამოთქვამდნენ ვარაუდს, რომ სოციალისტებს დემოკრატიული მთავრობის ხელმძღვანელობა გაუჭირდებოდათ. ისინი ცდილობდნენ მმართველი პარტიის სოციალიზმის სენისაგან განთავისუფლებას.გაზეთის რედაქცია გამოთქვამდა იმედს, რომ ქართული დემოკრატია დიდხანს არ იქნებოდა გაჩხერილი „ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილების ალაყაფის ჭიშკარში“. იგი ან შენობაში შევიდოდა და გაბედულად შეუდგებოდა დემოკრატიული მართვა-გამგეობის სისტემის შექმნას, ხელს შეუწყობდა ქვეყნის კაპიტალისტურ განვითარებას, ან გაიჭრებოდა ველად, სადაც მძვინვარებდა ბნელი პოლიტიკური სტიქიონი და სადაც ბოლშევიკური დემაგოგიისაგან მოტყუებული მასა ცოდვილობდა. ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ ამ ორი ალტერნატიული გზების მიჯნაზე იდგნენ მენშევიკები. საჭირო იყო სწორი მიმართულების ამორჩევა. „თუ ჩვენი სოციალ-დემოკრატია — წერდა დასახელებული გაზეთის რედაქცია — დროზე დაადგა პირველ გზას, მთელი ქართველი ერი გაერთიანდება დემოკრატიული აღმაშენებლობის ასპარეზზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ზრდა-განვითარება. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ სოციალ-დემოკრატიამ გადალახოს ვიწრო კლასიური, ვიწრო პარტიული და სექტანტური სულისკვეთება“. თუ მმართველმა პარტიამ ეს ვერ შესძლო, მთელი ამიერკავკასია და კერძოდ საქართველო განვითარების სწორ გზას

ასცდება. ამგვარად, ან „საერთო დემოკრატიული პლატფორმა, ეროვნული აღმშენებელობის დაწყება, ანდა რევოლუციის „გაღრმავება“ განახლება, კიდევ ნგრევა და ანარქია“.[23]

ამიერკავკასიის სოციალისტური და ბურჟუაზიული პარტიების ბლოკი, ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოები კომპრომისული პოლიტიკის გატარებით ცდილობდნენ სოციალური ანტაგონიზმის შესუსტებას, კლასობრივი ზავის ჩამოგდებას მემამულეებსა და გლეხებს, კაპიტალისტებსა და მუშებს შორის. პარლამენტმა, მართალია, 1918 წლის 7 მარტს დაამტკიცა აგრარული კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მსხვილ მემამულეთა მიწების კონფისკაციას, მაგრამ მთავრობას არსებითად არაფერი გაუკეთებია მისი რეალიზაციისათვის. ბოლშევიკებმა კარგად გამოიყენეს გლეხთა უკმაყოფილება, შესძლეს გლეხთა აჯანყების პროვოცირება ლიახვის ხეობაში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, აფხაზეთში. ინფლაციისა და სიძვირის შემდგომი ზრდის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მუშებიც. ხდებოდა ეკონომიკური გაფიცვები. საშინაო სიძნელეებს ემატებოდა საერთაშორისო გართულებები.

1918 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთი სეპარატულ საზაო მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიასა და მის მოკავშირეებთან. თურქეთის დელეგაციამ წინ წამოსწია ბათუმისა და ყარსის საკითხი, მოითხოვა ამ ტერიტორიების თურქეთისათვის გადაცემა. ბრესტ-ლიტოვსკის საზაო კონფერენციას ამიერკავკასიის დროებითი მთავრობის წარმომადგენლობა არ დასწრებია, არანაირად არ უცდია თავის ინტერესების დაცვა. არც საბჭოთა მთავრობას, მის დელეგაციას გამოუდგია თავი ძველი რუსეთის ამ სამფლობელოების შენარჩუნებისათვის, დასაშვებად მიაჩნდა მისი დათმობა თურქეთისათვის.

როცა ამ ინფორმაციამ თბილისში ჩამოაღწია, ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა საბჭოთა რუსეთის ასეთი პოზიციის გამო და გადაწყვიტა თურქეთთან უშუალო მოლაპარაკება გაემართა. აკაკი ჩხენკელმა სპეციალური დელეგაცია გაგზავნა ტრაპიზონში, რომელმაც თურქეთს უანექსიო ზავი, 1914 წლის საზღვრის ხელუხლებლად დატოვება მოსთხოვა. მაგრამ ამიერკავკასიის მთავრობის მესვეურები დარწმუნდნენ რომ აგრესიულად განწყობილ მეზობელთან სამართლიანი ზავის დადება ფუჭი ოცნება იყო.

ბრესტის საზაო ხელშეკრულების სათანადო მუხლის თანახმად ბათუმისა და ყარსის ოლქების კუთვნილების საკითხი ადგილობრივი

მოსახლეობის გამოკითხვის, რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყვეტილიყო. მაგრამ თურქეთის მთავრობა არ დაელოდა პლებისციტის ჩატარებას. 1918 წლის მარტ-აპრილში თურქთა ჯარებმა ფართო შეტევითი ოპერაციები განახორციელეს, დაიკავეს ყარსის ოლქი, ერევნის გუბერნიის დიდი ნაწილი, ბათუმის ოლქი, ოზურგეთისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ნაწილი, ბათუმის ოლქი, ოზურგეთისა და ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ნაწილი. ხალხი, მართალია, აღსდგა ოკუპანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად მაგრამ მთავრობის მაორგანიზებელი როლი თითქმის არ ჩანდა. ქართული და სომხური ჯარისახლად შექმნილმა ერთეულებმა მტრის შემოტევის შეჩერება ვერ შესძლეს. თურქეთის მთავრობამ სადაო ტერიტორიების დაკავების შემდეგ ტერორის ვითარებაში.ჩაატარა რეფერენდუმი, მიიღო ხმების უმრავლესობა და მიიჩნია, რომ ბათუმ-ყარსის ოლქების ანექსიის კანონიერი უფლება მოიპოვა.

სამხედრო მარცხმა ამიერავკასიის მთავრობა დათმობის გზაზე დააყენა. მან გააკეთა განცხადება, რომ სცნობდა ბრესტის ზავის პირობებს, ოსმალეთის სამფლობელოდ აღიარებდა ბათუმისა და ყარსის ოლქებს. მთავრობამ საზაო-მოლაპარაკების გაგრძელების სურვილიც გამოთქვა, მაგრამ ოსმალეთმა ამის წინაპირობად მიიჩნია ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფის დაკანონება, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ოფიციალური და დეკლარაციული გაფორმება.

მოწინააღმდეგის ამ პრეტენზიამ მოვლენების განვითარება დააჩქარა. 1918 წლის 9 აპრილს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი. ხანგრძლივი კამათის შემდეგ მიღებულ რეზოლუციაში ჩაიწერა: ამიერკავკასია გამოცხადდეს ფედერაციულ რესპუბლიკად, რომელშიც გაერთიანდება საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის პოლიტიკურ-ტერიტორიული ერთეულები. ზოგიერთ სხვა ეროვნებებს, შესაფერისი ტერიტორიების ფარგლებში მიეცეს ავტონომია.

მალე ამის შემდეგ საკითხის განხილვა ამიერკავკასის პარლამენტში იქნა გადატანილი. 1918 წლის 22 აპრილს სეიმმა ხმების დიდი უმრავლესობით მიიღო დეკლარაცია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის და დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკად მისი გამოცხადების თაობაზე. გარკვეული ცვლილება მოხდა მთავრობის შემადგენლობაში. აკ. ჩხენკელმა დაიკავა მთავრობის თავმჯდომარისა და საგარეო-საქმეთა მინისტრის პოსტები. შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა ნ.

რამიშვილი, ფინანსთა — ა. ხატისოვი, იუსტიციის — ფ. ხოისკი, სამხედრო — გრ. გიორგაძე, მიწათმოქმედების — ნ. ხომერიკი, სახალხო განათლების — ნ. უსუმბეკოვი, შრომისა — ა. აერზინკიანი, სასურსათო საქმეთა მინისტრი — ა. სააკიანი და სხვ.[24]

1918 წლის 11 მაისს თურქეთთან საზავო მოპალარაკება ბათუმში განახლდა. ამიერკავკასიის დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ ხელშეკრულებას საფუძველად დაედებოდა ბრესტის ზავის პირობები. მაგრამ სამხედრო წარმატებებით გაამაყებულმა თურქებმა გაცილებით მეტი ტერიტორიები მოითხოვეს. მათ მიერ წარმოდგენილი საზაო ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად ამიერკავკასიას თურქეთისათვის უნდა დაეთმო ბათუმ-ყარსის ოლქები, ერევნის გუბერნიის მესამედი, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები და სრული მშვიდობიანობის დამყარებამდე ოსმალეთის კონტროლქვეშ მოქცეულიყო ამიერკავკასიის რკინიგზა. საქართველოსა და სომხეთის მმართველ პარტიათა ლიდერები, ბუნებრივია, თურქეთის ასეთ გადაჭარბებულ პრეტენზიებს ვერ მიიღებდნენ. საქართველოს ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელები ცდილობდნენ გერმანიის დელეგაციის დახმარებით შეეკვეცათ ოსმალ აგრესორთა მადა. სომხები ინგლისზე ამყარებდნენ იმედს. აზერბაიჯანის პოლიტიკურ პარტიებს კი მიზანშეწონილად მიაჩნდათ მათ ქვეყანაზე თურქეთის პროტექტორატის დამყარება.[25]

აკ. ჩხენკელის გეგმის მიხედვით, ზავი და სამხედრო-პოლიტიური ხელშეკრულება უნდა დადებულიყო არა მარტო ოსმალეთთან, არამედ მის მოკავშირეებთანაც. დელეგაციის მეთაური (იგივე აკ. ჩხენკელი) 12 მაისს მთავრობას აცნობებდა, — თუ გერმანიის დელეგაციამ გადამწყვეტი დახმარება არ გაგვიწია, თურქები დაგვჩაგვრავენო. ოსმალეთი ომს განაახლებს, სომხეთს გაანადგურებს, აზერბაიჯანს მოკავშირედ გაიხდისო. აკ. ჩხენკელი აღიარებდა, ბათუმის მოლაპარაკებაზე ამიერკავკასიის სახელით ძირითადად სომხეთის ინტერესებს ვიცავდი, თუმცა კარგად ვიცოდი, საქართველოს სახელით რომ მემოქმედა აქამდე ზავი დადებული იქნებოდაო. ახლა სხვა გამოსავალი არაა, პოლიტიკა და მოლაპარაკების გეზი უნდა შევცვალოთ. აუცილებელია საქართველოს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფაო. ორიოდე დღის შემდეგ კი მთავრობისა და საზავო დელეგაციის ხელმძღვანელი ნ. ჟორდანიას სწერდა: თურქებს არ უნდა მივცეთ საომარი მოქმედების განახლების მიზეზი, ქართული პერიოდული პრესის ზოგიერთი ორგანო კი ამაში ხელს გვიშლის. „ლანძღვა-

გინება გერმანიისა, როცა მისი წარმომადგენლები აქ ხელს გვიწყობენ, ვერაგობაა, სხვა არაფერი. „ბორბასა“ და „იზვესტიას“ უნდა ჩავაგონოთ, რომ გერმანიის იმპერიალიზმი, რომელზეც ასე ჭყივიან, უკეთესია რუსეთის იმპერიალიზმზე, ...იცოდეთ, თურქეთთან ომის განახლების შემთხვევაში აზერბაიჯანელები სომხებს გასწირავენ, ჩვენც ზედ მიგვაყოლებენ. თუ თურქებმა და თათრებმა (აზერბაიჯანელებმა ა.ბ.) თავისი გაიტანეს, მაშინ აუცილებელი გახდება საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ზავის შეკვრა ჩვენთვის უფრო მისაღები პირობით“.[26]

ბათუმის საზავო კონფერენცია დიდი დაძაბულობით გრძელდებოდა. ამიერკავკასიასა და საქართველოში კი შინაპოლიტიკური მდგომარეობა რთულდებოდა. ქართული პოლიტიკური პარტიები მეტნაკლებ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის იურიდიულად გაფორმების გამო. ზოგი მათგანის უკმაყოფილებას კი ის იწვევდა, რომ ჯერ კიდევ არ არსებობდა ამიერკავკასიის რესპუბლიკის კონსტიტუცია და არ იყო განსაზღვრული ფედერაციის შემადგენელი სამი ძირითადი ერთეულის პოლიტიკური სტატუსი, რეალურად არ არსებობდა ქართული ეროვნული (ავტონომიური) სახელმწიფო. ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ამიერკავკასიის ხალხთა კონფედერაციულ მოწყობაზე ლაპარაკობდა, ზოგი კი საქართველოს სრული დამოუკიდებლობის გამოცხადებას მოითხოვდა.

ეროვნულ-დემოკრატი რ. ინგილო (ივანიცკი) წერდა, რომ ამიერკავკასიის ძირითადი ერები ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ვერ შეეგუებიან. ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი წყობილება იმგვარად უნდა ჩამოყალიბდეს, რომ „დაცული იქნეს ეროვნებათა განთვისებული მიდრეკილებანი და სახელმწიფოს მთლიანობაც“. შექმნილ პირობებში საჭირო არის ამიერკავკასიის ხალხთა უნია, მაგრამ გადასაწყვეტია საკითხი რა ფორმა უნდა მიიღოს მან. სოციალ-დემოკრატები ასაბუთებენ ფედერაციის უპირატესობას, ჩვენ კი უმჯობესად მიგვაჩნია ამიერკავკასიის ეროვნულ სახელმწიფოთა კავშირის შექმნა. პირველ შემთხვევაში ავტონომიურ სახელმწიფოთა უფლებები მნიშვნელოვნად შეიზღუდება ცენტრის მტერ. კავშირის შექმნა კი არ გულისხმობს გაერთიანებულ სახელმწიფოთა უფლებების შეკვეცას, რადგან თვით კავშირი არის შედეგი ეროვნულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი უნიისა. „ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულებს შორის უნდა მოეწყოს მხოლოდ ნებაყოფლობითი კავშირი, არავითარი

იძულებითი აპარატი არ უნდა შეიქმნას რომელიმე სახელმწიფოს შესაძლებელი გამოყოფის წინააღმდეგ". სტატიის ბოლოს ავტორი აღნიშნავს, რომ ამიერკავკასიის სეიმში უკვე დაიწყო კონსტიტუციის შემუშავება, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ გადამწყვეტი სიტყვა და აზრი ოფიციალური ორგანოების მიღმა გამოითქვასო.[27]

გადამწყვეტი სიტყვისა და აზრის მთავარ არენად რ. ინგილოსა და ბევრს სხვა ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს მიაჩნდა საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც ზემოაღნიშნული პრობლემების გარჩევას რამდენიმე სხდომა მოანდომა 1918 წლის მაისში. სოციალისტ-ფედერალისტები თითქოს ჯერ კიდევ ვერ ელოდნენ ამიერკავკასის ხალხთა ფედერაციული კავშირის იდეას. შ. ალექსი-მესხიშვილმა განაცხადა არაა სასურველი ამიერკავკასიის გათიშვა, მაგრამ რაც შეიძლება მეტი თავისუფლება უნდა მიენიჭოსო მის შემადგენელ სახელმწიფოებს. გრ. რცხილაძის აზრით ყველა პოლიტიკური ერთეული უნდა ყოფილიყო სუვერენული. ფედერალურ სახელმწიფო ორგანოებს უნდა მინდობოდა მხოლოდ საგარეო პოლიტიკა, სამხედრო და საფინანსო საქმეები. ახალი სახელმწიფო იქნებოდა საშუალო ტიპი ფედერაციასა და კონფედერაციას შორის. განსხვავებული თვალსაზრისი განავითარეს ეროვნულ-დემოკრატებმა. კ. აფხაზმა აღნიშნა, რომ არ ჩატარებულა რეფერენდუმი, ამიერკავკასიის ერებს არაფერს დაკითხებიან მხარის სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ. ფედერაციის შექმნა გამოცხადდა, მაგრამ „ჩვენ ჯერ არ გვაქვს ის ერთეულები, რომელთაგან უნდა შედგეს ფედერაცია". ამიერკავკასიის ფედერაციული გაერთიანება ნაძალადევი აქტია, რადგან იგი არ შეესაბამება აქაური ხალხების ცხოვრების წესს. ჩემი ნატვრაც ის არის, რომ ამ ომმა და რევოლუციამ ქართველ ერს სრული თავისუფლება მოუტანოს და უნიტარული სახელმწიფოს შექმნის საშუალება მისცესო. დაახლოვებით ასეთივე აზრი გამოთქვა მისმა თანაპარტიელმა შ. ქარუმიძემაც. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ დიდი განსხვავებაა ამიერკავკასიის ერთა კულტურაში, ზნე-ჩვეულებებში, რელიგიაში. „თუ ჩვენ იმ ძალებით, რომლებიც ცალ-ცალკე ისწრაფვიან, შეექმენით (დავაკანონეთ) ისეთი კონგლომერატი, რომელიც იქნება ამიერკავკასიის ფედერაცია თუ კონფედერაცია, — სულ ერთია, იგი მალე დაიშლება-ო".

გრ. ვეშაპელის აზრით, სოციალ-დემოკრატიული სექციის საგარეო პოლიტიკის სისუსტეს განაპირობებდა მისი რუსული ორიენტაცია. სოციალ-დემოკრატები ერეკლე მეორის მიმდევრები არიან. მათ ჯერ

კიდევ ვერ შეიგნეს, რომ ასეთ პოლიტიკას ყავლი გაუვიდა. ჩვენი ვალია სწორად შევაფასოთ საერთაშორისო ძალთა ახლებური განლაგება და ისეთი ორიენტაცია ავიღოთ, რომელიც დაგვეხმარებაო საქართველოს სუვერენიტეტისა და მთლიანობის დაცვაში. მ. მაჩაბელმა დამატებით ის აღნიშნა, რომ ჩვენი მეფენი საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებებზე მეტს ზრუნავდნენ, ვიდრე ქართველებზე. ასევე იქცევიან ჩვენი სოციალ-დემოკრატები. აგერ ზინ ნ. ჟორდანია, რომელიც ყველასათვის ზრუნავს. დროა მან ქართველებზეც იზრუნოს. ყველა ჩვენთაგანის ვალია, გამოვაცხადოთ საქართველო სუვერენულ სახელმწიფოდ".[28]

1918 წლის 15 მაისს აკ. ჩხენკელი ბათუმიდან (სადაც მიმდინარეობდა საზაო მოლაპარაკება) საიდუმლოდ სწერდა ნ. ჟორდანიას, რომ 31 მარტის შეცდომა არ უნდა გავიმეოროთ, თურქეთთან ომის განაცხადი დაგვლუპავს. ამიერკავკასიის სახელით თურქებთან საზაო მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. მაქვს რა გერმანიის დელეგაციის მხარდაჭერის იმედი, მე ვიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით. საქართველოს დამოუკიდებლობა – აი პირველი ნაბიჯი, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება, ...თქვენ ვალდებული ხართ ქართველ ერს უხელმძღვანელოთ... თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, სხვა არავინ არის თქვენსავით გავლენიანი,... საჭიროა გამბედაობა. ნუ გადააქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შესძლებს ერის ხსნას".[31]

რაკი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალთა უმეტესობა, ქართველი ერის დიდი უმრავლესობა თავისუფლებისა და სრული დამოუკიდებლობისაკენ მიისწრაფოდა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამაც რადიკალურად შეცვალა თავის პოზიცია. დასთმო ცენტრალიზმისა და ფედერალიზმის იდეა, ხელში აიღო საქართველოს სუვერენიტეტის დროშა. მით უმეტეს, რომ რთულ შინაპოლიტიკურ და საერთაშორისო მდგომარეობიდან დამოუკიდებელი საქართველო უკეთ შესძლებდა გამოსვლას. უკვე აღინიშნა, რომ ამ დასკვნამდე მივიდა თვით ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარედ და საგარეო საქმეთა მინისტრი აკ. ჩხენკელიც.

ასეთ გადამწყვეტ მომენტში, ბუნებრივია, ყველა პოლიტიკური პარტიის წინაშე განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა საგარეო ორიენტაციის პრობლემა, საიმედო მოკავშირის გამონახვის საკითხი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის აზრით, იმ მომენტში საქართველოს

წინაშე რეალურად ორი გზა ჩანდა: 1) ბოლშევიკურ რუსეთთან რაიმე ფორმით შეერთება, რაც ქართველი ერის დიდ უმრავლესობას მიზანშეუწონლად მიაჩნდა და 2) რუსეთისაგან საქართველოს გამოთიშვა, დასავლეთის სამყაროს რომელიმე დიდი სახელმწიფოს მფარველობა-დახმარებით დამოუკიდებლობის მოპოვება. „საქართველოს" ერთ-ერთი თანამშრომელი წერდა: „მე მგონია ახალი თაობის საერთო შეხედულებას გამოვხატავ თუ ვიტყვი, რომ დღეს საქართველოსთვის უმჯობესია სუვერენული უფლებების შეზღუდვა, ვიდრე რომელიმე მნიშვნელოვანი პროვინციის დაკარგვა. არცერთი ევროპული სახელმწიფოს პროტექტორატი საქართველოსათვის ისე საშიში არ არის, როგორც მისი ცოცხალი სხეულის გახლეჩა-განაწილება.[29]

ეს საკითხი კიდევ უფრო ფართო ასპექტში დასვა ალ. ასათიანმა. იგი წერდა: „თავისუფალი სახელმწიფოებრივი ცხოვრება მაშინ არის ერისათვის სასურველი, როდესაც ის უზრუნველყოფს მშვიდობიან განვითარებას, როდესაც დაცულია მოქალაქეობრივი თანასწორობა და თავისუფლება... ადამიანის სიცოცხლე, ქონება და პიროვნული უშიშროება". საქართველოს, ქართველ ერს, განაგრძობდა ალ. ასათიანი, აქვს ამის რაღაც ელემენტები, მაგრამ მარტო „ჩვენი საკუთარი ძალით ვერ შეექმნით სახელმწიფოებრიობას, რომელიც უზრუნველყოფს ერის ბუნებრივ განვითარებას". ფაქტია, რომ ჩვენზე უფრო დიდ ერებს გამოუყენებიათ ძლიერი სახელმწიფოების დახმარება. პოლონეთმა, ფინეთმა, ლიტვამ და ზოგმა სხვა სახელმწიფოებმა გერმანიის დახმარებით გადალახეს პირველი დაბრკოლებანი. ჩვენც გერმანიას უნდა ვთხოვოთ გამოგვიწოდოს დახმარების ხელი. იმ გერმანიას, რომელსაც რაიმე პოლიტიკური მიზნები საქართველოს მიმართ არ ამოძრავებს, მაგრამ სურვილი აქვს ისარგებლოს ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრით, ეკვივალენტური გაცვლის საფუძველზე მიიღოს მარგანეცი, სპილენძი, ბამბა და სხვ. ...„ჩვენ უნდა შეგვწევდეს უცხო ძალის მოწვევის გამბედაობა, როდესაც საკუთარი ძალებით არ შეგვიძლია საქართველოს ეროვნული არსებობის უზრუნველყოფა".[30]

აკაკი ჩხენკელი ასეთსავე აზრამდე მივიდა ცოტა მოგვიანებით, ბათუმის საზავო კონფერენციის გახსნისა და თურქთა ულტიმატუმური მოთხოვნების მოსმენის შემდეგ. მან წინადადება მისცა ნ. ჟორდანიასა და ეროვნული საბჭოს სხვა ლიდერებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. ეროვნულ საბჭოში კვლავ გრძელდებოდა პარტიათა წარმომადგენლების დებატები, გვიანდებოდა

გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა. საქმის გაჭიანურება არ მოსწონდა აკ. ჩხენკელს. 23 მაისს ბათუმიდან იგი საიდუმლდ სწერდა ეროვნულ საბჭოს: „მე ვფიქრობ, თქვენ უკვე გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა, თუ არა, მე არ მესმის თქვენი ტაქტიკა. ერთადერთი გამოსავალი მხოლოდ ესაა. საქართველოს მთავრობის პირველი ნაბიჯი უნდა იყოს – სთხოვოს გერმანიას მფარველობა თავის დამოუკიდებლობის დასაცავად. დადგენილება ამის შესახებ უნდა გადაეცეს გრაფ შულენბურგს. ის ამ თქვენს შუამავლობას გადასცემს თავის მთავრობას. შეიძლება პასუხის მოსვლამდე თვითვე იკისროს გერმანიის იმპერიის წარმომადგენლის როლი. ასეთ შემთხვევაში ის გამოიყენებს თავის პატარა რაზმს ტყვეებისაგან შემდგარს, მიეგებება მომხდომ თურქებს და განუცხადებს, რომ საქართველო უკვე გერმანიის მფარველობაში იმყოფება და თურქებს არ აქვთ უფლება მისი ტერიტორია გადმოლახონ, ...შიფრით გადავეცი გენერალ კვინიტაძეს თქვენდა გადმოსაცემათ თუ რა გმართებთ გააკეთოთ სამხედრო თადარიგის მხრით, ...მტერს შეიძლება წინააღმდეგობა გაეწიოს მხოლოდ დამოუკიდებელი საქართველის სახელით. უნდა მიიღოთ ზომები: გზები გააფუჭოთ, შეუტიოთ, კარგი სტრატეგიული პუნქტები დაიკავოთ. რუსეთის ჯარს არას გზით არ დაენდოთ. ყველა ისინი, ვინც ამ წუთში დაძრავს ენას რუსეთის ორიენტაციის შესახებ, შესაბოჭია, ...ბოლშევიზმი სამშობლოს ღალატია“.[31]

გერმანელი ტყვეებისაგან შეიარაღებული რაზმის შექმნისა და მისი თურქებთან დაპირისპირების იდეა, როგორც ჩანს, უფრო ადრე თბილისში დაიბადა. ეროვნულმა საბჭომ შექმნა განსაკუთრებული კომისია (ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე), რომელსაც დაევალა ღონისძიებების გატარება თურქთა ჯარების ახალი შემოტევის შესაჩერებლად. გადაწყდა უკვე შექმნილი ქართული ეროვნული ნაწილების მოსალოდნელ ფრონტზე (გურიაში) გაგზავნა. დ. ვაჩნაძემ იშუამდგომლა იმ დროს თბილისში მყოფ გრაფ შულენბურგთან და მისი ნებართვით ჩამოაყალიბა გერმანელ ტყვეთაგან შეიარაღებული რაზმი. დ. ვაჩნაძემ და ლეიტენანტმა ემილიო კაიზერმა სწრაფად შემოსეს, შეაიარაღეს გერმანელი ტყვეები და 1200 ჯარისკაცი ფრონტზე გაგზავნეს. გერმანული ბატალიონი თურქების პირისპირ დადგა. ნატანების ხიდთან, იქით და აქეთ ერთდროულად ფრიალებდა თურქული და გერმანული დროშები. თუ ვირწმუნებთ რ. გაბაშვილის მონათხრობის ჭეშმარიტებას, გერმანული ბატალიონის დახმარებით მოსპო ქართველმა ჯარმა და

ვალერიან გოგუაძის ჯავშნოსანმა მატარებელმა გურიის ფრონტზე თურქთა 500 ჯარისკაცი და ოფიცერი. ამ ერთმა გამარჯვებამ და რაც მთავარია გერმანელთა რაზმის ქართული ჯარის გვერდით ყოფნამ თურქები შეაშფოთა. ძლევამოსილი მოკავშირის პროქართულმა პოზიციამ გარკვეულ დათმობაზე წაიყვანა თურქეთის მთავრობა; აიძულა იგი შემოტევა შეეჩერებინა, განეახლებია საზავო მოლაპარაკება.

თითქმის ყველა ხედავდა, რომ რთული სიტუაციიდან გამოსვლა ქართველ ხალხს მარტო საკუთარი ძალებით არ შეეძლო. მხოლოდ ბოლშევიკები იხედებოდნენ ჩრდილოეთისაკენ, ხსნას საბჭოურ რუსეთთან მიერთებაში ხედავდნენ. სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებანი მეტ-ნაკლებ იმედს გერმანიაზე ამყარებდნენ. რადგან არ მოხერხდა ამიერკავკასიის სამი ძირითადი ერის ფედერაციული კავშირის განმტკიცება, ქართველ ხალხს ცალკე უნდაგაეკვალა უკეთესი მომავლის გზა. დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფო შინაგანი ძალების დაძაბვითა და საიმედო მოკავშირის დახმარებით შესძლებდა განსაცდელისაგან თავის დაღწევას.

1918 წლის 25 მაისი პოლიტიკური დაძაბულობით გამოირჩეოდა. დებატები მიმდინარეობდა როგორც ამიერკავკასიის სეიმში, ისე საქართველოს ეროვნულ საბჭოში. სეიმის პოლიტიკურმა ფრაქციებმა ვერ შესძლეს საერთო ენის გამონახვა. ჩიხში მომწყვდეულმა ამიერკავკასიის პარლამენტმა 26 მაისს, დილის 11 საათზე დაამტკიცა თავისი უკანასკნელი დეკრეტი ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლისა და სეიმის თვითლიკვიდაციის შესახებ. იმავე დღეს, საღამოს 5 საათზე საქართველოს ეროვნული საბჭოს დავალებით ნ. ჟორდანიამ მთავრობის სასახლეში მრავალრიცხოვანი ქართველი საზოგადოებისა და უცხოელი სტუმრების წინაშე წაიკითხა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი.

III თავი

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. დროებითი პარლამენტი და დროებითი მთავრობა. (1918 წ. მაისი - 1919 წ. მარტი)

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის პრეამბულაში ნათქვამი იყო: 1917 წლის რევოლუცია ისე განვითარდა, რომ ფრონტი დაიშალა. რუსეთის არმიამ დასტოვა ამიერკავკასია. მხარის პოლიტიკურმა პარტიებმა შექმნეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები. მაგრამ შინაპოლიტიკური კრიზისის და გარეშე ძალთა ზეგავლენის გამო ამიერკავკასიის ერთა კავშირი დაირღვა, ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა. ასეთ პირობებში ქართველი ხალხის ინტერესი მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი მეშვეობით გარეშე ძალის მიერ დაპყრობის საფრთხე თავიდან აიცილოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი ჩაყაროს.

ყოველივე აქედან გამომდინარე საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ არჩეული ეროვნული საბჭო აცხადებს: „1) ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა; 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა; 3) საერთაშორისო ომიანობაში საქართველო ნეიტრალური სახელმწიფოა; 4) საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს; 5) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანაბრად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის პოლიტიკურ და სხვა უფლებებს; 6) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზე მოსახლე ყველა ერს; 7) დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული

იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობით და დროებითი მთავრობა, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნული საბჭოს წინაშე".[1]

დამსწრე საზოგადოებამ დამოუკიდებლობის აქტი ფეხზე ამდგარმა მოისმინა. ხშირად გაისმოდა ტაში და ოვაციები. მყუდროების დამყარების შემდეგ თავმჯდომარის წინადადებით ეროვნული საბჭოს მდივანი სასახლის აივანზე გავიდა და იქიდან წაუკითხა ქუჩაში შეკრებილ ხალხს დამოუკიდებლობის აქტი. ხშირად გაისმოდა ვაშა და ხანგრძლივი ტაში. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მთელმა ქართველმა ხალხმა იზეიმა.

მხოლოდ ქართველმა ბოლშევიკებმა დაგმეს რუსთისაგან გამოყოფის დამკანონებელი აქტი, თავიდანვე ომი გამოუცხადეს საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას. სხვა პოლიტიკური პარტიები საერთო მოქმედების ნიადაგზე გაერთიანდნენ. მეტ-ნაკლები წარმატებით საქმიანობდნენ ეროვნული სახელმწიფოს აშენების, მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის.

დამოუკიდებლობის აქტის შესაბამისად საქართველოს ეროვნული საბჭო შეივსო საქართველოს მიწაზე მცხოვრები რუსების, სომხების, აზერბაიჯანელების, აფხაზების, ოსების, ბერძნების, ებრაელების და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებით. ცოტა მოგვიანებით სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ წამოაყენა წინადადება საქართველოს ეროვნული საბჭოსათვის ეწოდებინათ პარლამენტი. მართალია, ამის წინააღმდეგ გამოვიდა ყველა სხვა პოლიტიკური პარტია, მაგრამ სოციალ-დემოკრატიულმა უმრავლესობამ თავისი გაიტანა. ამასთან დაკავშირებით გაზ. „საქართველოს" რედაქცია სინანულით წერდა: „დღემდე ჩვენს პარლამენტს თავის საკუთარი სახელი ჰქონდა — საქართველოს ეროვნული საბჭო. დღეიდან მას არაფერი არ ჰქვია". პარლამენტს, აღნიშნავდა იგივე კორესპონდენტი, თითქმის ყველა სახელმწიფოში კონკრეტული, თავისებური ეღერადობის სახელი აქვს. ასე უნდა ყოფილიყო ჩვენთანაც. ნათლობის სახელწოდების (ეროვნული საბჭო) შენარჩუნება სცადაო დეპუტატმა ექ. თაყაიშვილმა, მაგრამ ამაოდ. „დამარცხდა ცოდნაც და ისტორიაც".[2]

საქართველოს პარლამენტმა, დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოთა ნორმებისა და პრაქტიკის შესაბამისად, თავის ხელში აიღო საკანონმდებლო ორგანოს ყველა ფუნქცია. დამოუკიდებლობის დეკლარაციის მიღებისთანავე ჩამოყალიბდა პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი დროებითი კოალიციური მთავრობა. მის

თავმჯდომარედ აირჩიეს გავლენიანი სოციალ-დემოკრატი ნოე რამიშვილი (მანვე შეითავსა შინაგან საქმეა მინისტრის პოსტი). სამხედრო მინისტრი გახდა გრიგოლ გიორგაძე, საგარეო საქმეთა — აკაკი ჩხენკელი, იუსტიციის — შალვა ალექსი-მესხიშვილი, ფინანსთა — გიორგი ჟურული, მიწათმოქმედების — ნოე ხომერიკი, გზათა — ივანე ლორთქიფანიძე, განათლების მინისტრი — გიორგი ლასხიშვილი.

კოალიციურ მთავრობაში უმრავლესობა, მართალია, სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდა, მაგრამ სოციალისტ-ფედერალისტი (გ. ლასხიშვილი, შ. ალექსი-მესხიშვილი), ეროვნულ-დემოკრატი (გ. ჟურული) და სოციალისტ-რევოლუციონერი (ივ. ლორთქიფანიძე) მინისტრები საკმაოდ დიდ გავლენას ახდენდნენ საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრაზე.

დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი პირველი აქტი იყო გერმანიის შუამავლობით თურქეთთან საზავო ხელშეკრულების გაფორმება. მართალია, ზავი მეტისმეტად მძიმე იყო (საქართველო ჰკარგავდა ბათუმის ოლქს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების დიდ ნაწილს), მაგრამ თავიდან იქნა აცილებული აგრესიული მეზობლის მიერ საქართველოს სხვა ტერიტორიების ოკუპაციის საფრთხე.

1918 წლის მაისის ბოლოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ფოთში გერმანიის წარმომადგენლობასთან წარმატებით აწარმოვა მოლაპარაკება. მხარეებმა ხელი მოაწერეს 6 დოკუმენტს. მათ შორის მთავარი იყო „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების დამყარების შესახებ", რომლის მიხედვით საქართველო ეთანხმებოდა ბრესტის საზავო ხელშეკრულებას, ნებას აძლევდა ოთხთა კავშირის წევრებს ომის დამთავრებამდე ესარგებლათ საქართველოს რკინიგზებით. ეს დროებითი შეთანხმება მალე უნდა შეცვლილიყო სახელმწიფოთა შორისო ხელშეკრულებით.

პირველი დამატებითი ხელშეკრულება სამეურნეო საკითხებს ეხებოდა: პარიტეტულ საწყისებზე უნდა შექმნილიყო ქართულ-გერმანული სამთო-სამრეწველო აქციონერული საზოგადოება, რომლის ძალით გერმანია იღებდა მთელი გარდამეტი ნედლეულის შესყიდვა-გატანის უფლებას. გერმანია ვალდებულებას კისრულობდა მოეწესრიგებია საქართველოსთან საზღვაო კავშირი, გაეადვილებია პირველი მოთხოვნილების საგნების შემოტანა. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით საქართველოში დაიშვებოდა გერმანული მარკა როგორც

გადახდის საშუალება. ახლავე ავღნიშნავ იმასაც, რომ 1918 წლის 27 აგვისტოს გერმანია-რუსეთმა ხელი მოაწერეს ბრესტის ხელშეკრულების დამატებას, რომლის მე-13 მუხლში ნათქვამი იყო, რომ რუსეთი თანახმაა გერმანიამ სცნოს საქართველოს დამოუკიდებლობა. ეს თავისთავად საბჭოთა რუსეთის მიერ, არაპირდაპირ მაინც, საქართველოს დე ფაქტო ცნობას ნიშნავდა და ამდენად დიდმნიშვნელოვანი აქტი იყო.

გერმანიამ თავიდანვე გამოამჟღავნა სურვილი დახმარებოდა საქართველოს საზღვრების დაცვაში, მწვავე შინა პრობლემების გადაჭრაში. მხარეებს შორის ზოგჯერ უთანხმოება იყო, ექსცესებიც ხდებოდა. მაგრამ საერთოდ კაიზერულმა გერმანიამ საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა-განმტკიცების საქმეში დადებითი როლი შეასრულა.[3]

ამ მოვლენებს გაგებით შეხვდა საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა. ოსმალეთისათვის ტერიტორიების დათმობა დროებით აქტად იქნა მიჩნეული, ხოლო გერმანიასთან ხელშეკრულებების გაფორმება, ამ მფარველ-მოკავშირის ჯარის საქართველოში შემოსვლა, შექმნილ სიტუაციაში ქართველმა საზოგადოებამ დადებით მოვლენად აღიქვა. გერმანულ ორიენტაციაზე განსაკუთრებით მტკიცედ დადგნენ ეროვნულ-დემოკრატები. მათი ღრმა რწმენით, გერმანიასთან მეგობრული კავშირი, თუნდაც სუვერენულ უფლებათა ნაწილის დათმობის ფასად, საქართველოს იხსნიდა როგორც თურქეთის, ისე საბჭოთა რუსეთიდან მომდინარე საფრთხისაგან.

ამ განწყობილებაში დისონანსი თითქმის მხოლოდ ბოლშევიკებს შეჰქონდათ. მათ, შეიძლება ითქვას, ლენინზე ადრე ჩამოაყალიბეს ფორმულა: საქართველოს დამოუკიდებლობა არის ამ ქვეყნის გაბატონებული კლასებისა და მმართველი წრეების კავშირი გერმანულ ხიშტებთან, რომლის მახვილი მიმართულია საქართველოს მშრომელი ხალხის წინააღმდეგ. ქართველი მუშების შედარებით მცირე ნაწილი იზიარებდა ფაქტის ასეთ შეფასებას, ეჭვის თვალით უყურებდა საქართველოს ტერიტორიაზე გერმანიის ჯარის ყოფნას.

1918 წლის 12 ივნისს ნ. რამიშვილის მთავრობა პარლამენტში გამოვიდა დეკლარაციით, დეპუტატებს გააცნო თავისი 2-კვირიანი მოღვაწეობა და სამომავლო პროგრამა: „ამ ახალი სახელმწიფოს პირველ მთავრობას დაეკისრა მრავალგვარი მძიმე მოვალეობა. უპირველეს ყოვლისა, მას უნდა დაეცვა საქართველო გარეშე

მტრებისაგან, რომელიც ჩვენს საზღვრებში უკვე შემოიჭრა, ...ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად მთავრობამ გამართა მოლაპარაკება გერმანიასთან... საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით გერმანიამ გამოგზავნა თავი ჯარი, რომელიც იმოქმედებს ჩვენი განკარგულების თანახმად და მთავრობას ხელს შეუწყობს გარეშე საზღვრების დაცვის საქმეში.

„გერმანიამ კიდეც დანიშნა თავის წარმომადგენლები ჩვენს მთავრობასთან და ამასთანავე აღგვითქვა დახმარება, რათა საქართველოს დამოუკიდებლობა იცნონ მისმა მოკავშირე სახელმწიფოებმა და აგრეთვე რუსეთის მთავრობამ. ამის შემდეგ დაუყონებლივ შევუდექით ოსმალეთთან სამშვიდობო მოლაპარაკებას., ...დაისვა საკითხი — ან ზავი ან ომის გაგრძელება. შექმნილ სიტუაციაში ჩვენ ვარჩიეთ ზავი., ...ამ ხელშეკრულების რამდენიმე მუხლი, ეჭვგარეშეა, გამოიწვევს ჩვენს ხალხში დიდ მწუხარებას, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ხალხის ენერგიული შემოქმედებით და დიპლომატიური საქმიანობით შემდეგში ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესები დაცული იქნება.

„მთავრობა — ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში — მთელი თავისი ძალით დაიცავს საქართველოს სუვერენიტეტს, თუ მას რაიმე საფრთხე მოელინება., ...არავის ნებას არ მივცემთ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევის და ჩვენი სუვერენიტეტის შეზღუდვის., ...მთავრობა სცნობს, რომ საქართველოს რესპუბლიკას თავის დასაცავად უნდა ჰყავდეს საკმაო რეალური ძალა: ევროპული წესით მოწყობილი ჯარი. ამავე დროს მთავრობა მიზნად ისახავს, რომ მთელი ხალხი გაეცნოს სამხედრო ხელოვნებას, რომ გარეშე საფრთხის თავიდან ასაცილებლად, როცა საჭიროება მოითხოვს, სახალხო მილიცია გაიწვიოს“.

დეკლარაციაში ლაპარაკი იყო აგრეთვე ეკონომიკური განვითარების პრობლემებზე. მთავრობა პარლამენტსა და ხალხს ჰპირდებოდა, რომ იზრუნებდა ფინანსების მოწესრიგებაზე, შეეცდებოდა ეროვნული ვალუტის შექმნას, მაგრამ მანამდე აიღებდა შინაგან და საგარეო სესხებს. შეძლებდა ბოლომდე მიეყვანა უკვე დაწყებული აგრარული რეფორმა. „ჩვენ განზრახული გვაქვს, დავიწყოთ ახლო მომავალში ტყეების ექსპლუატაცია, ჭაობების დაშრობა, სარწყავი არხების გაკეთება, რკინიგზების გაყვანა და სხვა., ...მთავრობა ყოველ ზომას მიიღებს ახლო მომავალში შემოიღოს საერობო თვითმმართველობა და ახალი პოლიტიკური პირობების მიხედვით გარდაქმნას ჩვენი ქვეყნის სასამართლო და მართვა-გამგეობა, რომ ხალხის ინტერესებს საუკეთესოდ

ემსახუროს.., ეცდება, რაც შეიძლება მალე, მოიწვიოს დამფუძნებელი კრება, რომელიც მტკიცე საფუძველს ჩაუყრის სახელმწიფოებრივ წყობილებას".[4]

მთავრობის მიერ გერმანიაზე აღებული ორიენტაცია და საერთოდ საგარეო პოლიტიკის მიმართულება თითქმის ყველა საპარლამენტო ფრაქციის მხარდაჭერას პოულობდა. მძაფრი დებატები მიმდინარეობდა საშინაო პოლიტიკის, ქვეყნის ეკონომიურ-სოციალური განვითარების განსაზღვრის დროს. მთავრობის (უმრავლესობის) პირველ ნაბიჯებს აკრიტიკებდნენ მარჯვნიდანაც და მარცხნიდანაც. მჟღავნდებოდა ძირითადად მსოფლმხედველობრივი დაპირისპირება, პრინციპების ბრძოლა, რომელიც ზოგჯერ ხელისუფლებისათვის ბრძოლის ელფერით იმოსებოდა.

ეროვნულ-დემოკრატებს სოციალისტური მოძღვრება არ მოსწონდათ და სოციალ-დემოკრატიულ უმრავლესობას დამოუკიდებლობის პოზიციაზე გადასვლის შემდეგაც აკრიტიკებდნენ. 1918 წლის 17 ივნისს საქართველოს პარლამენტის სხდომაზე გ. ქიქოძემ განაცხადა, რომ მთავრობამ თითქმის ვერცერთი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა ვერ გადაწყვიტა. ამის მიზეზი მისი სოციალური გეზი არისო. ამბობენ, სოციალ-დემოკრატებმა იმიტომ აიღეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მშენებლობის მძიმე ტვირთი, რომ ეროვნული ბურჟუაზია მეტისმეტად სუსტია. ჩემი აზრით, კი ეს მისია საერთოდ მათთვის შეუფერებელია, რადგან სოციალ-დემოკრატები კლასობრივ ნიადაგზე დგანან და არა სახელმწიფოებრივზე. ასეთი მიმართულება კი ქმნის სამოქალაქო ომის გაჩაღების საფრთხეს. „უნდა შეიგნოთ, რომ სახელმწიფოს აშენების დროს საჭიროა სახელმწიფოებრივი ელემენტების გამოყენება პარტიული რწმენის დამოუკიდებლად.[4]"

სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები კი მთავრობას და სოციალ-დემოკრატიას სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევაში, ბურჟუაზიული პოლიტიკის გატარებაში დებდნენ ბრალს. კრიტიკულმა გამოსვლებმა საგონებელში ჩააგდო სოციალ-დემოკრატია. გამოიწვია მთავრობის ნაადრევი კრიზისი. ნ. რამიშვილი პრემიერის პოსტიდან გადადგა. მემარცხენე ოპოზიცია იმედოვნებდა, რომ ამ კრიზისს მოჰყვებოდა მისი გავლენის გაძლიერება. მემარჯვენეების ვარაუდით კი რადგან სოციალისტურმა გეზმა ვერ გაამართლა, ეიწროკლასობივ მიმართულებას შეცვლიდა საერთო სახელმწიფოებრივი

მიმართულება. „ახალი მთავრობა იქნებოდა შედგენილი არა პარტიულის, არამედ სახელმწიფოებრიობის საფუძველზე“.[5]

ამ მომენტში ჯერ კიდევ საკმაო ძალას წარმოადგენდნენ მუშათა საბჭოები. განსაკუთრებით დიდი გავლენით სარგებლობდა თბილისის მუშათა საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც ნოე ჟორდანია ასრულებდა წამყვან როლს. ესერებისა და სოციალ-დემოკრატთა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა დამოუკიდებელ საქართველოში საბჭოების მთავრობის შექმნის იდეას. ა. ფარნიევი აცხადებდა, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ამიერკავკასიასა და საქართველოში შექმნილი მთავრობები არ სარგებლობდნენ ხალხის ნდობით და მათ თითქმის არავინ უწევდა ანგარიშს, რადგან ფაქტიური ძალაუფლება მთავრობას კი არა საბჭოებს ეკუთვნოდა. ფარნიევი შეახსენებდა ქართველ საზოგადოებას, რომ ადრე ქართველი მენშევიკები (და მათ შორის ნ. ჟორდანია), მოითხოვდნენ რუსეთში საბჭოების წარმომადგენლებისაგან ერთგვაროვანი სოციალისტური მთავრობის შექმნას, მაგრამ ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ ნ. ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა, იმ მოტივით, რომ მუშათა საბჭოები მარტო საქართველოში არსებობდა, მიზანშეუწონლად მიიჩნიეს ამიერკავკასიური მასშტაბით საბჭოების მთავრობის შექმნა. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, ფარნიევის აზრით, მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. გააქტიურდნენ რეაქციონერები და ნაციონალისტები. ეროვნებათა შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრა და დემოკრატიულ ძალთა გაერთიანება მხოლოდ საბჭოების წარმომადგენლებისაგან შედგენილ ერთგვაროვან სოციალისტურ მთავრობას შეუძლიაო.[5ა]

ფარნიევის წინადადება, გარკვეული კორექტივით მხოლოდ ბოლშევიკებმა მოიწონეს. სხვა პარტიებმა მას მხარი არ დაუჭირეს. თავის ადრინდელ თვალსაზრისს ნ. ჟორდანიაც გაემიჯნა. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ დაარწმუნა მუშათა საბჭოები, რომ მათ პრეტენზია არ უნდა ჰქონოდათ პოლიტიკურ ხელისუფლებაზე. მიუხედავად ამისა, თავის თავად თბილისის მუშათა საბჭოს დიდი გავლენის მაუწყებელი იყო ის, რომ პარლამენტმა ნ. ჟორდანია აირჩია საქართველოს მთავრობის თავმჯდომარედ. ამან კი ვერც მემარცხენეები დააკმაყოფილა და ვერც მემარჯვენეები. მემარცხენე რადიკალებმა ვერ მიაღწიეს ეროგვაროვანი სოციალისტური მავრობის

შექმნას, მემარჯვენეები — ეროვნულ-დემოკრატები კი იმაზე ჩიოდნენ, რომ სოციალ-დემოკრატიამ თავი ვერ დააღწია ვიწრო პარტიულ ინტერესებს, გასაქანი არ მისცა ეროვნულ-დემოკრატიულ ძალებს. მთავრობის ახალმა თავმჯდომარემ, მართალია, აღიარა მინისტრთა კაბინეტის მიერ დაშვებული შეცდომები, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატები არ იყვნენ დარწმუნებული, რომ ნ. ჟორდანია შესძლებდა შეცდომების გამოსწორებას, სწორი პოლიტიკის გატარებას.[6]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიამ ეროვნულ ნიადაგზე დადგომით, მართალია,მოიპოვა მაღალი კლასებისა და ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის ნდობა, მაგრამ ბევრს, შინ და გარეთაც, კვლავ აშინებდა მათი სოციალისტური პროგრამა. არაბუნებრივად მიაჩნდა ეროვნულ-ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში სოციალისტური მთავრობის ყოფნა. ასეთთა საყურადღებოდ ნ. ჟორდანია აცხადებდა: დასავლეთ ევროპელ სოციალისტებს ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა მართვა-გამგეობაში მონაწილეობის გარკვეული გამოცდილება აქვთ. ფინეთის ავტონომიას ჯერ კიდევ ცარიზმის დროს სოციალისტური მთავრობა განაგებდა. შვეიცარიაში რამდენიმე კანტონის მთავრობა სოციალისტურია და გერმანიაშიც ზოგიერთ ავტონომიურ სამთავროთა სამინისტროები სოციალისტების ხელშიაო. ხოლო სოციალისტურ მიმდინარეობათა პროგრამების ავ-კარგში გაურკვეველ მუშებს ნ. ჟორდანია ასე მიმართავდა: თქვენ ფიქრობთ, რომ რაკი მთავრობა სოციალისტურია, მან უნდა განახორციელოს სოციალიზმი, მაგრამ ეს ბოლშევიკთა მცდარი თვალსაზრისია. სოციალ-დემოკრატები სხვა შეხედულებისა ვართ, მიგვაჩნია, რომ განვითარების კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადავახტებით. ნაადრევად დაწყებული სოციალისტური მშენებლობის ექსპერიმენტი მოგვიტანს არა სოციალურ თავისუფლებას, არამედ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განადგურებას, სახალხო მეურნეობის მოშლას. ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში მყოფ ჩვენს პარტიას ეკონომიკურად ჩამორჩენილ საქართველოში ევალება კერძო ინიციატივის წახალისება, საწარმოო ძალთა განვითარებისათვის ხელის შეწყობა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება. ჩვენი მიზანი სოციალ-დემოკრატიის პროგრამა-მინიმუმის განხორციელება არისო.[7]

სოციალ-დემოკრატები, მართალია, აღიარებდნენ, რომ ისტორიის ჩარხის ტრიალმა მათ ბურჟუაზიული სახელმწიფოს მშენებლობა დააკისრა, მაგარმ იმავდროულად მშრომელ მასას არწმუნებდნენ,

კაპიტალისტურ საზოგადოებას არ განვამტკიცებთ, დაქირავებული შრომის ექსპლოატაციის სისტემის გამარადისებას არ ვაპირებთო. რაკი სახელმწიფო ძალაუფლება ხელთ გვაქვს, წერდა ნ. ჟორდანია, „შეიძლება მხედველობაში ვიქონიოთ სოციალისტური რევოლუცია როგორც მიზანი, ისტორიული პერსპექტივა და არა როგორც პირდაპირი პრაქტიკული ამოცანა. ამ პერსპექტივით განვსხვავდებით ჩვენ ყველა ბურჟუაზიული პარტიებისაგან, რომლებიც მონაწილეობენ სახელწიფო დაწესებულებათა აშენების საქმეში, იმ მიზნით, რომ განამტკიცონ კაპიტალისტური საზოგადოება.“[8]

ნ. ჟორდანია ასეთი გამოსვლებით სოციალ-დემოკრატიის პროგრამის პროპაგანდას ეწეოდა და იმას ცდილობდა, რომ შეესუსტებინა სხვადასხვა კლასებისა და პარტიების წინააღმდეგობა. მაგრამ მან ვერ შესძლო ეროვნულ-დემოკრატთა უნდობლობის გაფანტვა. მართალია, ამ პარტიის ორგანო „საქართველო“ სიხარულით შეხვდა მუშათა საბჭოებისათვის აღმასრულებელი ხელისუფლების ჩამორთმევის ფაქტს, მარგრამ ეს არასაკმარისად მიიჩნია“. მუშათა და სალდატთა საბჭოს ლიკვიდაციის შემდეგ, – წერდა ალ. ასათიანი – ჯერი საქართველოს წითელ საბჭოსა და წითელ მთავრობაზე უნდა მიდგეს. საჭიროა მათი საფუძვლიანი რეორგანიზაცია და განთავისუფლება რუსეთის რევოლუციის მძიმე მემკვიდრეობისაგან. ასეთი საბჭო (ლაპარაკია საქართველოს პარლამენტზე, რომელშიც ადგილების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდა ა.ბ.) ვერ გაკაფავს საქართველოს სახელმწიფოებრიობის გზას. დღეს მის ას ოც წევრში ასი მნგრეველია და ოციოდე მშენებლად გამოსადეგი. საქართველოს ეროვნული საბჭო არ უნდა იყოს მხოლოდ სახელით ეროვნული, მასში წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნული მშენებლობის ყველა მთავარი ძალა., ...ისინი უნდა გამოსატავდნენ ამჟამად არსებულ ეროვნულ ძალთა განწყობილებას და არა შარშანდელს, როდესაც მთელი ქართველი ერი რევოლუციური ფსიქოზით იყო შეპყრობილი. საქართველოს წითელი პოლიტიკა – დაასკვნიდა ალ. ასათიანი – მორიგი სალიკვიდაციო საქმეა. თითოორროლა პერსონალური ცვლილება მიზანს ვერ მიაღწევს. ერთი ნოეს ნაცვლად მეორეს დანიშვნა ვერ აღმოფხვრის მის ანტისახელმწიფოებრივ ზნეს და თვისებას. მხოლოდ უკიდურესი რევოლუციური პოლიტიკის ლიკვიდაციის შემდეგ იქნება შესაძლებელი საქართველოს ნამდვილი სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ხალხის უფლებისა და პიროვნების თავისუფლების საფუძველზე.“[9]

ეროვნულ-დემოკრატები განსხვავებას თითქმის ვერ ამჩნევდნენ სოციალ-დემოკრატიულ, სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალ-ისტ-რევოლუციონერთა პარტიებს შორის. თანაბრად აკრიტიკებდნენ ი. წერეთელს, რომელიც, მათი განცხადებით, ჯერ კიდევ ვერ შელეოდა რუსეთის ფედერაციის იდეას და ს. ფირცხალავას კვლავ რომ ოცნებობდა მსოფლიოს ფედერაციულ გაერთიანებაზე. სამაგიეროდ, არცთუ იშვიათად, სოციალისტური მიმართულების პარტიებიც თითქმის ერთნაირად გმობდნენ ეროვნულ-დემოკრატთა აშკარა ბურჟუაზიულ პოლიტიკას. ამის გამო აღნიშნავდა ვ. წერეთელი – „ყველა სოციალისტურმა ჯგუფმა ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფის წინააღმდეგ აღიმაღლა ხმა. საკვირველია კი: რისი ეშინიათ? ეროვნულ საბჭოში ჩვენი რიცხვი ხომ თექვსმეტს არ აღემატება? და ამ მცირე ჯგუფის ოპოზიცია რატომ ვერ მოუნელებიათ?“[10]

1918 წლის 26 მაისს, როგორც აღინიშნა, ჩამოყალიბდა კოალიციური მთავრობა და ასეთად რჩებოდა იგი 9 თვის განმავლობაში. მაგრამ ეროვნულ-დემოკრატებს ნ. ჟორდანიას მეთაურობით მოქმედი მთავრობა სულაც არ მიაჩნდათ ეროვნული ერთიანობისა და ეროვნული ხსნის მთავრობად. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში სახელმწიფოებრიობას მოკლებულ ერს ხელახლა უნდა შეექმნა თანამედროვეობის შესაფერისი მმართველობის ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოები, აეღორძინებინა სოფლის მეურნეობა, მრეწველობა, ვაჭრობისა და კრედიტის ფორმები, რაც არ შეეძლო ერის რომელიმე ნაწილს. ეს უდიდესი საქმე, ეროვნულ-დემოკრატების აზრით, „მთელი ქართველი ერის და ყველა მისი ძალების მობილიზაციას“ მოითხოვდა. ამის გაკეთება კი არ შეეძლო პირველ – „ამიერკავკასიის დაშლისა და მისგან საქართველოს გამოყოფის მთავრობას“. ეროვნულ-დემოკრატები იმედოვნებდნენ, რომ მალე მას მოჰყვებოდა „საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებელი მთავრობა და ამ ეროვნული მთავრობის გარშემო შემოიკრიბებოდა ქართველი ერის ყველა ნაწილი“.[11]

ეს პროგნოზი არ გამართლდა. სოციალ-დემოკრატიამ ბოლომდე შეინარჩუნა წამყვანი პოზიციები საქართველოს პარლამენტსა და მთავრობაში. მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ პრინციპული ბრძოლით დიდი გავლენა მოახდინა მმართველ პარტიაზე. სოციალ-დემოკრატიამ საგრძნობლად შეცვალა თავის სამოქმედო პროგრამა, უარი თქვა ვიწრო კლასობრივ და პარტიულ პოზიციაზე, ცდილობდა შეესუსტებინა სოციალური ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლა,

მიეღწია ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციისათვის, ყველა კლასი და პარტია ჩაება საერთო სახალხო, სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობაში.

მთავრობის ასეთ პოლიტიკას მხარს უჭერდა, უპირველეს ყოვლისა, ოფიციალური პრესა. გაზ. „ერთობა" პირველი რიგის ამოცანად აცხადებდა ანარქიასთან ბრძოლას. იმ დროს, როცა საშიშროება გვემუქრება ჩრდილოეთიდანაც და სამხრეთიდანაც, აუცილებელიაო შინაგანი მშვიდობა და ერთიანობა. „მართალია, ვერ შესრულდა ხალხის ბევრი საარსებო მოთხოვნა და ამიტომ უკმაყოფილოა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ უკიდურესი მოთხოვნები კიდევ უფრო გაართულებენ მის მდგომარეობას. უკიდურესი მოთხოვნებით დააუძლურეს ფინლანდიის დემოკრატია, უკიდურესი მოთხოვნებით დაილუპა თავისუფლება უკრაინაში". ასეთი საშიშროება საქართველოსაც ემუქრება. გერმანიამ, მართალია, დახმარება გაგვიწია და საქართველოს დამოუკიდებლობა იცნო, მაგრამ გერმანიამ უკრაინის დამოუკიდებლობაც იცნო. „ხოლო, როცა უკრაინამ ვერ შესძლო წესრიგის დამყარება, გერმანიამ თვითონ დაამყარა იქ წესრიგი. ასეთივე ჩარევა მოსალოდნელია ჩვენი ქვეყნის საქმეებშიც. თუ ჩვენ ვერ შევძელით წესრიგის დამყარება, თუ სოციალიზმს წავეპოტინებით, ანარქიას გავაძლიერებთ, გარეშე სახელმწიფოს ჩარევას დავაჩქარებთ, ხოლო თუ წინდახედულად ვიმოქმედებთ და ლამაზ სიტყვებს არ ავყვებით, დამოუკიდებლობას შევინარჩუნებთ და მომავლისათვის გზას გავიკაფავთ". გაზეთის რედაქცია მოუწოდებდა საერთო დემოკრატიას ზურგი გაემაგრებია არსებული მთავრობისათვის.[12]

შინაგანი მშვიდობისა და თანხმობის დამყარებას დიდ დაბრკოლებას უქმნიდნენ ბოლშევიკები. ისინი გარკვეულ ზემოქმედებას ახდენდნენ მუშათა საბჭოებზე, აღვივებდნენ გლეხთა უკმაყოფილებას, იწვევდნენ მის აჯანყებებსაც კი. რევოლუციური ორგანიზაციების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება მთავრობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად იქცა და საკმაო წარმატებაც იქნა მოპოვებული. 1918 წლის 24 ივნისს პარლამენტის სხდომაზე ნ. ჟორდანიამ აღნიშნა: მუშათა საბჭოები და პარლამენტის გარეშე არსებული სხვა ორგანიზაციები თვითნებურად მოქმედებდნენ, ითვისებდნენ აღმასრულებელ ხელისუფლებას. სასიამოვნოა, რომ მათ მიიღეს გადაწყვეტილება ამ ფუნქციაზე უარის თქმის, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების ახლად ჩამოყალიბებული მთავრობისათვის გადაცემის თაობაზე. ახლა

პარლამენტმა და მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონო ადმინისტრაციული აპარატის შექმნას, ახალი სასამართლოს ორგანიზებას, შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის გაზრდას, მომწიფებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების გატარებას.

საქართველოს პარლამენტი და მთავრობა ცდილობდნენ საიმედო, კომპეტენტური კადრებით დაეკომპლექტებინათ შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები, ადმინისტრაციული აპარატი და მილიცია, შეექმნათ ადგილობრივი თვითმმართველობის ეფექტურად მოქმედი ორგანოები.

1918 წლის 2 აგვისტოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი საგუბერნიო, საოლქო და სამაზრო ადმინისტრაციის შტატების შესახებ, რომლის თანახმად დაინიშნენ თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო კომისრები და მათი თანაშემწეები, სოხუმის ოლქის კომისარი, 14 სამაზრო და 56 სარაიონო კომისარი. თითქმის ყველა სასოფლო საზოგადოებაში (თემში) შეიქმნა 5 კაციანი მილიცია.[13]

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ თავიდანვე გააკრიტიკა 2 აგვისტოს კანონი, დაიწუნა მის საფუძველზე შექმნილი ბიუროკრატიული აპარატი, განსაკუთრებით მკაცრად დაგმო კომისართა ინსტიტუტი. ვას. წერეთელმა ზედმეტად მიიჩნია საქართველოს დაყოფა გუბერნიებად, ეს ძველი იმპერიული ადმინისტრაციული დაყოფის ნაშთია, ჩვენი პატარა რესპუბლიკისათვის გუბერნატორთა მაგვარი სატრაპები შეუფერებელიაო. გუბერნიები უნდა გაუქმდეს, შინაგან საქმეთა მინისტრს არ გაუჭირდებაო პირდაპირი კავშირის დამყარება სამაზრო ხელისუფლებასთან. მანვე კრიტიკულად შეაფასა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონი (პროექტი), მოითხოვა მისი არსებითად გადამუშავება.[14]

პარლამენტისა და მთავრობის უმრავლესობამ მიიღო სამართლიანი კრიტიკა. მყისვე გაუქმდა ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად. მალე მოისპო სამაზრო კომისართა ავტორიტარული ხასიათის თანამდებობა. გატარდა საერობო რეფორმა და თითქმის ყველა მაზრაში ჩამოყალიბდა საერობო თვითმმართველობის ორგანოები. 1918 წლის მეორე ნახევარში ჩატარდა საერობო კრებების არჩევნები. მართალია, ხმების უმრავლესობა სოციალ-დემოკრატებმა მიიღეს, მაგრამ ადგილობრივი თვითმმართველობის ამ განმკარგულებელ ორგანოებში გარკვეული რაოდენობის ხმოსნები გაიყვანეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ეროვნულ-დემოკრატებმაც. თითქმის ყველა

მაზრაში ჩამოყალიბდა მრავალპარტიული საერობო კრებები და მრავალპარტიული გამგეობები (აღმასრულებელი ორგანოები). ადგილობრივ თვითმმართველობებშიც საკმაოდ მწვავე ხასიათს ატარებდა პოლიტიკურ პარტიათა ბრძოლა.

საქართველოს ქალაქებმა შეზღუდული თვითმმართველობა XIX ს-ის 70-იან წლებში მიიღეს. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მოხდა მათი დემოკრატიზაცია და უფლება-კომპეტენციის გაფართოება. ბურჟუაზიამ დაკარგა ადგილობრივი მართვა-გამგეობის მონოპოლია. საქალაქო სათათბიროებსა და გამგეობებში წამყვანი პოზიციები დაიკავეს დემოკრატიულმა ელემენტებმა. საქართველოს მუნიციპალიტეტებიც პოლიტიკური პარტიების ბრძოლის არენად გადაიქცა.

დიდი ცვლილებები მოხდა სამართალწარმოების სფეროში. იუსტიციის სამინისტრო საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა ოფიციალური, ახალი კანონის შესაბამისად ორგანიზებულ სასამართლოთა ხელში მართლმსაჯულების ცენტრალიზაციისათვის. გაუქმდა რევოლუციური ტრიბუნალები, სხვადასხვა საგამომძიებლო კომისიები. სამართლისწარმოების ფუნქცია ჩამოერთვა მუშათა საბჭოებს, სხვა რევოლუციურ ორგანიზაციებს. 1918 წლის 24 სექტემბრის კანონის საფუძველზე განხორციელდა მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტის რეორგანიზაცია. გატარდა სასამართლოს საგამომძიებლო ნაწილის რეფორმა. მიღებული იქნა აგრეთვე კანონი ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ორგანიზების თაობაზე. ცოტა მოგვიანებით, სათანადო კანონის შესაბამისად შეიქმნა უზენაესი საკასაციო და კანონდამცველი დაწესებულება სენატი. სპეციალურმა კომისიამ სენატორებად შეარჩია ივანე ზურაბაშვილი, სოლომონ მიქელაძე, ლევან ასათიანი, გიორგი მაღნარაძე, ვასილ დემიდოვი, დიმიტრი კალანდარიშვილი, გრიგოლ გველესიანი, ვლადიმერ ქუთათელაძე, ნიკოლოზ ქიქოძე, მიხეილ ქორქაშვილი, ნიკოლოზ მაჭავარიანი, იოსებ როინიშვილი. პარლამენტმა ყველა დაამტკიცა თანამდებობაზე. იუსტიციის სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული საკოდიფიკაციო განყოფილება, რომელიც 1919 წლის იანვრიდან რეგულარულად აქვეყნებდა „ოფიციალური კანონებისა და მთავრობის განკარგულებათა კრებულს“.[15]

საქართველოს პარლამენტის დეპუტატთა უმრავლესობას და მთავრობის წევრებს კარგად ესმოდათ დამოუკიდებელი სახელმწიფოსათვის შეიარაღებული ძალის, არმიის დიდი მნიშვნელობა.

ახალი, ეროვნული ჯარის პირველი ბირთვი შეადგინა ორმა ქართულმა პოლკმა, რომელნიც ჩამოყალიბდა რუსეთის არმიის შემადგენლობაში პირველი მსოფლიო ომის დროს 1915-1916 წლებში. 1917 წლის თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვებისთანავე სოციალ-დემოკრატიამ შექმნა წითელი გვარდია, რომელსაც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახალხო გვარდია უწოდეს.

1918 წლის 2 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი სახალხო გვარდიის რეორგანიზაციის თაობაზე. მის შესაბამისად წარმოებდა გვარდიის მოხალისეთა ახალ-ახალი კონტინგენტით შევსება. თავდაპირველად გვარდიის შენახვა-შეიარაღებისათვის საჭირო თანხა იქმნებოდა კერძო შემოწირულებათა მიღების გზით, ფინანსური ბაზა მეტისმეტად მწირი იყო და ამიტომ გვარდიის ახალი რაზმების ჩამოყალიბება ძნელდებოდა. 2 ივლისის კანონის მიღების შემდეგ სახალხო გვარდია გადაიქცა სახელმწიფოებრივ შეიარაღებულ ძალად, რომლის დაფინანსება ხდებოდა ბიუჯეტიდან. საგრძნობლად შეიცვალა და გაფართოვდა გვარდიის სტრუქტურა. თუ ადრე იგი მოხალისე მსროლელებისაგან შედგებოდა, მოგვიანებით თანდათან ჩამოყალიბდა გვარდიის არტილერია, ცხენოსანთა ესკადრონი, ტყვიამფრქვეველთა დივიზიონი, ჯავშნიანი მატარებლებისა და ავტომობილების რაზმი, საინჟინრო ნაწილი. გვარდიასთან ჩამოყალიბდა 17 სარეზერვო ბატალიონი.

2 ივლისის კანონით იყო განსაზღვრული სახალხო გვარდიის მიზანი, მისი შეკრებისა და მოქმედების წესი: 1) გვარდიის მიზანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობისა და უშიშროების დაცვა; 2) სახალხო გვარდიაში შესვლა შეუძლია საქართველოს რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელიც არ ირიცხება ნამდვილ სამხედრო სამსახურში, არის უმწიკვლო ზნეობისა და ერთგული დემოკრატიული რესპუბლიკისა; 3) სახალხო გვარდიაში მოხალისეთა მიღება ევალებათ მის რაიონულ შტაბებს, მთავრობის მიერ დამტკიცებული ინსტრუქციის საფუძველზე; 4) სახალხო გვარდიელი ვალდებულია სათანადო შტაბის მოწოდებისთანავე, დაუყონებლივ დაანებოს თავი ჩვეულებრივ შრომა-საქმიანობას და გამოცხადდეს დანიშნულ ადგილას იარაღითა და მოწყობილობით, რომელიც შტაბისაგან აქვს მიღებული; 5) სამხედრო სამსახურის დროს სახალხო გვარდიელი ემორჩილება დისციპლინას და

რესპუბლიკის ჯარში მოქმედ ყველა კანონს; 6) სახალხო გვარდიაში სამსახური უსასყიდლოა, მაგრამ სახალხო გვარდიელის ოჯახს მთავრობისაგან ეძლევა სათანადო დახმარება. სახალხო გვარდიის ინსტრუქტორები და ოფიცრები იღებენ ხელფასს, რომლის რაოდენობა განისაზღვრება რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში არსებული ჯამაგირების შესაბამისად.[16]

ე.ი. წესდების მიხედვით გვარდიელს არ ევალებოდა ყაზარმაში ცხოვრება. უმეტეს დროს თავის სახლსა და სამსახურში ატარებდა. მხოლოდ წვრთნისა და ომის დროს დგებოდა სამხედრო მწყობრში, შეძლებისდაგვარად ემსახურებოდა საშობლოს დაცვის წმინდა საქმეს. კანონის თანახმად გვარდიას ხელმძღვანელობდა მთავრობისაგან შექმნილ-დამტკიცებული მთავარი შტაბი. გვარდიის გამოწვევის, მობილიზაციის უფლება ჰქონდა მთავრობის თავმჯდომარეს და იშვიათად ეს უფლება ეძლეოდა შტაბის უფროსსაც.

ქართული ეროვნული კორპუსის და სხვა საჯარისო ერთეულების შექმნისათვის, როგორც აღინიშნა საკმაოდ ნაყოფიერად საქმიანობდა ეროვნული საბჭო, მასთან არსებული სამხედრო კომისია. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ეროვნული არმიის შექმნის საქმე უფრო მკვიდრ (სამართლებრივ) საფუძველზე დადგა.

ახალშობილი რესპუბლიკის შინაპოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა თავიდანვე დიდი სირთულით ხასიათდებოდა და მისი უშიშროების დაცვისათვის, რა თქმა უნდა, არ კმაროდა მოხალისეთაგან დაკომპლექტებული სახალხო გვარდია. გადაუდებელ საჭიროებად გამოცხადდა რეგულარული არმიის ჩამოყალიბება, საერთოდ სამხედრო საქმის მაღალ დონეზე დაყენება.

სამხედრო მინისტრი საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესვე დაინიშნა, სამინისტროს აპარატიც მალე ჩამოყალიბდა, მაგრამ მას რამდენიმე თვეს საკანონმდებლო ბაზა არ გააჩნდა. 1918 წელს, 20 აგვისტოს პარლამენტმა განიხილა და დაამტკიცა დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მმართველობისა". პირველ-ორ მუხლში დაფიქსირებულია, რომ პარლამენტი და მთავრობა უზენაესი ხელმძღვანელია სამხედრო საქმისა და ამ უფლებას ხელისუფლება ახორციელებს სამხედრო სამინისტროს საშუალებით. „სამხედრო მინისტრი არის ხელმძღვანელი თავის უწყების ყოველი დარგისა და თავის მოქმედებაში ექვემდებარება პირდაპირ რესპუბლიკის მთავრობას".

იმავე დებულების თანახმად ომიანობის დროს მოქმედი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელად ინიშნებოდა მთავარსარდალი, რომელიც ემორჩილებოდა პირდაპირ მთავრობის თავმჯდომარეს, მაგრამ „ომის ოპერატიულ საქმეებში" მთავარსარდალს ჰქონდა სრული თავისუფლება, თუმცა თავის მოქმედების შესახებ მოხსენება უნდა წარედგინა პრემიერისათვის.

თავდაცვის საქმის საერთო ხელმძღვანელობა ევალებოდა სამხედრო სამინისტროს, რომლის შემადგენლობაში ფუნქციონირებდა ექვსი განყოფილება – საერთო, პირადი შემადგენლობის, გენერალური შტაბის, საადმინისტრაციო, სამხედრო-სასანიტრო და სამხედრო-საბეითლო. მთ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო გენერალური შტაბი. მას ჰქონდა ექვსი სექცია – საოპერაციო, საორგანიზაციო, საარტილერიო, საინჟინრო-სატექნიკო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საისტორიო. პირველ სექციას ხელმძღვანელობდა უშუალოდ შტაბის უფროსი, რომლის ფუნქციებში შედიოდა ჯარის ორგანიზაცია, მობილიზაცია, საზღვრებისა და ტერიტორიების დაცვა, დაზვერვა, კავშირგაბმულობა, ჯარის წვრთნა და აღლუმების მოწყობა.

საქართველოს პარლამენტმა 1918 წლის 20 აგვისტოს დაამტკიცა ძირითადი დებულება „საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ბეგარისა და მუდმივი ჯარის შევსებისა", რომელიც 12 მუხლისაგან შედგებოდა: 1) სამხედრო ბეგარა რესპუბლიკაში საყოველთაოა და საპირადო ყოველი მოქალაქისავის (ქვეშევრდომისათვის); 2) რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე ოცდან ორმოცდახუთ წლამდე მოვალეა პირადად მოიხადოს სამხედრო ბეგარა; 3) ვისაც სამხედრო ბეგარა ეხება, მაგრამ ჯარში (მწყობრში) სამსახურისათვის უვარგისი გამოდგება, არმიაში მაინც გაიწვევენ და დააკისრებენ თავის ფიზიკური მდგომარეობის, ცოდნისა და გამოცდილების შესაფერის სამსახურს; 4) საქართველოს შეიარაღებული ძალა შედგება მუდმივი ჯარისა და ლაშქრისაგან; 5) არმია არის მუდმივი და სათადარიგო. მუდმივი არმია მუდამ მზადყოფნაშია. სათადარიგო ჯარის დანიშნულებაა საჭიროების შემთხვევაში შეავსოს და გააძლიეროს მუდმივი არმია; 6) ლაშქრის გაწვევა პარლამენტის მიერ მაშინ ხდება, როცა ქვეყანას საფრთხე დაემუქრება და ასეთ შემთხვევაში შეიძლება მობილიზებულ იქნეს ქუდზე კაცი ჩვიდმეტიდან ორმოცდაათ წლამდე; 7) შეიარაღებული ძალა დეპოლიტიზირებულია; 8) სამხედრო სამსახურის საერთო ვადა 25 წელიწადია. აქედან, ნამდვილი სამხედრო სამსახური

გრძელდება 2 წელიწადი, თადარიგში ყოფნა 15 წელიწადი, ლაშქარში – 8 წელიწადი; 12) სათადარიგო და სალაშქრო სამსახურში მყოფნი აღინუსხებიან და ექვემდებარებიან სამხედრო კონტროლს. ასეთი პირები ყოველ წელიწადში სამი კვირის ვადით გაივლიან შეკრებას სამხედრო ვარჯიშისა და წვრთნისათვის.[17]

1918 წლის 20 აგვისტოს დამტკიცდა კიდევ ერთი (მესამე) სპეციალური კანონი – „საქართველოს რესპუბლიკის რეგულარული არმიის ორგანიზაციის შესახებ", რომელიც განსაზღვრავდა მუდმივი ჯარის სტრუქტურას, ცალკეულ სახეობათა შემადგენლობას.

დასახელებული კანონის პირველი მუხლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში შედიოდა ორი ქვეითი დივიზია, სანაპირო ჯარი, ერთი საკავალერიო ბრიგადა, ერთი საარტილერიო ბრიგადა, მესანგრეთა ერთი ბატალიონი, ერთი საავტომობილო ასეული, ჯავშნოსანი მატარებლების ერთი ასეული, ერთი საავიაციო გუნდი.

საქართველოს საზღვრების დაცვისათვის შეიქმნა არმიის განსაკუთრებული ნაწილი – „სანაპირო ჯარი", რომლის სათავეში იდგა „განსაკუთრებული უფროსი". დივიზიის ქვედანაყოფები იყო – სამი ქვეითი პოლკი, ცხენოსანთა ესკადრონი, საარტილერიო და მესანგრეთა ასეულები, საბარგო ქარავანი და ექიმ-სანიტართა ჯგუფი. კავალერიაში შედიოდა სამი პოლკი, სათადარიგო ესკადრონი და სამთო-საარტილერიო დივიზიონი.

კანონი დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა დივიზიის, ცხენოსანთა ბრიგადის, პოლკის და სხვა შედარებით მსხვილ საჯარისო ერთეულთა უფროსებს. თითქმის ყველა მათგანთან არსებობდა „ჯარის მართვა-გამგეობისათვის საჭირო შტაბი". დასახელებული კანონის სათანადო მუხლის შესაბამისად შეიქმნა „იუნკერთა მოსამზადებელი სასწავლებელი".[17ა]

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისათვის სამართლებრივი საფუძველი, რა თქმა უნდა, საჭირო იყო, მაგრამ რეგულარული არმიისა და გვარდიის კონტინგენტი, ოფიცრებისა და ჯარისკაცების რაოდენობა, არმიის შეიარაღების ხარისხი და სხვ. ძირითადად დამოკიდებული იყო სახელმწიფოს მატერიალურ შესაძლებლობაზე, ფინანსებზე. ხელისუფლება, მართალია, ცდილობდა რაც შეიძლება მეტი თანხები გამოეყო სამხედრო სამინისტროს, ჯარისა და გვარდიის საჭიროებისათვის, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტურობის პირობებში შეიარაღებული ძალების

დაფინანსება საჭირო მოცულობით ვერ ხერხდებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის რეგულარულ ჯარში არასდროს ყოფილა 30 ათას კაცზე მეტი, გვარდიის პირადი შემადგენლობა გაცილებით ნაკლები იყო.

სავალალო ისიც იყო, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებს ერთიანი სარდლობა არ ყავდა. კიდევ მეტი, რეგულარულ ჯარსა და გვარდიას შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობდა, რასაც პოლიტიკურ პარტიათა ანტაგონიზმი კვებავდა. ეროვნულ-დემოკრატები სახალხო გვარდიას სოციალ-დემოკრატიის საყრდენ ძალად თვლიდნენ, უნდობლობას უცხადებდნენ მას. მოითხოვდნენ ერთიანი ჯარის ჩამოყალიბებას, მის რიცხობრივ გაზრდას, ხარისხობრივ გაუმჯობესებას, ქვეყნის თავდაცვის, სახელმწიფოს საგარეო უშიშროების ძირითად გარანტად კარგად გაწვრთნილ და შეიარაღებულ რეგულარულ არმიად გადაქცევას.

მფარველ-მოკავშირე გერმანიამ, მისმა წარმომადგენლობამ წინადადება მისცა საქართველოს მთავრობას დაეწყო ორი მაღალხარისხოვანი დივიზიის ჩამოყალიბება, პირდებოდა დახმარებას მის გაწვრთნასა და თანამედროვე იარაღით აღჭურვაში. თითქოს სათანადო საქმიანობაც ჩატარდა, მაგრამ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ მუშაობა შეწყდა.

საქართველოს შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესასწავლად პარლამენტმა შექმნა სპეციალური კომისია. კრიტიკული შენიშვნები 1918 წლის 6 ოქტომბერს წარადგინა გენერალმა ი. ოდიშელიძემ. იქვე მიუთითა ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებსა და საშუალებებზე. კომისიის მიერ წარდგენილი მასალის განხილვის დროს აღინიშნა, რომ ჯარში არსებული არასახარბიელო მდგომარეობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იყო რესპუბლიკის პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების საერთო მოუწყობლობა. ყველაზე მეტი ბრალი ედებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც ვერ ახერხებდა არმიაში ახალგაზრდობის გაწვევის ნორმალურად ჩატარებას, აქტიურად არ ებრძოდა დეზერტირობას. ამ საქმეში სათანადო სიმაღლეზე ვერ იდგა მომარაგების სამინისტრო და მოიკოჭლებდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიც.

არმიის სათანადო მოუწყობლობაში ბრალი დადეს აგრეთვე თვით სამხედრო უწყებას თავიდან ბოლომდე — სამხედრო სამინისტროს, დივიზიათა უფროსებს, რომლებიც ვერ ახერხებდნენ მეთაურთა

კონტინგენტის მომზადებას, ჯარის აღზრდისა და გაწვრთნის სამუშაოს სათანადო დონეზე დაყენებას.

ბოლოს მაინც გამოითქვა იმედი, რომ სამხედრო უწყება, მასში შემავალი დაწესებულება-ორგანიზაციები შესძლებენ სამშობლოს წინაშე დიდი მოვალეობის შეგნებით გამსჭვალული, კარგად შეიარაღებული და გაწვრთნილი ჯარის შექმნას, საქართველოს დაცვის სამსახურში მის ჩაყენებას.[18]

საქართველოს ხელისუფლებას, ბუნებრივია, აფიქრებდა ქვეყნის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, სოციალური დაძაბულობა. ანგარიშს უწევდა ხალხის განწყობილებას, ცდილობდა ნაწილობრივ მაინც დაეკმაყოფილებინა გლეხობის, მუშათა კლასის მოთხოვნილებები.

პირველი რიგის ამოცანად იქცა სასურსათო კრიზისის აღკვეთა, მოახლოვებული შიმშილობის თავიდან აცილება. მთავრობამ მოსახლეობის პურით, სხვა სურსათით მომარაგებისა და სიძვირესთან ბრძოლის მიზნით შექმნა სასურსათო კომიტეტი, რომელიც აქტიურად ერეოდა საბაზრო ურთიერთობაში, ზღუდავდა ვაჭრობის თავისუფლებას, ცდილობდა მომარაგების საქმის ცენტრალიზაციას. ასეთ პოლიტიკას იწონებდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა და სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციები, გმობდნენ ეროვნული დემოკრატები. გაზ. „საქართველოს" რედაქცია ერთ-ერთ მოწინავეში წერდა, რომ ომისა და რევოლუციის წლებში თითქმის ყველგან გამწვავდა სასურსათო პრობლემა. სიძვირესა და შიმშილს სხვადასხვა მეთოდებით ებრძვიანო დასავლეთ ევროპასა და რუსეთში. „სახელმწიფო იქაც და აქაც ერეოდა სასურსათო საქმეში, ზღუდავდა ვაჭრობის სრულ თავისუფლებას. მაგრამ ინგლისსა და გერმანიაში ასეთ შეზღუდვასა და კონტროლს ერთგვარი საზღვარი მოუპოვეს, ჩვენში კი ის გახადეს განუსაზღვრელი". მხოლოდ შეზღუდვითა და შევიწროებით, რედაქციის აზრით, სასურსათო პრობლემა ვერ გადაწყდებოდა.[19]

მთავრობამ, როგორც ჩანს, სამართლიანად მიიჩნია კრიტიკა და მიიღო ასეთი დადგენილება: 1) გამოცხადდეს საქართველოს საზღვრებში პურეულით თავისუფალი ვაჭრობა; 2) უცხოეთიდან ხორბლისა და ფქვილის შემოტანა განთავისუფლდეს საბაჟო გამოსაღებისაგან; 3) ყველა სასურსათო კომიტეტი დღეიდან ცხადდება გაუქმებულად; 4) დაევალოს შინაგან საქმეთა და სასურსათო საქმის მინისტრებს აწარმოონ ბრძოლა სურსათის გადამალვისა და სპეკულაციის წინააღმდეგ.[20]

ომისა და სამეურნეო კავშირების დარღვევის პირობებში ამ დადგენილებას ბევრი არაფერი შეუცვლია. სურსათის შემოტანა რუსეთიდან და დასავლეთ ევროპიდან, მიზერულ ფარგლებს არ გაცილებია. პურეულის ადგილობრივი მოსავალი კი მოსახლეობის მოთხოვნილებას ვერ ფარავდა.

ხელისუფლების წინაშე თავიდანვე აქტიურად დაისვა ფრიად გამწვავებული აგრარული საკითხის გადაწყვეტის პრობლემა. ჯერ კიდევ 1917 წლის 16 დეკემბერს ამიერკავკასიის კომისარიატმა, მართალია, გამოსცა დეკრეტი მიწის შესახებ, მაგრამ იგი მხოლოდ ზოგად დებულებებს შეიცავდა, არ ამოქმედებულა და, ბუნებრივია, გლეხობა ვერ დააკმაყოფილა. ქვეყანა აგრარული რევოლუციის ალში იყო გახვეული, როცა შეიკრიბა ამიერკავკასიის სეიმი. პარლამენტში წარმოდგენილმა თითქმის ყველა პარტიამ საჭიროდ მიიჩნია მეტისმეტად დუნედ დაწყებული აგრარული რეფორმის დაჩქარებული გატარება. 1918 წლის 7 მარტს სეიმმა დაამტკიცა აგრარული კანონი, რომელიც განსაზღვრავდა მიწათმფლობელობის უმაღლეს ნორმას (სხვადასხვა ზონისა და ტიპის მეურნეობებისათვის 7,15,40 ჰექტარის მოცულობით), რომლის ზევით ყველას უნდა ჩამორთმეოდა მიწა. მისი ნაკლი ის იყო, რომ არ აწესებდა უმიწაწყლო გლეხებისათვის გადასაცემი ნაკვეთების ოდენობას. თანაც მთავრობა კვლავ აგვიანებდა აგრარული რეფორმის ბოლომდე მიყვანას. ამან კი, როგორც მიწათმოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი წერდა, გლეხობის მოთმინების ფიალა აავსო. მან საკუთარი ძალით გადაწყვიტა აგრარული საკითხი, რევოლუციური გზით მიითვისა ის, რაც კანონისაგან არ მიეცა. საქართველოს ყველა ძირითად რაიონებში გლეხებმა თითქმის მთლიანად ჩამოართვეს მემამულეებს მიწები და თავის შეხედულებისამებრ გაინაწილეს.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ ჩამოყალიბებულმა საქართველოს ხელისუფლებამ დააჩქარა საადგილმამულო კანონის რეალიზაცია; ეროვნული სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა რუსეთის სახაზინო და საუფლისწულო მიწები, ტყეები. გარდა ამის ჩატარდა მსხვილი კერძო მამულების კონფისკაცია. ტყეებისა და ალპიური საძოვრების გარდა, სახელმწიფო საადგილმამულო ფონდში გადავიდა 621 ათასი ჰა სახნავ-სათესი და სხვა კულტურული მიწა. ეს ფონდი გამგებლობაში გადასცეს საადგილმამულო კომიტეტებს, რომელთაგანაც გლეხებს იჯარით უნდა აეღოთ თავისთვის საჭირო ნაკვეთები.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თავიდანვე დაიწუნა სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა, ცოტა მოგვიანებით საადგილმამულო რეფორმის მიმართულება. იგი ცდილობდა დაერწმუნებია მთავრობა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ პასუხობდა არც სახელმწიფოსა და არც გლეხობის ინტერესებს „გლეხის გონება და სურვილი – წერდა „საქართველოს" რედაქცია – მესაკუთრეობისაკენ არის მიდრეკილი. ეს ასეც უნდა იყოს. სხვა მხრივ ჩვენი ჩამორჩენილი მეურნეობის წინ წაწევა შეუძლებელი გახდება". იქვე რედაქცია აღნიშნავს, რომ გლეხობას ფული აქვს, მიწების საკუთრებად შესყიდვა შეუძლია, მაგრამ ამის უფლებას არ აძლევენო. მთავრობამ თავის პოლიტიკა უნდა შეცვალოს, გლეხობის მისწრაფება აუცილებლად უნდა დააკმაყოფილოსო.[21]

ამ წინადადებას კიდევ უფრო დამაჯერებლად ასაბუთებდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია პარლამენტის სხდომებზე. მალე მთავრობამ გაიზიარა ეროვნულ-დემოკრატთა თვალსაზრისი. თვით მიწათმოქმედების მინისტრმა აღნიშნა – ჩვენი პროგრამა, მართალია, მიწის მუნიციპალიზაციას ითვალისწინებდა, მაგრამ თუ მუნიციპალიზაციას დიდი დაბრკოლება გადაეღობებოდა, იმისათვისაც მზად ვიყავით, რომ მხარი დაგვეჭირაო მიწების საკუთრებად გადაცემისათვის.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია დიდი სიამოვნებით შეხვდა სოციალ-დემოკრატთა საადგილმამულო პროგრამის ასეთ მეტამორფოზს. გაზ. „საქართველოს" კორესპონდენტი წერდა – მართალია, ცოტა დაგვიანდა, მაგრამ „ეხლა მაინც დაუყონებლივ უნდა იქნეს შეტანილი ეროვნულ საბჭოში კანონპროექტი მიწის შესახებ, დაჩქარებით უნდა მიეყიდოს გლეხობას ჩამორთმეული მიწები, უნდა შემუშავდეს მემამულეთაგან მიწის ჩამორთმევის წესი, რომ არ დავარღვიოთ კულტურული მეურნეობა და არ შევაფერხოთ სოფლის მეურნეობის განვითარება".[22]

აგრარული რეფორმის აღნიშნული მიმართულებით შეცვლას წინააღმდეგობას უწევდნენ სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-ფედერალისტები. ისინი კვლავ თავგამოდებით იცავდნენ მიწის სოციალიზაციის პროგრამას. საქართველოს პარლამენტის საადგილმამულო პოლიტიკაში მხოლოდ 1919 წლის დამდეგს მოხდა არსებითი გარდატეხა. 28 იანვარს დამტკიცდა ახალი აგრარული კანონი, რომელიც ავსებდა და აგრძელებდა ადრე მიღებულ კანონებს. გლეხების საკუთრებად გამოცხადდა მათი სანადელო მიწები

დაწესებული ნორმის ფარგლებში. ამასთან ერთად 28 იანვრის კანონი ითვალისწინებდა უმიწაწყლო და მცირემიწიან გლეხებზე მემამულეთაგან ჩამორთმეული მიწების გაყიდვას.

მთავრობის მიერ აღებული ასეთი გეზი, აგრარული რეფორმის ახალი მიმართულებაც ვერ ასცდა ორმხრივ კრიტიკას. სოციალისტ-ფედერალისტური და სოციალისტ-რევოლუციური ფრაქციები მმართველ პარტიას ბრალად სდებდნენ კერძო საკუთრების ხელუხლებლად დატოვებასა და ამდენად სოციალიზმის პრინციპების ღალატს. ეროვნულ-დემოკრატებს კი ის არ მოსწონდთ, რომ მთავრობა უსასყიდლოდ ართმევდა მემამულეებს მიწებს და თავის აგრარული პოლიტიკით მსხვილ რაციონალურ მეურნეობებს ანადგურებდა, რითაც ზიანს აყენებდა სახელმწიფოს. ასეთი პოზიციის დაკავების გამო ეროვნულ-დემოკრატებს მემამულეების იდეოლოგთა იარლიყი მიაკერეს. მემარცხენე კრიტიკოსთა მისამართით რ. ინგილო აცხადებდა, რომ ასეთ ბრალდებას არ უნდა გვიყენებდნენ, რადგან ჩვენი პარტიაც ემხრობა მსხვილი მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევას და შეღავათიან ფასებში გლეხებზე გაყიდვას. „სახელმწიფოს მიერ მიწების კანონიერი გზით ჩამორთმევას ჩვენ ვემხრობით, მაგრამ მტაცებლობისა და ყაჩაღობის დაკანონება ანარქიულ აქტად მიგვაჩნიაო“. მისი თანაპარტიელი ტიტე მარგველაშვილის აზრით, მამულები მხოლოდ იმათ უნდა ჩამორთმეოდა ვინც მეურნეობას თვით არ ეწეოდა და სხვასაც ხელს უშლიდა. რაციონალურ, მაღალრენტაბელურ მეურნეობათა შემქმნელებს მიწა კი არ უნდა ჩამოკლებოდა, შესაძლებლობის ფარგლებში კიდევ უნდა მოემატებინათ. „მიწა ეკუთვნის არა მარტო იმას, ვისაც მისი მოთხოვნა შეუძლია (ლაპარაკია გლეხებზე ა.ბ.), არამედ მიწა უნდა ეკუთვნოდეს იმასაც, ვისაც მისი გაკულტურება შეუძლია. წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის მეურნეობას გაველურება ელის“. ტ. მარგველაშვილი ურჩევდა მთავრობას მიწა არ ჩამოერთმია იმ მემამულეებისათვის, რომლებმაც დიდი ხარჯი გასწიეს, მაღალკულტურული მეურნეობები შექმნეს. თუ მაინცდამაინც ნორმა დაწესდა, ის საკმაოდ მაღალი უნდა იქნეს. არც იმას უნდა მოვერიდოთ, რომ ნორმა გავაორმაგოთ, გავასამკეცოთ. ზოგიერთ შემთხვევაში ნორმის გაათმაგებისაც კი არ უნდა შეგვეშინდესო. ასეთი აგრარულ-სამეურნეო პოლიტიკა, მარგველაშვილის აზრით, ხელს შეუწყობდა არა მარტო მსხვილი კერძო (ერთპიროვნული) მეურნეობების აღმავლობას, არამედ სტიმულს მისცემდა აქციონერული

საზოგადოებებისა დ საწარმოო კოოპერატივების გამრავლებას, რაც აგრეთვე მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების პირობა არისო.[23]

მმართველი პარტია, მართალია, ბევრ შემთხვევაში ეთანხმებოდა მემარცხენეთა თვალსაზრისს, მაგრამ მის აგრარულ-სამეურნეო პოლიტიკაზე მეტ გავლენას ახდენდა მარჯვნიდან კრიტიკა, ბურჟუაზიული ოპოზიციის აქტიურობა.

ასეთ პირობებში მთავრობის საადგილმამულო პოლიტიკა არ შეიძლებოდა მთლად თანამიმდევრული ყოფილიყო, იგი კომპრომისულ ხასიათს ატარებდა. მიწის მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა. საკმაოდ ფართო ასპარეზი დარჩა კერძო საკუთრებასა და ერთპიროვნულ მეურნეობას. მთავრობას არც მუნიციპალიზაციის პროგრამაზე აუღია მთლიანად ხელი,მეტ-ნაკლები მიწის ნაკვეთები დაისაკუთრეს საერობო და საქალაქო თვითმმართველობებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა. კონფისკაციაქმნილ მსხვილ რაციონალურად გამართულ მამულების ბაზაზე მთავრობამ შექმნა ეროვნული (სახელმწიფო) მეურნეობები. სახელმწიფო მეურნეობებად გარდაიქმნა, სახელდობრ, საუფლისწულო უწყების მამულები (წინანდელი, მუკუზანი, ნაფარეული, მუხრანი, გიაურარხი, ყარაყალა, ვაჭევი, ჩაქვი), დიდი მთავრის ალექსანდრე რომანოვის ბორჯომის მამული, მისივე მეურნეობები აფხაზეთში — „სინოპი" და „დიოსკურია", ფრიდანოვის მამულები მანავსა და სკრაში, მანთაშევისა და არამიანცის მამულები ქვემო ქართლში, ანანოვის მეურნეობა ვარციხეში, სმეცკოისა და იგუშნოვის მამულები სოხუმის ოლქში.

საკმაოდ ბევრი კაპიტალისტური მეურნეობა არსებითად ხელუხლებელი დარჩა. მართალია, ამ მეურნეობათა მფლობელებს ჩამორთვეს ნორმაზე მეტი მიწა, მაგრამ ეს ჩამორთმეული სავარგულები გლეხებზე კი არ გაანაწილეს, არამედ დატოვეს დაზარალებულ პირთა, წინანდელ მესაკუთრეთა იჯარაში. საიჯარო ქირა შედარებით მცირე იყო. ამიტომ თითქმის ყველა მიწათმფლობელი ცდილობდა ნორმის გარდამეტი მიწა საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე თავის მეურნეობის ფარგალში დაეტოვებინა. ცნობილმა კაპიტალისტმა კუჩენბახმა თავის ყოფილი კერძო მიწები იჯარის საფუძველზე მიიღო და 1918-1920 წლებშიც აგრძელებდა მეურნეობას. საიჯარო ხელშეკრულებათა საფუძველზე მიწების შენარჩუნება და მეურნეობის დიდი მასშტაბით გაგრძელება მოახერხეს მეძროხეობის ფერმებისა

და შვეიცარული ყველის ქარხნების სხვა მეპატრონეებმაც. ამავე გზით მიწები შეინარჩუნეს პ. სარაჯიშვილმა, პ. წულუკიძემ, სულხანიშვილებმა, დემენტიევმა, მულინმა და სხვ. მემამულეებმა.[24]

და მაინც აგრარული რეფორმის გატარების შედეგად მსხვილი ლატიფუნდიები მოისპო, მიწები შედარებით თანაბრად განაწილდა მესაკუთრეთა შორის. საკუთრების დაწვრილერთეულება მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის პირობებში, ვერ უზრუნველყოფდა კაპიტალისტური მეურნეობის კონცენტრაციას. ამიტომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების წინააღმდეგ აღმოცენდა ბურჟუაზიული ოპოზიცია. ი. ანდრონიკაშვილი მოითხოვდა მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვებას და ისეთი კანონების დამტკიცებას, რომელნიც შექმნიდნენ პირობებს კერძო ინიციატივის განვითარების, კაპიტალისტური მეურნეობების გამსხვილებისათვის.

მსხვილი მამულების კონფისკაციამ და მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვამ კიდევ უფრო დიდი უკმაყოფილება ბანკირებში გამოიწვია. თავადაზნაურთა მიწების დიდი ნაწილი დაგირავებული იყო ბანკებში და მამულების კონფისკაციის გამო, ბანკირები ყოველწლიურ შემოსავალს, სესხის პროცენტს კარგავდნენ და თავნის დაკარგვის საფრთხის ქვეშ იმყოფებოდნენ. ბანკები ილაშქრებდნენ აგრარული რეფორმის წინააღმდეგ, მოითხოვდნენ ზარალის რაიმე ფორმით კომპენსაციას. მთავრობას უარი არ უთქვამს ბანკირთა პრეტენზიებზე, მაგრამ ფაქტიურად მას არ შეეძლო საკრედიტო დაწესებულებათა მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ამგვარად, 1919 წელს გატარებული აგრარული რეფორმა ბურჟუაზიული და იმავდროულად დემოკრატიულიც იყო. მან მოახდინა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის, ბატონყმობის ნაშთების ამ ეკონომიური საფუძვლის ლიკვიდაცია. მემამულეებისათვის ნორმად დატოვებული 7-15 და 40 დეს. მიწა უკვე აღარ იყო საკმარისი გლეხობის ნახევრად ბატონყმური ექსპლოატაციის გაგრძელებისათვის. სამაგიეროდ რეფორმამ ხელსაყრელი პირობები შექმნა თავისუფალ შრომაზე დამყარებული გლეხური, ფერმერული, კოოპერაციული და სახელმწიფო მეურნეობის განვითარებისათვის.

X X X

საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას, მართალია, ქართველები შეადგენდნენ, მაგრამ მის ტერიტორიაზე მეტნაკლები რაოდენობით

ცხოვრობდნენ აფხაზები, ოსები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები და სხვა ერთა წარმომადგენლები. მათ შორის ყოველთვის თანხმობა და მეგობრობა როდი იყო. არცთუ იშვიათად კონფლიქტებიც ხდებოდა. საქართველოს ხელისუფლება, ბუნებრივია, ცდილობდა შიგა ეროვნულ ურთიერთობათა დარეგულირებას, მის ნორმალურ ჩარჩოებში ჩაყენებას.

1917 წლის ნოემბერში ადგილობრივი ორგანიზაციების ინიციატივით სოხუმში ჩატარდა ყრილობა, რომელმაც აირჩია აფხაზეთის ეროვნული საბჭო. 1918 წლის 9 თებერვალს ამ საბჭოს წარმომადგენლები (ა. შერვაშიძე, მ. ემხვარი, ნ. მარღანია, ნ. ჩხოტუა, მ. ცაგურია) თბილისში შეხვდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის წევრებს (ა. ჩხენკელი, კ. მესხი, გ. გეაზავა, პ. საყვარელიძე). განიხილეს აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხი. აფხაზთა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სურვილი აქვთ შექმნან დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ერთეული და საქართველოსთან დაამყარონ კეთილმეზობლური ურთიერთობა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრებმა, რა თქმა უნდა, მხარი არ დაუჭირეს აფხაზთა ლიდერების სეპარატისტულ მისწრაფებას, განაცხადეს, ბუნებრივი და მიზანშეწონილია, რომ აფხაზეთი დარჩეს საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სტატუსით. ბოლოსდაბოლოს აფხაზთა წარმომადგენლებმა მიიღეს საქართველოს ეროვნული საბჭოს წინადადება. მხარეები შეთანხმდნენ, ერთად ეზრუნათ იმისათვის, რომ აფხაზეთს დაბრუნებოდა გაგრის რაიონი, რომელიც მეფის მთავრობამ 1904 წელს ჩამოაჭრა სოხუმის ოლქს და სოჭის ოკრუგს მიუერთა.[25]

აფხაზეთში მომუშავე ბოლშევიკებმა ზემოაღნიშნული შეთანხმება ფაქტიურად ჩაშალეს. მათ შექმნეს სამხედრო-რევოლუციური კომიტეტი, წითელი რაზმი, დაეუფლნენ სოხუმს და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. აფხაზეთის რევკომის ხელმძღვანელებმა კონტაქტები დაამყარეს საბჭოთა რუსეთთან, ყუბანის რესპუბლიკასთან, მოითხოვეს არა არტო მორალურ-პოლიტიკური, არამედ სამხედრო დახმარებაც. აფხაზეთში შემოვიდა ყუბანელ კაზაკთა 2 ათასიანი რაზმი, რომელმაც დაამარცხა გუდაუთასთან მდგარი საქართველოს გვარდიის მცირე შენაერთი და სოხუმი დაიკავა. ამასობაში ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა დაიშალა. ახლად შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთში ჯარის შედარებით მსხვილი ნაწილები გაგზავნა. თან სცადა კონფლიქტის მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოგვარება.

1918 წლის 8 ივნისს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ აფხაზეთის წარმომადგენლებთან ასეთი ხელშეკრულება გააფორმა: 1) საქართველოს დროებით მთავრობასთან მოწვეული იქნება აფხაზეთის წარმომადგენელი, აფხაზეთის საქმეთა მინისტრი; 2) აფხაზეთის შინაგანი მმართველობა (თვითმმართველობა) ეკუთვნის აფხაზეთის სახალხო საბჭოს; 3) აფხაზეთის მართვა-გამგეობისათვის საჭირო თანხა კრედიტების სახით გაიცემა საქართველოს მთავრობის მიერ და დაიხარჯება აფხაზეთის სახალხო საბჭოს შეხედულების მიხედვით; 4) რევოლუციური წესრიგის დამყარებისა და ხელისუფლების განმტკიცების მიზნით აფხაზეთში გაიგზავნება საქართველოს სახალხო გვარდიის ნაწილები; 5) აფხაზეთში ჩამოყალიბდება ინტერნაციონალური რაზმი, რომელიც იქნება აფხაზეთის სახალხო საბჭოს განკარგულებაში; 6) აფხაზეთში სოციალურ რეფორმებს გაატარებს აფხაზეთის სახალხო საბჭო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე, მაგრამ ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით; 7) აფხაზეთის სახალხო ყრილობა მოწვეული იქნება რაც შეიძლებ მალე. იგი განსაზღვრავს აფხაზეთის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების ფორმებს.[26]

საქართველოს მთავრობა, როგორც ვხედავთ, სცნობდა აფხაზეთში შექმნილ ადგილობრივი მმართველობის ორგანოს, მზად იყო მიეცა ამ კუთხის მოსახლეობისათვის ავტონომია. მაგრამ აფხაზეთის სახალხო საბჭოს ლიდერებმა და სხვა სეპარატისტებმა მეტი მოინდომეს. მათ მიზნად დაისახეს თავის უფლება-კომპეტენციის კიდევ უფრო გაფართოება, თითქმის სრული დამოუკიდებლობის მოპოვება. კონფლიქტი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ვერ აღმოიფხვრა, საომარი ოპერაციები გაჩაღდა.

საქართველოს სახალხო გვარდია შეტევაზე გადავიდა. წითელარმიელებმა მარცხი განიცადეს. დატოვეს სოხუმი. 22 ივნისს ქართველთა რაზმებმა გაანთავისუფლეს გუდაუთა და გაგრა, 2 ივლისს აიღეს ადლერი, 6 ივლისს სოჭი, 26 ივლისს — ტუაფსე. ამ დიდმა და მოულოდნელმა სამხედრო წარმატებამ საქართველოს მთავრობა თითქოს შეაშფოთა. ნ. ჟორდანიამ გარეშე სახელმწიფოთა საყურადღებოდ გააკეთა განცხადება, რომ ტერიტორიების შემომატება ჩვენს გეგმაში არ შედის, ჩვენი ჯარი ტუაფსემდე საქართველოს დაცვის, მისი მთლიანობის შენარჩუნების, ბოლშევიკური საფრთხის თავიდან აცილების საჭიროებამ მიიყვანაო.

საქართველოს ჯარისა და გვარდიის ეს ბრწყინვალე გამარჯვება სათანადოდ ვერ აისახა ქართულ პრესაში, დოკუმენტურ მასალებში. მხოლოდ 1918 წლის 4 ოქტომბერს გამოქვეყნდა გაზ. „საქართველოში" მცირე ცნობა სათაურით – „შავი ზღვის პირის ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვების ამბავი". ნიკო თავდგირიძის ამ კორესპონდენციით გაიგო ქართველმა მკითხველმა გენერალ მაზნიაშვილის რაზმების გმირობა, მათი საარაკო ლაშქრობა გაგრიდან ტუაფსეშდე. „სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს – წერს ავტორი, – რომ ამ ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის მთავარსარდლობით და ჩვენი მამაცი ოფიცრების ჭკადუას, დონდუას, იაშვილის, გოგიტიძის, დოლიძის, ანთაძის გაბედულების მეოხებით ჩვენს ხალხს აღუდგინა სამხედრო საქმეში ძველებური სწორუპოვრობის სახელი". ნ. თავდგირიძეს განსაკუთრებით შთამბეჭდავად მიუწნევია ტუაფსედან 24 კმ-ზე მოპოვებული გამარჯვება, სადაც ქართველთა რაზმმა ააფეთქა ჯავშნიანი მატარებელი და დაიფრინა მტრის 4 ათასიანი ჯარი. კორესპონდენტი სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ საქართველომ და მისმა მთავრობამ სათანადოდ ვერ დააფასა ყუბანის ველზე გაჭრილი რაზმის გმირობა, პატივი არ მიაგო ჩვენს სასახელო რაინდებს, რომელთა ვაჟკაცობა და საზრიანობა არა მარტო საქართველოს ისტორიაში, არამედ მსოფლიო ისტორიაში ჩაიწერებაო.[27]

გენერალ მაზნიაშვილის რაზმის გმირობის ამბავი მსოფლიო ისტორიაში არავის ჩაუწერია, მაგრამ ამ გამარჯვებამ განამტკიცა საქართველოს პოზიციები რეგიონში.

საქართველოს მთავრობას იარაღით დამყარებული მშვიდობა და წესრიგი არ აკმაყოფილებდა. 1918 წლის 3 სექტემბერს მან მოისმინა აფხაზეთის საქმეთა მინისტრის მოხსენება და დაადგინა: გაიგზავნოს აფხაზეთში განსაკუთრებული კომისია და მას დაევალოს: 1) გამოიძიოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს წარმომადგენლებთან ერთად საქართველოს ჯარის მოქმედებით გამოწვეული საჩივრების ნამდვილი საფუძველი; 2) გამოარკვიოს ჩვენი რაზმების მიერ მოსახელობისათვის მიყენებული ზარალის ოდენობა; 3) ეს დადგენილება დაუყონებლივ ეცნობოს აფხაზეთის სახალხო საბჭოს.

სათანადო მასალის მიღების შემდეგ საქართველოს მთავრობამ გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ინფორმაცია: ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზეთის სახალხო საბჭოს წევრთა ერთი ნაწილი (ძირითადად მემამულეთა წრიდან) დაადგა რა აფხაზეთის მოსახლეობის,

მისი საბჭოს ღალატის გზას, თითქმის ყოველთვის ცდილობდა უცხო ძალის ჩარევით (თურქები, ალექსეევის არმია) შეეცვალა ვითარება აფხაზეთში. ამ ჯგუფის თავხედობა ბოლო დროს იქამდე მივიდა, რომ ოკრუგის კომისრის მარღანიასა და აფხაზეთის საქმეთა მინისტრის პოლკოვნიკ ჩხოუტუას მეთაურობით მიზნად დაისახეს პოლიტიკური გადატრიალების განხორციელება. მათ მოახდინეს ადგილობრივი შეიარაღებული ძალების მობილიზაცია, ალყაში მოაქციეს და თავის გავლენს დაუქვემდებარეს აფხაზეთის სახალხო საბჭო. ბუნებრივია, აფხაზეთის სახალხო საბჭომ დაკარგა ხალხის სასარგებლო საქმიანობის შესაძლებლობა. ამიტომ და აგრეთვე იმის გამო, რომ სახალხო საბჭო არ ყოფილა არჩეული დემოკრატიული წესით და არ გამოხატავდა ხალხის უმრავლესობის ინტერესებს, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 1918 წლის 10 ოქტომბერს დაადგინა: 1) ამჟამინდელი შემადგენლობის აფხაზეთის სახალხო საბჭო გამოცხადდეს დაშლილად. დაინიშნოს მისი ახალი არჩევნები საყოველთაო საარჩევნო უფლების საფუძველზე; 2) არჩევნების ჩასატარებლად შეიქმნას ცენტრალური საარჩევნო კომისია – ვარლამ შერვაშიძის, ისიდორე რამიშვილის, ვასილ გურჯუას, ექიმ ფაშალიშვილისა და გიორგი შერვაშიძის შემადგენლობით. კომისიას მიეცეს უფლება, თვით აირჩიოს თავმჯდომარე, და კოპტაციის წესით მის შემადგენლობაში სხვებიც შეიყვანოს; 3) არჩევნებამდე, დროებით, სოხუმის ოკრუგის უფროსად დაინიშნოს ბენიამინ ჩხიკვიშვილი, რომელსაც დაექვემდებარება ყველა სამთავრობო დაწესებულება; 4) აფხაზეთის სახალხო საბჭოს დაშლის გამო, აფხაზეთის საქმეთა მინისტრს ჩხოტუას რწმუნება შეუწყდეს. ეს ფუნქცია დროებით დაეკისროს განათლების საქმეთა მინისტრს; 5) აფხაზეთის სახალხო საბჭოს ქონების დაცვა და შემდეგ მისი ახალი შემადგენლობისათვის გადაცემა დაევალოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.[28]

მხოლოდ 1919 წლის გაზაფხულზე მოხერხდა ახალი არჩევნების ჩატარება, მოქმედება დაიწყო აფხაზეთის სახალხო საბჭოს ახალმა შემადგენლობამ. მალე მან შეიმუშავა „აფხაზეთის ავტონომიის აქტი". იქ ნათქვამი იყო: 1) აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით; 2) ავტონომიური აფხაზეთის კონსტიტუციის შესადგენად, ცენტრსა და ავტონომიას შორის ურთიერთობის რეგულირებისათვის იქმნება შერეული კომისია, მის მიერ შედგენილი კონსტიტუცია შევა

საქართველოს კონსტიტუციაში როგორც მისი ნაწილი. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის 21 მარტს დაამტკიცა ეს აქტი და ამდენად თითქოს დამთავრდა აფხაზეთის ავტონომიის ჩამოყალიბების პროცესი. მაგრამ საერთოდ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აფხაზეთის ავტონომიის მართვა-გამგეობის ორგანოებს შორის უფლება-კომპეტენციის გამიჯვნის პრობლემა საკმაოდ ძნელი გადასაწყვეტი აღმოჩნდა.

1918 წლის გაზაფხულზე მდ. ლიახვის ზემო ნაწილში აგრარული მოძრაობა დაიწყო, რომელსაც ბოლშევიკებმა პოლიტიკური მიმართულება მისცეს, საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ წარმართეს.

ოსმა აჯანყებულებმა აიღეს ცხინვალი და საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს. კონფლიქტის ზონაში რესპუბლიკის მთავრობამ ჯარი გაგზავნა. კონიაშვილისა და ჯუღელის რაზმებმა ცხარე ბრძოლის შემდეგ ცხინვალი აიღეს. მაგრამ ოსთა ანტიქართული მოძრაობა სხვადასხვა ფორმით კიდევ კარგა ხანს გრძელდებოდა.

ოსთა აჯანყების, საერთოდ პროსაბჭოური და სეპარატისტული მოძრაობის მიმართ თავისი აზრი ოპოზიციურმა პარტიებმაც გამოთქვეს. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მთავრობას სისუსტე, გაუბედაობა უკიჟინა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მსურველთა მიმართ უფრო მკაცრი ზომების მიღება მოსთხოვა. გ. ქიქოძე წერდა: „ჩვენ არ ვიცით სად გადაწყდება ოსების საკითხი — პარლამენტში თუ ბრძოლის ველზე. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია, რომ ეს საკითხი საქართვეოლს შინაური საქმეა. ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი მთელს ჩვენ ისტორიულ ტერიტორიაზე ვრცელდება. ჯავის ხეობის ოსები ისევე შედიან ამ ტერიტორიაში, როგორც სოხუმის ოლქის აფხაზები, ბორჩალოს მაზრის თათრები და ზაქათალის ოლქის ჭარელ-დახურელები. სრულიად საქართველოს დამფუძნებელი კრების საქმეა, თუ რა უფლებები მიენიჭება ყველა ამ პატარა თემებს საზოგადო სამოქალაქო უფლებებს გარდა, კერძოდ ჯავის ხეობის ოსებს აქვთ თავის ენა, მაგრამ არ აქვთ ლიტერატურა. ამიტომ შეუძლებელია ოსურ კულტურულ და ტერიტორიულ ავტონომიაზე ლაპარაკი“. გ. ქიქოძე იქვე აღნიშნავს, რომ საქართველოსაგან ჩამოცილების ტენდენციას ოსთა მხოლოდ მცირე ნაწილი ამჟღავნებდა. ამდენად, წერდა იგი, ჯაველი ბოლშევიკები და სოციალისტ-რევოლუციონერები შეგნებულად თუ შეუგნებლად რუსეთის იმპერიალიზმის საქმეს აკეთებენ. ამიტომ მათ მოქმედებას

ის გამართლებაც კი არ აქვს, რომელსაც უანგარიშო პატრიოტიზმი იძლევა.[29]

ბოლშევიკები ქართველ გლეხთა შორისაც ეწეოდნენ აგიტაციას, ძირგამომთხრელ საქმიანობას. მათ შესძლეს საქართველოს ეროვნული მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებათა პროვოცირება. ანტისამთავრობო მოძრაობის გაფართოებას ცდილობდნენ აგრეთვე რუსთა ეროვნული საბჭოს ლიდერები და რუსი ოფიცრები, რომელნიც დიდი რაოდენობით რჩებოდნენ საქართველოში.

1918 წლის ივნის-ივლისში მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები დაიწყო არაგვის ხეობაში. ბოლშევიკებმა და გაბოლშევიკებულმა ელემენტებმა შესძლეს დუშეთის დაკავება. მათ დასახმარებლად ვლადიკავკაზიდან წამოვიდა საშა გეგეჭკორი საკმაოდ დიდი რაზმით. ამ მოვლენებთან დაკავშირებით 1918 წლის 2 ივლისს დავით ვაჩნაძემ შეკითხვა შეიტანა პარლამენტში. აღნიშნა, რომ „რუსული სამხედრო შტაბები, თავის მრავალრიცხოვანი გენერლებითა და ოფიცრებით, საქართველოს თავისუფლების სამტრო ბანაკად გადაიქცა“. პირველყოვლისა ისინი მიმართავენო პროვოკაციებს, იწვევენ კონფლიქტებს. მიმაჩნია, რომ რუსი სამხედროები მონაწილეობდნენ სამხედრო გზაზე მომხდარ ამბოხებაში – „როდის გასწმენდს მთავრობა თბილისსა და მთელ საქართველოს ამ მავნე რუსი სამხედრო პირებისაგან“. დ. ვაჩნაძე მოითხოვდა: 1) ეხლავე მიეცეს წინადადება რუსული გენერალური შტაბის ოფიცრებს დაუყონებლივ დატოვონ საქართველო; 2) მთავრობამ განაცხადოს, რომ ვინც ნებით არ წავა, ძალით გაისტუმრებენ რუსეთში; 3) მთავრობამ აუკრძალოს რუს ოფიცრებს სამხედრო ფორმის ტარება საქართველოს ფარგლებში.[29ა]

რუსი სამხედროებისაგან საქართველოს გაწმენდა დაგვიანდა. სამაგიეროდ დუშეთის აჯანყების ლიკვიდაცია სწრაფად განხორციელდა. ქართულმა ჯარმა გაწმინდა სამხედრო გზა მტრული ელემენტებისაგან, საშა გეგეჭკორის რაზმი და სხვა ბოლშევიკები ქედს გადაღმა გადარეკა, საქართველოს საზღვარს გააცილა. 1918 წლის 15 ივლისს ნ. ჟორდანიამ ასეთი დეპეშა გაუგზავნა გენერალ კონიაშვილს, ჯუღელსა და დგებუაძეს: „ვულოცავ სახალხო გვარდიას, ფედერალისტთა პარტიზანულ რაზმსა და რეგულარული ჯარის ნაწილებს კავკასიონის ქედის გადალახვას და დემოკრატიის მტრებზე ბრწყინვალე გამარჯვებას. გადაეცით ჩვენს ერთგულ ყაზბეგელებს და სხვა მთიელებს ჩვენი ძმური სალამი და მილოცვა“.[30]

1918 წლის 26 მაისის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკასთან მიმართებაში საზღვარგარეთის ქვეყნებად გადაიქცნენ აზერბაიჯანი, სომხეთი, რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული სხვა სახელმწიფოები. ზოგ მათგანთან ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული, არაიშვიათად კონფლიქტურიც იყო.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის დროსვე დაიწყო დავა მასში შემავალ ეროვნულ ერთეულებს შორის ტერიტორიების გამიჯვნასთან დაკავშირებით. საქართველოს სომხეთი ედავებოდა ბორჩალოს მაზრის სამხრეთ ნაწილზე, აზერბაიჯანს კი ზაქათალას გამო. აზერბაიჯანი და სომხეთი ერთმანეთს ებრძოდნენ ყარაბაღისა და ზოგი სხვა ტერიტორიის დასაკუთრებისათვის.

სადაო საკითხების გადასაწყვეტად 1918 წლის ოქტომბერ-ნოემბრის მიჯნაზე გაიმართა ამიერკავკასიის საერთაშორისო კონფერენცია. მხარეებმა პირველი რიგის ამოცანად მიიჩნიეს: 1) ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მიერ ურთიერთ იურიდიული ცნობა; 2) ყველა სადაო საკითხის დაინტერესებულ მხარეთა მიერ მშვიდობიანი შეთანხმებით გადაწყვეტა; 3) სოლიდარული, ურთიერთ მხარდამჭერი გამოსვლები მსოფლიო კონგრესებზე იმ მიზნით, რომ მიღწეული ყოფილიყო სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების საერთაშორისო აღიარება „დეფაქტო“ და „დე-იურე“ ცნობა.[31]

ამ შეთანხმებას შედეგი არ მოჰყოლია. ამიერკავკასიის სამი სახელმწიფოს ურთიერთობა არა თუ გაუმჯობესდა, გაუარესდა კიდეც და მალე ომში გადაიზარდა.

1918 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სხვადასხვა ფრონტზე დამარცხებულმა გერმანიამ და მისმა მოკავშირეებმა კაპიტულაცია გამოაცხადეს. გამარჯვებული ანტანტის არმიებმა მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში დაიკავეს გერმანიისა და მის მოკავშირეთა ადგილი. გავლენის სფეროების განაწილების დროს ამიერკავკასია, და კერძოდ საქართველოწილად ხვდა დიდ ბრიტანეთს.

გერმანიის მარცხი ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა საქართველოს რესპუბლიკის მარცხად აღიქვეს. მათ მიიჩნიეს, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი და ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს ხარჯზე ხელის მოთბობის, მისი ტერიტორიების მითვისებისათვის. სწორედ ამ მომენტს დაუკავშირა არარატის რესპუბლიკამ საქართველოსთან გამოუცხადებელი ომის დაწყება. ამის შემდეგ გააძლიერა დენიკინის რეჟიმმაც საქართველოს წინააღმდეგ შემოტევა.

1918 წლის 30 ოქტომბერს ომში დამარცხებულმა თურქეთმა ინგლის-საფრანგეთთან ხელი მოაწერა მუდროსიის დროებით ზავს, რის შემდეგ დასტოვა ამიერკავკასიის ოკუპირებული ტერიტორიები. როგორც კი თურქთა საჯარისო შენაერთები საქართველოს კუთვნილი ლორეს რაიონიდან გავიდნენ, არარატის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ ამ ტერიტორიაზე. საქართველოს მთავრობამ, ბუნებრივია, მეზობელ სახელმწიფოს პროტესტი გამოუცხადა და სათანადო ოპერაცია განახორციელა საზღვრის აღსადგენად. უკვე ნოემბრის ბოლოს მოხდა ქართველ-სომეხთა პირველი სამხედრო შეტაკებები.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ მოსალოდნელ კონფლიქტზე ერთი თვით ადრე გაამახვილა ყურადღება. „საქართველოს" რედაქცია შეშფოთებული აუწყებდა მკითხველს, რომ თურქები ლორეს რაიონის სომხებისათვის გადაცემას აპირებენო „ბამბაკი და აბოცი ჩვენი სამხრეთის დარიალია., ...ვისაც ხელში აქვს ეს კვანძი, საქართველოს კარიბჭე იმისია". საკვირველია, რატომ დუმსო ჩვენი მთავრობა.[32]

როცა ქართველ-სომეხთა ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა გ. ქიქოძე წერდა: „ჩვენ არ გვინდა იარაღის ჟღარუნი. საქართველოს მთავრობამაც და პარლამენტმაც საოცარი თავდაჭერილობა გამოიჩინა, მაგრამ ისიც ვიცით, რომ დათმობა და მით უმეტეს სილაჩრე არასოდეს ყოფილა მშვიდობიანობის საწინდარი., ...ლორეს პროვინციას ორგანული ისტორიული, სტრატეგიული და ეკონომიური კავშირი აქვს საქართველოსთან. თუ დღეს ლორე დავთმეთ, ხვალ მთელ ბორჩალოს მოგვთხოვენ. ზეგ ახალციხესა და ახალქალაქსაც დაიჭერენ". ამ ტერიტორიის მნიშვნელობა კარგად ესმოდათ ჩვენს წინაპრებს და მთელი ძალით იცავდნენ. მისი მნიშვნელობა უნდა ესმოდეს ჩვენს დღევანდელ მთავრობასაც. იმედია ნ. ჟორდანია და ნ. რამიშვილი „ღირსეულად დაიცავენ ამაყი წინაპრების მიერ დატოვებულ მემკვიდრეობას".[33]

სპ. კედიამ იმთავითვე აღნიშნა, რომ სომხეთის მთავრობის გააქტიურება, მისი აგრესიული ზრახვების გაძლიერება დაკავშირებული იყო საერთაშორისო მდგომარეობაში მომხდარ ცვლილებებთან. „გერმანიიის ამჟამად გაძნელებულმა მდგომარეობამ ფრთები შეასხეს საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს". ამ მიხვედრის ჭეშმარიტება კიდევ უფრო ცხადყო მომდევნო დღეების ამბებმა. გაზ. „საქართველოს" მოწინავეში – „ინგლისი და რუსულ-სომხური იმედები" ნათქვამია:

„რუსეთისა და სომხეთის ზოგიერთი პასუხიმგებელი პოლიტიკური მოღვაწე დარწმუნებული ყოფილა, რომ გერმანიის დამარცხება საქართველოს დამარცხებას ნიშნავს და ინგლისელების შემოსვლას ან დიდი რუსეთის, ანდა დიდი სომხეთის აღდგენა უნდა მოჰყვეს. ამ დიდი იმედით აიხსნება არარატის რესპუბლიკა რომ უარს აცხადებს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე. როგორც ჩანს, სომხურ-ქართული დავის გადაჭრა არ შეიძლება დიპლომატიური მოლაპარაკებით. საზღვრების საკითხი რკინის მეშვეობით გადაწყდება“.[34]

საქართველოს მთავრობა კონფლიქტის პირველ ეტაპზე სომხეთის მმართველ წრეს თითქოს ნამუსს სწმენდდა, დაძაბული სიტუაციის შექმნაში უპასუხიმგებლო ავანტიურისტებს ადანაშაულებდა, ტერიტორიული დავის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზას ეძებდა, მაგრამ ამაოდ. 1918 წლის 17 დეკემბერს პარლამენტის სხდომაზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „მოქალაქენო! მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. იმ დროს, როცა მსოფლიო ომის ხანძარი ჩაქრა, სომხეთის მთავრობა ფარულად ესხმის თავის საქართველოს რესპუბლიკას“. საღი პოლიტიკა, ნ. ჟორდანიას აზრით, მოითხოვდა, რომ სომხეთის მთავრობას, რომელიც აზერბაიჯანს ეომებოდა, საქართველოსთან მაინც შეენარჩუნებია მშვიდობიანი ურთიერთობა. მაგრამ მან მხედველობაში არ მიიღო მდგომარეობის სირთულე და ფაქტიურად ომი გამოგვიცხადა. არარატის რესპუბლიკა ალბათ გარედან ელის დახმარებას. მაგრამ არა მგონია ვინმემ გაამართლოს ჩვენი მეზობლის ავანტიურა და მას შემწეობის ხელი გაუწოდოს“. ამჟამად შექმნილი სიტუაცია მოითხოვს, ამბობდა ნ. ჟორდანია, რომ მშვიდობიანი შეთანხმებით განისაზღვროს ამიერკავკასიის ხალხთა უფლებრივი მდგომარეობა, სამართლიანად გაიმიჯნოს მათი ტერიტორიები. მაგრამ რაკი არარატის რესპუბლიკის მთავრობა მშვიდობიან პოლიტიკურ მოლაპარაკებაზე უარს ამბობს, ჩვენ იძულებული ვართ მშვიდობიანობა იარაღით დავამყაროთო.[35]

პარლამენტი ოვაციით შეხვდა მთავრობის თავმჯდომარის სიტყვას და კონფლიქტის ზონაში უფრო მრავალრიცხოვანი ჯარის გაგზავნა მოითხოვა. საომარი მოქმედების არეალი გაფართოვდა. ქართველთა ჯარმა შეაჩერა სომეხთა შემოტევა. 20 დეკემბერს კი კონტრშეტევაზე გადავიდა, აგრესიული მეზობლებისაგან დაკავებული ტერიტორიის დიდი ნაწილი გაანთავისუფლა. სომხეთის ჯარი სრული მარცხისაგან ფაქტიურად დიდმა ბრიტანეთმა იხსნა. მან იკისრა არბიტრის როლი და კიდევაც დააზავა მხარეები. შეთანხმების თანახმად იქმნებოდა

ნეიტრალური ზონა, ხდებოდა საქართველოსა და სომხეთის შეიარაღებულ ძალთა დაშორიშორება.

ქართველ-სომეხთა კონფლიქტში დიდი ბრიტანეთის ჩარევას ეროვნულ-დემოკრატიული პარტია თავიდანვე ეჭვით შეხვდა. იგი აცხადებდა: „ქართველ ხალხს მკაცრი პრინციპი – „სისხლი სისხლის წილ" არ ამოძრავებს, იგი სისხლს სამართლიანობისათვის ღვრის. თუ მესამე ძალის ჩარევა და წინადადება საქართველოს ბუნებრივი საზღვრის აღდგენას ითვალისწინებს, მას მადლობას ვეტყვით. სომხეთმა უნდა დატოვოს დაკავებული ტერიტორიები, პრეტენზიები არ უნდა იქონიოს ჯავახეთის მიმართ. იგი იმედს გამოთქვამდა, რომ საქართველოს მთავრობა გამოიჩენდა საზრიანობას, ყველა საშუალებას იხმარდა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის.[36]

ეროვნულ-დემოკრატები არც მთავრობის კრიტიკას ერიდებოდნენ, განსაკუთრებით მკაცრად ესხმოდნენ თავს საგარეო საქმეთა მინისტრს. ისინი ხალხს აუწყებდნენ: „ჩვენ ე. გეგეჭკორს ვებრძვით არა სომხოფილობისა და ანგლოფილობისათვის, არამედ იმიტომ, რომ მას არა აქვს მტკიცე და გარკვეული პრინციპი. რა თქმა უნდა, მეტად ამაღლებული იდეალია კაცთა შორის მშვიდობიანობისა და სათნოების დამყარება, მაგრამ არ შეიძლება სახელმწიფო მოღვაწემ ეს განყენებული იდეალი ყოველ კონკრეტულ პირობებში სახელმძღვანელო პრინციპად გაიხადოს. მას რომ არარატის რესპუბლიკის ულტიმატუმი მიეღო, საქართველო თავიდან აიცილებდა დღევანდელ ომს, მაგრამ თვით ამ უკიდურესმა პაციფისტმა, როგორც ჩანს, ნათლად დაინახა, რომ არის მდგომარეობა, როცა ზავს ომი სჯობია. იმაშია ე. გეგეჭკორის მთავარი შეცდომა, რომ მან ეს ჭეშმარიტება ძალიან გვიან შეიგნო".[37]

ინგლისელთა არაობიექტური, უსამართლო არბიტრობის გამო მოკრძალებული შენიშვნა ოფიციოზმა „ერთობამაც" გააკეთა, მაგრამ უფრო მკაცრი კრიტიკით ეროვნულ-დემოკრატიული გაზ. „საქართველო" გამოვიდა. რედაქციამ აღნიშნა, რომ დიდი ბრიტანეთის წინადადება თითქმის არავითარ ანგარიშს არ უწევს თავდასხმის მსხვერპლის ინტერესებს. იგი თავდამსხმელი მხარის დანაშაულებრივ ზვიადობას აქეზებსო. წამოყენებული წინადადებები გვაფიქრებინებს, რომ ინგლისი და მასთან ერთად საფრანგეთი ცდილობენ „საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ხარჯზე თავდამსხმელი სომხეთი დააკმაყოფილონო".[38]

1919 წლის 4 იანვარს საქართველოს პარლამენტში მთავრობის მკვეთრი კრიტიკით გამოვიდა სპ. კედია. მისი აზრით, სომხეთთან

ომის დროს მთავრობამ ვერ გამოიჩინა დროული, გადამწყვეტი მოქმედების უნარი და დიდი შეცდომები დაუშვა საზავო მოლაპარაკების დროსაც. ფაქტობრივად ჩვენმა ჯარმა გაიმარჯვა, მაგრამ შეთანხმების პირობებით დამარცხებული გამოვედითო. გაფორმებული საზავო ხელშეკრულება გვართმევს სუვერენულ უფლებას ტერიტორიის ერთ ნაწილზე და ამიტომ იგი მიუღებელია. პარლამენტმა არ უნდა მოახდინოს ზავის რატიფიკაცია.[39]

საქართველოს მთავრობაც კარგად ხედავდა, რომ სამმხრივი შეთანხმება საქართველოს ინტერესებს ზიანს აყენებდა, მაგრამ მან ვერ შესძლო წინ აღდგომოდა ძლევამოსილ ანტანტას, დიდ ბრიტანეთს. 1918 წლის 24 დეკემბერს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ინგლისის სამხედრო მისიას სწერდა: თქვენი მომართვის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს მთავრობა აუცილებელ საჭიროებად არ თვლის უცხო ჯარების ყოფნას თავის ტერიტორიაზე, მას თვითონვე შეუძლია წესიგისა და მშვიდობის დაცვა. მაგრამ რაკი მოკავშირეების საერთო გეგმაში შედის თბილისში მათი ორი ბრიგადის დაბინავება, საქართველოს მთავრობა (სურს რა ანტანტასთან თანხმობა) უარს არ ამბობს აღნიშნული რაოდენობის ჯარის თბილისში შემოყვანაზე. ქ. ბათუმსა და ბათუმის ოლქში, რომლებიც ოკუპირებული იყო თურქეთის მიერ, ინგლისის ჯარები საქართველოს მთავრობის თანხმობის გარეშე შემოვიდნენ.

დიდი ბრიტანეთი, როგორც უკვე ითქვა, ჩაერია საქართველო-სომხეთის კონფლიქტში, თვით მოითხოვა არბიტრის როლის შესრულება. შექმნილ სიტუაციაში საქართველო, რა თქმა უნდა, ვერ გაბედავდა, უარი ეთქვა პირველ მსოფლიო ომში გამარჯვებული მოკავშირეების, კერძოდ, ინგლისის შუამავლობაზე. მთავრობამ დაადგინა: 1) საქართველო დიდი კმაყოფილებით იღებს მოკავშირეთა წარმომადგენლების ინიციატივას ქართველ-სომეხთა ომის შესაწყვეტად; 2) საომარი მოქმედების შეჩერებაზე ბრძანება უნდა გასცეს საქართველოს მთავრობამ; 3) როცა ორივე მხრიდან ცეცხლი შეწყდება, სომხეთის არმიამ უნდა დატოვოს დაკავებული ტერიტორიები, ისე რომ აღსდგეს „სტატუს ქვო“.[43]

შეთანხმების თანახმად სომხეთის ჯარმა, მართალია, დატოვა ოკუპირებული ტერიტორიები, მაგრამ იქ საქართველოს არმიის ქვედანაყოფები არ შესულან. ამდენად „სტატუსქვო“ არ აღდგენილა. ლორეს რაიონი გამოცხადდა ნეიტრალურ ზონად. სწორედ ეს ფაქტი

მიიჩნია ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დიდ მარცხად და ამაში მთავრობა დაადანაშაულა.

1918 წლის ნოემბრის ბოლოს საქართველომ ზეიმით აღნიშნა დამოუკიდებლობის გამოცხადების 6 თვის თავი. ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ 26 მაისის აქტი არ ყოფილა შემთხვევითი, მოგონილი რომელიმე პირის, ჯგუფის ან პარტიის მიერ. „ეს აქტი იყო ისტორიული აუცილებლობიდან და ხალხის გულიდან ამოხეთქილი"-ო. ამ აქტმა საფუძველი ჩაუყარაო საქართველოს გადარჩენას, სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას". 6 თვის წინად ჩვენ დავიწყეთ სახელმწიფოს შენება ოითქმის ცარიელ ადგილზე. შევუდექით მოპოვებული თავისუფლების კონსტიტუციურ კალაპოტში ჩამოყალიბებას. მთავრობის თავმჯდომარემ საკმაოდ კმაყოფილი ტონით აღნიშნა, რომ მოვაწყვეთ ადმინისტრაციული აპარატი, შემოვიღეთ საერობო თვითმმართველობა, გავატარეთ აგრარული რეფორმა, გარკვეული მუშაობა ჩავატარეთ ეკონომიკის ასაღორძინებლად, სოციალური სფეროს მოსაწესრიგებლად; შევქმენით ახალი საგადასახადო სისტემა, მოვაწესრიგეთ ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა, გავაფართოვეთ სკოლების ქსელი. პრიორიტეტულ საქმედ მივიჩნიეთო ხალხის მატერიალური პირობების გაუმჯობესება, მისი კულტურული დონის ამაღლება. ნ. ჟორდანიამ საზეიმო სიტყვა ასე დაამთავრა: „გისურვებთ თქვენ და ჩვენს შთამომავლობას, რომ 26 მაისის აქტი გადაიქცეს მუდმივ დღესასწაულად".[41]

თავი IV

საქართველოს დამფუძნებელი კრება. მრავალპარტიული დემოკრატიის მოღვაწეობა ეროვნული სახელმწიფოს აშენებისა და სრულყოფისათვის

1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დეკლარაცია ითვალისწინებდა უახლოეს მომავალში დამფუძნებელი კრების მოწვევას, მაგრამ გართულებული შინაპოლიტიკური და საგარეო მდგომარეობის გამო სათანადო მუშაობის ჩატარება დაგვიანდა. თითქმის ყველა პოლიტიკურ პარტიას, დროებითი პარლამენტის ყველა ფრაქციას დამფუძნებელი კრების მოწვევა საჭიროდ მიაჩნდა იმიტომაც, რომ თავის დროზე საქართველოს ეროვნული საბჭო, მართალია, ჩამოყალიბდა პარიტეტული პრინციპის საფუძველზე და მასში ყველა პარტიას ჰყავდა წარმომადგენელი, მაგრამ ეს საკანონმდებლო ორგანო არ იყო შექმნილი საყოველთაო და თანასწორი არჩევნების გზით. ოპოზიციური პარტიების აზრით პარლამენტის არსებული შემადგენლობა ვერ ასახავდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა ფაქტობრივ ძალას და გავლენას. ისინი ვარაუდობდნენ, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნებში უფრო რეალურად გამოიხატებოდა ხალხის ნება, მისი სიმპათია-ანტიპათიები ცალკეულ პოლიტიკურ პარტიათა მიმართ.

1918 წლის 22 ნოემბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტმა დაამტკიცა „დებულება დამფუძნებელი კრების არჩევნებისა", რომელიც ათი თავისა და ასცხრამეტი მუხლისაგან შედგებოდა. იგი ითვალისწინებდა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული ხმის მიცემით დამფუძნებელი კრების 130 წევრის არჩევას. პროპორციულ-წარმომადგენლობითი წესით არჩევნების ჩატარება ევალებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, მისადმი დაქვემდებარებულ საქალაქო, სამაზრო და სასოფლო საზოგადოებათა კომისიებს. დებულების თანახმად საარჩევნო კომისიაში უნდა შესულიყვნენ იმ პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები, რომელნიც წარადგენდნენ დეპუტატობის კანდიდატთა სიებს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა — როგორი იყო პოლიტიკურ ძალთა განლაგება, რომელი პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ჯგუფები აპირებდნენ საარჩევნო მარათონში მონაწილეობას, დამფუძნებელ კრებაში თავის წარმომადგენლების ვაყვანას?

საქართველოს დროებით პარლამენტში უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიას ეკუთვნოდა. იგი არც დამფუძნებელ კრებაში აპირებდა პოზიციების დათმობას.

ქართველ მენშევიკებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიასთან იდეურ-ორგანიზაციული ერთიანობა აკავშირებდა. მაგრამ ოქტომბრის გადატრიალებამ და მისმა თანამდევმა მოვლენებმა ნაწილისა და მთელის ერთიანობა დაარღვია. რუსეთის მენშევიკური პარტია კომუნისტურ დიქტატურასთან ბრძოლაში სულს ღაფავდა, ქართველ მენშევიკთა ორგანიზაცია კი საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის წამყვან ძალად გადაიქცა.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიისაგან საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ფაქტობრივი გამოყოფა კარგახანს არ ყოფილა გაფორმებული ოფიციალურად და იურიდიულად. საქართველოს ეროვნული მიმართულების პარტიებმა, მოვლენების განვითარებისაგან ასეთი ჩამორჩენილობის გამო არაერთხელ გააკრიტიკეს სოციალ-დემოკრატები. საზოგადოებრივმა აზრმა, როგორც ჩანს, დააჩქარა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად გაფორმება.

1918 წლის 14-19 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის მე-8 ყრილობა. მსჯელობის ძირითადი საგანი იყო საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნის (უფრო სწორად გაფორმების) საკითხი. 75 დელეგატიდან პარტიის დამოუკიდებლობას მხარი დაუჭირა 70 დელეგატმა. „სეპარატიზმის" წინააღმდეგ გაილაშქრა მხოლოდ ხუთმა კაცმა. ამ მინიატურულმა ფრაქციამ გაზ. „სოციალ-დემოკრატში" გამოაქვეყნა თავისი „დეკლარაცია". მისი ავტორების აზრით, მიმდინარე ეტაპზე მსოფლიოს განვითარების ძირითადი ტენდენცია იყო არა დიდ სახელმწიფოთა დაშლა (რაც ნამდვილად ხდებოდა), არამედ ხალხთა შეკავშირება და გაერთიანება. რუსეთის მრავალეროვნული პროლეტარიატი უნდა ცდილობდეს საერთო რუსული რევოლუციური ფრონტის აღდგენას, რაც თავისთავად გამორიცხავსო ერთიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეროვნული ნიშნით დანაწილებას.

ფრაქციის წევრებს მიაჩნდათ, რომ ამიერკავკასიის ეროვნული სახელმწიფოების შექმნა და ერთის ადგილზე სამი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება იყო წვრილბურჟუაზიული და ნაციონალისტური საქმე. მცირე ოპოზიცია იმედოვნებდა, რომ სოციალ-დემოკრატთა უმრავლესობა მალე მის თვალსაზრისს მიიღებდა და ინტერნაციონალიზმის გზას დაუბრუნდებოდა.

ნ. ჟორდანიამ მკაცრად გააკრიტიკა ე.წ. „ოპოზიციის" დაბნეულობა, მისი რეალური ნიადაგიდან მოწყვეტა. კ. კაუცკის ბოლო ნაშრომებზე დაყრდნობით ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერმა აღნიშნა, რომ ამჟამად სჭარბობს ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის ტენდენცია და ამდენად ერთიანი პროლეტარული ფრონტის ლოზუნგი უტოპიურია. ოპოზიციონერები გვსაყვედურობენ, რომ მოვწყდით კლასობრივ ნიადაგს, ვემსახურებით ვიწრო ეროვნულ საქმეს, უარს ვამბობთ რევოლუციურ ბრძოლაზე და ვამყარებთ სამოქალაქო ზავს. ნ. ჟორდანიამ დიდი რწმენით განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიას არ აშინებს მინიატურული ოპოზიციის მიერ წამოყენებული ბრალდება. ჩვენ უწინარეს ყოვლისა დემოკრატები ვართ და არა ნაციონალისტები. ვამაყობთ იმით, რომ რევოლუციის იდეებს სამოქალაქო ომის გარეშე ვახორციელებთ. თუ ჩვენ მოგვყვებიან სხვა კლასები და სხვა პარტიები, ეს დამსახურებად მიგვაჩნია. ადრე ცენტრალისტები ვიყავით, მაგრამ სიტუაცია შეიცვალა და დრომ მოითხოვა ეროვნული სახელმწიფოს შექმნა, საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ჩამოყალიბება.[1]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის VIII საოლქო ყრილობა დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის პირველ დამფუძნებელ ყრილობაში გადაიზარდა. დელეგატებმა ბოლო სხდომაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს ნ. ჟორდანია, კ. ჩხეიძე, რ. არსენიძე, ს. ჯიბლაძე, ნ. რამიშვილი, ნ. ხომერიკი, ალ. ლომთათიძე, ე. გეგეჭკორი და სხვები.[2]

ცოტა რამ ალიონისტების შესახებ. „ალიონის" ჯგუფი თავის დროზე პროგრამულ საკითხებზე უთანხმოების, საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მხარდაჭერის გამო გამოეყო სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) ორგანიზაციას და თავის მიმართულებით ძალიან დაუახლოვდა სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიას. მაგრამ მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატია საქართველოს დამოუკიდებლობის პოზიციაზე დადგა, თვით პარტიაც დამოუკიდებელი გახდა, აზრი აღარ

ჰქონდა დედაპარტიისაგან გათიშვას, ცალკე ორგანიზაციის თუ ჯგუფის სახით არსებობას. 1919 წლის იანვარში ალიონისტები დაბრუნდნენ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შემადგენლობაში.

რუსეთსა და ამიერკავკასიაში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა არსებითად შეცვალა აგრეთვე ამიერკავკასიის სოციალისტ-რევოლუციონერთა ორგანიზაციების სტატუსი. 1918 წლის მაისში ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ინიციატივით გადაიდგა პირველი ნაბიჯი საქართველოს დამოუკიდებელი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის შექმნისათვის. მისი დამფუძნებელი ყრილობა გაიმართა 1918 წლის ივნისში.

ესერები მტრულად შეხვდნენ ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას. ამ პარტიის ლიდერებმა განაცხადეს, რომ არ იყო მიზანშეწონილი რუსეთის დაშლა, მისგან ამიერკავკასიისა და საქართველოს გამოყოფა. მაგრამ ბოლშევიკებმა გახრწნეს არმია, გამოიწვიეს ფრონტების გაშიშვლება, ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომი და დიდი რუსეთი დაშლამდე მიიყვანეს. რუსეთის დიდი, თებერვლის რევოლუციის მონაპოვარი თვით რუსეთში იღუპება, აქ საქართველოში კი შესაძლებელია მისი შენარჩუნება. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მეთაურები — ნ. ჟორდანია, კ. წერეთელი, კ. ჩხეიძე და სხვ. ხალხს არ ულალატებენ, დიდი რევოლუციის იდეებს საქართველოში მაინც განახორციელებენო.[3]

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის მეორე ყრილობაზე ლ. შენგელიამ თქვა: „ჩვენ მოვწყდით რუსეთს და ამით მოვწყდით ჩვენს დიდ პარტიას რუსეთში. ამას არ მოითხოვდა ჩვენი ვიწრო პარტიული ინტერესები, მაგრამ მოითხოვდა ჩვენი ერის მდგომარეობა და მშრომელი ხალხის ინტერესები. დამოუკიდებელი პარტიული არსებობა აორკეცებს ჩვენს პასუხისმგებლობას. ჩვენ მოვწყდით დედაპარტიას, მაგრამ თუ ინტერნაციონალიზმი არის იდეური ერთობა და არა მექანიკური კავშირი, ჩვენ მასთან ვიქნებით მუდამ“. ესერთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ივანე გობეჩიამ აღნიშნა: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება საჭირო იყო იმისათვის, რომ ჩვენი ერი გადარჩენილიყო ფიზიკურ განადგურებას. ობიექტური პირობები ამას გვიკარნახებდა და ჩვენც არ შეგვეძლო მისთვის არ დაგვეჭირა მხარი. საქართველოს დამოუკიდებლობა იყო მიზეზი ჩვენი ორგანიზაციების რუსეთის ცენტრალური კომიტეტისაგან გამოყოფისა და დამოუკიდებელი პარტიის შექმნისა თავის ცენტრალური კომიტეტით.

საქმე იმაში გახლავთ, რომ უხერხულია და შეუძლებელიც საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში მოქმედი ჩვენი პარტიის ორგანიზაციები დაქვემდებარებოდა რუსეთის ცეკას".[4]

ჩვენი ესერები, როგორც ვხედავთ, თითქოს ბოდიშს იხდიდნენ რუსი თანამოაზრეების წინაშე, რომ ობიექტურმა პირობებმა აიძულა ისინი გამოყოფოდნენ დედაპარტიას და რუსეთს. ასეთი განწყობილება — ინტერნაციონალიზმი შეზავებული ეროვნულ ნიჰილიზმთან, უფრო მოგვიანებითაც ეშჩნეოდათ ქართველ სოციალისტ-რევოლუციონერებს, რაც თავისებურ დაღს ასვამდა ესერულ ოპოზიციის საქმიანობას საქართველოს პარლამენტში და მათს დამოკიდებულებას ეროვნული მიმართულების პარტიებისადმი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი ყრილობა, როგორც ითქვა, 1917 წლის ივნისში ჩატარდა. 5 თვის შემდეგ მას გამოეთიშა ერთი ჯგუფი, რომელმაც თავის თავს ეროვნულ-რადიკალური პარტია უწოდა. იგი ფართო დემოკრატიისაკენ იხრებოდა, წინა პლანზე წამოსწია საქართველოს ყველაზე მრავალრიცხოვანი კლასი გლეხობა. ის მიიჩნია ეროვნული მოძრაობის მთავარ ძალად და თავისუფალი საქართველოს ძირითად მშენებლად. ამ ახალი მიმდინარეობის ხელმძღვანელის აზრით, რესპუბლიკური წყობილების პირობებში, სოციალისტური პარტიები ვერ დაიცავდნენ გლეხთა ყველა ფენის ინტერესებს. ამ კლასის იდეოლოგობა არც ეროვნულ-დემოკრატიულ პარრტიას შეუძლიაო. ქართველი გლეხობისათვის, ჩიქოვანის განცხადებით, ეროვნულ-რადიკალურ, იგივე ეროვნულ-გლეხურ პარტიას უნდა გაეწია ხელმძღვანელობა. მისი აზრით, ეროვნულ-რადიკალური პარტია ყველა სხვებისაგან იმითაც განსხვავდებოდა, რომ იბრძოდა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნულ-რადიკალურმა პარტიამ დაიწყო საკუთარი გაზეთის („ჩვენი რესპუბლიკა") გამოცემა, რომელშიც იბეჭდებოდა წერილები მომავალი გლეხური რესპუბლიკის შესახებ. ახალი პარტიის წევრები, მართალია, აღიარებდნენ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას, მაგრამ მიზანშეწონილად მიაჩნდათ მსხვილი მემამულეებისაგან ნორმაზე მეტი მიწის უსასყიდლოდ ჩამორთმევა და ღარიბი გლეხებისათვის გადაცემა.[5]

აგრარულ საკითხზე ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში საკმაოდ დიდი უთანხმოება, აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა. რადიკალების შეხედულებასთან დაკავშირებით მემარჯვენეები კითხვას ასე სვამდნენ: „რა შეემატება ერს დიდ მემამულეებს რომ მიწები უსასყიდლოდ

ჩამოვართვათ?" და თვითვე პასუხობდნენ: „კი არ შეემატება, ბევრიც მოაკლდება, ერის ერთი საკმაოდ კულტურული ნაწილი დაბეჩავდება, დაქვეითდება. პრინციპი კერძო საკუთრებისა შეირყევა. უფასოდ ჩამორთმეული მამულების განაწილების დროს გლეხთა შორის დაუსრულებელი ბრძოლა ატყდება და საშინელი ანარქია გამეფდება".[6] ამგვარ მსჯელობას არ დაეთანხმნენ მემარცხენეები, რის გამო მოხდა კიდეც გათიშვა.

1918 წელს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას გამოეყო მეორე ფრაქცია (გრ. ვეშაპელი, რ. გაბაშვილი, დ. ვაჩნაძე, გ. მაჩაბელი, გ. ამირეჯიბი და სხვ.) და დააარსა დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული პარტია. ამის შემდეგ ძირითადი პარტია ცენტრისტულ პოზიციაზე აღმოჩნდა, რომელსაც ხშირად ჰქონდა დებატები მემარცხენეებთან და მემარჯვენეებთან. ეს უკანასკნელი ცენტრისტებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან შემგუებლობის ტაქტიკას უკიჟინებდნენ და თავის წევრებს ჰპირდებოდნენ, რომ მკაცრ ოპოზიციაში ჩაუდგებოდნენ მთავრობას, ყოველნაირად ამხილებდნენ მმართველი პარტიის ექსპერიმენტთა უნიადაგობას, ქვეყანას დაანახვებდნენ ნამდვილ სახეს სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც ცდილობდა საქართველოში ისეთი „ულტრადემოკრატიული წყობილების" შექმნას, რომლის მაგვარი ჩვენს პლანეტაზე ჯერ არავის უნახავსო.[7]

სოციალ-ფედერალისტთა პარტია საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში აერთიანებდა ეროვნულ და სოციალურ მიმართულებას. მას შემდეგ, რაც ამ თავისებურ გაერთიანებას ეროვნულ-დემოკრატები გამოეთიშნენ, მისი რიგები შეთხელდა. რუსეთიდან საქართველოს გამოყოფის, დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ რამდენადმე დაკარგა გავლენა. ამის მიზეზად მოვლენის თანამედროვეებმა მიიჩნიეს ის, რომ ავტონომია-ფედერაციის იდეა მოძველდა, აქტუალობა დაკარგა. ეს თითქოს ასეც იყო. მაგრამ ფაქტები ლაპარაკობდნენ, რომ ამ ეროვნულ-სოციალისტურმა პარტიამ გამოიჩინა საკმაო მობილურობა და თავისი ადგილი მონახა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, საქართველოს მრავალპარტიულ დემოკრატიულ სისტემაში.

ეროვნული იდეალის განხორციელების, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ სოციალ-ისტ-ფედერალისტებმა გაცილებით მეტი ყურადღება მიაქციეს ერის შინასოციალური სტრუქტურების გაუმჯობესებას. სოციალიზმის

თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფას. ისინი მარცხნიდან აკრიტიკებდნენ მმართველი პარტიის სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას; საქვეყნოდ აცხადებდნენ, რომ ჩვენი საზრუნავი ახლა სოციალისტური შემოქმედების გაჩაღება არისო. სოციალური რადიკალიზმის მქადაგებელნი დედაპარტიისაგან გამოყოფის გზას დადგნენ. ამასთან დაკავშირებით „საქართველოს" რედაქცია შენიშნავდა: „განა მოელოდა ვინმე, რომ ფედერალისტები ამ დასკვნამდე მივიდოდნენ. რა იქნა ტანჯული ჯორჯაძის ტანჯული სული., ...ჩვენ მაინც გვგონია, რომ ფედერალისტები სამუდამოდ არ „გამაშვრალებულან". აშკარაა ფედერალისტებში ორი მიმდინარეობაა. მაგრამ ჯერჯერობით გამარჯვებულია ბ-ნი თედო ღლონტი (მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტი ა.ბ.). ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ „ეს შუქურვარსკვლავი" საბედისწერო კომეტა არ გახდება ფედერალისტებისათვის".[8]

თვით სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრთა დიდმა უმრავლესობამ დაგმო სოციალური რადიკალიზმი, თავის ზოგიერთ თანამოაზრეთა „გამაშვრალება". მათი გაზეთი მკითხველ საზოგადოებას აუწყებდა: „სოციალ-დემოკრატთა თავდასხმების მოგერიებისა და ს. ფედერალისტთა პარტიის გამაგრების შემდეგ, გამოდიან ზოგიერთი უკმაყოფილო წევრები და „მაშვრალთა" ჯგუფის სახელით დამოუკიდებელ მოქმედებას იწყებენ. მიზეზი თურმე იდეური სხვადასხვაობა, თვალსაზრისთა იმდენად შეურიგებლობა ყოფილა, რომ ერთად მუშაობა შეუძლებელი გამხდარა. გვიხსენებენ ძველ „ცოდვებს", ადრე მხარს რომ ვუჭერდით ერობას, ვიბრძოდით სახელმწიფო სათათბიროში მოხვედრისათვის და კიდეც მივაღწიეთ ვ. გელოვანის დეპუტატად არჩევას. ძნელი გასაგებია რისთვის დასჭირდათ ძველი ამბების გახსენება. მთავარი ისაა ახალს რას გვეტყვის მაშვრალთა რუპორი „ახალი ნაკადი". „თუ მეტი სათქმელი არა აქვს, რაც თავის გამოსვლის პირველ დღეს სთქვა, სჯობს მიხუროს თავის დუქანი, ნურც თავს იწუხებს და ნურც სხვებს აწუხებს".[9]

სხვადასხვა საკითხებზე შინაგანი წინააღმდეგობა თანდათან გაღრმავდა. განსაკუთრებით გამწვავდა საქმე დამფუძნებელი კრების არჩევნების მოახლოების დროს. სოციალისტ-ფედერალისტთა კომიტეტის სხდომაზე შეუძლებელი გახდა შეთანხმება დეპუტატობის კანდიდატთა სიის შემადგენლობაზე. ამიტომ სხდომა დასტოვა ოპოზიციამ და მეზობელ დარბაზში მიიღო დადგენილება „მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტ მაშვრალთა პარტიის" დაარსების თაობაზე.

„სახალხო საქმის“ რედაქციამ დაგმო გამთიშველები, აღნიშნა, რომ ამ თანამედროვე ქამელეონებს არაფრად მიაჩნიათო ასე ნაჩქარევად ახალი პარტიის შექმნა, არ ესმით, რომ პოლიტიკური პარტიების გამრავლების ასეთ სწრაფ ტემპს „სარგებლობის მაგიერ მხოლოდ ზიანი მოაქვს ხალხისა და სამშობლოსათვის“.[10]

მაშვრალთა მიერ გამოწვეული ინციდენტი განიხილა სოციალ-ისტ-ფედერალისტთა პარტიის უმაღლესმა ორგანომ, მკაცრად გააკრიტიკა განდგომილნი, თავის რიგებიდან გარიცხა მაშვრალთა ლიდერი ალ. წერეთელი და მისი ზოგიერთი ამყოლი, რომელთაც, ფედერალური საბჭოს განცხადებით, სცადეს პარტიაში განხეთქილების შეტანა. მიიღო რა მხედველობაში დამფუძნებელი კრების მოახლოებული არჩევნები და მომენტის სირთულე, ფედერალურმა საბჭომ მოუწოდა „ყველა ამხანაგს მჭიდროდ შემოიკრიბნენ პარტიის წმინდა დროშის. გარშემო და გაცხოველებული ბრძოლა აწარმოონ პარტიის მთლიანობისა და სიმკვიდრისათვის, რათა მან ძველებურად განაგრძოს მედგრად სვლა თავისუფალ საქართველოში იმ დროშით, რომელსაც ყოველთვის ეწერა: „ერი და სოციალიზმი“.[11]

სოციალისტ-ფედერალისტთა ძირითად ბირთვს და „სახალხო საქმის“ რედაქციას, მართალია, მიაჩნდათ, რომ მაშვრალთა პარტიის დამოუკიდებელ არსებობას პრინციპული საფუძველი არ ჰქონდა,მაგრამ იგი ერთხანს მაინც საქმიანობდა, თავისებური ელფერი შეჰქონდა პოლიტიკურ ბრძოლაში, პარტიების ურთიერთობაში.

მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების მაშვრალთა პარტიამ დაიწყო საკუთარი გაზეთის „ახალი ნაკადის“ გამოცემა. პარტიისა და მისი ორგანოს თეორიულ-პროპაგანდისტულ საქმიანობაზე ცხადად იგრძნობოდა ანარქისტული მსოფლმხედველობის გავლენა. ამაზე მეტყველებდა თუნდაც ის, რომ პარტიას ცოტა მოგვიანებით უწოდეს „საქართველოს სარევოლუციო სინდიკალისტ მაშვრალთა კავშირი“. იგი უარყოფდა როგორც სახელმწიფოს საერთოდ, ისე პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს და პოლიტიკურ პარტიასაც კი. თავის კავშირს თვლიდა სოციალ-ეკონომიკური ხასიათის გაერთიანებად. სინდიკალისტ-მაშვრალთა კავშირის პროგრამა ქადაგებდა: „მომაკვდავი ბურჟუაზიული ქვეყნის გულშივე უნდა ჩაისახოს ახალი ორგანიზაცია წარმოებისა, ახალ საზოგადოებრივ დამოკიდებულებისა. ასეთი ორგანიზაციებია სოფლისა და ქალაქის მუშათა ამხანაგობანი — სინდიკატები“.[12]

რევოლუციური სინდიკატების პრინციპებზე მდგარი ეს ორგანიზაცია, მართალია, გმობდა პროლეტარიატის დიქტატურას, ვითარცა სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთ ფორმას, მაგრამ ბოლშევიკურ პარტიას აღიარებდა სოციალიზმისათვის მებრძოლ სერიოზულ ძალად და შესაძლებლად მიაჩნდა მასთან შეთანხმება, ანტიბურჟუაზიულ ბლოკში გაერთიანება.[13]

მაშვრალ-სინდიკალისტები საკმაოდ მკაცრად, მარცხნიდან აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატებსაც და სოციალისტ-ფედერალისტებსაც, მაგრამ ამით პოლიტიკური კაპიტალი ვერ დააგროვეს, მშრომელი ხალხის მხარდაჭერა ვერ მოიპოვეს. ალბათ ამიტომ, იყო, რომ მისმა ინიციატორებმა მალე დაყარეს ფარხმალი, კვლავ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში მიღება ითხოვეს, რაც დააკმაყოფილა კიდეც პარტიის მეოთხე კონფერენციამ.

პოლიტიკური პარტიების ნამდვილი ბუმი 1919 წლის პირველ კვარტალში შეინიშნებოდა. რამდენიმე ქართული პარტია და ჯგუფი მხოლოდ იმისათვის შეიქმნა, რომ მონაწილეობა მიეღო არჩევნებში, თავის ხალხი გაეყვანა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. ძველ სტაჟიან პოლიტიკურ პარტიებთან წინასაარჩევნო ბრძოლაში ისეთი მცირე ჯგუფები, მომენტალურად ჩამოყალიბებული გაერთიანებები ჩაებნენ, როგორიც იყვნენ „ევგენი დვალის პარტია", „ესთეტიური ლიგა", „ბერძნების ჯგუფი" და სხვ. დეპუტატობის კანდიდატთა თავის სიები წარადგინეს აგრეთვე რუსეთის სოციალ-დემოკრატებმა, დაშნაკებმა და სხვა არაქართულმა პარტიებმა.

ზოგიერთ მოღვაწესა და პოლიტიკოსს პარტიების სიმრავლე დადებით მოვლენად, საზოგადოების პოლიტიკური მოწიფულობის ნიშნად მიაჩნდა. უმრავლესობა ასეთ შეხედულებას არ ეთანხმებოდა. მათი აზრით, ამ სიმრავლეში უფრო ხშირად უარყოფითი მომენტები იჩენდა თავს, ვიდრე დადებითი. „პარტიათა სიმრავლე — წერდა თ. ღლონტი — ნიშნავს საზოგადო მოღვაწეთა ხელოვნურად გამრავლებას., ...პარტიათა სიმრავლე ერთგვარი ფუფუნებაა. ჩვენ ამ გარემოებას იმიტომ მივაქცევთ ყურადღებას, რომ აშკარაა: საქართველო დღეს საზოგადო მოღვაწეების სიმრავლით იტანჯება და ამ ტანჯვაში შეიძლება სულიც ამოხდეს., ...ჩვენი ქვეყნისათვის საკმაოა რამდენიმე პარტია, სერიოზული, ძირგამდგარი, პარტია დიდი საკითხებისათვის მზრუნავი და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია კარლიკური ჯგუფების მოსპობა, ან მათი ასიმილაცია რომელიმე პარტიის მიერ. ჩვენთვის

სასიამოვნო იყო, რომ „ალიონის“ ჯგუფი სოციალ-დემოკრატიას შეუერთდა და სასიამოვნო იქნება თუ სხვა პატარა ჯგუფებიც წაბაძავენ „ალიონის“ ხალხს“.[14]

იმავე წერილში თ. ღლონტმა ეჭვქვეშ დააყენა სოციალისტ-რევოლუციონერთა დამოუკიდებელი პარტიის სახით არსებობის საჭიროება, მიზანშეწონილად მიიჩნია მისი გაერთიანება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიასთან. მისი აზრით, გერცენის, ჩერნიშევსკის, ლავროვისა და მიხაილოვსკის მიერ ხელდასხმული ეს პარტია XX ს-ის დამდეგს არსებითად გარდაიქმნა. ესერთა ზოგი პრინციპი მიიღეს, გაითავისეს სოციალისტ-ფედერალისტებმა. ამ ბოლო დრომდე მათ შორის განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ ესერების რუსული პარტია უარყოფდა ეროვნული საკითხის მნიშვნელობას, კოსმოპოლიტურ პოზიციაზე იდგა. სოციალისტ-ფედერალისტები კი ყოველთვის წინა პლანზე აყენებდნენ ეროვნულ საკითხს. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ქართველი ესერები გამოეყვნენ რუს თანამოაზრეებს და აღიარეს ეროვნული საკითხის დიდი მნიშვნელობა. რითაც კიდევ უფრო დაუახლოვდნენ სოციალისტ-ფედერალისტებს. წვრილმან საკითხებზე, დაასკვნიდა თ. ღლონტი, აზრთა სხვადასხვაობა რჩება, „მაგრამ როცა მთავარი ხაზი გამორკვეულია იქ პარტიათა შეთანხმება და გაერთიანება უნდა მოხდეს., ...სოციალისტ ფედერალისტებისა და სოციალისტ-რევოლუციონერების გაერთიანება საჭიროა სოციალიზმისათვის. ეს საჭიროა ქართველი ხალხისათვის და ბოლოს ეს საჭიროა ჩვენი საზოგადოებისა და პარტიული კულტურის განვითარებისათვის“.[15]

თ. ღლონტი სწორად ასახავდა ამ ორი დასახელებული პარტიის მსოფლმხედველობრივი დაახლოვების ტენდენციას, დამაჯერებლად ასაბუთებდა მათი შერწყმის მიზანშეწონილობას. სოციალისტ-ფედერალისტებისა და ესერების ორგანიზაციული გაერთიანება, მართალია, არ მომხდარა, მაგრამ ფაქტია, რომ ისინი ძალიან ბევრ საკითხზე ერთნაირად მსჯელობდნენ, დამფუძნებელ კრებაში მემარცხენე ოპოზიცია შექმნეს და დემოკრატიული სოციალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით აკრიტიკებდნენ მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბურჟუაზიულ პოლიტიკას.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ყველა საპარლამენტო პარტიასთან ერთად დამფუძნებელი კრების

არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ქართველი ბოლშევიკებიც ძიიწვია. მაგრამ ამ უკანასკნელებმა მიწვევა არ მიიღეს, ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. კომუნისტებმა მთელ საქართველოში გაავრცელეს პროკლამაცია, რომელშიც ნათქვამი იყო: „რაღა უნდა დააფუძნოს დამფუძნებელმა კრებამ, თუ ყველაფერი დაფუძნებულია? ვინღა უნდა აირჩიოს ქართველმა ხალხმა, თუ აურჩევლებმაც მშვენივრად განაგეს ცხოვრება? დამფუძნებელი კრება იმაზე უკეთესს ვერაფერს გამოსცემს და დაკანონებს, რაც უკვე გამოსცა და დაკანონა არსებულმა პარლამენტმა, რომელიც არავის არ აურჩევია“. ბოროტი ირონიით გაჟღენთილი ეს პროკლამაცია მოუწოდებდა საქართველოს მშრომელებს მონაწილეობა არ მიეღოთ არჩევნებში. ამ ბოიკოტით თქვენ პროტესტი უნდა გამოუცხადოთ არსებულ წყობილებას, სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრათო ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიები.[16]

„რა იქნება საქართველოს დამფუძნებელი კრება? — სვამდა კითხვას მეორე ბოლშევიკური პროკლამაციის ავტორი და თვითვე პასუხობდა: „ეს იქნება არა მშრომელი ხალხის ბატონობის იარაღი, არამედ ბურჟუაზიის, თავადაზნაურობის, შეძლებული გლეხობის ბატონობის გამამტკიცებელი. ეს იქნება მენშევიკების, ფედერალისტების, ესერების, ნაციონალ-დემოკრატების სალაყბო, სადაც ლამაზი სიტყვების კორიანტელს დააყენებენ, ხანდახან მშრომელი ხალხის ჭირვარამზე ფარისევლურად ცრემლს დაღვრიან და ნამდვილად კი ბურჟუაზიის და თავადაზნაურობის საქმეებს მოაჭახრაკებენ“.

ასე გააგრძელეს ბოლშევიკებმა თავის ადრინდელი პოლიტიკა და ტაქტიკა. კვლავ გამოეთიშნენ მრავალპარტიულ დემოკრატიას, უარი თქვეს ხელისუფლებისათვის პარლამენტურ ბრძოლაზე. იმედი ისევ აჯანყებასა და საბჭოთა რუსეთიდან მომდინარე სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებაზე დაამყარეს. მიზნად დამფუძნებელი კრების არჩევნების ჩაშლა, საბჭოთა ფედერაციულ რუსეთში საქართველოს შეყვანა დაისახეს.

ბოლშევიკთა ასეთმა ტენდენციურმა, დეზინფორმაციულმა გამოსვლებმა შეცდომაში შეიყვანა მუშათა კლასისა და გლეხობის საგრძნობი ნაწილი. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ხმის უფლების მქონე მოქალაქეთა ნახევარზე ოდნავ მეტმა.

1919 წლის დამდეგს დამფუძნებელი კრების არჩევნები ახალ აფეზაში შევიდა. ამოძრავდნენ სტაჟიანი პოლიტიკური პარტიები. ამ მომენტთან დაკავშირებით ახლად შექმნილი ორგანიზაციები და ჯგუფები,

ყველა მეტ-ნაკლებად აქტიურ მონაწილეობას იღებდა წინასაარჩევნო ბრძოლაში.

გაზ. „ერთობის“ რედაქცია 1919 წლის 12 იანვრის მოწინავეში წერდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას წინასაარჩევნო ბრძოლა სამ ფრონტზე მოუხდებაო. პირველი იქნება ფრონტი „საქართველოს დამოუკიდებლობისათვის“. აქ ბრძოლა მოგვიწევს იმ პარტიების წინააღმდეგ, რომელნიც არ აღიარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. მეორე იქნებაო „ფრონტი აგრარული საკითხისა“. ამ ასპარეზზე შეტაკება მოგვიხდება იმ პარტიებთან და პიროვნებებთან, ვინც იწუნებს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ და ნაწილობრივ უკვე განხორციელებულ აგრარულ კანონს. მესამე, წერილის ავტორის აზრით, იქნებოდა „ერთა შორის ურთიერთობის“ ფრონტი, სადაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ბრძოლას გამართავდა ყველა ერისა და ეროვნების ნაციონალისტებთან. ეროვნული შეულლისა და მტრობის ყველა მოწადინეს ჩვენ დავუპირისპირებთო ერთაშორის მშვიდობა-თანხმობის დამყარების პოლიტიკას.

სოციალ-ფედერალისტური „სახალხო საქმის“ რედაქცია 1919 წლის იანვარ-თებერვლის ნომრებში მსხვილი შრიფტით ბეჭდავდა რუბრიკას: „ამხანაგებო! დამფუძნებელი კრების არჩევნები ახლოვდება, უმოქმედობა ღალატია პარტიის წინაშე. არ გამორჩეთ ამომრჩეველთა სიაში, გააჩაღეთ საარჩევნო ბროძლა“. მოწინავე წერილის ავტორის თქმით, არჩევნების შედეგად მოხდებოდა იმის შეფასება და გადასინჯვა, რაც მოგვიმოქმედებია თითქმის ამ ერთი წლის განმავლობაში; როგორ უცქერის საქართველო წარსულ მოღვაწეობას პოლიტიკური პარტიებისას, რა მიაჩნია მცდარად ან რისთვის არის საჭირო ყურადღების მიქცევა. წერილში ისიც იყო აღნიშნული, რომ „ქართული პარტიები გამოუკლებლივ იცავენ საქართველოს დამოუკიდებლობას, უცხოელთა პარტიები კი გამოუკლებლივ მტრები არიან საქართველოს დამოუკიდებლობისა“. ახლახანს გამოქვეყნდაო რუსეთის ესერთა პარტიის დადგენილება. ისინი ბოიკოტს უცხადებენ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებს, თავის პოზიციებიდან გონივრულადაც იქცევიან. „მონაწილეობა რომ მიეღოთ გამოჩნდებოდა მათი სიკოტრე და მერე უფლება აღარ ექნებათ ხალხის სახელით ილაპარაკონ“. კიდევ უფრო სასტიკად ილაშქრებდა გაზეთი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წინააღმდეგ. მისი მონაწილეობა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში

უკანონობა და თავხედობა არისო. მაგრამ იმედია „საქართველოს მოქალაქენი კარგად გაარჩევენ ჩვენს მტერ-მოყვარეს, არც ერთი ხმა ჩვენი თავისუფლების მტრებს“.[17]

სოციალისტ-ფედერალისტებმა გამოაქვეყნეს მოწოდება – „საქართველოს მშრომელ ხალხს“, რომელშიც არსებითად ჩამოყალიბებული იყო პარტიის წინასაარჩევნო პროგრამა: „საქართველოს მშრომელი ხალხის ეროვნული თავისუფლების განმტკიცება მოითხოვს სახელმწიფოს შექმნას და ჩვენ აუცილებელ საჭიროებად მიგვაჩნია უახლოესი მონაწილეობა მივიღოთ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. ვეცდებით მოვაწყოთ ჩვენს ქვეყანაში ნამდვილი დემოკრატიული, სახალხო რესპუბლიკა, სადაც დაცული იქნება სრული თავისუფლება სიტყვის, წერის, სინდისის, კრების, კავშირების, გაფიცვების; ვეცდებით განვამტკიცოთ საქართველოში ხალხური წარმომადგენლობითი მმართველობა“. ს.ფ. პარტია რაიონების მოსახლეობას პირობას აძლევდა, რომ ფართო უფლება-კომპეტენციით აღვჭურვავთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საქართველოს ფაქტიურად თვითმმართველი ერთეულების ფედერაციულ კავშირად გადავაქცევთო. კიდევ მეტ უფლებას მოიპოვებენ აფხაზეთი და სამაჰმადიანო საქართველო. ისინი ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს მიიღებენო. შემდეგ მოწოდების ავტორები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ჩვენ მუშა ხალხის პარტია ვართ და ამიტომ უპირველეს ყოვლისა მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ვიღვაწებთო. მოვითხოვთ, რომ გაძლიერდეს მუშების როლი მრეწველობის მართვა-გამგეობაში, რომ მათ ხელფასის გარდა წილი დაედოთ წარმოების მოგებაში. რაკი გლეხობის მდგომარეობა ძირითადად დამოკიდებულია მიწის ფართობზე, მივალწევთ, რომ მიწა ჩამოერთვას ყველა არაშრომელს და გადაეცეს უშუალო მწარმოებლებს. ვეცდებით, რომ მიწის მუშები შეამხანაგდნენ და შეერთებული ძალით აწარმოონ მეურნეობა. მოწოდების ბოლოს ჩამოყალიბებული იყო სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის დევიზი – „ყოველი ერი თავისთვის და ყველა ერი საერთო მიზნისათვის“. ე.ი. საქართველოს მშრომელ მოსახლეობას მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის როდი უნდა ებრძოლა. მას სხვა ერების მშრომელებთან სოლიდარული საქმიანობით გზა უნდა გაეკაფა სოციალიზმისაკენ.

სოციალისტ-ფედერალისტთა წინასაარჩევნო პროგრამა მნიშვნელოვანწილად უტოპიური იყო. მაგრამ იგი ასახავდა პარტიის

წევრთა უმრავლესობის შინაგან რწმენას. შეიძლება ბევრს ის სურვილიც ამოძრავებდა, რომ სოციალიზმის მიმზიდველი იდეა წაერთმია სოციალ-დემოკრატიისათვის, მისი მეშვეობით გაეზარდა თავის მომხრე ამომრჩეველთა წრე.

სოციალ-დემოკრატიის იდეურ-პოლიტიკური დამარცხების სურვილი უფრო მკვეთრად არის გამოთქმული თ. ღლონტის წერილში — „შესრულებული მისია". მასში ნათქვამია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პროცესში შექმნილი პარტიათა კავშირი ამ ბოლო დროს შესუსტდა. გამოიკვეთა აზრთა სხვადასხვაობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზებზე: „პარლამენტში ეკონომიკურმა საკითხმა ქართველობა გაჰყო ორ ნაწილად. ერთ მხარეს დადგნენ სოციალ-დემოკრატები და ეროვნულ-დემოკრატები, რომელთაც საფუძვლად ჰქონდათ ბურჟუაზიული პრინციპი, ხოლო მეორე მხარეს სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები, რომლებმაც მმართველ პარტიას დაუპირისპირეს სოციალური პოლიტიკა. ამ ორ ძირითად პრინციპს შორის ატეხილი ბრძოლით თავდება საქართველოს პირველი პარლამენტის მუშაობა. ამ დავიდარაბით გადადის ჩვენი საზოგადოება დამფუძნებელი კრების მუშაობის ხანაში. ეს მომენტი ის მთავარი ღერძია, რომლის გარშემო მთელი ჩვენი საზოგადოება იტრიალებს განვითარების შემდგომ ხანაში". აქვე თ. ღლონტი დიდი რწმენით იმასაც წერს, რომ სოციალ-დემოკრატიამ თავისი მისია უკვე შეასრულა, თავისი დრო მოჭამა. „საქართველოს ახალი ცხოვრება უეჭველად შეიქმნებასოციალ-დემოკრატიული პარტიის გარეშე".[18] ავტორი, მართალია, აზრს არ ამთავრებს, მაგრამ ცხადია, ახალი ცხოვრების შემოქმედად მას, უპირველეს ყოვლისა, სოციალ-ფედერალისტთა პარტია მიაჩნდა.

საზოგადო მოღვაწეთა, მოქალაქეთა ერთი ნაწილის აზრით, პარტიათა იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა დიდ ვნებას აყენებდა ქართველი ერის, საქართველოს ინტერესებს. „სახალხო საქმის" რედაქცია, კერძოდ თ. ღლონტი ამ თვალსაზრისს არ ეთანხმებოდა და ამბობდა, რომ აქამდე ჩვენი პარტია იბრძოდა ქართველი ერის პოლიტიკური გაერთიანებისათვის, ამიერიდან მისი მთავარი მიზანია საქართველოს სხვადასხვა კლასების სოციალური შერიგება, ქვეყნის ეკონომიური აღორძინება. ამის მთავარი საფუძველი კი მიწაზე საზოგადოებრივი საკუთრების დამყარება არისო. დამფუძნებელ კრებაში სავსებით გაიშლება პოლიტიკური პარტიების ბრძოლა ეკონომიურ და

სოციალური საკითხების გარშემო. „მაგრამ ეს არ იქნება საზოგადოების დაშლა. ეს იქნება აზროვნების გაცხოველება. კრიტერიუმებისა და პრინციპების ჭიდილი. მომავალი ბრძოლა დამფუძნებელ კრებაში ნამდვილი დასაწყისი იქნება სოციალ-დემოკრატიული პარტიის არსებობის დასასრულისა". სოციალ-დემოკრატიას აღარ გააჩნია ახალი ცხოვრების შესაფერისი აზრები და ამიტომ ეს პარტია და მისი გმირები წარსულს ეკუთვნიან. ჩვენ პატივს ვცემთ მათ დამსახურებას, მაგრამ ამ გადაგვარებულ სოციალისტურ პარტიასთან კავშირს ვწყვეტთ და საკუთარი იდეალების შესაბამის მოქმედებას ვიწყებთო.[19]

ორიოდე დღის შემდეგ თ. ღლონტი უფრო კონკრეტულად წერდა და მკითხველს არწმუნებდა, რომ სოციალ-დემოკრატთა რადიკალური პარტია რეფორმისტულ მიმდინარეობად გადაგვარდაო. „ზომიერი თავისუფლება., ...თავისუფალი ეკონომიკური აღებ-მიცემობა, მიწების კერძო საკუთრებად გამოცხადება, ყიდვა-გაყიდვა, იჯარა, დაქირავებული შრომა, კერძო ბანკების სისტემა და სხვ. ეს შეადგენს სოციალ-დემოკრატიის ფილოსოფიას. დიდი რევოლუციის ასე გადახურდავებას არათუ უარყოფენ და მალავენ, პირიქით, ამ ხასიათის პოლიტიკას მეცნიერულ სარჩულს უდებენ". ამას მივაპყრობო მშრომელი ხალხის ყურადღებას, იმიტომ რომ სოციალ-დემოკრატებმა თავის პრაქტიკულ საქმიანობით „უკვე შექმნეს სოციალიზმის ერთგვარი კრიზისი., ...ეს კრიზისი დაუყონებლივ უნდა მოვსპოთ და ხალხს მივცეთ ის მომავალი, რომელსაც მოითხოვს თავის არსებობის უზრუნველსაყოფად".[20]

ყოველ პოლიტიკურ პარტიას და საზოგადოებრივ ჯგუფს უფლება ჰქონდა საარჩევნო კომისიაში წარედგინა დეპუტატობის 130 კანდიდატი. სოციალ-ფედერალისტებმა, მაგალითად, თავის პარტიის №5 სიაში შეიტანეს: გ. ლასხიშვილი, გრ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, შ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. მდივანი, თ. ღლონტი, ს. დადიანი, გრ. ლაღიძე, გ. ახვლედიანი, აკ. შანიძე, ი. ყიფშიძე, მ. ბერძნიშვილი, გრ. ლორთქიფანიძე, კ. ბერიძე, ს. ხუნდაძე, კ. მოდებაძე და ქართველი ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები. „სახალხო საქმე" მოუწოდებდა ამომრჩევლებს (განსაკუთრებით გლეხებს) უნდობლობა გამოეცხადებინათ სოციალ-დემოკრატებისათვის, რომელნიც მარტო ქალაქის მუშებზე ზრუნავდნენ, სოფლის გლეხობას კი კონსერვატიულ ძალად თვლიდნენ და არც არაფერს აძლევდნენ. კიდევ უფრო ნაკლებ მხარდაჭერას იმსახურებენო ეროვნულ-დემოკრატები თავადაზნაურობის, მღვდლების, ბერების, ბურჟუაზიის

ინტერესების ეს დამცველები. იცოდეთ თუ ისინი არჩევნებში გაიმარჯვებენ, კაპიტალისტურ წყობილებას გააბატონებენ, ერთობას საფუძველს მოუშლიან, ხალხის ექსპლოატაციას დააკანონებენო. მოწოდების ბოლო ნაწილში ნათქვამია: არჩევნების წინა დღეებში თქვენთან მოვა „ის ხალხი, რომელზე შენ მრავალი ჭორი გაგიგონია და შენვე არა ერთხელ გაგილანძღია., ...შენთან მოვლენ სოციალისტ-ფედერალისტები, რომელნიც გულწრფელად გაიძახიან: მიწა მიწის მუშას უიჯაროთ და უსასყიდლოთ". იცოდეთ ეს ხალხი გლეხის მხარეს არის, დაეხმარება მას პირადი ნაკვეთების დამუშავებაში, კოოპერატივების შექმნაში. „მაშ ხმა მიეცი მათ მეხუთე ნომერს, ხმა მიეცი შენზე მზრუნველ პარტიას".[21]

ენა და გონება არც სხვა პარტიათა ლიდერებს და განათლებულ წევრებს უჭრიდა ნაკლებად. ყველამ გამოაქვეყნა წინასაარჩევნო პროგრამა. ყველა ცდილობდა ამორჩეველთა ამა თუ იმ ფენის მხარდაჭერის მიღებას. ეროვნული დემოკრატებიც დიდ იმედს ამყარებდნენ ინტელიგენციაზე, ასევე გლეხობაზე, რომელიც, მათი აზრით, მიწების გაერთიანებისა და კოლექტიური მეურნეობისაკენ კი არ მიისწრაფოდა (როგორც ამას ს. ფედერალისტები და ს. რევოლუციონერები მიიჩნევდნენ), არამედ მიწას კერძო საკუთრებად მოითხოვდა და ინდივიდუალურ მეურნეობაზე ამყარებდა იმედს. რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, მათი ოფიციოზი „ერთობა" მახვილს მარჯვნითაც იენევდა და მარცხნივაც, თანაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ განმეორდებოდა წინა ორი წლის ისტორია (მხედველობაში ჰქონდა რუსეთის დამფუძნებელი კრებისა და ამიერკავკასიის სეიმის არჩევნები) და საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში ხმების აბსოლუტურ უმრავლესობას სოციალ-დემოკრატიული პარტია მიიღებდა.

დამფუძნებელი კრების არჩევნების წინა დღეებში ნ. ჟორდანიამ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველო უკვე მიადგა იმ ნაპირს, საიდანაც იწყება ხალხის ნორმალური განვითარება. დღეს უკვე გვაქვს გარკვეული სოციალური და პოლიტიკური წყობა, მხოლოდ საჭიროა მივცეთ მას იურიდიული და კონსტიტუციური ფორმა, რასაც შეასრულებს უახლოეს ხანს მოწვეული დამფუძნებელი კრება". საქართველოს შინაპოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა, თქვა შემდეგ მთავრობის თავმჯდომარემ, საკმაოდ მტკიცეა. შედარებით რთული ვითარებაა განაპირა მხარეებში

(ბათუმის და სოხუმის ოლქები, ახალციხე-ახალქალაქის მაზრები). მტრებს ვებრძვით, ვიცავთ საქართველოს ამ განუყოფელ ნაწილებს. ჩვენ მივდივართ ამ განაპირა მხარეებში იმ მიზნით, რომ დავეხმაროთ მათ ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების შექმნაში. ქართველ მუსლიმანებს, აფხაზებს, სომხებს ჩვენ ვეუბნებით, რომ აუცილებელია ცენტრისა და პერიფერიების მჭიდრო კავშირი, თანხმობით მუშაობა. განაპირა მხარეების სოციალ-ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა თავისებურია. ჩვენ ანგარიშს ვუწევთ იქაური მოსახლეობის ზნე-ჩვეულებას, ტრადიციებს და ამიტომ მთავრობამ გადაწყვიტა მისცეს აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომია. მხოლოდ იმ პირობით, რომ დაცული იქნება საქართველოს ტერიტორიული, პოლიტიკური და ეკონომიური მთლიანობა. ყველაფერ ამაზე თავის კომპეტენტური სიტყვა დამფუძნებელმა კრებამ უნდა თქვას".[22]

მთავრობის თავმჯდომარის ამ გამოსვლის ძირითადი აზრი ის იყო, რომ საქართველოს დროებითმა პარლამენტმა და მთავრობამ მხოლოდ მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა. ქართული ეროვნული სახელმწიფოს მყარი, კონსტიტუციური შენობის აგება და პერსპექტიული პროგრამის ჩამოყალიბება კი დამფუძნებელი კრების ფუნქციას შეადგენდა.

დამფუძნებელი კრების არჩევნები 1919 წლის 14, 15 და 16 თებერვალს გაიმართა. მასში სხვადასხვა მიზეზების გამო მონაწილეობა ვერ მიიღო ბათუმის ოლქის, ბორჩალოს, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების, ხევსურეთისა და სვანეთის მოსახლეობამ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონიერად სცნო 505477 ხმა. აქედან მიიღო: სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ 409766 ხმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა – 33721, ეროვნულ-დემოკრატებმა – 30154, სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 21721 ხმა. სხვა პარტიები და საზოგადოებრივი ჯგუფები ძალიან ჩამორჩნენ. საქართველოს რადიკალურ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 3107 ხმა, ნაციონალისტურმა პარტიამ – 1533, მემარცხენე სოციალ-ფედერალისტებმა (მაშვრალები) – 1616, დაშნაკცუტუნმა – 2353, დამოუკიდებელ უპარტიოთა კავშირმა – 799, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ – 779 ხმა.

საქართველოს დამფუძნებელ კრებაში სოციალ-დემოკრატებმა გაიყვანეს 109 დეპუტატი, ეროვნულ-დემოკრატებმა – 8 (ნ. ნიკოლაძე, სპ. კედია, გ. გვაზავა, ე. თაყაიშვილი, ი. მაჭავარიანი, ალ. ასათიანი, პ.

სურგულაძე, გ. ქიქოძე), სოციალისტ-ფედერალისტებმა – 8 (გ. ლასხიშვილი, გ. რცხილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. ფირცხალავა, გ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ბარათაშვილი, ი. გედევანიშვილი, ს. მდივანი). სოციალისტ-რევოლუციონერებმა – 5 დეპუტატი (ლ. შენგელაია, ივ. გობეჩია, იოს. გობეჩია, გ. ანთაძე, ნ. ნუცუბიძე). 1919 წლის აგვისტოში ჩატარდა დამატებითი არჩევნები, რომლის შედეგად დაშნაკცუტუნმა საქართველოს დამფუძნებელ კრებაში გაიყვანა 3 დეპუტატი. ამავე არჩევნების შედეგად დამფუძნებელ კრებაში შევიდა ქართველი ნაციონალისტების ლიდერი გრ. ვეშაპელი და სოციალისტ-ფედერალისტი ს. დადიანი.[23]

დამფუძნებელი კრების არჩევნების კანონიერება და გამოქვეყნებული შედეგები ეჭვქვეშ დააყენეს ეროვნულ-დემოკრატებმა და სოციალ-ისტ-ფედერალისტებმა. მათ აღნიშნეს, რომ საარჩევნო კომისიების უმრავლესობა ერთფეროვანი იყო, მათში მხოლოდ სოციალ-დემოკრატები შედიოდნენ. ისინი გავლენას ახდენდნენ ამომრჩევლებზე, არასწორად ითვლიდნენ ხმებს. ალ. ასათიანმა განაცხადა: „წარმომადგენლობითი ორგანოს შექმნა... მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ საარჩევნო მუშაობის დროს კანონი სავალდებულოდ იქნება მიჩნეული და ერთნაირი უფლებით იქნებიან აღჭურვილი ყველა პარტიები. თუ კანონს არავითარი ანგარიში არ გაეწია, „პარტიულ ძალთა განწყობილების სისტემით", მმართველი პარტია ყოველთვის მოახერხებს ისეთი შედეგების მიღებას, როგორიც ესურვება. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ საჭიროდ დაინახა ამ მოვლენების აღნიშვნა, მაგრამ არა იმისათვის, რომ დამფუძნებელი კრების სუვერენობა უარყოს, არამედ იმისათვის, რომ ეს მძიმე შედეგები არ იქნეს დავიწყებული დამფუძნებელი კრების მიერ მაშინ, როდესაც იგი საარჩევნო კანონის შემუშავებას შეუდგება მომავალი პარლამენტისათვის".[24]

მმართველი პარტიისადმი საყვედური და ბრალდება უფრო აშკარად გამოთქვა გაზ. „საქართველოს" რედაქციამ: „ბრძოლა სოციალ-დემოკრატიასა და ეროვნულ-დემოკრატიას შორის არ იყო თანასწორი. სოციალ-დემოკრატების ხელში იყო მთელი ადმინისტრაციული აპარატი და ამის გარდა აუარებელი მატერიალური რესურსები". მართალია, მთავრობამ თითქოს აკრძალა ადმინისტრაციის ჩარევა არჩევნებში, მაგრამ ეს ჟესტი ჟესტად დარჩა. „სოციალ-დემოკრატებმა მარჯვედ გამოიყენეს ადმინისტრაცია და მათი გამარჯვება არჩევნებში ამით უზრუნველყოფილი გახდა კიდეც".[25]

მიუხედავად ამისა, გაზეთს არ უარუყვია არჩევნების დიდი მნიშვნელობა, გამოაცხადა, რომ შეიქმნა ლეგიტიმური საკანონმდებლო ხელისუფლება, დაიწყო ახალი ხანა ქართველი ხალხის ცხოვრებაში. „დიდი იმედებით აღსავსენი მივესალმებით ამ ახალ ხანას და ვდღესასწაულობთ იმ წმინდა საიდუმლოს, როდესაც ქართველი ხალხი უზენაესი უფლებით შეიმოსა და პოლიტიკური მოქმედების სუბიექტად გადაიქცა“.[26]

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა 1919 წლის 1 მარტს ს. ჯიბლაძემ გახსნა. მან აღნიშნა, რომ დამოუკიდებელი საქართველოს დროებითმა პარლამენტმა და მთავრობამ შესძლო გარეშე და შინაური მტრების მოგერიება, სიძნელეები ჯერ კიდევ ბევრია, მაგრამ ხალხი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ახერხებდა თავის ვინაობის დაცვას, არ დაიღუპება, დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვარს შეინარჩუნებს და დამფუძნებელი კრების მეშვეობით ეროვნულ სახელმწიფოს სრულყოფსო.[27]

1919 წლის 14 მარტს დამფუძნებელი კრების პირველი სესიის მეორე სდომაზე მთავრობის საქმიანობის ანგარიშით გამოვიდა ნ. ჟორდანია. ჩვენს მთავრობას, განაცხადა მან, დაეკისრა მეტად რთული მისია — ომისა და რევოლუციის ქარცეცხლში უვნებლად გამოეტარებინა საქართველო. დღეს თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ისტორიული დანიშნულება და ხალხის ნდობა მთავრობამ გაამართლაო. მინისტრთა კაბინეტის დიდ დამსახურებად ნ. ჟორდანიამ მიიჩნია ეროვნული და დემოკრატიულ ძალთა ერთიანობის განმტკიცება. მთავრობას არ წამოუყენებია არცერთი ისეთი ლოზუნგი, არ მიუღია არცერთი ისეთი კანონი, რომელიც ჩამოაშორებდა ერის რომელიმე ფენას, ერის რომელიმე სასიცოცხლო ელემენტს.

ნ. ჟორდანიამ მთავრობის სწორი გეზის დამადასტურებლად გამოაცხადა ის, რომ საქართველო შეჩერდა რევოლუციის ბურჟუაზიულ ეტაპზე; საფუძველი ჩაეყარა დემოკრატიულ სახელმწიფოს, გატარდა აუცილებელი რეფორმები, ჩამოყალიბდა გვარდია, იქმნება რეგულარული არმია. რევოლუციის პირველ თვეებში შექმნილ გვარდიას ბევრი მოწიანაღმდეგე ყავდა, მაგრამ მოხალისეთა სახელოვანმა საქმეებმა მისადმი უნდობლობა გაფანტა. არანაკლები ყურადღება ექცეოდა რეგულარული ჯარის შექმნას, მაგრამ ამ სფეროში ჩვენს მიერ გატარებულ ღონისძიებებს ჯერ არ მოჰყოლიაო დიდი შედეგი. „ერთი კი მაინც ფაქტია. ჩვენი შეიარაღებული ძალების საშუალებით

ძირითადად შევინარჩუნეთ საშინაო და საგარეო მყუდროება“.

საქართველოს პრემიერმა აღიარა, რომ რესპუბლიკა ფინანსურ სიძნელეებს განიცდიდა. „როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოვაცხადეთ, ხაზინა სრულიად ცარიელი იყო. მიუხედავად ამისა დღემდე სული მოვიტანეთ ისე, რომ საგარეო ვალი არ აგვიღია. რაკი შემოსავლის წყاროები თითქმის არ გაგვაჩნდა, ბონების ბეჭდვა დავიწყეთ. ამას მოჰყვა ფულის კურსის დაცემა. ე.ი. გამოცემული ბონები ჩვენი დეფიციტია, საშინაო სესხია“.

მთავრობის თავმჯდომარემ თავის გამოსვლა ასე დაამთავრა: „რაც შეგვეძლო ვიმუშავეთ, რუსეთის სხვა სახელმწიფოებთან და ერებთან შედარებით ჩვენი სახელმწიფო გემი მშვიდობით მოვიყვანეთ. ჩაიბარეთ ეს გემი, მიიღეთ სახელმწიფოს სადავე და გააკეთეთ ის, რაც ჩვენ ვერ გავაკეთეთ. პარლამენტის მთავრობა მიდის და ადგილს უთმობს დამფუძნებელი კრების მთავრობას“.[28]

იმავე სხდომაზე დაისვა ახალი მთავრობის შედგენის საკითხი. სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის სახელით რ. არსენიძემ განაცხადა: უკვე არსებული პრეცენდენტის მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ავირჩიოთ თავმჯდომარე, რომელიც შეარჩევს მთავრობის წევრებს. ასეთი წესით შედგენილი მინისტრთა კაბინეტი უფრო შეთანხმებულად იმოქმედებს. თუმცა დამფუძნებელ კრებას იმის უფლებაც აქვს მთავრობის ყველა წევრი თვითონ აირჩიოს და რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენლის – პრეზიდენტის ინსტიტუტიც კი შექმნასო.

რ. არსენიძის ორჭოფულმა წინადადებამ კამათი გამოიწვია. შ. ნუცუბიძემ განაცხადა – თუ მთავრობის შედგენა ერთ კაცს დაევალა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქცია კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებსო. გ. გვაზავამ მხარი დაუჭირა მხოლოდ თავმჯდომარის არჩევას და გაილაშქრა პრეზიდენტის ინსტიტუტის წინააღმდეგ. დაახლოებით ასეთივე აზრი გამოთქვა ივ. გობეჩიამ. მისი განცხადებით პრეზიდენტობის დაწესება არ იყო იოლად გადასაწყვეტი საქმე. ამ საკითხზე ჯერ საკონსტიტუცო კომისიამ უნდა იმუშაოსო. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე პ. საყვარელიძემ, შ. ალექსი-მესხიშვილმა და სხვ. ბოლოს დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შესადგენად დამფუძნებელი კრება ირჩევს ერთ კაცს, რომელიც ნიშნავს მინისტრებს. მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად არის უმაღლესი წარმომადგენელი რესპუბლიკისა“.[29]

ამგვარად, დამფუძნებელმა კრებამ უარყო განსაკუთრებული

უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის, სახელმწიფოს მეთაურის არჩევის საჭიროება. მაგრამ მიზანშეწონილად მიიჩნია მთავრობის თავმჯდომარის უფლება-მოსილების საგრძნობლად გაფართოება, საზღვრებს მიღმა სამყაროს წინაშე მისი სახელმწიფოს მეთაურის სახით წარდგენა.

მთავრობის თავმჯდომარის უფლება-მოსილების გაფართოებას, როგორც ჩანს წინააღმდეგობას უწევდნენ ოპოზიციური პარტიები. აღნიშნული დადგენილების მიღებიდან ორი დღის შემდეგ შ. ნუცუბიძე წერდა: დამფუძნებელი კრების მეორე სხდომაზე სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ დააყენა საკითხი რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლის შესახებ. ჩვენ ამაში დავინახეთ პოლიტიკური კონტრაბანდა და განვაცხადეთ, რომ ეს საკონსტიტუციო საკითხია და უნდა გადაიდოს კონსტიტუციის მიღებამდე. არსებითად ჩვენ პრეზიდენტის განსაკუთრებული ინსტიტუტის შექმნის წინააღმდეგი ვიყავით და ვართ. „ჩვენ გვყავდა დიქტატორი (ნ. ჟორდანია ა.ბ.) და მის არსებობას ვურიგდებოდით გარდამავალ ხანაში. დამფუძნებელი კრების მუშაობა უნდა დაწყებულიყო ყოველივე განსაკუთრებული მდგომარეობის მოსპობით და კონსტიტუციის შემუშავებით“.[30]

სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მთავრობის თავმჯდომარის პოსტზე კვლავ ნ. ჟორდანიას კანდიდატურა დაასახელა. მას მხარი დაუჭირეს ეროვნულ-დემოკრატებმაც. სოციალისტ-ფედერალისტთა და ესერთა ფრაქციებმა კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღეს, მაგრამ ამან ვერ დააბრკოლა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით პრემიერად ნ. ჟორდანიას არჩევა. 1919 წლის 21 მარტს მან გამოაცხადა მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა: საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი — ე. გეგეჭკორი; შინაგან საქმეთა, სამხედრო და სახალხო განათლების მინისტრი — ნ. რამიშვილი; მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი — ნ. ხომერიკი; ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი — კ. კანდელაკი.[31]

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, მართალია, ნდობა გამოუცხადა ნ. ჟორდანიას, მაგრამ არ მოეწონა მისგან შედგენილი მთავრობა. გაზ. „საქართველო“ ამასთან დაკავშირებით წერდა, რომ ძველ მთავრობაში ყოველ სამინისტროს თითო პირი განაგებდა, ახლა კი ერთ პიროვნებას ორი და სამი სამინისტრო დაუქვემდებარესო. მთავრობის რეორგანიზაციის შედეგად მინისტრთა პორტფელები დაკარგესო სოციალისტ-ფედერალისტებმა, ესერებმა და ეროვნულ-დემოკრატებმ.

მთავრობაში მთლიანად სოციალ-დემოკრატები გაბატონდნენო. გაზეთმა სწორად ასახა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის განწყობილება. ცხადია, მისმა ლიდერებმა არ მოიწონეს კოალიციური, მრავალპარტიული მთავრობის ნაცვლად ერთგვაროვანი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბება. მინისტრთა კაბინეტის მიღმა სხვა პარლამენტური პარტიების დატოვება.

სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, ევროპაში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, რაკი დამფუძნებელ კრებაში აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო, უფლება ჰქონდა ერთპარტიული მთავრობა შეექმნა და ჩამოყალიბა კიდეც. მაგრამ ფაქტია, რომ ამან გააძნელა პოლიტიკური პარტიების კონსენსუსი, ოპოზიციის კონსტრუქციული მუშაობა, გარკვეული სიძნელეები შექმნა ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში. დამფუძნებელ კრებაში, კერძოდ, მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ ფრაქციებს შორის იმაზე გაცილებით მკაცრი ბრძოლა გაჩაღდა, ვიდრე ამას ადგილი ჰქონდა პარლამენტში. განწყობილება – ურთიერთობათა ეს ცვლილება ცხადი გახდა უკვე ახალი კაბინეტის დეკლარაციის, სამომავლო პროგრამის განხილვის დროს.

მთავრობის დეკლარაცია წაიკითხა ე. გეგეჭკორმა დამფუძნებელი კრების 21 მარტის სხდომაზე: „ასრულდა საქართველოს ერის სურვილი, შედგა სუვერენული ორგანო – დამფუძნებელი კრება, რომელიც მოწოდებულია შეიმუშაოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და მტკიცე ნიადაგზე დაამკვიდროს დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფო. „...მართალია, ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას ჯერ კიდევ მრავალი დაბრკოლება ელობება, მსოფლიო სამშვიდობო კონგრესს თავის სიტყვა ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ არ წარმოუთქვამს, მაგრამ სრული იმედით შევყურებთ მომავალს. ხალხი, რომელმაც სძლია რეაქცია და მოიგერია უცხო ძალთა თავდასხმები, უეჭველია შეინარჩუნებს თავისუფალ პოლიტიკურ არსებობას“.

ე. გეგეჭკორმა შემდეგ აღნიშნა, რომ მთავრობა მიზნად ისახავსო მართვა-გამგეობის გამარტივებას და გაიაფებას. ის შეეცდება რაც შეიძლება მალე განსაზღვროს აფხაზეთისა და სამუსლიმანო საქართველოს სტატუსი, სრულყოს სამაზრო და საქალაქო თვითმმართველობათა სტრუქტურა, დაამთავროს სასამართლო რეფორმის გატარება. ღარიბ გლეხთა მიწით უზრუნველყოფის მიზნით მთავრობა გააგრძელებს აგრარული რეფორმის დაჩქარებით განხორციელებას

და ხელს შეუწყობს ინტენსიური სასოფლო მეურნეობის აღორძინებას. დეკლარაციაში სიამოვნებით არის აღნიშნული, რომ „კოოპერაციული საზოგადოებანი დღითიდღე მაგრდებიან და ფართო შემოქმედებით უნარს იძენენ საწარმოო და სააღებმიცემო ასპარეზზე. მთავრობა მიზნად ისახავს მათ დახმარებას, ამ გზით საზოგადოებრივი საკუთრების გაფართოებას და მის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებას. მთავრობა მთელი თავისი ძალღონით შეეცდება შრომის ინტერესების დაცვას და სოციალური კანონმდებლობის ფართო საფუძველზე აგებას“.

დეკლარაციის ბოლო ნაწილში იმედი იყო გამოთქმული, რომ მთავრობა, დამფუძნებელი კრების დახმარებით, შეასრულებდა მძიმე მოვალეობას, აღმოფხვრიდა დაბრკოლებებს, დაიცავდა რესპუბლიკის დამოუკიდებლობას, აამაღლებდა ხალხის კეთილდღეობას.[32]

მთავრობის დეკლარაცია, მართალია, შეიცავდა დემოკრატიული სოციალიზმის პროგრამულ ელემენტებს, მაგრამ ამან ესერები და სოციალისტ-ფედერალისტები ვერ დააკმაყოფილა. ამიტომ მათ მთავრობის მომავალი მუშაობის გეგმა მარცხნიდან გააკრიტიკეს. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ კი მემარჯვენე პოზიცია დაიკავა.

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით შ. ალექსი-მესხიშვილმა განაცხადა, რომ ახალი მთავრობა არსებითად იმეორებს ძველ პროგრამას, რაც ახლა, მსოფლიო რევოლუციური პროცესის გაღრმავების პირობებში, საკმარისი აღარ არისო. „ჩვენ მოწმენი ვართ რუსეთში და ევროპაში შრომისა და კაპიტალის, სოციალიზმისა და იმპერიალიზმის ბრძოლისა. რევოლუციურმა ქარცეცხლმა ნათლად დაანახვა თვით იმპერიალისტებსაც კი, რომ ძველ სოციალურ ურთიერთობათა დაბრუნება შეუძლებელია., ...მიუდგომელი მეთვალყურეებისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ჩვენ ვიმყოფებით გარდამავალ ხანაში და დღესვე უნდა ჩაეყაროს მტკიცე საფუძველი მომავალ სოციალისტურ წყობილებას. სოციალისტური მთავრობა, სოციალისტური დამფუძნებელი კრების ნდობით აღჭურვილი, ვალდებულია გაბედული ნაბიჯი გადადგას, თორემ იმ გზით, რომელიც დეკლარაციაშია ნაჩვენები... ვერაფერს გახდება“.[33]

კიდევ უფრო მკაცრად გააკრიტიკა მთავრობის დეკლარაცია, მისი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული პროგრამა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ. ლ. შენგელაიას განცხადებით, არა მენშევიკები, არამედ მხოლოდ ჭეშმარიტი სოციალისტები შესძლებდნენ ხალხის მეთაურობას, ისინი მოიპოვებდნენ მშრომელთა ნდობას და

მხარდაჭერას. ამის საფუძველს იძლევაო საქართველოს მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, დამფუძნებელი კრების სოციალური შემადგენლობა; ჩვენს დამფუძნებელ კრებაში ფეოდალურ არისტოკრატიას არცერთი კაცი არ გააჩნია, ხოლო ბურჟუაზია მხოლოდ 8 დეპუტატით არისო წარმოდგენილი. სოციალ-პოლიტიკურ ძალთა ასეთ განლაგებას ჩვენი მთავრობა ვერ იყენებსო რევოლუციის გაღრმავებისათვის. ლ. შენგელაიამ დამფუძნებელ კრებას აუწყა, რომ სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია იბრძოლებდა მთავრობისეული აგრარული რეფორმის წინააღმდეგ, დაიცავდა მიწის სოციალიზაციის პროგრამას, მოითხოვდა წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესებას, სამუშაო დღის შემცირებას, მხარს დაუჭერდა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას.

დამფუძნებელი კრების ძირითად ამოცანად სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციას მიაჩნდა: დემოკრატიულ თავისუფლებათა დაკანონება, სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, პროფესიის, მიმოსვლის, გაფიცვების, კავშირების თავისუფლების უზრუნველყოფა, უპრეზიდენტო დემოკრატიული მმართველობის შექმნა, მართვა-გამგეობის სრული დეცენტრალიზაციის განხორციელება, სახალხო რეფერენდუმისა და საკანონმდებლო ინიციატივის დანერგვა.[34]

დიამეტრალურად საწინააღმდეგო პოზიციიდან გააკრიტიკა ახალი მთავრობის სამოქმედო პროგრამა (და საერთოდ სოციალისტური მიმართულების პარტიათა თვალსაზრისი) ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რომლის სახელით სპ. კედიამ განაცხადა: „დამფუძნებელი კრების წევრნო! არასდროს ასეთის სიმკაცრით არ გამოვლენილა წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეოლოგიას შორის. ის გარემოება, რომ დამფუძნებელ კრებაში 120-ზე მეტი სოციალისტი ზის, ხოლო სინამდვილე ძალას გვატანს სახელმწიფოს ასაგებად საღი ბურჟუაზიული საფუძვლები და მეთოდი ვიხმაროთ, ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ სურვილი და დიდი რწმენა უძლურია სოციალიზმის დასამყარებლად და სინამდვილის გარდასაქმნელად". საქართველოს მოსახლეობამ, თქვა შემდეგ სპ. კედიამ, პირველად აირჩია დამფუძნებელი კრება, რომელმაც ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონები უნდა მიიღოს. „ჩვენი მომავალი ნამოქმედარი განსაზღვრავს მომავლის მიმართულებას და ამიტომ ვერ ვიქნებით თავისუფალი ჩვენი უფლების მოხმარებაში. საქართველოს მარადიულ მიმდინარეობაში ჩვენი აქ ყოფნა ერთი წუთია და ამ წუთმა არ უნდა შეიწიროს ქვეყნის

უკვდავება. ამის ნიშნები კი ბევრია ჩვენს ყოველდღიურ მოქმედებაში".

შემდეგ ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის ლიდერმა აღნიშნა, რომ მთავრობის შემადგენლობა არსებითად არ შეცვლილა და არც მისი პოლიტიკა შეიცვლებაო. ის პარტია, რომელსაც არასდროს ჰქონია მიზნად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და, რომელმაც გარემოების ძალდატანებით ჩაიბარა ქვეყნის მართვა-გამგეობის ტვირთი, ბუნებრივია, ვერ შესძლებდა შემოქმედებითი პოლიტიკის გატარებას, ჭეშმარიტად ეროვნული სახელმწიფოს აშენებას. სპ. კედიას აზრით, სოციალ-დემოკრატები ფსიქოლოგიურად არ იყვნენ მომზადებული სახელმწიფოს შექმნისა და მართვისათვის, რის გამოც ბევრი შეცდომები მოსდიოდათ საშინაო და საგარეო პოლიტიკაში. მთავრობის მახასიათებელიაო მუდმივი მერყეობა ინტერნაციონალიზმსა და ნაციონალიზმს შორის. „მეორეს მხრივ, მთავრობას დღესაც არ აქვს გამორკვეული სახელმწიფოებრივი შემოქმედების ორიენტაცია, ის თუ რომელ პრინციპს მისცეს უპირატესობა და სახელძღვანელოდ გაიხადოს, მოსკოვის პრინციპი თუ პარიზისა. ეს გაურკვევლობა კი უაღრესად მავნებელია და სახიფათო., ...თუ რაიმე დადებითი იყო მთავრობის მოქმედებაში აქამდის, ეს იმდენად ხდებოდა, რამდენადაც იგი ხანდახან უახლოვდებოდა თავის მოქმედებაში იმ ბურჟუაზიულ ზომებს, რომლის დიდი შემოქმედებითი როლი ცხოვრებით და გამოცდილებით არის დადასტურებული. ხოლო რამდენადაც იგი შორდებოდა ამ ნაკად იარაღს და წაისოციალისტ-რევოლუციონერობდა, იმდენად მეტ ზიანს აძლევდა ჩვენს შინაგან და საგარეო მდგომარეობას".[35]

როგორც ვხედავთ, სოციალისტ-ფედერალისტები და სოციალისტ-რევოლუციონერები მთავრობას ბრალად სდებდნენ სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევასა და ბურჟუაზიული პოლიტიკის გატარებაში, ეროვნულ-დემოკრატები კი პირიქით, მმართველ პარტიას ადანაშაულებდნენ სოციალისტური ექსპერიმენტებით გატაცებაში, ბურჟუაზიული საკუთრება-მეურნეობის შეზღუდვაში. ვინ იყო მართალი? საკუთარი პოზიციებიდან თითქოს ორივე მხარე ჭეშმარიტებას ღაღადებდა. მაგრამ კრიტიკოსები ყოველთვის როდი ახერხებდნენ მოვლენების ობიექტურად შეფასებას. ოპოზიციონერებმა თითქმის არაფერი თქვეს იმაზე, რომ მთავრობა ცდილობდა კომპრომისული ხაზის გატარებას, შერეული საზოგადოებრივი წყობილების შექმნას. მართალია, თავისუფალ გასაქანს აძლევდა კერძო ინიციატივას,

კაპიტალიზმის განვითარებას, მაგრამ არც მოსახლეობის დაბალი ფენების სოციალური დაცვის საჭიროებას ივიწყებდა. ცდილობდა კლასობრივი ანტაგონიზმისა და კლასობრივი ბრძოლის შესუსტებას. სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ჰქონდა შესაძლებლობა კრიტიკას კრიტიკით დახვედროდა და თავის პოზიციები ნაწილობრივ მაინც დაეცვა.

1919 წლის 25 აპრილს დამტკიცდა დამფუძნებელი კრების რეგლამენტი, განისაზღვრა ამ უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს სტრუქტურა, მისი მუშაობის წესი. ამ რეგლამენტის საფუძველზე მოხდა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის და მუდმივი კომისიების არჩევნები.

დამფუძნებელი კრების დეპუტატებს შორის ცხარე ბრძოლა გაიმართა მუდმივი კომისიების შემადგენლობის დამტკიცების პროცესში. სოციალ-დემოკრატებმა ყველაზე მნიშვნელოვან კომისიებში მოითხოვეს ადგილების სამი მეოთხედი. ამას განსაკუთრებით მწვავე პროტესტით შეხვდა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია. მისმა წარმომადგენელმა განაცხადა, თუ მმართველი პარტიის მადა არ შეიკვეცა, ზოგიერთი პარტია კომისიებში ვერცერთ ადგილს ვერ მიიღებსო. გ. გვაზავამ (ე.დ.) აღნიშნა: დამფუძნებელი კრების კომისიები რთულ საქმიანობას ეწევიან, ძირითადად იქ მზადდება კანონპროექტები, მიმდინარეობს ის უმთავრესი მუშაობა, რომელსაც ჰქვია შეთანხმება. ამიტომ სასურველია კომისიებში, შესაძლებლობის მიხედვით, ყველა ფრაქცია იყოს წარმოდგენილი. პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემას ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ არც მცირერიცხოვანი ფრაქციების კონსტიტუციური უფლებები უნდა დავარღვიოთო.

საბოლოოდ საკონსტიტუციო კომისიაში აირჩეს: სოციალ-დემოკრატიული ფრაქციისაგან 9 კაცი (პ. საყვარელიძე, ლ. ანთაძე, გ. ფალავა, პ. გელეიშვილი და სხვ.), სოციალისტ-ფედერალისტთაგან — 2 კაცი — ი. ბარათაშვილი, ს. დადიანი, ეროვნულ-დემოკრატთა ფრაქციისაგან — გ. გვაზავა და სპ. კედია. დაშნაკებისაგან — ტ. ავეტისიანი. საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში შევიდა 9 სოიალ-დემოკრატი, ორი სოციალისტ-ფედერალისტი, ერთი სოციალისტ-რევოლუციონერი, ერთი ნაციონალ-დემოკრატი.

დამფუძნებელი კრების უმრავლესობა წინააღმდეგი იყო საგარეო საქმეთა კომისიის შექმნისა, რამაც ეროვნულ-დემოკრატთა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. გ. გვაზავამ ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა: შვეიცარია ნეიტრალური ქვეყანაა, მას საგარეო საფრთხე არ ემუქრება,

მაგრამ საგარეო პოლიტიკას მარტო ერთი პირი როდი განსაზღვრავს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ-ში აღმასრულებელი ხელისუფლება ძალიან ძლიერია, დეპუტატთა პალატა ყოველთვის ირჩევს საგარეო საქმეთა კომიტეტს. ვერც საქართველოს დამფუძნებელი კრება დარჩება გარეშე მაყურებლის როლში. ზოგმა შეიძლება ასე დასვას საკითხი – ყველა ხელშეკრულება, ყველა საგარეო პოლიტიკური აქტი ბოლოს მაინც დამფუძნებელ კრებაში უნდა შემოვიდეს, აქ უნდა მოხდეს მათი რატიფიკაცია და ამიტომ კომისიის შექმნა საჭირო არ არისო. მაგრამ თავისთავად რატიფიკაციას არ აქვს „დიდი მნიშვნელობა. საქმე წყდება მაშინ, როცა მოლაპარაკებას აწარმოებენ და ხელშეკრულებას სდებენ., ...მაშასადამე საჭიროა წინასწარ მივიღოთ მონაწილეობა მოლაპარაკებაში, თავად საგარეო პოლიტიკური მიმართულების შემუშავებაში. ჩვენი წინადადება არის ავირჩიოთ საგარეო საქმეთა კომისია". გ. გვაზავას აზრით ამ კომისიაში უნდა შესულიყო 10 კაცი. ხუთი სოციალ-დემოკრატი, ორი ეროვნულ-დემოკრატი, ორი სოციალისტ-ფედერალისტი, ერთი – სოციალისტ-რევოლუციონერი. უმრავლესობის ფრაქციამ ასეთ შემადგენლობას მხარი არ დაუჭირა. ბოლოს და ბოლოს საგარეო საქმეთა კომისიაში შევიდა 5 სოციალ-დემოკრატი. ოპოზიციური პარტიებიდან კი თითო წარმომადგენელი – გ. გვაზავა, ს. მდივანი, ივ. გობეჩია.[36]

ყველაზე რთული და ძნელი საქმე დაეკისრა საკონსტიტუციო კომისიას. იგი ერთი წელი მუშაობდა საქართველოს კონსტიტუციის პროექტის შედგენაზე და თითქმის ამდენსავე ხანს გაგრძელდა ამ პროექტის განხილვა (შევსება, შესწორება), რაც დამფუძნებელი კრების ფრაქციათა მწვავე დებატების ვითარებაში მიმდინარეობდა. პარალელურად სწარმოებდა მუშაობა კონკრეტული კანონების შესადგენად.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ხელისმოწერით 1919 წლის აპრილში დეპუტატთა შორის გავრცელდა ასეთი დოკუმენტი: „ეროვნული საბჭოსა და პარლამენტის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ აქამდე არსებული ტექნიკა კანონპროექტების შეტანისა მეტის მეტად უსრულო და ნაუცფათევი ხასიათისა იყო. კანონპროექტს ხშირად არავითარი განმარტებითი მოხსენება არ ჰქონდა დართული., ...ყოფილა მაგალითი, როდესაც საკმაოდ რთული კანონპროექტის განხილვა კომისიებში და პარლამენტში ორ-სამ დღეში დამთავრებულა".

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე შემდეგ აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო მუშაობის ასეთი სწრაფი ტემპით წარმოება

მდგომარეობით იყო ნაკარნახევი. ახლად აღორძინებული სახელმწიფოებრივი ცხოვრება მოითხოვდა საკანონმდებლო ნორმების სწრაფად ჩამოყალიბებას და დაყოვნება შეუძლებელი იყო. პარლამენტის ბევრი წევრი გრძნობდა ასეთი აჩქარების უარყოფით შედეგებს. გამოითქმოდა შენიშვნები იმის გამო, რომ კანონპროექტი ერთ ცალად შემოდიოდა და ბუნებრივია, ყველას არ ეძლეოდა მისი შესწავლა-განხილვის შესაძლებლობა. დეპუტატები კანონპროექტებს ღებულობდნენ კომისიების მიერ ჩასწორებული სახით, მათ არ ჰქონდათ შედარების შესაძლებლობა. ასეთი პრიმიტიული წესი არ შეფერის კანონმდებელთა კრებულს და დამფუძნებელი კრება ამას ვეღარ შეურიგდებაო.

თავმჯდომარე საკმაოდ კატეგორიული ტონით უცხადებდა დამფუძნებელი კრების წევრებს, რომ ამის შემდეგ ყველას უნდა შეესრულებინა დამფუძნებელი კრების მიერ შედგენილი რეგლამენტი. საჭიროა ვიცოდეთ, რომ საკანონმდებლო აქტი უნდა შედგებოდეს კანონის ტექსტის, კანონპროექტის განმარტებისა და სხვა მასალისაგან. მნიშვნელოვანი კანონპროექტები დასტამბული უნდა იყოს 200 ეგზემპლარად, სხვები მანქანაზე გადაბეჭდილი რამდენიმე ცალად.[36ა] ამ დოკუმენტის გავრცელებას სასურველი შედეგი მოჰყვა.

დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის მაისში განიხილა კანონპროექტი მოქალაქეობის შესახებ: 1) საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ყოველი მცხოვრები, რომელიც მიწერილი იყო ქვეყნის რომელიმე ადმინისტრაციულ ერთეულზე 1914 წლის 19 ივლისამდე; 2) ყოფილი რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომი, რომელიც პირველ მუხლში აღნიშნულ მოთხოვნილებას არ აკმაყოფილებს, ...მაგრამ 1914 წლის იანვრიდან განუწყვეტლივ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე და სამი თვის ვადაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა განაცხადებს, რომ სურს საქართველოს მოქალაქეობა, მიღებულ იქნება საქართველოს მოქალაქედ; 5) ყოფილი რუსეთის იმპერიის ყოველი ქვეშევრდომი ქართველი, მიღებული იქნება საქართველოს მოქალაქედ, უკეთუ სამი თვის განმავლობაში დღიდან ამ კანონის გამოქვეყნებისა, განაცხადებს ამის სურვილს; სათანადო განცხადებას შეიტანს საქართველოში მცხოვრები მომრიგებელ მოსამართლესთან, ხოლო უცხო სახელმწიფოში მცხოვრები მახლობელ კონსულთან. მე-9 მუხლის შესაბამისად საქართველოში პოლიტიკური უფლება ჰქონდა მხოლოდ რესპუბლიკის მოქალაქეს. სხვებს არ შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა.[37]

ამ კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ იმ მოტივით, რომ იგი სხვა ეროვნებათა და ჩამოსულთა უფლებას კვეცავსო. ივ. გობეჩიამ განაცხადა: „ეს კანონი მაშინ მიაღწევს თავის მიზანს, თუ ის სავსებით შეინარჩუნებს ინტერნაციონალურ სულს, თუ ჩვენ საქმით დავამტკიცებთ, რომ თავისუფალ საქართველოში ყველა თანასწორი არის". არ შეიძლება საქართველოს მოქალაქეობა ძალით მივაღებინოთ ვისმეს და არც ისეთი პირობები უნდა შევქმნათ, რომ ხელოვნურად დავაბრკოლოთ მოქალაქეობის მიღებაო. ასეთ დაბრკოლებას, მისი აზრით, ქმნიდა თარიღი 1914 წელი და მიწერა ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულზე. დასანანია, რომ სოციალ-დემოკრატები დასცილდნენ სოციალისტურ ეროვნულ პროგრამას, ინტერნაციონალურ პრინციპს და ნაციონალიზმის პოზიციაზე დადგნენო.

არსებითად განსხვავებული პოზიცია დაიკავეს სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა. მათ მოიწონეს აღნიშნული კანონპროექტი. შ. ალექსი-მესხიშვილმა აღნიშნა, ამ კანონს პროტესტით მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრები შეხვდნენო. ივ. გობეჩია და ძმანი მისნი კანონს იმას უწუნებენ, რომ იგი ყველას არ აძლევს საქართველოს მოქალაქეობას. ივ. გობეჩიას უკვირს, რათაა აღებული ხანდაზმულობის თარიღად 1914 წლის 19 ივლისი? იმიტომ რომ ამ დღიდან საერთაშორისო ომის გამო აუარებელი ხალხი მოაწყდა ჩვენს ტერიტორიას. ყველა ეს ჩამოხიზნული ხალხი დარჩა საქართველოს ტერიტორიაზე და თითქმის ყველა ჩვენი დამოუკიდებლობის მტერიაო.

მოქალაქეობის კანონი, თქვა ბოლოს შ. ალექსი-მესხიშვილმა, დემოკრატიულიც არის და სამართლიანიც. ვისაც ეკუთვნის საქართველოს მოქალაქეობა თითქმის ყველა ღებულობს. ამ მხრივ აბსოლუტურ თავისუფლებას დიდი სახელმწიფოებიც კი არ აცხადებენ, მათაც აქვთ დაწესებული შეზღუდვები. რაც უფრო მცირეა სახელმწიფო, მით უფრო ფრთხილად უნდა ეკიდებოდეს ქვეშევრდომობის კანონს, იმიტომ, რომ იგი უცხოელებს, რომელნიც ჩვენს მოქალაქეობას ღებულობენ, მოვალეობასთან ერად დიდ უფლებასაც აძლევს. ყველა შემოხიზნულს რომ მიწა გამოვუყოთ, ხომ მნიშვნელოვნად შემცირდება მკვიდრი მოსახლეობისათვის გადასაცემი ფართობები. გობეჩია უხეშად სცდება, იგი უცხოელების წისქვილზე ასხამს წყალს. არსებითად აქეზებ მათ მთავრობის წინააღმდეგ საბრძოლველად.[38]

დამფუძნებელმა კრებამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობით უარყო სოციალისტ-რევოლუციონერთა შენიშვნები და მოქალაქეობის კანონი პირვანდელი რედაქციით დაამტკიცა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურაში თავის მნიშვნელობით, ფუნქციების სიფართოვით ერო-ერთი პირველი ადგილი ეკავა შინაგან საქმეთა სამინისტროს. მის საქმიანობას შეხების წერტილები ჰქონდა პოლიტიკურ პარტიებთან, ხალხთან, სოციალურ მოძრაობასთან. ოპოზიცია ყველაზე მეტ ბრალდებას ამ სამინისტროს უყენებდა.

დამფუძნებელი კრების 90-ე სხდომაზე განიხილეს დეკრეტის პროექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატებისა და დაფინანსების შესახებ. ამ შინაარსის დეკრეტები ჩვეულებრივ უმტკივნეულოდ განიხილებოდა, სათანადო თანხას ყველა სამინისტრო და უწყება ღებულობდა. მაგრამ ამჯერად საქმე გართულდა. ოპოზიციურმა პარტიებმა ეს კონკრეტული შემთხვევა გამოიყენეს სამინისტროს მთელი მუშაობის შეფასებისათვის, მისი ნაკლოვანი მხარეების, „დანაშაულის ტოლფასი" შეცდომების კრიტიკისათვის.

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციის სახელით ი. ნუცუბიძემ თქვა: „ხარჯთაღრიცხვის დადასტურება ნიშნავს სამინისტროსადმი ნდობის გამოცხადებას, მისი მოღვაწეობის მოწონებას., ...ჩვენი ფრაქცია არ უცხადებს მას ნდობას და ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებაზე უარს ეუბნება". შინაგან საქმეთა სამინისტროს, განაგრძო ორატორმა, დიდი მოვალეობა აწევს, მაგრამ იგი ვერ დგას მოწოდების დონეზე. ჩვენი ადმინისტრაცია თითქმის არ განსხვავდება მეფის მთავრობის ადმინისტრაციისაგან. ამ ადმინისტრაციის ნაწილებს ძველებურად განსაკუთრებული რაზმები და საიდუმლო აგენტები შეადგენენ. ხალხსა და ადმინისტრაციას შორის ხიდია ჩატეხილი. შინაგან საქმეთა სამინისტრო თავის საქმიანობით ახშობს მოქალაქეობრიობის, უფლებრიობის და სახელმწიფოებრიობის იდეას. ფაქტია, რომ სამინისტროს აპარატი და მილიცია უცერემონიოდ ერეოდა საერობო თვითმმართველობის არჩევნებში, მუქარით აიძულებდა ხალხს ხმა მიეცათ სოციალ-დემოკრატების ნომერ პირველ სიისათვის. „სამინისტროში — განაცხადა ბოლოს ი. ნუცუბიძემ — არიან ადამიანები, რომლებიც მოგვაგონებენ ოპრიჩნიკებს. სანამ ადმინისტრაცია არ დადგება უფლებრივ ნიადაგზე, სანამ ის არ შეიგნებს, რომ ხალხის მსახურია და არა მისი მბრძანებელი, ...მანამდე ჩვენს კრედიტს ვერ გავუხსნით შინაგან საქმეთა სამინისტროს".[39]

კიდევ უფრო მკაცრად გამოვიდა ი. ნუცუბიძის თანაპარტიელი ლ. შენგელაია. მისი განცხადებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ სახელი გაუტეხა საქართველოს რესპუბლიკას, მის მთავრობას. ეს უწყება განუკითხავად მოქმედებსო ცენტრშიც და პერიფერიებშიც. ზოგიერთი მაზრის პოლიციის სათავეში ყოფილი ბოქაული დგას. ამის გარდა მილიციაში ბევრი ნაყაჩაღარი და ნააბრაგალი მუშაობს. ისიც დასტურდება, რომ მათთან შეთანხმებით ყაჩაღებმა შვიდ უბნად დაჰყვეს ზუგდიდის მაზრა და ხალხს კონტრიბუციას ახდევინებენო".[40]

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით შინაგან საქმეთა სამინისტრო გააკრიტიკა ს. დადიანმა. მანაც დაასახელა ნ. რამიშვილის უწყების მოხელეთა „დანაშაულებრივი ქმედების" არაერთი ფაქტი. აგრეთვე აღნიშნა, რომ სამინისტრო ვერც ანარქიის აღკვეთით დაიკვეხნისო. მან სახელი გაუტეხა ჩვენს საოცნებო სოციალიზმის იდეას და ვერც ეროვნული თავისუფლების განმტკიცების საქმეს ემსახურება. ამიტომ არაა გამორიცხული სამინისტროს მაღალ მოხელეებს ხალხმა უთხრას – იმედი ვერ გაგვიმართლეთ, გადადექითო.[41]

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა საპასუხო გამოსვლაში აღნიშნა, რომ ოპოზიციას ვიწრო პარტიული ინტერესები ასულდგმულებს. სოციალისტ-რევოლუციონერებმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მარცხი განიცადეს და ახლა ცდილობენ ეს მარცხი რაღაც სხვა ძალას გადააბრალონო. მე არ მეგონა, რომ ცილისწამების გზას სოციალისტ-ფედერალისტებიც დაადგებოდნენ. ამ ბოლო დროს საქართველოს ზოგიერთ რაიონში მათაც დაკარგეს გავლენა და ალბათ ამიტომ შევიდნენო სოციალისტ-რევოლუციონერებთან ალიანსში.

ნ. რამიშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს დამსახურებად გამოაცხადა საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაცია, მუნიციპალურ ორგანოთა რეორგანიზაცია და საერობო არჩევნების ჩატარება. მან ბრალი დასდო ოპოზიციას აშკარა ტენდენციურობასა და ჩასაფრებულ მტრობაში. თუ ოპოზიციას მართლაც ჰქონდა მილიციისა და ბანდიტების კავშირის დამადასტურებელი მასალა, რატომ დროზე არ მოგვაწოდა? თუ სათანადო ზომებს არ მივიღებდით, კრიტიკით შემდეგ გამოსულიყო. სამინისტრომ ბევრი რამ გააკეთა, გამოავლინა და აღკვეთა მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყების რამდენიმე მცდელობა, წარმატებას მიაღწია საერთოდ ანარქიასთან ბრძოლაში. ამ დიდი საქმეების შემსრულებლებს მაინც და მაინც

დიდი ხარჯები არ გაგვიწევია და ამდენად ოპოზიციის კრიტიკული გამოსვლა კონსტრუქციულ ხასიათს არ ატარებსო.[42]

ოპოზიციას უკან არ დაუხევია, სრულიად დაუსაბუთებელი უწოდა ნ. რამიშვილის თავის მართლებას. „ეს ის მინისტრია, — განაცხადა ი. ნუცუბიძემ, — რომელიც არა თუ თავის მოღვაწეობის, არამედ ხაზინიდან წაღებული ფულის ანგარიშსაც კი არ იძლევა. ეს ის მინისტრია, რომელიც არავითარ პასუხისმგებლობას არ გრძნობს და კანონსაც არ ემორჩილება". ი. ნუცუბიძემ კვლავ დაასახელა სამინისტროს მოხელეთა თვითნებობის ფაქტები, გაიმეორა ბრალდება. რომ ეს უწყება აბუჩად იგდებს დემოკრატიულ პრინციპებს,პიროვნებას,სპობს სიტყვის, ბეჭდვის, კრების თავისუფლებას.

დამფუძნებელი კრების მომდევნო სხდომაზე შ. ნუცუბიძემ სიამოვნება გამოთქვა გამართული დებატების გამო. ამ გზით უზენაეს საკანონმდებლო ორგანოს მუშაობის ნორმალურ კალაპოტში ვაყენებთ, პარლამენტარიზმის ტრადიციებს ვქმნითო. შ. ნუცუბიძის აზრით, სოციალ-დემოკრატიას გარკვეული დისონანსი შემოჰქონდა საპარლამენტო საქმიანობაში, მის ფრაქციას რატომღაც ყველა მინისტრის დაცვა თავის მოვალეობად მიაჩნდა და ეს კიდევ უფრო ზრდიდა სხვა პარტიების კრიტიკულ განწყობილებას. ორატორმა ისიც აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ცალკე პარლამენტია, იქ წყდება თითქმის ყველა საკითხები და შემდეგ დამფუძნებელი კრების სხდომაზე მტკიცდება. „ბატონებო! მიმართა ბოლოს შ. ნუცუბიძემ სოციალ-დემოკრატ დეპუტატებს — იქ, იმ ოთახში ნუ ქმნით თქვენ ქვედა პალატას, ეს დამღუპველია სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით., ...ერთხელ და სამუდამოდ უნდა აღიაროთ, რომ ყალბი გზა გაქვთ არჩეული, რომ თქვენ შექმენით უპასუხიმგებლო პარლამენტი და მთავრობა". შ. ნუცუბიძემაც დაგმო შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც მისი აზრით, განსაკუთრებით ბოროტად იყენებდა კანონს ადმინისტრაციული წესით დაპატიმრების შესახებ.[43]

ნ. რამიშვილმა კვლავ სცადა თავის პოზიციის დაცვა და განაცხადა: „ჩვენი სამინისტროს გარშემო გაიმართა პარტიული ბრძოლა. საბუთები, რომელიც აქ მოიყვანეს ამოკრეფილი არის იმ სალაროდან, რომელსაც ვიწრო პარტიული ელფერი აზის". ბრალმდებელთა საყურადღებოდ ნ. რამიშვილმა თქვა, რომ სამინისტროს თავის მოქმედების დროს ერთხელაც კი არ დაურღვევია კანონები, მათ ეყრდნობოდაო. შეგახსენებთ, თუ რას ღაღადებს ანარქიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მიღებული

დროებითი დეკრეტი: „მიეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება გააძევოს საქართველოს საზღვრებიდან, ან აუკრძალოს განსაზღვრულ ადგილებში ცხოვრება, ან დააპატიმროს ყველა პირი, რომელიც თავის მოქმედებით ზიანს აყენებს საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებს, ან ცდილობს მისი მთლიანობის დარღვევას, სიტყვით, თუ წერილობით ეწევა აგიტაციას რესპუბლიკის წინააღმდეგ". ამ დეკრეტზე დაყრდნობით ვებრძოდით სახელმწიფოს მტრებს. ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან ბოლშევიკები და სხვა ყაჩაღური ელემენტები. ამ გამოსვლებს ამზადებენ იმ ფულით, რომელსაც აქ გზავნის საბჭოთა მთავრობა. ასეთ პირობებში ოპოზიცია მოითხოვს იმ სისტემის შეცვლას, რომელიც რესპუბლიკაში დაკანონდა რევოლუციის მთელი ისტორიით. თქვენ ფაქტიურად აკეთებთ რეაქციის საქმეს, ეხმარებით შავბნელ ელემენტებს, საქართველოს მტრებს, შინაგან საქმეთა სამინისტრო კი მათ ებრძვის. შეიძლება სამინისტროს ზოგი მოხელე სცოდავს, არაა გამორიცხული უდანაშაულო პირის დაპატიმრება და დასჯაც კი, მაგრამ ეს სისტემად არ გვიქცევიაო.[44]

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობის გამო გამართული დებატები ერთგვარად შეაჯამა პ. საყვარელიძემ. მან აღნიშნა, რომ კრიტიკის მომხრე ვარ, მაგრამ ვგმობ ღვარძლიან კრიტიკას, ...რომელიც არაფერს კარგს არ ხედავს მოწინააღმდეგის მოღვაწეობაში". შეიძლება მთავრობას, მის რომელიმე უწყებას შეცდომები მოსდის, მაგრამ ამისაგან ძველ დემოკრატიულ სახელმწიფოთა მთავრობებიც არ არიან დაზღვეული. დასავლეთის თავისუფალ სამყაროშიც აქვს ადგილი ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, პიროვნების უფლებათა დარღვევას. ეს თავის დროზე კარგად იცოდნენ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წარმომადგენლებმა და როცა სამინისტრო პორტფელებს ფლობდნენ თავადაც გმობდნენ არაკონსტრუქციულ ოპოზიციას. ახლა კი, როცა ისინი აღარ შედიან მთავრობაში, „არავითარ ბრალდებას არ ერიდებიან. ცდილობენ დაამცირონ მთავრობა. ეს არ არის კეთილსინდისიერი ოპოზიცია". რევოლუციონერი და ოპოზიციონერი, განაგრძო პ. საყვარელიძემ, რომელიც საფრთხეს არ უმზადებს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, ასატანია და მთავრობაც არაფერს ერჩის მათ. მაგრამ როცა მოდიან რუსეთის ბოლშევიკური პარტიის წევრები, მათ შორის ქართველები საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსასპობად, ბუნებრივია, წინააღმდეგობას ვუწევთ მათ. ეს მთავრობის მოვალეობაა და თუ ამ მოვალეობას არ არსულებს უნდა გადადგესო.[45]

საქართველოს კონსტიტუციის შედგენის საკითხი ჯერ კიდევ ეროვნულ საბჭოში დაისვა. მის სხდომებზე გარკვეული დრო ეთმობოდა დებატებს დემოკრატიისა და კონსტიტუციის ფორმის თაობაზე. დააფიქსირეს, რომ იმდროინდელ მსოფლიოში დემოკრატიული სახელმწიფოს სამი ფორმა ფუნქციონირებდა: 1) ამერიკული უფლებაგანაწევრებული დემოკრატია; 2) ფრანგული პარლამენტარული დემოკრატია; 3) შვეიცარული – პირდაპირი დემოკრატია. საქართველოს პარლამენტის საკონსტიტუციო კომისიამ, მართალია, უპირატესობა მიანიჭა შვეიცარულ დემოკრატიას და მის კონსტიტუციას, მაგრამ საჭიროდ მიიჩნია სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოთა კონსტიტუციების დებულებათა გამოყენება. ისიც ითქვა, რომ ანგარიში უნდა გაწეოდა ქართველი ხალხის ფსიქიკას, ყოფას, ზნე-ჩვეულებას, მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას.

დამფუძნებელი კრების მოწვევის შემდეგ საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები მოხდა და მისმა მუშაობამ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო, მაგრამ ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას სრულიადაც არ აკმაყოფილებდა აღებული ტემპი. 1919 წლის ოქტომბრის თვეში მან დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმს წარუდგინა მოთხოვნა-წინადადება, რომელშიც ნათქვამი იყო: „დამფუძნებელი კრების პირდაპირი და უმთავრესი დანიშნულება არის „დაფუძნება" სახელმწიფოებრივი წყობილებისა, ე.ი. შემუშავება იმ ძირითად დებულებათა, რომლის ფარგალში უნდა მიმდინარეობდეს უფლებრივი ცხოვრება სახელმწიფოსი. დამფუძნებელი კრება გაიხსნა 12 მარტს. იმ დღიდან უკვე გავიდა შვიდი თვე, მაგრამ დღემდე დამფუძნებელ კრებაში არც კი შემოტანილა კანონპროექტი კონსტიტუციისა".

მიმართვის ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ ასეთი დაგვიანება ძალიან სახიფათო არისო. მოგეხსენებათ, რომ პარიზის კონფერენციაზე შეკრებილი გამარჯვებული სახელმწიფოები (ანტანტა) სრული ბატონია მდგომარეობისა. ისინი განსაკუთრებულ ყურადღებას ახლად შექმნილ სახელმწიფოებს აქცევენ, აფასებენ მათ ნაკლსა და დადებით მხარეებს. „ეს სწრაფად შეიგნეს უფრო მოწინავე ერებმა და შეიმუშავეს ძირითადი ფორმა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, ...მხოლოდ ჩვენ ვდგავართ ერთ და იმავე ადგილას". ჯერ კიდევ ვერ შეგვიგნიაო, რომ საქართველოსათვის სასწრაფოდ აუცილებელია კონსტიტუცია. იგი, ჯერ ერთი მშვიდობიან კალაპოტში ჩააყენებს ჩვენ შინაურ ცხოვრებას, განამტკიცებს ხალხში უფლებრივ შეგნებას, დაამყარებს წესრიგს.

მეორე, და რაც მთავარია კონსტიტუციას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში.

„არავისთვის არ არის საიდუმლო, – განაგრძობს მიმართვის ავტორი, – რომ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეთანხმების სახელმწიფოებმა გამოუცხადეს ახალი ომი ბოლშევიკებს, როგორც უკიდურეს სოციალისტურ მოძრაობას. ამ სახელმწიფოთა ხელშია ცნობა თუ არ ცნობა ახლად დაბადებული სახელმწიფოებისა. ისინი დიდი სიფრთხილით და ჩაკვირვებით უყურებენ ყოველ ეროვნულ სულისკვეთებას და ნებისყოფას. თუ დაინახავენ, რომ ეს ნებისყოფა მიმართულია არა ანარქიისა და სამოქალაქო ომისაკენ, არამედ მისი მიზანია მხოლოდ უფლებრივი სახელმწიფოს შექმნა და წესიერების დამყარება, ეჭვი არ არის, რომ მათი თანაგრძნობა ცოტად თუ ბევრად მოპოვებული იქნება. კონსტიტუცია არის სწორედ სარკე ამ ეროვნული ნებისყოფისა. ეს სარკე ჩვენ დროზე უნდა წარმოვადგინოთ იმ მსოფლიო სამსჯავროში, სადაც წყდება ჩვენი ბედი. იმისდამიხედვით, თუ რა პრინციპები დაედება საფუძვლად ჩვენს სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, დაგვაფასებენ და შეიძლება შეგვიყვანონ საერთაშორისო ოჯახში, როგორც სრულუფლებიანი წევრი“.[45]

ამ მოთხოვნა-წინადადებამ, როგორც ჩანს იმოქმედა. საკონსტიტუციო კომისია ნოემბერ-დეკემბერში გაცილებით ენერგიულად ამოქმედდა. 1919 წლის ბოლოს კონსტიტუციის პროექტის ძირითადი მონახაზი უკვე არსებობდა. რომელსაც თან ერთვოდა ვრცელი განმარტებითი ბარათი. იქ ნათქვამი იყო: მართვა-გამგეობის აგებისა და ცალკეული ორგანოების ფუნქციონირების წესით დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავდებიან. საქართველოს კონსტიტუციის ჩვენს მიერ შედგენილი პროექტი შვეიცარულ-ფრანგულ მოდელს, პარლამენტური რესპუბლიკისა და უშუალო დემოკრატიის პრინციპს ეყრდნობა. პროექტის მიხედვით, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის მთავრობას, კოლეგიას, რომელიც პასუხისმგებელია პარლმენტის წინაშე. ამ სფეროში ნაკლებ გავლენა განვიცადეთ დემოკრატიული დასავლეთისა, რადგან გაგვაჩნდა საკუთარი პარლამენტური პრეცედენტები. მთავრობის თავმჯდომარეს ირჩევდა ჯერ საქართველოს ეროვნული საბჭო-პარლამენტი, ბოლოს კი იგი აირჩია დამფუძნებელმა კრებამ და მას მიანდო კაბინეტის შედგენა. მთავრობის ჩამოყალიბების ამ წესმა გაამართლა და საკონსტიტუციო კომისიას არ შეეძლო მისი უარყოფა.

განმარტებითი ბარათი ცხადყოფს, რომ დამფუძნებელ კრებაში და საკონსტიტუციო კომისიაში დებატები იმართებოდა სახელმწიფოებრივობის ფორმასა და შინაარსზე. ეროვნულ-დემოკრატები ახლა უკვე მოითხოვდნენ პრეზიდენტის ინსტიტუტის დაკანონებას. მათი აზრით, უპრეზიდენტოდ აღმასრულებელი ხელისუფლება მოკლებული იქნებოდა სიმტკიცეს და ავტორიტეტს, რადგან მთავრობის კრიზისის დროს სახელმწიფოს არ ეყოლებოდა უმაღლესი წარმომადგენელი. სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ გამოთქმული არგუმენტი უსაფუძვლოდ მიიჩნია. მისმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისტორიული მაგალითები ყოველთვის და ყველგან არ მართლდება, ამერიკულ მოდელს ჩვენი პრაქტიკა ეწინააღმდეგებაო. მთავრობის კრიზისი არაა საშიში, რადგან იგი მხოლოდ რამდენიმე დღე გრძელდება, თანაც მთავრობის კრიზისის დროს სახელმწიფო აპარატი, მისი დაწესებულებები მუშაობას განაგრძობენ და ამ კრიზისს დამანგრეველი შედეგები არ მოსდევსო. ჩვენი პრაქტიკა ასახულია პროექტის 74, 75, 76 მუხლებში, რომელთა მიხედვით უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება ეკუთვნის რესპუბლიკის მთავრობას. მის თავმჯდომარეს ირჩევს პარლამენტი, ხოლო თავმჯდომარე ნიშნავს მთავრობის დანარჩენ წევრებს. მთავრობის თავმჯდომარე იმავდროულად არის რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენელი. მთავრობის წევრს უფლება არ აქვს სხვა თანამდებობაზეც იმუშაოს, შეუძლია იყოს მხოლოდ პარლამენტის წევრი და ადგილობრივი თვითმმართველობის ხმოსანი. განცხადება იმისა, რომ მართვა-გამგეობა სწარმოებს კანონების საფუძველზე მოკლებული იქნებოდა რეალურ შინაარსს თუკი ეს უზენაესი პრინციპი უფლებრივი სახელმწიფოსი არ იქნებოდა უზრუნველყოფილი სხვა დაწესებულებათა მიერ, რომლებიც თვალყურს ადევნებენ აღმასრულებელი ორგანოს მოქმედების კანონიერებას. პარლამენტი და უმაღლესი სასამართლო (სენატი), სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის აზრით, უნდა ყოფილიყვნენ დაწესებულებანი, რომელნიც „კანონიერების ფარგლებში მოაქცევდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების და მისი დაწესებულებების საქმიანობას.[46]

დიდი კამათი გაიმართა პარლამენტის სტრუქტურის თაობაზე. როგორც ჩანს, ოპოზიციური პარტიები მოითხოვდნენ კონსტიტუციას დაეკანონებია ორპალატიანი პარლამენტი. იმედოვნებდნენ, რომ ზედა პალატის მეშვეობით რამდენადმე შეზღუდავდნენ სოციალ-დემოკრატიის ყოვლისშემძლეობას. მაგრამ დამფუძნებელი კრების უმრავლესობამ

მიუღებლად მიიჩნია ეს შესწორება. თვით ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრითაც, ორპალატიანი პარლამენტი საქართველოს რესპუბლიკაში ვერ შეიქმნებოდა და რომც შექმნილიყო ვერაფერს შეცვლიდა. აღნიშნეს, რომ ორპალატიან პარლამენტს გამართლება აქვს მხოლოდ ფედერაციულ სახელმწიფოში, სადაც ზედა პალატას ავსებენ შტატებისა და კანტონების წარმომადგენლები. უნიტარული დემოკრატიის განსახიერება საქართველოში თუ ხელოვნურად შეიქმნებოდა ორი პალატა, ორივე არჩევნები ერთი წესით უნდა ჩატარებულიყო და ორივე პალატაში უმრავლესობას ერთი და იგივე პარტია მოიპოვებდა. ასეთ პირობებში ქვედა პალატის მიერ მიღებულ კანონს თითქმის ავტომატურად ზედა პალატაც მიიღებდა. საქართველოს პირობებში ზედა პალატა იქნებოდა „ნამდვილი დუბლიკატი ქვედა პალატისა" და ამდენად თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებდა.

1920 წლის დამდეგს საქართველოს კონსტიტუციის პროექტი განხილვის ობიექტად იქცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეორე ყრილობაზე. რამდენიმე დელეგატმა გამოთქვა შენიშვნები. ყრილობის დადგენილება ითვალისწინებდა პროექტში შემდეგი ფორმულირებებისა და შესწორებების შეტანას: 1) ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ პროფკავშირები თავისუფალნი არიან, ისე როგორც ყველა სხვა კავშირები; 2) კონსტიტუციით განისაზღვროს პარლამენტის დეპუტატთა რიცხვი – 101; 3) დაკანონდეს უპრეზიდენტო სისტემა, რესპუბლიკის წარმომადგენლის ფუნქცია მიენდოს მთავრობის თავმჯდომარეს; 4) მთავრობას უფლება აქვს გამოიყვანოს ბრძოლის ველზე არა მარტო 3000 ჯარისკაცი, არამედ რამდენიც დასჭირდება, მხოლოდ 21 დღით. უფრო ხანგრძლივი ვადით ჯარის გამოყვანისათვის უნდა მოითხოვოს პარლამენტის ნებართვა; 5) ყოველი მინისტრი დამოუკიდებლად, მაგრამ პარლამენტის წინაშე საკუთარი პასუხისმგებლობით უძღვება მინდობილ უწყებას და უნდა გადადგეს, როდესაც დაკარგავს პარლამენტის ნდობას; 6) მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია დაემორჩილოს პარლამენტის დადგენილებებს, სისრულეში მოიყვანოს ისინი. პარლამენტის დადგენილების შესაბამისად შეცვალოს ცალკეული მინისტრები, გარდაქმნას მთლიანად კაბინეტი; 7) ადგილობრივ მმართველობას ეწოდოს ადგილობრივი თვითმმართველობა. მათ უფლებებს პროექტში უკვე ფიქსირებულთან ერთად დაემატოს: განაგებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეებს; 8) საქაროველოს ხელისუფლების

უფლება-კომპეტენციის ჩამონათვალს დაემატოს: რესპუბლიკას აქვს საკუთარი სამეურნეო და სავაჭრო დაწესებულებები, რომელთა გაფართოება და ერთი მთლიანი საზოგადოებრივი მეურნეობის შექმნა მისი მთავარი მიზანია. რესპუბლიკას შეუძლია კანონმდებლობის გზით გაასაზოგადოს ის სავაჭრო-სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც ამისათვის გამოსადეგია. საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა, ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა სახალხო მეურნეობაში შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით და ანაზღაურებით.[47]

ამ დებულებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, უფრო დახვეწილი სახით შევიდა კიდეც კონსტიტუციაში.

1920 წლის მაისში საქართველოს კონსტიტუციის პროექტი სტამბურად დაიბეჭდა და დამფუძნებელი კრების წევრებს დაურიგდა. 6 თვის განმავლობაში პროექტში მრავალი შესწორება და ჩანამატი შევიდა. 24 ნოემბერს დაიწყო კონსტიტუციის განხილვა-დამტკიცების დამამთავრებელი ეტაპი.

დამფუძნებელი კრების წინაშე ვრცელი ანგარიშით გამოვიდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე. თავის გამოსვლის ბოლო ნაწილში მან აღნიშნა: ამერიკულ დემოკრატიაში ხელისუფლების დაყოფა სამად (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო), მართალია, დაკანონებულია, მაგრამ მთელი სისრულით მისი დაცვა შეუძლებელი ხდება. საქართველოს დემოკრატია ისე ყალიბდებოდა, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია აღნიშნული სამი ელემენტის ერთმანეთისაგან სრული დამოუკიდებლობა. პ. საყვარელიძის აზრით, აშშ-ის მოსახლეობის სუვერენული უფლება შეზღუდული იყო, იქ მთელ ძალაუფლებას პარლამეტი ფლობდა, რაც თავისთავად ზღუდავდა ხალხის საკანონმდებლო ინიციატივას, არარად აქცევდა უშუალო დემოკრატიას, პრაქტიკაში არ სტოვებდა რეფერენდუმს. ამდენად ამერიკის შეერთებულ შტატებში ხალხი კანონმდებელია დეპუტატთა მეშვეობით. საფრანგეთში ხალხი, პ. საყვარელიძის განცხადებით, კიდევ უფრო შეზღუდული იყო. იქ კონსტიტუციას ამტკიცებს და გადასინჯავსო არა ხალხი, არამედ ნაციონალური კრება-პარლამენტი.

როგორც ვხედავთ, განაგრძო კომისიის თავმჯდომარემ, ყველა დემოკრატიასა და კონსტიტუციას აქვს გარკვეული ნაკლი. ამიტომ

წმინდა სახით ვერცერთ დემოკრატიულ სისტემას ვერ გამოვიყენებთ. საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია უფრო სრულყოფილი უნდა გავხადოთ. „ჩვენი კონსტიტუციით მთავრობა პასუხისმგებელია პარლამენტის წინაშე როგორც მთლიანად, ისე პიროვნულად. ისინი (მთავრობის წევრები – ა.ბ.) აღჭურვილი არიან პარლამენტის ნდობით როგორც კოლეგიურად, ისე ცალ-ცალკე. მთავრობა გადადგება მაშინ, როცა პარლამენტი გადაჭრით, განსაკუთრებული დადგენილებით გამოუცხადებს მას უნდობლობას".

მუდმივი არაფერია, თქვა ბოლოს პ. საყვარელიძემ, მომავალ თაობას შეიძლება ჩვენი კონსტიტუციის ზოგიერთი მუხლი არ მოეწონოს, სავსებით ბუნებრივია მათი შესწორება, შეცვლა. მაგრამ ის მუხლი, რომელიც აკანონებს საქართველოს დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკას, შეუცვლელი უნდა იყოს. შეიძლება ახალი საზოგადოებრივი წყობა დამყარდეს, ახალი კონსტიტუციაც შემუშავდეს, მაგრამ ეს მუხლი უცვლელად უნდა გადავიდეს ახალ კონსტიტუციაში. ჩვენი კონსტიტუცია უნდა უზრუნველყოფდეს პოლიტიკური დემოკრატიისა და სოციალური დემოკრატიის შერწყმას.[43]

კონსტიტუციის პროექტის ავკარგზე თავის აზრი გამოთქვა რადიკალურ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ვ. წერეთელმა. მისი აზრით, საქართველოს გამოცხადება ნეიტრალურ სახელმწიფოდ არ იყო მიზანშეწონილი, ეს გააძნელებსო ჩვენი სახელმწიფოს ისტორიული საზღვრების აღდგენას. ვ. წერეთელმა ისიც აღნიშნა, რომ პროექტის მიხედვით პარლამენტის წევრები წარმოადგენენ მთელ ერს და არა ერთ-ერთ კუთხესა და პარტიას. ეს არ შეესაბამებაო პირდაპირი კანონმდებლობის წესს. „წარმოვიდგინოთ, რომ დავძლიეთ ყოველი დაბრკოლება და განვახორციელეთ პირდაპირი კანონმდებლობა. მაშინ თითოეულ კანონპროექტს მთელმა საქართველომ უნდა მისცეს ხმა! ამისათვის კი მთავრობასა და ხალხს აუარებელი ქონებრივი და ზნეობრივი ენერგიის დახარჯვა დასჭირდება., ...სახელმწიფომ, რომელშიც გაბატონებული და დამონებული ნაწილები არ არის, კანონმდებლობა მხოლოდ წარმომადგენლობის საშუალებით უნდა განახორციელოს. ვ. წერეთელმა საჭიროდ მიიჩნია დეპუტატის საკანონმდებლო უფლების რეალური გარანტიები. ფაქტი არისო, რომ „პარტიულმა დიქტატურამ საკანონმდებლო წარმომადგენლობის წევრს სრულიად წაართვა კანონმდებლობითი დამოუკიდებლობა. საკანონმდებლო დაწესებულების წევრი შებორკილია პარტიული

მანდატით, რაც საშუალო საუკუნეთა მანდატებს მოგვაგონებს და თუ ეს წესი დარჩა, საკანონმდებლო დაწესებულება პარტიული ფანატიზმის მსხვერპლად გადაიქცევა. დასავლეთმა, განაგრძო წერეთელმა, კარგა ხანია თავი დააღწია სარწმუნოებივ ფანატიზმს, შეწყდა სხვადასხვა სექტების ბრძოლა. საფრანგეთსა და იგლისში, ნაწილობრივ გერმანიაში. სარწმუნოებრივმა და შემდეგ პარტიულმა ფანატიზმმა (იაკობინიზმი, ანარქიზმი, კომუნიზმი) ჩაილურის წყალი დალია, ისტორიას ჩაბარდა. იგივე დაემართება ჩვენშიც პარტიულ ფანატიზმს, რომელიც ყველას მოსძულდა.

3. წერეთელმა მხარი დაუჭირა კონსტიტუციის პროექტის დედააზრს იმის თაობაზე, რომ საქართველო არის უნიტარული სახელმწიფო, ფედერალური მოწყობისათვის საფუძველი არ არსებობს, რადგან მოსახლეობის 80%-ს ქართველები შეადგენენო. მიუხედავად ამისა, მან მიზანშეწონილად მიიჩნია სამუსლიმანო საქართველოს და აფხაზეთის ერთ ნაწილს, სადაც აფხაზები უმრავლესობას შეადგენდნენ, მინიჭებოდა ავტონომიური მართვის უფლება. მანვე ზედმეტად გამოაცხადა ზედა პალატა, მაგრამ მხარი დაუჭირა საპრეზიდენტო მმართველობის დაკანონებას. „სჯობს საქართველოს პრეზიდენტი ხალხის მიერ იქნეს არჩეული. დაე, ხალხს ის ჰყავდეს წარმომადგენლად, ვისაც ენდობა. პრეზიდენტმა უნდა განაგოს რესპუბლიკა მინისტრების საშუალებით, მინისტრები კი პასუხისმგებელი უნდა იყვნენ პარლამენტის წინაშე".[49]

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ფრიად სასიამოვნო ფაქტად მიიჩია დამფუძნებელ კრებაში კონსტიტუციის პროექტის შემოსვლა, მასთან დაკავშირებით გამართული დებატები. „ერის უწმინდეს დარბაზში – წერდა „საქართველოს " რედაქცია – უმნიშვნელოვანესი საკითხი დგას. აქ იხილავენ პროექტს „მკვდრეთით აღდგენილ" ერის მომავალ სახელმწიფოებრივ წყობილებისას... ნეტარნი ვართ! სჩანს უხილავ სიღრმისკენ დაშვებული რევოლუცია შესდგა. ერის ძლიერებამ შეაჩერა პირქვე დაქანებული სოციალისტები. აწ თვით შენგელაიამ და მისმა რევოლუციურმა ფრაქციამაც უნდა გაიგოს, რომ ჩვენი ერი შექმნის კანონიერსა და უფლებრივ სახელმწიფოს, რომელსაც დასასრული არ ექნება". ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მაღალი შეფასება მისცა მთლიანად კონსტიტუციის პროექტს: „ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი საფუძვლებიდან გამომდინარეობს, რომ სუვერენობა თვით ხალხს ეკუთვნის. ის ირჩევს პარლამენტს, მაგრამ მას მუდამ თავს

დასტრიალებს. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კონსტიტუციით შექმნის ქართველი ერი მომავალ კულტურას და ისტორიას, რომ ამავე კონსტიტუციით ჩვენი მთავრობა და პარლამენტი შესძლებენ სახელმწიფოს გამაგრებას და ჩვენც თამამად წარვდგებით მომავალი თაობის წინაშე".[50]

ასეთ აღმაფრენას ხელი არ შეუშლია ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციისა და „საქართველოს" რედაქციისათვის კრიტიკული შენიშვნებიც გამოეთქვათ კონსტიტუციის პროექტის ზოგი დებულების მიმართ. გ. გვაზავამ საჭიროდ მიიჩნია მართვა-გამგეობის სამი ელემენტის უფრო მკვეთრად გამიჯვნა. პრეზიდენტის ინსტიტუტის შემოღება „გარანტიაა თავისუფლებისა – განაცხადა მან დამფუძნებელი კრების ტრიბუნიდან – თავდაპირველად არის თვით ერი და მისი უფლებრივი შეგნება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თვით კონსტიტუციაში არ იყოს შესაფერისი უფლებრივი გარანტია. ასეთი არის – კონტროლი ერთი მეორისა სხვადასხვა ხელისუფლების მიერ და შემდეგ სასამართლო. კანონმდებელი ხელისუფლება კონტროლს უწევს მთავრობას., ...მას შეუძლია სულაც გადააყენოს მთავრობა უნდობლობის გამოცხადებით. მეორე მხრივ, რომ კანონმდებელი ხელისუფლების მუშაობა არ მოხდეს აჩქარებულად და ზერელედ, კარგი იქნება თუ რესპუბლიკის პრეზიდენტს მიეცემა უფლება „ვეტოსი"., ...ასეთი წესი ჩვენთვის მით უფრო საჭიროა, რომ გვაქვს ერთპალატიანი პარლამენტი". ერთ-ერთი ძირითადი გარანტია თავისუფლებისა და კანონთა აღსრულებისა გ. გვაზავას აზრით, უნდა ყოფილიყო უმაღლესი სასამართლო, მას უნდა გაეწია კონტროლი როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის. დამოუკიდებელი სასამართლოს მისიას შეადგენდა „კონსტიტუციის და ყველა კანონის დაცვა ყველას ხელყოფისაგან".[51]

კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს გ. გვაზავას შეკამათება მოუხდა თვით მთავრობის თავმჯდომარესთანაც კი. ერთ-ერთ სხდომაზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „კონსტიტუციის პროექტში უნდა იხედებოდეს ფაქტიურ ძალთა განწყობილება". ლასალის ეს სიტყვები, შენიშნა გ. გვაზავამ, თავის დროზე სწორი იყო, რადგან იმ ეპოქაში არსებობდა საარჩევნო ცენზი, ახლა კი საყოველთაო საარჩევნო უფლება მოქმედებს. თუ ასეთია ობიექტური პირობები, რა აზრი უნდა იმალებოდეს „ძალთა განწყობილებაში, რომელიც აღბეჭდილი უნდა იქნეს კონსტიტუციაში"? ნუთუ ძლიერ კლასს მეტი უფლება უნდა მიეცეს. ამ გზით თუ

წავალთ, დაირღვევა დემოკრატიული პრინციპი თანასწორობისა. ასე მოიქცნენ ბოლშევიკები რუსეთში და ჩვენ იმათ არ უნდა მიებაძოთო.

დამფუძნებელ კრებაში გ. გვაზავას მთავრობის თავმჯდომარესთან პრეზიდენტის ინსტიტუტის საკითხთან დაკავშირებითაც მოუხდა კამათი. როგორც ითქვა, სოციალ-დემოკრატია და მისი ლიდერიც მხარს უჭერდნენ შერეულ დემოკრატის, ფრანგულ-შვეიცარულ სისტემას, მაგრამ მიზანშეწონილად თვლიდა პრემიერის უფლებამოსილების გაფართოებას. ეროვნულ-დემოკრატებს კი გეზი ჰქონდათ აღებული საპრეზიდენტო მმართველობისაკენ. გ. გვაზავამ აღნიშნა – „უკეთესია ჭკუას ძალას არ ვატანდეთ და მშვიდობიანად ავირჩიოთ ერთი რომელიმე სისტემა აღმასრულებელი ხელისუფლების მოწყობისა. მივიღოთ ვთქვათ შვეიცარული სისტემა. მაშინ თავმჯდომარეს და ყველა მინისტრებს აირჩევს პარლამენტი და ყველა რჩება თავის ადგილას განსაზღვრული ვადის გასვლამდე. ან მივიღოთ პრინციპი მინისტრების პასუხისმგებლობისა და მაშინ პარლამენტის მიერ არჩევას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. მაშინ ლოგიკურად აუცილებელია პრეზიდენტი რესპუბლიკისა, რომელიც იწვევს პირველ მინისტრს და მას ანდობს კაბინეტის შედგენას“. ნ. ჟორდანია კი ცდილობს გამონახოს რაღაც საშუალო, შექმნას ისეთი სისტემა, რომელიც ჯერ არსად ყოფილა. ამით ევროპას ვერ გავაკვირვებთ, საქართველოს კი ზიანს მივაყენებთო. საპრეზიდენტო მმართველობის მექანიზმი ისეთია, რომ პრეზიდენტი დიქტატორად ვერ გადაიქცევა. საქართველოს პირობებში, გ. გვაზავას აზრით, აუცილებელი იყო პრეზიდენტი და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა.[52]

საკონსტიტუციო მუშაობა აფხაზეთშიც მიმდინარეობდა. 1920 წლის 16 ოქტომბერს აფხაზეთის სახალხო საბჭომ განიხილა აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტი. პირველ მუხლში მოხაზულია აფხაზეთის საზღვრები და აღნიშნულია, რომ იგი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ერთეულის სახით. მე-5 და მე-6 მუხლებით გამიჯნულია საქართველოს ცენტრალური ხელისუფლებისა და აფხაზეთის ავტონომიის მართვა-გამგეობის ორგანოთა უფლება-კომპეტენცია. მოგვიანებით კონსტიტუციის ჩასწორებული პროექტი გადმოეგზავნა დამფუძნებელ კრებას განხილვა-დამტკიცებისათვის.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის განხილვა 1920 წლის ბოლოს დასასრულს მიუახლოვდა,

თითქოს აღარაფერი აფერხებდა მის დამტკიცებას, მაგრამ დამაგვირგვინებელი აქტი არ ჩანდა. „საქართველოს“ რედაქციამ ერთ-ერთ წერილში ის აზრი გაატარა, რომ დამფუძნებელი კრებისა და საკონსტიტუციო კომისიის სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა განგებ აჭიანურებდა კონსტიტუციის მიღება-დამტკიცებას. ამ უმრავლესობის განზრახვა, რედაქციის განცხადებით, იყო რაც შეიძლება დიდხანს დარჩენა მდგომარეობის ბატონ-პატრონად, სახელმწიფოს თითქმის უკონტროლო მმართველად. „ამას კი ბოლოს მოუღებდა კონსტიტუცია, რომელიც მისი ხელ-ფეხის შემბორკველი გახდებოდა“. რედაქცია მკითხველს მიანიშნებდა, რომ ამ დიდი საქმის გაჭიანურება აღარ შეიძლებოდა. „ასე თუ ისე, პროექტი მზადაა. იგი აღიარებს დემოკრატიულ რესპუბლიკას საქართველოს სახელმწიფოებრიობის მუდმივ ფორმად და წერტილი სწროედ აქ უნდა დაისვას. რამდენადაც ჩვენი შემდგომი სახელმწიფოებრივი ცხოვრება და ხელისუფლების პრაქტიკა სწორედ ამ დემოკრატიული ფორმის განმტკიცებას მოიტანს და მას ააცდენს პროლეტარულ-ბოლშევიკური რეჟიმისაკენ გაქანებას, იმდენად უზრუნველყოფილია საქართველოს სოციალ-პოლიტიკური პროგრესი და იმდენადვე შებოჭილია ქვეყნის უზენაესი კანონით სოციალ-დემოკრატიული უმრავლესობა თავის ბოლშევიკურ აფეთქებაში. ამ მხრივ კონსტიტუციის პროექტის მიღებას და მის საჩქაროდ დამტკიცებას დიდი მნიშვნელობა აქვს“.[53]

პროექტისა და დამტკიცებული კონსტიტუციის შედარება ცხადყოფს, რომ განხილვის პროცესში ბევრი მუხლი საგრძნობლად შეიცვალა. ზოგიც საერთოდ მოიხსნა. 1920 წლის მაისის ბოლოს კონსტიტუციის პროექტში 166 მუხლი იყო. დამტკიცებული კონსტიტუცია კი 149 მუხლს შეიცავს.

საბჭოთა რუსეთის აშკარა აგრესიის დაწყების შემდეგ საკანონმდებლო მუშაობა კიდევ უფრო დაჩქარდა. დამფუძნებელმა კრებამ 1921 წლის 21 თებერვალს კონსტიტუციის პროექტი დაამტკიცა, საქართველოს რესპუბლიკის ძირითად კანონად აქცია.

კონსტიტუციით საქართველო დაფუძნდა როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი, განუყოფელი სახელმწიფო, მარადიული რესპუბლიკა. მე-8 მუხლი ღაღადებდა: „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებული იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედააზრის წინააღმდეგია. კონსტიტუციის შესრულება, მისი

პრინციპების განხორციელება კანონმდებლობასა და მართვა-გამგეობაში სახელმწიფოს ყოველი ხელისუფლების მოვალეობას შეადგენს".

1921 წლის კონსტიტუციაში დაფიქსირებულია დებულებები მოქალაქეობისა და მოქალაქეთა უფლებების, წოდებრივ განსხვავებათა მოსპობის, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის შესახებ. გამოცხადებულია, რომ მოქალაქეს აქვს სინდისის და რწმენის თავისუფლება, სიტყვის, შეკრების, კავშირების შექმნის, გაფიცვის თავისუფლება. კანონის დარღვევის და დანაშაულებრივი ქმედების შემთხვევაში მოქალაქე პასუხს აგებს მხოლოდ სასამართლოს წინაშე. მაგრამ „ამბოხებისა და ომის დროს, პარლამენტს უფლება აქვს დროებით შეაჩეროს მთელ რესპუბლიკაში, ან რომელსამე ნაწილში იმ უფლებათა გარანტია, რომელიც აღნიშნულია 19, 22, 25, 26, 27, 28, 29, 30, 32, 33 მუხლებში და შემოიღოს საგანგებო წესები".

კონსტიტუციის მეოთხე თავში განსაზღვრულია რესპუბლიკის პარლამენტის უფლება-კომპეტენცია, მისი საქმიანობის, კანონების მიღება-გამოქვეყნების წესები. მეხუთე თავში ლაპარაკია აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, მთავრობის შედგენის წესსა და მის უფლება-მოვალეობაზე. კონსტიტუციის მეექვსე თავი ეძღვნება სასამართლოს, მეშვიდე — სახელმწიფო ფინანსებს, მერვე — სახელმწიფო კონტროლის ორგანოებს, მეცხრე — სახელმწიფოს თავდაცვას.

კონსტიტუციის მეათე თავში დაფიქსირებულია ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-კომპეტენცია, მისი მოვალეობა ცენტრალური ხელისუფლებისა და ხალხის წინაშე. სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო ადგილობრივი თვითმმართველობის დადგენილება-განკარგულებათა შეჩერება, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდა კანონს. მეთერთმეტე თავი კონკრეტულად ეხება აფხაზეთსა და სამუსლიმანო საქართველოს. კონსტიტუცია ითვალისწინებდა აფხაზეთის, ბათუმის ოლქისა და ზაქათალის ოკრუგისათვის ავტონომიის მინიჭებას. რესპუბლიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს უფლება ეძლეოდა შეედგინათ ეროვნული კავშირები თავიანთი კულტურული-საგანმანათლებლო საქმეთა უკეთ მოსაწყობად.

კონსიტუციის მეცამეტე თავში განსაზღვრულია რესპუბლიკის მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებები და სახელმწიფოს სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის მიზანმიმართულება. სახელმწიფოს მოვალეობად გამოცხადდა ზრუნვა მოქალაქეთა ღირსეული

არსებობისათვის. ძირითადი კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ავალებდა შრომის ბირჟის, საშუამავლო კანტორებისა და სხვა დაწესებულებათა დაარსებას, უმუშევართათვის დახმარების გაწევას. კონსტიტუცია აკანონებდა 8-საათიან სამუშაო დღეს, კვირაში ერთხელ 42 -საათიან დასვენებას, კრძალავდა 16 წლამდე მოზარდთა ფაბრიკა-ქარხნებში შრომას. ერთი სიტყვით, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა ცხოვრებისა და შრომის ნორმალური პირობების შექმნისათვის, რისთვისაც იქმნებოდა შრომის ინსპექცია და სანიტარული ზედამხედველობა.

კონსტიტუციის სათანადო მუხლით საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა საზღაურის გაცემით დაიშვებოდა გამონაკლის შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვდა საერთო, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესები. რესპუბლიკის ხელისუფლებას უფლება ეძლეოდა კანონმდებლობის გზით სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტების საკუთრებად გამოეცხადებინა სავაჭრო, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები, რომლებიც საზოგადოებრივი სექტორის საფუძვლად გამოდგებოდა. სახელმწიფო თავის მოვალეობად აცხადებდა წვრილი მწარმოებლის -- სოფლის მეურნის, ხელოსნის, შინამრეწველის დაცვას კერძო პირთა ექსპლოატაციისაგან. მიწის მოვლა, მიწათმოქმედების მაღალ დონზე დაყენება ცხადდებოდა მიწის მესაკუთრის მოვალეობად მთელი საზოგადოების წინაშე.

საერთოდ 1921 წლის კონსტიტუციის ანალიზს იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ საქართველოს დამფუძნებელი კრება, მისი თითქმის ყველა ფრაქცია მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუცია იდგა იმდროინდელი დემოკრატიული მსოფლიოს სამართლებრივი მეცნიერების დონეზე. მისი ზოგიერთი მუხლი მოძველდა, ზოგიც შესწორება-დაზუსტებას საჭიროებს, მაგრამ 1921 წლის კონსტიტუცია მაინც გამოდგა საქართვეოლს მესამე რესპუბლიკის საკონსტიტუციო კომისიის მნიშვნელოვან წყაროდ, 1995 წლის კონსტიტუციის სამართლებრივ საფუძვლად.

თავი V

თვითმმართველობის ორგანოთა ადგილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში

1. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გამარჯვება და ადგილობრივ თვითმმართველობათა რეორგანიზაციის დაწყება

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ დასაბამი მისცა სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის სისტემის დემოკრატიულ საწყისებზე გარდაქმნას, რაც საქალაქო და საერობო თვითმმართველობებზეც გავრცელდა.

1917 წლის 25 აპრილს რუსეთის დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) გაუქმდეს 1892 წლის საქალაქო დებულების 22-58 მუხლები; 2) ახალი საქალაქო დებულების შედგენა-დამტკიცებამდე ძალაში შევიდეს საქალაქო სათათბიროს ხმოსანთა არჩევნების დროებითი წესები.

ეს დროებითი წესები 37 მუხლისაგან შედგებოდა. იგი აუქმებდა ქონებრივ ცენზს, ზოგიერთ სხვა შეზღუდვას. ახალი კანონი არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევდა ყოველ მოქალაქეს, რომელსაც შეუსრულდა 20 წელი, ცხოვრობდა ქალაქში და ჰქონდა მეურნეობა ან სამსახური. მუნიციპალურ არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მოკლებული იყვნენ მთავრობის მოხელეები, მილიციის მოსამსახურეები, ბერები, სასამართლოსგან მსჯავრდებული პირები. ყველა სხვა მოქალაქეებს, მათ გაერთიანებებს უფლება ჰქონდათ არჩევნების დაწყებამდე არაუგვიანეს ათი დღისა ქალაქის თავისათვის წარედგინათ ხმოსნობის კანდიდატთა სიები.[1]

არჩევნების დროებითი წესები საქართველოსაც შეეხო, დიდი ცვლილებები გამოიწვია საქალაქო თვითმმართველობათა სოციალურ ბაზასა და პოლიტიკურ სტრუქტურაში, მათს პრაქტიკულ საქმიანობაში. საქართველოს ყველა თვითმმართველ ქალაქთა ზედაფენა, მართალია, ცდილობდა წამყვანი პოზიცია შეენარჩუნებინა, კვლავ კონტროლქვეშ ყოლოდა საარჩევნო კომისიები და ამით უზრუნველყო გამარჯვება,

მაგრამ დემოკრატიამ თითქმის ყველგან უნდობლობა გამოუცხადა მსხვილ ბურჟუაზიას, ქალაქის ხანმოთეულ მამებს და შესძლო საქალაქო სათათბიროებში თავის წარმომადგენლობის საგრძნობლად გაზრდა.

1917-1918 წლებში საქართველოს რამოდენიმე დაბამ და სოფელმაც კი ქალაქის სტატუსი მიიღო და თვითმმართველობის ორგანოებიც შექმნა. თვითმმართველ ქალაქებს შეემატნენ მცხეთა, კასპი, ხაშური, ჭიათურა, საჩხერე, შორაპანი, ონი, სამტრედია, ხონი, ზუგდიდი, ოჩამჩირე, გუდაუთი. სხვადასხვა დროს ყველგან ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, შეიქმნა საქალაქო მმართველობის განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოები.

რუსეთის დროებითმა მთავრობამ, მართალია, შეადგინა ახალი საქალაქო დებულება, მაგრამ მის ამოქმედებამდე, მთელ სახელმწიფოში გავრცელებამდე, მოხდა ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება. დიდი რუსეთი ფაქტობრივად დაიშალა. რომანოვთა იმპერიის ნანგრევებზე რამდენიმე ეროვნული სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ყველა თავისებურად ცდილობდა მართვა-გამგეობის სისტემის რეორგანიზაციას. ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლება-კომპეტენციის გამიჯვნას.

ამიერკავკასიის მომენტალურმა რესპუბლიკამაც გააგრძელა სარეფორმო საქმიანობა. მაგრამ ვერც მან შექმნა ადგილობრივ თვითმმართველობებისათვის საკანონმდებლო ბაზა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია მართვა-გამგეობის სისტემის სრულყოფას. კერძოდ, საქალაქო თვითმმართველობის ორგანოთა ახალ საფუძველზე რეორგანიზაციასა და სასოფლო რაიონებში საერობო რეფორმის გატარებას.

საქართველოს რამდენიმე ქალაქს (თბილისი, ქუთაისი, ფოთი, ბათუმი, ახალციხე, გორი) თვითმართვის საკმაო გამოცდილება ჰქონდა და ისინი მეტ-ნაკლები წარმატებით ახალ პირობებშიც აგრძელებდნენ პრაქტიკულ საქმიანობას. ამასვე ვერ ვიტყვით ახალ ქალაქებსა და სასოფლო რაიონებზე. შედარებით უფრო გაძნელდა საერობო თვითმმართველობათა ორგანოების შექმნა და მათი პრაქტიკული საქმიანობა.

ქართველი ლიბერალური და დემოკრატიული საზოგადოება, 50 წელი იბრძოდა ერობისათვის, მაგრამ რუსეთის მთავრობამ საქართველოს სასოფლო რაიონებს (მაზრებს) საერობო თვითმმართველობის

ორგანოთა შექმნის უფლება არ მისცა. ცარიზმის დამხობის შემდეგ ერობისათვის ბრძოლა ახალ ფაზაში შევიდა. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ, რომლის მუშაობაში მონაწილეობდა თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, 1917 წლის 26 ნოემბერს მიღო ასეთი დადგენილება: 1) დაუყოვნებლივ იქნას შემოღებული საქართველოში სამსაფეხურიანი ერობა; 2) ერობა ჩამოყალიბდეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო უფლების საფუძველზე; 3) ერობას მიენიჭოს არა მარტო სამეურნეო ფუნქციები, არამედ იგი გადაიქცეს სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის ადგილობრივ ორგანოდ; 4) ერობის დაუყოვნებლივ შემოღება დაევალოს საქართველოს ეროვნულ საბჭოს.[2]

საქართველოს ეროვნული საბჭო ფორმალურად მაინც, ამიერკავკასიის ხელისუფლებას ექვემდებარებოდა და ამიტომ ერობის შემოღების საკითხი ამიერკავკასიის კომისარიატის წინაშე დასვა. ამ უკანასკნელმა კიდეც დაიწყო სათანადო საქმიანობა. კომისარიატის მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ 1917 წლის დეკემბერში შეადგინა „დროებითი დებულება ამიერკავკასიის საერობო დაწესებულებათა შესახებ", რომელიც 187 მუხლისაგან შედგებოდა.

ამ დებულების მიხედვით ყალიბდებოდა ერობა; გუბერნიის, მაზრისა და თემის საერობო დაწესებულებათა უწყებაში შედიოდა ადგილობრივი მმართველობისა და მეურნეობის საქმეები. ერობის ფუნქციაში, კერძოდ, შედიოდა: გაღასახდების გაწერა-აკრეფა, უძრავ-მოძრავი ქონების გამგებლობა, მიმოსვლის საშუალებათა გაუმჯობესება, მოსახლეობის სამედიცინო და სანიტარული მომსახურება, სახალხო განათლებასა და კულტურის განვითარებაზე ზრუნვა, სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის ხელის შეწყობა, სტატისტიკური გამოკვლევების ჩატარება, მილიციის ხელმძღვანელობა, პირადი და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა.[3]

დროებითი დებულების მიხედვით ერობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ეძლეოდა ყველა 20 წელს მიღწეულ მოქალაქეს. ამომრჩეველთა სიების შედგენა, არჩევნების ხელმძღვანელობა ევალებოდა მაზრისა და თემის საარჩევნო კომისიებს. საზოგადოებრივი ჯგუფები ასახელებდნენ საერობო კრებათა ხმოსნობის კანდიდატებს, საგუბერნიო ერობის ხმოსნები კი უნდა არჩეულიყო სამაზრო საერობო კრების ხმოსანთა წრიდან გარკვეული პროპორციით.

საერობო კრებებს ეძლეოდა განმკარგულებელი ხელისუფლება. ისინი განსაზღვრავდნენ თანამდებობის პირთა ჯამაგირებს, ადგენდნენ აღმასრულებელი ხელისუფლების (გამგეობის) მოქმედების წესს სათანადო ინსტრუქციების სახით. კრებების ფუნქციებში შედიოდა საერობო ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება, ყველა აღძრულ საკითხებზე გადაწყვეტილება-დადგენილებათა მიღება, მთავრობის წინაშე სხვადასხვა სახის შუამდგომლობის აღძვრა. საერობო კრებათა დადგენილებანი დასამტკიცებლად ეგზავნებოდა სამაზრო და საგუბერნიო კომისრებს, ზოგჯერ შინაგან საქმეთა მინისტრს.

დროებითი დებულების თანახმად აღმასრულებელი ხელისუფლება ეძლეოდა გუბერნიის, მაზრისა და თემის ერობათა გამგეობებს, რომლებიც შედგებოდნენ თავმჯდომარისა და არანაკლებ ორი წევრისაგან. გამგეობებს ევალებოდა საერობო მმართველობის და მეურნეობის უშუალო ხელმძღვანელობა. ისინი ადგენდნენ შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტის პროექტებს, უშუალოდ ან მოწვეული მოხელეების მეშვეობით განაგებდნენ წარმოების, სწავლა-განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის და სხვ. საქმეებს. საერობო გამგეობების მუშაობას კონტროლს უწევდნენ საგუბერნიო და სამაზრო კომისრები, რომელნიც კანონის დარღვევის შემთხვევაში ჯერ შენიშვნას იძლეოდნენ, ხოლო თუ გამგეობანი ზომებს არ მიიღებდნენ კანონიერების აღსადგენად, კომისარი საქმეს გადასცემდა საოლქო სასამართლოს ადმინისრაციულ განყოფილებას, რომლის გასაჩივრება ერობას შეეძლო შინაგან საქმეთა სამინისტროში.[4]

დროებით დებულებას, რომელიც დამტკიცდა 1918 წლის 25 იანვარს, ხელს აწერდნენ ამიერკავკასიის კომისარიატის (მთავრობის) თავმჯდომარე ვ. გეგეჭკორი და შინაგან საქმეთა კომისარი აკ. ჩხენკელი. ამ დებულების დანართის მიხედვით საქართველოში უნდა ჩამოყალიბებულიყო თბილისისა და ქუთაისის საგუბერნიო ერობები, ბათუმისა და სოხუმის საოლქო (საგუბერნიო ერობის უფლების) და 23 სამაზრო ერობა. წვრილი ერთეულების — სათემო ერობების შექმნა ევალებოდათ სამაზრო ერობებს.[5]

დროებითი დებულების ანალიზი საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ იგი განიცდიდა რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ მიღებულ-დამტკიცებული საერობო დებულების გავლენას. ბევრი მუხლი მექანიკურად იყო გამდმოტანილი და არ შეესაბამებოდა ამიერკავკასიის ადმინისტრაციული ერთეულების საჭიროებას, ხალხის მოთხოვნილებას.

დროებითი დებულება, მართალია, საგრძნობლად აფართოებდა საერობო თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციას, ათავისუფლებდა მას ცენტრალური ხელისუფლების, საგუბერნიო კომისრების გადამეტებული კონტროლისაგან, მაგრამ ერობა ჯერ კიდევ ვერ აჰყავდა სახელმწიფოს ადგილობრივი ხელისუფლების დონემდე, კვლავ ტოვებდა პარალელიზმს ადგილობრივი საქმეების მართვა-გამგეობაში.

დროებითი დებულების დამტკიცების შემდეგ მალე შემუშავდა მისი გატარების წესები და ე.წ. „ნაკაზი" ხმოსანთა არჩევნების ჩატარების თაობაზე. საერობო რეფორმის გატარებისათვის მომზადდა ინსტრუქტორთა კადრები, მაგრამ ეროვნული წინააღმდეგობებითა და გარეშე გართულებებით დაკავებული ამიერკავკასიის კომისარიატი სათანადო ყურადღებას ვერ აქცევდა ერობის ორგანიზების საქმეს. მდგომარეობა არსებითად არც სეიმის მოწვევის შემდეგ შეცვლილა. ამიერკავკასიის ამ პარლამენტმა, მართალია, შექმნა ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის კომისია, მაგრამ მას ბევრი არაფერი გაუკეთებია. ამ ამოცანას ვერც საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილმა კომისიამ გაართვა თავი.[8]

ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ვერ გაუძლო ისტორიის მკაცრ გამოცდას, 1918 წლის მაისში დაიშალა. საერობო თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბებისათვის შედარებით ხელსაყრელი პირობები საქართველოს რესპუბლიკაში შეიქმნა. მას შემდეგ, რაც სოციალ-დემოკრატებმა ძალაუფლება ჩამოართვეს რევოლუციის პროცესში შექმნილ მუშათა და გლეხთა საბჭოებს, ბუნებრივია, კოალიციური მთავრობის წინაშე დაისვა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანიზების საკითხი. საქართველოს პარლამენტს მიაჩნდა, რომ წინა მთავრობისაგან მემკვიდრეობით დატოვებულ სამაზრო კომისრებსა და მილიციას არ შეეძლოთ ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საქმეების გაძღოლა. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს მაზრებში საერობო თვითმმართველობის ორგანოების დაარსება.

საქართველოს მთავრობა ერობის ორგანიზაციის საქმეში თავდაპირველად ეყრდნობოდა ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ დამტკიცებულ დროებით დებულებას. მაგრამ პოლიტიკოსები მაინც ფრთხილობდნენ, ვერ გარკვეულიყვნენ თუ რა პრინციპზე აეგოთ ადგილობრივ თვითმმართველობათა სისტემა. მთავრობის წევრთა საგრძნობი ნაწილი უნდობლობას უცხადებდა პროვინციების

დემოკრატიას, სახიფათოდ მიაჩნდა თვითმმართველობების ფართო უფლება-კომპეტენციით აღჭურვა. ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ შეიმუშავა მომავალ საერობო დაწესებულებებზე მთავრობის საკმაოდ მკაცრი კონტროლის დამყარების წესები, რომლის მიხედვით თვითმმართველობათა ბიუჯეტის განხილვა-დამტკიცება უნდა მომხდარიყო შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული ადგილობრივ მეურნეობათა საქმის განსაკუთრებულ განყოფილებაში. ამან ზომიერ საერობო მოღვაწეთა უკმაყოფილებაც კი გამოიწვია. ერთ-ერთი მათგანი წერდა, რომ ერობაზე ასეთი არასაჭირო მეურვეობის დამყარება მეფის მთავრობასაც კი არ უცდიაო.

ბევრ პოლიტიკოსსა და მთავრობის მოხელეს არ აკმაყოფილებდა ერობის დროებითი დებულება. ხშირად ლაპარაკობდნენ მისი შევსება-გადაკეთების საჭიროების შესახებ. საკმაოდ მწვავე კამათი იმართებოდა ერობის საფეხურების, საერობო თვითმართველობათა ტერიტორიული გამიჯვნის თაობაზე. ბევრი ზედმეტად თვლიდა საგუბერნიო ერობას, მერყეობა შეიმჩნეოდა სათემო ერობის დაარსების საკითხშიც. საერობო თვითმმართველობის თაყვანისმცემლებს აშინებდათ ასეთი გამოსვლები, ისინი მართებულად ვარაუდობდნენ, რომ თუ ერობის საკანონმდებლო საფუძვლის შეცვლა აუცილებელ საჭიროებად იქნებოდა მიჩნეული, საგრძნობლად დაგვიანდებოდა ერობის ორგანიზების საქმე. ძველი ერობელები ყველას არწმუნებდნენ არსებული დებულების შესაბამისად დაეწყოთ საერობო დაწესებულებათა ჩამოყალიბება, შემდეგ კი თვით ცხოვრება გვიჩვენებს თუ რა ცვლილებები უნდა შევიტანოთო საერობო თვითმმართველობის სტრუქტურაში.

მიუხედავად ამისა სოციალ-დემოკრატიული პარტია მოითხოვდა ერობის განმკარგულებელ ორგანოთა არჩევნების გარკვეული ვადით გადადებას. მაგრამ ამ სიტუაციაში შედარებით აქტიურად ამოქმედდნენ ეროენული დემოკრატები. მათ პარლამენტსა და მთავრობას შეაცვლევინეს აზრი, უამრავლესობა დაარწმუნეს, რომ მხოლოდ საერობო თვითმმართველობის ორგანოებს შეეძლოთ სასოფლო რაიონებში ანარქიის აღმოფხვრა და სტაბილური მდგომარეობის შექმნა.[9]

ამასობაში ხელისუფლებამ მიიღო დადგენილება გუბერნიების გაუქმების თაობაზე და თავისთავად მოიხსნა საგუბერნიო ერობათა შექმნის საკითხი. არჩევნების ჩატარების წესების საფუძველზე სამაზრო საერობო დაწესებულებათა ორგანიზაცია დაევალა მაზრებში არსებულ აღმასრულებელ კომიტეტებს და სპეციალურად საერობო რეფორმის

გატარებისათვის შექმნილ კომიტეტს. მალე დაიწყო ჩაფიქრებული რეფორმის რეალიზაცია. მთავრობისაგან დანიშნული კომისრები, საარჩევნო კომისიები ადგენდნენ მოსახლეობის რაოდენობას და ამომრჩეველთა სიებს, ყოფდნენ მაზრებს საარჩევნო უბნებად, განსაზღვრავდნენ ყოველ მათგანში ასარჩევი ხმოსნების რიცხვს.

ახლად არჩეულ სამაზრო ერობის კრების პირველი სხდომა უნდა გაეხსნა ქალაქის თავს, ხოლო რომელ მაზრაშიც საქალაქო თვითმმართველობა არ არსებობდა — სამაზრო კომისარს. ხმოსნები, წესის თანახმად, ფიცს დებდნენ და განსაზღვრავდნენ აღმასრულებელი ორგანოს — გამგეობის შემადგენლობასა და თანამდებობის პირთა ჯამაგირებს, შემდეგ კი ირჩევდნენ გამგეობის თავმჯდომარეს და წევრებს.

სამაზრო საერობო კრებების არჩევისა და გამგეობების ჩამოყალიბების შემდეგ, საერობო რეფორმის გამტარებელი კომიტეტები ყველა მასალებს გადასცემდნენ სამაზრო ერობის გამგეობებს, თვით კი წყვეტდნენ არსებობას. მეორე და შემდეგ არჩევნებს, წესების თანახმად, ჩაატარებდნენ უკვე სამაზრო საერობო გამგეობები.[10]

1918 წლის აგვისტოსათვის დაინიშნა საერობო კრებების ხმოსანთა არჩევნები. ერთი თვით ადრე დაიწყო საარჩევნო კამპანია. მაგრამ ხალხი და პოლიტიკური პარტიები მაინცდამაინც დიდ აქტიურობას არ იჩენდნენ. სოციალ-დემოკრატიის ორგანო გაზ. „ბრძოლა“ წერდა, რომ კლასობრივი წინააღმდეგობები და ბრძოლა ერობის არჩევნებისადმი ხალხის ყურადღებას ანელებსო. თვით რედაქცია კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერობათა დაფუძნებას და მოუწოდებდა დემოკრატიულ პარტიებს აგიტაცია-პროპაგანდა გაეწიათ ერობის სასარგებლოდ და ხმოსნობის კანდიდატებად საქმიანი ხალხი დაესახელებინათ. ჩვენი პარტია ბლოკში შევა ყველა იმ ორგანიზაციებთან, რომელნიც დგანან „საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და დემოკრატიული რევოლუციის მიერ წამოყენებული სოციალური რეფორმების განხორციელების პლატფორმაზე“.[11]

ერობის არჩევნებისადმი განსაკუთრებით დიდ ინტერესს ლიბერალური ინტელიგენცია იჩენდა. ერობის ცნობილი სპეციალისტი გ. თუმანიშვილი სინანულით აღნიშნავდა, რომ რუსეთში დროებითი მთავრობის მიერ ჩატარებული ერობათა ახალი არჩევნების დროს გამოვლინდა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამ სფეროდან ძველი ერობელების გამოდევნის ტენდენცია. მათ შორის კი ბევრს დიდი გამოცდილება და ცოდნა გააჩნდა. ასეთი რამ საქართველოში არ

უნდა მოხდეს, რადგან ჩვენს სამშობლოში კულტურულ მოღვაწეთა ნაკლებობა განსაკუთრებით საგრძნობია და მათი დაფასება-გამოყენება აუცილებელიაო.[12]

სოციალ-დემოკრატიას ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, ჭკუის დარიგება არ სჭირდებოდა. პარლამენტისა და მთავრობის ამ წამყვან პარტიას მიზანშეწონილად მიაჩნდა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში დაეშვათ ლიბერალები და ოპოზიციური პარტიები, გამოეყენებინათ ისინი ერობის მშენებლობის საქმეში. მაგრამ ქართველი ლიბერალები და დემოკრატები სინანულით აღნიშნავდნენ, რომ პრესა, საზოგადოება და მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი არ იჩენდნენ სათანადო დაინტერესებას ერობის ორგანიზების საკითხებით. პრესაში თითქმის არ იბეჭდებოდა მომავალი საერობო თვითმმართველობის მოქმედების პროგრამები, არ სწარმოებდა პრინციპული საარჩევნო ბრძოლა. გ. თუმანიშვილი ამაში ბრალს სდებდა საქართველოს მთავრობის მიერ დანიშნულ კომისრებს, რომელნიც რეფორმას ატარებდნენ მეფის რეჟიმისათვის დამახასიათებელი ბიუროკრატიული მეთოდებით.[13]

მუშათა კლასისა და გლეხობის დიდი ნაწილი ერობის არჩევნების მიღმა დარჩა. მასში უფრო აქტიურად თავადაზნაურობა, ბურჟუაზია და საშუალო ფენები მონაწილეობდნენ. სხვადასხვა მაზრების საერობო კრებების ხმოსანთა არჩევნებში მონაწილეობა საშუალოდ ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 30-40%-მა მიიღო. მიუხედავად ამისა, არჩევნები კანონიერად იქნა ცნობილი და დაიწყო საერობო თვითმმართველობის ორგანოთა ჩამოყალიბება, მათი პრაქტიკული საქმიანობა.

გურიის მაზრაში არჩევნები 1918 წლის 18 აგვისტოს ჩატარდა. 54506 რეგისტრირებული ამომრჩეველიდან კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 36652 კაცმა (ამომრჩეველთა აქტიურობით გურია პირველ ადგილზე აღმოჩნდა), საიდანაც 35 ათასმა ხმა მისცა სოციალ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების და სოციალისტ-რევოლუციონერთა ბლოკის კანდიდატებს, მათ შეავსეს სამაზრო საერობო კრების მთელი შემადგენლობა.

სენაკის მაზრის საერობო კრების არჩევნებში გაიმარჯვა სოციალ-დემოკრატებისა და სოციალისტ-ფედერალისტთა ბლოკმა. მათ მიიღეს 12 ადგილი. სოციალისტ-რევოლუციონერებმა საერობო კრებაში გაიყვანეს 6 ხმოსანი, ეროვნულ-დემოკრატებმა კი — 3 ხმოსანი.

ზუგდიდის მაზრის საერობო კრებაში შევიდა 9 სოციალ-დემოკრატი, 8 სოციალისტ-ფედერალისტი, 1 ეროვნულ-დემოკრატი და 10 სოციალისტ-რევოლუციონერი.

შორაპნის მაზრაშიც მრავალპარტიული საერობო კრება ჩამოყალიბდა. მასში შევიდა 16 სოციალ-დემოკრატი, 13 სოციალისტ-ფედერალისტი, 10 ეროვნულ დემოკრატი, 5 სოციალისტ-რევოლუციონერი. ქუთაისის მაზრის საერობო კრებაში უმრავლესობა მოიპოვეს სოციალ-დემოკრატიულმა და ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიებმა. გორის მაზრის საერობო კრებაში შევიდა 36 სოციალ-დემოკრატი, 2 — სოციალისტ-ფედერალისტი, 1 — ეროვნულ-დემოკრატი, 1 — დაშნაკი. [14]

დროებითი დებულების თანახმად საერობო კრებებმა აირჩიეს გამგეობები — საერობო თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოები. ბევრი ერობის გამგეობაში გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს სოციალ-დემოკრატებმა, მაგრამ სხვა პარტიათა წარმომადგენლებიც არ დარჩენილან გამგეობათა მიღმა. ამდენად, პრაქტიკული მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდნენ მრავალპარტიული საერობო კრებები და მრავალპარტიული გამგეობები.

1919 წლის დამდეგს საქართველოს თითქმის ყველა მაზრაში მოქმედებდა საერობო თვითმმართველობა. ერობის ორგანოთა ჩამოყალიბება 1919 წლის დეკემბრამდე დაგვიანდა ახალციხის მაზრაში, 1920 წლის იელისამდე ბორჩალოს მაზრაში. აჭარაში, გართულებული ვითარების გამო, საერობო რეფორმა საერთოდ არ გატარებულა.

1919 წლის 21 მარტს საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოქვეყნდა სოციალ-დემოკრატიული მთავრობის დეკლარაცია, რომელშიც ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ნათქვამია: „მთავრობა მიზნად ისახავს მართვა-გამგეობის გამარტივებას. ის შეეცდება სავსებით დაეყრდნოს თვითმმართველობის ორგანოებს. მთავრობა ახლო მომავალში შემოიღებს საერობო თვითმმართველობას იმ მაზრებში, რომელნიც ჯერ კიდევ მოკლებული არიან ამ ინსტიტუტებს და დაჩქარებით შეუდგება წვრილი საერობო ერთეულების მოწყობას, რომელნიც დემოკრატიული რესპუბლიკის საფუძველს წარმოადგენენ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება შექმნა ისეთი ადგილობრივი ადმინისტრაციისა, რომელიც კანონთა და განკარგულებათა ერთგული აღმასრულებელი იქნება“.[15]

მაგრამ მთავრობის ამ საფუძვლის – წვრილი საერობო ერთეულების ჩამოყალიბება და პრაქტიკული საქმიანობა კიდევ უფრო დიდ სიძნელეებს აწყდებოდა. სამაზრო საერობო დაწესებულებებს რუსეთის პრაქტიკის გამოყენება მაინც შეეძლოთ, სათემო ერობა კი ამ შესაძლებლობასაც მოკლებული იყო, რადგან იმპერიის ცენტრში ასეთი წვრილი საერობო ერთეულები საეროოდ არ შექმნილა. მართალია, საქართველოში სასოფლო საზოგადოებათა ბაზაზე ჩამოყალიბდა სათემო ერობები, მაგრამ ბევრ მათგანს, სახსრების უკმარისობისა და სხვა დაბრკოლებათა გამო, პრაქტიკული მუშაობა თითქმის არ დაუწყია.

სპეციალურად შედგენილი „წესების" თანახმად, მაზრის ერობათა კრებებს ევალებოდა სათემო ერობების ჩამოყალიბება. მათ მიერ განისაზღვრებოდა თემის ტერიტორია, საზღვრები, სათემო კრების ხმოსანთა რიცხვი, ტარდებოდა არჩევნები, რომლის დამთავრების შემდეგ თემის საერობო კრება ადგენდა გამგეობის წევრთა რიცხვს, მათ ჯამაგირებს, ირჩევდა გამგეობის თავმჯდომარეს, წევრებს. სათემო ერობის გამგეობას ევალებოდა თავის მოქმედების დაწყებისთანავე, გასაუქმებელი სასოფლო საზოგადოების მმართველობისაგან გადაებარებინა ყველა საქმეები, უძრავი ქონება, კაპიტალი და შემოსავლის სხვა წყაროები.

1919 წლის 12 აპრილს გაზ. „ერთობა" აუწყებდა მკითხველ საზოგადოებას, რომ უკვე დაიწყო ერობის წვრილი ერთეულების ჩამოყალიბება, რაც ფრიად საშური საქმეაო. „სოფელი დღეს ისეთ მდგომარეობაშია, რომ მისი მოწყობა-მოწესრიგება გადადებას არ ითმენს. ადმინისტრაცია, სასამართლო, გზები, საავადმყოფოები., ...სასწრაფო მოვლა-პატრონობას საჭიროებს. არსებული მდგომარეობის გაგრძელება დიდ საფრთხეს უმზადებს რესპუბლიკას და ამ საფრთხის ასაცდენად უდიდესი სამსახურის გაწევა შეუძლია წვრილ ეროეულებს. ამიტომ მათი მოწყობა მორიგ საკითხად ხდება".[16]

პრესამ გააკრიტიკა გურიის სამაზრო ერობა თემების თვითნებურად „გამოჭრის" გამო. კორესპონდენტი მიუთითებდა, რომ სასოფლო საზოგადოებები უკვე შეეჩვიენ ერთ განსაზღვრულ მიდამოს, შექმნეს საკუთარი ,ცენტრები, სადაც მოთავსებულია ყველა საზოგადო დაწესებულებანი – კანცელარია, ბიბლიოთეკა, სკოლა, კოოპერატივი, ფოსტა და სხვ. ამ ცენტრების მოშლა, რამდენიმე სასოფლო საზოგადოების გაერთიანება ძნელია და თანაც მიზანშეუწონელი. გურიის სამაზრო ერობამ თავის გეგმა უნდა გადასინჯოსო.[17]

გურიის ერობის მიერ სასოფლო საზოგადოებათა გაერთიანება-გამსხვილებას მოსახლეობის დიდი უკმაყოფილება გამოუწვევია. ხალხი მოითხოვდა თემების დაფუძნებას ძველ სასოფლო საზოგადოებათა ბაზაზე, მათ ფარგლებში. სოფლის მოსახლეობის ასეთი განწყობილება აისახა პრესის ფურცლებზე.[18] ოზურგეთის მაზრის ერობამ, ბოლოსდაბოლოს ხელი აიღო სასოფლო საზოგადოებათა გამსხვილების ცდებზე და ერობის წვრილი ერთეულები არსებულ სასოფლო საზოგადოებათა ბაზაზე მოაწყო. ასევე მოიქცა სხვა სამაზრო ერთობათა საგრძნობი ნაწილი.

სიღნაღის მაზრაში შეიქმნა ერობის 26 წვრილი ერთეული – თემი, თელავის მაზრაში – 15, გორის მაზრაში – 20, თიანეთის მაზრაში – 5, დუშეთის მაზრაში – 6, ქუთაისის მაზრაში – 27, ოზურგეთის მაზრაში – 33, რაჭის მაზრაში – 19, ლეჩხუმის მაზრაში – 24, ზუგდიდის მაზრაში – 45 თემი და სხვ.[19]

თემების სტატისტიკაზე დაკვირვება, მაზრების ტერიტორიის ფართობისა და მოსახლეობის რიცხვის გათვალისწინება ცხადყოფს, რომ ზოგიერთი მაზრის ერობა (ზუგდიდის, ოზურგეთის, ქუთაისის, სიღნაღის, რაჭის, ლეჩხუმის) მოერიდა საქმის გართულებას და მეფის მთავრობის დროს არსებული სასოფლო საზოგადოებები გამოაცხადა წვრილ საერობო ერთეულებად – თემებად. ზოგმა კი მიიჩნია, რომ ერთ სასოფლო საზოგადოებას ფინანსური სახსრები არ ეყოფოდა საერობო დაწესებულებათა შენახვისათვის და ამიტომ სათემო საერობო თვითმმართველობები შექმნა რამდენიმე სასოფლო საზოგადოების გაერთიანების საფუძველზე.

ერთი სიტყვით, საქართველოს რესპუბლიკაში უკვე 1918-1919 წლებში შეიქმნა ადგილობრივი თვითმმართველობათა სისტემა, მაგრამ მისი სრულყოფისათვის შემოქმედებითი მუშაობა კვლავაც გრძელდებოდა. კამათი და აზრთა ბრძოლა მიმდინარეობდა თვითმმართველობის არსზე, ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების უფლება-კომპეტენციის გამიჯვნის პრობლემაზე.

2. ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითთმმართველობის (მმართველობის) უფლება-კომპეტენციის გამიჯვნის პრობლემა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტმა და მთავრობამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გაუმჯობესებას, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების უფლება-კომპეტენციის მიზანმიმართულ გამიჯვნას.

საქართველოს ქალაქთა კავშირის იურიდულ განყოფილებასთან შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც მიენდო ახალი საქალაქო დებულების შედგენა. კომისიამ თავდაპირველად იმუშავა საკითხის დედააზრის გარკვევაზე, სცადა იმ პრინციპის დადგენა, რომელსაც უნდა დაფუძნებოდა ახალი საქალაქო დებულება. ამ შემთხვევაში მთავარი იყო ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ურთიერთობის ფორმათა განსაზღვრა, მათი უფლება-კომპეტენციის გამიჯვნა.

იმ გარდამავალ ეპოქაში ორი თვალსაზრისი არსებობდა, ერთმანეთს უპირისპირდებოდა თვითმმართველობისა და მმართველობის დედააზრი. პირველი იმ მოტივს ემყარებოდა, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები არსებითად განსხვავდებოდა დიდი სახელმწიფოებრივი პრობლემებისაგან და ამიტომ რაიონს, ქალაქსა და თემს უნდა ჰქონოდა თვითმმართველობის უფლება. საპირისპირო დედააზრი სამიოდე სიტყვით გამოითქმოდა — თვითმმართველობაც სახელმწიფო მმართველობაა; ადგილობრივი თვითმმართველობა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილია.

მეფის რუსეთში მოქმედი 1870 და 1892 წლების საქალაქო დებულება, აგრეთვე საერობო დებულება პირველი დედააზრის გამომხატველი საკანონმდებლო აქტები იყო და მათ საფუძველზე შექმნილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები სახელმწიფო-ადმინისტრაციული სისტემის უფლება-კომპეტენცია შეზღუდული დანამატი, ლენინის გამოთქმა, რომ ვიხმაროთ, რუსეთის ადმინისტრაციული ურმის „მეხუთე ბორბალი“ იყო. რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ 1917 წლის 9 ივნისს გამოქვეყნებული დებულება მეორე დედააზრს ემყარებოდა. მასში საქალაქო თვითმმართველობა (და ერობაც) სახელმწიფო მმართველობის შემადგენელ ნაწილად იყო დაფიქსირებული.

ამ ორ თვალსაზრისსა და ორ განსხვავებულ დებულებას შორის საქართველოში შექმნილ სპეციალურ კომისიას ერთ-ერთი უნდა ამოერჩია და მომავალი კანონის საფუძვლად გამოეცხადებინა. კომისიამ უპირატესობა მიანიჭა მეორე დედააზრს, დაეყრდნო 1917 წლის 9 ივნისის დებულებას, მაგრამ არსებითი, შეიძლება ითქვას, გამაუმჯობესებელი კორექტივები შეიტანა მასში, მიუსადაგა საქართველოს პირობებს. კომისიამ მიიჩია, რომ რაკი ადგილობრივ თვითმართველობას დამოუკიდებელი მოქმედების უფლება ეძლეოდა, მისი მუშაობა ზემდგომ დიდი მოხელის კონტროლს ვერ დაექვემდებარებოდა, კანონის შესაბამისად და უზენაესი საკანონმდებლო ორგანოს მეთვალყურეობით უნდა წარმართულიყო. ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებულ მოსამსახურეებს კი სახელმწიფო მოხელეების უფლება და ადმინისტრაციული გარანტია უნდა მისცემოდა.[20]

1919 წლის დამდეგს დამთავრდა საქალაო დებულების პროექტის შედგენა. იგი 66 მუხლისაგან შედგებოდა. დებულებაში, მის პირველ თავში ნათქვამია: ქალაქის თვითმმართველობა განაგებს ადილობრივი მნიშვნელობის ყველა საქმეებს. მის უფლება-კომპეტენციაში შედის ქალაქის გეგმის შედგენა, მისი განაშენიანების ხელმძღვანელობა, ქუჩების კეთილმოწყობა, განათება; ქალაქის წყლით მომარაგება, მოქალაქეთა საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა, ქალაქის უძრავ-მოძრავი ქონების პატრონობა, გადასახადების გაწერა-აკრეფა; სწავლა-განათლების სისტემის დაფინანსება, მისი სრულყოფისათვის ზრუნვა; ჯანმრთელობის დაცვა, სანიტარულ ღონისძიებათა განხორციელება; მოქალაქეთა სურსათ-სანოვაგით მომარაგება, სახლთ-მშენებლობა, იაფი ბინების მოწყობა, სახალხო სასადილოების, პურსაცხობების, სასურსათო მაღაზიების გამართვა, მრეწველობის, ვაჭრობისა და საკრედიტო საქმის განვითარებაზე ზრუნვა; მოქალაქეებისათვის იურიდიული დახმარების გაწევა, პირადი და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა.

დებულების მეორე, მესამე და მეოთხე თავში ლაპარაკია საქალაქო თვითმმართველობის სტრუქტურაზე, განმკარგულებელ და აღმასრულებელ ორგანოთა ფუნქციებზე. მეხუთეა თავის სათანადო მუხლების მიხედვით, საქალაქო მმართველობის კანონშესაბამისი მოქმედებისათვის მეთვალყურეობა (კონტროლი) უნდა გაეწია შინაგან საქმეთა სამინისტროს. კანონსაწინააღმდეგო დადგენილება-განკარგულებანი მას უნდა შეეჩერებინა.

საქალაქო დებულების პროექტის მიმართ საკმაოდ ბევრი და პრინციპული შენიშვნები გამოითქვა, რის გამო მისი დამტკიცება გაჭიანურდა. დემოკრატიული თვითმმართველობები კარგახანს საკანონმდებლო ბაზის გარეშე მუშაობდნენ. ა. ლანდია წერდა, რომ თვითმმართველობებს ბევრი ფუნქცია გადაეცა, „უფლებით კი ისინი ვერ სარგებლობენ. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას საბიუჯეტო უფლების შესახებ". აუცილებელიაო ფინანსური რეფორმის გატარება.[21]

ამ პრობლემას უფრო დეტალურად შეეხო გ. ხახანაშვილი. იგი წერდა: „რევოლუციამ მოსპო ის უნდობლობა, რომელსაც უცხადებდა ძველი მთავრობა ადგილობრივ თვითმმართველობას. მანვე საფუძველი დაუდო შრომის თანაბარ და სამართლიან განაწილებას. „თვითმმართველობა გახდა ადგილობრივი ძალაუფლების წარმომადგენელი, გაიზარდა მისი ვალდებულება საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე". ამას უნდა მოჰყოლოდა თვითმმართველობის უფლებათა გაფართოება, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. რაკი მთავრობამ თავის მოვალეობის საგძნობი ნაწილი თვითმმართველობას გადასცა, მისთვის მოვალეობათა შესრულების საშუალებაც უნდა მიეცა, თვითმმართველობებისათვის უნდა გადაეცა სახელმწიფოს შემოსავლის ნაწილიც.

გ. ხახანაშვილი შემდეგ აღნიშნავს, რომ ქალაქების და ერობათა საბიუჯეტო უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოს საბიუჯეტო უფლებასთან. ამიტომ მათი ხელოვნური განცალკევება არევ-დარევას გამოიწვევს. სახელმწიფოს ცენტრალური მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური სისტემის ძირითადი საფუძველია გადასახადები, მოქალაქეთა ხარჯთაგადახდის უნარიანობა, მნიშვნელოვანწილად კი „სამსახური-სამაგიეროს" პრინციპი. წერილის ავტორი ასე მსჯელობს: „ქალაქის კომუნას გაჰყავს ახალი ქუჩები, წყალსადენი, კანალიზაცია, განათება., ...ე.ი. ქმნის ისეთ ღირებულებებს, რომლითაც სარგებლობს ან ყოველი მცხოვრები ქალაქისა ან ნაწილი მცხოვრებლებისა. აქედან იწყება შესაძლებლობა „სამსახურ-სამაგიეროს" პრინციპის განხორციელებისა. თუ გსურს ადვილად მიხვიდე შენს ბინამდე, თუ გსურს საღი და საკმაო წყალი გქონდეს ახლოს, თუ გინდა სისუფთავე, თუ არ მოგწონს ბნელ ქუჩაში სიარული, გაიღე ხარჯი და გექნება ყველა ეს. გაგიწევს სამსახურს თვითმმართველობა და შენც მიეცი სამაგიერო. აი ანბანური ჭეშმარიტება, რომელსაც „სამსახური-სამაგიეროს" პრინციპს უწოდებენ".

სტატიის ბოლოს გ. ხახანაშვილი წერს, რომ თვითმმართველობას საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ფუნქციაც გააჩნია, ვალდებულია სრულყოს სწავლა-განათლების სისტემა, უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვა, საერთოდ შექმნას და შეინახოს ისეთი დაწესებულებანი, რომელთაც ყველა მოქალაქისათვის ერთნაირი სარგებლობა მოაქვთ. აქ უკვე სამსახური-სამაგიეროს პრინციპი არ გამოდგება. ყოველი მოქალაქეა ვალდებული გაიღოს ის, რისი გაღებაც შეუძლია. იგი უნდა იბეგრებოდეს „ხარჯთაგადახდისუნარიანობის" მიხედვით. ამ გზით მიღებული შემოსავალი ძირითადად სახელმწიფო ბიუჯეტში უნდა შევიდეს. მაგრამ რაკი მართვა-გამგეობის ხარჯებს ადგილობრივი თვითმმართველობაც ეწევა, აღნიშნული გადასახადებიდან მიღებული თანხის ნაწილი მას უნდა დაეთმოსო.[22]

1917 წლამდე, როცა საქართველო რუსეთის კოლონია იყო, ქართული სახელმწიფოებრიობა არ არსებობდა, საზოგადოებრივ თვითმმართველობას ის მნიშვნელობა ჰქონდა, რომ იქ ღებულობდნენ წრთობასა და გამოცდილებას ქართველი მოღვაწეები. ადგილობრივი თვითმმართველობა იყო ჩვენი ინტელიგენციის თვითმოქმედების ძირითადი ასპარეზი. ცარიზმის ბიუროკრატიასა და საზოგადოებრივ თვითმმართველობას შორის უფრო დიდი წინააღმდეგობა, ბუნებრივია, განაპირა მხარეებში არსებობდა, მუნიციპალური ოპოზიცია, აქ გაცილებით ძლიერი იყო. ქართველი სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ სახელმწიფო ხელისუფლებასა და საზოგადოებრივ მმართველობის წინააღმდეგობა მოიხსნა. საქალაქო თვითმმართველობა და უფროგვიან ორგანიზებული საერობო თვითმმართველობა სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი გახდა და ქართველი მოღვაწეები ბუნებრივია, ალაპარაკდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სოლიდარული საქმიანობის, მათი შერწყმის საჭიროების შესახებ.

მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ დიდი დაბრკოლებების გადალახვით მიმდინარეობდა. გამოითქმოდა განსხვავებული თვალსაზრისები ამ დაბრკოლებათა დროულად დაძლევის გზების თაობაზე. დ. თოფურიძე წერდა: „სანამ, ერთი მხრით, სახელმწიფოს ცენტრალური ორგანოები — პარლამენტი და მთავრობა და, მეორე მხრით, ქალაქ-ერობათა ორგანიზაციები შენდებიან ცალ-ცალკე, მანამდე, ...ერის წინსვლა ნორმალურ კალაპოტში ვერ ჩადგება". წერილის ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის

ორგანოები არსებითად საერთო საქმეს ემსახურებიან. ამიტომ თუ ნამდვილ დემოკრატიულ სახელმწიფოს ვაშენებთ, პარლამენტი ქალაქის თვითმმართველობებისა და ერობათა წარმომადგენლებისაგან უნდა იესებოდეს. ამგვარ პრინციპზე მოწყობილი პარლამეტი და მთავრობა, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, ავტორის აზრით, შესაძლებელს გახდიდა საგასავლო ბიუჯეტისა და მოხელეთა შტატის შემცირებას, შედარებით მცირე დანახარჯებით დიდი საქმის გაკეთებას.[23]

მაგრამ აზრი, ჩანაფიქრი და სახელმწიფოებრივი სტრუქტურების რეორგანიზაციის გეგმა-პროექტები მხოლოდ ნაწილობრივ განხორციელდა. 1918-1921 წლებში ადგილობრივი თვითმმართველობების პრაქტიკულ საქმიანობაში იყო დაბრკოლებები, წინააღმდეგობები იჩენდა თავს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობაში.

3. მუნიციპალიტეტები

საქართველოს დედაქალაქის თვითმმართველობა ყველაზე ასაკოვანი იყო, შეიძლება ითქვას, იგი აძლევდა ტონს სხვა ქალაქების მუშაობას. თბილისის მუნიციპალიტეტის გამოცდილებას საკმაო წარმატებით იყენებდნენ სხვა ქალაქთა მუნიციპალიტეტები.

თებერვლის რევოლუციის შემდეგ, თბილისის საქალაქო სათათბიროს პირველი არჩევნები 1917 წლის ივნისისათვის დაინიშნა. წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობდა თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია (ბოლშევიკები ხელისუფლების ორგანოდ მუშათა საბჭოს თვლიდნენ, თბილისის საქალაქო სათათბიროს არჩევნებს მათ ბოიკოტი გამოუცხადეს) საკმაოდ აქტიურობდა პერიოდული პრესა.

ქართველი სოციალ-დემოკრატები და მათი ორგანო გაზ. „ერთობა" მოუწოდებდა მოქალაქეებს მაღალი შეგნებით მოკიდებოდნენ თბილისის თვითმმართველობის ისტორიაში საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის საფუძველზე პირველი საქალაქო არჩევნების ჩატარებას, რსაც, მათი აზრით, უდიდესი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისის სოციალ-დემოკრატიულმა კომიტეტმა გამოაქვეყნა თავისი მუნიციპალური პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა თვითმმართველობის უფლება-კომპეტენციის

საგრძნობლად გაფართოებას, ყველა საქალაქო თანამდებობის არჩევის წესით დაკავებას, საქალაქო მილიციის მუნიციპალიტეტისათვის დაქვემდებარებას, ოვითმმართველობის საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით აღჭურვას.

სოციალ-დემოკრატიას მიზანშეწონილად მიაჩნდა საქალაქო თვითმმართველობის ფინანსურ-საბიუჯეტო უფლების გაფართოება. მისი აზრით, თბილისის თვითმმართველობას მიზნად უნდა დაესახა საიჯარო-პოდრიადული სისტემის გაუქმება, საზოგადოებრივი ხასიათის დაწესებულება-საწარმოთა მუნიციპალიზაცია; იაფფასიანი ბინების აგება, ბინის ქირის რეგულირება, ვიწრო ქუჩა-შესახვევების გაფართოება, უფასო სწავლისა და მკურნალობის დაწესება, უმუშევრობისაგან მუშათა დაზღვევის ორგანიზაცია, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების პრაქტიკისა და 8 საათიანი სამუშაო დღის დაკანონება.[24]

1917 წლის ივნისის არჩევნებში სოციალ-დემოკრატიამ, მართალია, ადრინდელზე გაცილებით მეტი ხმები მიიღო, საქალაქო სათათბიროში 30-მდე ხმოსანი გაიყვანა, მაგრამ უმრავლესობა მაინც ბურჟუაზიას დარჩა. თბილისის ახალ სათათბიროში ჩამოყალიბდა სამი ძირითადი ფრაქცია — სოციალ-დემოკრატიული, დაშნაკების და ესერების. ისინი გაბატონდნენ საქალაქო გამგეობაშიც.

თბილისის საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაცია ფაქტი გახდა. მუნიციპალიტეტის უფლება-კომპეტენცია საგრძნობლად გაფართოვდა. მის უწყებაში გადავიდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, მილიცია, სასამართლო, ყველა ადგილობრივი მასშტაბის სამეურნეო საქმეები და მათ შორის სასურსათო საქმეც. მაგრამ ეკონომიურ-ფინანსური კრიზისის პირობებში თვითმმართველობას უჭირდა ამ გაზრდილ მოვალეობათა შესრულება.

1917 წლის ივნისში არჩეულ თბილისის საქალაქო სათათბიროს უფლება-მოსილების ვადა 1918 წლის 31 დეკემბერს უთავდებოდა. ორიოდე თვით ადრე დაიწყო მზადება ახალი არჩევნებისათვის. ამ ხნის განმავლობაში სოციალ-პოლიტიკურ ძალთა განლაგება საგრძნობლად შეიცვალა. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოქალაქეობის შესახებ. შეიმუშავა აგრეთვე საქალაქო არჩევნების ახალი წესი. ამ კანონის მიხედვით საარჩევნო ხმის უფლებას ჰკარგავდა ის თბილისელი, რომელსაც არ ჰქონდა მიღებული საქართველოს მოქალაქეობა. თბილისელი რუსები, აგრეთვე სომხები ბოიკოტით შეხვდნენ მოქალაქეობის კანონს, არჩევნების ახალ წესს, დიდი

სიძნელეები შექმნეს მიმავალი სათათბიროს მუშაობაშიც და ახალი არჩევნების ჩატარებაშიც.

სოციალ-დემოკრატიის წინასაარჩევნო პროგრამა დიდად არ შეცვლილა. ეს პარტია აღთქმა-დაპირებებს არ იშურებდა და მოქალაქეებს მოუწოდებდა ხმა მიეცათ მათი №1 სიისათვის. თბილისის საქალაქო საბჭოს (ახალ საქალაქო დებულებაში საქალაქო სათათბიროს ნაცვლად დაფიქსირდა საქალაქო საბჭო) არჩევნებში ხმოსნობის კანდიდატთა თავის სიებით გამოვიდნენ ეროვნული დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები. გაზ „საქართველოს" რედაქცია წერდა, რომ ნამდვილი ეროვნული პოლიტიკის გატარება მხოლოდ ეროვნულ დემოკრატებს შეუძლიათ და ყველა პატრიოტმა ხმა მათ კანდიდატებს უნდა მისცესო. გაზეთის რედაქცია ბრალს სდებდა სოციალ-დემოკრატიას ყალბად გაგებულ ინტერნაციონალიზმში. იმის ნაცვლად, რომ ქალაქი სომხებისაგან გაწმინდონ, მათ წარმომადგენლები ხმოსნების კანდიდატთა სიაში შეაქვთ, სომხური ბურჟუაზიის პოზიციების განმტკიცებაზე ზრუნავენო.[25]

თბილისში ჯერ კიდევ გარკვეული რაოდენობით რჩებოდნენ რუსეთის ესერთა პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები და სომეხი დაშნაკები. მაგრამ მათ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ამას ჰქონდა სოციალ-პოლიტიკური საჩული; მას შემდეგ, რაც რუსეთის ჯარმა ქალაქი დასტოვა, ბოლო ადგილზე დარჩენილმა რუსმა მოხელეებმა საქართველოს მოქალაქეობა არ მიიღეს, ესერთა პარტიის ადგილობრივმა ორგანიზაციამ საქალაქო საბჭოში ხმოსნების არჩევის შანსი დაკარგა. თითქმის ასეთსავე მდგომარეობაში აღმოჩნდა დაშნაკთა პარტია; იგი ბოიკოტის ტაქტიკაზე დააყენა იმ ფაქტმა, რომ სომეხ-ქართველთა ომის დროს სომეხი მოსახლეობის საგრძნობმა ნაწილმა თბილისი დატოვა, ადგილზე დარჩენილთაგან კი ბევრმა საქართველოს მოქალაქეობა არ მიიღო, რის გამო საარჩევნო უფლება დაკარგა. ერთი სიტყვით, ესერებიცა და დაშნაკებიც თავის უძლურებას ბოიკოტის ტაქტიკით ფარავდნენ, ცდილობდნენ ჩაეშალათ არჩევნები, დათმობაზე წაეყვანათ მთავრობა და ქართველი საზოგადოება.

ამდენად, თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნებმა, რომელიც წინ უსწრებდა დამფუძნებელი კრების არჩევნებს, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა. მუნიციპალურ-სამეურნეო პრობლემები მეორე რიგში გადავიდა. ყველა თბილისელი ხვდებოდა, რომ ეს იყო საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ ძალთა განლაგების, მათი მზაობის

პირველი შემოწმება. „თბილისის არჩევნები — წერდა „ერთობის“ რედაქცია — პირველი გამოცდაა დემოკრატიისა, პირველი გარკვევაა ძალთა ურთიერთობისა დიდ მრავალმნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტების შემდეგ, რომელთა ისტორიული ფასი და ღირებულება ჯერ კიდევ ძნელი გასათვალისწინებელია“-ო.

„თბილისის საქალაქო საბჭოს არჩევნები 1919 წლის 2 თებერვალს ჩატარდა. მასში ხმის უფლების მქონე თბილისელთა 51%-მა მიიღო მონაწილეობა. გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. თბილისის საბჭოში შევიდა მათი 69 წარმომადგენელი. ეროვნულ-დემოკრატებმა მიიღეს 10, სოციალისტ-ფედერალისტება — 7 ადგილი.[26]

1919 წლის 17 თებერვალს ჩატარდა ახლად არჩეულ თბილისის საბჭოს პირველი სხდომა. ხმოსნებმა ქალაქის მოურავად აირჩიეს ბენიამინ ჩხიკვიშვილი, მოურავის ამხანაგად — გიორგი კონიაშვილი, გამგეობის წევრებად — პავლე მასალკინი, იოსებ ბესელიძე, კონსტანტინე ფანიევი.

ახალბედა მუნიციპალურ მოღვაწეებსაც კარგად ესმოდათ, რომ თვითმმართველობის პრაქტიკული საქმიანობის შედეგი მატერიალურ სახსრებზე, საქალაქო ბიუჯეტის ოდენობაზე იყო დამოკიდებული. მაგრამ მისი შევსების საშუალებები გაურკვეველი რჩებოდა. რაკი საქალაქო თვითმმართველობა სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოდ გამოცხადდა, ბუნებრივია, თვით სახელმწიფოს, ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა უზრუნველეყო იგი ფინანსური სახსრებით. არსებული დებულება კი სულაც არ ითვალისწინებდა საქალაქო მმართველობის ჩართვას სახელმწიფოს ფინანსურ-საბიუჯეტო სისტემაში, მას ამ სფეროში რაღაც ავტონომიურ უფლებას აძლევდა. ეს გაურკვევლობაც უწყობდა ხელს ფინანსური კრიზისის გამწვავებას. თვითმმართველობის მესვეურები ალაპარაკდნენ, რომ მოვალეობა მოგვემატა, მატერიალური სახსრები კი მოგვაკლდა, ქალაქის სალარო თითქმის ცარიელია და ამიტომ არც სასურსათო საქმის მოგვარება შეგვიძლია და არც სამეურნეო-კომუნალური პრობლემების გადაჭრაო.

1918-1920 წლებში თბილისის თვითმმართველობის ხარჯები ყოველთვის სჭარბობდა შემოსავალს. ბიუჯეტი დეფიციტური იყო. 1919 წლის პირველ ივნისმდე თბილისის მუნიციპალიტეტს ვალად დაედო 33 მლნ მანეთი.[27] ეს ვალი თანდათან გაიზარდა.

საქალაქო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტურობა, რა თქმა უნდა, უარყოფითად მოქმედებდა თბილისის თვითმმართველობის პრაქტიკულ

საქმიანობაზე, შეუძლებელს ხდიდა ქუჩა-მოედნების წესრიგში ყოფნას, ტრამვაის შეუფერხებელ მუშაობას, ქალაქის ნორმალურ განათებას, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას.

ამ რთულ, წინააღმდეგობებით აღსავსე გარდამავალ პეიოდში, არც თუ იშვიათად პარალიზებული იყო თვითმმართველობის აპარატის მუშაობა. გაჭირვებამ ხელი დარია მუნიციპალიტეტის სამსახურში მყოფ ინტელიგენციასაც. იურისტები, ინჟინერ-ტექნიკოსები, ბუღალტერ-მოანგარიშეები, ექიმები, პედაგოგები და სხვ. სპეციალისტები დროზე ვერ იღებდნენ ხელფასს, გაუფასურებულ ბონებსაც კი, რაც მათ სამართლიან გულისწყრომას, ზოგჯერ საპროტესტო გამოსვლასაც იწვევდა. 1918 წლის ბოლოს თბილისის თვითმმართველობის მოსამსახურეებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი პროფესიული კავშირი, რომელმაც შეიმუშავა საქალაქო გამგეობასთან დასადები კოლექტიური ხელშეკრულების პროექტი. მისი შესრულებისათვის შექმნილ შემთანხმებელ კომისიის ფუნქციას შეადგენდა: 1) უთანხმოების მიზეზების დადგენა; 2) სადაო საკითხების განხილვა; 3) ხელფასისა და შტატების საკითხის მოგვარება.[28]

1919 წლის პირველი ორი თვის ხელფასი თბილისის თვითმმართველობის მოსამსახურეებს მარტის თვეშიც კი არ ჰქონდათ მიღებული. მოსამსახურეთა პროფკავშირმა გაფიცვა გამოაცხადა. თბილისის პროფესიულ გაერთიანებათა ცენტრალურმა საბჭომ ეს გაფიცვა დაგმო, სცადა ჩაეშალა „დემოკრატიული თვითმმართველობის" წინააღმდეგ მიმართული ეს გამოსვლა. გაფიცულებმა თავის მხრივ მოწოდებით მიმართეს არამარტო მშობლიური ქალაქის, არამედ ამიერკავკასიის მთელ პროლეტარიატს. სიღატაკისა და შიმშილის კოშმარული აჩრდილი გვაიძულებს გადავიდეთ ბრძოლის პროლეტარულ ფორმაზე, გამოვაცხადოთ მშვიდობიანი ეკონომიური გაფიცვა. იმედი გვაქვს მორალურ დახმარებას მაინც გაგვიწევთო.[29]

თბილისის მუშათა კლასის საგრძნობი ნაწილი პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დადგენილებას არ დაემორჩილა. მეტყავეთა, მელითონეთა, სტამბის მუშათა და ზოგი სხვა პროფესიული კავშირები თბილისის თვითმმართველობის მოსამსახურეთა სამართლიან გაფიცვას თანაგრძნობით შეხვდნენ; გაფიცულებს გაუწიეს არა მარტო მორალური, არამედ, შეძლებისდაგვარად, მატერიალური დახმარებაც.

ბოლშევიკთა თბილისის კომიტეტმა თვითმმართველობის

მოსამსახურეთა გაფიცვა მიიჩნია პოლიტიკურ გამოსვლად, რომლის მახვილი „მიმართული იყო მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ“. საქართველოს მმართველმა პარტიამ გაფიცვას ანტიდემოკრატიული აქცია უწოდა. თვითმმართველობის მოსამსახურეთა პროფკავშირმა უარყო როგორც პირველი, ისე მეორე შეფასება; გაფიცვა წმინდა ეკონომიურია. ჩვენ არც სოციალიზმს მოვითხოვთ, არც საქართველოს რესპუბლიკისათვის ძირის გამოთხრას ვისახავთ მიზნად. უბრალოდ, გვინდა ჩვენი კუთვნილი ხელფასი დროულად მივიღოთ და გაჭირვებას ნაწილობრივ მაინც დავაღწიოთ თავი.

ამ მოვლენებთან დაკავშირებით თბილისის მუნიციპალიტეტმა მიიღო სათანადო დადგენილება, გაფორმდა კომპრომისული შეთანხმება და გაფიცვა შეწყდა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ თბილისის თვითმმართველობის უწყებაში გადავიდა ქალაქის მილიცია. მილიციის უფროსს, მართალია, მთავრობა ნიშნავდა, მაგრამ იგი ქალაქის მოურავს ემორჩილებოდა. მილიციის კომისარს მოჰყავდა სისრულეში საქალაქო საბჭოსა და გამგეობის დადგენილება-განკარგულებანი. 1918 წელს თბილისის საქალაქო მილიციის შტატში ირიცხებოდა — უფროსი, მისი სამი მოადგილე და დაბალი თანამდებობის 49 პირი. ქალაქი გაყოფილი იყო 12 უბნად. ყოველ მათგანს განაგებდა საუბნო კომისარი და მისი მოადგილე. სულ თბილისის მილიციის შტატში ითვლებოდა 903 კაცი, რომელთა ჯამაგირებით უზრუნველყოფისათვის თვითმ-მართველობამ 1918 წელს 3 მლნ მანეთი გაიღო.[30]

მილიციონერთა საგრძნობი ნაწილი ცდუნებას ვერ უძლებდა, არ უკადრისობდა ქრთამის აღებას, გამოძალვას. კორუპციაში მხილებულნი დააპატიმრეს. სახელგატეხილი კომისრები დაითხოვეს. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით სისხლის სამართლის მილიცია დაუქვემდებარეს ქალაქის პროკურორის ზედამხედველობას, დაწესდა მილიციაში მისაღებ პირთა საქმიანი თვისებების წინასწარი შესწავლა, ამ ორგანოში უპირატესად სპეციალურ სკოლადამთავრებულთა მიღება. „ჩემსა და მილიციის უფროსის მიერ მიღებულმა ზომებმა — ნათქვამი იყო ქალაქის მოურავის ბ. ჩხიკვიშვილის ბრძანებაში — ჯერ კიდევ ვერ მოიტანეს დადებითი შედეგი. ზოგიერთი მილიციონერები განაგრძობენ ძველი გზით სიარულს, იღებენ ქრთამებს და ხშირად უმიზეზოდ შეურაცხყოფენ მოქალაქეებს“. ბრძანებაში ისიც იყო აღნიშნული, რომ თბილისის კლუბებში ფართო მასშტაბი მიიღო „ქაღალდის

თამაშმა", რასაც ანგარების მიზნით ზოგიერთი კომისრები ხელსაც კი უწყობენო. მესამე სამილიციო უბნის კომისარ კვესაძესა და მის თანაშემწე ქანთარიას მარტო ერთი კლუბიდან თვენახევრის განმავლობაში ქრთამის სახით შემოსვლიათო 61 ათასი მანეთი. ქალაქის მოურავი აუწყებდა საზოგადოებას, რომ ეს მოხელეები დაპატიმრებულები არიან. იმუქრებოდა, ასეთივე ბედი მოელისო თანამდებობის ბოროტად გამომყენებელ ყველა ადმინისტრატორს.[31] სამწუხაროდ თბილისის მუნიციპალიტეტმა მილიცია მოწოდების სიმაღლემდე ვერ ასწია, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა სათანადო დონეზე ვერ დააყენა.

ნავთობპროდუქტების მარაგის შემცირების გამო თბილისში არსებული თბოელსადგურების ნაწილი გაჩერდა, სხვათა წარმადობა საგრძნობლად შემცირდა. შეფერხდა ტრამვაის მუშაობა, გაუარესდა ქუჩა-მოედნების განათება. მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ აკრძალა ოთახში თითო 25 სანთლიან ელნათურაზე მეტის გამოყენება. საქალაქო გამგეობის თბოელსადგური ელექტროენერგიაზე მოთხოვნილებას 15%-ით თუ აკმაყოფილებდა. კაპიტალისტები კი არახელსაყრელი პირობებისგამო თბოელსადგურების მუშაობას აჩერებდნენ ან მათ გაყიდვას ცდილობდნენ. შექმნილი სიტუაცია საზოგადოების მსჯელობის საგნად იქცა. საქალაქო საბჭომ განიხილა საკითხი „ამ კერძო პირთა თბოელსადგურების იძულებითი ჩამორთმევის შესახებ". თვითმმართველობის მესვეურებს თითქოს ამით სურდათ მეწარმეთა დაშინება, ელსადგურთა პატრონებისათვის „სტიმულის" მიცემა. მაგრამ საბჭოს ხმოსანთა დიდმა ნაწილმა ასეთი ღონისძიება არაფრის მომცემად მიიჩია. ისინი აცხადებდნენ, რომ თბოელსადგურების ასამუშავებლად საჭირო იყო არა ჯოხი, არამედ ნორმალური პირობების შექმნა.[32]

ობილისის თვითმმართველობას ძალიან უჭირდა ქალაქის მოსახლეობის სოციალური დაცვის ფუნქციის შესრულება, რაც მას ომისა და რევოლუციის პერიოდში დაეკისრა. 1919 წლის გაზაფხულზე მუნიციპალიტეტთან შეიქმნა „ცენტრალური სამზრუნველო". მის მოვალეობად გამოცხადდა უმუშევართა დასაქმება; ბავშვთა თავშესაფრების, სასადილოების, სამკითხველოების შექმნა. რამოდენიმე ასეთი დაწესებულება კიდეც გაიხსნა, მაგრამ ქალაქის მოსახლეობა თითქმის ვერ გრძნობდა მათგან მიმდინარე მზრუნველობა-დახმარებას.

1919 წლის 1 აპრილიდან 1 ივლისამდე სურსათ-სანოვაგის ფასები 345%-ით გაიზარდა. სატარიფო პალატამ, მართალია, დასვა ხელფასების

გაზრდის საკითხი, მაგრამ ეს ღონისძიება არ იყო საკმარისი და ამიტომ სატარიფო პალატამ წინადადება მისცა თბილისის მუნიციპალიტეტს უახლოეს მომავალში მოეწვია სასურსათო ორგანოების, მრეწველთა, მუშათა და სატარიფო პალატის წარმომადგენელთა თათბირი, რომელიც თბილისის მუშა-მოსამსახურეთა პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგების საკითხს გადაწყვეტდა. თათბირი რამდენჯერმე გაიმართა, მაგრამ ამაოდ. თბილისის თვითმმართველობის მიერ გახსნილი რამდენიმე მუნიციპალური მაღაზიის ბრუნვა უმნიშვნელო იყო.

1919 წლის ოქტომბერში შეიკრიბა უფრო ფართო მასშტაბის წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც რამდენიმე სხდომა მოანდომა „ქ. თბილისში სურსათ-სანოვაგისა და ბინების ნაკლებობის ოდნავ მაინც შესამსუბუქებლად ზომების გამონახვას". თათბირის მონაწილეებმა საჭიროდ დაინახეს თბილისიდან იმ პირთა გასახლება, რომელნიც ოჯახური მეურნეობით, პროფესიით და სამუშაოთი ქალაქთან არ იყვნენ დაკავშირებული. დაგროვილი მასალის საფუძველზე თბილისის საბჭომ შეიმუშავა სავალდებულო დადგენილება, რომელშიც ნათქვამი იყო: უცხო სახელმწიფოთა ყველა ის ქვეშევრდომნი, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქენი, რომელნიც ქ. თბილისთან არ არიან დაკავშირებული სახლის პატრონობით, სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობით, ან სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო დაწესებულებებში სამსახურით ვალდებული არიან ორი კვირის განმავლობაში დატოვონ ქალაქი.[33] ჩამოყალიბდა საკონტროლო კომისიები. მათ დაევალათ წარმოდგენილი დოკუმენტების სანდოობის დადგენა და გასასახლებელი პირების მილიციისათვის ჩაბარება. ამ კომისიებს უსაქმო ხალხთან ერთად უნდა გაესახლებინათ რუსი ოფიცრები და ომის დროს იქ შემოსული ლტოლვილები.[34]

ქალაქის განტვირთვის შესახებ სავალდებულო დადგენილებამ მიზანს ვერ მიაღწია. 1920 წლის 25 იანვრამდე საუბნო კომისიებმა შეადგინეს გასახლების 1758 აქტი. ფაქტიურად გაასახლეს 562 კაცი. შედარებით ადვილად განთავისუფლდა თბილისი ლტოლვილებისაგან, რომელთა ქალაქიდან გაყვანა სავალდებულო დადგენილების ამოქმედებამდე დაიწყო. ქალაქის წიგნებში ჯერ კიდევ ჩაუწერავმა, მაგრამ წლებისა და ათეული წლების განმავლობაში ფაქტიურად თბილისში მცხოვრებმა მოქალაქეება დიდი წინააღმდეგობის უნარი გამოაჟლინეს, არც მთავრობის ბრძანებას დაემორჩილნენ და არც მილიციის ძალადობას. თბილისის

მუნიციპალიტეტმა უკან დაიხია. თბილისის საბჭომ დამფუძნებელი კრების წინაშე აღძრა შუამდგომლობა „ქალაქის გაწმენდის დეკრეტის ანულირების თაობაზე", რაც დაკმაყოფილდა კიდეც.[35]

თებერვლის რევოლუციის შემდეგ გაფართოვდა საქალაქო თვითმმართველობათა უფლება-კომპეტენცია განათლების და კულტურის სფეროში. თბილისის მუნიციპალიტეტის უწყებაში გადავიდა თითქმის ყველა ტიპის სკოლები. 1918 წელს მიღებულ იქნა კანონი სკოლების „ნაციონალიზაციის" — ეროვნულ ენაზე სწავლების შემოღების თაობაზე. მოხდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების გადაჯგუფება; მწვავედ დაისვა სასწავლებელთა ქართველი კადრებით დაკომპლექტების საკითხი. ორი-სამი წლის განმავლობაში მოსწავლეთა კონტინგენტი საგრძნობლად გაიზარდა. მაგრამ საყოველთაო და უფასო განათლების შემოღება (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის), ვერ განხორციელდა. ამის ძირითადი მიზეზიც მატერიალური სახსრების სიმცირე იყო.

ამგვარად, 1917-1918 წლებში თბილისის მუნიციპალიტეტის ისტორიაში ახალი ეტაპი დაიწყო. ფაქტი გახდა საქალაქო თვითმმართველობის დემოკრატიზაცია, საგრძნობლად გაფართოვდა მისი უფლება-კომპეტენცია, დაისახა საქალაქო ცხოვრების განვითარების პერსპექტივები. მაგრამ საქართველოს ძალდატანებითი გასაბჭოების გამო თბილისის დემოკრატიული მუნიციპალიტეტის პოტენციური შესაძლებლობანი რეალობად ვერ გადაიქცა.

ეკონომიკური და ფინანსური სიძნელეების გამო კიდევ უფრო რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ საშუალო სიდიდის ქალაქების — ქუთაისის, ბათუმის, ფოთის, გორის, ახალციხის, თელავის, სიღნაღის და სოხუმის თვითმმართველობები. რაც შეეხება მცირე ქალაქებს, რომლებმაც ეს სტატუსი 1917-1918 წლებში მიიღეს, მათ მხოლოდ პირველი ნაბიჯები გადადგეს თვითმართვის ფორმათა დამკვიდრების საქმეში.*

---

* საქართველოს პირველი რესპუბლიკის მუნიციპალიტეტის ისტორია მონოგრაფიული გამოკვლევების საგანი და მომავლის საქმეა.

4. სამაზრო საერობო თვითმმართველობები

საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ საერობო თვითმმართველობის ახლად შექმნილ ორგანოებს კიდევ უფრო გაუჭირდათ თავის საკმაოდ ფართო ფუნქციების შესრულება. მდგომარეობას განსაკუთრებით ის ართულებდა, რომ არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზის არსებობის გამო გაძნელდა ნორმალური ურთიერთობის დამყარება ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის, ამ უკანასკნელთა საბიუჯეტო-ფინანსური უფლებების განსაზღვრა და გამიჯვნა.

ერობის მესვეურთა საგრძნობი ნაწილი ფიქრობდა, რომ სამაზრო და სათემო თვითმმართველობათა საქმიანობის სწორად და შედეგიანად წარმართვისათვის საჭირო იყო ერობათა ცენტრალური ორგანოს დაარსება. მათი ინიციატივით 1919 წლის 27 თებერვალს შედგა სამაზრო ერობის წარმომადგენელთა პირველი ყრილობა, რომელმაც აირჩია ერობების ცენტრალური დროებითი ბიურო.[36] მას დაევალა საერობო თვითმმართველობების ღონისძიებათა კოორდინაცია და ერობათა კავშირის დაარსებისათვის წინასწარი სამუშაოების ჩატარება.

დროებითმა ბიურომ შეასრულა დაკისრებული ამოცანა; 1919 წლის 11 სექტემბერს მოიწვია საქართველოს ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობა, რომელმაც განიხილა ერობათა კავშირის შექმნის საკითხი. ყრილობაზე აზრთა სხვადასხვაობა გამოვლინდა, მწვავე კამათიც გაიმართა. უმრავლესობა მხარს უჭერდა ერობათა კავშირის შექმნას, ზოგს კი იგი ზედმეტად მიაჩნდა. ამ საკითხზე აზრი პრესამაც გამოთქვა.

გაზ. „ერთობაში" დაიბეჭდა ვიქ. ღლონტის წერილი — „ერობის ცენტრი". ავტორი ისტორიულ ასპექტში განიხილავს პრობლემას, აღნიშნავს, რომ თვითმპყრობელობის დროს აუცილებელი იყო უფლებაშეზღუდულ ერობათა გამაერთიანებელი ცენტრის შექმნა და ამიტომ მსოფლიო ომის დასაწყისში საზოგადოება სიხარულით შეხვდაო ერობათა კავშირის დაარსებას. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ფართო დემოკრატიის ინტერესები, ავტორის აზრით, მოითხოვდა ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოთა ერთიან საფუძველზე აგებას. ერობა უნდა იყოს სახელმწიფოებრივი აპარატის შემადგენელი ნაწილი, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის საშუამავლო ორგანო საჭირო არ არისო.

მეფის რუსეთში, განაგრძობს ავტორი, კონტროლის საკითხი უფლების საკითხი იყო. ბიუროკრატია ერობებზე კონტროლის დამყარებით ცდილობდა თავის ბატონობის შენარჩუნებას, ერობის უფლება-კომპეტენციის შეკვეცას. დღეს ეს პრობლემა ასე არ დგასო; საქართველოს რესპუბლიკაში კონტროლის საკითხი უნდა დაისვას არა უფლების ნიადაგზე, არამედ შრომისა და პასუხისმგებლობის განაწილების საფუძველზე. ეკონომიკურ და კულტურულ საქმეებში ერობას უნდა მიეცეს, რაც შეიძლება, ფართო უფლებები, ადმინისტრაციულ-ფინანსური მხარე კი ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების მიერ უნდა მოგვარდესო. ამას მოითხოვდა, ავტორის აზრით, სახელმწიფოს, მთელი ხალხის ინტერესები. ხელისუფლების ასეთი სტრუქტურის პირობებში ერობათა ცენტრის შექმნა საჭირო არაა, იგი მხოლოდ ზიანს მოიტანსო. ვიქ. ღლონტს მიზანშეწონილად მიაჩნდა ერობებზე მთავრობის კონტროლის დამყარება, მათი საქმიანობის დაქვემდებარება სპეციალურად შექმნილ ადგილობრივ თვითმმართველობათა სამინისტროსათვის.[37]

ამ წერილში არსებითად სოციალ-დემოკრატიის თვალსაზრისია გადმოცემული. ამ პარტიის ხელმძღვანელობა უნდობლობას უცხადებდა სოფლის დემოკრატიას, ერობათა ადმინისტრაციას, საჭიროდ მიაჩნდა საერობო თვითმმართველობებზე მთავრობის კონტროლის დაწესება. ერობათა ცენტრის დაარსება, მათი აზრით, არასასურველ პარალელიზმს შექმნიდა. ერობათა წარმომადგენლების ყრილობაზე ნ. რამიშვილმა კრიტიკულად მიუთითა „ყველა ორგანიზაციების დამოუკიდებლად მუშაობის" მიდრეკილებაზე და იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში, კანონიერების იდეის განმტკიცების კვალობაზე, სახელმწიფოსათვის მავნე ამ მიდრეკილებას ბოლო მოეღებოდა. მთავრობა, მართალია, არ ცდილობს სახელმწიფო საქმეები დაუპირისპიროს საერობო საქმეებს, მაგრამ სამაზრო ერობისათვის ფართო საბიუჯეტო უფლებების მინიჭება დემოკრატიას დააზარალებსო.[38]

ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობის უმრავლესობამ არ გაიზიარა მთავრობის თვალსაზრისი, მიიღო „დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირის დაარსების შესახებ" და დამტკიცა კავშირის დებულება.

დებულების თანახმად, ერობათა კავშირი მიზნად ისახავდა: გაეწია სამაზრო ერობებისათვის იდეურ-ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, დახმარებოდა მათ ყველა მომწიფებული საკითხების გადაჭრაში, საქმიანობის კოორდინაციაში; შეესრულებინა საშუამავლო როლი

ერობებსა და მთავრობას შორის, დაეჩქარებინა ცალკეულ თვითმმართველობათა თხოვნა-შუამდგომლობების მთავრობის ორგანოებში განხილვა-დაკმაყოფილება; მოეგვარებინა საერობო ქონების დაზღვევის საქმე, დაეარსებინა საერობო ბანკი და საერთოდ დახმარებოდა ერობებს კრედიტის მიღებაში.

ერობათა კავშირის უმაღლეს განმკარგულებელ ორგანოს წარმოადგენდა რწმუნებულთა ყრილობა, აღმასრულებელს კი ამ ყრილობის მიერ არჩეული მუდმივმოქმედი კომიტეტი. მის თავმჯდომარეს, მოადგილეს და წევრებს ევალებოდა კავშირის საქმეთა წარმოება, რწმუნებულთა ყრილობების მოწვევა, ყრილობის დადგენილებათა შესრულება, თავის საქმიანობის შესახებ ანგარიშგება.

ქალაქთა კავშირის არსებობა და ერობათა კავშირის ჩამოყალიბება ფაქტი იყო. მთავრობას ანგარიში უნდა გაეწია ამ ფაქტისათვის. მის წინაშე მთელი სიმწვავით დაისვა ქალაქ-ერობათა კავშირებთან და ცალკეულ თვითმმართველობებთან ურთიერთობა-თანამშრომლობის ფორმათა დადგენის საკითხი. ამ პრობლემას ყურადება მიაქცია დამფუძნებელმა კრებამ, მის მიერ შექმნილმა საკონსტიტუციო კომისიამ. კონსტიტუციის პროექტში (რომელიც 1920 წლის დამდეგს გამოქვეყნდა) ადგილობრივ მმართველობას მიეძღვნა სპეციალური პარაგრაფი. მასში ცნება „ადგილობრივი თვითმმართველობა" შეცვლილია „ადგილობრივი მმართველობით". საქალაქო და საერობო მმართვეოლობის უწყებაში გადადიოდა ადგილობრივი ადმინისტრაცია, მილიცია, ყველა სამეურნეო და კულტსაგანმანათლებლო საქმეები. ხელისუფლების ცენტრალურ ორგანოებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ ადგილობრივ მმართველობათა მიერ მიღებული გადაწყვეტილება-დადგენილებათა შეჩერება, თუ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ სახელმწიფოს მოქმედ კანონებს. მათი გაუქმება კი მხოლოდ უმაღლეს სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლებოდა. მაგრამ საქალაქო და საერობო თვითმმართველობები უნდა დაქვემდებარებოდნენ სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოებს. მათ მიერ მიღებული განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი მთავრობას უნდა დაემტკიცებინა.[39]

სახელმწიფოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ურთიერთობა-დამოკიდებულების საკითხზე კამათი ამის შემდეგაც გრძელდებოდა. გამოიკვეთა ორი ძირითადი აზრი, ორი მიმართულება. პირველი მათგანის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობა

სახელმწიფო აპარატის გარეშე იდგა, მის პარალელურად მოქმედებდა; ადგილობრივი თვითმმართველობის უფლება-ვალდებულებანი განსაკუთრებულია, მისი მოქმედება ვრცელდება მხოლოდ ხალხის ცხოვრების განსაზღვრულ სფეროზე — მეურნეობასა და კულტურაზე. მეორე მიმართულების მომხრეთა თვალსაზრისით, თვითმმართველობითი ორგანოები იგივე სახელმწიფო ორგანოები იყო. მათ მინიჭებული ჰქონდა სახელმწიფო უფლება-მოვალეობანი. თვითმმართველობა, მათი განცხადებით, იყო სახელმწიფოებრივი მექანიზმის ნაწილი, ამ მექანიზმის ადგილობრივი ორგანო. ამიტომ მის უწყებაში უნდა გადასულიყო ადგილობრივი მართვა-გამგეობის, მეურნეობისა და კულტურის ყველა სფერო.

ადგილობრივ თვითმმართველობათა ორგანოს ჟურნ. „ერობა და ქალაქის" თანამშრომელთა უმეტესობა კონსტიტუციის პროექტში გატარებულ პრინციპს ეთანხმებოდა და მხოლოდ მცირე კორექტივი შეჰქონდა მასში. დ. ნათაძის განცხადებით, კონსტიტუციის პროექტის ავტორები ცდილობენ ისე შეათანხმონ ცენტრისა და პროვინციის ინტერესები, რომ არც დემოკრატიული პრინციპი დაირღვეს და არც სახელმწიფოს მოუვიდეს ზიანი. ცენტრალურმა ხელისუფლებამ კონტროლი უნდა გაუწიოს მმართველობის მოქმედების კანონიერებას და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაერიოს ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში, როცა ამას მოითხოვს სახელმწიფოს მთლიანობის ინტერესები.[40]

სამაზრო თვითმმართველობებთან ურთიერთობის საკითხს განსაკუთრებით დიდ დროს უთმობდა მიწათმოქმედების სამინისტრო, რომელიც თავის საქმიანობით, ერობის მსგავსად, სოფელთან და სოფლის მეურნეობასთან იყო დაკავშირებული. ამ სამინისტროდან გამოსულ ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: კანონის ძალით ერობას ეკისრება ზოგი ადმინისტრაციული და აღმასრულებელი ფუნქციები და ამდენად ისინი არიან არა მარტო თვითმმართველობის, არამედ სახელმწიფო მმართველობის ორგანოებიც. ერობათა ჩამოყალიბების შემდეგ მათ დაეკისრა გაუქმებული საადგილმამულო კომიტეტების ფუნქცია. ისინი აყალიბებენ რაიონულ საადგილმამულო კომისიებს, ხელმძღვანელობენ მათ მუშაობას. ერობებმა თავის გამგებლობაში უნდა მიიღონ ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული მამულები და მოაწყონ სანიმუშო მეურნეობები. სამინისტრო ერობათა მონაწილეობით განსაზღვრავს სახელმწიფო საძოვრებით სარგებლობის წესს, მათვე ევალება სახელმწიფო მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემა, ტყეების

დაცვა და ნორმალური ექსპლუატაცია. მაგრამ, გადასცა რა ერობას მმართველობის ზოგი ფუნქცია, ცენტრალურმა ხელისუფლებამ თავის ხელთ უნდა შეინარჩუნოს საერობო თვითმმართველობათა მოღვაწეობის მეთვალყურეობისა და ხელმძღვანელობის უფლება.[41]

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, მართალია, არ ზღუდავდა კერძო კაპიტალის ინიციატივას, მაგრამ გასაქანს აძლევდა მუნიციპალიზაციის თეორიასაც, საქალაქო და საერობო თვითმმართველობებს ურჩევდა ხელი მოეკიდათ წარმოებისათვის, გაეხსნათ ახალი სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებები, მოეწყოთ სანიმუშო მეურნეობები.

აგრარული კანონი, საერობო დებულება ითვალისწინებდა ნაციონალიზებული მიწების ერთი ნაწილის საერობო თვითმმართველობებისათვის გადაცემას. მაგრამ კანონის სათანადო მუხლების ბუნდოვნად ფორმულირების გამო ერობებისათვის მამულების ფაქტიური გადაცემა ფერხდებოდა. ერობათა კავშირის მესვეურები ცდილობდნენ საქმის გამოსწორებას, მთავრობისაგან მოითხოვდნენ კანონში დაშვებული ხარვეზების აღმოფხვრას და დებულების სათანადო მუხლების რეალიზაციას.

1919 წლის ნოემბერში ერობათა კავშირის კომიტეტმა მთავრობას წარუდგინა სპეციალური მოხსენება, რომლის დასკვნითი ნაწილი ასეთი იყო: 1) ყოველმა სამაზრო ერობამ შეადგინოს მისთვის აუცილებლად საჭირო მამულების სია; 2) ამ სიებში დაფიქსირებული მამულები გამოცხადდეს საერობო მიწის ფონდად, რომელიც გამოყენებული იქნება სოფლის მეურნეობის აგროკულტურის ამაღლებისა და ერობის სხვადასხვა საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად; 3) ჩამოყალიბდეს კომისია, რომელიც დადგენს, თუ რომელი მამულები, საძოვრები, ტყეები არის სახელმწიფოებრივი და რომელი საერობო (ადგილობრივი) მნიშვნელობისა; 4) კომისიის მიერ საერობო თვითმმართველობათა აუცილებელ საჭიროებად მიჩნეული მამულები დაუმტკიცდეს ერობებს სრულ საკუთრებად; 5) ისეთი მამულები, რომელთაც საერთო საერობო მნიშვნელობა აქვს, გადაეცეს ერობათა კავშირის კომიტეტს.[42]

ამ მოხსენებასა და სხვა თხოვნა-შუამდგომლობებს, როგორც ჩანს, გარკვეული შედეგი მოჰყვა. ერობებმა მეტ-ნაკლები რაოდენობით მიიღეს მიწის ნაკვეთები. ზოგიერთმა მეურნეობაც შექმნა, მაგრამ ამან არსებითად ვერ გამოასწორა საერობო თვითმმართველობათა ფინანსურ-საბიუჯეტო მდგომარეობა. თითქმის ყველა მოითხოვდა მთავრობისაგან სუბსიდიებსა და კრედიტებს.

საქართველოს პირველ რესპუბლიკაში 18 სამაზრო საერობო და ასობით სათემო საერობო თვითმმართველობა შეიქმნა.*

სიღნაღის მაზრის ერობამ მუშაობა დაიწყო 1918 წლის ნოემბერში. საერობო კრების დადგენილების თანახმად გამგეობამ შეადგინა სათანადო გეგმა. მაზრა დაიყო 26 თემად. მაგრამ ერობის მესვეურებმა თავიდანვე შეამჩნიეს დროებითი დებულების ნაკლი, ნახეს, რომ იქ არაფერი იყო ნათქვამი სამაზრო და სათემო ერობის ურთიერთდამოკიდებულებას, მათი ფუნქციების გამიჯვნის შესახებ. ამიტომ სიღნაღის მაზრის საერობო კრება იძულებული გახდა თვით შეედგინა „წესდება დროებით სახელმძღვანელოდ სიღნაღის მაზრაში ახლად ჩამოყალიბებულ სათემო თვითმმართველობისათვის".

ამ წესდების მიხედვით სათემო თვითმმართველობის უწყებაში შედიოდა „ადგილობრივი საჯარო მართვა-გამგეობისა და მეურნეობის საქმეები". მათ უნდა მოეხდინათ მაზრის საერობო კრების მიერ განსაზღვრული სათემო გადასახადების გაწერა-აკრეფა, დაეკისრებინათ მცხოვრებთათვის შრომითი ბეგარა. თემის თვითმმართველობის ძირითადი ფუნქცია იყო ძველი გზების მოვლა, ახალი გზების გაყვანა, ხიდების აშენება, სოფლის სკოლების კეთილმოწყობა, სამედიცინო მომსახურება, პურის სარეზერვო მაღაზიების მოწყობა, ადგილობრივი მილიციის ხელმძღვანელობა. თემის, ერობას ეძლეოდა უძრავ-მოძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის, სხვადასხვაგვარი ხელშეკრულების დადების, თემის ქონებრივი ინტერესების სასამართლოს მეშვეობით დაცვის და სხვ. ფუნქციები.[43]

1919 წლის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა სიღნაღის მაზრის ადმინისტრაცია, მილიციის რაზმი. აირჩეს მომრიგებელი მოსამართლეები, დაიწყეს ნაფიც მსაჯულთა შერჩევა. მთავარი პრობლემა გახდა ბიუჯეტის შედგენა. სიღნაღის ერობისათვის თავიდანვე ცხადი გახდა, რომ ადგილობრივი გზები არსებითად გამოსული იყო წყობიდან, ზოგიერთ სოფლებში მოარული სენი მძვინვარებდა, ადრე შექმნილი აგრონომიული ორგანიზაცია სულს ღაფავდა. აგრონომიული პერსონალი დაქსაქსულიყო, სამეურნეო იარაღები გამქრალიყო.

სიღნაღის მაზრის ერობამ პირველ რიგში იზრუნა სენის აღმოფხვრაზე. აიღო მცირე სესხი და თბილისიდან სამედიცინო-სანიტარული რაზმი გამოიწვია. აღადგინა ფოსტის მოძრაობა

---

* მათი საქმიანობის დეტალური შესწავლა ცალკე, სპეციალური გამოკვლევის საგანია. ამჯერად მხოლოდ ზოგად ხაზებში შეიძლება გამუქდეს მათი მოღვაწეობა.

სიღნაღიდან წნორის წყლამდე. მოსახლეობას დააკისრა საგზაო ბეგარა. დაიწყო აგრონომიული პუნქტის აღდგენა. ჩაიბარა რამდენიმე კულტურული მამული. ერობამ შედარებით კარგად მოაწყო თიბვის ორგანიზაცია, დაამზადა დიდი რაოდენობით თივა, რაც საკუთარი საკმარისი იქნებოდა სამაზრო მილიციისა და ფოსტის სადგურის ცხენების გამოსაკვებად და ბაზარზე გასატანადაც დარჩებოდა 60-80 ათასი ფუთი.[44]

ნაკლისა და ზოგიერთი საქმის ჩავარდნის ძირითად მიზეზად სიღნაღის ერობის მესვეურები ფინანსური სახსრების სიმცირეს ასახელებდნენ. მართლაც ჩანს, რომ გასავალი ყოველთვის სჭარბობდა შემოსავალს. უსახსრობის გამო ბევრი სამუშაო ფერხდებოდა.[45]

1920 წლისათვის სიღნაღის მაზრის ერობის შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი დამტკიცდა 89 მლნ მანეთის ოდენობით. შემოსავალში მთავარი იყო მთავრობისაგან გამოყოფილი სუბსიდია და კრედიტები; საფონდო, საიჯარო მიწებიდან და ერობის მამულებიდან ვარაუდობდნენ 4 მლნ მან. მიღებას და სხვ. გასავალში ძირითადი იყო მილიცია-სასამართლოს ხარჯები (7, 5 მლნ. მან.), საერობო თვითმმართველობის მოსამსახურეთა ჯამაგირები (5, 2 მლნ.); გზების, ჰიდროტექნიკისა და ტელეგრაფისათვის ნავარაუდევი იყო 11 მლნ, მეურნეობის აღორძინების ღონისძიებებზე – 10,3 მლნ მანეთი და სხვ. მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ მზარდი ინფლაციის გამო შემოსავალი ვერ დაფარავდა გასავალს. სიღნაღის ერობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი შემოსავლის რეალური წყაროების გამონახვა იყო.

გორის მაზრის ერობამ პრაქტიკული საქმიანობა დაიწყო 1918 წლის დეკემბერში. გადაიბარა აგრონომიული პუნქტები, სკოლები, საავადმყოფოები, სხვა უძრავ-მოძრავი ქონება. მაზრა გაიყო 11 სასამართლო უბნად და 20 თემად. ყველა თემში დასრულდა საერობო კრებების ხმოსანთა არჩევნები, ჩამოყალიბდა გამგეობები.

გორის სამაზრო ერობაში თავიდანვე ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა აგრონომიულმა ღონისძიებებმა. მაზრა გაიყო 4 აგრონომიულ რაიონად, ყოველ მათგანში გაიგზავნა ინსტრუქტორი და ძისი თანაშემწე. რაიონებში მოეწყო სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების გასაქირავებელი სადგურები. ერობა ხელმძღვანელობდა გორის მაზრაში აგრარული რეფორმის გატარებას. იგი პატრონობდა კულტურულ მამულებს, მთავრობის დავალებით ქირას კრეფდა იჯარით გაცემული სახაზინო მიწებიდან.

1919 წელს გორის მაზრაში 106 სკოლა ითვლებოდა, მაგრამ

ნაწილი არ ფუნქციონირებდა. ერობის გამგეობამ საოსტატო სემინარიასთან გახსნა სამასწავლებლო კურსები, 1919 წლის სექტემბრისათვის 36 ახალგაზრდა მასწავლებელი მოამზადა. 1919 წლის 1 ოქტომბრისათვის ერობის სკოლებში 240 მასწავლებელი და 10200 მოსწავლე ითვლებოდა.

გადამდები სენის წინააღმდეგ საბრძოლველად გორის მაზრის ერობამ შექმნა მფრინავი საექიმო-სანიტარული რაზმები. ამოქმედდა საავადმყოფოები, საექიმო და საფერშლო პუნქტები. ერობის სამედიცინო-სანიტარული განყოფილების შტატში ჩაირიცხა 8 ექიმი, 15 ფერშალი, 2 ბებია ქალი. გამგეობას ეს პერსონალი საკმარისად არ მიაჩნდა და ვარაუდობდა უახლოეს ხანს ყოველ თემში გაეხსნა საავადმყოფო ან საფერშლო პუნქტი. საქონლის ჭირის აღმოფხვრის მიზნით ერობამ სამსახურში აიყვანა სამი ვეტერინარი ექიმი, მოაწყო ამბულატორიები გორში, სურამსა და ცხინვალში. შეიძინეს შრატი და ჩაატარეს საქონლის დიდი ნაწილის აცრა.[46]

1919 წლის გაზაფხულზე გორის მაზრის ერობამ შეადგინა შემოსავალ-გასავლის ბიუჯეტი (1919 წ. 1.VI-1920 წ. 1. VI) 50 მლნ მანეთის ოდენობით. შემოსავალში მთავრობის მხრიდან დახმარებასა და კრედიტებზე მოდიოდა 30 მლნ მანეთი, საერობო მუნიციპალური საწარმოებიდან ელოდნენ 13 მლნ, ვაჭრობა-მრეწველობის სანებართვო დოკუმენტებიდან 3 მლნ მანეთს და სხვ.; საბიუჯეტო გასავალში მილიციასა და სასამართლოსათვის გათვალისწინებული იყო 9,7 მლნ, ერობის აპარატის მუშაკებისათვის – 2,3 მლნ მანეთი; სახალხო განათლებაზე უნდა დახარჯულიყო 8,7 მლნ, სამედიცინო-სანიტარულ განყოფილებაზე – 4 მლნ, აგრონომიულ განყოფილებაზე – 2,6 მლნ, ერობის საწარმოებზე – 8 მლნ მანეთი და სხვ.

მთავრობისაგან დაპირებული სახსრები გორის მაზრის ერობამ სანახევროდაც კი ვერ მიიღო. ამიტომ მოითხოვა ათმილიონიანი საობლიგაციო სესხის გამოშვების ნებართვა. დასაბუთებაში ნათქვამი იყო, რომ ერობის შემოსავლის წყაროები შემთხვევითია და მათზე დაყრდნობით დიდი სამშუაოების ჩატარება არ შეიძლება. გამგეობა სამომავლო იმედს მაინც არ კარგავს და მიზნად დაისახა: 1) რამდენიმე სარწყავი არხის გაყვანა; 2) სახალხო განათლების მკვიდრ ნიადაგზე დამყარება; 3) ერობის მუნიციპალური საწარმოების გაფართოება; 4) სამაზრო ერობის სასურსათო განყოფილების გაძლიერება. ამ დიდი გეგმის განხორციელება, წერენ მოხსენების ავტორები, ახლანდელი საერობო შემოსავლით შეუძლებელია, აუცილებელია შემოსავლის სხვა

წყაროების გამონახვა. „ასეთ სახსრად გამგეობას მიაჩნია მაზრის მცხოვრებლებში დაგროვილი ფულის ნიშნების ამოქაჩვა საობლიგაციო სესხის საშუალებით". მართალია, სოფელი ჯიბეს ხელს უჭერს, მაგრამ ირიგაციის საკითხი ისეთი პოპულარულია, რომ მისი საშუალებით შესაძლებელია „სოფლის ჯიბის გახსნა". მოსახლეობა ლაპარაკობს ტირიფონის ველის, ქარელისა და სკრის მიდამოების, დოესის მინდვრის და სხვ. ტერიტორიების მორწყვის საჭიროებაზე და არ დაიზარებსო სახსრების გაღებას თავის საოცნებო საგნის განხორციელებისათვის.[47]

საობლიგაციო სესხის გამოცემის ნებართვა გორის მაზრის ერობამ ვერ მიიღო, დაგეგმილი სამუშაოები ვერ განახორციელა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქ. გორი და გორის მაზრა მიწისძვრამ დიდად დააზარალა, რესპუბლიკის მთავრობამ 1920 წლის ივლისში გორის მაზრის ერობას აღდგენითი სამუშაოებისათვის გამოუყო 20 მლნ მანეთი უპროცენტო კრედიტი. ამავე მიზნისათვის ერობათა კავშირმა გაიღო 3 მლნ მანეთი.

მიუხედავად აღნიშნული სიძნელეებისა გორის მაზრის საერობო მოღვაწეები ოპტიმიზმით იყვნენ გამსჭვალულნი. მათი აზრით, ხალხის გამოფხიზლება, მის მიერ თვითმმართველობის იდეის შეთვისება, იმის გარანტია იყო, რომ ერობა დაიჭერდა იმ ადგილს, რაც მას ჭეშმარიტად ეკუთვნოდა.

საქართველოში თითქმის ყველაზე ადრე, 1918 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა სენაკის მაზრის საერობო თვითმმართველობის დაწესებულებანი. მალე შეადგინეს საკარაულო ბიუჯეტი და წარუდგინეს მთავრობას დასამტკიცებლად. მაგრამ გამგეობის თავმჯდომარე იძულებული დაბრუნდა თბილისიდან; მთავრობის ერთ-ერთმა წევრმა მას თურმე უთხრა – ბიუჯეტი ჯერ რესპუბლიკასაც არ აქვს და თქვენ როგორ დაგიმტკიცოთო. ეს ფაქტი თვის თავად მეტყველებს იმაზე, რომ ამ გარდამავალ პერიოდში უჭირდა როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ხელისუფლებას.

სენაკის მაზრის ერობამ ყველაზე ადრე გააუქმა მთავრობისაგან ადრე დანიშნული კომისრის თანამდებობა და მისი ფუნქციები გადაანაწილა ერობის გამგეობის თავმჯდომარესა და მილიციის უფროსს შორის. სენაკის მაზრა გაიყო 5 სასამართლო უბნად, ჩატარდა მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა არჩევნები.

აგრარული რეფორმის გატარების შედეგად სენაკის მაზრის ერობა თავის საკუთრებაში ელოდა გარკვეული რაოდენობის ადგილ-მამულს და ვარაუდობდა მუნიციპალური მეურნეობის შექმნა-განვითარებას.

ამასთან დაკავშირებით სენაკელმა კორესპონდენტმა ცენტრალურ პრესაში მოათავსა წერილი, ფართო მკითხველ საზოგადოებას გააცნო სენაკის საერობო მოღვაწეთა გეგმები. მისი აზრით მუნიციპალურ მეურნეობას დიდი მომავალი ჰქონდა მთელ მსოფლიოში. ევროპაში მას რამდენადმე აფერხებდა ის, რომ იქაური სოციალისტები შებოჭილ იყვნენ კაპიტალიზმის განვითარების დიდი ტრადიციით, მონოპოლიების ყოვლის შემძლეობით. საქართველოში კი მდგომარეობა უკეთესიაო. „საკუთარი მეურნეობის მოწყობაში ჩვენი ერობის მოღვაწეებს ფაქტიურად არ ჰყავთ მედგარი, დიდი კაპიტალით შეიარაღებული კონკურენტი., ...საჭიროა მხოლოდ ინიციატივის გამოჩენა და გაბედული მოქმედება. იმედი გვაქვს, სენაკის ერობის დადგენილება ცხოვრებაში გატარდება და ამით მაგალითი გახდება დანარჩენი კუთხეებისათვის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ აყვავებას ეს დიდად შეუწყობს ხელს“.[48]

საერობო თვითმმართველობებმა პირველი ნაბიჯები მართლაც გადადგეს საკუთარი მეურნეობის შექმნის გზაზე. მოაწყვეს ხე-ტყის ქარხნები (გორის, ახალციხის, თიანეთის, ოზურგთის, ზუგდიდის, რაჭის, გუმათის მაზრებში), წისქვილები (დუშეთის, თიანეთის, ახალციხის, ოზურგეთის, სენაკის მაზრებში), საქსოვი ფაბრიკები (თიანეთისა და ოზურგეთის მაზრებში), აგურ-კრამიტის ქარხნები (სენაკის მაზრაში). ზოგიერთმა ერობამ სოფლის მეურნეობაშიც სცადა ბედი, მოაწყო შედარებით მსხვილი მეურნეობები, საცდელ-საჩვენებელი ნაკვეთები. საერთოდ, ზუგდიდის მაზრის ერობა მუნიციპალურ წარმოების მოწყობაზე ხარჯავდა თავის ბიუჯეტის 26%, ბორჩალოს – 17%, თიანეთის – 17%, გორის – 15%, ახალციხის – 9%, შორაპნის – 4,5%, სენაკის – 3,3%. ერობათა მცირე ბიუჯეტის აღნიშნული ნაწილი ბევრ შემთხვევაში არ კმაროდა. ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სიმცირის და სპეციალისტების უყოლობის გამო მუნიციპალური სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოები მეტ-ნაკლებ სიძნელეებს აწყობდნენ.[49]

ერობათა კავშირის მესვეურები და თვით მთავრობაც ამჩნევდა, რომ ახლადშობილ ერობას, აგრეთვე საქალაქო თვითმმართველობას ეკონომიურ-ფინანსური კრიზისი ბოჭავდა, მუშაობის ფართოდ გაშლის საშუალებას არ აძლევდა. ისინი, ბუნებრივია, ცდილობდნენ მდგომარეობის გამოსწორებას.

ჯერ კიდევ 1919 წლის 31 ივლისს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი საქალაქო და საერობო თვითმმართველობების

სასარგებლოდ საფუთო გადასახადის დაწესების თაობაზე. ქალაქებსა და მაზრებში შეტანილ და იქიდან გატანილ საქონელზე გადასახადის დადება, აძვირებდა პირველი მოთხოვნილების საგნებს, რაც მძიმე ტვირთად აწვებოდა ფართო მომხმარებელ საზოგადოებას, მაგრამ რამდენადმე აუმჯობესებდა თვითმმართველობათა ფინანსურ მდგომარეობას.

საფუთო გამოსაღებით მიღებული თანხა მხოლოდ გზების გაყვანა-შეკეთებას ხმარდებოდა. ამიტომ მუნიციპალურ-საერობო მოღვაწეთა წრეში აღმოცენდა აზრი სხვადასხვა საჭიროებათა დაფინანსების მიზნით სპეციალური დროებითი გამოსაღების დაწესების შესახებ. ეს აზრი მისაღებად იქნა მიჩნეული. დამფუძნებელმა კრებამ გამოსცა დეკრეტი „საქართველოს ქალაქებისა და სამაზრო ერობათა სასარგებლოდ ადგილობრივ მცხოვრებთაგან ერთდროული სანიტარული გადასახადის აკრების შესახებ". ეს გადასახადი დაეკისრა სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა მოსამსახურეს, აგრეთვე კერძო საწარმოთა პატრონებს და იქ დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა ხელფასი აღემატებოდა 600-700 მანეთს. სხვადასხვა შეძლების მოქალაქეებისაგან აიღებდა თვიური ხელფასის 1%-დან 30%-მდე.

ეს ცალკეული და დროებითი ღონისძიებანი საკმარისი არ აღმოჩნდა პრობლემის გადასაწყვეტად. მუნიციპალური და საერობო მოღვაწეები მოითხოვდნენ საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებას, ცენრალური და ადგილობრივი მმართველობის უფლება-მოვალეობათა უფრო მიზანშეწონილად განაწილებას.

1918 წლის 25 იანვრის დროებითმა საერობო დებულებამ სათანადოდ ვერ იმუშავა და 1919 წლის მეორე ნახევარში მწვავედ დაისვა სრულყოფილი საერობო დებულების შედგენის საკითხი. ეს რთული საქმე იკისრა ერობათა კავშირის კომიტეტმა. 1920 წლის დამდეგს „საქართვეოლს რესპუბლიკის საერობო თვითმმართველობის კანონპროექტი" დასამტკიცებლად გადაეცა დამფუძნებელ კრებას.

კანონპროექტი ანგარიშს უწევდა ფაქტიურ ვითარებას, ადასტურებდა ორსაფეხურიანი (სათემო, სამაზრო) ერობის არსებობას. თემი წარმოადგენდა ერობის უმცირეს ერთეულს, თემთა გარკვეული რაოდენობა ქმნიდა სამაზრო ერობის ტერიტორიას.

კანონპროექტის მიხედვით, თემისა და მაზრის საერობო დაწესებულებათა ფუნქციაში შედიოდა: კანონით განსაზღვრულ ფარგლებში საერობო გადასახადების დაწესება, აკრეფა და

საჭიროებისამებრ დახარჯვა; ნატურალური ბეგარების განსაზღვრა, სახელმწიფო გადასახადების მოსახლეობაზე გაწერა და აკრეფა; გზებისა და ხიდების გაკეთება, დაბა-სოფლების დაგეგმვა, მათი ქუჩა-მოედნების წესიერ მდგომარეობაში მოყვანა, სანიტარია-ჰიგიენის დაცვა; მილიციისა და სასამართლოს ხელმძღვანელობა, ფოსტა-ტელეგრაფის პატრონობა, ჯანმრთელობის დაცვა, სწავლა-განათლების ორგანიზაცია, კულტურულ-დაწესებულებათა დაარსება; ეკონომიკის განვითარებისათვის ხელის შეწყობა, სასურსათო საქმისა და მომარაგების ორგანოთა შექმნა, შრომის დაცვა, მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევა, კვლევა-ძიება მხარის შესასწავლად, აღწერების ჩატარება, სტატისტიკური ცნობების შეკრება-გამოცემა, მოქალაქეობრივი აქტების რეგისტრაცია და სხვ.

კანონპროექტში განსაზღვრულია საერობო თვითმმართველობის განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოების ფუნქციების. თვითმმართველობის შინაგანი სტრუქტურის დადგენას კანონპროექტი ანდობდა სამაზრო ერობასა და თემს, მათ უფლება ეძლეოდათ გაემიჯნათ წმინდა თემური და სამაზრო მნიშვნელობის საქმეები. საერთო მოქმედების გეგმა მაზრის საერობო კრებას უნდაშეედგინა, რომლის პრაქტიკულ რეალიზაციაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებდნენ თემები. საერობო თვითმმართველობის საქმიანობაზე საერთო ზედამხედველობას მთავრობა და სასამართლო ახორციელებდა, მაგრამ კონტროლი ვრცელდებოა მხოლოდ ერობის მოქმედების კანონიერებაზე. კანონით მინიჭებულ უფლება-კომპეტენციის ფარგლებში ერობები თითქმის სრული თვითმმართველობით სარგებლობდნენ.[50]

საერობო კანოპროექტის ავტორები აცხადებდნენ, რომ ეყრდნობოდნენ კონსტიტუციის კანონპროექტს, მაგრამ ისინი თანამიმდევრულად ვერ ატარებდნენ მთავრობის ხაზს. კონსტიტუციის პროექტში საერობო დაწესებულებები დაფიქსირებული იყო როგორც ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, დებულების პროექტში კი ლაპარაკია საერობო თვითმმართველობაზე, რომელიც ადგილობრივი საზოგადოებრივი ძალების თვითმოქმედებას ემყარება და ნებაყოფლობით კისრულობს ადგილობრივი მმართველობის (ხელისუფლების) ზოგიერთ ფუნქციას. ამიტომ დებულების პროექტი ერობებს აძლევდა მოსახლეობის განსაკუთრებული საერობო გადასახადით დაბეგვრის უფლებას, ზრუნავდა იმაზე, რომ ერობას ჰქონოდა შემოსავლის დამოუკიდებელი წყარო.

ამდენად, 1920 წელსაც კვლავ გრძელდებოდა დავა ერობის

ხასიათისა და არსის გარშემო. მთავრობის წრეები, საზოგადოების დიდი ნაწილი ერობას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოდ თვლიდნენ, ერობათა კავშირის მესვეურები კი მას საზოგადოებრივ თვითმმართველობად აცხადებდნენ. ეს გაორება პრაქტიკაშიც იჩენდა თავს, რაც საერობო დაწესებულებათა საქმიანობაში, მის ზემდგომ ინსტანციებთან ურთიერთობაში დამატებით სიძნელეებს ქმნიდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, მართალია, ერობას სახელმწიფოებრივი მმართველობის ადგილობრივ ორგანოდ თვლიდა, მაგრამ ვერ ახერხებდა მისთვის სათანადო ფინანსური დახმარების გაწევას. ეს გარემოება ერობებს თვითმოქმედებისაკენ უბიძგებდა. ისინი თვით ეძებდნენ შემოსავლის წყაროებს, მოსახლეობას ადებდნენ ახალახალ გადასახადებს, მაზრაში შეტანილ და გატანილ საქონელზეც იღებდნენ საბაჟო გამოსაღებს, ზოგჯერ კრძალავდნენ თავის სამოქმედო ტერიტორიიდან სურსათ-სანოვაგის გატანას და ამით ამყღავნებდნენ ტენდენციას გადაქცეულიყვნენ სახელმწიფოდ სახელმწიფოში. ბევრი ბრალს სდებდა ერობებს იმაში, რომ ისინი ანგარიშს არ უწევდნენ ცენტრალურ მთავრობას, ფეოდალური საქართველოს სეპარატიზმის გზაზე დამდგარ საერისთაოებს დაემსგავსენ.[51]

დეცენტრალიზაციის ასეთი ტენდენცია აშინებდა რესპუბლიკის მთავრობას. 1920 წლის 1 ოქტომბერს ნ. ჟორდანიამ ერობებს გაუგზავნა ასეთი ცირკულარი. „წინააღმდეგ კანონისა და მთავრობის დადგენილებისა ზოგიერთი სამაზრო ერობის გამგეობა, აგრეთვე თემები განაგრძობენ თავის მაზრებიდან სურსათ-სანოვაგის გატანის აკრძალვას რესპუბლიკის სხვა კუთხეებში, რითაც ქმნიან ეკონომიკურ კრიზისს, არევ-დარევას. უკანასკნელად ვაფრთხილებ ერობებს, ქალაქებსა და აფხაზეთის კომისარიატს, რომ თუ კიდევ ასეთი მოვლენა გამეორდა, ჩემს მიერ მიღებულ იქნება სასტიკი ზომები“.[52]

საერობო თვითმმართველობის კანონპროექტში რაკი ბუნდოვნად იყო ფორმულირებული ერობის ფინანსურ-საბიუჯეტო უფლების შემხები მუხლები, ერობის ხელმძღვანელებმა მოითხოვეს ამ საკითხის გარკვევისათვის სპეციალური კანონის შედგენა. 1920 წლის პირველ ნახევარში ასეთი კანონპროექტიც შემუშავდა. მის მიხედვით, საერობო თვითმმართველობის ნივთიერ საზსარს, ბიუჯეტის შევსების წყაროს შეადგენდა: ა) ერობის კუთვნილი მეურნეობისა და ქონების შემოსავალი; ბ) მოსახლეობაზე ერობის სასარგებლოდ შეწერილი გადასახადი; გ)

ცენტრალური ხელისუფლებისაგან დაშვებული დოტაცია და სუბსიდია; დ) შემთხვევითი შემოსავლები.

სახ. ბიუჯეტიდან დოტაცია საერობო თვითმმართველობას ეძლეოდა მინდობილ საქმეთა და ფუნქციათა შესასრულებლად — მილიციის, სამხედრო განყოფილების, აგრარული რეფორმის გამტარებელი ადგილობრივი კომისიის და სხვ. ხარჯების დასაფარავად. სუბსიდია კი იმ შემთხვევაში გამოეყოფოდა, თუ ერობის საშემოსავლო ბიუჯეტი ვერ ფარავდა თვითმმართველობის ჩვეულებრივ აუცილებელ ხარჯებს.

საერობო თვითმმართველობას უფლება ეძლეოდა დაედო გადასახადი სოფლად არსებულ მერნეობებზე, უძრავი ქონების ღირებულების დაუმსახურებელ ზრდაზე, რკინიგზის სადგურებში შემოზიდულ და მაზრიდან გაზიდულ ტვირთზე; გადასახადი დაეწესებინათ ნავით, ტივითა და ბორნით სარგებლობისათვის, გარკვეული საზღაური აეღოთ სხვადასხვა საბუთებისა და მოწმობების შედგენა-გაცემის სანაცვლოდ. საგანგებო გადასახადების დაწესება ერობას შეეძლო მხოლოდ მოქალაქეთა უმრავლესობის თანხმობის შემთხვევაში. სამაზრო საერობო კრებას შეეძლო ზოგიერთი გადასახადის აკრეფა-დახარჯვის უფლება სავსებით გადაეცა თემებისათვის. გარდა ამისა, თემებს უფლება ეძლეოდა ყველა საერობო გადასახადისათვის დაემატებინათ გარკვეული პროცენტი თავის სასარგებლოდ. გამორიცხული არც თვითდაბეგვრის უფლების მიცემა იყო, თუ ამას დაეთანხმებოდა მცხოვრებთა უმრავლესობა.[53]

აღნიშნული კანონპროექტების დამფუძნებელ კრებაში დამტკიცება გაჭიანურდა. ერობებს კი მოცდა არ შეეძლოთ. ჯერ კიდევ 1920 წლის 1 აპრილს ერობათა წარმომადგენლების თათბირმა საბიუჯეტო-ფინანსურ საკითხზე მიიღო სპეციალური დადგენილება და მთავრობას წარუდგინა ასეთი თხოვნა: 1) სამაზრო ერობებს გადაეცეს მიწის გადასახადი; 2) ერობათა სასარგებლოდ გადაიდოს შემოსავლის 10% მთავრობის იმ საწარმოებისა, რომელნიც იყენებენ მაზრების ბუნებრივ სიმდიდრეს; 3) ერობის სასარგებლოდ გადაირიცხოს საფონდო მიწების გაყიდვით მიღებული შემოსავლის 40%; 4) ერობებს გადაეცეს სახელმწიფო მიწების იჯარის ქირის 20%; 5) გადასახადთა აკრების დაგვიანების გამო ერობებს სესხად მიეცეს 100 მლნ მანეთი.[54]

მთავრობამ, მართალია, დაკმაყოფილა ამ თხოვნის ნაწილი, მაგრამ მდგომარეობა არსებითად არ გაუმჯობესებულა. ისე გაილია საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის ორიოდე წელი,

რომ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ-საბიუჯეტო უფლებები ვერ გაიმიჯნა; ქვეყნის ეკონომიკა და სახელმწიფოს ფინანსები სასურველ დონეზე ვერ დადგა. ეს კრიზისი, უმეტეს შემთხვევაში ობიექტური პირობებით იყო გამოწვეული, მაგრამ არცთუ იშვიათად სახელმწიფო და მუნიციპალური მოღვაწეებიც უშვებდნენ შეცდომებს. მთავარი მიზეზი მაინც დროის დეფიციტი იყო; კომუნისტებმა არ დააცალეს კაპიტალიზმსა და ბურჟუაზიულ დემოკრატიას რუსეთსა და იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებშიც შეესრულებინათ პროგრესული მისია.

თავი VI

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავრობისეული პროგრამა. პოლიტიკური პარტიების პოზიცია

პირველი მსოფლიო ომით გამოწვეული ეკონომიკის დაცემის პროცესი რევოლუციური გარდაქმნების პერიოდში კიდევ უფრო გაძლიერდა. ძველი სავაჭრო კავშირების მოშლის გამო სოფლის მეურნეობაც გარკვეულ სიძნელებს განიცდიდა, მაგრამ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მრეწველობა. ნედლეულისა და ენერგორესურსების სიმცირის პირობებში ბევრი ფაბრიკა-ქარხანა დაიკეტა, სხვებმა სანახევროდ და კიდევ მეტად შეამცირეს პროდუქციის გამოშვება. დაიწყო მასობრივი უმუშევრობა. სასურსათო კრიზისმა და ინფლაციამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა აგრეთვე ჯერ კიდევ დასაქმებული მუშები, მოსახლეობის საშუალო ფენები.

1918-1919 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს საერთაშორისო სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები კიდევ უფრო შესუსტდა, რაც უარყოფითად აისახა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, სოციალურ ვითარებაზე. პირველი რესპუბლიკის მთავრობა მეტად რთული პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. მმართველი პარტია, მართალია, არ აპირებდა კაპიტალის არსებითად შევიწროებას, კერძო ინიციატივის შეზღუდვას, მაგრამ მან საჭიროდ მიიჩნია თავის ხელით აეღო დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობის რეგულირების, საერთოდ კლასობრივი ანტაგონიზმისა და ბრძოლის შესუსტების ფუნქცია.

მთავრობის დავალებით თბილისის მუნიციპალიტეტმა შექმნა ე.წ. სალიკვიდაციო კომისია, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იკვლევდა წარმოების შეჩერება-შემცირებისა და მუშების დათხოვნის მიზეზებს. შემუშავებული დებულების თანახმად მრეწველებსა და სხვა დამქირავებლებს აეკრძალათ მუშა-მოსამსახურეთა შტატების შემცირება სალიკვიდაციო კომისიის უნებართვოდ. ასეთივე დაწესებულებები შეიქმნა საქართველოს სხვა შედარებით მსხვილ

სამრეწველო ცენტრებშიც. სალიკვიდაციო კომისიებში შედიოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, სავაჭრო პალატის, პროფკავშირების და კოოპკავშირების წარმომადგენლები. ყველაზე ნაყოფიერად საქმიანობდა თბილისში არსებული სალიკვიდაციო კომისია, მაგრამ მან მთელი 1919 წლის განმავლობაში მხოლოდ 210 კაცი იხსნა უმუშევრობისაგან.

ეკონომიკის დაცემა, სამუშაო ადგილების შემცირება საყოველთაო მოვლენა იყო. შედარებით უკეთესი მდგომარეობით ხასიათდებოდა საქართველოს სამთამადნო მრეწველობა.

1918 წელს ჭიათურის სამრეწველო რაიონში მანგანუმის საბადო მაღაროების 3/5 ქართველი მრეწველების საკუთრებაში რჩებოდა, 2/5 უცხოელ კაპიტალისტთა ხელში იყო გადასული. მანგანუმის მადნის 30 გამაუხვებელი ფაბრიკიდან 21 ქართველი მრეწველების იყო, 9 კი უცხოელების. ქართველებს ჰქონდათ მადნის 20 მექანიკური ჩამოსაშვები, უცხოელებს – 10. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უცხოურ ფირმათა საწარმოები უფრო მსხვილი, ტექნიკურად უკეთ აღჭურვილი იყო და ისინი იძლეოდნენ მოპოვებულ-გაუხვებული მადნის ნახევარს.[1]

ქართველი მრეწველები საქართველოს მთავრობისათვის წარდგენილ ერთ-ერთ მოხსენებით ბარათში წერდნენ, რომ ჭიათურაში უპირატესობა ჯერ კიდევ ქართველთა მხარეზეა და თუ „ეროვნულ კაპიტალს სათანადო დახმარებას გაუწევს საქართველოს ეროვნული მთავრობა“, უცხოელები სწრაფად განიდევნებიან მრეწველობის ამ დარგიდან და მოპოვებულ-ექსპორტირებული მანგანუმი გახდებაო სახელმწიფოს ეკონომიკურ-ფინანსური ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო.

ქართველი მრეწველები უკმაყოფილო იყვნენ იმით, რომ საქართველოს მთავრობა შეღავათებსა და პრივილეგიებს აძლევდა მფარველ-მოკავშირის გერმანიის ქვეშევრდომთა ფირმებს. ეს საყვედური რეაგირების გარეშე არ დარჩენილა. კოალიციურმა მთავრობამ არბიტრის როლი იკისრა, სცადა გერმანელი და ქართველი მრეწველების შეთანხმება. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა მანგანუმის მრეწველთა შერეული – ქართულ-გერმანული აქციონერული საზოგადოება, რომელსაც მიეცა მანგანუმის ექსპორტის მონოპოლია 30 წლის ვადით. მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ საზოგადოება დაიშალა.

1919 წელს მანგანუმის ქართველმა მრეწველებმა ჩამოაყალიბეს ახალი აქციონერული საზოგადოება, რომელშიც გაერთიანდა 146 კაცი.

საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს ნ. ნიკოლაძე. ეს ის დროა, როცა ქართულ მანგანუმს კვლავ გაეხსნა გზა მსოფლიო ბაზრისაკენ, რამაც სტიმული მისცა მრეწველებს სწრაფად გაეზარდათ მადნის მოპოვება და შესაბამისად ექსპორტიც.

საქართველოს კოალიციურმა მთავრობამ, მართალია, გამოაცხადა მიწის წიაღის და კერძოდ მანგანუმის საბადოების ნაციონალიზაცია, მაგრამ არ მოუხდენია თვით მრეწველობის, მაღაროებისა და ფაბრიკა-ქარხნების ნაციონალიზაცია, თავის ხელში არ აუღია წარმოების ორგანიზაციისა და მადნის ექსპორტის საქმე. იგი მხოლოდ იმას შეეცადა, რომ მრეწველთა მოგების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში მოეხვედრებინა. მთავრობამ მანგანუმის ექსპორტი სახელმწიფო მონოპოლიად გამოაცხადა, მაგრამ რაკი სახელმწიფო დაწესებულებებს უშუალოდ ეს არ შეეძლოთ, მთავრობამ თავის მონოპოლიური უფლება სარეალიზაციოდ გადასცა სპეციალურად ჩამოყალიბებულ „ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოებას“.

საექსპორტო საზოგადოების წესდების ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მუხლები ასეთი იყო: 1) 1919 წლის 2 აგვისტოს კანონით მარგანეცის ექსპორტის სახელმწიფო მონოპოლიის განხორციელების მიზნით ჭიათურელ მრეწველთაგან, განურჩევლად ეროვნებისა, ყალიბდება ჭიათურის მარგანეცის საექსპორტო საზოგადოება; 2) მთავრობისაგან საზოგადოებას ეძლევა მარგანეცის ექსპორტის მონოპოლია 20 წლის ვადით; 3) სუფთა საექსპორტო მოგებიდან მთავრობას გადაერიცხება 35%, ხოლო მანგანუმის მრეწველ-ექსპორტიორებს დარჩება 65%.[2]

1920 წელს საექსპორტო საზოგადოებამ საზღვარგარეთ გაიტანა 10,7 მლნ ფუთი მანგანუმი. როგორც ჩანს, საზოგადოების საქმიანობა უცხო ქვეყნებში დიდ სიძნელეებს აწყდებოდა; რთული საქმე აღმოჩნდა მანგანუმის გატანისა და გაყიდვის მონოპოლიის პრაქტიკული განხორციელება. გამოირკვა, რომ ჭიათურაში მოქმედი ზოგი ფირმა საექსპორტო საზოგადოების გვერდის აევლით, დამოუკიდებლად გადიოდა მსოფლიო ბაზარზე, რაც საზოგადოების წევრებსა და სახელმწიფოს დიდ ზარალს აყენებდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად საექსპორტო საზოგადოებამ ნ. ნიკოლაძის მეთაურობით დელეგაცია გაგზავნა საზღვარგარეთ. მისი მიზანი იყო მანგანუმის ბაზრის შესწავლა, მეტალურგიული ქარხნების მეპატრონეებთან კონტრაქტების დადება. 1920 წლის 6 ოქტომბერს ნ. ნიკოლაძე აუწყებდა საექსპორტო

საზოგადოებას თბილისში არსებულ სამმართველოს, რომ საზღვარგარეთელი საქმოსნები მანგანუმის საექსპორტო საზოგადოებას თავის სტრუქტურით „სტანდარტ ოილ კომპანიას“ ადარებენო. ჩვენი საზოგადოება იმ შემთხვევაში დადგება ნამდვილად ამ შედარების სიმაღლეზე, თუ დაუყონებლივ შეწყდება თბილისში მიმდინარე ყოველგვარი მოლაპარაკება და მარგანეცის გაყიდვა მხოლოდ საზღვარგარეთული განყოფილების მეშვეობით მოხდებაო. „მარგანეცის ექსპორტისა და გაყიდვის მონოპოლია – წერდა ბოლოს ნ. ნიკოლაძე – განამტკიცებს ჩვენს მდგომარეობას მსოფლიო ბაზარზე, საშუალებას მოგვცემს შევინარჩუნოთ მადანზე მაღალი ფასები. ინდოეთი და ბრაზილია იძულებული გახდებიან ანგარიში გაგვიწიონ და ჩვენს კვალზე იარონ“-ო.[3]

მანგანუმის მოპოვება-ექსპორტმა აღორძინების ორიოდე წელიწადში, რა თქმა უნდა, ვერ მიაწია 1913 წლის დონეს, მაგრამ ფაქტია, რომ ეს მადანი იყო ვალუტის მიღების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვანი წყარო. მარგანეცის მრეწველობის აღორძინებას არა ნაკლებ დადებითი მხარეც ჰქონდა. ზემო იმერეთში საგრძნობლად შემცირდა უმუშევრობა.

ტყიბულის ქვანახშირი ექსპორტის საგანი არ ყოფილა. იგი ადგილზე მოიხმარებოდა, საქართველოს რკინიგზის მეტნაკლებად შეუფერხებელი მუშაობის საფუძველი იყო. 1918 -1919 წლებში ქვანახშირის ამოღება და დახარისხება სათანადო დონეზე იდგა. 1920 წელს კი სააქციო საზოგადოება „ნახშირას“ საქმიანობაში სერიოზულმა სიძნელეებმა იჩინა თავი. მთავრობამ გადაწყვიტა ტყიბულის მაღაროების გამოსყიდვა, წარმოების თავის ხელში აღება. დამფუძნებელი კრების სხდომაზე სათანადო დასაბუთებით გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრი გ. თევზაია, მთავრობის სახელით მაღაროების გამოსყიდვისათვის 12 მლნ მანეთი მოითხოვა.

მემარცხენე ოპოზიცია კერძოდ სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია მხარს უჭერდა წარმოების ნაციონალიზაციას, მაგრამ კატეგორიული წინააღმდეგი იყო კაპიტალისტებისათვის საზღაურის მიცემისა. ილია ნუცუბიძემ აღნიშნა, რომ მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რუსეთის მთავრობამ აქციონერული საზოგადოება „ნახშირას“ ქვანახშირის საბადოები ჩამოართვა. როცა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა მაღაროები ავტომატურად გადმოვიდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ხელში. ისმის კითხვა, რა

მოსაზრებით აღადგინეს „ნახშირას“ უფლება ტყიბულის მაღაროებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა საწარმოებზე და რატომ უნდა მიეცეს ამ საზოგადოებას გამოსასყიდი თანხა? სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია პრინციპულად ამის წინააღმდეგია, მით უმეტეს ახლა, როცა სახელმწიფო ხაზინა ცარიელია. განა დასაშვებია, რომ ხალხის ქონებიდან მილიონები გავიღოთ ორიოდე კაპიტალისტის სასარგებლოდ. მემარჯვენეთა ირონიული რეპლიკები ვერ გამაჩერებს და პირდაპირ ვიტყვი, რომ ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია გამართლებულია.[4]

გ. თევზაიამ დაგმო სოციალისტ-რევოლუციონერთა უკიდურესი რადიკალიზმი. კანონიერება მოითხოვს, რომ „ნახშირას“ კომპენსაცია მივცეთ და მის რენტაბელურ საწარმოს ამ გზით დავეუფლოთო. ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ ამჯერად მხარი დაუჭირა სოციალ-დემოკრატთა წინადადებას. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო დეკრეტი ტყიბულის მაღარო-საწარმოების გამოსყიდვის გზით ნაციონალიზაციის თაობაზე.[5]

მთავრობის მიერ დანიშნულმა ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალმა შესძლო ქვანახშირის წარმოების საკმაოდ მაღალ დონეზე შენარჩუნება. მათ მიერ დამზადებული პროდუქცია თითქმის აკმაყოფილებდა საქართველოს რკინიგზის ორთქმავალთა პარკის მოთხოვნილებას.

ომისა და რევოლუციის წლებში განსაკუთრებით გაუჭირდა გადამმუშავებელ მრეწველობას. არსებითად შეცირდა ბამბის, მატყლისა და აბრეშუმის ქსოვილების წარმოება. საგრძნობლად შეიკვეცა ტყავის ნაწარმის, თამბაქოს, ალკოჰოლიანი სასმელების, კვების პროდუქტების გამოშვება.

1918 წლეს საქართველოში არსებობდა 18900 სამრეწველო და სავაჭრო საწარმო. აქედან 3286 ფაბრიკა-ქარხანაში დასაქმებული იყო 15500 მუშა. წლის განმავლობაში დამზადდა 18 მლნ მანეთის (ომამდელი ვალუტით) პროდუქცია.

1919 წელს თბილისში მოქმედებდა 137 ფაბრიკა-ქარხანა 5202 მუშით. 1099 სახელოსნოში ოსტატებთან ერთად დასაქმებული იყო 1638 დაქირავებული ქარგალი და შეგირდი. ქალაქში არსებობდა 2302 სავაჭრო დაწესებულება 5037 მუშით, 117 საზოგადოებრივი ორგანიზაცია 2299 მუშა-მოსამსახურით. თბილისში მოქმედ 7 სატრანსპორტო საწარმოში (რკინიგზის სამმართველო, ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა, ტრამვა და სხვ.) დასაქმებული იყო 4176 მუშა. სტატისტიკა იმასაც მეტყველებს, რომ წარმოების მასშტაბის

საერთო შემცირების მიუხედავად, თითქმის შენარჩუნებულ იქნა ვაჭრობა-მრეწველობის კონცენტრაციის საკმაოდ მაღალი დონე. აღნიშნულ წელს თბილისის 5 მსხვილ ფაბრიკა-ქარხანაში იყო დასაქმებული სამრეწველო მუშების 75% და 5 მსხვილ სავაჭრო ფირმაში შრომობდა სავაჭრო დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეების 30%.

1918-1920 წლებში კერძო კაპიტალის აქტიურობა, გარკვეული მიზეზების გამო, საგრძნობლად შემცირდა, მათი საწარმოები შეიკვეცა. სამაგიეროდ გაიზარდა სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოების რაოდენობა და სვედრითი წონა. 1920 წელს თბილისში აღირიცხა სულ 475 სამრეწველო საწარმო (სახელოსნოები აქ არ შედის) 10800 მუშით. აქედან სახელმწიფოს კუთვნილ 71 საწარმოში დასაქმებული იყო 3 ათასი, მუნიციპალურ და საზოგადოებრივ 82 საწარმოში – 3,5 ათასი, ხოლო 323 კერძო საწარმოში – 4,2 ათასი მუშა. კიდევ უფრო გაზრდილი ჩანს სახელმწიფო და მუნიციპალური სექტორის წილი ვაჭრობასა და მომსახურების სფეროში.[6]

1920 წელს თბილისში ქალაქის ეკონომიკის ყველა სფეროში დასაქმებული იყო სულ 19912 მუშა-მოსამსახურე. ქალაქის მთელი მოსახლეობისა და დასაქმებულთა შეფარდება ცხადყოფს, რომ უმუშევრობამ ფართო მასშტაბი მიიღო. 1920 წლის ბოლოს თბილისში აღირიცხა 12061 უმუშევარი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უსაქმოდ დარჩენილ პროლეტართა საგრძნობმა ნაწილმა თბილისი დატოვა, სოფელს დაუბრუნდა და ამიტომ აღარ მოხვდა უმუშევართა სტატისტიკაში.

ეკონომიკური კრიზისი მეტნაკლებად შეეხო საქართველოს სხვა ქალაქებს, დაბებს, სამრეწველო ცენტრებს. ყველგან შეიკვეცა წარმება, შეეცირდა საქონელმიმოქცევა, საყოველთაო მოვლენად იქცა უმუშევრობა.

ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ერთ-ერთ საშუალებად იქნა გააზრებული საქართველო-ამიერკავკასიისათვის საერთაშორისო სატრანზიტო სავაჭრო გზის ფუნქციის დაბრუნება, რასაც აადვილებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებებად ჩამოყალიბება. ერთ-ერთ დოკუმენტში ნათქვამია: „ამიერკავკასია უხსოვარი დროიდან წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან სააღებმიცემო გზას ევროპასა და აზიას შორის. მას შემდეგ რაც რუსეთმა დაიჭირა ეს ყელი, მას დაეკარგა რამდენადმე ეს მნიშვნელობა და გადაიქცა სტრატეგიულ ბაზად, საიდანაც რუსეთის იმპერიალიზმი მუდმივი მუქარა იყო სპარსეთისა და ოსმალეთისაკენ მიმართული., ...საერთაშორისო

მშვიდობიანობის უზრუნველყოფა და ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს დაეკარგოს ამიერკავკასიას სტრატეგიული ხასიათი და სამაგიეროდ დაუბრუნდეს მას ადრინდელი კულტურული და სააღებმიცემო მნიშვნელობა, ამისათვის საჭიროა, რომ რუსეთმა კვლავ არ ჩამოდგას ამიერკავკასიაში ფეხი, ...მას საზღვრად ისევ კავკასიონი დაედვას".

დოკუმენტის ავტორი შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ინტერესიც საკითხის ამგვარ გადაწყვეტას მოითხოვს. მიზანშეწონილია საერთაშორისო შეთანხმებით მოხდეს ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფოს ნეიტრალიზაცია, ამის შემდეგ გადაიქცევა ეს ტერიტორია „ნამდვილ ხიდად აღებმიცემობის და კულტურისა ევროპასა და აზიას შორის".[6]

იმ დროს, როცა რუსეთთან არსებული სამეურნეო-ეკონომიური კავშირები წარსულს ჩაბარდა, ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭა დასავლეთ ევროპასთან კომერციული ურთიერთობის გაფართოებას. უპირველეს ყოვლისა ეს პასუხობდა ქართული ეროვნული ბურჟუაზიის ინტერესებს. ქართველ მრეწველთა და კომერსანტთა ერთ ნაწილს კარგად ესმოდა, რომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა მათი წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იყო და ამიტომ ცდილობდნენ თვითონაც გამოდგომოდნენ მთავრობასა და ხალხს. მაგალითისათვის გამოდგება აკაკი ხოშტარიას საქმიანობა.

აკაკი ხოშტარიას, როგორც მრეწველისა და კომერსანტის, აღზევება პირველი მსოფლიო ომის წინა წლებში მოხდა. იგი არ დასჯერდა ნავთის ბიზნესს ბაქოში. 1913 წელს ჩრდილო ირანში ჩამოაყალიბა კონცესიური საზოგადოება „პერსლესი", გამართა ხე-ტყის ქარხნები, აგრეთვე თევზის და საპნის სარეწები. მანვე ირანში ჩამოაყალიბა პირველი სატრანსპორტო კომპანია, მოაწყო საავტომობილო მიმოსვლა თეირანსა და ფეჰლევს შორის. აკ. ხოშტარიამ ფორდის ტიპის ავტომანქანა მიართვა საჩუქრად აპმედ შაჰს, რომელიც დიდ პატივს სცემდა ამ გურჯის ნიჭსა და გაქანებას.

აკაკი ხოშტარია, რა თქმა უნდა, არც საქართველოს ივიწყებდა. დიდი კაპიტალი დააბანდა თბილისში; მოაწყო მექანიკური, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სპილენძის ქარხნები. მისი საწარმოები მუშაობას აგრძელებდა საქართველოს დამოუკიდებლობის წლებშიც. აკ. ხოშტარია იყო დიდი ქველმოქმედი; აფინანსებდა საქართველოს კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს,სტიპენდიებს უნიშნავდა სტუდენტებს.

საქართველოს მთავრობამ ამ ბიზნესმენისაგან შეწირული ფულით შეისყიდა აშშ-სა და იტალიაში „ლინკორწის“ ტიპის ოთხი გემი.

1918 წლის 30 სექტემბერს საქართველოს მთავრობამ აკაკი ხოშტარიასა და მის კომპანიასთან (რუსკო-პერსიდსკოე ნეფტიანოე ტოვარიშესტვო) გააფორმა ხელშეკრულება ლეჩხუმის მაზრის ტერიტორიაზე მდ. რიონის წყლის რესურსების გამოყენების შესახებ. ხელშეკრულების თანახმად: 1) მეწარმეებს უფლება ეძლევათ, ჰიდრავლიკური ენერგიის ელექტრულ ენერგიად გადაქცევის მიზნით, გამოიყენონ რიონი რაჭიდან იმერეთამდე, მაგრამ ისე, რომ ზიანი არ მიაყენონ მიწის სავარგულებს; 2) არ უნდა შეილახოს და შეიზღუდოს მოსახლეობის უფლებები სასმელ, სარწყავ და სხვა საჭიროების წყალზე; 3) წყალსაცავი მოეწყოს ისე, რომ ხელი არ შეუშალოს თევზის მოძრაობასა და ხე-ტყის დაცურებას; 4-8) მშენებლობის დროს თუ საჭირო გახდება სხვისი მიწების გამოყენება ან გასხვისება, ამაზე უნდა გაფორმდეს სპეციალური ხელშეკრულება; 9) კომპანიის განუყოფელ საკუთრებას შეადგენს: ა) გადაცემულიწყლის რესურსები; ბ) ჰიდროელსადგური; გ) ელექტროგადამცემი ხაზები; დ) ნაგებობების ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთები; 10) ხელშეკრულების თანახმად კომპანია ვალდებულია წინასწარი საპროექტო სამუშაოები დაამთავროს ორ წელიწადში, ხოლო 10 ათასი ცხენისძალიანი ჰიდროელსადგური, დამხმარე საწარმოები აამოქმედოს 4 წელიწადში. კომპანიამ პირველ რიგში ელექტროენერგიით უნდა დააკმაყოფილოს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. კერძო აბონენტებთან უნდა გაფორმდეს სპეციალური ხელშეკრულებანი.

კონცესიის ვადად წესდებოდა 16 წელი ჰიდროელექტროსადგურის ამუშავებიდან. რაკი კომპანია სახელმწიფოსაგან სესხს იღებდა, იგი ვალდებულებას კისრულობდა მოგების 18% გადაერიცხა სახელმწიფო ბიუჯეტში. თუ კომპანია ვალდებულებას დროულად ვერ შეასრულებდა, იხდიდა ჯარიმას, ხოლო თუ სამუშაოებს საერთოდ ბოლომდე ვერ მიიყვანდა, ყველა ნაგებობები უსასყიდლოდ გადადიოდა სახელმწიფოს ხელში.[7]

საპროექტო სამუშაოები, როგორც ჩანს, დაიწყო, მაგრამ ხელშეკრულების განხორციელება შეუძლებელი გახდა. ასევე შეუსრულებელი დარჩა ადგილობრივ ბიზნესმენებთან დადებული თითქმის ყველა ხელშეკრულება. ძირითადი მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, დროის დეფიციტი იყო.

სათანადო დონეზე ვერ დადგა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, საზღვარგარეთული კომპანიების საქართველოში შეუფერხებლად მუშაობის საქმე. მხოლოდ 1920 წლის იანვარში გამახვილდა ამაზე ყურადღება. ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსაგან მთავრობას წარედგინა მოხსენება უცხოელთა აქციონერული საზოგადოებების საქართველოში საქმიანობის პირობების გაუმჯობესების შესახებ. ამ დოკუმენტის შემდგენელი წერს: „თანდათანი გაუმჯობესება საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის საერთო პირობებისა მედგრად იპყრობს გარეშე ქვეყნების სააქციონერო დაწესებულებათა ყურადღებას, რომლებიც შუამდგომლობას აღძრავენ, რათა მიეცეთ მათ უფლება დაიწყონ საქართველოში თავიანთი ოპერაციები". რადგან ქვეყნისათვის ეს საჭიროა, ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია მთავრობასთან ერთად დასახოს სათანადო ღონისძიებანი.

დოკუმენტის ავტორი შემდეგ წერს, რომ ამჟამად მიზანშეწონილია ხელშეკრულებათა შედგენის წესი გამარტივდეს. ხელშეკრულებაში: 1) აღინიშნება საზოგადოების ნამდვილი სახელი და იმ ოპერაციების მასშტაბი, რისთვისაც იგი საქართველოში იწყებს მუშაობას; 2) განისაზღვრება ის თანხა, რომელიც გამოყოფილია საქართველოში ოპერაციების საწარმოებლად; 3) საზოგადოება ვალდებულია დაემორჩილოს საქართველოს კანონებს, არსებულ საგადასახადო სისტემას; 4) საზოგადოების მიერ უძრავი ქონების საკუთრებად შეძენა ან იჯარით აღება უნდა ხდებოდეს საქართველოში მოქმედი კანონების მიხედვით და სამინისტროების ნებართვით; 5) აქციონერულმა საზოგადოებებმა საქართველოში მუდმივ სამყოფად უნდა გამოგზავნონ თავიანთი აგენტები, რომლებიც პასუხს აგებენ ყველა საქმეზე; 6) აქციონერული საზოგადოებები და მათი სააგენტოები ვალდებულები არიან ფინანსთა სამინისტროში წარმოადგინონ ანგარიშები, ხოლო გაზ. „საქართველოს რესპულიკაში" დაბეჭდონ ყოველწლიური შემოსავალ-გასავლის ბალანსები; 7) სადაო საქმეების განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს კანონების საფუძველზე.[8]

უცხოური კომპანიების სამრეწველო-კომერციული საქმიანობისათვის საკანონმდებლო ბაზა თითქოს შეიქმნა, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველო რუსეთის აგრესიის საფრთხის ქვეშ იმყოფებოდა, საზღვარგარეთელი კაპიტალისტები ერიდებოდნენ რისკის გაწევას. ორიოდე აქციონერულმა საზოგადოებამ გააფორმა საქართველოს

მთავრობასთან სათანადო ხელშეკრულება, მაგრამ მათი რეალიზაცია არ მომხდარა.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, რა თქმა უნდა, კარგად ხედავდა ქვეყნის ეკონომიკის მოშლას, მშრომელი ხალის გაჭირვებასა და უკმაყოფილებას. მაგრამ ვერ ახერხებდა მდგომარეობის გამოსწორებას. ყველაზე იოლ საქმედ იქცა დიდი რაოდენობით ფულის ნიშნების ბეჭდვა. სამი წლის განმავლობაში მიმოქცევაში შეიდა 17 მილიარდი მანეთი, რასაც წარმოების შეკვეცისა და სასურსათო კრიზისის პირობებში უარყოფითი შედეგი მოჰყვა. მანეთმა მსყიდველობითი უნარი დაკარგა, გაბონდა. ოქროს კურსთან შედარებით მანეთის ღირებულება სწრაფად დაეცა. 1918 წლის დამდეგს ერთი ოქროს მანეთისა და ბონის შეფარდება იყო ერთი ოთხზე, 1919 წლის ივლისში – ერთი ასორმოცდაჩვიდმეტზე, 1920 წლის დეკემბერში ერთი ათას სამასზე, 1921 წლის თებერვალში – ერთი ორი ათასზე.[8ა]

სურსათ-სანოვაგისა და პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასების ზრდამ სწრაფად გაუსწრო ხელფასის ზრდის ტემპს. ინფლაციის უარყოფითი შედეგები ძირითადად მშრომელ მასებს, საშუალო ფენებს დააწვა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქალაქების მოსახლეობა. სამოქალაქო ომის ალში გახვეული რუსეთიდან პური აღარ შემოდიოდა. საქართველოს სასოფლო რაიონების ზედაფენას ხორბლისა და სხვა სურსათის გარდამეტი, მართალია, გააჩნდა, მაგრამ მისი გაყიდვა გაუფასურებელ ბონებზე, როცა ფულის ამ ნიშნებით სამრეწველო საქონლის ყიდვა თითქმის არ შეიძლებოდა, არ სურდა. ვაჭრები და სპეკულიანტები კი, ბაზრის უფრო ხელსაყრელი კონიუნქტურის მოლოდინში, სურსათ-სანოვაგეს მალავდნენ, რითაც სასურსათო კრიზისს კიდევ უფრო ამწვავებდნენ.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. სახალხო მეურნეობის დაცემის გამო სახელმწიფო თავიდანვე ფინანსურ კრიზისს განიცდიდა, ბიუჯეტი ყოველთვის დეფიციტური იყო. საქართველოს მთავრობამ, მართალია, საგარეო ვაჭრობის მონოპოლია თავის ხელთ მოაქცია, მაგრამ იმის გამო, რომ საგარეო ვაჭრობის ბალანსი პასიური იყო სახელმწიფო ბიუჯეტს ბევრი არაფერი ემატებოდა. 1918 წელს საქართველოში შემოიტანეს 140 მლნ მანეთის საქონელი (უკრაინიდან – 110 მლნ, რუსეთიდან – 50 მლნ, თურქეთიდან – 32 მლნ, აზერბაიჯანიდან – 6 მლნ მანეთის). ექსპორტირებული საქონლის ღირებულება კი არ აღემატებოდა 87 მლნ მანეთს. ასეთ

პირობებში მთავრობა და მთელი ქვეყანა მწვავედ განიცდიდა მტკიცე ვალუტის ნაკლებობას.

დამფუძნებელი კრება, ბუნებრივია, განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდა ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებს, რადგან დეპუტატთა უმრავლესობას კარგად ესმოდა, რომ ამ სფეროში მიღწეულ წარმატებებზე იყო ძირითადად დამოკიდებული ხალხის კეთილდღეობა, სახელმწიფოს სიმტკიცე, მისი თავდაცვის უნარიანობის ამაღლება.

სამწუხაროდ დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირველ პერიოდში სათანადო სიმაღლეზე არ იდგა კადრების შერჩევის, აღრიცხვისა და კონტროლის საქმე. სამინისტროებისა და უწყებების მოხელეთა საგრძნობი ნაწილი პირადი ინტერესების პრიზმაში ხედავდა ქვეყანას, ცდილობდა ხალხისა და სახელმწიფოს ხარჯზე ხელის მოთბობას. ჯერ კიდევ 1918 წლის ოქტომბერში შემუშავდა სახელმწიფო კონტროლის დებულება. სახელმწიფო კონტროლიორად დაინიშნა გამოჩენილი ეკონომისტი ფ. გოგიჩაიშვილი. თუ ძველ რუსეთში სახელმწიფო კონტროლიორი მეფის მთავრობის მოხელე იყო და არა სახელმწიფო სათათბიროსი, საქართველოს რესპუბლიკაში ეს უწყება თავიდანვე საკანონმდებლო ორგანოსთან ჩამოყალიბდა. დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე ფ.გოგიჩაიშვილმა განაცხადა: დებულების შესაბამისად ჩატარებულმა რევიზიებმა ცხადყო მოხელეთა დაუდევრობა, უპასუხისმგებლობაც კი. გამოირკვა, რომ ბევრი ხარჯთაღრიცხვიანი ორგანოები საკუთარი საჭიროებისათვის იყენებდნენ აღებულ თანხის საგრძნობ ნაწილს, არ შეჰქონდათ იგი ხაზინაში.[5]

დამფუძნებელი კრების წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა ჩამოყალიბებისთანავე გამოვიდა დეკლარაციით, რომელშიც დიდი ადგილი ეკავა ეკონომიკური და სოციალური განვითარების პრობლემებს. მთავრობის სახელით ე. გეგეჭკორმა განაცხადა: ახალი კაბინეტი გააგრძელებს აგრარული რეფორმის გატარებას, ყოველნაირად შეუწყობს ხელს ინტენსიური სოფლის მეურნეობის აღორძინებას. არ ვაპირებთ დაბრკოლება შევუქმნათ კაპიტალიზმს, წავახალისებთ კერძო ინიციატივას და ინდივიდუალურ წარმოებას, მაგრამ დიდ იმედს ვამყარებთ აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობაზე. „მთავრობა სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობანი და კოოპერაციული საზოგადოებანი დღითიდღე მაგრდებიან და ფართო შემოქმედებით უნარს იჩენენ საწარმო და საალებმიცემო ასპარეზზე. მთავრობა მიზნად ისახავს მათ დახმარებას. ამ გზით საზოგადოებრივი

საკუთრების გაფართოებას და მის ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენებას. მთავრობა შეეცდება შრომის ინტერესების დაცვას და სოციალური კანონმდებლობის ფართო საფუძველზე აგებას".[9]

მთავრობის დეკლარაცია, ნ. ჟორდანიას და სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა ხელმძღვანელთა მოხსენებები, სიტყვები, გამოსვლები ცხადყოფს, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა ერთი რომელიმე მიმართულების ჩარჩოებში ჩაკეტვას არ აპირებდა. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას არც კაპიტალიზმის განვითარებას აქცევდა და არც საზოგადოებრივი მეურნეობის ორგანიზებას. მთავრობას მიაჩნდა, რომ იმ გარდამავალ ეპოქაში გასაქანი უნდა მისცემოდა, გარკვეული ადგილი უნდა დათმობოდა საკუთრებისა და მეურნეობის განსხვავებულ ფორმებს; წვრილი კერძო საკუთრება და ინდივიდუალური მეურნეობა, ბურჟუაზიული საკუთრება და კაპიტალისტური წარმოება, კოოპერაციული, მუნიციპალური და სახელმწიფო საკუთრება შესაბამისი მეურნეობის ფორმებით, უნდა ყოფილიყო როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლების, ყველა პოლიტიკური პარტიის, მთელი საზოგადოების ზრუნვის საგანი. ყველა მათი წარმატებული საქმიანობით გახდებოდა შესაძლებელი ეკონომიკის აღმავლობა, სოციალური ანტაგონიზმის შესუსტება, კლასობრივი ზავი, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება.

საკუთრებისა და მეურნეობის ფორმათა ასეთი შეთანაწყობა, თანაარსებობა არც მემარცხენე ოპოზიციას აკმაყოფილებდა და არც მემარჯვენეს. პირველნი მხოლოდ საკუთრება-მეურნეობის საზოგადოებრივი ფორმების მხარდაჭერას, მათი მასშტაბის გაფართოებას სთვლიდნენ მიზანშეწონილად. მემარჯვენეებს კი ნაცადი ბურჟუაზიული მეწარმეობის გაგრძელება, კაპიტალიზმის აღმავალი განვითარება მიაჩნდათ ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის საფუძვლად.

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით მთავრობის ადრინდელი საქმიანობა და სამომავლო პროგრამა შ. ალექსი-მესხიშვილმა გააკრიტიკა. მან თქვა, რომ მთავრობის დეკლარაცია არსებითად ძველ პროგრამას იმეორებს. რაც დღევანდელ პირობებში საკმარისი აღარ არისო. ახლა, როცა სოფლის მეურნეობის გარდა, წარმოების ყველა დარგი დაცემულია, კაპიტალიზმის განვითარების საფუძველი არ არსებობს. კერძო ინიციატივაზე იმედს ვერ დავამყარებთ, ეკონომიურ და ფინანსურ კრიზისს კერძო წარმოებაზე დაყრდნობით ვერ აღმოვფხვრითო. სრულიად უნდა შეიცვალოს მთავრობის

ეკონომიური პოლიტიკა, მისი სამომავლო გეგმა. „სოფლის მეურნეობაში, მრეწველობა-აღებმიცემობაში მთავრობა უნდა მიისწრაფოდეს, საღაც კი შესაძლებელია, კოლექტივიზაციისაკენ., ...მთავრობა ყოველმხრივ უნდა დაეხმაროს კოლექტიურ წარმოებას სოფლად". შ. ალექსი-მესხიშვილის აზრით, სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტებისა და ერობების ხელში უნდა გადასულიყო მასობრივი მოთხოვნილების პროდუქციის დამამზადებელი საწარმოები, სამთამადნო მრეწველობა, ელსადგურები, ზოგიერთი მსხვილი ფაბრიკა-ქარხანა, ბანკები, საბინაო მშენებლობა. უნდა მომხდარიყო სასურსათო საქმის ცენტრალიზაცია.

მხოლოდ ამ გზით და არა კაპიტალიზმის გაფეტიშებით, შ. ალექსი-მესხიშვილის აზრით, შექმნიდა მთავრობა მკვიდრ ნიადაგს ეკონომიური და შესაბამისად ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. თუ მთავრობა ჩვენს მიერ შეთავაზებული პროგრამით არ იმოქმედებს, საბაბს მისცემს ანარქიულ ელემენტებს, რომ სოციალიზმის სახელით ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრონ. „აგვირევენ წესიერებას და მიზანშეწონილ, საღ სახელმწიფო შემოქმედების მაგიერ ჩვენში გაჩაღდება სამოქალაქო ომი".

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის წარმომადგენელმა შემდეგ აღნიშნა, რომ ეროვნულ საკითხში სოციალ-დემოკრატებთან საერთო ენა გამოვნახეთ, ეროვნულ სახელმწიფოს მათთან ერთად ვუყრიდით საფუძველს, მაგრამ „ახლა დამფუძნებელი კრების წინაშე დგება გადასაწყვეტი საკითხი — რა სოციალური შინაარსის უნდა იყოს ჩვენი სახელმწიფო., ...აქ ჩვენი და მმართველი პარტიის გზა ერთმანეთს შორდება., ...მმართველი პარტია აპირებს საქართველოში დაამყაროს მხოლოდ დემოკრატიული სახელმწიფო და ერიდება მისცეს მას სოციალისტური ხასიათი., ...ჩვენი აზრით, საქართველოს განთავისუფლების დროშა, არის დროშა სოციალისტური დემოკრატიისა. ამ დემოკრატიის საქმეა ჩვენი ქვეყნის ეკონრმიკური აღორძინება განსაზოგადებული მეურნეობით, რომელიც უნდა მოაწყონ კოოპერატივებმა, საერობო და საქალაქო თვითმმართველობებმა და მთელმა სახელმწიფომ". მხოლოდ საქართველოს ფარგლებში, განაცხადა ბოლოს შ. ალექსი-მესხიშვილმა, სოციალისტური საზოგადოება ვერ აშენდება, მაგრამ ამ გარდამავალ ხანაში ჩვენმა სახელმწიფომ უნდა შექმნას სოციალიზმის ელემენტები, რათა შევემზადოთ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში გამარჯვებული სოციალიზმის მიღებისათვის.[10]

მთავრობის დეკლარაცია კიდევ უფრო მკაცრად გააკრიტიკა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ. მაგრამ შედარება ცხადყოფს,

რომ მისი პროგრამა არსებითსა და ძირითადში ემთხვეოდა სოციალ-ისტ-ფედერალისტთა პროგრამას, სოციალისტ-რევოლუციონერებმაც მთავრობისგან სოციალიზმისათვის საფუძვლის მომზადება მოითხოვეს და არა თვით სოციალიზმის აშენება.

არსებითად განსხვავებული პოზიცია დაიკავა ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ. მისი წევრები არა მარტო მთავრობის პლატფორმას აკრიტიკებდნენ, არამედ საერთოდ მკაცრად უპირისპირდებოდნენ სოციალისტური მიმართულების ყველა პარტიას, თითქმის მთლიანად იწუნებდნენ მათ სოციალურ-ეკონომიკურ პროგრამებს. სპ. კედიამ განაცხადა: „დამფუძნებელი კრების წევრნო! არასდროს ასეთის სიმკაცრით არ გამოთქმულა (გამოაშკარავებულა — ა.ბ.) წინააღმდეგობა სინამდვილესა და იდეოლოგიას შორის. ის გარემოება, რომ დამფუძნებელ კრებაში 120-ზე მეტი სოციალისტი ზის, ხოლო სინამდვილე ძალას გვატანს სახელმწიფოს ასაგებად საღი ბურჟუაზიული საფუძვლები და მეთოდები ვიხმაროთ, ეს გარემოება გვიჩვენებს, რომ სურვილი და დიდი რწმენაც უძლურია სოციალიზმის დასამყარებლად“.

მეურნეობის დაცემას, მთელი ეკონომიკის მოშლას, აღნიშნა ეროვნულ-დემოკრატთა ლიდერმა, გლობალურ ობიექტურ პირობებს აბრალებენ, მაგრამ „ამის“ გვერდით არის წმინდა სუბიექტური მიზეზები, რომელნიც ხელს უწყობს ჩვენს ეკონომიურ დაშლა-განადგურებას. აი, სწორედ აქ არის ჩვენი მთავრობის სოციალისტური ცოდო და დანაშაული., ...მთავრობას არ სურს ისარგებლოს იმ ნაცადის და ერთადერთის გზით, რომლითაც ყველგან და ყოველთვის შექმნილა და დაგროვილა ხალხის სიმდიდრე. არ არის არავითარი გარანტია, რომ მესაკუთრეს შეუძლიან თავის უძრავ-მოძრავი ქონება თავისუფლად მოიხმაროს., ...მთელი ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენი ბანკები და სხვა საკრედიტო დაწესებულებანი ოპერაციებს არ აწარმოებენ., ...სოფლის მეურნეობაც თანდათან კრიზისში შედის; მიწის საკითხის რევოლუციური წესით გადაჭრამ ყველა დააზარალა, საერთოდ მეურნეობა დასცა., ...ამ წესმა ერთი ნაწილი საზოგადოებისა ქუჩაში უსახსროდ დაჰყარა, ხოლო საზოგადოების მეორე ნაწილში მტაცებლობისა და წართმევის ინსტიქტი აუშვა., ...ასეთი უსისტემო და ულოგიკო ეკონომიური პოლიტიკა,.. ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობას ვერ მოაგვარებს“.

შემდეგ სპ. კედიამ ილაპარაკა კონკრეტულად მრეწველობის შესახებ და აღნიშნა, რომ სახალხო მეურნეობის ეს დარგიც უნუგეშო

მდგომარეობაშიაო. ამის მიზეზია საკუთრების ხელყოფა, დიდი გადასახადები და უსამართლო რეკვიზიციები. მუშათა პროფესიული კავშირებისათვის მიცემული ფართო უფლებები მრეწველთა კლასში კლავს წარმოების გაგრძელების სტიმულს. ახლა უკვე თვით სოციალისტებისთვისაც კი ცხადი უნდა იყოს, რომ ეკონომიკის გამოსწორება სოციალისტური წესით და ექსპერიმენტებით შეუძლებელია. და რაც უფრო მალე დაადგება მთავრობა ნაცად და საიმედო ბურჟუაზიულ-სახელმწიფოებრივი შემოქმედების გზას, მით უფრო მალე და ადვილად მოხერხდება საქართველოს ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება. „თუ რაიმე იყო დადებითი მთავრობის მოქმედებაში აქამდის, ეს იმდენად ხდებოდა, რამდენადაც იგი ხანდახან უახლოვდებოდა თავის პრაქტიკასა და მოქმედებაში იმ ბურჟუაზიულ ზომებს, რომლის დიდი შემოქმედებითი როლი ცხოვრებით და გამოცდილებით არის დადასტურებული“.

ბოლოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა თქვა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მთავრობასთან ერთად ვიქნებით, მაგრამ სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის დროს, თუ კი თავს იჩენს მთავრობის სოციალისტური მიზანდასახულება, მას ჩამოვშორდებით,პრინციპულ და კონსტრუქციულ ოპოზიციაში ჩავდგებითო. მინდა გამოვთქვა სურვილი, რომ დამფუძნებელმა კრებამ, რომელსაც დაევალა ჩვენი ქვეყნის (სახელმწიფოს ა.ბ.) დაფუძნება, გამოიჩინოს საჭირო სიფხიზლე და უტოპიურ ოცნებაში არ ჩაწვას ჩვენი ქვეყნის ბედი და მომავალი“.[11]

დამფუძნებელი კრების ამ ისტორიულ სხდომაზე, რომელზეც მთავრობის წარსული საქმიანობა და სამომავლო პროგრამა ფასდებოდა, ბოლო, შეიძლება ითქვას, შემაჯამებელი სიტყვის თქმა სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრს რ. არსენიძეს ხვდა წილად. მან პასუხი გასცა, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე ოპოზიციას, სცადა (არც თუ მთლად წარუმატებლად) მთავრობის პოზიციის დაცვა.

მემარცხენე კრიტიკოსთა საყურადღებოდ რ. არსენიძემ განაცხადა: სოციალ-დემოკრატია მიზნად სოციალიზმის განხორციელებას ისახავს, მაგრამ დღესვე სოციალიზმის ექსპერიმენტის დაწყება ძალიან ნაადრევად მიიჩნია. არსებობს მეცნიერულად დამუშავებული და განსაზღვრული სოციალიზმის მშენებლობის გზა, რომელიც დემოკრატიაზე გადის და დემოკრატიული მეთოდებით ხორციელდება. იგი უდევს საფუძვლად ჩვენს პოლიტიკას საქართველოს შიგნით და

გარეთ. თითქმის მთელმა მოსახლეობამ სოციალისტურ პარტიებს რომ მისცა ხმა და უპირველეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატიას გამოუცხადა ნდობა იმაზე მეტყველებს, რომ ხალხი იწონებს სოციალ-დემოკრატის მიერ არჩეულ გზას. „აქედან გამოდის ის დასკვნა, რომ ჩვენი პოლიტიკის ღერძად, მის მთავარ მამოძრავებელ ძალად უნდა დარჩეს შემდეგშიდაც იგივე პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ხალხმა ნდობა გამოუცხადა., ...ჩვენ გადაგვარჩინა და მოგვიყვანა დამფუძნებელ კრებამდის სწორედ ამ მთავარმა ხაზმა ჩვენი მოქმედებისა. დაუყონებლივ რომ გამოგვეცხადებინა რევოლუციური ბრძოლა შრომასა და კაპიტალს შუა, როგორც ეს მოსკოვმა მოიმოქმედა, ეს ვერ გადაგვარჩენდა“.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის მისამართით კი რ. არსენიძემ თქვა: არც ის გვისნიდა, რომ პარიზის გეზზე დავმდგარიყავით, ვინაიდან პარიზის გეზი არ იცნობს ამ ხაზს რევოლუციისა და რევოლუციის მსვლელობისა. ჩვენ ავიღეთ ის გეზი, რომელსაც მოითხოვდა თვით რევოლუცია და მისი შინაგან ძალთა განწყობილება.

საქართველოში შექმნილი მდგომარეობის სწორად გაგების უნარი ვისაც აქვს, განაგრძო რ. არსენიძემ, ის მიხვდება, რომ ჩვენ გვღუპავდა და გვღუპავს არა მოჭარბებული წარმოება, არამედ სისუსტე და უძლურება მისი. ბრალად გვდებენ 10 თვის განმავლობაში რომ ვერ ავალორძინეთ წარმოება, ვერ გავამრავლეთ მალალხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი ფაბრიკა-ქარხნები. კრიტიკოსებს უნდა ესმოდეთ, რომ არა თუ რევოლუციის ხანაში, სრული მშვიდობიანობის დროსაც კი, რამდენიმე თვესა და წელში შეუძლებელია ეკონომიკის არსებითი გაუმჯობესება. ობიექტური სიძნელეებია იმის მიზეზი, რაშიც მთავრობას ადანაშაულებენ. არ შეიძლება მთავრობას დავავალოთ მთელი ქვეყნის ეკონომიური აღორძინება-განვითარება. ამ სფეროში მთავარი როლი წარმოების საშუალებათა მფლობელებმა უნდა შეასრულონ. მათი პასიურობა-უმოქმედობის მიზეზი მთავრობისადმი უნდობლობა კი არა, საკუთარი ძალებისა და შესაძლებლობებისადმი უნდობლობაა. „ჩვენთვის, რასაკვირველია — თქვა ბოლოს არსენიძემ — ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიურ, შეერთებულ მოღვაწეობას, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია კერძო ინიციატივა. სადაც და ვისშიც კი ასეთ ინიციატივას დავინახავთ, ხელშემწყობი ვიქნებით მისი“. ამ ძირითადი პრინციპებისა და აღებული გეზის შესაბამისად მოხდა ყველა რეფორმის გატარება და მათ შორის აგრარული რეფორმისა, რომელიც ხალხმა

მოიწონა. იმედია ხალხის მიერ არჩეული დამფუძნებელი კრებაც მხარს დაუჭერსო სოციალ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის მთავრობისეულ პროგრამას.[12]

და მართლაც დამფუძნებელი კრების აბსოლუტურმა უმრავლესობამ მოიწონა მთავრობის წარსული საქმიანობაც და სამომავლო პროგრამაც.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობა თავის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგაც აგრძელებდა სამოქმედო გეგმის დაზუსტებას, რაშიც აქტიურად მონაწილეობდნენ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და ადგილობრივი ორგანიზაციები.

1919 წლის აპრილში ჩატარდა სოციალ-დემოკრატული პარტიის მეორე ყრილობა. მის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: პარტიის მიზანია დაამყაროს დემოკრატიულ წყობილება, განახორციელოს უპირველეს ყოვლისა პროგრამა-მინიმუმი და თანდათანობით დაიწყოს გადასვლა პროგრამა მაქსიმუმზე, მოამზადოს პირობები სოციალიზმისათვის. სოციალ-დემოკრატიული პარტია ამ მიზნის მიღწევაში ეყრდნობა სახელმწიფო ორგანოებს. ამიტომ ყრილობას მიაჩნია, რომ პრინციპულად დასაშვებია ერთი და იგივე პირები შევიდნენ როგორც პარტიულ ორგანოებში, ისე სახელმწიფოსა და თვითმმართველობის დაწესებულებებში. მაგრამ პარტიული ორგანოები არ უნდა ერეოდნენ ადმინისტრაციულ საქმეებში.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ამ ყრილობის ერთ-ერთ რეზოლუციაში ისიცაა ნათქვამი, რომ პარტია მოპოვებულ ძალაუფლებას გამოიყენებს სოციალ-ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად, სოციალიზმის საფუძვლების მოსამზადებლად. ამ მიზნის მისაღწევად სახელმწიფოს უკვე გადაეცა საკუთრებად რესპუბლიკის ტყეები, მთამადნეული, რკინიგზები, მსხვილი მამულები. იქმნება სახელმწიფოს, მუნიციპალიტეტების, ერობათა და კოოპერატივთა ახალ-ახალი საწარმოები. მაგრამ ამ გარდამავალ პერიოდში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები მოკლებული არიან საშუალებას წარმოება და აღებ-მიცემობა მარტო საკუთარი ძალით განავითარონ. ამიტომ კერძო ინიციატივას, რამდენადაც ის ემსახურება საწარმოო ძალთა განვითარებას, ფართო ასპარეზი უნდა დაეთმოს.

თავის ეკონომიური და სოციალური პროგრამის ცხოვრებაში გატარებისათვის ს. დ. პარტიის ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია რესპულიკის ცენტრალური ეკონომიური საბჭოს დაარსება. ამ საბჭოს ხელმძღვანელობა უნდა გაეწია სახელმწიფო და საზოგადოებრივი

სექტორის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა საქმიანობისათვის. ყრილობამ გადაუდებელ საქმედ მიიჩნია აგრეთვე მუშათა კანონმდებლობის შექმნა, პროფესიულ კავშირთა დამოუკიდებლობის განმტკიცება. პროფესიულ კავშირთა მოვალეობად მიიჩნია საქმიანობა შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, მაგრამ თვით მუშებსა და მათ ორგანიზაციებსაც უნდა ეზრუნათ საწარმოო ძალთა განვითარების, შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის.

დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ, რა თქმა უნდა, ანგარიში გაუწია პარტიის მეორე ყრილობის რეზოლუციებს, დაამუშავა სათანადო დეკრეტის პროექტი, რომელიც დაამტკიცა დამფუძნებელმა კრებამ. ამ დეკრეტის საფუძველზე შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო.

დებულების მიხედვით უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს მოვალეობად ცხადდებოდა: 1) საქართველოს სახალხო მეურნეობის არსებული სტრუქტურის შესწავლა; 2) თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამისი მეურნეობის ახალი ფორმების შექმნა და მათი განვითარების საშუალებათა გამონახვა; 3) სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საწარმოთა საქმიანობის კოორდინაცია; 4) რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარების ერთიანი გეგმის შემუშავება; 5) სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგება, ბიუჯეტის შედგენის ხელმძღვანელობა.

საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი ეკონომიკური საბჭო შედგებოდა სამი განყოფილებისაგან (წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსების). პირველ მათგანს ევალებოდა საწარმოო ძალთა მდგომარეობის გამოკვლევა, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულების განსაზღვრა, მიმოსვლა-გადაზიდვის საშუალებათა გაუმჯობესება, კონცესიათა პირობების განხილვა-დაზუსტება. მეორე განყოფილების ფუნქციას შეადგენდა შინაგანი და საგარეო ვაჭრობის მეთვალყურეობა, რეგულირება, საბაჟო ტარიფების განსაზღვრა, მომარაგების საქმის გაუმჯობესება. მესამე — ფინანსური განყოფილების დანიშნულება იყო სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობაში მოყვანა, საგადასახადო სისტემის მოწესრიგება; სახელმწიფო მმართველობის ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოთა ბიუჯეტების გამიჯვნა. უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოსთან არსებობდა აგრეთვე სახელმწიფო და მუნიციპალური მეურნეობის, კოოპერაციული და კერძო საწარმოების სექციები.

უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოს, მის სტრუქტურულ დანაყოფებს ხელმძღვანელობდნენ თავმჯდომარე, მისი ამხანაგი, განყოფილება-სექციების გამგეები. საბჭოს დადგენილება-გადაწყვეტილებანი სავალდებულო იყო ეკონომიკის სფეროში მოქმედი ყველა დაწესებულებისათვის. უთანხმოების შემთხვევაში საქმეს წყვეტდა მინისტრთა კაბინეტი.[13]

საქართველოს უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს შექმნა თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ მმართველმა პარტიამ ანგარიში გაუწია მემარცხენე ოპოზიციიდან მომდინარე კრიტიკას, მის წინადადებას, გადაწყვიტა ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში უფრო აქტიური ჩარევა, სოციალიზმის საფუძვლების მოსამზადებლად ზოგიერთი ღონისძიების გატარება. მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკაში ასეთი კორექტივის შეტანამ ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა მოსახლეობის დაბალი ფენისა და სოციალისტური მიმართულების პარტიათა მისწრაფება. სამაგიეროდ გააძლიერა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ოპოზიციური განწყობილება.

სასურსათო კრიზისის გაღრმავებისა და შიმშილობის კონტურების გამოჩენის გამო, მთავრობამ საჭიროდ მიიჩნია შეექმნა ახალი უწყება-მომარაგების სამინისტრო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ნ. ჟორდანიამ განაცხადა: „ამ სამინისტროს დაარსება თავისთავად ნიშნავს იმას, რომ მთავრობა თვითონ ჩაება აღებ-მიცემობის საქმეში., ...ეს მდგომარეობა არის გამოწვეული ობიექტური მიზეზებისაგან". არა მარტო საქართველოში, არამედ თითქმის ყველგან, აღნიშნა პრემიერმა, ეკონომიკური კრიზისია. ასეთ პირობებში კაპიტალი მნიშვნელოვანწილად სპეკულიანტურ სახეს ღებულობს. „თუ სპეკულიანტებს დავანებეთ სრულად ბუროი და მოედანი, თავისთავად ცხადია, მთელი ხალხი შეიქმნება საწველ ფურად., ...სახელმწიფოს მიერ ვაჭრობის დაწყება ნიშნავს სპეკულანტური კაპიტალის ერთგვარ ალაგმვას". ნ. ჟორდანიამ ისიც აღნიშნა, რომ დღევანდელ პირობებში ვაჭრობის რეგულირების საქმეს ხელს ისეთი სახელმწიფოებიც კიდებენ, რომელნიც თითქმის ყოველთვის ვაჭრობის თავისუფლების პოზიციაზე იდგნენო. ყველასათვის გასაგები უნდა იყოს აგრეთვე ის, რომ მომარაგების სამინისტრო შევუერთეთ შრომის სამინისტროს. ახლა ყველაზე მეტად მუშა-მოსამსახურეებს უჭირს და ამ ორმა სამინისტრომ შეერთებული ძალით უნდა იღვაწოსო ამ ფენათა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.[14]

ეროვნულ-დემოკრატიულმა ფრაქციამ მთავრობას უსაყვედურა, რომ მან გადააცილა თავის უფლება-მოსილების სფეროს; დამფუძნებელი კრების სანქციის გარეშე, არაპარლამენტური წესით შექმნა ახალი სამინისტრო. მთავრობის თავმჯდომარე გვარწმუნებს, რომ აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა ვაჭრობასა და სურსათ-სანოვაგით მოსახლეობის მომარაგებაში. ჩვენ კი მიგვაჩნია, რომ თავისთავად სამინისტროს შექმნა ბევრს არაფერს ცვლისო. ალ. ასათიანმა შეახსენა პრემიერს – ვაჭრობის სამინისტროსაც დიდი უფლებები ჰქონდა, მილიარდიანი ქონება შეიძინა, მაგრამ სახელმწიფო ბიუჯეტს თანხები და ხალხს კეთილდღეობა ვერ შემატაო. ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია ვაჭრობის სრულ თავისუფლებას როდი მოითხოვს. გარკვეული შეზღუდვები უნდა იყოს, ვაჭრობის რეგულირება საჭიროა, მაგრამ არ უნდა ილახებოდეს მოქალაქეთა უფლებები. ჩვენ გვინდა შეიქმნასო უფლებრივი ნორმები ყველა მოქალაქის დაცვისა და ყოველგვარი წარმატებისათვის.[15]

თედო ღლონტის აზრით, სასურსათო პრობლემის ესოდენ გამწვავების მიზეზი ის იყო, რომ საქართველოში არ ტარდებოდა „ერთი სასურსათო პოლიტიკა:, ...იმდენი დამოუკიდებელი სასურსათო პოლიტიკა არსებობს, რამდენიც არის ქალაქი, რამდენიც არის ერობა“. მთავარი ნაკლი მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკისა მაინც ის იყო, თ. ღლონტის აზრით, რომ იგი ვერ იყენებდა საქართველოს ხელსაყრელ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ვერ ახერხებდა სახელმწიფო შემოსავლების ზრდის საშსახურში ჩაეყენებია სატრანზიტო რკინიგზები, ნავსადგურები და სხვ. საშუალებანი. მთავრობა ვერც იმას ახერხებსო, რომ ეკონომიკური აღმავლობისა და ფინანსების გაჯანსაღებისათვის დარაზმოს მუნიციპალიტეტები, ერობები, კოოპერატივები. ეს დაწესებულებები ფაქტობრივად უპატრონოდ არიან დარჩენილი. ერობები იძულებული ხდებიან ადმინისტრაციულ საზღვრებზე ბაჟები დააწესონ, რაც სურსათ-სანოვაგეს კიდევ უფრო აძვირებს. თვითმართვის, უზრუნველყოფის ასეთი ფორმა დიდ ზარალს აყენებსო მთელ ხალხს, სახელმწიფოს.

6. ჟორდანიამ ნაწილობრივ გასათვალისწინებლად მიიჩნია შენიშვნა ერობის მიერ თავის უფლებამოსილების გადაცილების თაობაზე, აღნიშნა – მთავრობა ასეთ დარღვევებს ებრძვის, ერობებს ვუკრძალავთ ფეოდალური საბაჟოების შექმნას, მაგრამ საკითხის გადაწყვეტას ის აძნელებს, რომ დამფუძნებელ კრებას ჯერ არ განუსაზღვრავს

ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობის ურთიერთობის ნორმები, მათი უფლება-კომპეტენციის ფარგლები. შეფასება, მთავრობის თავმჯდომარის აზრით, ობიექტური და ამავე დროს შეფარდებითი უნდა ყოფილიყო. ფაქტი არის, რომ პურის მწარმოებელ ქვეყნებში (რუსეთი, უკრაინა) პური გაცილებით ძვირია, ვიდრე საქართველოში. იმპერიის ნანგრევებზე შექმილ სახელმწიფოთა შორის ცხოვრების დონე შედარებით მაღალია საქართველოში. ეს სასწაული კი არა საღი პოლიტიკის ნაყოფიაო. ზოგიერთთა მიერ შემოთავაზებული წინადადებები რომ მიგველო, არა თუ პური გვექნებოდა, ქვაქვაზედაც კი არ დარჩებოდაო. მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იმ ვარაუდზეა აგებული, რომ ევროპიდან დიდ დახმარებას ვერ მივიღებთ, უნდა დავეყრდნოთ საკუთარ საწარმოო ძალებს; ყველაფერი უნდა გავაკეთოთ მიწის რაციონალური დამუშავების, სასურსათო პრობლემის გადაჭრისათვის. მუშათა კლასი და გლეხობა, თქვა ბოლოს ნ. ჟორდანიამ, კაპიტალიზმის მხრებზე დგას და უნდა იდგეს კიდევ კარგახანს. ეს სოციალური ფენები არიან ბურჟუაზიის მემკვიდრე, ისინი შექმნიან უფრო მეტ სიმდიდრეს. ასეთი გზა აქვს არჩეული საქართველოს დემოკრატიას, ეს გზა უნდა განამტკიცოსო დამფუძნებელმა კრებამ.[17]

დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობას, მთავრობის წევრებს კარგად ესმოდათ, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის სარკე სახელმწიფო ბიუჯეტი, მისი შემოსავალ-გასავალი იყო. მაგრამ ფაქტია, რომ ახლად აღორძინებული ქართული სახელმწიფო კარგახანს უბიუჯეტოდ ფუნქციონირებდა. მთავრობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოითხოვდა სათანადო ხარჯების ანაზღაურებას ჯერ დროებითი პარლამენტისაგან, შემდეგ კი დამფუძნებელი კრებისაგან. არც შემოსავლის წყაროები იყო წინასწარ ცნობილი და განსაზღვრული, არც დაშვებული თანხების ხარჯვაზე არსებობდა მკაცრი კონტროლი. ამიტომ ხშირად გამოითქმოდა შენიშვნები მთავრობის, ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

1919 წლის შუახანებში ფინანსთა სამინისტრომ შეადგინა სახელმწიფო ბიუჯეტის საკარაულო მონახაზი, განსაზღვრა შემოსავალ-გასავალი 1919 წლის 1 ივნისიდან, 1920 წლის 1 ივნისამდე. პროექტის მიხედვით შემოსავლის ძირითადი მუხლები იყო: 1) პირდაპირი გადასახადები – 109 მლნ მანეთი; 2) არაპირდაპირი გადასახადები – 171 მლნ მანეთი; 3) ბაჟები – 40 მლნ; 4) მთავრობის რეგალიები – 44 მლნ მან.; 5) სახაზინო უძრავ-მოძრავი ქონებისა და

კაპიტალისაგან – 646 მლნ. მან.; 6) მთავრობის სამეურნეო ოპერაციებისაგან – 767 მლნ მანეთი და სხვ. მთელი შემოსავალი – 1 950 380 000 მანეთი. სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი: 1) დამფუძნებელი კრების ხარჯები – 10 მლნ მან; 2) მთავრობის საქმეთა მმართველობის – 182 მლნ მან; 3) შინაგან საქმეთა სამინისტროს – 207 მლნ მან.; 4) სახალხო განათლების სამინისტროს – 137 მლნ მან.; 5) სამხედრო სამინისტროს – 539 მლნ მან.; 6) გარეშე საქმეთა სამინისტროს – 24 მლნ მან.; 7) იუსტიციის სამინისტროს – 45 მლნ მან.; 8) ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს – 297 მლნ მან.; 9) მიწათმოქმედების სამინისტროს – 87 მლნ მან.; 10) გზათა სამინისტროს – 417 მლნ მან; 11) შრომის სამინისტროს – 11 მლნ მან.; 12) სახელმწიფო კონტროლს – 9 მლნ მანეთი.[18]

დამფუძნებელი კრების საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამ განიხილა საკითხი და ბიუჯეტის შემოსავალ-გასავლის წონასწორობაში მოყვანის წინაპირობად მიიჩნია საგადასახადო სისტემის მოწესრიგება, საკუთრება-მეურნეობის ყველა ფორმისათვის ხელის შეწყობა, ეროვნული ფულის ნიშნების შექმნა,ერთი სალაროს პრინციპის დაცვა,ყველა შემოსავლების სახელმწიფო ბიუჯეტში ჩარიცხვა.

სამწუხაროდ ვარაუდები და გეგმები იშვიათად ხორციელდებოდა. საბიუჯეტო შემოსავალი ყოველთვის ნაკლები იყო გასავალზე. ეროვნული ვალუტის შემოღებისათვის საფუძველი ვერ მომზადდა. სხვა შემოსავალი არ ჩანდა და მთავრობა ხშირად მოითხოვდა დამფუძნებელი კრებისაგან ბონების გამოშვების ნებართვას.

1919 წლის 4 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ განიხილა ბონების გამოცემის საკითხი. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიამ განაცხადა, მთავრობას ამაზე უარს ვერ ვეტყვით, მაგრამ ბონების იმედად ქვეყანა დიდხანს ვერ დარჩება, აუცილებელიაო შემოსავლის რეალური წყაროების გამონახვა. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითადი საფუძველი ყველგან სოფლის მეურნეობა და მრეწველობა ყოფილა და არის, მაგრამ საქართველოს დღევანდელ პირობებში საკითხი ასე ისმის: ვის უნდა დაემყაროს სახელმწიფო ეკონომიკის სფეროში – კერძო ვაჭარ-მრეწველებს, თუ საზოგადოებრივი ხასიათის სამეურნეო დაწესებულებებს? ჩვენის აზრით, მხოლოდ კოოპერატივები და მათი მსგავსი ორგანიზაციები მოგვცემენ საშუალებას მტკიცე ნიადაგზე დავაყენოთ ეკონომიკაც და ფინანსებიც.[19]

უფრო მკაცრი კრიტიკით გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია. ალ. ასათიანმა უტოპიური, არარეალური უწოდა მთავრობის ეკონომიურ პოლიტიკას. ბურჟუაზია, კერძო მესაკუთრე, ქალაქის და სოფლის მწარმოებელი ქმნის ქვეყნის დოვლათს, სოციალისტებს კი ჯერ არაფერი შეუქმნითო. რუსმა ბოლშევიკებმა ორ წელიწადში გაანადგურეს ასწლობით დაგროვილი სიმდიდრე. თითქმის ასეთსავე გზით მიდიან ჩვენი მენშევიკები. მათ კარგად არ ესმით ბურჟუაზიისა და კერძო ინიციატივის დიდი მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სფეროში. „ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში ისეთი პოლიტიკა, როგორსაც ევროპის სახელმწიფოები აწარმოებენ. კერძო საკუთრებას საფუძველი არ უნდა შევურყიოთ, მტაცებლობის პოლიტიკას თავი უნდა დავანებოთ., ...მუშათა საკითხი ისე უნდა დავაყენოთ, როგორც ევროპის ქვეყნებშია. ამ საკითხში და სხვა საკითხებშიც ევროპას წინ ნუ გავუსწრებთ". თუ ევროპის პრაქტიკას და გამოცდილებას გადავახტებით საბედისწერო შეცდომას დავუშვებთო. ერთი სიტყვით, ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას მისაბაძად მიაჩნდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში შექმნილი ეკონომიკური სისტემა, რომელიც სახელმწიფოს უხეში ჩარევის გარეშე ფუნქციონირებდა, რომელშიც, მართალია, კაპიტალისტური ხასიათის აქციონერული გაერთიანებანი ასრულებდნენ წამყვან როლს, მაგრამ კოოპერაციულ ორგანიზაციებსაც თავისუფალი გასაქანი ჰქონდათ მიცემული.[20]

სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის მიმართების პრობლემა გაცილებით ფართო მასშტაბით განიხილა ბურჟუაზიული ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დ. აფხაზმა. 1919 წლის 7 ნოემბერს მან დამფუძნებელ კრებაში წარადგინა ვრცელი მოხსენებითი ბარათი „საქართველოს ვაჭრობა-მრეწველობის თანამედროვე მდგომარეობა და მთავრობის უახლესი ღონისძიებანი ამ სფეროში".

ავტორი აღიარებს, რომ მემარცხენე ძალებმა საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიეს ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაში. მაგრამ ამ გაცხოველებული პოლიტიკური მუშაობის დროს თითქმის მთლიანად უყურადღებოდ იყო მიტოვებული წარმოება და ჩვენი საშობლოს ეკონომიკურმა დაცემამ შეიძლება დამოუკიდებლობის დაკარგვამდე მიგვიყვანოსო.

დ. აფხაზს მიაჩნდა, რომ ქვეყნის ეკონომიკის აღორძინება-განვითარება უნდა მომხდარიყო სასაქონლო ურთიერთობის საფუძველზე: მთავრობამ,

მართალია, აღიარა კაპიტალისტური წყობილების არსებობა, მაგრამ იგი ძალიან მცირე ანგარიშს უწევს მისთვის საჭირო სტიმულებს და განვითარების კანონებს. ამის შედეგია მრეწველობის თითქმის ყველა დარგის დაცემა, პროდუქციის გამოშვების მინიმუმამდე შემცირება. მომხსენებელი აკრიტიკებს მთავრობის საგადასახადო პოლიტიკასაც, აღნიშნავს, რომ თბილისის მთელი მრეწველობის შემოსავალი 35 მლნ მანეთს შეადგენს, მრეწველებს კი შეწერილი აქვთ 60 მლნ მანეთის გადასახადი. ამან გამოიწვია საწარმოო ინიციატივის აღმოფხვრა, ბევრმა კაპიტალისტმა უკვე მოახდინა წარმოების ლიკვიდაცია. ასეთ განწყობილებას იწვევს საერთოდ ბიზნესისადმი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი უნდობლობა. მრეწველი და ვაჭარი არაა იმედით განწყობილი ხვალინდელი დღისადმი. რის გამო სარიკსოდ მიაჩნიათ საქმის დაწყება.

დ. აფხაზის მოხსენების მეხუთე თავს ეწოდება – „სახელმწიფო და სახალხო მეურნეობა". იქ აღნიშნულია, რომ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებისადმი დამოკიდებულების სამი მეთოდი არსებობს: 1) სამეურნეო პროცესებში უშუალო ჩარევა; 2) სამეურნეო განვითარებისათვის სათანადო პირობების მომზადებაში მონაწილეობა; 3) სახელმწიფო საერთოდ არ ერევა სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სახელმწიფომ ამ სამიდან ერთი რომელიმე მეთოდი უნდა აირჩიოს. ავტორი აღნიშნავს, რომ ჩვენს პირობებში მესამე მეთოდი მიუღებელია, რადგან ამჟამად თავისუფალი ვაჭრობა-მესაერეწობის კლასიკური ქვეყანა ინგლისიც კი უარს ამბობსო ამ პრინციპზე. პირველი მეთოდი ფართოდ გამოიყენა საბჭოთა რუსეთმა და მას ეკონომიკური კატასტროფა მოჰყვა. ამიტომ საქართველოს მთავრობამ მეორე მეთოდი უნდა გამოიყენოსო. საქართველოში ბატონობს წარმოების კაპიტალისტური წესი და მთავრობამ უნდა აღიაროს, რომ ასეთ პირობებში თვით სახელმწიფოს და თანაც ასე ახალგაზრდას არ შეუძლია საკუთარი მეურნეობის შექმნა, ეს საქმე კერძო ინიციატივას უნდა მიანდოსო.

მოხსენებითი ბარათის ავტორის აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი პროგრამა უნდა დაფუძნებოდა ზემოაღნიშნულ მეორე პრინციპს და მთავრობას უნდა ეზრუნა აღმოფხვრისათვის იმ დაბრკოლებათა, რაც ხელს უშლიდა ნორმალურ სამეურნეო საქმიანობას და მასვე ხელი უნდა შეეწყო მწარმოებლურ ძალთა განვითარების პროცესისათვის. ამის წინაპირობად დ. აფხაზს მიაჩნდა ეროვნული

ვალუტის შემოღება. მაგრამ რაკი საამისო პირობები ჯერ არ იყო, მთავრობას საოანადო ზომები უნდა გაეტარებია არსებული ფულის ნიშნების საფუძველზე ფულადი მიმოქცევის მოწესრიგებისათვის. ახლავე შეიძლება მოვხსნათო ყველა შეზღუდვები საკრედიტო ოპერაციებზე, აღვადგინოთ ბანკების ნორმალური საქმიანობა, შევქმნათ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა დაკრედიტების პირობები. სახელმწიფომ კონტროლი უნდა დაამყაროსო მხოლოდ საკრედიტო ოპერაციების კანონიერებაზე.

დ. აფხაზი ხაზგასმით წერს, რომ გადასახადების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს მოსახლეობის გადახდის/უნარიანობას და ქვეყნის განვითარების დონეს. საჭიროა არსებული საგადასახადო სისტემის შეცვლა. ადგილობრივ თვითმმართველობებს აეკრძალოს მოსახლეობის დაბეგვრა. გადასახადების დაწესება და აკრეფვა უნდა გახდეს რესპუბლიკის მთავრობის მონოპოლია. თვითმმართველობებმა ცენტრიდან უნდა მიიღონ დაფინანსება.

მოხსენების ავტორი ასკვნის, რომ ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება შეუძლებელია ვაჭრებისა და მრეწველების გარეშე. სახელმწიფომ მჭიდრო კონტაქტი უნდა დაამყაროს მათთან სავაჭრო-სამრეწველო პალატის მეშვეობით. მთავრობასა და ვაჭარ-მრეწველთა შორის გაგება და ნდობა იქნება საფუძველი ქვეყნის ეკონომიკური აღორძინებისა. ამასთან ერთად აუცილებელია უცხოური კაპიტალის მოზიდვა. მაგრამ ეროვნულმა სახელმწიფომ უნდა შეინარჩუნოს სამრეწველო ჰეგემონობა. მთავრობა და საქართველოს მოქალაქენი უნდა გახდნენო ახლად შექმნილი საკონცესიო-აქციონერულ საზოგადოებათა ძირითადი მონაწილენი.[20]

ფაქტია, რომ საქართველოს მთავრობა ბურჟუაზიული ოპოზიციის წარმომადგენლებსაც უსმენდა. ზოგ შენიშვნასა და წინადადებას ღებულობდა კიდეც. ფინანსთა სამინისტრომ, როგორც ითქვა, შეადგინა 1919-1920 წწ. სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომლის განხილვა დამფუძნებელ კრებაში რამდენიმე თვე გრძელდებოდა. ოპოზიციურმა პარტიებმა ეს ფაქტი თავისთავად დადებით მოვლენად მიიჩნიეს, მაგრამ მისი ფორმა და შინაარსი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს.

სოციალისტ-რევოლუციონერთა სახელით ლ. შენგელაიამ განაცხადა: ორი წელი გავიდა და ძლივს მოგვეცა საშუალება ვიმსჯელოთ სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალზე. როგორც იქნა შემოიტანეს რაღაც დოკუმენტი, უბრალო საბუღალტრო ანგარიში. მაგრამ სო-

ციალ-დემოკრატიულ დამფუძნებელ კრებას მაინც ერთგვარ დამსახურებად ჩაეთვლება ალბათ „ის გარემოება, რომ უკანა რიცხვით დაამტკიცებს იმას, რასაც ბურჟუაზიული პარლამენტები წინა რიცხვით ამტკიცებენ“. ლ. შენგელაიამ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის შემოსავლის მუხლები არარეალურად არისო გათვლილი. მოუწესრიგებელია საგადასახადო სისტემა. მუშა და გლეხი გადასახადს არ იხდის, მთავრობამ არ ინება საგადასახადო ტვირთის ძირითადი სიმძიმის ბურჟუაზიაზე გადატანა, თუმცა თვით სისტემის შეცვლის გარეშე არც ბურჟუაზია იქნებაო წესრიერი გადამხდელი. ამ მემარცხენე პოზიციაზე მდგარმა მოღვაწემ მთავრობას კვლავ მოუწოდა აქტიურად ჩარეულიყო ეკონომიკურ ცხოვრებაში, ამის გარეშე წინ ვერ წავალთო.

ეროვნულ-დემოკრატმა ალ. ასათიანმა აღნიშნა, რომ დამფუძნებელ კრებაში წარმოდგენილი ანგარიშები ბიუჯეტად მონათლეს და ალბათ ამიტომ მიიღო კამათმა მწვავე ხასიათი. „ჩვენ არ შეგვიძლია ვუარვყოთ ესა თუ ის ხარჯები, ვინაიდან ის უკვე გაწეულია ფაქტიურად., ...უნდა გამოგვერკვია, თუ რა შეცდომა დაუშვა მთავრობამ ჩვენს მიერ გაღებული კრედიტების მოხმარებაში და რამდენად შესძლო მან ნამდვილ სახელმწიფო ბიუჯეტისათვის ნიადაგის მომზადება“. თავის გამოსვლის მეორე ნაწილში ალ. ასათიანმა „გასული წლის ანგარიშებს“ მაინც ბიუჯეტი უწოდა და მიუთითა მის ძირითად ნაკლზე, რაც შემოსავლის წყაროთა არარეალურობაში გამოიხატებოდა.

უმრავლესობის წარმომადგენელი ვ. თევზაია მკაცრად დაესხა თავს კრიტიკოსებს, ოპოზიციის შენიშვნებში კონსტრუქციული არაფერი ყოფილაო. „ჩვენ გვეგონა, რომ ოპოზიციის ორატორები დაგვიწუნებდნენ ბიუჯეტს და შემდეგ თავის გეგმას წარმოადგენდნენ. მაგრამ სამწუხაროდ ეს არ მოხდა. უბადრუკია ის ოპოზიცია, რომელსაც საკუთარი გეგმა არ აქვს, ან ვერ ახერხებს მის დამფუძნებელი კრების წინაშე გამოქვეყნებას.

ოპოზიციის შეურაცხმყოფელი თევზაიას გამოსვლის შემდეგ სიტყვა აიღო სპ. კედიამ. ხაზგასმით აღნიშნა, რომ სოციალ-დემოკრატია — „პასუხისმგებელი უმრავლესობა ჩვენი პარლამენტისა ვერ ბედავს მთავრობის მხილებას მაშინაც კი, როცა აშკარა შეცდომას უშვებს., ...პარლამენტის უმრავლესობა მთავრობას პასუხისმგებლობაში რომ ჩააყენებდეს, ...ღირსება დამფუძნებელი კრებისა უფრრ აიწევს ხალხის თვალში. მაგრამ დამფუძნებელ კრებაში ამას ვერასდროს ვხედავდი და ვერც ღღეს დავინახეო.[21]

სპ. კედიას შეგონებამ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია ვერ გამოიასწორა. დამფუძნებელ კრებაში ერთი პარტიის აბსოლუტური უმრავლესობის არსებობა მისი დიდი ნაკლი იყო. მმართველი პარტია თითქმის ყოველთვის ახერხებდა ოპოზიციის დამარცხებას, თავის წინადადება-პროექტების გაყვანას, რომელნიც ყოველთვის როდი პასუხობდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს.

აგრარული რეფორმის გატარება 1918 წელს დაიწყო და დამფუძნებელი კრების მოწვევამდე თითქმის დამთავრდა კიდეც, მაგრამ ამ საკითხზე დავა და კამათი შემდეგაც გრძელდებოდა. ჯერ კიდევ 1918 წლის 23 თებერვალს მიღებული იქნა დეკრეტი მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვის თაობაზე. მემარჯვენე ოპოზიცია ყოველთვის იბრძოდა მისი გაუქმებისათვის; აღნიშნავდა, რაკი მიწის კერძო საკუთრება აღიარებულია, სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრულობა მოითხოვს ამ აკრძალვის გაუქმებას, მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვებასო.

მმართველმა პარტიამ ბოლოს და ბოლოს სამართლიანად მიიჩნია ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თვალსაზრისი. 1920 წლის 23 იანვარს ეს საკითხი დამფუძნებელი კრების სხდომაზე გამოიტანა კ. ნინიძემ, მის გამოსვლაში იგრძნობოდა, რომ მთავრობასა და მემარჯვენე ოპოზიციას ამ საკითხში უპირისპირდებოდა სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია. სწორედ მის წევრთა დაშოშმინების მიზნით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კერძო საკუთრება არაა საყოველთაო იდეალი, მისი დატოვება მიწაზე სულაც არ ნიშნავსო საზოგადოებრივი ინიციატივის შეზღუდვას, საერობო, მუნიციპალური და კოოპერაციული მეურნეობების აკრძალვას. 23 თებერვლის დეკრეტის მიზანი იყო, — თქვა შემდეგ სოციალ-დემოკრატიის წარმომადგენელმა, — აგრარული რეფორმის საწყის სტადიაზე მიწის გაყიდვის შესაძლებლობა წაერთმია მსხვილი მემამულეებისათვის. დღეს მსხვილი მიწათმფლობელობა უკვე ლიკვიდირებულია და ამდენად 23 თებერვლის კანონი მოძველდა. ახლა იგი უკვე თავისუფალ წვრილ მესაკუთრეთა უფლებას ზღუდავსო. „ის ფაქტიურად ეწინააღმდეგება გლეხობის ინტერესებს, ართმევს საშუალებას თავის ინტერესთა დაცვისას“.

კ. ნინიძემ ისიც აღნიშნა, რომ ფაქტიურად მიწის ყიდვა-გაყიდვა ხდება. მისი აკრძალვა კანონით არ შეიძლება, რადგან საკუთრების უფლება თავისთავად გულისხმობს ყიდვა-გაყიდვის უფლებასაც, რაც სავსებით შეეფერება ხალხის განწყობილებას და ეკონომიურ ვითარებას.

ბოლოს მომხსენებელმა თქვა, რომ მიწის მაქსიმალური ნორმის დაწესება დროებითი რევოლუციური ღონისძიება იყო. ჩვენ არ შეგვიძლია სამუდამოდ დავაკანონოთ იგი. ამას არც პოლიტიკური ინტერესი მოითხოვს და არც ეკონომიკური. მით უმეტეს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია თოკით ვიაროთ და ყოველთვიურად ვზომოთ მიწის ნაკვეთები. სამომავლოდ არაა გამორიცხული მიწის სოციალიზაცია ან ნაციონალიზაცია, მაგრამ დღეს კი აუცილებელია 23 თებერვლის დეკრეტის გაუქმება, მიწის ყიდვა-გაყიდვის დაშვებაო.[24]

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქციამ არა მარტო განსახილველად შემოტანილი დეკრეტი დაიწუნა, არამედ დამფუძნებელ კრებას მოუწოდა საერთოდ უარეყო ადრე მიღებული აგრარული კანონები, არსებითი კორექტივები შეეტანა უკვე გატარებულ აგრარულ რეფორმაში. ილია ნუცუბიძემ აგრარული კანონის ძირითად ნაკლად ის მიიჩნია, რომ არ ჰქონდა მეცნიერული საფუძველი, არ ასულდგმულებდა სოციალისტური იდეალი. მხოლოდ მეცნიერულ-ინტეგრალურმა მსოფლმხედველობამ შესძლო, მისი თქმით, სიმების გაბმა „თეორიულ ცასა“ და „პრაქტიკულ მიწას“ შორის, მარქსისტები კი ამ უნარს მოკლებული არიან. მათ მხოლოდ ის შესძლეს, რომ მემამულეებს ჩამოართვეს მიწები და გლეხებზე გაყიდეს. ამით კი აგრარული ურთიერთობა არ შეცვლილა. „ერთადერთი, რასაც შეჰქონდა ძველ წესებში ცოტაოდენი ცვლილება, იყო მიწის ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა. წარმოდგენილი დეკრეტით კი მიწის ყიდვა-გაყიდვა დაშვებულია. ასე, რომ მთავრობა ძველის თითქმის სრულ რესტავრაციას ახდენს, მიწის საკითხს გადაუჭრელს სტოვებსო. ი. ნუცუბიძის აზრით, დეკრეტი ზარალს მიაყენებდა სახალხო მეურნეობას, სახელმწიფოს და ამიტომ დამფუძნებელ კრებას მის დამტკიცებაზე უარი უნდა ეთქვა.[25]

ილია ნუცუბიძის რევოლუციური პათოსით აღშფოთებულმა ნ. ნიკოლაძემ განაცხადა: „სირცხვილი არ არის, რომ დღეს ამ ხალხის წინაშე... გამოვიდეს ვინმე და იძახოს, საკუთრების უარყოფა იდეალს შეადგენსო? არსად არცერთ სახელმწიფოში, მით უფრო მეცნიერებაში ასეთი ცნება არ არსებობს“. რა ფასი აქვს სოციალისტთა სხვადასხვა კონგრესების დადგენილებებს, როცა მათ არც ხალხი სცნობს და არც მთავრობა. აბსოლუტური უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ მრავალწლიანი კულტურების, ინტენსიური მეურნეობის ქვეყნებში მიწაზე სრული საკუთრება აუცილებელი არის და ამდენად დეკრეტი გამართლე-

ბულიაო.[26]

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, მართალია, კერძო საკუთრების პრინციპს იცავდა, მაგრამ არც საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საკუთრებას უგულვებელყოფდა. როგორც ითქვა, საკმაო რაოდენობით შეიქმნა სახელმწიფო და მუნიციპალური საწარმოები, კოოპერატიული გაერთიანებები. მთავრობას საჭიროდ მიაჩნდა ვაჭრობის სფეროში ჩარევა. სახელმწიფომ თავის ხელში აიღო მანგანუმის, თამბაქოს, მატყლის და ზოგი სხვა საექსპორტო საქონლის რეალიზაციის მონოპოლია.

1920 წლის მეორე ნახევარში მმართველი პარტია რამდენადმე მარცხნივ გადაიხარა. სწორედ ამ დროს შეიქმნა სახელმწიფო ეკონომიკური საბჭო. განხორციელდა ზოგი მსხვილი საწარმოების ნაციონალიზაცია. 1920 წლის 15 ივლისს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი მთამადნეულის სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით გაუქმდა ამ კანონის მიღებამდე გაცემული ყველა ნებართვა, მიჩენის აქტი, საიჯარო ხელშეკრულება. ჭიათურელ მრეწველებს უფლება მიეცათ აქამდე საკუთრებაში მყოფი სამადნოები იჯარით აეღოთ და გაეგრძელებიათ წარმოება. ასეთივე უფლება ეძლეოდათ სხვა სამთამადნო სარეწების მფლობელებსაც.[27]

კიდევ უფრო ადრე რეალური ნაბიჯი გადაიდგა საბანკო-საკრედიტო სისტემის ცენტრალიზაციის მიმართულებით.

ცარისტული რუსეთის მიერ შექმნილი და დატოვებული საკრედიტო სისტემა მოიშალა. მართალია, დარჩა XIX-XX სს მიჯნაზე დაარსებული კერძო და საზოგადოებრივი ხასიათის ბანკები, მაგრამ მათი ოპერაციები თითქმის გაიყინა. აუცილებლობამ მთავრობის წინაშე დასვა ქართული ეროვნული ბანკის შექმნის საკითხი. მის დამუშავებაში კომპეტენტურმა პირებმა მიიღეს მონაწილეობა.

მთავრობისათვის ამ სპეციალისტების მიერ წარდგენილ მოსხენებით ბარათში ვკითხულობთ: ფული და კრედიტი არის თანამედროვე მეურნეობის, მთელი ეკონომიკური სისტემის ღერძი. ვალუტის საკითხს, სადისკონტო პოლიტიკას და სხვა ოპერაციებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული ცენტრალურ ბანკთან, ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მწარმოებელ ძალთა ზრდასა და ვაჭრობა-მრეწველობის ხასიათის განსაზღვრაში. განსაკუთრებით მატულობს ცენტრალური ბანკის მნიშვნელობა, როცა მას საემისიო უფლებაც ენიჭება. ამ უფლების წყალობით იქცევა იგი „ბანკების ბანკად“,

სახელმწიფოში არსებული ყველა საკრედიტო დაწესებულებათა ცენ-ტრად და თავის ხელთ იღებს თითქმის მთელ საკრედიტო ურთიერთობათა სადავეს. სწორედ ასეთი ბანკი ესაჭიროება დღეს საქართველოს.

მოხსენებითი ბარათის ავტორი შემდეგ აღნიშნავს, რომ პრაქტიკამ მოგვცა საემისიო ბანკების სამი ფორმა: 1) სრულიად დამოუკიდებელი, წმინდა აქციონერული (ინგლისი); 2) წმინდა სახელმწიფოებრივი (რუსეთი); 3) შერეული, სახელმწიფო-აქციონერული (გერმანია). რომელს მივანიჭოთ უპირატესობა საქართველოში? ბარათში ნათქვამია, რომ საზოგადოება ყოველთვის ეჭვის თვალით უყურებს მთავრობის საბანკო მოღვაწეობას, რადგან იგი გადაჭარბებით სარგებლობს საემისო უფლებით, ზედმეტ ფულს ბეჭდავს თავის ხარჯების დასაფარავად. ჩვენ გვჭირდება ისეთი ბანკი, რომელიც თავისუფალი იქნება ეჭვისა და უნდობლობისაგან. ამ მხრივ საზოგადოების მეტ ნდობას იმსახურებს ცენტრალური აქციონერული ბანკი. მას მთავრობა თვითნებურად ვერ გამოიყენებს, თანაც მთავრობის პოლიტიკური წარუმატებლობა მის ოპერაციებზე უარყოფით გავლენას ვერ მოახდენს. „მაგრამ სახელმწიფოს არც ის შეუძლია, რომ ფულის საქმის მოწესრიგება... სრულიად გაუშვას ხელიდან და სავსებით კერძო აქციონერებს გადასცეს". ასეთი ბანკი მხოლოდ ინგლისშია და მხოლოდ ტრადიციის გამო. სხვა სახელმწიფოებში კი ფუნქციონირებს შერეული ბანკები, რომლებშიც შერწყმულია კერძო კაპიტალისადმი ნდობა, სახელმწიფოს ხელმძღვანელი როლი და ურთიერთკონტროლი. ამ ტიპის ბანკებმა დღემდე ყველგან გაამართლეს თავის დანიშნულება.

პრინციპულად, ამბობს ბარათის ავტორი, შერეული ბანკის უპირატესობას ვაღიარებ, მაგრამ საქართველოს განსაკუთრებული პირობები მიკარნახებს ცენტრალური ბანკის სხვაგვარ საფუძველზე მოწყობის პროექტი წარმოვადგინოო. ჩვენი სახელმწიფო ახლა შენდება, ახლა იქმნება პირობები მისი ეკონომიურად აღორძინებისათვის. ჩვენებური კერძო კაპიტალი ვერ შესძლებს ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას". ამიტომ სახელმწიფომ უნდა იტვირთოს ძირითადი სიმძიმე, მან უნდა უკარნახოს კერძო კაპიტალს მიმართულება, გაამაგროს იგი. საჭიროა ფუნქციების მიზანშეწონილი განაწილება. გარკვეული როლი კერძო კაპიტალს უნდა დაეთმოს, უფრო საპასუხისმგებლო საბანკო საქმე კი თვით სახელმწიფომ უნდა აიღოს ხელში. „თუ პრაქტიკა დაგვანახებს ბანკის სააქციონერო დაწესებულებად გარდაქმნის

უპირატესობას, ეს შემდეგშიც მოხერხდება, ახლა კი წმინდა სახელმწიფო ბანკის დაარსებას უნდა შევუდგეთო".

იქვე ბარათის ავტორი აფრთხილებს მთავრობას, რომ თუ ცენტრალურ ბანკს ფისკალური მიზნებით გამოიყენებთ, არა მარტო თვით ბანკს გამოუთხრით ძირს, არამედ ხელს შეუშლით ფულის ნორმალურ ბრუნვას და დიდ ზიანს მიაყენებთო ვაჭრობა-მრეწველობის განვითარების საქმეს. „დღიდან ბანკის დაარსებისა მთავრობა უნდა შეურიგდეს იმ აზრის, რომ მომხიბლავი წყარო — საემისო უფლების საშუალებით დაუბრკოლებლად ხარჯების დაფარვისა, მისთვის იხშობა და მთავრობას შეუძლია მიმართოს ხოლმე ბანკს, ისე როგორც ერთმა კლიენტთაგანმა". დემოკრატიული მთავრობა ამის წინააღმდეგ ვერ გამოვა. ხოლო დამოუკიდებელი ბანკის ინტერესი მოითხოვს, რომ იგი საკანონმდებლო ხელისუფლებას დაექვემდებაროს. საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ბანკი ისე დამოუკიდებელი არ იქნება, როგორც ევროპის სახელმწიფო ბანკები არიან, მაგრამ არც უწყების ისეთი მონა-მორჩილი, როგორიც რუსეთის სახელმწიფო ბანკი იყო. ამდენად, იცვლება ბანკის უფლებრივი მდგომარეობაც და მართვის აპარატიც. რუსეთის ბანკს სათავეში ედგა ერთი პირი — გამგე, რომელსაც მეფე ნიშნავდა. საქართველოს სახელმწიფო ბანკს კი სათავეში ჩაუდგება კოლეგიური გამგეობა, რომლის თავმჯდომარეს პარლამენტი აირჩევს.[28]

ზემოთ ციტირებული მოხსენების საფუძველზე შედგენილი კანონპროექტი განიხილა დამფუძნებელმა კრებამ. 1919 წლის 31 დეკემბერს დამტკიცდა კანონი საქართველოს სახელმწიფო ბანკის დაარსების თაობაზე. იმავე დღეს დამტკიცდა სახელმწიფო ბანკის დებულება, რომელშიც განსაზღვრული იყო ბანკის მიზანი, საკრედიტო ოპერაციების ხასიათი, მართვა-გამგეობის წესი.[29] 1920 წლის პირველ კვარტალში ცენტრალური ბანკის ჩამოყალიბების პერიოდი დამთავრდა და მან დაიწყო საკრედიტო ოპერაციების წარმოება. მაგრამ არსებობის მოკლე პერიოდში მან ვერ მოასწრო რესპუბლიკის ეკონომიკურ-ფინანსურ სისტემაში არსებითი გარდატეხის მოხდენა.

1920 წლის 30 აგვისტოს სახელმწიფო ბანკის გამგეობამ მოხსენება წარადგინა დამფუძნებელ კრებასა და მთავრობაში ქართული ბონების კურსის განსამტკიცებელ ღონისძიებათა თაობაზე. სახელმწიფო ბანკის გამგეობას მიზანშეწონილად მიაჩნდა: 1) ზომების მიღება სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის წონასწორობაში მოსაყვანად; 2) საშუალებების

გამონახვა სავალუტო ფონდის შესაქმნელად; 3) სათანადო მუშაობის ჩატარება უცხოური კაპიტალის მოსაზიდად; 4) ვალუტის საზღვარგარეთ არასავაჭრო მიზნით გატანის მაქსიმალურად შეზღუდვა; 5) სავალუტო ოპერაციების მაწარმოებელ დაწესებულებათა არსებითი შემცირება, ამ ოპერაციებზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება; 6) კერძო ინიციატივისათვის ხელის შეწყობა.[30]

ამ ღონისძიებათა გატარებას კისრულობდა თვით სახელმწიფო ბანკის გამგეობა. მაგრამ ვერც ბანკირებმა გამოასწორეს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა. წარმოების დაცემამ, პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასების სწრაფმა ზრდამ მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა ხალხის ის ნაწილი, რომელსაც წარმოების საშუალებები არ გააჩნდა და თითქმის მთლიანად ხელფასზე იყო დამოკიდებული. ასეთ პირობებში სოციალური ზავი ხშირად ირღვეოდა. მუშა-მოსამსახურეები ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ პოლიტიკურ ბრძოლას, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მართალია, არ ეწეოდნენ, მაგრამ ეკონომიკური ხასიათის გაფიცვები საკმაოდ ხშირად ხდებოდა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დაკანონდა კავშირების შექმნისა და გაფიცვების თავისუფლება. თუ პირველი რევოლუციის დროსა და რეაქციის პერიოდში პროფესიული კავშირების შექმნა დიდ სიძნელეთა გადალახვასთან იყო დაკავშირებული და მუშათა ეს გაერთიანებანი უმეტეს შემთხვევაში არალეგალურად საქმიანობდნენ, 1917-1920 წლებში პროფკავშირული მოძრაობა თავისუფლად განვითარდა.

1918 წლის მარტ-აპრილში ჩამოყალიბდა თბილისის სტამბის მუშების, ელექტრიკოსთა, მელითონეთა, მეტყევეთა, თბილისის თვითმმართველობის, სამრეცხაოების და სხვ. დაწესებულებების მუშათა პროფესიული კავშირები, პროფმოძრაობამ აღმავლობა განიცადა საქართველოს სხვა ქალაქებშიც. ჯერ კიდევ 1917 წლის მაისში ჩამოყალიბდა თბილისის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭო. იგი მხარს უჭერდა ამიერკავკასიის მთავრობას, ცდილობდა კლასობრივ წინააღმდეგობათა შენელებას. ცენტრალურ ბიუროს თავის ძირითად ფუნქციად მიაჩნდა კაპიტალისტთა და მუშათა ურთიერთობის რეგულირება, საგაფიცვო მოძრაობისათვის მშვიდობიანი ხასიათის მიცემა. პროფკავშირთა ცენტრალური კავშირები ჩამოყალიბდა აგრეთვე ქუთაისში, ფოთში, სოხუმში.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ პროფესიული კავშირები ენერგიულად უჭერდნენ მხარს ეროვნულ მთავრობას. 1919 წლის 11-16 აპრილს თბილისში ჩატარდა საქართველოს პროფესიული კავშირების პირველი ყრილობა. ამ დროს საქართველოში მოქმედებდა 87 პროფესიული კავშირი, რომლებიც აერთიანებდნენ 54701 წევრს. პირველ ყრილობას ესწრებოდა 198 დელეგატი, რომლებიც წარმოადგენდნენ თბილისის, ქუთაისის, სოხუმისა და ფოთის ცენტრალურ საბჭოებს და 65 პროფესიულ კავშირს. ყრილობის დღის წესრიგი: 1) შრომის სამინისტროს მუშაობის შესახებ; 2) სიძვირე და რეალური ხელფასები; 3) შრომის ბაზარი; 4) დღევანდელი მომენტი და პროფკავშირთა ამოცანები.

შრომის სამინისტროს მუშაობის შესახებ ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა თვით მინისტრი გ. ერაძე. მან აღნიშნა, რომ მუშებსა და დამქირავებლებს შორის ხშირად ხდება კონფლიქტი, შრომის სამინისტრო ყოველთვის ცდილობდაო მათ მშვიდობიანად გადაწყვეტას. მინისტრმა გაკიცხა ტყიბულის მაღაროელები, რომლებმაც თავიანთი გაფიცვით მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს მთავრობა, შეაფერხეს რკინიგზების მუშაობა. მან აღიარა, რომ ხშირად ირღვეოდა კანონი 8-საათიანი სამუშაო დღის შესახებ. მინისტრმა წამოაყენა წინადადება სატარიფო პალატისა და სატარიფო კომისიების შექმნის თაობაზე. ეს დაწესებულებები მოახერხებენო დამქირავებელთა და დაქირავებულთა ურთიერთობის რეგულირებას.

ყრილობამ დაამტკიცა საქართველოს პროფესიული კავშირების ცენტრალური საბჭოს წესდება და ღია კენჭის ყრით აირჩია ცენტრალური საბჭო 19 წევრისა და 8 კანდიდატის შემადგენლობით. წესდების თანახმად შეიქმნა აგრეთვე ცენტრალური საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდა 7 კაცი.

საქართველოს პროფესიული კავშირების პირველი ყრილობის დადგენილების საფუძველზე 1919 წლის მაისში შეიქმნა სატარიფო პალატა, რომელშიც შეიყვანეს დამქირავებელთა და მუშათა ათ-ათი წარმომადგენელი. პროფკავშირთა ცენტრალური საბჭო იმედოვნებდა, რომ სატარიფო პალატა მას ყველაზე უფრო თავსატეხ საქმეს ჩამოაცილებდა, ხოლო მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ ეს ახალი დაწესებულება ხელფასის გამო წარმოშობილ კონფლიქტებს ძირითადად აღმოფხვრიდა, შესძლებდა შრომასა და კაპიტალს შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარებას.

. საქართველოს პროფესიული კავშირების ცენტრალურმა საბჭომ დაიწყო თავის ბეჭდვითი ორგანოს – „მუშათა ცხოვრება“ გამოცემა, რომლის პირველი ნომერი 1919 წლის 15 ივნისს გამოვიდა. ამ ყოველკვირეულ ჟურნალში იბეჭდებოდა წერილები სატარიფო პალატის დიდმნიშვნელობასა და ფუნქციებზე. რედაქცია ამაყად აცხადებდა, რომ „სატარიფო პალატის მსგავსი დაწესებულება ჯერ ისტორიის პრაქტიკამ არ იცის“, მისი შექმნით საქართველოს პროფესიული კავშირების ყრილობამ დიდი საქმე გააკეთაო.

მაგრამ უფრო დიდი და რთული საქმე თვით სატარიფო პალატას დაეკისრა. ხელფასის საკითხი მას ისე უნდა გადაეჭრა, რომ ერთიდაიმავე დროს დაეცვა მუშათა, მეწარმეთა და სახელმწიფოს ინტერესები. 1919 წლის მეორე ნახევარში სატარიფო პალატამ ორჯერ მიიღო დადგენილება ხელფასების მომატების თაობაზე, მიუხედავად ამისა ფასების ზრდის ტემპი მაინც გაცილებით სწრაფი რჩებოდა. 1920 წლის 12 იანვარს სატარიფო პალატამ გამოიტანა დადგენილება თბილისის ყველა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის 60%-ით გადიდების შესახებ, მაგრამ მეწარმეთა ბოიკოტის წყალობით, იგი სისრულეში არ ყოფილა მოყვანილი. სატარიფო პალატის დადგენილებები თვით იქცა დაძაბულობისა და მხარეთა ურთიერთობის გამწვავების ერთგვარ საფუძვლად. 1920 წლის პირველ ნახევარში მომხდარ 482 კონფლიქტიდან 226 გამოწვეული იყო სატარიფო პალატის დადგენილებათა შეუსრულებლობით.[32]

ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი თითქმის სტაბილური გახდა, ინფლაციის ტემპი კვლავ მატულობდა. მუშათა კლასის, საერთოდ ხელფასზე მჯდარი მოსახლეობის ცხოვრების დონე 1920 წლის განმავლობაში კიდევ 3-4-ჯერ გაუარესდა, რამაც პოლიტიკური ღონისძიებებით დამყარებული სოციალურ ზავს საფუძველი შეურყია. ეკონომიკის ვარდნა გადაიქცა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მთავრობის აქილევსის ქუსლად.

1920 წლის 13 ოქტომბერს ერთ-ერთ თათბირზე ნ. ჟორდანიამ განაცხადა: ამ რამდენიმე ხნის წინ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიკურის მხრივ კატასტროფისაკენ მივისწრაფით., ...დღეს თითეული ჩვენგანი გრძნობს, თითოეული მწვავედ განიცდის იმ სინამდვილეს, რომ ჩვენ არა თუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივედით იქამდე“.[33]

ამ აღიარებას არ მოჰყოლია სოციალ-დემოკრატიული მთავრობის გადადგომა, რადგან ეკონომიკის მოშლას მმართველი პარტია ძირითადად

ობიექტურ მიზეზებს აბრალებდა, თავის პასუხისმგებლობას თითქმის მთლიანად ხსნიდა, დაშვებულ შეცდომებს არ აიღარებდა. ამას კი არც მემარცხენე სოციალისტები ეთანხმებოდნენ და არც მემარჯვენე ეროვნულ-დემოკრატები.

გაზ. „საქართველო" წერდა: „დიდი ხანია ვამტკიცებთ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია მცდარ პოლიტიკას ატარებს, ქვეყანა დაღუპვისაკენ მიჰყავს. ამას არ უშველის პალიატიური ზომები, აუცილებელია მიმართულების არსებითი შეცვლა". მთავრობის თავმჯდომარის მიერ ეკონომიკური კატასტროფის აღიარებიდან, წერდა იქვე რედაქცია, ვასკვნით, რომ უნდა შეიცვალოს თვით საფუძველი თანამედროვე არანორმალური მდგომარეობისა. „სოციალ-დემოკრატია კი არ თვლის საჭიროდ ძირითად ცვლილებებს, წინააღმდეგია ცხოვრების განახლებისა. მას უჭირავს დღეს მმართველობის კვერთხი და ანგარებით გატაცებულს, არ სურს დათმოს თავისი ბატონობა., ...მაგრამ ყველაფერს თავის საზღვარი აქვს. აქვს საზღვარი პრინციპებით და იდეებით თამაშსაც. თუ სოციალ-დემოკრატია დღესაც ვერ ამჩნევს თავის იდეოლოგიის გაკოტრებას უუნარობის გამო, ან არ სურს შეამჩნიოს ეს თავის ჯიუტობის გამო, ცხოვრება მაინც თავისას გაიტანს; ძალით ჩათრევას ნებით ჩაყოლა სჯობდა".[34]

ამგვარად, მემარჯვენე ოპოზიციას უპერსპექტივოდ მიაჩნდა იმ დროს საქართველოში შექმნილი ეკონომიკური და სოციალური სისტემა, სოციალ-დემოკრატიის პოლიტიკა და ამიტომ მოითხოვდა მმართველი პარტიის გადგომას, კოალიციური, მრავალპარტიული მთავრობის შექმნას. მაგრამ პარლამენტარული გზითა და ფორმით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რეროგანიზაცია არ მომხდარა. სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას და მასთან ერთად დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოს რამოდენიმე თვის შემდეგ ბოლო მოუღო გარედან მოსულმა ძალამ, რომელიც გაცილებით მარცხნივ იდგა, სოციალისტური მშენებლობის ექსპერიმენტს დიქტატურის გზით და უფრო ფართო მასშტაბით ახორციელებდა.

დასავლეთის სოციალ-დემოკრატია ქართველი თანამოაზრეების სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას ბოლშევიკური ექსტრემიზმის ფონზე სწავლობდა. პირველს ამართლებდა, მეორეს კი გმობდა. 1920 წლის შემოდგომაზე დასავლეთ ევროპის სოციალისტურ პარტიათა წარმომადგენლები საქართველოს რესპუბლიკას ესტუმრნენ. საკმაოდ კარგად გაეცნენ მისი სოციალ-დემოკრატიული მთავრობის პრაქტიკულ

საქმიანობას და თავის შთაბეჭდილებანი მთელ დასავლურ სამყაროს გააცნეს.

ბელგიელმა სოციალისტმა ემილ ვანდერველდემ ჟურნალში „ლე-პოპლ“ 1920 წლის 20 ოქტომბერს გამოაქვეყნა სტატია – „პირველი სოციალისტური მთავრობა“ – რომელშიც ვკითხულობთ: „ომის წინა წლებში რომ დასმულიყო საკითხი, თუ სად, ევროპის რომელ ქალაქში შესდგებოდა პირველი სოციალისტური მთავრობა, ზოგი დაასახელებდა ლონდონს, სხვები პარიზს, ბერლინს, სტოკჰოლმს ან ბრიუსელს. მაგრამ ვინ იფიქრებდა საქართველოს სატახტო ქალაქ თბილისზე? სწორედ ამ ქალაქში აღიმართა დროშა სოციალისტური და დაიწყო ნამდვილი დემოკრატიული წყობილების მშენებლობა., ...ეს მოხდა არა აჯანყების გზით, არა სისხლის ღვრით, არამედ ხალხის სუვერენული უფლებების აღიარებით, მისი სურვილითა და ნებისყოფის სრული გამოვლინებით. 1918 წლის სოციალური და აგრარული რევოლუცია, რომელიც მოხდა საქართველოში, არის არა სოციალისტური, არამედ დემოკრატიული მოხდენილი სოციალისტების მიერ., ...შეფარდებული ქვეყნის რეალობასთან, მის შესაძლებლობებთან. ამაშია ქართველი სოციალ-დემოკრატების გონიერება, სიბრძნე., ...მთავრობის ეკონომიური პოლიტიკა იძლევა დიდ დადებით პერსპექტივებს ქართველი მუშათა კლასის ინტერესების, მთელი ერის ეკონომიური წარმატებისათვის. მაგრამ მიზნის მიღწევა შეუძლებელია, თუ საქართველოს არ ექნა საერთაშორისო სტატუსი, თუ იგი არ იქნა ცნობილი ყველა სახელმწიფოს მიერ“.

საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პიერ რენოდელი, წერილების სერიაში, რომელიც 1920 წლის ნოემბერ-დეკემბერში გამოქვეყნდა გაზ „ლე პროგრეს დე უიონის“ ფურცლებზე, აღნიშნავს, რომ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა გამოასწორეს თავის რუსი თანამოაზრეების შეცდომა და დროულად, ჯერ კიდევ ამიერკავკასიის რესპუბლიკის არსებობის დროს დაიწყეს აგრარული რეფორმის გატარება. „საკმარისი იყო ჩამომრთმევი კომისიების შექმნა, მიწების გაზომვის დაწყება და გლეხობის ნდობა წინასწარ დაიმსახურეს ქართველმა სოციალისტებმა, რომლებიც შემდეგ მოექცნენ დამოუკიდებელი საქართველოს სათავეში და დაწყებული რეფორმა დაამთავრეს., ...მოხდა სრული აგრარული რევოლუცია, სისხლის დაუღვრელად, მშვიდობიანად., ...გლეხობა გახდა საიმედო ძალა ახლად დაარსებული რესპუბლიკისა,. ...მუშათა ინტერესების დაცვა

კონსტიტუციით უზრუნველყოფილია; პროფესიული კავშირები დაკანონებულია. შრომის სამინისტრო მოწოდებულია დაიცვას მშრომელი, შრომის კანონები".

ქართველი სოციალ-დემოკრატების თეორიული და პრაქტიკული საქმიანობა შეაფასა აგრეთვე ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა რამზეი მაკდონალდმა. „ნეიშენის" 1920 წლის 16 ოქტომბრის ნომერში იგი წერდა, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ ის შესძლო, რაც ევროპის სახელმწიფოთა სოციალ-დემოკრატებმა ვერ მოახერხეს. მათ უკონფლიქტოდ გაატარეს აგრარული რეფორმა, სოციალური კანონმდებლობა, შრომა დაუდეს საუძვლად რესპუბლიკის არსებობას. „მოხდა განსაზოგადოება ბუნებრივი სიმდიდრის, დიდი მამულების და საუფლისწულო მიწების., ...ამავე დროს თავისუფლება მიეცა კერძო ინიციატივას, ...მუშას, გლეხს, გუშინდელ მემამულესაც კი. ერის ყველა ნაწილს შეგნებული აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა. შენდება სრული დემოკრატიული სახელმწიფო სოციალისტური მთავრობის ხელმძღვანელობით., ...თუ ერთა თავისუფლება, ცარიელი სიტყვა არაა, თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავის მაღალი კულტურულობა და პოლიტიკური სიმწიფე".[35]

ასეთი იყო უცხო თვალით დანახული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, მისი მთავრობის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკა. ქართული ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა აჩრდილებს უნდა შევახსენოთ ხალხური ანდაზა — „შინაურ მღვდელს შენდობა არ აქვს". კიდევ უნდა გავიმეორო ადრე ნათქვამი: როგორც მემარჯვენე ოპოზიცია, ისე (განსაკუთრებით) მემარცხენე აჭარბებდა მმართველი პარტიის კრიტიკაში. მთავრობისაგან ისეთი ღონისძიებების გატარებას მოითხოვდნენ, რის განხორციელებაც, ობიექტური პირობების გამო შეუძლებელი იყო. თავის მხრივ სტუმრები ქართველი სოციალ-დემოკრატების ხოტბაში აჭარბებდნენ. მაგრამ მათი შეფასება უფრო მიუდგომელი და შედარებით სწორი იყო.

თავი VII
სწავლა-განათლების სისტემა და კულტურა

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ რუსეთის სახელმწიფოს განაპირა რეგიონებში კიდევ უფრო გაფართოვდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობა. გაცილებით აქტუალური გახდა ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იყო მშობლიური ენისა და კულტურისათვის არსებობა-განვითარების ნორმალური პირობების შექმნა

რუსეთის დროებითი მთავრობა იძულებული გახდა გარკვეულ დათმობაზე წასულიყო: შეეზღუდა რუსული ენის მონოპოლია, დაპირება მიეცა დაჩაგრულ ერთა პატრიოტული ძალებისათვის, რომ გაფართოედებოდა ეროვნულ ენათა მოქმედების არიალი, დაშვებული იქნებოდნენ ისინი სასამართლოში, სკოლაში და სხვა სფეროში.

1917 წლის 10 სექტემბერს რუსეთის დროებითი მთავრობის ფილიალმა ამიერკავკასის საგანგებო კომიტეტმა დაამტკიცა დებულება კავკასიის სასკოლო ოლქში სასწავლო დაწესებულებათა ნაციონალიზაციის (გაეროვნების) შესახებ. ამ კანონის პირველ განყოფილებაში ნათქვამი იყო: 1) სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ სკოლებში სწავლება უნდა წარიმართოს მშობლიურ ენაზე; 2) ნაციონალურ განყოფილებებში მოსწავლეთა გადაჯგუფება ხდება მშობელთა თანხმობით; 3) საგნების სწავლება წარიმართება ეროვნულ სასკოლო კომიტეტების მიერ შედგენილ-დამტკიცებული პროგრამების მიხედვით; 4) იმ სკოლებში, სადაც არ ხდება ნაციონალიზაცია, ადგილობრივი მოსახლეობის ენები შეისწავლება გაფართოებული პროგრამების შესაბამისად. ეროვნულ საგნებად ითვლება — დედაენა, ეროვნული ლიტერატურა, ერის ისტორია და გეოგრაფია; 5) ახალი სკოლების გახსნა უნდა ხდებოდეს ეროვნებათა რიცხვისა და თანაფადრობის შესაბამისად. კანონ-დებულების მომდევნო განყოფილებებში ჩამოყალიბებული იყო დაწყებით და საშუალო სასწავლებელთა გაეროვნების კონკრეტული წესები.[1]

მალე ამის შემდეგ რუსეთში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება. ამიერკავკასია ფაქტობრივად ცალკე სახელმწიფოს სახით ჩამოყალიბდა.

ხოლო თბილისში მოწვეულ იქნა ქართველი ხალხის ეროვნული ყრილობა, რომელმაც აირჩია ეროვნული საბჭო. 1917 წლის 20 ნოემბერს ეროვნულმა ყრილობამ განიხილა სკოლების გაეროვნულების საკითხი, შექმნა სკოლებისა და უნივერსიტეტის სექცია, რომლის ხელმძღვანელად აირჩია ივანე ჯავახიშვილი. ამ სექციას უნდა შეემუშავებინა და ეროვნული საბჭოსათვის განსახილველ-დასამტკიცებლად გადაეცა არსებული სკოლების გაქართულებისა და ეროვნული უნივერსიტეტის შექმნის პროექტი.[2]

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღესვე შეიქმნა სახალხო განათლების სამინისტრო, რომელშიც შეიყვანეს ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები – გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, ალექსანდრე მდივანი, მაქსიმე ბერძნიშვილი, სერგი დანელია და სხვ., სამინისტრომ გააგძრელა უკვე დაწყებული საქმე, პრაქტიკულად განახორციელა სწავლა-განათლების სისტემის ეროვნულ და მეცნიერული პრინციპების საფუძველზე რეორგანიზაცია.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის პალამენტი და მთავრობა (რომელშიც უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას ეკუთვნოდა) ყოველთვის როდი უწყობდა ფეხს დროის მოთხოვნილებას, რამდენადმე ჩამორჩებოდა მოვლენების განვითარებას. არც ოუ იშვიათად იგი ფართო საზოგადოების ზეწოლით მოქმედებდა. 1918 წლის 1 ივნისს ჩატარდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების მოსამსახურეთა კავშირის კრება, რომელმაც მთავრობას მოსთხოვა ყველა დაწესებულებათა გაეროვნება 1918 წლის პირველ აგვისტომდე დაემთავრებია. ქართული ენის არმცოდნე მოხელეები თანამდებობიდან გაეთავისუფლებინა.

დაწესებულებათა გაეროვნების საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა იუსტიციის სამინისტრო (მინისტრი შალვა ალექსი-მესხიშვილი). ამ უწყებაში რუსულ ენაზე დაწერილ განცხადებებს აღარ იღებდნენ. სამინისტრომ მიიღო დადგენილება მოსამართლეებად ქართული ენის მცოდნენი აერჩიათ, მართლმსაჯულება ქართულ ენაზე ეწარმოებინათ. ამავე გზით წავიდა სამხედრო სამინისტრო, სახელმწიფოს ზოგი სხვა უწყება. რკინიგზის ქსელში საქმის წარმოება ქართულ ენაზე გადავიდა 1919 წლის დამდეგს.

1918 წლის 1 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტრმა მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ და ეს ფუნქცია ქარულ ენას მიენიჭა. შეიქმნა საკანონმდებლო ბაზა პოლიტიკურ, სამეურნეო,

სასწავლო-კულტურულ სფეროში ქართული ენის დამკვიდრებისათვის. გაეროვნების პოლიტიკამ სხვატომელთა უკმაყოფილება გამოიწვია. ამიტომ მთავრობამ დაადგინა სამინისტროებსა და უწყებებში შექმნილიყო ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსები, სხვა ეროვნების მოხელეთათვის საშუალება მიეცათ სახელმწიფო ენის შესწავლით დაეღწიათ თავი სამსახურის დაკარგვის საშიშროებისათვის.

მართვა გამგეობის სისტემის ნაციონალიზაციის, გაქართულების წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ საქართველოში მცხოვრები რუსები და სომხები. ბევრ დაწესებულებაში ისინი კარგახანს ახერხებდნენ თავისი პოზიციების დაცვა-შენარჩუნებას. იყო შემთხვევები, როცა ამ ეროვნებათა წარმომადგენლები ახლად შექმნილ დაწესებულებებშიც კი იკავებდნენ თანამდებობებს, რასაც გაზ. „საქართველოს" პუბლიცისტები პროტესტით ხვდებოდნენ. მთავრობის მისამართით აცხადებდნენ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მტრების სახელმწიფო აპარატში დატოვება სამშობლოს ღალატის ტოლფასიაო.

მთავრობამ ეროვნული დემოკრატები ნაციონალიზმში დაადანაშაულა, ხოლო სხვატომელთა მიმართ გარკვეულ დათმობაზე წავიდა; კორექტივი შეიტანა სახელმწიფო ენის კანონში, მის დამატებაში ჩაიწერა, რომ არაქართველ დეპუტატებს უფლება ჰქონდათ პარლამენტის სხდომებზე რუსულად წარმოეთქვათ სიტყვა.

რუსულ-სომხური პრესის ანტიქართულ განწყობილებაში დისონანსი შეიტანა რუსულმა გაზეთმა („დონსკაია ვესტ" 1919 წ. 30 სექტემბრის ნომერი), რომლის თანამშრომელი პ. აგაევი საქართველოში მიმდინარე „ნაციონალიზაციის პროცესს", დაწესებულებათა გაქართულებას ნორმალურ მოვლენად აცხადებდა და რუსების მიერ სამსახურის დაკარგვაში საქართველოს მთავრობას არ ადანაშაულებდა. მას მიაჩნდა, რომ ქართული ენის არმცოდნე მოხელეები ვერ იმუშავებდნენ რუსული ენის არმცოდნე ხალხთან.

საზოგადოების ერთი ნაწილი ყურადღებას ამახვილებდა ქართული ლიტერატურული ენის სრულყოფის საჭიროებაზე. პრესაში დაიბეჭდა სილოვან ხუნდაძის მიმართვა განათლების მინისტრისადმი. მისი აზრით ბოლო უნდა მოღებოდა გრამატიკული ფორმების მრავალგვარობას, მეტი ყურადღება უნდა მიქცეოდა სალიტერატურო და ხალხის ენის დაახლოებას. ს. ხუნდაძე მინისტრს სთხოვდა სპეციალისტებისაგან შეექმნა კომისია, რომელიც სალიტერატურო ენის სავალდებულო

ნორმებს შეიმუშავებდა. მისი აზრით, „მხოლოდ ამგვარი სახელმწიფოებრივი ინიციატივით და კანონებით მოეღებოდა ბოლო იმ ანარქიას, რომელიც ჯერ კიდევ იგრძნობოდა სალიტერატურო ენაში“.[3]

განათლების სამინისტროსთან არსებულმა სასწავლო კომიტეტმა ჩაატარა ქართული ენის მცოდნეთა შეკრება. შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელშიც შევიდნენ გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, შ. ბერიძე, ს. გორგაძე. სათანადო ყურადღება მიექცა ეროვნული ტერმინოლოგიის შექმნას. 1918 წლის 15 ივლისს თბილისის უნივერსიტეტთან ჩამოყალიბდა სატერმინოლოგიო სექცია. მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ორი აზრი, მიმართულება. პირველის მომხრენი თვლიდნენ, რომ საერთაშორისო ტერმინოოლგია უცვლელად უნდა გადმოეღოთ, დაემკვიდრებინათ ქართულ ენაში. მეორენი კი საჭიროდ მიიჩნევდნენ ამ ტერმინების ქართულად თარგმნას.

ლ. ნათაძეს საერთო ტერმინების უცვლელად გადმოღება დაუშვებლად მიაჩნდა; უცხო სიტყვებს ხალხი ვერ გაიგებს, აუცილებელია მათი გადმოქართულება. სწორედ ეს იქნებაო მეცნიერების დემოკრატიზაცია. ს. დანელიამ შხარი დაუჭირა პირველ მიმართულებას. მისი განცხადებით, ეროვნული ინტერესები მოითხოვდა ეროვნულ პროგრესს. მაგრამ უფრო ეროვნული ის კი არ იყო, რასაც ადვილად აითვისებდა ერი, არამედ ის, რაც დააწინაურებდა მას. ზოგს უფრო ადვილი საუკეთესოდ მიაჩნია. ეს მოტივი არასწორია. მთავარი ისაა, რომ ტერმინმა ზუსტად გამოხატოს ცნება, მისი შინაარსი. მოწინავე ერებიც კი ახალი ტერმინების გამოსახატავად იშვიათად იყენებენ დედაენას და სესხულობენ უცხო სიტყვებს. ს. დანელიას აზრით, ერის წინსვლის გარანტია უნდა გვეძებნა უცხო ერებთან მჭიდრო კავშირში. განკერძოებულად ბევრს ვერაფერს შევქმნით. წინსვლაში საერთაშორისო ტერმინოოლგია დაგვეხმარებაო.

1920 წლის 22 თებერვლის სხდომაზე ივანე ჯავახიშვილი გამოვიდა მოხსენებით ტერმინოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ. მან საშუალედო პოზიცია დაიკავა. აღნიშნა, რომ შორეულ წარსულშიც კი,როცა არ არსებობდა ქართული ტერმინი, იყენებდნენ ბერძნულსა და ლათინურ ტერმინებს.ივანეს დაეთანხმნენ გ. ახვლედიანი და აკ. შანიძე. ამის შემდეგ კომისიამ დაადგინა: ტერმინების შემუშავების დროს უპირატესობა მინიჭებოდა ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს და ენაში უკვე არსებულ სიტყვებს. თუ ასეთი სიტყვა არ იყო და

ხელოვნურად ვერ შეითხზვებოდა, ტერმინი გადმოეღოთ უცხოური ენიდან, დაემკვიდრებინათ ქართულ ენაში.[4]

XXX

სახალხო განათლების სამინისტრომ საქმიანობა თვითორგანიზაციით დაიწყო. გამარტივდა და შეიკვეცა ძველი აპარატი. გაუქმდა კავკასიის სასწავლო კომისარიატი, გუბერნიებში არსებული სახალხო სკოლების დირექტორთა თანამდებობა. შემცირდა შტატები. გათავისუფლდა 80-მდე თანამშრომელი. სამინისტროში შეიქმნა სამი განყოფილება; მთავარი გამგეები ჩაუყენეს სათავეში უმაღლეს და საშუალო სკოლებს, სახალხო სკოლებს, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს. სამინისტროსთან შეიქმნა სათათბირო ორგანო საბჭო, რომელიც სისტემატურად მართავდა სხდომებს, ღებულობდა მნიშვნელოვან დადგენილებებს.[5]

განათლების მინისტრმა გიორგი ლასხიშვილმა 1918 წლის 2 აგვისტოს მოხსენებაში საზგასმით აღნიშნა, რომ ძველი სკოლის ძირითადი მანკი იყო რუსული ენის მონოპოლია. ახლა აღმოსაფხვრელია რუსიფიკაციის შედეგები და გადასაწყვეტია ორი საკითხი: 1) ქართველ მოქალაქეთა შვილებისათვის სწავლების ენად ქართული ენა დამკვიდრდეს; 2) ეროვნულ უმცირესობათა მოქალაქეებსაც უნდა მიეცეს საშუალება განათლება საკუთარ ენაზე მიიღონ. მინისტრსა და მის თანამშრომლებს რუსეთის იმპერიის სწავლა-განათლების სისტემის დიდ ნაკლად მიაჩნდათ აგრეთვე მისი წოდებრივი ხასიათი; დაწყებითი სკოლები იქნებოდა მოსახლეობის ქვედა ფენებისათვის, ხოლო საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები მაღალი ფენებისათვის. საშუალო სკოლების დირექტორთათვის დაგზავნილ ერთ-ერთ ცირკულიარში ნათქვამი იყო: „უთანასწორობაზე დამყარებულ წესწყობილებასთან ერთად ჩვენი სწავლა-განათლების სისტემაც ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს. ყოველგვარი დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის დაწყებითი სკოლის მოწაფეებს განაგრძონ სწავლა საშუალო სკოლის უმაღლეს კლასებში, უნდა მოისპოს, რათა სკოლა გაერთიანდეს სოციალურად".[6] შედგენილი გეგმის თანახმად ისპობოდა წოდებრივი გრადაცია სხვადასხვა ტიპის სკოლებს შორის. ყალიბდებოდა დაწყებითი და საშუალო განათლების მჭიდროდ შეკრული სისტემა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ახალთაობის მომზადება უმაღლესი სასწავლებლისათვის.

ძველი სისტემის ნაშთი იყო ის, რომ 1917-1918 სასწავლო წელს ყველა ეროვნების ბავშვები ერთად სწავლობდნენ. თბილისის ეაჟთა

გიმნაზიებში, მაგალითად, ითვლებოდა 1736 ქართველი. 1624 რუსი და 1477 სომეხი მოსწავლე. სხვა ეროვნებათა რიცხვი მცირე იყო. განათლების მინისტრმა მთავრობისაგან მოითხოვა დაეკანონებია ქართული, სომხური და რუსული გიმნაზიების ცალ-ცალკე არსებობა. მომდევნო სასწავლო წლისათვის თბილისში უნდა შექმნილიყო სამი ქართული, ერთი სომხური, ერთი რუსული და ერთიც შერეული – რუსულ-სომხური გიმნაზია. ასეთივე რეორგანიზაცია ხდებოდა ქალთა გიმნაზიებში.

1918 წლის სექტემბრისათვის მთელ საქართველოში არსებობდა ვაჟთა 24 და ქალთა 21 გიმნაზია, ერთი სამასწავლებლო ინსტიტუტი და 4 საოსტატო სემინარია, 3 რეალური და 3 კომერციული სასწავლებელი. საქართველოს ხელისუფლებას და კერძოდ განათლების სამინისტროს თავის მოვალეობად მიაჩნდა ამ სკოლების სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება. მაგრამ ეკონომიკური და ფინანსური კრიზისის გამო ამას მხოლოდ ნაწილობრივ ახერხებდა. ამიტომ საშუალო სკოლებში დაწესდა სწავლის გადასახადი 500 მანეთი წლიურად, რომლის ჯამი ფარავდა გიმნაზიების, რეალური და კომერციული სასწავლებელთა ხარჯის ნახევარზე ოდნავ მეტს. 1918 წელს ბიუჯეტიდან დაფინანსებამ შეადგინა 9,1 მლნ მანეთი. პედაგოგიური სასწავლებლებისა და დაწყებითი სკოლების ხარჯები – 3,3 მლნ მანეთი მთლიანად სახელმწიფომ გაიღო.[7]

ზემოთ დასახელებულ, სახალხო განათლების უწყებაში არსებულ საშუალო სკოლების გვერდით საქართველოში საკმაოდ ბევრი იყო კერძო გიმნაზიები, რეალური და კომერციული სასწავლებლები. 1919 წელს დაფიქსირებული ერთი სტატისტიკური ცნობის მიხედვით საქართველოში მოქმედებდა ვაჟთა და ქალთა კერძო გიმნაზიები – 26, რეალური სასწავლებელი – 3, საკომერციო სასწავლებელი –2, საბუღალტრო კურსები – 6, სავაჭრო სკოლა – 8.[8]

დაწყებითი,დაბალი და მაღალი ტიპის სკოლები სწავლა-განათლების საერთო სისტემაში შედიოდნენ, მაგრამ ცალკე აღირიცხებოდნენ. 1919 წელს მთელ საქართველოში მოქმედებდა 1860 პირველდაწყებითი სკოლა, საიდანაც მხოლოდ 120 იყო არაქართული (რუსული, სომხური, ბერძნული, თურქული, გერმანული, ოსური). წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას ქართული სკოლები ჰქონდა საზღვარგარეთაც – ჩრდილო კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთში.

1919 წელს დასავლეთ საქართველოში ერთი სკოლა მოდიოდა

დაახლოებით 1000 მცხოვრებზე, აღმოსავლეთ საქართველოში კი 2500 მცხოვრებზე. ამ დისპროპორციის აღმოფხვრის მიზნით მთავრობამ შეადგინა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა ახალი სკოლების გახსნას 37 სოფელში.[9]

სკოლების რაოდენობრივ ზრდის პროცესს საგრძნობლად ჩამორჩებოდა პედაგოგთა მომზადების ტემპი. განათლების სამინისტრო, ბუნებრივია, ცდილობდა ამ ნაკლის გამოსწორებას, თანდათან ადიდებდა კონტინგენტს უკვე არსებულ პედაგოგიურ ინსტიტუტსა და საოსტატო სემინარიებში, ხსნიდა მასწავლებელთა მოსამზადებელ ახალ-ახალ კურსებს თბილისში, ქუთაისში, გორში, თელავსა და ზუგდიდში.

სწავლა-განათლების სისტემის განვითარება-სრულყოფისათვის საქმიანობა პირველი, რესპუბლიკის არსებობის ბოლო თვეებამდე გრძელდებოდა. დავა-კამათი მიმდინარეობდა სკოლის ტიპების, პროგრამების, სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საკითხებზე.

განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე თავის მოხსენებაში (1919 წ. 2 ივლისს) მხარს უჭერდა მთელი მოსახლეობისათვის საერთო სწავლა-განათლების ქსელის შექმნას, მაგრამ საჭიროდ თვლიდა გრადაციას დონეების მიხედვით. მისი აზრით, ძველი სკოლის მოსამზადებელ ნაწილს უნდა შეედგინა საშუალო სკოლის პირველი საფეხური, მაღალი ტიპის დაწყებითი სასწავლებელს — მეორე საფეხური. მეხუთე-მერვე კლასები ჩამოყალიბდებოდა საშუალო სკოლის მესამე — დამამთავრებელი საფეხურის სახით. მოხსენებაში მან დასვა საკითხი — ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი საშუალო სკოლა მეხუთე კლასიდან დაყოფილიყო სპეციალობების მიხედვით. მაგრამ თვით მას მიაჩნდა, რომ ასეთი სპეციალიზაციისათვის არ იყო მომზადებული პირობები. ჯერჯერობით უნდა დავამკვიდროთ საერთო განათლების ერთი ტიპური სკოლა,რაც არ გამორიცხავსო „სხვადასხვა საპროფესიო და სატექნიკო სკოლების“ არსებობას.

განათლების სამინისტროს მიერ შედგენილ საშუალო სკოლის რეორგანიზაციის დებულებაში ჩაიწერა: 1) საქართველოს რესპულიკის საერთო განათლების ყველა საშუალო სკოლა, რომელსაც მთავრობა ინახავს ერთი ტიპისაა. ქალაქების, ერობებისა და კერძო პირთა მატერიალური დახმარებით დაარსებული სკოლები შეიძლება რამდენადმე განსხვავდებოდეს პირველ მუხლში აღნიშნული ტიპისაგან, მაგრამ თავისებური წესდებანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დამტკიცდეს განათლების სამინისტროს მიერ; 2) საერთო განათლების

საშუალო სკოლის მიზანია აღზარდოს მოზარდი თაობა, მისცეს მას დასრულებული მთლიანი საშუალო განათლება და იმავდროულად მოამზადოს იგი უმაღლესი სასწავლებლისათვის; 3) განახლებულ საშუალო სკოლის მაღალ კლასებში (5-8) ისწავლება შემდეგი საგნები: ქართული ენა და სიტყვიერება, რუსული და მსოფლიო ლიტერატურა, ორი უცხო ენა (ერთი რუსული და მეორე არჩევით); ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, სამართლის მეცნიერება, ფსიქოლოგია, ლოლიკა, მათემატიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, ფიზიკა, ქიმია, ბუნებისმეტყველება, ჰიგიენა, ფიზიკური ვარჯიშობა, გალობა, მუსიკა, ხელსაქმე და ხელგარჯილობა.[10]

საშუალო სკოლების ნიჭიერი ორგანიზატორები და პედაგოგები იყვნენ: კიტა აბაშიძე, ვუკოლ ბერიძე, ალექსანდრე მიქაბერიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ვასილ ბარნოვი, სილოვან ხუნდაძე, ილია ფერაძე, იაკობ ცინცაძე, თედო სახოკია, მიხეილ ზაალიშვილი, ალექსანდრე გარსევანიშვილი, პეტრე ჭარაია, იოსებ ოცხელი, სიმონ ოცხელი, გრიგოლ ნათაძე, ალექსანდრე ვერსამია, ნიკოლოზ შარაბიძე, ალექსანდრე ჯანელიძე, ბესარიონ ნიჟარაძე, აკ. შანიძე, მალაქია ჯაფარიძე, ივანე მესხი, გიორგი ბახტაძე, ანა ცაგარეიშვილი და სხვ.

მასწავლებელთა პროფესიულ კავშირს და ცალკეულ პედკოლექტივებს ჰქონდათ თვითმოქმედებისა და შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენის საშუალება, მაგრამ მათ მეტი მოითხოვეს, დასვეს სკოლისათვის ავტონომიის მინიჭების საკითხი. ერთ-ერთი კრების დადგენილებაში ვკითხულობთ: „დასავლეთ საქართველოს საშუალო სკოლების მასწავლებელთა კავშირი მხარს უჭერს განათლების სამინისტროს რეფორმებს, აღუთქვამს მას მხარდაჭერას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვს, დაცული იქნას სავსებით სკოლის ავტონომია, ე.ი. მასწავლებლების, ინსპექტორებისა და დირექტორების კანდიდატურებს უნდა ადგენდნენ პედაგოგიური საბჭოები და ამტკიცებდეს მთავრობა., ...წინადადება მიეცეს საშუალო სკოლის პედაგოგიურ საბჭოებს არავითარ შემთხვევაში არ მიიღონ თავის წრეში მთავრობის მიერ დანიშნული თანამდებობის პირები“.[11]

ამ დადგენილებას მხარი დაუჭირეს აღმოსავლეთ საქართველოს პედაგოგიურმა კოლექტივებმა და ავტონომია ფაქტიურად ძალაში შევიდა. როცა მთავრობა არღვევდა მას, პედაგოგები პროტესტს გამოთქვამდნენ. საკალალო ის იყო, რომ მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა თანდათან გაუარესდა. ამ ნიადაგზე იძაბებოდა სიტუაცია,

ხდებოდა კონფლიქტებიც. რეფორმა და გარდაქმნის პროგრამა, მართალია, ითვალისწინებდა მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მაგრამ შედეგი არ ჩანდა. 1920 წლის 28 სექტემბერს მასწავლებელთა დელეგაცია ეახლა განათლების მინისტრსა და მთავრობის თავმჯდომარეს. მმართველი წრე უთანაგრძნობდა პედაგოგთა კოლექტივს, საერთოდ ინტელიგენციას, მაგრამ მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ვერ ახერხებდა.

მიუხედავად გაჭირვებისა პედაგოგიურ კოლექტივებს სასწავლო პროცესი არ დაურღვევიათ, თავის დიდი წვლილი შეჰქონდათ ახალი თაობის ახალი დროის შესაბამისად აღზრდა-მომზადების საქმეში. თანდათან იხვეწებოდა სასწავლო პროგრამები, უმჯობესდებოდა სახელმძღვანელოების ხარისხი.

ფაქტია, რომ საერო განათლების სკოლა, განათლების სისტემა წინ მიდიოდა, ემსახურებოდა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ინტერესებს. ამასვე ვერ ვიტყვით სასულიერო სემინარებისა და სასწავლებლებზე. სამწუხაროდ ეროვნული სახელმწიფოს პოლიტიკა არაეროვნული აღმოჩნდა ავტოკეფალურ ეკლესიასთან ურთიერთობის სფეროში. ხელყვეს საეკლესიო ქონება, დაიწყეს სასულიერო სასწავლებლების რეორგანიზაცია, მათი გადაკეთება საერო და პროფესიულ სკოლებად. საღვთო სჯული როგორც საგანი გაუქმდა.

მომხდარმა ფაქტმა საზოგადოებრივი აზრის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ათეისტი სოციალ-დემოკრატები მიესალმნენ მას, ეროვნულ დემოკრატებმა და საერთოდ ეროვნული ინტელიგენციის მნიშვნელოვანმა ნაწილმა მთავრობის ამგვარი პოლიტიკა დაგმო, მიუღებლად მიიჩნია ქრისტიანული კულტურისა და ტრადიციების ქვეყნისათვის. მათი აზრით, ათეისტური პოლიტიკა ხელს შეუშლიდა სულიერად (ზნეობრივად) ამაღლებული თაობების აღზრდას. პროტესტი ხალხის ფართო მასამაც გამოთქვა. განათლების სამინისტროში შედიოდა საჩივრები, მოითხოვდნენ სკოლებში საღვთო სჯულის სავალდებულო საგნად დატოვებას. კ. კელენჯერიძე წერდა: „ბიბლიაზე აღიზარდა ოქროს საუკუნის ქართველობა, მან დაბადა საუკეთესო თვისებანი ერისა, ..ბიბლია, რომელიც ასე გამოსჭვივის „ვეფხისტყაოსანში" კვლავაც უნდა დარჩეს საყვარელ წიგნად და სავალდებულო შესწავლის საგნად მოზარდი თაობისა, თუ არ გვინდა გადაგვარება ქართველი ერისა".[12]

მთავრობა ნაწილობრივ მაინც დათმობაზე წავიდა. მართალია, სამღვთო სჯული სავალდებულო საგანთა სიიდან ამოიღო, მაგრამ თუ მოსწავლეები მის სწავლებას მოითხოვდნენ, მასწავლებლის ჯამაგირს მშობლები გადაიხდიდნენ. სამღვდელოება და თეისტები ამან არ დააკმაყოფილა. დავა და კამათი 1920 წელსაც გრძელდებოდა. ერთ-ერთ სტატიაში ვკითხულობთ: „რესპუბლიკები, უნივერსიტეტები, ახალი მიმდინარეობანი სხვა ქვეყნებშიც შეიქმნა, მაგრამ იქ ეკლესია როდი მოსპობილა, სარწმუნოება როდი დაცემულა, სასულიერო სემინარია — ბიბლიოთეკები როდი დაუხურავთ. ყველაფერი თავის ადგილზე და თავის დროზე სჭირდება კეთილმოწყობილ სახელმწიფოს და ერს.“[13]

საერთოდ სწავლა-განათლების სისტემა საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში საგრძნობლად გაფართოვდა. თუ 1914 წელს საქართველოში არსებობდა ყველა ტიპის 864 სკოლა 80 ათასი მოსწავლით, 1920 წლისათვის სკოლების რიცხვი 1924-მდე, ხოლო მოსწავლეთა რაოდენობა 162 ათასამდე გაიზარდა.

ქართველი ხალხი, მისი დემოკრატიული ინტელიგენცია მთელი მეცხრამეტე საუკუნე იბრძოდა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. საამისოდ პირველი შუამდგომლობა XIX ს-ის 30-40-იან წლებში აღიძრა. თხოვნა შუამდგომლობები განმეორდა 1871 წელს, XIX ს-ის ბოლოს, მეოცე საუკუნის დამდეგს. თბილისის საქალაქო თვითმმართველობამ მიწის ნაკვეთი შეიძინა. ფულადი ფონდიც შექმნა უმაღლესი სასწავლებლის შენობის ასაგებად, მაგრამ რუსეთის მთავრობამ სათანდო ნებართვა მაინც არ გასცა, ქართველ ხალხს უნივერსიტეტი არ აღირსა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ გაფართოვდა ქართველ ინტელიგენციის მოძრაობა უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის. შეიქმნა ქართული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება. ქართულ პრესაში გაძლიერდა სათანადო აგიტაცია-პროპაგანდა. 1917 წლის 11 მაისს გაზ. „სახალხო ფურცელში“ კ. გამსახურდია წერდა, რომ არასაკმარისია სხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში ქართველოლოგიური კათედრების შექმნა. საჭიროა ეროვნული უმაღლესი სასწავლებელი. დადგა დრო „რუსეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაბნეულმა ქართველმა პროფესორებმა ეხლავე იზრუნონ ამაზე“.

სათანადო საქმიანობა უკვე დაწყებული იყო. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი გეგმის თანახმად ფართოდ გაიშალა უნივერსიტეტის

შექმნის იდეის პროპაგანდა. გადაიდგა პრაქტიკული ნაბიჯებიც. ჩამოყალიბდა ეროვნული უნივერსიტეტის დამხმარე საზოგადოება, რომელშიც თანდათან მზარდი რაოდენობით გაერთიანდნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები. 1917 წლის 3 ოქტომბერს გამართულ საუნივერსიტეტო საზოგადოების კრებაში მონაწილეობდნენ: ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, გ. ყაზბეგი, კ. კეკელიძე, გ. მალალაშვილი, ფ. გოგიჩაიშვილი, მ. ქურდიანი, პ. მელიქიშვილი, ლ. ბოცვაძე, კ. მაყაშვილი, ი. იმედაშვილი, ა. შანიძე, გრ. ვეშაპიძე და სხვები. ივ. ჯავახიშვილმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება ეროვნული უნივერსიტეტის მნიშვნელობაზე და საზოგადოებას მოუწოდა აქტიური მხარდაჭერა გაეწიათ ამ საშვილიშვილო იდეის რეალიზაციისათვის.

ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილი უნივერსიტეტის ძირითადი დებულება, ახსნა-განმარტებითი ბარათი და სათანადო თხოვნა გაეგზავნა რუსეთის დროებითი მთავრობის განათლების სამინისტროს. იქ გადაწყვიტეს გაეცათ კერძო უმაღლესი სასწავლებლის გახსნის ნებართვა, რომელსაც არ დასჭირდებოდა საკუთარი დებულება და იარსებებდა სათანადო კანონის საფუძველზე, მაგრამ მას არ ეკნებოდა სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების უფლება.[14]

ვიდრე „ნებართვა" გამოიგზავნებოდა, რუსეთში მოხდა ბოლშევიკური გადატრიალება. უნივერსიტეტის ძირითადი დებულება დაამტკიცა რუსეთისაგან ფაქტიურად გამოყოფილი ამიერკავკასიის კომისარიატმა 1917 წლის 2 დეკემბერს. საზოგადოება გააქტიურდა, საუნივერსიტეტო ფონდში ჩარიცხულმა კერძო შემოწირულებათა თანხამ 100 ათას მანეთს გადააჭარბა. უნივერსიტეტის გახსნის დღედ დაინიშნა 1918 წლის 26 იანვარი. უნივერსიტეტის დამხმარე საზოაგდოებამ რუსეთიდან პროფესორების და სხვა სწავლულთა გამოწვევა დაავალა ივ. ჯავახიშვილს, პ. მელიქიშვილს და ა. რაზმაძეს.

ჯერ კიდევ 1917 წლის 26 ნოემბერს შედგა ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს პირველი (წინასწარი) სხდომა. იმსჯელეს მომავალი უნივერსიტეტის ტიპზე. დადგენილებაში ჩაწერეს: გაიხსნას ერთი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, სამათემატიკო და საბუნებისმეტყველო განყოფილებებით, მაგრამ თავდაპირველად ამოქმედდეს მხოლოდ ჰუმანიტარული განყოფილება. ლექციების წაკითხვისათვის მოიწვიეს: ს. ავალიანი, გ. ახვლედიანი, ფ. გოგიჩაშვილი, კ. კეკელიძე, შ. ნუცუბიძე, დ. უზნაძე, ი. ყიფშიძე, ა.შანიძე, ივ. ჯავახიშვილი. პროფესორთა საბჭოს სხდომები

გაიმართა აგრეთვე 8, 17, 19, 27 დეკემბერს. უნივერსიტეტის პირველი ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაავალეს ფ. გოგიჩაიშვილს. შეიმუშავეს უნივერსიტეტში მიღების წესები, განსაზღვრეს სწავლის გადასახადის ოდენობა. შეადგინეს სასწავლო გეგმის პირველი მონახაზი.

1918 წლის 26 იანვარს, დილით უნივერსიტეტი აკურთხა კათოლიკოსპატრიარქმა კირიონმა. 13 საათსა და 20 წუთზე ქართული გიმნაზიის შენობაში (რომელიც ცოტა მოგვიანებით ქართულ უნივერსიტეტს გადაეცა) გაიმართა უნივერსიტეტის გახსნისადმი მიძღვნილი ზეიმი. სიტყვით გამოვიდა პირველი რექტორი პ. მელიქიშვილი. უნივერსიტეტის გახსნის ისტორიაზე საზოგადოებას ესაუბრა ი. ყიფშიძე, რომელმაც თავის გამოსვლა დაამთავრა უნივერსიტეტის ფაქტიური ფუძემდებლის ივ. ჯავახიშვილისადმი მადლობის გადახდით. 30 იანვარს უნივერსიტეტის აუდიტოროიაში, რომელიც სტუდენტებითა და დამსწრე საზოგადოებით პირთამდე იყო სავსე, პირველი ლექცია წაიკითხა ივანე ჯავახიშვილმა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების შმდეგ დაისვა ეროვნული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადების საკითხი. განათლების მინისტრმა ვ. ლასხიშვილმა თავის მოხსენებაში აღნიშნა: „ქართულ უნივერსიტეტს იგივე სამეცნიერო მიზანი აქვს დასახული, როგორიც საზოგადოდ ყველა ხალხისა და ქვეყნის უმაღლეს სკოლას. მაგრამ ამასთანავე იგი თავის განსაკუთრებულს, უპირატეს ყურადღებას საქართველოს, კავკასიისა და ახოლ აღმოსავლეთის წარსულისა და აწმყოს, ადამიანისა და ბუნების ყოველმხრივ შესწავლას აპყრობს. ჩვენს უნივერსიტეტს საქართველოს ობიექტური პირობებიდან გამომდინარე განსაკუთრებული როლი მიეკუთვნება, განსაკუთრებული ღირებულება ექნება". მომხსენებელმა ისიც თქვა, რომ ქართულ უნივერსიტეტს ავტონომია აქვს, მაგრამ თავისუფალ უნივერსიტეტად ვერ ჩაითვლება, რადგან საკუთარი სახსრებით ვერ იარსებებს, სახელმწიფოსაგან მატერიალური დახმარება უნდა მიიღოს. ამიტომ სამინისტრო მხარს უჭერს პროფესორთა საბჭოს შუამდგომლობას და მთავრობას სთხოვს: 1) ქართულ უნივერსიტეტს მიენიჭოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტატუსი; 2) ყოველწლიურად, წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად, უნივერსტეტს გაეწიოს მატერიალური დახმარება; 3) ავტონომიურ უნივერსიტეტზე უზენაესი მეთვალყურეობა განახორციელოს განათლების მინისტრმა; 4) განათლების მინისტრს

დაეალოს უახლოეს ხანს მთავრობაში დასამტკიცებლად წარმოადგინოს უნივერსიტეტის წესდება.

1918 წლის 3 სექტემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „ქართული უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გამოცხადებისა". რექტორად დაინიშნა ივ. ჯავახიშვილი. იმავე დღეს დამტკიცდა სახელმწიფო უნივერსიტეტის დროებითი ძირითადი დებულება. მისი ზოგიერთი მუხლი ასეთია: 1) თბილისის უნივერსიტეტი როგორც სამეცნიერო-სასწავლო ისე შინაური მეურნეობის სფეროში „სრულებით ავტონომიურია", ყველა საქმეებს დამოუკიდებლად განაგებს; 2) უნივერსიტეტის მთავარ ორგანოთა მოქმედების საზოგადო მეთვალყურეობა სახალხო განათლების მინისტრის ფუნქციას შეადგენს; 6) თბილისის უნივერსიტეტი სრული უნივერსიტეტია, შეიცავს სიბრძნის მეტყველების, სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო, იურიდიულ და სამკურნალო ფაკულტეტებს; 8) უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ პროფესორები და დოცენტები. ასისტენტები და ლაბორანტები ეხმარებიან პროფესორებს, ატარებენ პრაქტიკულ მეცადინეობებს; 9) პროფესორად მეცნიერს ჯერ სათანადო ფაკულტეტის საბჭო ირჩევს, შემდეგ კი ამტკიცებს საუნივერსიტეტო (პროფესორთა) საბჭო; 12) თბილისის უნივერსიტეტს უფლება აქვს მიანიჭოს მოძღვართ-მოძღვრის ანუ დოქტორის სამეცნიერო ხარისხი; 19) ნიჭიერ და სამეცნიერო-კვლევა-ძიების უნარის პატრონ სწავლა დამთავრებულ სტუდენტს სათანადო ფაკულტეტის პროფესორთა საბჭო უნივერსიტეტში სტოვებს სამეცნიერო კვლევა-ძიებაში დასაწინაურებლად, პროფესორობისათვის მოსამზადებლად.[15]

დებულებაში მოხსენებული სამათემატიკო-საბუნებისმეტყველო და სამკურნალო ფაკულტეტები უნივერსიტეტში ამოქმედდა 1918 წლის სექტემბერში. იქ ლექციების ჩასატარებლად მოიწვიეს: ნ. მუსხელიშვილი, ა. რაზმაძე, ა. ბენაშვილი, პ. მელიქიშვილი, ქურდიანი, კახიანი, კრინიცკი, ბერიტაშვილი, მოსეშვილი, ქუთათელაძე, გოგიტიძე, ღამბარაშვილი. 1919 წელს ეროვნულ უნივერსიტეტს შეემატა აგრონომიული ფაკულტეტი. ცოტა მოგვიანებით პედაგოგიური ფაკულტეტი.

ეროვნული უნივერსიტეტისაგან დამოუკიდებლად და მასზე ადრე (1917 წ.) თბილისში დაარსდა ამიერკავკასიური მასშტაბის რუსული უმაღლესი სასწავლებელი — პოლიტექნიკური ინსტიტუტი. პრაქტიკულად მოქმედებდა 4 ფაკულტეტი: სასოფლო-სამეურნეო, ქიმიური, ჰიდრო-მექანიკური და ეკონომიკური. შეიქმნა აგრეთვე

სამხედრო-საინჟინრო განყოფილება. ეს სასწავლებელი პროფესორ-მასწავლებელთა ნაკლებობას არ განიცდიდა, მაგრამ აწუხებდა შენობის სივიწროვე და მატერიალური ხელმოკლეობა. როგორც ჩანს ამიტომ დაისვა სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. ზოგი წინადადებას აყენებდა მათი გაერთიანების შესახებ, ზოგიც პოლიტექნიკუმის დამოუკიდებლობის იდეას იცავდა. ერთ-ერთ სხდომაზე პროფ. ა. დიდებულიძემ განაცხადა: პოლიტექნიკუმი ერთადერთი უმაღლესი სასწავლებელია, სადაც სტუდენტობა იძენს უმაღლესი მათემატიკის, თეორიული მექანიკის, ფიზიკის და ქიმიის ცოდნას. მასა და უნივერსიტეტს შორის დიდი განსხვავებაა და ამიტომ ევროპის ყველა ქვეყნებში პოლიტექნიკური ინსტიტუტი დამოუკიდებლად არსებობს. მიზანშეწონილია ეს სასწავლებელი ჩვენთანაც დამოუკიდებელი იყოსო. ივ. ჯავახიშვილმა სხვა აზრი გამოთქვა, აღნიშნა, რომ ორი უმაღლესი სასწავლებლის შენახვას საქართველოს რესპუბლიკა ვერ შესძლებს. მათი გაერთიანებით ხარჯებიც შემცირდება და რუსული პოლიტექნიკუმის გაქართულებაც გაადვილდებაო. დადგენილების მიღება რამდენიმე ხნით გადაიდო.[16]

ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებით გვირგვინი დაედგა პირველი რესპუბლიკის სწავლა-განათლების სისტემას და იმავდროულად შეიქმნა ქართული მეცნიერების განვითარების მძლავრი კერა. განსაკუთრებით მაღალ საფეხურზე დადგა საქართველოს ისტორია, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა, გამრავლდა და გაუმჯობესდა ქართული ენისა და ლიტერატურისადმი მიძღვნილი ნაშრომები. წინ წავიდა იურისპრუდენცია, სოციოლოგია, ფილოსოფია. ქართველმა მეცნიერებმა დაიწყეს თავისი წვლილის შეტანა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, მათემატიკაში. ამ სამწლეულში უნივერსიტეტთან ერთად მეცნიერების განვითარებაში თავისი წვლილი შეჰქონდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფო საზოგადოებას, თბილისის მუზეუმს, დარგობრივ სამეცნიერო საზოგადოებებს, რომელნიც ადრე შეიქმნენ და ამ პერიოდშიც აგრძელებენ საქმიანობას.

XXX

საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში წინა ხანების არა ერთი მწერალი (დავით კლდიაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი, შიო არაგვისპირელი, ვასილ ბარნოვი, ანასტასია

ერისთავ-ხოშტარია, კონდრატე თათარაშვილი და სხვ.) აგრძელებდა მოღვაწეობას, მაგრამ პროზისა და განსაკუთრებით პოეზიის ასპარეზზე მძლავრად ამოქმედდა მათი მომდევნო თაობაც. XX ს-ის პირველ ოცწლეულში ქართულ მხატვრულ სიტყვიერებას ამდიდრებდნენ ნიკოლორთქიფანიძე, ლეო ქიაჩელი, სანდრო შანშიაშვილი, ალექსანდრე აბაშელი, პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი.

ამ პერიოდში მხატვრული სიტყვის ოსტატებმა მეტი ყურადღება მიაქციეს თავის რიგების შემჭიდროებას. 1908 წელს დაარსდა მწერალთა საზოგადოება, შეიქმნა მისი მუდმივ მოქმედი ორგანო საბჭო. მწერალთა საზოგადოება და მისი საბჭო 1917 წლამდე საქმიანობდა. გამოსცა ბესიკის, ი. გრიშაშვილის ნაწარმოებები, შექმნა კრებული გრდემლი, გამოვიდა მისი სამი წიგნი.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ მწერალთა საზოგადოებრივი მოღვაწეობა და პროფესიული საქმიანობაც გაცხოველდა. გადაწყდა ქართველ მწერალთა კავშირის შექმნა. დამფუძნებელი ყრილობა მოამზადა სპეციალურმა კომისიამ, რომელშიც შედიოდნენ კოტე მაყაშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი. შესავალ სიტყვაში კონფერენციის თავმჯდომარე კ. მაყაშვილმა ილაპარაკა მხატვრული ლიტერატურის დანიშნულებაზე, მწერალთა ერთ ოჯახად შეკავშირების საჭიროებაზე. მოუწოდა მწერლებს თავიდან მოეცილებინათ დანაწილება-დაქსაქსვის შხამი. ნუ შევუშინდებით ჩვენში არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა სხვადასხვაობას. ვეძებოთ მხატვრული სიტყვის უკეთესი ფორმა, მივაღწიოთ ჭეშმარიტებისა და მშვენიერების მწვერვალებს.[17]

დამფუძნებელმა კონფერენციამ დაამტკიცა წესდება და არჩია მწერალთა კავშირის საბჭოს წევრები: კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, კოტე მაყაშვილი, ტიციან ტაბიძე, ლეო ქიაჩელი. 1919 წელს მწერალთა კავშირმა შეისყიდა რუსთაველის თეატრის ქვემო სართული, გამართა იქ კაფე-რესტორანი — „ქიმერიონი" (რომელიც იჯარით გასცა) და კლუბი, რომელშიც ეწყობოდა ლიტერატურული შეხვედრები, ახალი ნაწარმოებების განხილვა-შეფასებები.

მწერალთა კავშირის პარალელურად საქმიანობდნენ ცისფერყანწელები. ქართველ სამბოლისტთა ეს ლიტერატურული

დაჯგუფება გაფორმდა 1916 წელს ქ. ქუთაისში და იქვე გამოიცა ჟურ. „ცისფერი ყანწები“. ამ ჯგუფში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, ტ. ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, კ. ნადირაძე და სხვ., 1918 წელს ცისფერყანწელებს შეემატნენ ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, რ. გვეტაძე, შ. აფხაიძე, ნ. მიწიშვილი. ცისფერყანწელთა ძირითადი ლოზუნგი იყო „ხელოვნება ხელოვნებისათვის“. ისინი თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ლიტერატურული ნაწარმოების იდეურ მხარეს. სამაგიეროდ საგრძნობლად დახვეწეს ქართული ლექსის ფორმა. შექმნეს პოეზიის მაღალი ნიმუშები.

1920 წლის აპრილში გაიმართა ქართველ მწერალთა მეორე კონფერენცია. კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ კ. მაყაშვილმა თვითკრიტიკულად აღნიშნა, რომ კავშირმა ბევრი ვერაერი გააკეთა, ვერ შექმნა მტკიცედ დაფუძნებული ბეჭდვითი ორგანო. გამოვიდაო მხოლოდ ორი ნომერი ჟურნალისა „შვიდი მნათობი“, გამოქვეყნდა ლექსები ი. გრიშაშვილის და პ. იაშვილისა. მოთხრობები ნ. ლორთქიფანიძისა. მწერალთა კავშირმა საიუბილეო საღამოები მოაწყო შ. არაგვისპირელის, ვ. ბარნოვისა და დ. კლდიაშვილის საპატივსაცემოდ. გალაკტიონ ტაბიძე არ ჩანს არც მწერალთა კავშირისა და არც ცისფერყანწელთა შემადგენლობაში, მაგრამ მისი ტალანტი, პოეტური გენია საყოველთაოდ იყო აღიარებული. ამის დასტურად კმარა მარტო ის ფაქტი, რომ 1921 წლის იანვარში მხატვრული სიტყვის თაყვანისმცემლებმა, როცა შეაჯამეს საკონკურსოდ წარდგენილ ნაწარმოებთა განხილვის შედეგები, გალაკტიონ ტაბიძეს ლექსისათვის — პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — პოეტების მეფის ტიტული მიანიჭეს.

ქართული დრამატული თეატრი საქართველოს დამოუკიდებლობის ხანაშიც აგრძელებდა თავის ტრადიციებს, მაგრამ მის პრაქტიკულ საქმიანობას ხშირად აფერხებდა უსახსრობა. წარმოების კრიზისისა და ინფლაციის პირობებში კერძო შემოწირულებებმა იკლო და მთავრობასაც უჭირდა თეატრის დაფინანსება.

1918 წლის აგვისტოში მთავრობას ეწვივნენ მსახიობთა კავშირის წარმომადგენლები (შ. დადიანი, ვ. შალიკაშვილი) და სთხოვეს მატერიალური დახმარება. გადაწყდა სახელმწიფო თეატრში ახალი სეზონი გამოცდილ მსახიობებს გაეხსნა. მაგრამ ვეტერანთა დასის მობილიზება ოქტომბრამდე არ მოხერხდა. თანაც გაძნელდა მისი დაფინანსება. ამ დროს უკვე ჩამოყალიბებული იყო დრამატული საზოგადოების სასცენო ხელოვნების სტუდია გ. ჯაბადარის

ხელმძღვანელობით (მას თეატრალური განათლება პარიზში ჰქონდა მიღებული). სტუდიის დასში ჩაირიცხნენ დამწყები მსახიობები ვ. ანჯაფარიძე, ე. აბაზაძე, ც. ამირეჯიბი, გ. გამრეკელი, ე. ციმაკურიძე, მ. არადელი-იშხნელი, ვ. არაბიძე, ა. ალექსიშვილი, მ. გელოვანი, ა. ვასაძე, მ, ჭიაურელი, ი. ზარდალიშვილი და სხვები. რეჟისორებად მოიწვიეს ზ. ბერიშვილი, ა. ფალავა, კ. შათირიშვილი. მთავარი რეჟისორის ადგილი დაიკავა სტუდიის ორგანიზატორმა გ. ჯაბადარმა. ახალგაზრდათა ამ ჯგუფს დიდი პრეტენზიები არ ჰქონდა და მთავრობამაც მას მისცა ახალი თეატრალური სეზონის გახსის უფლება.[18]

მთავრობის ასეთი გადაწყვეტილებით ძველი თეატრალები ნაწყენი დარჩნენ. გაზ. „ერთობაში" დაიბეჭდა კრიტიკული წერილი. ავტორი წერდა: „დრამატულმა საზოგადოებამ სტუდია გახსნა, მაგრამ იგი არაა სტუდია, რომ გაზარდოს მომავალი მსახიობი. მათ სინამდვილეში გახსნეს დასი, რომელსაც სეზონის წარმართვა ჰქონდა მიზნად. განა შეიძლება მოსწავლეებმა 6 თვეს იმსახურონ. ისინი ვერ ასწევენ მთელი სეზოის სიმძიმეს".[19]

სტუდიის ახალგაზრდა დასმა მაინც დაიწყო საქმიანობა, 1918 წლის 18 ნოემბერს მაყურებელს წარუდგინა ბრიეს „სარწმუნოება". გაზ. „ერთობის" კორესპონდენტმა სპექტაკლი გააკრიტიკა, „თეატრი და ცხოვრება" კი მას აღტაცებით შეხვდა. ძველ გვარდიას, ბუნებრივია, არ მოეწონა, რომ თეატრალური ცხოვრების მიღმა რჩებოდა.

1918 წლის 24 ოქტომბერს გაიმართა ქართველ მსახიობთა პროფესიული კავშირის სხდომა. შ. დადიანმა აღნიშნა, რომ კავშირს სურდა თბილისში შეექმნა ერთი აკადემიური დასი, რომელშიც გამოცდილ მსახიობებთან ერთად ახალბედებიც შევიდოდნენ. სტუდიას კი ახალი კადრების აღზრდა უნდა დავალებოდა, რადგან მარტო მისი ძალებით თეატრალური სეზონი სათანადო დონეზე ვერ ჩატარდებოდა. სამწუხაროდ გაერთიანება არ მოხერხდა. სეზონის წარმართვა სტუდიამ გააგრძელა. მან მხოლოდ ორიოდე წარმოდგენის გამართვა მოახერხა. სეზონის წარმართვაში ქართველ მსახიობთა დასიც ჩაერთო. მაყურებელს უჩვენა „ღალატი". მაგრამ საერთოდ 1918-1919 წლების თეატრალურმა სეზონმა ქართველი საზოგადოება ვერ დააკმყოფილა.

საქმის გამოსწორება ვ. გუნიამ სცადა, შეადგინა დასი, რომელშიც შევიდნენ: ქ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ო. ლეჟავა, ო. გორდელი, ე. ჩერქეზიშვილი, ვ. აბაშიძე, შ. დადიანი და სხვ. გამოცხადდა, რომ დასი

წარმოდგენებს გამართავდა სახალხო სახლის, ქართული კლუბის და სახელმწიფო თეატრის სცენებზე. მაგრამ ეს შენობები დასს არავინ დაუთმო. ვ. გუნიამ დახმარება სთხოვა პარლამენტის ხელოვნების კომისიას. მაგრამ ამაოდ. დასი დაიშალა.

ამ ფაქტმა ხელოვნების დამფასებელი საზოგადოება მწარედ ჩააფიქრა. „სახალხო საქმის" რედაქცია წერდა: „თეატრი ყველგან ერის და სახელმწიფოს საქმეა. ჩვენში კი ის ანტრეპრენიორების და კერძო ორგანიზაციების ამარად არის დატოვებული. ჩვენი მთავრობა ყველაზე ზრუნავს გარდა მსახიობისა., ...გული მიკვდება, როცა ვხედავ უპატრონოდ და უსაქმოდ ვ. აბაშიძეს, ვ. გუნიას, ტ. აბაშიძეს, გ. იშხნელს., ...ცალკე არიან ნ. ჩხეიძე, ამირეჯიბი, ქიქოძე, ანჯაფარიძე, იმედაშვილი, ჭიაურელი, ზარდალიშვილი. ქართული სცენის გვირგვინი ვ. მსეხიშვილი ჩვენც კი არ ვიცით სად არის და რას აკეთებს".[21]

სახელმწიფო მოღვაწეთაგან საგანგაშო ზარი სამსონ კირცხალავამ ჩამოკრა. მწუხარებით აღნიშნა, რომ ქართული თეატრი ამ დამოუკიდებლობის ხანაში წინ კი არ მიდის, დაქვეითებას განიცდისო. „ქართული სასცენო ხელოვნება დღესაც ისე უსახლკარო და უპატრონოა, როგორც გუშინ და წინათ იყო., ...კრძო ინიციატივით და საშუალებით თეატრი დღევანდელ პირობებში ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება., ...თუ გვინდა ჯეროვან სიმაღლეზე დავაყენოთ ჩვენი სცენა, სახელმწიფომ უნდა გაუწოდოს თავის მტკიცე ხელი და აღმოუჩინოს ფართო ქონებრივი შემწეობა".[22]

ბევრი ქართველი მოღვაწე თეატრის გასახელმწიფოებრიობას მოითხოვდა. ისინი მკაცრად აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, რომელიც ძველ რუსულ დასებს მფარველობდა, ახალ ჩამოსულ ჯგუფებს დახმარებას უწევდა, ქართულ თეატრს კი ბედისანაბარა ტოვებდა. კრიტიკულად აღნიშნავდნენ, რომ სახელმწიფო თეატრში რუსული ოპერა ბატონობდა, არტისტული საზოგადოების დარბაზში რუსული დრამა ფარფაშებდა. „დროა გონს მოვეგოთ, დროა ჩვენ ხელოვნებას გავუწიოთ მფარველობა და მზრუნველობა. თუ სადმე სათეატრო ბინა მოიპოვება ჯერ დავაბინაოთ ჩვენი დრამა, ჩვენი ხელოვნება, მერე კი ვიფიქროთ ხელოვნურად მომრავლებული რუსული თეატრების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე.[23]

საზოგადოების კრიტიკულმა განწყობილებამ ზემოქმედება მოახდინა ხელისუფლებაზე. დამფუძნებელი კრების ხელოვნების სექციამ დაადგინა სპეციალური კომისიისათვის მიენდო ქართული თეატრის

ხელმძღვანელობა. ამ ფაქტს ს. ფირცხალავა გამოეხმაურა. იგი წერდა: „წარმოუდგენელია თავისუფალი საქართველო უკულტურო, უხელოვნებო, უთეატრო. მისი მოდუნება დროებითია., ...აიხსნება იმით, რომ დამოუკიდებლობის პირველ თვეებში მთელი ცხოვრება შთანთქა პოლიტიკურმა საკითხებმა. მაგრამ ერის არსებობა არ ამოიწურება მარტო პოლიტიკით და საჭიროა დიდი კულტურული საქმიანობა განათლების, მეცნიერების, ხელოვნების სარბიელზე. თეატრის აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფოებრივ-საზოგადოებრივი საშუალებებით".[24]

მალე ამის შემდეგ დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ პ. საყვარელიძეს დაავალა ქართული თეატრის გასახელმწიფოებრიობის პროექტის, სახელმწიფო თეატრის დებულების მომზადება და ხარჯთაღრიცხვის შედგენა. 1919 წლის 24 ოქტომბერს ხელოვნების კომისიისა და თეატრის მოღვაწეთა კრებაზე მოხსენებით გამოვიდა ა. ფაღავა. მაგრამ კრების უმრავლესობამ უარყო თეატრის გასახელმწიფოებრიობის იდეა იმ მოტივით, რომ ეს ღონისძიება სცენის მოღვაწეებს ჩინოვნიკებად გადააქცევდა, შეფერხდებოდა თეატრალური ხელოვნების თავისუფალი განვითარება. მათი აზრით სახელმწიფოსაგან საჭირო იყო მხოლოდ თეატრისათვის მატერიალური დახმარება.

თეატრალური ხელოვნების საკითხებზე კამათი 1920 წელსაც გაგრძელდა. მარტში მთავრობის დადგენილებით მოხდა არტისტული საზოგადოებისათვის სათეატრო შენობის იძულებითი ჩამორთმევა და მისი გადაცემა ქართული დრამატული საზოგადოებისათვის. შეიქმნა დასი, რომელმაც ახალი სეზონისათვის მზადება სურამში დაიწყო. მალე ოფიციალურად შეიქმნა თბილისში მეორე სახელმწიფო (ქართული) თეატრი. დასში ჩაირიცხა 20 ქალი და 22 მამაკაცი. რეჟისორის ფუნქციები უნდა შეესრულებინათ ვლ. მესხიშვილს, ა. ახმეტელს, ა. ფაღავას, ა. წუწუნავას. დასმა 10 სპექტაკლი მოამზადა, მაყურებელს უჩვენა: შ. დადიანის „გუშინდელნი",სოფოკლეს „ოიდიპოს მეფე", ვინიჩენკოს „სიცრუე", დ. კლდიაშვილის „დარისპანის გასაჭირი", შექსპირის „ოტელო" და სხვ.

გაზ. „საქართველო" სიხარულით შეხვდა ამ მოვლენებს: „მოხდა სასწაული და აღორძინდა კულტურა, აყვავდა ხელოვნება. უკვე ველარ იცნობთ ქართველ მსახიობს, რომელმაც დაამტკიცა, რომ მას სკოლაც გაუვლია, ტექნიკაც დუძლევია, კულტურასაც ზიარებია".[25]

აქტიური თეატრალური ცხოვრებით გამოირჩეოდა ქუთაისი. 1918

წელს აქაურ დასს ხელმძღვანელობდა მ. ქორელი, იქვე მუშობდა ა. იმედაშვილი. 1918-1919 წწ. სეზონში დასმა მაყურებელს უჩვენა 86 წარმოდგენა. მომდევნო სეზონში დაიდგა 63 წარმოდგენა. უფრო გაძნელდა 1920-21 წლის სეზონი, რადგან მსახიობთა დიდი ნაწილი თბილისში გადავიდა სამუშაოდ.

ბათუმის თეატრს ძალიან უჭირდა 1918-19 წლებში, მდგომარეობა გამოსწორდა მომდევნო წელს, როცა ჩამოყალიბდა სახალხო წარმოდგენების წრე ვ. ურუშაძის ხელმძღვანელობით. ქალაქში წარმოდგნებს მართავდა ხოლმე თბილისის დასი, მოსკოვის სამხატვრო თეატრი.

1919 წელს სცენის მოყვარეთა საზოგადოება აღსდგა ფოთში. წარმოდგენები ყოველ შაბათს იმართებოდა. 1920 წელს ფოთში შეიქმნა დრამატული საზოგადოება. 18 ივნისს აქ გამართეს ვასო აბაშიძის საიუბილეო საღამო. 1918-20 წლებში საკმაოდ ძლიერი თეატრალური დასი მოქმედებდა ლანჩხუთში. დროდადრო მსახიობთა დასები საქმიანობდნენ ზუგდიდში, სამტრედიაში, თელავში, ხაშურში, საგარეჯოში, ოზურგეთში, გორში, დუშეთში. ამ ქალაქებში თბილისის თეატრის გასტროლებიც იმართებოდა.

თეატრებსა და მსახიობთა დასებს შეძლებისდაგვარად საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლებაც ეხმარებოდა. 1918-1920 წწ. სახელმწიფოს ხარჯით აშენდა სათეატრო შენობები თელავსა და სურამში. მშენებლობები დაიწყო ბაღდადში, ხარაგოულში, ლანჩხუთში, სენაკში, ჭიათურაში. პარლამენტთან არსებულმა ხელოვნების კომისიამ ჩაატარა სცენისმოყვარულთა ყრილობა, რომელზეც მოისმინეს მოხსენებები პროვინციული დასების მუშაობის შესახებ. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა მიიღეს მითითება შეძლებისდაგვარად დაეფინანსებიათ ადგილობრივი სცენისმოყვარეთა ჯგუფები. საქართველოს მოსახლეობას კარგად ემსახურებოდა შ. დადიანის ხელმძღვანელობით შექმნილი მოგზაური დასი, რომელმაც 1919-1920 წლებში თიქმის მთელი საქართველო შემოიარა.[26]

საქართველოს პირველი რესპუბლიკის არსებობის წლებში აღმავლობასა და სრულყოფას განიცდიდა მუსიკალური ხელოვნება. 1917 წლის რევოლუციის მომდევნო ხანაში სამშობლოს დაუბრუნდნენ ი. აბაშიძე, დ. არაყიშვილი, ი. კარგარეთელი, ვ. სარაჯიშვილი, ნ. სულხანიშვილი, ზ. ფალიაშვილი, კ. ფოცხვერაშვილი, ა. ყარაშვილი და სხვ. მათი ინიციატივა-ხელმძღვანელობით ჩამოყალიბდა სამუსიკო

საზოგადოება, რომლის წესდება 1918 წლის 2 მარტს დამტკიცდა. სამუსიკო საზოგადოების გამგეობაში 9 კაცი შევიდა და მას მიზნად დაუსახეს მუსიკალური ცოდნის გავრცელება, კონსერვატორიის, სასწავლებლების დაარსება, საოპერო სეზონის ორგანიზება, ხალხური მუსიკის შეკრება, მუსიკალური ნაწარმოებების გამოცემა, მომღერალთა და მგალობელთა გუნდების ჩამოყალიბება.

1919 წლის 18 მაისს სამუსიკო საზოგადოების კრებამ დაადგინა ქართული კონსერვატორიისა და სამუსიკო სკოლების დაარსება. მალე სამუსიკო სკოლები გაიხსნა ქუთაისში, სოხუმში, თელავში. 1920 წელს კი – ბათუმში, ხონსა და სიღნაღში.

გარკვეულ მუშაობა მიმდინარეობდა ეროვნული ჰიმნის შექმნისათვის. 1918 წლის 1 ივნისს გამართულ კონკურსზე 11 ჰიმნი შესრულდა, ყველაზე უკეთესად სცნეს ნ. სულხანიშვილისა და კ. ფოცხვერაშვილის მიერ წარდგენილი ჰიმნები. მაგრამ არცერთი არ დაუმტკიცებიათ. დროებითი აღიარება მოიპოვა კ. ფოცხვერაშვილის ჰიმნმა (დიდება), რომელიც პირველად 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს შესრულდა.

საოპერო სპექტაკლები მხოლოდ თბილისში რუსულ სახაზინო (სახელმწიფო) თეატრში იმართებოდა. საოპერო თეატრის დასში 51 წევრი ირიცხებოდა. მათგან მხოლოდ რამდენიმე იყო ქართველი (მ. გედევანიშვილი, ა. ინაშვილი, ი. ფალიაშვილი). ბალეტში 24 შემსრულებელი იყო, ორკესტრში – 48. 1918 წელს მაყურებელს უჩვენეს „სევილიელი დალაქი", „ტოსკა" „ტრავიატა", „ევგენი ონეგინი", „ნერონი", „მარგალიტის მაძიებელნი", „ლაკმე", „ჰოფმანის ზღაპრები". აქვე ს. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით განხორციელდა რამდენიმე საბალეტო დადგმა.[27]

ქართველი კომპოზიტორები მუშაობდნენ შესაქმნელად ეროვნული ოპერებისა, რომელთა დადგმას სახელმწიფო თეატრის სცენაზე დაჟინებით მოითხოვდა ინტელიგენცია. 1918 წელს დაიდგა რ. გიგინაშვილის პირველი ქართული ოპერა „ქრისტინე". 1918 წელსვე შეიქმნა დ. არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე". მას მაღალი შეფასება მისცა სახელმწიფო თეატრის გამგე-მმართველმა ა. წუწუნავამ და სპეციალურად შექმნილმა კომისიამ. ამავე კომისიამ მოიწონა აგრეთვე ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი" დაადგინა მისი გაშვება 1919 წლის იანვარში.

ნიადაგი მომზადებული იყო და 1919 წელს დაისვა ქართული ეროვნული ოპერის დაარსების საკითხი. პრესაში დაიწერა, რომ საამისო

ძალები საკმარისიაო. უცხოეთში მოღვაწეობდნენ მომღერლები — ე. ნანობაშვილი, მ. ოარხნიშვილი, ს. სიხარულიძე; მოცეკვავეები— ჩერქეზიშვილი, გამსახურდია. თბილისის რუსულ საოპერო თეატრთან თანამშრომლობდნენ — ამასოვა-კალანდაძე, შულგინა-ბახუტაშვილი, ღამბაშიძე, მანდელოვი, მიხაილოვი, აგასოვი, ისეკკი, რომელთაც ქართული ენა იცოდნენ. რაც მთავარია უკვე შექმნილი იყო ქართული ოპერები. სვ. წერეთელს მიაჩნდა, რომ ამ საშვილიშვილო საქმეს სათავეში უნდა ჩადგომოდა სამუსიკო საზოგადოება და თვით მთავრობა.[28]

პრესაში გამოქვეყნდა აგრეთვე ია კარგარეთელის წერილი — „თეატრის ნაციონალიზაცია". ავტორს სახაზინო თეატრში რუსული დასის ბატონობა დაუშვებლად მიაჩნდა. თუ ასე გაგრძელდა, წერდა იგი, „ეს ღალატია. უნდა მოხდეს ნაციონალიზაცია თეატრშიც". თუ რუსები უცხო ენაზე სწავლობენ პარტიებს, ქართულადაც ისწავლონ. თუ ამას არ მოისურვებენ უარი თქვან მთავრობის სუბისიდიაზე.[29] გამოითქვა სხვა აზრიც: შეუძლებელია რუსი მსახიობების ქართულ ენაზე ამღერება, ისინი ქართულ სცენაზე არ გამოდგებიან. საჭიროა ქართული სკოლა, ქართული სამუსიკო სასწავლებელი, საოპერო სტუდია. სწორედ იქ აღიზრდებიან ქართველი მომღერლები და სწრაფად შეივსება ქართული საოპერო დასი. ამის გარეშე თვით შალიაპინმაც კი რომ იმღეროს ქართულ ენაზე, ეროვნული ოპერა მაინც არ გვექნებაო.[30]

ქართულმა ოპერამ ფეხი აიდგა, ფართო ნაბიჯებით წავიდაწინ. 1919 წლის 5 თებერვალს დაიდგა დიმიტრი არაყიშვილის ოპერა „თქმულება შოთა რუსთაველზე". პარტიებს ასრულებდნენ ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაშვილი, კალანდაძე, პოლიაევი და სხვ. ოპერის ნახვა-მოსმენის ყველა მსურველი თეატრის დარბაზმა ვერ დაიტია. მაყურებელი ოვაციებით შეხვდა ოპერას, მის ავტორს დ. არაყიშვილს საზეიმოდ გადაეცა ეროვნული დროშით შემკული გვირგვინი.

1919 წლის 20 თებერვალს სახელმწიფო თეატრში დაიდგა ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი". წარმოდგენას ესწრებოდნენ მთავრობა, პარლამენტის დეპუტატები, ამერიკის მისიის წარმომადგენლები. ოპერამ დიდი მოწონება დაიმსახურა. ავტორი დაჯილდოვდა თეთრი გიორგის ორდენით. პრესაში გამოქვეყნდა აღფრთოვანების გამომხატველი რეცენზიები. „აბესალომი" ამოძრავდა, საქართველოში იმოგზაურა, ოპერა ნახეს და მოისმინეს გორში, ხაშურში,

ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიაში, სენაკში, ზუგდიდში, ფოთში, აბაშაში, ბათუმში. აბესალომის პარტიას ყველგან ვ. სარაჯიშვილი ასრულებდა, მურმანისას — ს. ინაშვილი.

1919-20 წლების სეზონში სახელმწიფო თეატრში დაიდგა სულ 380 ქართული და რუსული სპექტაკლი. ქართულ ოპერებს შეემატა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე", რომელიც პირველად 1919 წლის 11 დეკემბერს დაიდგა. საოპერო სპექტაკლები საზონის განმავლობაში ნახა 305ათასმა კაცმა. მიუხედავად ქართული ოპერების ტრიუმფისა, ოპერის თეატრი კიდევ კარგახანს რუსულ კულტურულ დაწესებულებად ითვლებოდა. მხოლოდ 1920 წლის ბოლოს მოხდა მისი „ნაციონალიზაცია", გაეროვნულება. გადაწყდა დასის შევსება ქართული ძალებით. მალე გაქართულდა თბილისის კონსერვატორიაც. ოპერის თეატრი თანდათან ივსებოდა ქართველი მომღერლებით. 1921 წლის დამდეგს ოპერაში ირიცხებოდა 22 ქალი და 18 კაცი. მათ შორის ქართველები — ვ. სარაჯიშვილი, ა. ჭუმბურიძე, მ. ვენაძე, ს. ინაშვილი, მ. თარხნიშვილი, ე. იმერლიშვილი, მ. ქურხული. გუნდს ხელმძღვანელობდა ლ. სვიმონიშვილი, დირიჟორი იყო მიზანდარი. ორკესტრში წამყვან როლს ასრულებდა კ. ფოცხვერაშვილი.

1919 წლის 26 თებერვალს სახელმწიფო თეატრში პირველად დაიდგა ქართული ბალეტი. ეს იყო პირველი ქართველი კომპოზიტორ-ბალეტმეისტერის თ. ვახვახიშვილის ნაწარმოები „ვაკხის დღესასწაული". 1920 წელს დაიდგა მისივე „სიყვარულის საწამლავი". ქართულ კონსერვატროიასთან გაიხსნა საბალეტო სკოლა.

დამოუკიდებლობის წლებში აქტიურად და ნაყოფიერად საქმიანობდნენ ხალხურ სიმღერათა შემსრულებელი გუნდები, ქალ-ვაჟთა კაპელა, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი და სხვ. 1918 წლის 9 ივნისს გაიმართა სამხედრო კავშირთან არსებული ქალ-ვაჟთა გუნდების კონცერტი. შეასრულეს კ. ფოცხვერაშვილის „ლაშქრული", ზ. ფალიაშვილის „ალი ფაშა", მ. ბალანჩივაძის „სამშობლო ხევსურისა", ნ. სულხანიშვილის „მესტვირული". იმავე წლის 9 ივლისს სახელმწიფო თეატრში ნ. სულხანიშვილის ლოტბარობით გამართულ ეროვნულ კონცერტს უცხო სახელმწფოთა წარმომადგენლებიც დაესწრნენ. აქ ქართულ ხალხურ სიმღერებთან ერთად შესრულდა არიები ქართული ოპერებიდან. 1919 წლის 26 მაისს გაიმართა გრანდიოზული კონცერტი; მონაწილეობდა მომღერალთა 500 წევრიანი გუნდი, 300 კაციანი ორკესტრი,

ქორეოგრაფიული ანსამბლები. შესრულდა კ. ფოცხვერაშვილის სიმფონიური ოპერა „ამირანი“ და ახალი სიმღერები. მაღალ ოდნეზე ჩატარდა კონცერტი 1920 წლის 26 მაისსაც.

საქართველოს პირველ რესპულლიკაში სახვითი ხელოვნების ძველ ოსტატთა ნაწილიც აგრძელებს მოღვაწეობას (გ. გაბაშვილი, დ. გურამიშვილი, ალ. მრევლიშვილი, მ. თოიძე, ალ. ბერიძე, რ. გველესიანი, ნ. ფიროსმანი), მაგრამ ამ სფეროში წამყვანი როლის შესრულება დაიწყო ახალი თაობის მხატვართა ჯგუფმა (ვ. სიდამონ-ერისთავი, დ. შევარდნაძე, დ. კაკაბაძე, ლ. გუდიაშვილი, ალ. ციმაკურიძე, გრ. მესხი, ქ. მღალაშვილი, ე. ახვლედიანი), რომელიც უფრო მჭიდროდ იყო დაკავშირებული დასავლეთ ევროპასთან. სწორედ მათ ჩამოაყალიბეს 1916 წელს „ქართულ ხელოვანთა საზოგადოება“, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საერთოდ ქართული კულტურის განვითარებაში, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებასა და გამათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებაში.

წესდების მიხედვით ხელოვანთა საზოგადოების მიზანი იყო მხატვართა შეკავშირება, ხელოვნების ნიმუშთა შეგროვება, დაცვა, შესწავლა; საშხატვრო ჟურნალის გამოცემა, საზოგადოების ესთეტიკური გემოვნების დახვეწა და სხვ. დასავლეთ ევროპაში ხელოვნების სოციოლოგია ხეოლვნებას მხოლოდ საზოგადოებასთან მიმართებაში განიხილავდა. იგი თითქმის ერთნაირ დაინტერესებას ამჟღავნებდა ხელოვნების ნაწარმოების შემქმნელისადმი და ხელოვნების აღმქმელი, ხელოვნების მომხმარებელი საზოგადოების მიმართ. ქაროველი მხატვრებიცა და ხელოვნების სოციოლოგებიც დასავლეთის კვალს გაჰყვნენ. ეროვნული თვითგამოსახვის საშუალებათა ძიებამ იმდროინდელი შემოქმედებითი ახალგაზრდობა უხილავი ძაფებით დაუკავშირა საქართველოს ისტორიულ წარსულს, ძველი ქართული კულტურის იმ ნიმუშებს, რომელთა დაცვა-განვითარებისათვის ზრუნვა ახალი თაობის ხელოვანთა შინაგან მოთხოვნილებად იქცა. მათ კარგად ესმოდათ, რომ უცილებელი იყო ეროვნული ტრადიციების სინთეზი თანამედროვე მსოფლგანცდასთან. ნოვატორულ ხედვასთან.[31]

1919 წელს ქართველ ხელოვანთა საზოგადოების რეკომენდაციით საქართველოს მთავრობამ მივლინებით საფრანგეთში გაგზავნა დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი და შალვა ქიქოძე როგორც სახელმწიფოს სტიპენდიანტები. მათ შემქმედებითად გამოიყენეს საფრანგეთის დედაქალაქში ყოფნა, სრულყვეს თავისი ხელოვნება, ხატვის მანერა.

ხელოვანთა საზოგადოებამ შესძლო სამხატვრო გამოფენების ორგანიზება, მთავრობამ კი მათი დაფინანსება. მცირე მასშტაბის გამოფენები 1918 წელსაც ეწყობოდა. 1919 წლის 4 მაისს დიდების ტაძარში მოეწყო გამოფენა – „თანამედროვე ქართული მხატვრობა და ქანდაკება", რომელმაც დიდი ინტერესი, საზოგადოების აღფრთოვანება გამოიწვია. პრესაში დაიბეჭდა თ. გარტმანის სტატია. მან საერთოდ მაღალი შეფასება მისცა გამოფენაზე წარმოდგენილ ქართველი მხატვრების ნიმუშებს, განსაკუთრებული ხოტბა კი შეასხა ფიროსმანის ტილოებს. გარტმანმა პირველმა უწოდა ფიროსმანს გენიალური, იწინასწარმეტყველა, რომ მალე ეს თვითნაბადი ოქრო საყოველთაო აღიარება-დაფასებას მოიპოვებდა. მანვე საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ალ. მრევლიშვილის, ვ. სიდამონ-ერისთავის, დავით კაკაბაძის ნახატებს, ხოტბა შეასხა ახალგაზრდა ლ. გუდიაშვილსა და ი. თოიძის ტილოებს, ი. ნიკოლაძისა და ი. ბილანიშვილის მიერ გამოფენაზე წარმოდგენილ ქანდაკებებს. ვ. კოტეტიშვილმა გამოფენას მიუძღვნა სტატია „სურათთა ზეიერანში", აღნიშნა, რომ აქ ყოველი მხატვარი თავისებურია. ზოგ მხატვარს ეტყობა უცხო გავლენაც, მაგრამ თითქმის ყველა „გადამწვარია საკუთარი ცეცხლით".[32]

მ. თოიძემ მთავრობისაგან მიიღო დაფინანსება, სპეციალური ვაგონი და შესძლო მოძრავი გამოფენის მოწყობა; ქართველ მხატვართა ნიმუშები გააცნო ბათუმის, გორის, სურამის, ახალსენაკის, ფოთის, ბორჯომის მოსახლეობას. ქართველ მხატვართა გამოფენა 1920 წელს გაიმართა იტალიაში, აგრეთვე პარიზში და უცხოელ სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა. ლ. გუდიაშვილის ორი ტილო მადრიდის ეროვნული გალერეისათვის შეიძინეს.

დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნების რამდენიმე კვირის შემდეგ თბილისში შეიქმნა ქართული კინემატოგრაფიული საზოგადოება. ამ კერძო ფირმამ გადაწყვიტა ეკრანისათვის შეედგინა საგანგებო დასი და სპეციალური კინოსტუდია მსახიობთა მოსამზადებლად. აქციონერული კაპიტალის (10 მლნ მანეთი) ნაწილი გამოიყენეს პიესების, აპარატურის, ატელიეს შესაძენად. განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა აქციონერულ საზოგადოებას კინოატელიე იმ ზომამდე გაეფართოებინა, რომ წელიწადში შეძლებდა 55 ფილმის გადაღება. 1919 წელს საქართველოს მთავრობამ კინოხელოვნების განვითარებისათვის გადადო 13 მლნ მანეთი.

1918 წელს კინორეჟისორმა გ. გოგოტიძემ გადაიღო მხატვრული ფილმი „ქრისტინე", აგრეთვე 12 დეკემბერს გამართული სახალხო

გვარდიის დღესასწაული. ეს ფილმები აჩვენეს კინოთეატრ „აპოლოში“. იქვე იყო დემონსტრირებული დამფუძნებელი კრების გახსნისადმი მიძღვნილი ფილმი. ეკრანიზებულ იქნა ბათუმის საზაო კონფერენცია, 1919 წლის 26 მაისს გამართული ეროვნული დღესასწაული. 1920 წელს გადაიღეს 4-ნაწილიანი ფილმი – „ევროპის სოციალისტური დელეგაცია საქართველოში“.

1919 წელს გაზეთ „სახალხო საქმეში“ დაიბეჭდა სტატია – „ქართული კინემატოგრაფი“, რომელშიც მაღალი შეფასება აქვს მიცემული კინოს საერთოდ და კერძოდ რეჟისორ გ. გოგიტიძის ღვაწლს ამ საქმეში. თბილისში თანდათან გამრავლდა კინოთეატრები. სხვადასხვა დროს ამოქმედდა: „ამირანი“, „სოიუზი“, „მინიონი“, „კოლიზეი“, „აპოლო“ და სხვ. კინოთეატრი „რადიუმი“ მოქმედებდა ქუთაისში. სხვა ქალაქებს ემსახურებოდა ავტომანქანაზე დამონტაჟებული მოძრავი კინოდანადგარი. 1918-1920 წლებში ქართველმა მაყურებელმა ნახა უცხოური ფილმებიც („გრაფ მონტე კრისტო“ „დანაშაული და სასჯელი“, „ჟანა დარკი“ „სიკვდილის დუქანში“, „პომპეის დაღუპვა“, „ცისფერ ტბასთან“ და სხვ.). კინოხელოვნება ფართო საზოგადოების სამსახურში დგებოდა.

თავი VIII

საგარეო ორიენტაციის პრობლემა. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის

1918 წლის მაისში შინაპოლიტიკურმა ვითარებამ და საერთაშორისო ძალთა განლაგებამ საქართველოს თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია (ბოლშევიკური ორგანიზაციის გამოკლებით) პროგერმანულ ორიენტაციაზე დააყენა. იმ მომენტში რუსეთისაგან ფაქტიურად გამოყოფილი საქართველო თურქეთის მიერ ოკუპაციის საფრთხისაგან კაიზერულმა გერმანიამ გადაარჩინა, გარკვეული დახმარება გაუწია მას შინაპოლიტიკური სტაბილიზაციის დამყარებასა და საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესებაში. ვიდრე მსოფლიო ომი გრძელდებოდა, გერმანიას აწყობდა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე შექმნილი ეროვნული სახელმწიფოების კეთილგანწყობილება. მეორე მხრივ, მის მიზანს შეადგენდა გერმანული კაპიტალის ინტერესების დაცვა ამიერკავკასიაში. გერმანიის მთავრობა და მისი წარმომადგენლობა თავშეკავებულად მოქმედებდა, პატივს სცემდა საქართველოს სუვერენულ უფლებებს, მის მთავრობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ძალებს თითქმის არ აძლევდა უკმაყოფილების, ანტიგერმანული განწყობილების საფუძველს.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამ, ანტანტის მიერ გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ, როგორც უკვე ითქვა, არსებითად შეცვალა სამხედრო-პოლიტიკურ ძალთა განლაგება მთელ მსოფლიოში და ახლო აღმოსავლეთშიც. საქართველოსათვის ამ ფაქტს, ერთი მხრივ ჰქონდა დადებითი მნიშვნელობა; დამარცხებული თურქეთი იძულებული გახდა ამიერკავკასიაში ოკუპირებული ტერიტორიები დაეცალა და ამდენად საქართველოს შესაძლებლობა მიეცა აღედგინა თავის სუვერენული უფლებები სამუსლიმანო საქართველოზე. მეორე მხრივ, საქართველოს მფარველ-მოკავშირის გერმანიის მარცხი უარყოფითად აისახა მის საერთაშორისო მდგომარეობაზე. ჩვენმა

მეზობლებმა (დენიკის რეჟიმი, სომხეთი, აზერბაიჯანი და სხვ.) გერმანიის კაპიტულაცია აღიქვეს როგორც საქართველოს მარცხი და სცადეს მის ხარჯზე თავის ტერიტორიების გაფართოება.

ქართველი პოლიტიკოსები ამჩნევდნენ, რომ მეზობელ პოლიტიკურ ერთეულთა იმედები მთლად უსაფუძვლო არ იყო. ისინი ცდილობდნენ დაერწმუნებინათ ანტანტის მესვეურები იავიანთ ლოიალობაში, არ დაეშვათ საქართველოს პოზიციების შესუსტება, დაეცვათ მისი საზღვრების ხელშეუხებლობა. საქართველოს ხელისუფლება იმასაც კარგად ხედავდა, რომ ანტანტას თავის საყრდენ ძირითად ძალად დენიკინი და მოხალისეთა არმია მიაჩნდა. იგი სწორედ თეთრგვარდიელთა მეშვეობით ვარაუდობდა ბოლშევიკური რეჟიმის დამხობას, ამ გზით რუსეთის ყოფილ იმპერიაში თავის ეკონომიური და სოციალ-პოლიტიკური ინტერესების დაცვას. ასეთი სიტუაცია აიძულებდა საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეებს მეტისმეტად ფრთხილი პოლიტიკა ეწარმოებინათ საბჭოთა რუსეთისა და დენიკინის მიმართ, გამოეცხადებინათ ნეიტრალიტეტი, ანტანტის დაწოლის მიუხედავად არ ჩარეულიყვნენ რუსეთის სამოქალაქო ომში დენიკინის მხარეზე, რაც ესოდენ აწყობდათ ანტანტის მესვეურებს.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ანტანტის, იგივე მოკავშირეთა გეგმებში აღმოსავლეთის საკითხი მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის საკითხს. საქართველოს ისინი ხედავდნენ რუსეთის ინტერესების პრიზმაში, მის საშინაო საქმედ განიხილავდნენ. საქართველოს მთავრობას კი საკუთარი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი. მისთვის მთავარი იყო დამოუკიდებლობის განმტკიცება, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისაგან საქართველოს რესპუბლიკის „დე-იურე“ აღიარება. სწორედ ეს განსხვავებული ინტერესები განაპირობებდა სიძნელეებს, ზოგჯერ წინააღმდეგობებს დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს ურთიერთობაში.

1. საქართველოს და დენიკინის რეჟიმის სამხედრო კონფლიქტი. დიდი ბრიტანეთის პოზიცია

ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის ჯარების კავკასიაში შემოსვლამდე საქართველოს მთავრობამ წინადადება მისცა ჩამოყალიბების პროცესში მყოფ მოხალისეთა არმიის სარდლობასა და ყუბანის რადას დაეწყოთ

ბოლაპარაკება საზღვრების დადგენის თაობაზე. 1918 წლის 25 სექტემბერს შემდგარ მსარეთა შეხვედრაში მონაწილეობდნენ დენიკინი, ალექსეევი, რომანოვსკი, ე. გეგეჭკორი, ვ. მაზნიაშვილი. მოლაპარაკების დაწყების პირველ დღესვე მოპირდაპირე მხარეებმა სიტყვიერად თითქოს სცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ ბრალი დასდეს მის მთავრობას წმინდა რუსული ტერიტორიების მითვისების მცდელობაში. რუსი გენერლები საქართველოს წარმომადგენლებს „ღობეს აქეთაც" შემოედავენ; არა მარტო ტუაფსე და სოჭი, არამედ თითქმის მთელი სოხუმის ოლქი რუსეთის მიწად გამოაცხადეს.

ე. გეგეჭკორმა უარყო ბრალდება და რუსი გენერლების გადაჭარბებული პრეტენზიები: ჩვენი ჯარის მიზანი არ იყო ტერიტორიების შემატება, ბოლშევიკთან ბრძოლამ გვაიძულა აგვეღო ტუაფსე. გაგრა უდაოდ საქართველოს ტერიტორიაა, სოჭი კი დროებით გვიჭირავს ბოლშევიკთაგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების მიზნითო. საპასუხოდ დენიკინმა თქვა: თუ ეს ასეა საკითხი იმგვარად გადავწყვიტოთ, რომ მოხალისეთა არმია დაიკავებს სოჭს და მის დაცვაში, საერთოდ ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს ჯარი დაგვეხმაროსო.[1]

1918 წლის სექტემბრის დამდეგს ტუაფსისათვის იბრძოდნენ ერთდროულად ბოლშევიკები და დენიკინელები. ამ ქალაქს მოხალისეთა არმია დაეუფლა. საქართველოს ჯარის ნაწილებმა სოჭის მიმართულებით დაიხიეს. დეკემბრამდე სოჭის რაიონში ძმშვიდობა სუფევდა, აქ განლაგებული იყო საქართველოს სამი ათასიანი ჯარი 60 ტყვიამფრქვევითა და 10 ქვემეხით.[2]

25-26 სექტემბრის მოლაპარაკება ჩიხში მოექცა და ერთხანს შეწყდა კიდეც. ამასობაში პირველი მსოფლიო ომი დამთავრდა. რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე ანტანტის ჯარის ნაწილები შემოვიდნენ. გამარჯვებულ მოკავშირეთა ძირითადი მიზანი გახდა ანტიბოლშევიკურ ძალთა წინააღმდეგობის აღმოფხვრა, საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მათი გაერთიანება. საქართველო-დენიკინის მოლაპარაკებაში არბიტრის როლი დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისიამ იკისრა. მან შეადგინა შეთანხმების პროექტი; საქართველოს ჯარი დასტოვებდა სოჭის რაიონს, მაგრამ იქ კვლავ დარჩებოდა ქართული ადმინისტრაცია. დენიკინის ჯარი არ უნდა შესულიყო აღნიშნულ რაიონში, ამ ტერიტორიის კუთვნილების საკითხს გადაწყვეტდა სამშვიდობო კონფერენცია.

მხარეებმა თითქოს მიიღეს ინგლისის მისიის მიერ შემუშავებული გეგმა, მაგრამ დენიკინმა დაარღვია იგი. საქართველოს ჯარმა დატოვა თუ არა სოჭის რაიონის ჩრდილოეთი ნაწილი, იქ მყისვე შეიჭრნენ მოხალისეთა არმიის ქვედანაყოფები. ამიტომ საქართველოს მთავრობამ შეაჩერა ჯარის გამოყვანა, შექმნა გამაგრებული ზოლი სოჭიდან 25 ვერსზე. ე. გეგეჭკორმა ინგლისის მისიას მოსთხოვა დაკავებული ტერიტორიებიდან დენიკინელთა ევაკუაციის უზრუნველყოფა. მაგრამ ამაოდ, დენიკინმა 1919 წლის იანვარში ახალი შეტევა წამოიწყო. დიდი ბრიტანეთის მისია არწმუნებდა საქართველოს მთავრობას, რომ არ დაუშვებდა მოხალისეთა არმიის შესვლას სოჭში. ამით დაიმედებულმა ქართულმა მხარემ გააგრძელა სადაო ტერიტორიიდან ჯარის გამოყვანა. 1919 წლის თებერვლის დამდეგს სოჭის რაიონში რჩებოდა სულ 300-მდე ქართველი ჯარისკაცი. ამის შესახებ, როგორც ჩანს, ინფორმაცია მიიღეს დენიკინელებმა და 6 თებერვალს თავს დაესხნენ ქართველთა პოზიციებს სადგურ ლოისთან, 7 თებერვალს კი აიღეს სოჭი.

საქართველოს მთავრობამ ცოტა მოგვიანებით ჯარის ახალი ნაწილები გაგზავნა რუსეთის საზღვრისაკენ. იმავდროულად დაძაბული სიტუაციის განმუხტვა მოსთხოვა დიდი ბრიტანეთის ჯარის სარდლობას. 9 თებერვალს ე. გეგეჭკორმა ნოტით მიმართა ინგლისელებს, მოითხოვა სოჭის რაიონის ნეიტრალურ ზონად გამოცხადება. მაგრამ არაფერი გამოვიდა. დიდი ბრიტანეთის სარდლობამ ვერ შეასრულა დაპირება. კიდევ მეტი, სოჭის დაკავების შემდეგ დენიკინელები გაგრის რაიონში შემოიჭრნენ, მდ. ბზიფის პირას დაიკავეს პოზიციები.

15 თებერვალს გაიმართა ნ. ჟორდანიასა და გენერალ ფორესტიე უოკერის ოფიციალური შეხვედრა. ინგლისელთა ჯარის მთავარსარდალმა აღიარა, რომ ვერ შეასრულა დასახული გეგმა და დაპირება. შეეცდებით დამნაშავე გამოვავლინოთ და ომი შევაჩეროთო. ნ. ჟორდანიამ კატეგორიულად მოითხოვა, რომ დენიკინს დაუყონებლივ გაეყვანა ჯარები გაგრის რაიონიდან. მიუხედავად იმისა, რომ ფორესტიე უოკერმა უშიშროების ვერავითარი გარანტიები ვერ მისცა ქართველთა მხარეს, მან მაინც აუკრძალა საქართველოს მთავრობას თავის ჯარების შეტევაზე გაგზავნა. 19 თებერვალს ნ. ჟორდანიას აცნობეს, რომ კონსტანტინეპოლში დაბანაკებული მოკავშირეთა ჯარის მთავარსარდლობამ უბრძანა დენიკინს ჯარები გაიყვანოს არა მარტო

ვაგრის რაიონიდან, არამედ სოჭიდანაც. ამიტომაც საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა წინსვლა არ უნდა განახორციელონო. საქართველოს მთავრობას კვლავ გაუჩნდა სადაო საკითხების მშვიდობიანად გადაჭრის იმედი., ამიტომ სარდლობას უბრძანა, არ გადაელახა მდ. ბზიფი, თუ თვით დენიკინელები არ გადმოვიდოდნენ შეტევაზე. მაგრამ დენიკინი განაგრძობდა ბზიფის პოზიციებზე განლაგებული თავის ჯარების შევსებას, ეჰზადებოდა შემოტევისათვის. ამის გამო 27 თებერვალს გ. გეგეჭკორმა პროტესტი გაუგზავნა პოლკოვნიკ ჯორდანს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა წინადადება მისცა ინგლისის სამხედრო მისიას განეხორციელებინა შემდეგი ღონისძიებები: 1) ბრძანება მიეცეს მოხალისეთა არმიას გარკვეულ ვადაში დატოვოს საქართველოს ტერიტორიები; 2) მანამდე ბზიფზე განლაგდნენ ინგლისელთა პიკეტები; 3) დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ ინგლისის პიკეტები განლაგდნენ მდ. მეხადირის გასწვრივ და ეს მდინარე ჩაითვალოს საქართველოსა და სოჭის ოლქის საზღვრად; 4) თვით სოჭის ოლქის კუთვნილების საკითხი გადაწყვიტოს პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ.[3]

მაგრამ მოკავშირეთა მთავარსარდლობა და დიდი ბრიტანეთის სამხედრო მისია კვლავ დაპირებებით კვებავდნენ საქართველოს მთავრობას. მდგომარეობა თანდათან დაიძაბა. ოკუპანტები ძარცვავდნენ სოჭისა და გაგრის რაიონის მოსახლეობას, რამაც მათი აჯანყება გამოიწვია. გაჩაღდა პარტიზანული მოძრაობა. ასეთ პირობებში საქართველოს შეიარაღებული ძალები გულხელდაკრეფილი ვერ დარჩებოდნენ. ქართველთა ჯარის სარდლობას ბზიფის პოზიცია უვარგისად მიაჩნდა, მთავრობას უცხადებდა, რომ აუცილებელი იყო ჯარების გადანაცვლება მდ. მეხადირსა და გაგრის ქედზე. ამ შემთხვევაში ნ. ჟორდანიას მთავრობამ გაბედა იგლისელთა ურჩობა, მიიღო არსებითად სწორი გადაწყვეტილება იარაღის ძალით გაეთავისუფლებინა დენიკინელთაგან დაკავებული ქართული მიწები. ე. გეგეჭკორი მოკავშირეთა მთავარსარდლობას სწერდა: „საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა მიეცა ბრძანება ჯარებისათვის გაგრის რაიონის მდ. მეხადირამდე დაკავების თაობაზე. თქვენთვის ცნობილია, რომ სოჭის ფრონტს სამთვიანი ისტორია აქვს. ამ ხნის მანძილზე ჩვენ ველოდით,რომ საკითხი დიპლომატიის მეშვეობით გადაწყდებოდა. ამგვარი დაპირებები ჩვენ არაერთგზის მივიღეთ ინგლისის მთავრობისაგან. ამ ხანგრძლივმა ლოდინმა აუტანელი ფსიქოლოგიური

ზემოქმედება მოახდინა ფრონტზე განლაგებულ ჩვენი ჯარის ნაწილებზე. შემდეგი ლოდინი კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა., ...საქართველოს მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ დიდი ბრიტანეთის მთავარსარდლობა შეაფასებს ჩვენს ნებიჯს როგორც თავდაცვის იძულებით აქტს, რაც არასგზით არ ეწინააღმდეგება საქართველოს მთავრობის ლოიალობას დიდ ბრიტანეთთან დამოკიდებულებაში".[4]

საქართველოს მთავრობა მოკავშირეთა რეაგირებას და პასუხს არ დალოდებია. გასცა ბრძანება შეტევის დაწყების თაობაზე. 12 აპრილს საქართველოს ჯარმა გადალახა მდ. ბზიფი, დაიწყო საბრძოლო ოპერაციები გაგრის რაიონის გაწმენდისათვის.

დიდი ბრიტანეთის მთავარსარდლობამ პროტესტი მანამდე გამოგზავნა, ვიდრე მიიღებდა ინფორმაციას საომარი მოქმედების დაწყების შესახებ. გენერალი მილნი წერდა: 1) ახლანდელი სტატუსქვო შენარჩუნებული უნდა იქნეს; 2) არ შემიძლია ნება მივცე საქართველოს ჯარს წინ წაიწიოს მეხადირამდე; 3) თვითნებური მოქმედება საქართველოს ჯარებისა ზიანს მიაყენებს საქართველოს საქმეებს სამშვიდობო კონფერენციაზე... მაგრამ ინგლისელებმა დაიგვიანეს; საქართველოს ჯარები უკვე გადასული იყვნენ შეტევაზე. ამის შესახებ ცნობის მიღებისთანავე, გენერალმა ტომსონმა 1919 წლის 18 აპრილს პროტესტი გაუგზავნა ნ. ჟორდანიას და საქართველოს ქმედება შეაფასა როგორც „დიდი ბრიტანეთისადმი მტრული" და მიუთითა იმ მძიმე პასუხისმგებლობაზე, რაც საქართველოს ხელისუფლებამ აიღო თავის თავზე. მან ნ. ჟორდანიას მიანიშნა, რომ პარიზის საზაო კონფერენცია გმობს იარაღის გამოყენებით სადაო საკითხების გადაჭრის პრაქტიკას და ამდენად საქართველოს მიმართ მისი განწყობილება უარესობისაკენ შეიცვლებაო.[5]

დიდ ბრიტანეთსა და საერთოდ მოკავშირეებს არ აწყობდათ ანტიბოლშევიკური ძალების ურთიერთშორის ბრძოლა. ამიტომ ამჯერადაც მათ გააძლიერეს დიპლომატიური ზეწოლა საქართველოს რესპუბლიკაზე, მოითხოვეს მისი ჯარების შეტევის შეჩერება. ამას კარგახანს დადებითი შედეგი არ მოჰყოლია. საქართველოს ჯარებმა გაანთავისუფლეს გაგრის რაიონი და მდ. მეხადირის მარცხენა სანაპიროზე გამაგრდნენ. ამ მოვლენებით უკმაყოფილო მთავარსარდალი გენერალი მილნი თვითონ ჩამოვიდა თბილისში, შეხვდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს. ნ. ჟორდანიამ განაცხადა, რომ მზად არის განაახლოს მშვიდობიანი მოლაპარაკება დენიკინთან. ამ უკანასკნელმა

მოლაპარაკების განახლების წინაპირობად მიიჩნია საქართველოს ჯარის ბზიფის პოზიციებზე დაბრუნება. ბრიტანელი სამხედროები კვლავ ქართულ მხარეს დააწვნენ, მისი ინტერესების ხარჯზე მოისურვეს კონფლიქტის გადაწყვეტა, თუმცა სცადეს დენიკინის გარკვეულ დათმობაზე წაყვანაც.

1919 წლის 23 მაისს თბილისში განახლდა მოლაპარაკება. ქართულ მხარეს წარმოადგენდა – ე. გეგეჭკორი, ნ. რამიშვილი, გენერალი ი. გედევანიშვილი, დ. თოფურიძე; ინგლისელთა მხარეს – გენერალი ბიჩი, მოხალისეთა არმიას – გენერალი ბრიმსი. დაისვა არა მარტო გაგრის საკითხი, არამედ თვით საქართველოს დამოუკიდებლობის პრობლემა. ნ. რამიშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის, მისი „დე-ფაქტო" და „დე-იურე", ცნობის საკითხი პარიზის სამშვიდობო კონფერენციას უნდა განეხილა. გენერალმა ბრიმსმა კი უხეშად განაცხადა – „ეს საკითხი პარიზის კონფერენციაზე არ დაისმება, იგი რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებას ექვემდებარება. ასეთი პატარა ხალხი არ უნდა მიისწრაფოდეს დამოუკიდებლობისაკენ". მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. 24 მაისს ნ. ჟორდანია პირადად შეხვდა გენერალ ბიჩს, ჰკითხა მას ბრიმსი ინგლისის თვალსაზრისს ხომ არ გამოხატავდაო. ბიჩმა განაცხადა ეს ინგლისელი გენერალი საკუთარ აზრს გამოთქვამს, მას ინგლისის მთავრობის პოზიციასთან კავშირი არ აქვსო. ნ. ჟორდანია გარკვეულ დათმობაზე წავიდა. დათანხმდა საქართველოს ჯარები მეხადირიდან ბზიფზე დაებრუნებია, იმ პირობით თუ გაგრის რაიონში არ შეავიდოდნენ მოხალისეთა არმიის ნაწილები. საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ფაქტიურად მოითხოვა გაგრის ნეიტრალური ზონის შექმნა, იქ ინგლისის ჯარების განლაგება.[6]

გენ. ბიჩი არწმუნებდა ნ. ჟორდანიას, რომ გაგრის რაიონის უპირობო დატოვებით, საქართველო მოიგებდა ეკონომიურად და განსაკუთრებით პოლიტიკურად, რამდენადაც საქართველოს რესპუბლიკის პრესტიჟი ცივილიზებული მსოფლიოს თვალში ამაღლდებოდა. ამ დათმობით საქართველოს მთავრობა ხელს შეუწყობდა წარმატებას ბოლშევიზმთან ბრძოლაში, რამდენადაც საშუალებას მისცემდა მოხალისეთა არმიას მთელი ძალები წარემართა მოსკოვის მიმართულებით.

საქართველოს მთავრობისათვის ეს არგუმენტები საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ ბიჩმა ისიც აღნიშნა, რომ დენიკინს ძლიერი არმია ჰყავს აღჭურვილი არტილერიით, ტანკებით, თვითმფრინავებითა და კრეისერებით. საქართველო მასთან ომში უეჭველად დამარცხდება.

ასეთ შემთხვევაში დენიკინი არ დაკმაყოფილდება მარტო გაგრით, დაიკავებს მთელი სოხუმის ოლქსო. დენიკინთან ზავი და მშვიდობა თქვენ მხოლოდ სარგებლობას მოგიტანთ, გადაარჩენს თქვენი სამშობლოსათვის ეოსდენ საჭირო და ძვირფასს მრავალი ადამიანის სიცოცხლესო. ნ. ჟორდანიამ უარყო ეს მოტივებიც და გაბედულად განაცხადა: „თუ გენერალი დენიკინი თავს უფლებას მისცემს საქართველოზე შეტევის დროს ისარგებლოს ბრიტანეთის ტანკებით, აეროპლანებითა და კრეისერებით, მაშინ საქართველოს მთავრობა ჩათვლის ამას ინგლისელების გამოსვლად ჩვენს წინააღმდეგ და დაუყონებლივ აცნობებს ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის მთავრობას“. ნ. ჟორდაიამ ისიც აღნიშნა, რომ დენიკინის შემოსევა საფრთხის ქვეშ აყენებს ამიერკავკასიის ყველა ხალხს და იცოდეთ, რომ „მომავალ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ ვიქნებითო“.[7]

1919 წლის 1 ივნისს გაიმართა საქართველოს დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომა, რომელზეც მთავრობის განცხადებით საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი გამოვიდა: მოქალაქენო! დენიკინის შავმა ლაშქარმა გაანადგურა მთიელთა რესპუბლიკა და აზერბაიჯანის საზღვარზე გავიდა. ამავე დროს მტერმა გააქტიურა მოქმედება სოჭის რაიონში, საქართველოს მიმართულებით მრავალრიცხოვანი ჯარები დასძრა. საქართველოს მთავრობას სურდა სადაო საკითხი დენიკინის რეჟიმთან მშვიდობიანი მოლაპარაკებით გადაეჭრა, მაგრამ მალე დავრწმუნდი, რომ დენიკინს მარტო რუსეთის საზღვრის აღდგენა არ აკმაყოფილებს. მისი მიზანია დემოკრატიული რევოლუციის ჩახშობა, საქართველოს დამოუკიდებლობის მოსპობა. „ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საერთაშორისო დემოკრატია, მოწინავე საზოგადოებრივი აზრი ევროპისა... მხარს დაუჭერს საქართველოს რესპუბლიკას და ამიერკავკასიის ერებს., ...მაგრამ უმთავრესი ძალა ჩვენში უნდა ვეძიოთ. ეჭვი არ გვაქვს, რომ საქართველოს გლეხთა და მუშათა კლასი სასტიკად შეებრძოლება დენიკინს, ვინაიდან დენიკინს მოაქვს შავი რეაქცია, დენიკინის შემოსვლა უქადის ჩვენს ქვეყანას აოხრებას და მოსპობას., ...ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ დენიკინი და მისი ლაშქარი ამიერკავკასიის საზღვრებს ვერ იხილავს და საქართველოს რესპუბლიკა მაღლა ააფრიალებს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დროშას“.[8]

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სახელით სიტყვით გამოვიდა შ. მესხიშვილი, ხოლო სოციალისტ-რევოლუციონერთა პოზიცია

გამოხატა ი. გობეჩიამ. მათ მხარი დაუჭირეს მთავრობის განცხადებას, მიზანშეწონილად მიიჩნიეს შინაგან ძალთა გაერთიანება, ქართველი ერის ყველა სოციალური ძალის მტრის წინააღმდეგ ამხედრება. მართალია, დენიკინის მსგავსად უცხო სახელმწიფოებისაგან არც იარაღი მიგვიღია და არც ფული, მაგრამ მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად უძლიერესი იარაღი გვაქვს, თავისუფლებისა და სამშობლოს სიყვარული გვრაზმავსო. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერმა სპ. კედიამ, აგრეთვე, მოიწონა მთავრობის მოქმედება, მაგრამ დაიწუნა მისი ვიწრო კლასობრივი პოზიცია; სამშობლოს დასაცავად მარტო მუშასა და გლეხს როდი უნდა მოვუწოდოთ, საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა რიგებში ყველა მოქალაქე უნდა ჩავაყენოთ. სპ. კედიამ იმედი გამოთქვა, რომ ამ კრიტიკულ მომენტში თვით მთავრობაც გარდაიქმნებოდა, თავის გარს შემოიკრებდა მთელ ერს და წაიყვანდა მას გამარჯვებისაკენ.[9]

პოლიტიკური ფრაქციების გამოსვლის შემდეგ საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ გამოაქვეყნა ასეთი განცხადება: „მოისმინა, რა მთავრობის მოხსენება მოხალისეთა არმიის შემოსევის შესახებ, დამფუძნებელი კრება საქვეყნოდ აცხადებს, რომ ეს თავდასხმა გამოწვეულია ძველი რუსეთის მოტრფიალეთა იმპერიალისტური ზრახვებით, წვრილი ერების ღამონებისა და დემოკრატიის დათრგუნვის სურვილით. დამფუძნებელი კრება დარწმუნებულია, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია ღირსეულად შეხვდება მტერს, მთელი ძალღონით დაიცავს საქართველოს რესპუბლიკის ხელშეუხებლობას. დამფუძნებელი კრება მოუწოდებს მთელ დემოკრატიას, მთელ ერს შემოკრბეს მთავრობის გარშემო, ზურგი გაუმაგროს ლაშქარს., ...დამფუძნებელი კრება იმედს გამოთქვამს, რომ ევროპის სახელმწიფოები ხმას აღიმაღლებენ ჩვენი ერისა და დემოკრატიის დასაცავად".[10]

ამგვარად, დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქციამ, მიუხედავად სოციალ-ეკონომიურ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობისა, ერთსულოვნად გაილაშქრა დენიკინის რეჟიმის დიდმპყრობელური ზრახვების წინააღმდეგ, ყველა დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისათვის თავგანწირული ბრძოლის პოზიციაზე. გამოცხადდა მობილიზაცია, დაიწყო ჯარების გადაადგილება ყველა საშიში უბნებისაკენ. მაგრამ დიდი ომი დენიკინის წინააღმდეგ საჭირო არ აღმოჩნდა. დიდი ბრიტანეთის მისიამ შესძლო დაპირისპირებული მხარეების კვლავ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხმა.

საქართველოს მთავრობა თავდაპირველი პოზიციიდან უკან დახევას არ აპირებდა, კატეგორიულად მოითხოვდა გაგრის რაიონის ნეიტრალიზაციას, იქ ინგლისის ჯარის ნაწილების ჩაყენებას. ასეთსავე თვალსაზრისს ანვითარებდა საქართველოს მთავრობა ინგლისის პრემიერის ლოიდ ჯორჯისათვის გაგზავნილ წერილში (1919 წ. 6 ივნისი). იქ აღნიშნული იყო, რომ გაგრა ნეიტრალურ ზონად უნდა დარჩენილიყო პარიზის სამშვიდობო კონფერენციის მიერ ამ საკითხის გადაწყვეტამდე.[11]

მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, საქართველოს ხელისუფლება გარკვეულ დათმობაზე წავიდა, თავის ჯარი მეხადირიდან მდ. ბზიფის მარცხენა ნაპირზე გადაიყვანა. მოკავშირეთა გადაწყვეტილებით (1919 წ. 11 ივნისი) მდ. ბზიფზე შეიქმნა სადემარკაციო ხაზი, რომელიც მიჯნავდა დენიკინის რეჟიმსა და საქართველოს რესპუბლიკას. დენიკინმა მიიღო მითითება, რომ არ გადასულიყო ამ ხაზის სამხრეთით. საქართველოს მთავრობას კი უბრძანეს არ შეჭრილიყო სადემარკაციო ხაზის ჩრდილოეთით. მაგრამ ამ შეთანხმებამ ძალა დაკარგა წითელი არმიის მიერ დენიკინის ჯარების განადგურების შემდეგ. საბჭოთა რუსეთი სოჭის რაიონს დაეპატრონა, გაგრის რაიონი კი, 1920 წლის 7 მაისის შეთანხმებით საქართველოს საკუთრებად აღიარა.

ინგლისის მთავრობამ, მისმა სამხედრო მისიამ იზრუნა იმისათვის, რომ საქართველო ბოლშევიკებისავის დახურული ზონა ყოფილიყო. ინგლისის ჯარის ნაწილები ჩადგნენ სამხედრო გზაზე (ყაზბეგი). თითქმის სრული კონტროლი დაამყარეს რკინიგზებზეც.

საქართველოში შემოსულ ბოლშევიკებს აპატიმრებდნენ. დენიკინელებს კი თავისუფალი მოქმედების ასპარეზს აძლევდნენ. ცდილობდნენ საქართველოს რესპუბლიკასა და დენიკინის რეჟიმს შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

მეორე მხრივ, საბჭოთა რუსეთის აგენტურა და ქართველი კომუნისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ არ დაეშვათ საქართველოს მთავრობის კონტაქტები, მორიგება და ნორმალური ურთიერთობა დენიკინის რეჟიმთან, აგიტაციას ეწეოდნენ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ საერთო ფრონტის შესაქმნელად, მასში საქართველოს ჩასათრევად.

ჭეშმარიტი პატრიოტები, საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები დიდი სიფრთხილით მოქმედებდნენ და ძირითადად სწორად აფასებდნენ სიტუაციას. ნაციონალისტების ლიდერი გრ. ვეშაპელი დამფუძნებელი

კრების ერთ-ერთ სხდომაზე აცხადებს, რომ წითელ და თეთრ რუსეთს საქართველოს მიმართ არსებითად ერთნაირი მიზანი ამოძრავებს, ორივე მათგანი ცდილობს ჩვენს ქვეყანაში თავის საყრდენი ძალის შექმნას, რესპუბლიკის წინააღმდეგ აჯანყების პროვოცირებას. მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა უკვე გამჯდარია ხალხში და ჩვენი დემოკრატიის მტრები მხოლოდ ერთეული რენეგატების გადაბირებას მოახერხებენო.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება ცდილობდა მიეღწია როგორც კონტრრევოლუციური, ისე ბოლშევიკური ძალების იზოლაციისათვის, მაგრამ მემარცხენე ოპოზიციას მიაჩნდა, რომ მთავრობა ორივე ფრონტზე ერთნაირი თავგამოდებით არ იბრძოდა. შ. ალექსი-მესხიშვილმა დამფუძნებელი კრების ერთ-ერთ სხდომაზე განაცხადა: მე კარგად ვიცი, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ ზომები მიღებულია. მაგრამ ვეკითხები შინაგან საქმეთა მინისტრს — მიღებულია თუ არა ზომები დენიკინის აგენტების წინააღმდეგ? იმ დროს, როცა დენიკინმა ჩვენი საკონსულოები დახურა ოდესასა და კიევში, ყველგან შეავიწროვა ქართველები, დენიკინის პოლიტიკური მისია საქართველოში ხელუხლებელია. აუარებელი დენიკინელი დასეირნობს რუსთაველის პროსპექტზე. ამბობენ, რომ ნ. რამიშვილი მკაცრი კაცია, მაგრამ მისი სიმკაცრე სულაც არ იგრძნობა დენიკინელთა მიმართ.

ამ შეკითხვასა და შენიშვნაზე ნ. რამიშვილმა შენიშვნითვე უპასუხა: დენიკინის პოლიტიკური მისია არსებობს და არ შეიძლება მისი დახურვა. ეს მარტო ჩვენს სიმპატია-ანტიპატიებზე როდია დამოკიდებული. ყველაფერზე გულახდილი ლაპარაკი არ შეიძლებაო.[12] და მართლაც ოპოზიციურად განწყობილ დეპუტატებსაც უნდა სცოდნოდათ, რომ დენიკინს ჰქონდა დიდი ბრიტანეთის სრული მხარდაჭერა და საქართველოს მთავრობას არ შეეძლო მისი რეჟიმისადმი მტრობა აშკარად გამოეშეღავნებინა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა ნ. რამიშვილმა სხვაგვარ სიტუაციაში განაცხადა, რომ რაკი მტერმა პირდაპირი იერიშით ვერაფერი დაგვაკლო, იძულებული ხდება ტაქტიკა შეიცვალოს. „ჩვენი სახელმწიფოებრივი ციხე შიგნიდან გატეხოს". სწორედ ასეთ მიზანს ისახავენ მოხალისეთა არმიის აგენტები, რომელნიც დასავლეთ ევროპელებს არწმუნებენ, თითქოს ჩვენი სოციალ-პოლიტიკური წყობილება ბოლშევიკურია და ამიტომ საჭიროა საქართველოში შემოვიდეს გარეშე ძალა, რომელიც ბოლშევიკურ მოძრაობას ბოლოს მოუღებს და ძველ წესრიგს აღადგენს.

კიდევ უფრო აშკარად მოქმედებდა ნ. რამიშვილის განცხადებით, კომუნისტური აგენტურა. იგი ფაქტიურად ომს გვიცხადებს. საქართველოში მათ კიდევაც გამონახეს ადგილობრივი ელემენტები, რომელთა შორის ნაძირალები და ყაჩაღები სჭარბობენ. ამ ხალხისათვის რწმენა და იდეა ღმერთს არ მიუცია; ხან დენიკინთან არიან, ხანაც ბოლშევიკებთან. „სწორედ ეს გარემოება გვაძლევს გასაღებს იმ გამოსვლებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენში. მათ უნდათ ანარქიის გაღვივება და ამ ანარქიაში ჩვენი სახელმწიფოს დასამარება“.[13]

იმავე სხდომაზე ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლებმაც დაადასტურეს, რომ საქართველოში მომხდარი მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებები ბოლშევიკებისა და დენიკინელების მოწყობილი იყო. გრ. ვეშაპელმა აღნიშნა, რომ მთავრობის პოლიტიკით უკმაყოფილო არიან როგორც მემარჯვენეები, ისე მემარცხენეები. თითქოს ამ ორი ძალიდან ერთი ბოლშევიკებს უნდა მიმხრობოდა, მეორე დენიკინელებს და მონაწილეობა მიეღოთ მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებაში. მაგრამ ეს არ მოხდა. მიზეზი გასაგებია. ორივე ძალა უპირველეს ყოვლისა ეროვნული ნიადაგზე დგას, მხარს ვერ დაუჭერს დენიკინელთა და კომუნისტთა მიერ პროვოცირებულ აჯანყებას, რადგან იგი ძირს გამოუთხრის საქართველოს დამოუკიდებლობას. მთავრობას მაინც უნდა შევახსენოთ, რომ რაკი არც მომავალშია გამორიცხული უცხო ძალთა მიერ ორგანიზებული აჯანყებები, აუცილებელია პროფილაქტიკური ზომების მიღება. ამასთან, მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო აღიარებისათვის.

იმის გამო, რომ წითელი და თეთრი იმპერიალიზმი, ლენინიცა და დენიკინიც სხვადასხვა ფორმით რუსეთის იმპერიის აღდგენისათვის იბრძოდნენ, საფრთხეს უქმნიდნენ მის ნანგრევებზე შექმნილ ეროვნულ სახელმწიფოებს, საქართველოს რესპუბლიკას ორიენტაცია დემოკრატიულ და ცივილიზებულ დასავლეთზე უნდა აეღო, მიეღწია დიდი სახელმწიფოების მიერ იურიდიული აღიარებისათვის და მათთვის ეთხოვა სამხედრო-პოლიტიკური დახმარება.

საქართველოს მთავრობამ დასავლეთის სახელმწიფოებში და ვერსალის საზაო კონფერენციაზე თავის წარმომადგენლებად წარგზავნა ზ. ავალიშვილი, დ. ღამბაშიძე, კ. ჩხეიძე, ი. წერეთელი. დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა ნდობა გამოუცხადეს ჩხეიძესა და წერეთელს. ბევრმა გაიხსენა, რომ რუსეთის რევოლუციის პირველ

თვეებში მათ სწორი პოზიცია დაიკავეს, თავგამოდებით იბრძოდნენ ბოლშევიკების წინააღმდეგ.

1918 წლის 18 დეკემბერს საქართველოს დელეგაცია დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სწერდა: საქართველოს მთავრობა ფაქტიურად არსებული რესპუბლიკის მთავრობაა, რომელიც უკვე სცნეს ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებმა. საქართველოს მთავრობამ ჩვენ მოგვანდო დიდ სახელმწიფოებთან მოლაპარაკება და ახლა პატივი გვაქვს ვთხოვოთ ინგლისის მთავრობას სცნოს საქართველოს რესპუბლიკა „დე-ფაქტო", დანიშნოს თავის დიპლომატიური წარმომადგენელი თბილისში, მიიღოს საქართველოს წარმომადგენელი ლონდონში. ქართველი ხალხი დარწმუნებულია, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობა მხარს დაუჭერს საქართველოს, როცა მისი დამოუკიდებლობის საკითხი განხილული იქნება საზაო კონფერენციაზე.[15]

საქართველოს მთავრობამ თავის რწმუნებულთა მეშვეობით კიდევ რამდენჯერმე მიმართა ინგლისის მმართველ წრეებს. ერთ-ერთ წერილში ნათქვამია, რომ დიდი ბრიტანეთის მიერ საქართველოს დაუყონებლივ „დე-ფაქტო" ცნობა აუცილებელია როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური მოსაზრებით. კონსულთა დონეზე ურთიერთობის დამყარება ხელს შეუწყობს ორმხრივი ვაჭრობის გაფართოებას, კულტურულ-მეცნიერული კავშირების განმტკიცებას. გააადვილებს საერთაშორისო კონფერენციის მიერ საქართველოს „დე-იურე" ცნობას.[16]

1919 წლის 30 იანვარს საქართველოს დესპანებმა ვრცელი მიმართვა გადასცეს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს. იქ საკმაოდ დიდი ადგილი ეკავა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ისტორიას, მისი საგარეო პოლიტიკის პირველი ნაბიჯების ანალიზს. აქვე დასმული იყო საქართველოს სტატუსის საკითხი: რუსეთის იმპერია აღარ არსებობს, საქართველომ კი დამოუკიდებლობა აღიდგინა. თუ დიდი სახელმწიფოები, ასეთი სიტუაციის მიუხედავად, კვლავ განიხილავენ რუსეთის ერთიანობის აღდგენის პრობლემას, მაშინ საქართველოს წინაშე დადგება ალტერნატივა — დაბრუნდება რუსეთის შემადგენლობაში, თუ შეინარჩუნებს დამოუკიდებლობას. გადაჭრით უნდა ითქვას, წავიდა ის დრო, როცა საქართველოს არჩევანი უნდა მოეხდინა უბრალო გუბერნიასა და ადგილობრივ ავტონომიას შორის. შექმნილ პოლიტიკურ ვითარებაში არჩევანი უნდა მოვახდინოთ ფართო ავტონომიასა და დამოუკიდებლობას შორის. თანამედროვე საქართველო

ვერ გაჰყვება ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის კვალს. ქართველ ხალხს არც რუსეთის ქვეშევრდომობა სურს და არც უცხო ძალის კონტროლის ქვეშ ყოფნა. მისი სურვილია გამოსცადოს საკუთარი ძალა, თავის ხელში აიღოს საქართველოს მართვა-გამგეობის მძიმე ტვირთი, მაგრამ დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტიას დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისა და ერთა ლიგისაგან ელოდებაო.[17]

საფრანგეთის მთავრობამ, ცოტა მოგვიანებით აშშ-ის მთავრობამაც, საქართველოს რესპუბლიკის მიმართვა-თხოვნები უპასუხოდ დატოვა. მაგრამ ქართველ დიპლომატებს ფარ-ხმალი არ დაუყრიათ. 1919 წლის მარტში საქართველოს წარმომადგენლობამ ვრცელი ნოტა წარადგინა პარიზის საზაო კონფერენციაზე შეკრებილ გამარჯვებულ სახელმწიფოთა მთავრობების წინაშე. ამ დოკუმენტის პირველ ნაწილში ლაპარაკი იყო ქართულ სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვან ტრადიციაზე, რუსეთის ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ ქართველ ხალხის 117 წლიან ბრძოლაზე, საერთო დემოკრატიულ მოძრაობაში მის მიერ შეტანილ წვლილზე. ნოტის მეორე ნაწილში ამიერკავკასიის ბურჟუაზიულ-ფედერაციული გაერთიანების და საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის გარემოებათა ანალიზი იყო მოცემული; ფედერაცია გარკვეული მიზეზების გამო დღემოკლე აღმოჩნდა. 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა. რადგან იმ დროს საქართველო მოწყვეტილი იყო ანტანტის სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებას, მისი მთავრობა იძულებული გახდა დაყრდნობოდა გერმანიის მხარდაჭერას და ამით გადაერჩინა თავი თურქთა მიერ ოკუპაციის საფრთხისაგან.

ბოლოს ნოტაში დადებითად იყო დახასიათებული დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური წყობა; საქართველომ თავიდან აიცილა სამოქალაქო ომი, რევოლუციას იქ არ მოუსპია სახელმწიფოებრივი წესრიგი. ახალგაზრდა დემოკრატია აღმავლობის სტადიაშია. იქვე ჩამოყალიბებული იყო ქართველი ხალხის მოთხოვნები: საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიული საფუძვლები ყველასათვის ცნობილია. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გაგრძელებაა მრავალსაუკუნოვანი ქართული სახელმწიფოებრიობისა, რომელიც მხოლოდ XIX საუკუნეში გაწყდა. თქვენს მიერ აღიარებული და აღორძინებული საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში უნდა შევიდეს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები, ბათუმის, სოხუმისა და

ზაქათალის ოლქები, ოლთისისა და არტაანის ოკრუგები. ამ ტერიტორიის მოსახლეობის 75%-ს ქართველები შეადგენენო.

საქართველოს დიპლომატიური მისიის, დასახელებული ნოტის ავტორთა განცხადებით, დიდი სახელმწიფოების მიერ საქართველოს ოფიციალური ცნობა განამტკიცებდა კაცთა თავისუფლებისა და სამართლიანობის ამ ახალ კერას. დამოუკიდებელი საქართველო საუკეთესოდ ორგანიზებული წევრი გახდებოდა იმ მოწესრიგებული საერთაშორისო სისტემისა, რომელსაც ქმნიდნენ გამარჯვებული მოკავშირეები ხმელთაშუა ზღვიდან კავკასიონამდე ყველა ცივილიზებული ერისა და მთელი კაცობრიობის ინტერესთა შესაბამისად.[18]

ეს ნოტაც უპასუხოდ დარჩა და მის შემდეგაც კარგახანს საქართველოს დიპლომატიური მისიის საქმიანობა უშედგოდ მთავრდებოდა, ანტანტის სახელმწიფოები გარკვეული მოსაზრებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისაგან თავს იკავებდნენ; 1919 წელს გამარჯვებულ მოკავშირეთა ძირითადი მიზანი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, ამ ქვეყანაში კაპიტალისტური წყობილების აღდგენა იყო, რაშიც თითქმის მთელ იმედს კოლჩაკისა და დენიკინის არმიებზე ამყარებდნენ. ეს გენერლები კი „ერთიანი და განუყოფელი რუსეთის“ რეანიმაციისათვის იბრძოდნენ. ისინი არ სცნობდნენ რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. სწორედ ამის გამო, გამარჯვებული მოკავშირეებიც უარს ამბობდნენ ამ ეროვნული რესპუბლიკების „დე-ფაქტო“ და „დე-იურე“ ცნობაზე, მათი საკითხის განხილვას „საერთო რუსული“ პრობლემების გადაწყვეტას უკავშირებდნენ.

2. თურქეთის მარცხი. საქართველოს რესპუბლიკის ბრძოლა ბათუმის ოლქის შემოერთებისათვის

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ დამარცხებული თურქეთი იძულებული გახდა დაეტოვებინა ოკუპირებული ბათუმისა და ყარსის ოლქები, სხვა ტერიტორიები. მაგრამ პანისლამისტები დიდ დაბრკოლებებს უქმნიდნენ საქართველოს რესპუბლიკას თავის საზღვრების აღდგენასა და ქვეყნის კვლავ გამთლიანებაში.

1918 წლის 22 დეკემბერს მუდროსის საზაო ხელშეკრულების სათანადო მუხლების შესაბამისად (საქართველოს მთავრობის

დაუკითხავად) ბათუმის ნავსადგურში დიდი ბრიტანეთის 5 კრეისერი შემოვიდა და ქალაქში გადმოსხა 15-20 ათასიანი კორპუსი. ინგლისელმა სამხედროებმა მოახდინეს ბათუმის ოლქის ოკუპაცია. გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა გენერალი კუკ კოლისი. დეკემბრის ბოლოს ნ. ჟორდანიას მთავრობის ნებართვით ინგლისის ჯარის მცირე დანაყოფები განლაგდნენ საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც, მაგრამ ყველგან ხელუხლებელი დატოვეს უკვე არსებული ქართული ადმინისტრაცია.

თურქთაგან განთავისუფლებული ბათუმის ოლქი არ დაქვემდებარებია საქართველოს იურისდიქციას. ამ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ინგლისელმა სამხედროებმა თავის შეხედულებისამებრ დაიწყეს სამოქალაქო ხელისუფლების ჩამოყალიბება. ერთხანს ინგლისის მთავარსარდლობა თითქოს პანისლამისტების გავლენაში მოექცა, გადაწყვიტა ე.წ. „სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის" სახელმწიფოს შეკოწიწება. დიდი ბრიტანელი სამხედროები ვარაუდობდნენ, რომ ამ პოლიტიკურ ერთეულის შემადგენლობაში მოექცეოდნენ ბათუმისა და ყარსის ოლქები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები. საქართველოს მთავრობამ ინგლისის მთავრობის მოქმედება შეაფასა როგორც რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევა, მისი სუვერენული უფლებების ხელყოფა და, ბუნებრივია, პროტესტი გამოთქვა. საქართველოს ხელისუფლების პრინციპულმა,სამართლიანმა პოზიციამ და სხვა სიძნელეებმა ინგლისელ სამხედროებს ხელი ააღებინა ხსენებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების გეგმაზე. მალე დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ყარსის ოლქი სომხეთის რესპუბლიკას გადასცა. ბათუმის ოლქის ოკუპაცია კი კვლავ გააგრძელა. ინგლისის სამხედრო მისიის მიერ ბათუმის ოლქში შექმნილ სამოქალაქო მმართველობის ორგანოებში რუსული ეროვნული საბჭოს ხელმძღვანელები, მასლოვი და სხვა დიდმპყრობელი შოვინისტები გაბატონდნენ. ქ. ბათუმი გადაიქცა დენიკინელთა ბუდედ, მოხალისეთა თეთრი არმიისათვის იარაღისა და სურსათ-სანოვაგის მიმწოდებელ ბაზად. ინგლისელთა რჩევით მასლოვმა ბათუმის ოლქის სამოქალაქო მმართველობის საბჭოში შეიყვანა ორი აჭარელი (სულეიმან თავდგირიძე და ალი ეფენდი ჯაფარიძე), მაგრამ ამითაც ვერ მოახერხა ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგება. გენერალი დენიკინი კი აღფრთოვანებული იყო რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ ბათუმის ოლქში პოზიციების განმტკიცებით. წუხილს გამოთქვამდა, რომ საშუალება არ ჰქონდა ჯარი გაეგზავნა ბათუმში.

იგი ურჩევდა თანამემამულეებს თანხმობით ყოფილიყვნენ ინგლისელ სამხედროებთან. მასლოვი და მისი თანამოაზრეები ფაქტიურად დენიკინის მოხელე-აგენტები იყვნენ. გენერალმა კუკ-კოლისმა და რუსულმა ეროვნულმა საბჭომ მინიმუმამდე შეზღუდეს ბათუმის საქალაქო თვითმმართველობის (სათათბიროსა და გამგეობის) უფლება-კომპეტენცია, რითაც აქაური მუნიციპალური მოღვაწეებისა და მოქალაქეების დიდი უკმაყოფილება გამოიწვიეს.

ბათუმის ოლქის სამოქალაქო მმართველობის საბჭო, რომელშიც უმრავლესობა რუსებს ეკუთვნოდა, ამ რეგიონში ოთხი თვე ბატონობდა. მასლოვისა და მისი მსგავსი დიდმპყრობელი შოვინისტების ანტიქართულმა საქმიანობამ, ბოლოს და ბოლოს, ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები გამოიწვია. მხარეში ანარქიამ დაისადგურა, რაც ეწინააღმდეგებოდა ინგლისის მთავრობის ინტერესებს. გენერალ-გუბერნატორ კუკ კოლისსა და მასლოვს შორის ურთიერთობა გაფუჭდა, რაც 1919 წლის მაისში განხეთქილებად იქცა. საბჭოს არსებული შემადგენლობა დაითხოვეს, მაგრამ მასში ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლობა არც ამის შემდეგ შეუყვანიათ. ბათუმის ოლქის სამოქალაქო საქმეთა მმართველობა ინგლისელ ოფიცრებს დააკისრეს.[19]

დაძაბული სიტუაცია იყო სამცხე-ჯავახეთშიც. მართალია, 1918-1919 წლების მიჯნაზე საქართველოს რესპუბლიკამ აღადგინა თავის სუვერენული უფლებები ამ ტერიტორიაზე, მაგრამ თებერვალში, როცა ახალციხის მაზრაში მდგარი ჯარის ნაწილი დემობილიზაციის გამო ძალიან შემცირდა, პანისლამისტებმა მომენტი ხელსაყრელად მიიჩნიეს და აჯანყდნენ. მათ ხელთ იგდეს ახალციხე, ფოცხოვი და რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი, გაძარცვეს ხალხი, დახოცეს ქართველი პატრიოტები. ძალაუფლებას სერვერ ბეგი დაეუფლა და სამცხე-ჯავახეთი სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად გამოაცხადა. მაგრამ ამ ავანტიურისტის ბატონობა ახალციხეში მხოლოდ 26 დღე გაგრძელდა. ხალხის ძირითადი ნაწილის მხარდაჭერას მოკლებული პანისლამისტები საქართველოს ჯართან ბრძოლაში სასტიკად დამარცხდნენ. გენერალმა კვინიტაძემ და პოლკოვნიკმა გედევანიშვილმა ორ კვირაში გაწმინდეს მთელი მაზრა ანტიქართული ელემენტებისაგან.

დიდი ბრიტანეთის მთავრობამ, როგორც ითქვა, არ სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა „დე-ფაქტოდაც" კი, არ დადო მასთან

ხელშეკრულება სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის თაობაზე. კიდევ მეტი, გარკვეული მოსაზრებით ინგლისელ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი ალაპარაკდა ამიერკავკასიიდან ჯარის გაყვანის მიზანშეწონილების შესახებ. როგორც ჩანს მათში თანდათან მოიკიდა ფეხი იმ აზრმა, რომ სახიფათო და არაფრის მომცემი იყო რუსეთის სამოქალაქო ომში ჩარევა. ზოგი მათგანი ასაბუთებდა კავკასიისა და შუა აზიის რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარების საჭიროებასაც.

ეს განწყობილება იმაშიც გამოიხატა, რომ გამარჯვებულმა მოკავშირეებმა ვერსალის საზო კონფერენციაზე არ დაუშვეს რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებულ დამოუკიდებელ რესპუბლიკათა დიპლომატიური წარმომადგენლები. საქართველო არც ერთა ლიგაში მიიღეს. ე.ი. ომის შემდეგი პერიოდის მსოფლიოს ახლებურად მოწყობის გეგმაში ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები გათვალისწინებული არ იყვნენ. პარიზის კონფერენციაზე დამყარებული იმედი თითქოს მირაჟივით ქრებოდა.

რაკი დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ამიერკავკასია რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარა, ლოიდ ჯორჯმა აცნობა მოკავშირეებს, რომ იგი ამიერკავკასიიდან ჯარის გამოყვანას აპირებდა და თავის ადგილს და ფუნქციას იტალიას უთმობდა. ისიც ითქვა, რომ ინგლისის ჯარების გამოყვანა დაიწყებოდა 1919 წლის ბოლოს. დიდი ბრიტანეთის მთავრობის ასეთმა გადაწყვეტილებამ ანტიბოლშევიკური ძალების და პროგრესული საზოგადოების აღშფოთება გამოიწვია. ინგლისის მთავრობას მოუწოდებდნენ უარი არ ეთქვა მცირე ერების სამართლიანი და სასიცოცხლო ინტერესების დაცვაზე, არ დაეტოვებინა ამიერკავკასიის ეროვნული სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის აგრესიის საფრთხის ქვეშ. ინგლისელი პოლიტიკოსები ამის საპასუხოდ აცხადებდნენ, რომ მცირე ერების დაცვა მარტო დიდი ბრიტანეთის მოვალეობა როდია. პასუხისმგებლობა ყველა დიდმა სახელმწიფომ და ერთმა ლიგამ უნდა გაინაწილონო.

ქართველი პოლიტიკოსები შეაშფოთა დიდი ბრიტანეთის ჯარის გაყვანის პერსპექტივამ. ისინი ინგლისის სამხედრო მისიის ყურადღებას კვლავაც მიაქცევდნენ რუსეთიდან მომდინარე საფრთხეს და მოითხოვდნენ დიდი ბრიტანეთის ჯარების ამიერკავკასიაში დატოვებას. სამაგიეროდ ინგლისელ ბიზნესმენებს აღუოქვამდნენ ყველა შესაძლო კონცესიებს. 1919 წლის 28 აგვისტოს საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მთავრობებისაგან მოკავშირეებს, კერძოდ პარიზის

კონფერენციის თავმჯდომარეს გადაეცა თხოვნა, რომ ინგლისის ჯარების ევაკუაცია გადავადებულიყო რესპუბლიკთა დამოუკიდებლობის საკითხის გადაწყვეტამდე. მაგრამ ინგლისის მთავრობამ თავის გადაწყვეტილება არ შეცვალა, საქართველოდან თავისი ჯარი გაიყვანა. მხოლოდ ოკუპირებულ ბათუმის ოლქში დარჩნენ დიდი ბრიტანეთის არმიის ქვედანაყოფები.

საქართველოს მთავრობა დიდ ბრიტანეთის სხვა მისიის შესრულებასაც ანდობდა. ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად იცოდნენ, რომ გამარჯვებული მოკავშირეების გეგმებში გარკვეული ადგილი ეკავა ოსმალეთის იმპერიის დაშლისა და დანაწილების საკითხს. იგი უნდა შეხებოდა „თურქეთის საქართველოსაც". თითქოს ისახებოდა საქართველოს ძველი, ისტორიული საზღვრების აღდგენის პერსპექტივა.

ჯერ კიდევ 1918 წლის 21 ნოემბრის სხდომაზე საქართველოს მთავრობამ სათანადო გადაწყვეტილება მიიღო სამაჰმადიანო საქართველოს საკითხზე და გარკვეული დავალება მისცა მომავალ სამშვიდობო კონფერენციაზე გასაგზავნ დელეგაციას. ბუნებრივია, ბათუმის ოლქის კუთვნილების საკითხი საქართველოს მთავრობას მსჯელობის საგნად არ მიაჩნდა. იგი 1877 წლის ომმა და 1878 წლის საზაო ხელშეკრულებამ გადაწყვიტა. თურქმა ოკუპანტებმა კიდეც დატოვეს ოკუპირებული ბათუმის ოლქი. მაგრამ მათ ნაცვლად შემოსული ინგლისელი სამხედროები აგვიანებდნენ ამ ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებების აღდგენას, რაც მთავრობისა და მთელი ქართველ ხალხის უკმაყოფილებას იწვევდა.

მოვლენათა განვითარებაში, რა თქმა უნდა, მონაწილეობდა ადილობრივი მოსახლეობა. განსაკუთრებით აქტიურობდა ინტელიგენცია. როცა ოსმალეთის ჯარებმა მოახდინეს ბათუმის ოლქის, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების ოკუპაცია, რეპრესიებისაგან თავდაღწეული საზოგადო მოღვაწეები შეიკრიბნენ თბილისში და ჩამოაყალიბეს „მუსლიმანური საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი". მის საქმიანობაში წამყვან როლს ასრულებდნენ — მემედ, ჰაიდარ და ზია აბაშიძეები. ყაიდარ შერვაშიძე, ხასან თხილაიშვილი, სულეიმან დიასამიძე, უნუს წულუკიძე, ჯემალ ნოღაიდელი. კომიტეტმა თავის ფილიალები შექმნა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონში, ხელმძღვანელობდა ანტითურქულ მოძრაობას. ამ ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთის ჯარის შემოსვლის შემდეგ მუსლიმანური საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი ბათუმში დაფუძნდა, აქტიურად იბრძოდა

თურქეთის აგენტურისა და ინგლისის ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ. მან თავისი როლი შეასრულა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის სახელმწიფოს შეკოწიწების გეგმათა ჩაფუშვაში, მუსლიმანი ქართველების შემეცნებაში განამტკიცა იდეა ამ ტერიტორიაზე ავტონომიური ერთეულის შექმნისა, რომელიც შევიდოდა საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში. ხსენებული კომიტეტის ინიციატივა-ხელმძღვანელობით მოწვეულ იქნა მუსლიმანური საქართველოს მოსახლეობის წარმომადგენელთა ყრილობა. ესწრებოდა 96 დელ-ეგატი, აგრეთვე საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრები – პ. სურგულაძე, პ. საყვარელიძე, ს. ფირცხალავა. თავმჯდომარეობდა მ. აბაშიძე. ყრილობამ აირჩია მენჯლისი და მიიღო დადგენილება ბათუმის ოლქის დედასამშობლო საქართველოსთან შეერთების შესახებ.[20]

ბათუმის ოლქისა და ქ. ბათუმის მიმართ დიდ ინტერესს იჩენდა რუსეთი (კერძოდ დენიკინი, რომლის გამარჯვებაში ერთხანს ინგლისის მთავრობას ეჭვი არ ეპარებოდა), სომხეთი და აზერბაიჯანი, რომელთათვისაც ბათუმი სატრანზიტო ვაჭრობის ცენტრალური პუნქტი იყო. ამ ტერიტორიის მიმართ გარკვეული ინტერესი ამოძრავებდა საფრანგეთს, იტალიას და თვით ინგლისსაც. მათთვის, როგორც ჩანს, სჯობდა ქ. ბათუმის გადაქცევა პორტო ფრანკოდ და მისი მეშვეობით ამიერკავკასიაში დასავლური კაპიტალის შემოჭრისათვის ხელის შეწყობა.

ბათუმის ოლქის გარშემო შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით დამფუძნებელ კრებაში შეკითხვა შეიტანა სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის წევრმა ს. მდივანმა. მან განმარტა, რომ ამ ტერიტორიაზე თურქეთის მემკვიდრედ ამჟამად ინგლისია. „ეს მემკვიდრე ჯერ არ გარდაცვლილა, არ წასულა ბათუმის ოლქიდან და ამავე დროს ქმნის მეორე მემკვიდრეს – ეს არის მოხალისეთა ლაშქარი". მაგრამ თუ მემკვიდრეობაზე წავა საქმე, ამ ტერიტორიების მემკვიდრე და კანონიერი მფლობელი ქართველი ხალხია და სხვა არავინ. ჩვენ უნდა აღვადგინოთ საქართველოს ისტორიული საზღვრები, ბათუმის ოლქი რაც შეიძლება მალე საქართველოს უნდა შემოვუერთოთ. „მთავრობა, რომელიც სათანადო ზომებს არ მიიღებს ამ საკითხის გადასაჭრელად, ადგილზე ვერ დარჩება. დამფუძნებელი კრება, რომელიც დაკარგავს ბათუმს, ვერ ჩაითვლება საქართველოს დამფუძნებელ კრებად".[20]

ბათუმის საკითხის ამგვარად დაყენებაში სოციალისტ-ფედერალისტებს მხარი აუბეს ეროვნულ დემოკრატებმა. გ. ვაზავამ

აღნიშნა, რომ ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს განუყოფელი ნაწილია, მაგრამ წინააღმდეგობებით აღსავსე ამ დროში მისი შემოერთებისათვის გონივრული პოლიტიკაა საჭირო, რომლის წარმოების უნარსაც მთავრობა ვერ ამჟღავნებსო.

ე. გეგეჭკორმა საყვედური გამოთქვა გვაზავას მისამართით — მთავრობას უსაფუძვლო ბრალდება წაუყენაო. ფაქტია, როგორც კი ამ მხარეში გამარჯვებული მოკავშირეები შემოვიდნენ, მაშინვე დავსვით ბრესტის ზავის გაუქმებისა და ბათუმის ოლქის საქართველოსათვის დაბრუნების საკითხი. ბათუმი რომ კვლავ ინგლისს უკავია, საქართველოს მთავრობას ამაში არავითარი ბრალი არ მიუძღვის. ჩვენ არ დავუშვებთ უსამართლობის გამარჯვებას, ყველა ღონეს ვიხმართ ბათუმის ოლქის საქართველოს საზღვრებში მოქცევისათვისო.[21]

1919-1920 წლების მიჯნაზე საბჭოთა არმიამ თითქმის მთლიანად გაანადგურა დენიკინის ჯარი და ამიერკავკასიის საზღვრებს დაუახლოვდა. მოხალისეთა არმიის ნაშთი, რომელმაც ყირიმის ნახევარკუნძულს შეაფარა თავი, უკვე აღარ შეიძლება ყოფილიყო ანტანტის სახელმწიფოთა საიმედო საყრდენი. ასეთ სიტუაციაში მოკავშირეთა დამოკიდებულება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისადმი საგრძნობლად შეიცვალა — პოლიტიკოსთა ერთმა ნაწილმა შესაძლებლად მიიჩნია ორ ზღვას შუა გადაჭიმული ამ მხარის გადაქცევა სანიტარულ კორდონად, მისი მეშვეობით სოციალიზმის სენისაგან ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დაცვა. ასეთი განწყობილების გამოხატულება იყო ის, რომ 1920 წლის იანვარში დასავლეთის სახელმწიფოებმა საჭროდ ჩათვალეს ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკების „დე-ფაქტო“ ცნობა. 1920 წლის 12 იანვარი საქართველოს მთავრობამ და ხალხმა იდღესასწაულა როგორც დიდი დიპლომატიური და პოლიტიკური წარმატება.

საქართველოს რესპუბლიკის „დე-ფაქტო“ ცნობის შემდეგ ინგლის-საქართველოს ურთიერთობა რამდენადმე გაუმჯობესდა. გაძლიერდა საქართველოს პოზიციები ბათუმის საკითხზე წარმოებულ მოლაპარაკებაშიც. გააქტიურდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა. კ. ჩხეიძე მოკავშირეთა საბჭოს თავმჯდომარეს სწერდა: 1) ბათუმის ოლქი, რომლის მოსახლეობის დიდი ნაწილი გამაჰმადიანებული ქართველები არიან, საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩეს; 2) ამ ოლქის დაყოფა, მისი ერთი ნაწილის სხვა სახელმწიფოსათვის გადაცემა ქართველთა დიდ უკმაყოფილებას

გამოიწვევს, მოწამლავს ურთიერთობას ამიერკავკასიის ხალხებს შორის; 3) თუ სხვადასხვა მოსაზრებით, გეოგრაფიული და ეკონომიკური მოტივებით საჭიროდ იქნება ცნობილი სომხეთისათვის შავ ზღვაზე გასასვლელი ზოლის მიცემა, საქართველოს უფლებები არ უნდა შეილახოს. სომხეთიდან შავი ზღვის პირამდე რკინიგზის გაყვანამ არ უნდა დაარღვიოს საქართველოს სუვერენიტეტი ამ ტერიტორიის მიმართ; 4) ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე ახალი სახელმწიფოს შექმნა დაუშვებელია. ბათუმის ოლქის და ბათუმის ნავსადგურის გადასვლა საქართველოს ხელში, არ გააძნელებს მის გამოყენებას მოკავშირეების მიერ საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებისათვის; 5) ამასთან, ჩვენი მთავრობა მოითხოვს, რომ საქართველოს გადაეცეს ყარსის ოლქის ორი ოკრუგი – ოლთისის და არტაანისა; 6) თუ მოკავშირეები საჭიროდ მიიჩნევენ ბათუმის მიდამოებში სამხედრო ბაზის შექმნას, ამის თაობაზე საქართველოსთან უნდა გააფორმონ ცალკე ხელშეკრულება.[22]

საქართველოს მთავრობა დიპლომატიური არხებითა და სპეციალურად ორგანიზებული კონფერენციების მეშვეობით სათანადო მოლაპარაკებას აწარმოებდა სომხეთ-აზერბაიჯანის სამთავრობო ორგანოებთან. ამას გარკვეული შედეგი მოჰყვა. მეზობლებმა თავის პრეტენზიები საქართველოს მიმართ რამდენადმე შეკვეცეს. გაფორმდა სამი რესპუბლიკის ასეთი შეთანხმება: 1) აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკები თანახმა არიან ბათუმის ოლქი შევიდეს საქართველოს შემადგენლობაში; 2) აზერბაიჯანი და სომხეთი მხარს დაუჭერენ ბათუმის ნავსადგურზე საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენას, თუ იქ დაცული იქნება მათი სავაჭრო-ეკონომიკური ინტერესები; 3) საქართველო აზერბაიჯანსა და სომხეთს აძლევს ბათუმის მეშვეობით შავ ზღვაზე თავისუფლად გასვლის გარანტიას; 4) ამ გარანტიის უზრუნველსაყოფად ბათუმში მოეწყობა კომერციული ბაზარი. მხედველობაში მიიღება ბაქოს ნავთის ესქპორტის ინტერესები, ხოლო სომხეთს უფლება მიეცემა თავის რკინიგზა მიიყვანოს ბათუმის ნავსადგურამდე; 5) უთანხმოებანი გადაიჭრება არბიტრაჟის მეშვეობით.

ანტანტის სახელმწიფოები მოვლენათა განვითარების კურსში იყვნენ. მას შემდეგ რაც საბჭოთა არმია მოადგა საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვრებს, მათ წინაშე დაისვა ამ ორი სახელმწიფოსათვის სამხედრო დახმარების საკითხი. 1920 წლის თებერვალში პარიზს ჩამოვიდა თვით ჩერჩილი. ინგლის-საფრანგეთის

მთავრობებმა პარიზის კონფერენციის სხდომაზე მიიწვიეს ამიერკავკასის რესპუბლიკათა დიპლომატიური მისიები, რათა მათთან ერთად შეემუშავებინათ საბჭოთა რუსეთისაგან მომდინარე საფრთხის თავიდან აცილების გეგმები. გადაწყდა ამიერკავკასიის რესპუბლიკებისათვის გაეწიათ სამხედრო-პოლიტიკური დახმარება. მაგრამ მისი პრაქტიკული რეალიზაცია არ ჩანდა.

ამას ისიც დაემატა, რომ ბათუმის საკითხი კიდევ უფრო გამწვავდა. პარიზის კონფერენციაზე მსჯელობა გაიმართა ბათუმის პორტოფრანკოდ გამოცხადების თაობაზე. საქართველოს მთავრობამ კატეგორიულად დაგმო ანტანტის სახელმწიფოთა ასეთი განზრახვა და რეალური ნაბიჯი გადადგა ბათუმის ოლქზე სუვერენული უფლებების აღდგენის მიმართულებით. 1920 წლის მარტში დაიწყო საქართველოს ჯარის შესვლა ამ ტერიტორიაზე, რასაც ინგლისის ჯარის სარდალმა პროტესტით უპასუხა. ე. გეგეჭკორმა სცადა დაერწმუნებინა დიდი ბრიტანეთის საგარეო მისია საქართველოს პოზიციის სამართლიანობასა და მიზანშეწონილობაში, განუცხადა მის ხელმძღვანელებს, რომ მხოლოდ საქართველოს ჯარს შეუძლია ოლქში წესრიგის დამყარება, ამ რეგიონში ანტანტისა და საქართველოს ინტერესების დაცვა. ცოტა მოგვიანებით ქართველი გენერლები – ოდიშელიძე და ერისთავი არწმუნებდნენ ინგლისის სარდლობას ბოლშევიკური საფრთხისაგან ბათუმის ერთობლივად დაცვის საჭიროებაში. ეს არგუმენტი ინგლისის მისიამ ანგარიშგასაწევად მიიჩნია. იგი თანდათან უფრო დამთმობი გახდა. შეურიგდა ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე ინგლისისა და საქართველოს ჯარის თანაარსებობას.

1920 წლის 16 მარტს საქართველოს დიპლომატიური დელეგაცია ინგლისის სამხედრო მინისტრს აუწყებდა: თქვენთვის ცნობილია, რომ სამოკავშირეო საბჭომ დაადგინა სამხედრო დახმარება გაუწიოს საქართველოსა და აზერბაიჯანს. ზედმეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ ჩვენი ქვეყნისათვის იარაღის მიწოდების საჭიროებაზე. იარაღი აუცილებელია ბოლშევიკებთან როგორც ომის, ისე მშვიდობიანი მოლაპარაკების წარმოებისათვის. ისიც უნდა გაცნობოთ, რომ საქართველოს გამოელია პურის მარაგი და მისთვის სურსათ-სანოვაგის მიწოდებას სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭებაო.[23]

დასავლეთიდან მოსალოდნელი სამხედრო და ეკონომიკური დახმარება იგვიანებდა, ჩრდილოეთიდან მიმდინარე საფრთხე კი მოახლოვდა. 1920 წლის აპრილის ბოლოს წითელი არმია შეიჭრა

აზერბაიჯანში, მოახდინა მისი ოკუპაცია და გასაბჭოება. საქართველოს საზღვრისპირეთში ომის სუნი დატრიალდა.

კარზე მომდგარმა საშიშროებამ შეაშფოთა საქართველოს მთავრობა, ოპოზიციური პარტიები, ხალხი. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალები გაცილებით აქტიურად და შეთანხმებულად ამოქმედდნენ. მსჯელობის მთავარი თემა გახდა თავდაცვის ორგანიზაცია. ერთ-ერთ კრებაზე გ. ლასხიშვილმა განაცხადა: შავი განზრახვით მოახლოებული მტერი საფრთხეს უქმნის ქართველი ხალხის თავისუფალ განვითარებას. ასეთ პირობებში სოციალ-ფედერალისტური ოპოზიცია იძულებულია დადუმდეს. როცა „შინაური ფრონტის გაერთიანებაა საჭირო" ჩვენ უნდა შევწყვიტოთ პოლიტიკური ბრძოლა. კრებებზე სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე ს. მდივანი, ვ. კოტეტიშვილი, ქრ. რაჭველიშვილი. ისინი მოუწოდებდნენ მსმენელებს „ოსმალეთის ფაშებისა და ლენინის გაამხანაგებული იმპერიალიზმის" წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. სახალხო კრებამ მიღებულ რეზოლუციაში ჩაწერა: აზერბაიჯანის გასაბჭოება შედეგია რუსეთ-თურქეთის შეთანხმებული მომქედებისა. იქმნება საშიშროება, რომ ჩრდილოეთის ანარქია და სამხრეთის რეაქცია მოინდომებს ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მოსპობას. მათ უნდა დავუპირისპიროთ ჩვენი რიგების ერთიანობა და მაღალი ბრძოლისუნარიანობა.[24]

აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ საქართველოსათვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევა კიდევ უფრო აუცილებელი გახდა. 1920 წლის 5 მაისს კ. ჩხეიძემ პარიზის საზაო კონფერენციაზე განაცხადა: საქართველოს სამი მხრიდან ემუქრება საფრთხე – ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან საბჭოთა რუსეთის ჯარები მოგვადგნენ, სამხრეთ-დასავლეთიდან კი თურქები აპირებენ შემოტევას. ასეთ პირობებში ჩვენთვის სამხედრო დახმარების გაწევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსო.[25]

3. საქართველო-საბჭოთა რუსეთის ურთიერთობა. 1921 წლის თებერვალ-მარტის ომი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა, როგორც ჩანს დიდ იმედს არ ამყარებდა დასავლეთიდან მომდინარე (საავარაუდო) დახმარებაზე. ამიტომ მას შემდეგ, რაც წითელმა ჯარმა გაანადგურა დენიკინის

თეთრი არმია, საბჭოური რუსეთის კრიტიკა რამდენადმე შეანელა, გარკვეული ნაბიჯი გადადგა მასთან კომპრომისისა და შეთანხმებისათვის.

ამასთან ერთად მთავრობამ მიიღო ზომები სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად. დამფუძნებელ კრებაში შეიტანა დეკრეტის პროექტი თავდაცვის საჭიროებისათვის დამატებით 300 მლნ მანეთის გამოყოფის თაობაზე. ნ. ჟორდანიამ აღნიშნა: კომუნისტურ-ფაშურმა ორიენტაციამ აზერბაიჯანი ჩამოგვაშორა, მარტო დავრჩით დიდი საშიშროების წინაშე. მაგრამ მარტოობა ყოველთვის როდი ნიშნავს უძლურებას. ქართველი ხალხი არ გადუხვევს თავისუფლებისა და დემოკრატიის გზას, არ დაუშვებს ჩვენს ქვეყანაში ბოლშევიკური ტირანიის გაბატონებას.[26]

დამფუძნებელი კრების ყველა ფრაქცია მთავრობის მხარდაჭერის პოზიციაზე დადგა, ბოლშევიზმის წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლის სულისკვეთებით განიმსჭვალა. საბჭოთა რუსეთის მიმართ ყველაზე შეურიგებელი პოზიცია-ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ დაიკავა. თავის ფრაქციის სახელით სპ. კედიამ განაცხადა, რომ საქართველოლო ორ წელზე მეტია იცავს თავის მაღალ კულტურას, მოქალაქეობრიობას, დემოკრატიზმს, პარლამენტარიზმსა და იგი მომავალშიც უნდა დაიცვასო. მისი დაკვირვებით ბოლშევიკები ვერაფერს აკლებდნენ კარგად ორგანიზებულ ძალას. მათ ვერ დააჩოქეს პოლონეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი. ეს ახალგაზრდა რესპუბლიკები თვით დასავლეთის დიდ სახელმწიფოებსაც კი იცავენ ბოლშევიზმის სენისაგან. სამხრეთში ასეთივე მისია აკისრია საქართველოს, მაგრამ ანტანტის სახელმწიფოები სათანადოდ ვერ აფასებენ ჩვენი რესპუბლიკის მნიშვნელობას. „დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები ვალდებული არიან დახმარება აღმოუჩინონ იმ ერს, რომელიც მარტო დარჩა და იბრძვის ბოლშევიზმის წინააღმდეგ. იმიტომ, რომ აქ, საქართველოში საქმის წაგება არის ბოლშევიკების გამარჯვება... მთელ სამაჰმადიანო ქვეყნებში“. ყველასათვის გასაგები უნდა იყოს, რომ თუ აზიას მოედო ბოლშევიზმის ცეცხლი, დასავლეთ ევროპის პოზიციები ძირფესვიანად შეირყევა. ანტანტას ჯერ კიდევ შეუძლია შეცდომების გამოსწორება. თუ ანტანტის სახელმწიფოები საქართველოს სამხედრო დახმარებას გაუწევენ, ბოლშევიზმის საფლავი შეიძლება ჩვენს ქვეყანაში გაითხაროსო. რა თქმა უნდა, ქართველებიც უნდა დავირაზმოთ. აუცილებლად უნდა დავძლიოთ ვიწრო პარტიული იდეოლოგია, ვიწრო პარტიული

ინტერესი. აუცილებელია გაერთიანება იმ ძალის გარშემო, „რომელსაც სამშობლოს დაცვის იდეა ეწოდება“. ეს იქნებაო ჩვენი გამარჯვების ძირითადი პირობა.[27]

საგანგებო სხდომის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა ორმისამართიანი მიმართვა-მოწოდება: „დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი განურჩევლად ეროვნულობისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა; ქართველი ერი, მისი ჯარი და გვარდია შეურყეველად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას. დამფუძნებელი კრება მიმართვს ევროპის დემოკრატიას, რომ იმანაც აღიმაღლოს ხმა უზენაესი სამართლიანობის დასაცავად და ღრმად სწამს, რომ გასაჭირის დროს ევროპა არ დასტოვებს საქართველოს დემოკრატიას მარტოდ ბრძოლის ველზე“.[28]

დამფუძნებელი კრება, თითქმის ყველა პოლიტიკური პარტია ამ გასაჭირის ჟამს დიდ იმედს ამყარებდა დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებზე და არც მთლიანად უსაფუძვლოდ. იმ დროს, როცა პოლონეთი ომს იწყებდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და ვრანგელიც ია‌არღს ლესავდა, ანტანტის სახელმწიფოებს რომ საქართველოდანაც დაერტყათ ბოლშევიკებისათვის, წითელ არმიას სამხრეთი იერიშების მოგერიება ნამდვილად გაუჭირდებოდა. მაგრამ ანტანტის მესვეურებმა სამხრეთის ფრონტის გახსნა ვერ გაბედეს.

ამგვარად, დამფუძნებელი კრება, მთავრობა, ოპოზიციური პარტიები, მთელი ქართველი ერი ფსიქოლოგიურად (რამდენადმე მატერიალურადაც) შეემზადა კომუნისტურ რუსეთთან დიდი ომისათვის. მოვლენებიც სწრაფად განვითარდა აზერბაიჯანის საბჭოთა (მარიონეტულმა) მთავრობამ ჩამოყალიბებისთანავე მოსკოვის კარნახით ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. აზერბაიჯანის ზურგს უკან ამოფარებულ საბჭოთა მთავრობას უკვე მაშინვე მიზნად ჰქონდა დასახული თბილისის აღება, საქართველოს გასაბჭოება. ს. ორჯონიკიძე აპირებდა საქართველოში ანტიმენშევიკური აჯანყების პროვოცირებას, რათა საბჭოთა რუსეთის ინტერვენციისათვის გამამართლებელი საფუძველი მიეცა. მაგრამ სწორედ ამ მომენტში საერთაშორისო ვითარება შეიცვალა. საბჭოთა რუსეთისა და პოლონეთის საკმაოდ დიდმასშტაბიანი ომი დაიწყო. საბჭოთა მთავრობამ გაუმართლებლად მიიჩნია დასავლეთისა და სამხრეთის ფრონტებზე ერთდროული ბრძოლა, საქართველოსთან ფაქტიურად უკვე დაწყებული ომი შეაჩერა. ლენინი

დადებითად მოეკიდა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო წინადადებას და დაიწყო მასთან საზაო მოლაპარაკება.

ქართველმა ბოლშევიკებმა სამშვიდობო მოლაპარაკების წინააღმდეგ გაილაშქრეს. მათი აზრით, ხელშეკრულების გაფორმება, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული ცნობა გააძნელებდა ამ ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას. მაგრამ იმ დროს ლენინისათვის მთავარი იყო საბჭოთა ხელისუფლების გადარჩენა, ამ ახალი ომიდან საბჭოთა სახელმწიფოს უვნებლად გამოყვანა. ქართველმა ბოლშევიკებმა რუსეთ-საქართველოს საზაო მოლაპარაკება ვერ ჩაშალეს. 1920 წლის 7 მაისს საქართველოს რესპუბლიკის სრულუფლებიანმა დესპანმა გრიგოლ ურატაძემ და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა ლევ კარახანმა მთავრობათა სახელით გააფორმეს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომლის ძირითადი მუხლები ასეთი იყო:

1. რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკა, მის მიერ აღიარებული ერთა თვითგამორკვევის უფლების საფუძველზე, სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და ნებაყოფლობით ამბობს უარს ქართველი ხალხის მიმართ რუსეთის ყველა სუვერენულ უფლებაზე.

2. რუსეთი უარს ამბობს საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევაზე.

3. კავკასიონის ულელტეხილები 1922 წლის იანვრამდე ცხადდება ნეიტრალურ ტერიტორიად. იქ არ განლაგდება არცერთი მხარის ჯარი.

4. რუსეთი საქართველოს ტერიტორიად სცნობს თბილისის და ქუთაისის გუბერნიებს, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებს.

5. საქართველო ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას თავის ტერიტორიიდან რუსეთის საწინააღმდეგო საომარი მოქმედება, განაიარაღოს რუსეთის სახელით მოქმედი ჯარის ნაწილები (დენიკინელები – ა.ბ.), საბჭოთა რუსეთს გადსცეს ამ ნაწილების პირადი შემადგენლობა და იარაღი; მიიღოს ზომები, რათა საქართველოს ტერიტორიიდან გაყვანილ იქნან ჯარის ყოველგვარი შენაერთები, რომლებიც არ შედიან საქართველოს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში (იგულისხმება ინგლისის ჯარი – ა.ბ.), არ დაუშვას საბჭოთა რუსეთისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები საქართველოს ტერიტორიაზე.

6. რუსეთი ვალდებულებას კისრულობს არ დაუშვას თავის ტერიტაორიაზე ჯგუფები და ორგანიზაციებ, რომელნიც პრეტენზიას

აცხადებენ იყვნენ საქართველოს მთავრობა და იბრძვიან საქართველოში არსებული მთავრობის დამხობისათვის.

10. საქართველოს მთავრობა ვალდებულია პატიმრობიდან გაათავისუფლოს საბჭოთა რუსეთისა და კომპარტიის სასარგებლო საქმიანობისათვის მსჯავრდადებული პირები.

16. ხელშეკრულება ძალაში შედის დაუყონებლივ, არ საჭიროებს რატიფიკაციას.

განსაკუთრებულ საიდუმლო დამატებაში ნათქვამია, რომ საქართველოს მთავრობა აღიარებს მის ტერიტორიაზე შექმნილ კომუნისტური ორგანიზაციის თავისუფალი (ლეგალური) არსებობის უფლებას.

7 მაისის ხელშეკრულების მეოთხე მუხლის გამო პროტესტი გამოთქვა უკვე გასაბჭოებულმა აზერბაიჯანმა. რუსეთის მხარის მოთხოვნით სამშვიდობო ხელშეკრულებას დაემატა ახალი მუხლები, რომელთა თანახმად სადაო ტერიტორიის – ზაქათალის ოლქის კუთვნილების საკითხს გადაწყვეტდა რუსეთ-საქართველო-აზერბაიჯანის შერეული კომისია რუსეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით. მანამდე საქართველოსა და აზერბაიჯანს ზაქათალაში დამატებითი ჯარის ნაწილები არ უნდა შეეყვანათ.

ამ სამშვიდობო ხელშეკრულებაში კარგად ჩანს მხარეების პოზიცია, მიზანდასახულება. საქართველოს მთავრობა, მართალია, არ იყო დარწმუნებული, რომ რუსეთი კეთილსინდისიერად დაიცავდა ზავის პირობებს, მაგრამ იმ კონკრეტულ სიტუაციაში არ შეეძლო უარი ეთქვა აგრესიულად განწყობილ მეზობელთან თუნდაც დროებით დაზავებაზე. მით უმეტეს, რომ ყოფილი მეტროპოლია იურიდიულად სცნობდა ყოფილ კოლონიის, ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას, რაც თავისთავად დიდად ამაღლებდა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო პრესტიჟს.

სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ მოსკოვიდან ინფორმაციის მიღებისთანავე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ე. გეგეჭკორი დამფუძნებელ კრებაში გამოვიდა რიგგარეშე განცხადებით: „რუსეთსა და საქართველოს შორის ზავის ხელშეკრულება დაიდო“. რუსეთის საბჭოთა მთავრობა ვერსად გაექცა ერთა თვითგამორკვევის უფლების მის მიერვე აღიარებულ პრინციპს და საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო. „ბოლოს და ბოლოს ჩვენმა სამართლიანმა

საქმემ გაიმარჯვა, ჩვენმა ცდამ ნაყოფი გამოიღო. ზავი რუსეთთან გაფორმებულია და მოკლე ხანში წარედგინება დამფუძნებელ კრებას სარატიფიკაციოდ".

შემდეგ ე. გეგეჭკორმა აღნიშნა, რომ მხარეების სწორად გაგებული ინტერესები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება; რუსეთ-საქართველოს შორის არაა ისეთი სადაო საკითხი, რომელიც მოლაპარაკების საშუალებით ვერ მოგვარდება. მეორეს მხრივ ერთხელ კიდევ დამტკიცდა „თუ რას ნიშნავს ურყევი ნებისყოფა ერისა". თავდაცვის კარგმა ორგანიზაციამ მოგვცა ეს საპატიო ზავი და მხოლოდ ძალაზე დაყრდნობით შეგვიძლია მისი პირობების შენარჩუნება. „ყოველი ხელშეკრულება შეიძლება ფარატინა ქაღალდად გადაიქცეს, თუ კი მას არ ჰყავს დაუძინებელი დარაჯი, რომელიც მზად იქნება იარაღით დაიცვას ის უფლება, რომელიც მან ხელშეკრულებით მოიპოვა".[29]

სოციალისტ-ფედერალისტური „სახალხო საქმე" საზეიმო განწყობილებით შეხვდა 7 მაისის ხელშეკრულებას: „ზავი, საპატიო ზავი რუსეთთან ფაქტია.,... რუსეთი თავის ნებით ხელს იღებს ყველა იმ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა მას საქართველოს ხალხზე და ძიწაწყალზე. ამნაირად, ჩვენი ისტორიული ცხოვრების ძაფი, დროებით გაწყვეტილი, წარსულს კვლავ გადაება., ...ბოლო ეღება რუსეთის მისწრაფებას სამხრეთით. რასაკვირველია, ეს დროებითია. რუსის იმპერიალიზმი ახალ სახეს იღებს". იგი, – განაგრძობს კორესპონდენტი, – შეეცდება ესპანსიის გაგრძელებას, მაგრამ ჯერჯერობით მისი მადა თავშეკავებულია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთი და ოსმალეთი ვერ შესძლებენ აგრესიის განახლებას. „ჩვენი ქვეყანა გახდება იმ ბუფერად, რომლის დაცვას მოითხოვს როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის ინტერესები. ამავე დროს ის (საქართველო – ა.ბ.) იქნება გზა და ხიდი ევროპისა აზიისაკენ".[30]

ქართველმა კომუნისტებმა პოზიცია უცბად შეცვალეს, 7 მაისის ხელშეკრულება ბოლშევიზმის გამარჯვებად გამოაცხადეს; ხალხს აუწყეს, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველო გამოგლიჯა ანტანტის იმპერიალიზმის ბრჭყალებს, საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა პირი რუსეთისაკენ იბრუნეს, მას დაუკავშირდნენო. ეროვნული მიმართულების პარტიებმა ბოლშევიკური ვერსია კატეგორიულად უარყვეს; საქართველო არავის ბრჭყალებში არ ყოფილა, იგი ყველა დამპყრობელს ებრძოდაო. „კომუნისტებს ერთი რამ ავიწყდებათ, ალბათ განზრახ. საქართველო რუსეთს გამოეთიშა როგორც მონა ბატონს,

როგორც ჩაგრული მჩაგვრელს და საქართველოს ღირსება ის არის, რომ დღეს შეხვდა მას როგორც თანასწორი თანასწორს., ...ცხადზე უცხადესია, თუ რაოდენ უსაფუძვლოა კომუნისტების ქადილი გამარჯვებაზე. არა, ეს აშკარა დამარცხებაა; დამარცხდა მათი ცენტრალიზმი, მებრძოლი ნაციონალიზმი, ტაქტიკა წვრილი ერების მიმართ. კომუნისტები მარცხს ვერ დამლავენ, იძულებული გახდებიან აღიარონ – „შენ გაიმარჯვე გალილეველო" და ეს გალილეველი კი საქართველოა".[31]

ცოტა მოგვიანებით კომპეტენტურმა პირებმა დეტალურად შეისწავლეს სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტი და უფრო ობიექტურად, კრიტიკულად შეაფასეს იგი. სათანადო მიუზღეს იმ ფაქტს, რომ რუსეთმა უარი თქვა იარაღით მოპოვებულ ადრინდელ უფლებებზე, აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, სუვერენობა და ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ აღნიშნეს, რომ ზოგი მუხლი არ გვაკმაყოფილებსო. მათი აზრით, ყოვლად მიუღებელი იყო კერძოდ მესამე მუხლის მესამე აბზაცი კავკასიონის უღელტეხილთა ნეიტრალიზაციის შესახებ. ეს მუხლი ძლიერ სახიფათოა. სახიფათოა იმიტომ, რომ ჩვენ ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვს ბოლშევიკებისათვის ხელშეკრულებას., ...მეორე მხარით, ფრიად უცნაურია ზაქათალის და სხვა სადაო საკითხების გადაწყვეტის ის მეთოდი, რომელიც ხელშეკრულების დამატებით მუხლშია აღნიშნული". ყველაზე დიდ საოცრებად ის იქნა მიჩნეული, რომ ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო საკანონმდებლო ორგანოში რატიფიკაციის გარეშე. „რისთვის არსებობს დამფუძნებელი კრება, ხალხის წარმომადგენლობა, თუ კი ისეთს დიდ საკითხს, როგორიც არის რუსეთთან ხელშეკრულება, დამფუძნებელი კრების ზურგს უკან, მის დაუკითხავად გადაწყვეტენ?"[32]

კიდევ მეტი კრიტიკა გამოიწვია აზერბაიჯანთან 1920 წლის 12 ივნისს დადებულმა საზაო ხელშეკრულებამ. როცა დამფუძნებელ კრებაში მისი რატიფიკაციის საკითხი განიხილებოდა ალ. ასათიანმა განაცხადა: ყველა გრძნობდა, რომ აზერბაიჯანთან ჩვენ არ გვქონდა ჩვეულებრივი შეტაკება, რაც მრავლად გადაგვიხდია ამ სამი წლის განმავლობაში. აზერბაიჯანში უკვე შემოჭრილი იყო რუსეთის წითელი არმია და ფაქტიურად მასთან მოგველოდა დიდი ბრძოლები. საქართველოს დასაცავად მთელი ერი ფეხზე დადგა, ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვებას მიაღწია. მაგრამ დადებული ხელშეკრულება გამარჯვებით დაგვირგვინებულ ომს არ ასახავს. ალ. ასათიანმა

მართებულად აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს 7-12 მაისის ხელშეკრულების დამატებითი მუხლი არ უნდა დადებოდაო საფუძვლად ზაქათალის საკითხის გადაჭრას. თუ იგი ძალაში შევიდა, ზაქათალის საკითხი ისე გადაწყდება, როგორც აზერბაიჯანს სურსო. ორატორმა ისიც უკმაყოფილების გრძნობით აღნიშნა, რომ მოსკოვის მთავრობა 7 მაისის ხელშეკრულების გამოყენებას იმისათვის ცდილობს, რომ ევროპას მოგვწყვიტოს და რუსეთისაკენ დაგვაბრუნოს. 12 ივნისის ხელშეკრულება აგრძელებს ამ ხაზს. ამიტომ ამ ხელშეკრულებებს ქართველი ხალხი ნდობით ვერ მოეკიდებაო.[33]

დამფუძნებელი კრების სხდომაზე მთავრობის საგარეო პოლიტიკა დაიცვა, დადებული ხელშეკრულების აუცილებლობისა და სარგებლიანობის დასაბუთება სოციალ-დემოკრატიულმა ფრაქციამ სცადა. ე. თევზაიამ ოპოზიციურ პარტიათა ორატორებს არარეალიზმსა და ტენდენციურობაში დასდო ბრალი. თქვენ იწუნებთ აზერბაიჯანთან დადებულ კომპრომისულ ხელშეკრულებას, მაგრამ გავიწყდებათ, რომ საქართველოს სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ჩვენს რესპუბლიკას არაკომპრომისული ზავის დადება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, თუ მისი შეიარაღებული ძალები აიღებდნენ ბაქოს და რუსეთის ჯარებსაც აზერბაიჯანიდან განდევნიდნენ. მაგრამ ასეთ მიზანს, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ დავისახავდით და ვერ განვახორციელებდით. აკ. ჩხენკელმაც საყვედური გამოთქვა ოპოზიციონერთა მისამართით, არ ერიდებიანო დაუსაბუთებელი და უპასუხისმგებლო განცხადებების გაკეთებას. ახლო მომავალში გავიგებთ „შეასრულებს თუ არა მოსკოვის მთავრობა იმას, რასაც ხელი მოაწერა და მაშინ გამოვიტანთ შესაფერის დასკვნას". მეც მიმაჩნია, თქვა ბოლოს აკ. ჩხენკელმა, რომ მდგომარეობა რთულია, მტრებისაგან გარემოცული ვართ. „სწორედ იმიტომ, რომ მდგომარეობა რთულია, ჩვენი მთავრობა არ აწარმოებდა რისკის პოლიტიკას" და ვერც მომავალში ავიღებთ ასეთ გეზს, რადგან „ვგრძნობთ პასუხისმგებლობას ჩვენი ერის, ჩვენი დემოკრატიის წინაშე".[34]

ამგვარად, სიმართლისა და შეცდომის ელემენტები, მეტნაკლებად, ორივე მხარის მსჯელობაში იჩენდა თავს. ფაქტია, რომ შექმნილ რთულ სიტუაციაში სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ვერ ახერხებდა უფრო შედეგიანად ემოქმედა საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის განსამტკიცებლად. მაგრამ ისიც შეიძლება აღინიშნოს, რომ ოპოზიციური პარტიები არც თუ იშვიათად,

გადაჭარბებულ პრეტენზიებს უყენებდნენ მთავრობას. იმის გაკეთებას მოითხოვდნენ, რაც მის უნარს და მთლიანად სახელმწიფოს შესაძლებლობას აღემატებოდა.

ოპოზიციონერთა მკაცრი გამოსვლების მიუხედავად, დამფუძნებელმა კრებამ ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით მოახდინა საქართველო-აზერბაიჯანის ხელშეკრულების რატიფიკაცია. რუსეთ-საქართველოს 7 მაისის ხელშეკრულება კი რატიფიკაციის გარეშე შევიდა ძალაში. იგი, რა თქმა უნდა, იდეალური არ იყო, მაგრამ შექმილ სიტუაციაში უკეთესი გამოსავალი არ ჩანდა. სოციალ-დემოკრატიის ოფიციოზი გაზ. „ერთობა" 7 მაისის ხელშეკრულების მთავარ ღირსებას, სავსებით მართებულად, იმაში ხედავდა, რომ იგი ხელს გაუხსნიდა დასავლეთის დიდ სახელმწიფოებს „დე-იურე" ეცნოთ საქართველოს რესპუბლიკა და დაემყარებინათ მასთან დიპლომატიური ურთიერთობა საელჩოთა დონეზე.

1920 წლის 8 ივლისს საქართველოს მთავრობის მიერ სამოკავშირეო საბჭოსათვის გაგზავნილ ვრცელ მემორანდუმში ნათქვამი იყო: დასავლეთის სახელმწიფოებისაგან საქართველოს დამოუკიდებლობის ფაქტის აღიარება საკმარისი არაა. ქართველი ხალხი ელოდება თავის რესპუბლიკის „დე-იურე" ცნობას. თქვენ კარგად იცით, თუ რას წარმოადგენს საქართველოს რესპუბლიკა, როგორია მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა, გეგმები, მისწრაფებანი. ისიც მოგეხსენებათ, რომ რუსეთმა უკვე სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ამდენად მთავარი დაბრკოლება თქვენს მიერ საქართველოს „დე-იურე" აღიარების გზაზე მოხსნილია. პოლიტიკურთან ერთად საქართველოს იურიდიულად ცნობას მოითხოვს აგრეთვე ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის, უცხოურ ფორმებთან საკონცესიო და სხვაგვარ ხელშეკრულებათა დადების საჭიროება. ქართველი ხალხი იმედოვნებს, რომ გამარჯვებული მოკავშირეები იურიდიულად სცნობენ საქართველოს რესპუბლიკას და ამით მორალურ და პოლიტიკურ დახმარებას გაუწევენ მას დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში.[35]

ამ მემორანდუმის დანიშნულებისამებრ გადაცემის მომენტში რუსეთ-პოლონეთის ომი გრძელდებოდა. ანტიბოლშევიკურ ძალებს ჯერ კიდევ არ დაეკარგათ რუსეთის ერთიანი იმპერიის აღდგენის იმედი. ამიტომ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა, ძველი რუსეთის ყოფილმა მოკავშირეებმა საქართველოს „დე-იურე" აღიარებაზე კვლავ თავი შეიკავეს.

დასავლეთიდან რეალური დახმარება კვლავ არ ჩანდა. აღმოსავლეთელი აგრესორები კი თანდათან აფართოებდნენ მოქმედების სარბიელს. ქართველი საზოგადოება მღელვარებით ადევნებდა თვალს კომუნისტური რუსეთისა და პანისლამისტური თურქეთის დაახლოების ტენდენციას. გაზ. „საქართველო" მკითხველს აუწყებდა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლების ლოზუნგით აღჭურვილი რუსი ბოლშევიკები და თურქი ნაციონალისტები სინამდვილეში თავიანთი იმპერიების აღდგენისა და მცირე ერების დამონებისათვის იბრძვიან. ახლა ისინი ორივე მხრიდან ემუქრებიან სომხეთს. „რუსეთის ბოლშევიკებს და ოსმალეთის ქემალისტებს მოსვენებას არ აძლევს საქართველოსა და სომხეთის არსებობა წინააზიის ბჭესთან., ...საერთო საფრთხე უკარნახებს საქართველოს და სომხეთს სახელმწიფოებრივი ენერგიის უკიდურესი დაძაბვით შეინარჩუნონ ესოდენ ბრძოლით მოპოვებული ეროვნული თავისუფლება. ჩვენ უნდა შევქმნათ სამხედრო კავშირი, რომ უფრო ძლიერად წინ აღვუდგეთ საერთო მტერს".[36]

რუსეთ-პოლონეთის ომის დამთავრების შემდეგ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა ხელი აიღეს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე, დაიწყეს თავიანთი შეიარაღებული ძალების გაყვანა რუსეთის გავლენის ზონებიდან. ინგლისმა თავის ჯარის ქვედანაყოფები გაიყვანა ბათუმის ოლქიდან. ამ ტერიტორიაზე აღსდგა საქართველოს იურისდიქცია. ამ ფაქტს ქართველი ერი სიხარულით შეხვდა. მაგრამ მედალს მეორე მხარეც ჰქონდა; ინგლისის ჯარების ბათუმიდან გაყვანა იმის მაუწყებელიც იყო, რომ დიდმა ბრიტანეთმა და მისმა მოკავშირეებმა უარი თქვეს ამ რეგიონში კომუნისტურ რუსეთთან დაპირისპირებაზე, საქართველოს რესპუბლიკისათვის სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევაზე.

საქართველოს მთავრობამ ინგლისის მთავრობას სთხოვა დაეტოვებინა თავის ჯარის მცირე ნაწილი მაინც საქართველოს ტერიტორიაზე. მზად ყოფნას გამოთქვამდა გაეფორმებინა მასთან ხელშეკრულება სამხედრო ბაზის გამოყოფის შესახებ. მაგრამ დიდმა ბრიტანეთმა და მისმა მოკავშირეებმა ეს წინადადება არ მიიღეს, საქართველოს თითქმის მთლიანად მოუხსნეს რუსეთიდან მომდინარე საფრთხისაგან გადარჩენის გარანტია. სიტუაცია და დიდი სახელმწიფოების განწყობილება არც მას შემდეგ შეცვლილა, რაც მოკავშირეებმა „დე-იურე" სცნეს საქართველოს რესპუბლიკა (1921 წ. იანვარი). დამოუკიდებელი, დასავლეთისაგან იურიდიულად

აღიარებული, მაგრამ განმარტოებული საქართველო საბჭოთა რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა.

1920 წლის შემოდგომაზე ქემალისტურმა თურქეთმა ომი დაიწყო სომხეთის წინააღმდეგ და სწრაფად დაიკავა თითქმის მთელი ყარსის ოლქი. ქემალ-ფაშა აშკარად აცხადებდა თავის პრეტენზიებს სამუსლიმანო საქართველოს მიმართაც. მისი აგენტები ცდილობდნენ აქაური ქართველების გადაბირებას. მათ პროკლამაციაც კი გაავრცელეს, თანამორწმუნეებს ასე მიმართეს: მუსლიმანებო! ქრისტიანმა ქართველებმა მოგატყუეს, ბევრი რამ დაგპირდნენ, მაგრამ არაფერი მოგცეს, ავტონომია დღემდე არ მიგიღიათო. საქართველოს ორიენტაციაზე მყოფ მაჰმადიან ქართველთა ლიდერებსაც არ ეძინათ. ჩაატარეს მეჯლისის სხდომა, რომლის მიერ გავრცელებულ მოწოდებაში ნათქვამი იყო: მამულიშვილნო! თქვენს მიერ არჩეული და თქვენი უზენაესი სურვილების მატარებელი მეჯლისი ღვთისა და ქვეყნის წინაშე ფიცით ამოწმებს, რომ ოსმალეთის აგენტები გატყუებენ. საქართველოს მთავრობა თავის სიტყვის გატეხს არ აპირებს, სამუსლიმანო საქართველო ავტონომიას აუიციებლად მიიღებსო.3[78]

ასეთ გართულებულ სიტუაციაში საჭირო გახდა დამფუძნებელი კრების საგანგებო სხდომის ჩატარება. სიტყვებით გამოვიდნენ მთავრობისა და ოპოზიციური პარტიების (ფრაქციების) წარმომადგენლები – აკ. ჩხენკელი, ნ. რამიშვილი, ლ. შენგელაია, გრ. ვეშაპელი, შ. ნუცუბიძე და სხვ. ზოგმა მთავრობის გადადგომა მოითხოვა, უმრავლესობამ ეს სახიფათოდ მიიჩნია. შ. ნუცუბიძემ განაცხადა: ხალხს უნდა ავუხსნათ მდგომარეობის სირთულე, გავაგებინოთ თუ რაოდენ დიდი საფრთხე დაგვემუქრა რუსეთიდან და ოსმალეთიდან. ასთ პირობებში აუცილებელია დაპირისპირებათა აღმოფხვრა, პოლიტიკური პარტიების კონსენსუსის მიღწევა, ჩვენი პარტია მზად არისო ყველაფერი მიიტანოს „დემოკრატიული სამშობლოს დაცვის სამსხვერპლოზე". მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ს. ფედერალისტთა პარტია მთავრობის საშინაო პოლიტიკას იწონებს. უბრალოდ არ გვინდა „დისონანსი შევიტანოთ მთლიანობაში". მიზანშეწონილია არსებული მთავრობა ადგილზე დარჩეს. მის გარშემო უნდა დაირაზმოს ყველა ეროვნული ძალა. ქუდზე კაცი უნდა გამოვიდეს სამშობლოს დასაცავად.[38]

სოციალისტ-რევოლუციონერები და ეროვნულ-დემოკრატები დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციებიდან უფრო მწვავედ

აკრიტიკებდნენ მთავრობას. საქვეყნოდ ლაპარაკობდნენ, რომ სოციალ-დემოკრატიამ საგრძნობლად დაკარგა გავლენა და ავტორიტეტი, რომ ერთპარტიულ მთავრობას მდგომარეობის გამოსწორება არ შეუძლია. „პოლიტიკური ვითარება ჩვენი ქვეყნისა და საერთაშორისო ურთიერთობის კომბინაციები უნდა გვაგებინებდეს, რომ არსებული სახით მთავრობა საქართველოს ხომალდს ვერ ააცილებს წყალქვეშა ქვებს., ...მთავრობა მთელი მისი შემადგენლობით უნდა გადადგეს".[39]

ამ კრიტიკულ მომენტში, როცა საქართველოს ბედი წყდებოდა, აუცილებელი იყო ჩამოყალიბება კოალიციური მთავრობისა, რომელიც თავის გარს შემოიკრებდა საზოგადოების ყველა ფენას, ყველა პოლიტიკურ პარტიას, მთელ ერს. სამწუხაროდ მმართველი პარტია ამის გაგებამდე ვერ ამაღლდა. სოციალ-დემოკრატიული მთავრობა არ გადამდგარა, მაგრამ პრემიერმა ნ. ჟორდანიამ ანგარიში გაუწია საზოგადოებრივ აზრს და დაიწყო მთავრობის გადახალისება, თანამდებობის პირების შეცვლა. შეიქმნა ე.წ. „სარეკომენდაციო კომისია" მინისტრთა კომიტეტის ახალი წევრების შესარჩევად. როგორც ჩანს, კომისიას მითითება მიეცა ახალი წევრები უმრავლესობის პარტიის (სოციალ-დემოკრატიის) რიგებში მოენახა. მთავრობის ასეთნაირმა სვლამ ოპოზიციური პარტიები ვერ დააკმაყოფილა. სოციალ-დემოკრატიის კრიტიკა კიდევ უფრო გაძლიერდა.

სოციალ-დემოკრატიული მთავრობა, მართალია, საკმაოდ ეფექტურ ღონისძიებებს ატარებდა სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის ასამაღლებლად, მაგრამ ბოლშევიკებთან კომპრომისის გზასაც ეძებდა. ნ. ჟორდანიას მიაჩნდა, რომ ყველა საბჭოელისა და კომუნისტის ერთ სიბრტყეზე დაყენება არ შეიძლებოდა; შეინიშნებოდა „მოსკოვის ორი ტენდენცია: ერთი პოლიტიკური და მეზობლური, მეორე – იმპერიალისტური". პირველს განასახიერებდა ლენინი, ხოლო მეორეს ტროცკი და სტალინი. ნ. ჟორდანია ამ შეფასებაში, რა თქმა უნდა, სცდებოდა. სამივე ეს პოლიტიკური მოღვაწე იმპერიალისტურ პოლიტიკას ახორციელებდა. მხოლოდ იმ განსხვავეიბთ, რომ ლენინი მეტ სიფრთხილესა და დიპლომატიურობას იჩენდა, იმპერიის ახალ საფუძველზე რესტავრაციას მშვიდობიანი საშუალებებით ცდილობდა. როცა ეს მეთოდი შედეგს არ იძლეოდა, ლენინიც იარაღსა და ძალადატანებას მიმართავდა.

ცნობილია, რომ თვით ლენინიც ანსხვავებდა ერთმანეთისაგან ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილს. მიაჩნდა, რომ ნ. ჟორდანიასთან საერთო

ენის გამონახვა და მისი თანხმობა-თანადგომით, ყოველგვარი ექსცესების გარეშე, საქართველოში შეიძლებოდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. ლენინის ასეთ თვალსაზრისს ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილიც ეთანხმებოდა.

ისმის კითხვა, რას ემყარებოდნენ ლენინი და მისი თანამოაზრე ქართველი ბოლშევიკები თავიანთ ასეთ ვარაუდებში? ისინი, რა თქმა უნდა, ამჩნევდნენ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ სხვა პარტიების თანადგომით შექმნილი საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი წყობილება თითქმის არსებითად განსხვავდებოდა საბჭოთა რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილებისაგან, მაგრამ მათ შორის მცირე მსგავსებაც იყო. ეს მსგავსება კიდევ უფრო გაიზარდა საქართველოს კოალიციური მთავრობის დაშლისა და ერთპარტიული სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ. სწორედ ამ დროიდან ოპოზიციურმა პარტიებმა გაახშირეს ლაპარაკი მენშევიკურ დიქტატურაზე, რომელიც, მათი აზრით, არსებითად არ განსხვავდებოდა ბოლშევიკური დიქტატურისაგან.

ახლა ისიც უნდა გავიხსენოთ, თუ როგორი ევოლუცია განიცადა საბჭოების ხელისუფლებამ რუსეთში. თებერვლის რევოლუციის შემდეგ, თვით დროებითი მთავრობის მესვეურები აღიარებდნენ, რომ ამ ვეებერთელა ქვეყანაში, ხელისუფლება იურიდიულად, მართალია, ბურჟუაზიულ მთავრობას ეკუთვნოდა, მაგრამ რეალური ძალა მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში იყო. სწორედ ძალთა ასეთი განლაგების საფუძველზე წამოაყენა ლენინმა ლოზუნგი. „მთელი ხელისუფლება საბჭოებს“, ლენინმა და ბოლშევიკებმა საბჭოების სახელით კიდეც განახორციელეს სახელმწიფო გადატრიალება, დაამხეს ბურჟუაზიული მთავრობა და გამოაცხადეს საბჭოთა ხელისუფლება. მაგრამ რუსეთში ორხელისუფლებიანობა (სხვაგვარი ბუნებისა) ამის შემდეგაც არ მოსპობილა. დაკანონდა უმაღლესი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) არსებობა, მაგრამ მის გვერდით ლენინმა ჩამოაყალიბა სახალხო კომისართა საბჭო. ლენინმა და კომუნისტებმა მიაღწიეს იმას, რომ მშრომელთა საბჭოებმა ფაქტიური ძალაუფლება დაკარგეს, მათ როლი დაკნინდა. მთელი ხელისუფლება გადავიდა სახკომსაბჭოსა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელში. პროლეტაიატის დიქტატურის ნაცვლად რუსეთში შეიქმნა კომუნისტური პარტიის, უფრო სწორად მისი ხელმძღვანელი ბირთვის დიქტატურა.

ლენინი და ცოტა მოგვიანებით ქართველი კომუნისტებიც შესაძლებლად თვლიდნენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა ასეთ (მშვიდობიან) ევოლუციას საქართველოშიც. მათი ვარაუდით ამ საქმეში დიდი როლი უნდა შეესრულებინა ნოე ჟორდანიას. ერთხანს ალბათ, ფორმალურად მაინც მას ალიარებდნენ უმაღლეს ხელისუფლად, ამას ის გარემოება აადვილებდა, რომ მშრომელთა საბჭოები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახით, საქართველოშიცი არსებობდა, სადაც წამყვან როლს სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) ასრულებდნენ. 1920 წლის მეორე ნახევარში ნ. ჟორდანიას მიერ დაკავებული პოზიცია თითქოს ამ ვარაუდის რეალური საფუძველი იყო. სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ნ. ჟორდანია გრ. ურატაძეს სწერდა: „გადაეცით სოვნარკომს, რომ ზავის ამბავს ხალხი ღრმა კმაყოფილებით და აღტაცების გრძნობით შეხვდა. იმედი მაქვს, რომ ამიერიდან რუსეთსა და საქართველოს შორის მოისპობა ყოველგვარი გაუგებრობა და ორივე მოძმე ხალხი მშვიდობიანობით და თანხმობით იმუშავებს ცხოვრების სოციალისტურ საფუძველზე გარდასაქმნელად“.[40]

საქართველოს კომპარტის ლეგალიზაციის შემდეგ მეტი შესაძლებლობა შეიქმნა სოციალ-დემოკრატიის ლიდერებზე ზემოქმედებისათვის. კომუნისტებმა, მართალია, თავის მხარეზე ვერ გადაიბირეს ხალხი, მაგრამ სტალინი მაინც დარწმუნებული იყო, რომ კომპარტიის ლეგალიზაციას, მისთვის თავისუფალი მოქმედების უფლების მიცემას მალე მოჰყვებოდა საქართველოს გასაბჭოება.

საქართველოს მრავალპარტიულმა დემოკრატიამ კარგად შეამჩნია, რომ 7 მაისის ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ კომუნისტური ორგანიზაციები საქართველოში სწრაფად გაიზარდნენ, საბჭოთა რუსეთის მძლავრ აგენტურად გადაიქცნენ. მათ დაიწყეს არსებული მთავრობის დამხობის, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების აშკარა პროპაგანდა. ეს ფაქტი განსაკუთრებულ გულისწყრომას არასოციალისტური მიმართულების პარტიებში იწვევდა. ეროვნულ-დემოკრატებს, მართალია, არც სოციალ-დემოკრატები ეხატებოდათ გულზე, მაგრამ ბოლშევიზმი და მისი გაგრძელება კომპარტია გაცილებით დიდ ბოროტებად მიაჩნდათ, რუსეთიდან მხოლოდ უბედურებას მოელოდნენ. ბუნებრივია, ისინი ცალმხრივ, დასავლურ ორიენტაციაზე იდგნენ, თუმცა მთავარ იმედს შინაგან ძალთა ერთიანობასა და მობილიზებაზე ამყარებდნენ. მათი ორგანო გაზ.

„საქართველო“ სიამოვნებით აცნობებდა მკითხველს, რომ ჯარების მობილიზაცია თითქმის შეუფერხებელი და სრულია. „ათი ათასობით გამოვიდა ქართველობა და სუსხიან ზამთარში მაღალ ქედებზე რაზმებად გაიშალა. სამშობლოს დაცვა დღეს უნივერსალურ აღგზნებას იწვევს ქართველ კაცში., ...დღეს ის სხვა კაცია, იგი პატრიოტია. ამ პატრიოტიზმმა გადაარჩინა საქართველო ამ სამი წლის განმავლობაში განსაცდელს, იგივე პატრიოტიზმი წინ აღუდგება იმ მტრულ ძალებს, რომელნიც გარს გვერტყმიან. თუ კარგად მოვუარეთ ამ გაღვიძებულ პატრიოტიზმს, საქართველო დღესაც გამარჯვებული გამოვა“.[41]

რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს მიაჩნდა, რომ აზერბაიჯანისა და სომხეთის გასაბჭოების შემდეგ დამოუკიდებელი საქართველო დისონანსს ქმნიდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი ყოველგვარ საშუალებას იყენებდა საქართველოს ბურჟუაზიული რესპუბლიკის მოსპობის, მისი საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გადაქცევისათვის. კაბიურო სულაც არ უწევდა ანგარიშს იმ ფაქტს, რომ საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მხარს უჭერდა არსებულ ხელისუფლებას, მიაჩნდა, რომ საქართველოს გასაბჭოება ძალიან დაგვიანდა. კავკასიის კომუნისტური ორგანიზაცია და მე-11 წითელი არმიის ხელმძღვანელობა საბაბს ეძებდა საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ომის დასაწყებად. ამიტომაც აზვიადებდნენ დიდი ბრიტანეთის მიერ ბათუმის ხელახალი ოკუპაციის, საქართველოს ტერიტორიიდან ანტანტის მიერ ახალი ფრონტის გახსნის საფრთხეს და ამ გზით ცდილობდნენ მოსკოვის მთავრობა დაერწმუნებინათ საქართველოს რაც შეიძლება მალე გასაბჭოების აუცილებლობაში.

მაგრამ ლენინი 1920 წლის მიწურულსაც თავს იკავებდა საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევისაგან, ნაადრევად თვლიდა მის გასაბჭოებას, რადგან მიაჩნდა, რომ ამას მოჰყვებოდა მცირე ერებში ანტისაბჭოური განწყობილების გაღვივება და საერთაშორისო გართულება. როცა ლენინმა მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კაბიურომ მე-11 წითელი არმიის ხელმძღვანელებთან ერთად დაადგინა საქართველოს საზღვრებში შეჭრა, მყისვე დეპეშა გაუგზავნა ს. ორჯონიკიძეს, მოსთხოვა ამ დადგენილების შესრულების გადავადება. ბოლშევიკების ლიდერი სულაც არ იყო საქართველოს გასაბჭოების წინააღმდეგი, მაგრამ ცდილობდა ეს ამოცანა დიდი დავიდარაბის და ომის გარეშე გადაეწყვიტა. სათანადო საბაბის მოძებნის შემდეგ დაეწყო ინტერვენცია საქართველოს რესპუბლიკაში.

ი. სტალინსა და ს. ორჯონიკიძეს საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის გადაჭარბებული სიფრთხილე არ მოსწონდათ. ეუბნებოდნენ მას, რომ ანტანტას თავი არ გამოდევს აზერბაიჯანისა და სომხეთისათვის, უბრძოლველად დაუთმო ეს ორი ქვეყანა საბჭოთა რუსეთს. მათი განცხადებით, ყველაფრიდან ჩანდა, რომ პირველ მსოფლიო ომში დიდ დანაკარგით გამარჯვებული მოკავშირეები საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვისა და თუნდაც მთელი ამიერკავკასიის ბუნებრივი სიმდიდრეების მითვისებისათვის ახალ ომს არ გააჩაღებდნენ. „არა გვგონია საეჭვო იყოს – წერდა სტალინი – რომ მძიმე წუთებში ანტანტა ისევე მიატოვებს საქართველოს, როგორც სომხეთი მიატოვა“-ო.[42]

1921 წლის 24 იანვარს ი. სტალინმა რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის წევრთა წინაშე დააყენა საქართველოს საქმეებში სამხედრო ჩარევის საკითხი. დადგენილების პროექტი თვით ვ.ი. ლენინმა დაწერა. მასში ვკითხულობთ: 1) დაევალოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს გააჭიანუროს ურთიერთობის გაწყვეტა საქართველოსთან, ამასთან შეკრიბოს ზუსტი მასალა მის მიერ 7 მაისის ხელშეკრულების დარღვევებს შესახებ.,... 2) შევეკითხოთ კავკასიის ფრონტს, რამდენად მომზადებული არიან ჩვენი სამხედრო ძალები საქართველოსთან დაუყონებლივი ან მოახლოვებული ომისათვის.,... 3) მიეცეს დირექტივა სამხედრო-რევოლუციურ საბჭოს და კავკასიის ფრონტს, თუ საჭირო იქნა მოემზადონ საქართველოსთან ომისათვის.[43]

ვ.ი. ლენინის მიერ დაწერილი პროექტი მოიწონეს. ამდენად, საქართველოს რესპუბლიკის ბედი, მისი ოკუპაციის საკითხი რკპ (ბ) ცკ-ის 1921 წლის 26 იანვრის პლენუმზე გადაწყდა. დანარჩენი უკვე წითელ არმიაზე იყო დამოკიდებული.

1920 წლის ნოემბრის დამლევს, როცა რუსეთის ჯარი ერევანში შევიდა, ახლად შექმნილმა სომხეთის საბჭოურმა მარიონეტულმა რესპუბლიკამ პროტესტით მიმართა საქართველოს მთავრობას, ლორეს ნეიტრალური ზონიდან ქართული ჯარის გაყვანა მოითხოვა. საქმეში, მართალია, კავბიურო ჩაერია, მაგრამ იგი არ ჩქარობდა კონფლიქტური სიტუაციის განმუხტვას; კავბიურომ გადაწყვიტა ლორეში მდგარი ქართული ბატალიონის ოკუპანტად გამოცხადება და მის წინააღმდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ამხედრება. კიდევ მეტი, კავბიუროს დავალებით მისი ერთ-ერთი წევრი თ. ლაზიანი შეუდგა ბორჩალოს მაზრაში ანტიქართული გამოსვლის, ხოლო ქართველი ბოლშევიკები

საქართველოს სხვა მხარეების მცხოვრებთა საკუთარი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების პროვოცირებას.

1921 წლის დამდეგს საქართველოს მშრომელი მოსახლეობა არსებული მთავრობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ აჯანყებას არ აპირებდა. მუშები თავიდანვე ყურადღების და მზრუნველობის ქვეშ მოექცნენ, გლეხობის უკმყოფილება კი თითქმის მთლიანად მოხსნა აგრარულმა რეფორმამ, ბატონყმობის ნაშთების მოსპობამ. რევოლუციამ და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის სოციალურმა პოლიტიკამ, თავადაზნაურობას, მართალია, ეკონომიკური პოზიციები შეურყია, მაგრამ იგი 2 წლის განმავლობაში ერთხელაც კი არ გამოსულა დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული მთავრობის წინააღმდეგ და სულაც არ ფიქრობდა კიდევ უფრო მემარცხენე სოციალისტების — ექსტრემისტი ბოლშევიკების მხარეს გადასვლას, საქართველოს დამოუკიდებლობის გაწირვას. ეროვნული ბურჟუაია კიდევ უფრო დადებითად იყო განწყობილი ხელისუფლებისადმი. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, მართალია, აკრიტიკებდნენ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას, მოითხოვდნენ მის ნაცვლად მრავალპარტიული, კოალიციური მთავრობის შექმნას, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უფიქრია სამშობლოს ღალატი, ბოლშევიკურ პოზიციაზე გადასვლა. საერთოდ, საქართველოს მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის ეკონომიური კეთილდღეობის დონე იმ დროს უფრო მაღალი იყო, ვიდრე რუსეთის მოსახლეობისა. ყოველივე ამის გამო ბოლშევიკებმა ვერ შესძლეს აჯანყების პროვოცირება. საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამით ამხედრდა მხოლოდ ლორეს რაიონის სომხური მოსახლეობის ნაწილი — ორასიოდე კაცი. თავიდანვე ამ აჯანყებაში მონაწილეობდნენ სომხეთიდან შემოსული რუსი და ძირითადად სომხური წარმოშობის წითელარმიელები, რის გამო თავდაპირველად საქართველოს მთავრობის მხრიდან კონფლიქტი (ალბათ დიპლომატიური მოსაზრებითაც) შეფასებული იქნა, როგორც სომხეთ-საქართველოს ომი.

როცა საომარ ოპერაციებში ჩაებნენ აზერბაიჯანიდან შემოსული ჯარები, ქართული პრესა ალაპარაკდა აზერბაიჯან-საქართველოს ომის შესახებ. მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ გაიგო საქართველოს მოსახლეობამ და მთელმა მსოფლიომ, რომ საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ ომს აწარმოებდა საბჭოთა რუსეთი, რომლის ჯარებმა მალე საქართველოს სოჭიდან, მამისონისა და დარიალის უღელტეხილებიდანაც შემოუტიეს.

ამ მომენტისათვის საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა თითქოს ცუდი არიყო. დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა 1921 წლის იანვარში იურიდიულად სცნეს საქართველოს რესპუბლიკა, მაგრამ დიდი ჩრდილოელი აგრესორის წინააღმდეგ უთანასწორო ბრძოლაში მას არავითარი დახმარება არ გაუწიეს.

საქართველოს დაზვერვამ ხელში ჩაიგდო რუსი გენერლების მიერ შედგენილი „საქართველოს ოკუპაციის გეგმა", რომლის შესაბამისად გარკვეული ცვლილებები მოხდა საქართველოს რეგულარული ჯარისა და მოხალისეთა გვარდიის ნაწილების დისლოკაციაში. მთავარსარდალმა გენერალმა ი. ოდიშელიძემ ცალკეული ქვედანაყოფების უფროსებად დანიშნა გენერლები – გ. მაზნიაშვილი, ი. გედევანიშვილი, წერეთელი, ახმეტელი, მდივანი, ჯიჯიხია. ფრონტის მარჯვენა ფრთაზე რუსებმა მოულოდნელად შემოუტიეს, ხელთ იგდეს სადახლოს რაიონი და იქიდან თბილისისაკენ აიღეს გეზი. 13 თებერვალს წითელი არმია დაეუფლა წითელ ხიდს. საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელებმა, როგორც ჩანს, შედარებით ნაკლები ყურადღება დაუთმეს მარცხენა ფრთის დაცვას. რუსეთის ჯარებმა დაიკავეს თითქმის მთელი კახეთი და თბილისს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან მოუახლოვდნენ, რამაც მთავრობისა და საზოგადოების დიდი შეშფოთება გამოიწვია. დამფუძნებელი კრების სხდომაზეც გამოითქვა კრიტიკული შეიშვნები მთავარსარდლობის მისამართით.

14 თებერვალს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის (ფრაქციის) მოთხოვნის თანახმად საქართველოს მთავრობამ გადააყენა გენერალი ი. ოდიშელიძე და მთავარსარდლად დანიშნა გენერალი გ. კვინიტაძე. გ. მაზნიაშვილმა დაგმო ეს ცვლილება. „ყველასაგან გამორჩეული" პირველი მსოფლიო ომის ფრონტებზე სახელმოხვეჭილი გენერლის გადაყენაბა მან შეაფასა როგორც გამოუსწორებელი შეცდომა. მაგრამ ახალი მთავარსარდალი ენერგიულად ამოქმედდა. მან მთელი ყურადღება დედაქალაქის დაცვაზე გადაიტანა, ჯარები ძირითადად მის მიდამოებში განალაგა. როცა მე-11 წითელი არმია თბილისს მოუახლოვდა, ფრონტის მარჯვენა ფრთას კოჯრის მიდამოებში გენ. ანდრონიკაშვილი იცავდა. მის განკარგულებაში იყო რეგულარული ჯარის 4 პოლკი, გვარდიის 4 ათასეული, შესაბამისი რაოდენობის არტილერია და იუნკერთა სკოლის კურსანტთაგან სახელდახელოდ ჩამოყალიბებული რაზმი. ცენტრალურ უბანზე განლაგებულ ჯარებს მეთაურობდა გენ. მაზნიაშვილი, რომელსაც სოღანლუღის და მის მიმდებარე პოზიციების

დასაცავად გამოუყვეს 3 პოლკი, სასაზღვრო ათასეული, ტყვიამფრქვეველთა ასეული და ორი საარტილერიო დივიზიონი. მარცხენა ფრთაზე იდგა გენ. ჯიჯიხია ქვეითი ჯარის სამი ათასეულითა და ცხენოსანთა ესკადრონით.

თბილისის დამცველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს გაცილებით მრავალრიცხოვან საბჭოთა რუსეთის ჯარებს. გააფთრებული ბრძოლები განუწყვეტლივ, დღეც და ღამეც მიმდინარეობდა. მე-11 წითელმა არმიამ კარგახანს ვერ შესძლო ფრონტის გარღვევა. 18-22 თებერვალს გამართულ ოპერაციებში გენ. მაზნიაშვილმა შესძლო მოწინააღმდეგის დიდად დაზარალება და უკუგდება. ცხარე ბრძოლები სწარმოებდა კოჯრის მიდამოებშიც. გენ. ანდრონიკაშვილი მოხერხებულად მანევრირებდა, ადვილად უმკლავდებოდა მტერს. გმირულად იბრძოდნენ იუნკრები, გვარდიელები, ჯარისკაცები, რომელნიც ზოგჯერ ხელჩართულზე გადადიოდნენ, უკან ახევინებდნენ მოწინააღმდეგეს. მარცხენა ფრთის სარდალმა გენ. ჯიჯიხიამ კი დაკისრებული ამოცანა ვერ შეასრულა, საშუალება მისცა რუსთა ჯარს ავჭალა-მცხეთის მიმართულებით გაჭრილიყო და თბილისის დამცველი ქართველი ჯარისათვის ზურგიდან შეექმნა საფრთხე.

საერთოდ, ერთკვირიან საბრძოლო ოპერაციებში უპირატესობა წარმატებაში გადაზრდილი საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარეს აღმოჩნდა. მათ გაანადგურეს და დაატყვევეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ათასი ჯარისკაცი. ქართველი მეომრების ფსიქოლოგიური განწყობა, მორალური სულისკვეთება იმდენად ამაღლებული იყო, რომ მათ შეეძლოთ ომის წარმატებით გაგრძელება, მე-11 წითელი არმიის მთლიანად განადგურება. მაგრამ რუსთა მოქმედ ჯარს ახალი დივიზიები ემატებოდა, თბილისის დამცველი ქართული ჯარის რეზერვები კი იწურებოდა. მთავარსარდალი შექმნილი მძიმე სიტუაციიდან უფრო პერსპექტიულ გამოსავალს ეძებდა. ნ. ჟორდანიას მიერ სასწრაფოდ მოწვეულ თავდაცვის საბჭოს სხდომაზე გენ. კვინიტაძემ განაცხადა: თითქმის ალყაშემორტყმული, საქართველოს სხვა ნაწილებისაგან მოწყვეტილ თბილისში ბრძოლის გაგრძელებას ისა სჯობია დედაქალაქიდან ჯარი უვნებლად გავიყვანოთ და მცხეთის უფრო ხელსაყრელი პოზიციები გავამაგროთო. სამხედრო სპეციალისტთა ერთმა ნაწილმა მიუღებლად ჩათვალა მთავარსარდლის წინადადება, თბილისისათვის ბრძოლის გაგრძელება მოითხოვა. ასეთივე განწყობილება შეიმჩნეოდა ოფიცრების, ჯარისკაცებისა და ხალხის

დიდ ნაწილში. მაგრამ მთავრობის თავმჯდომარემ და მინისტრების უმრავლესობამ ბრძოლის გაგრძელება, როგორც ჩანს, ამაო მსხვერპლის გაღებად ჩათვალა. მთავარსარდლის ბრძანებით ჯარმა თბილისი დასტოვა. ამან, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა გენერლების, ოფიცრებისა და რიგითი მებრძოლების განწყობილებაზე. მათში შეირყა გამარჯვების რწმენა.

1921 წლის 25 თებერვალს საბჭოთა რუსეთის ჯარები თბილისში შემოვიდნენ. საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა ვერ მოასწრეს მცხეთის პოზიციებზე გამაგრება და უკან დახევა განაგრძეს. ბრძოლები მოხდა გორის მიდამოებში, სურამის ქედზე, ზემო იმერეთის ვიწრო ხეობებში. ამიტომ ლენინმა საჭიროდ მიიჩნია გარკვეულ დათმობაზე წასვლა არა მარტო საქართველოს მოსახლეობის, არამედ მთავრობისადმიც კი. 1921 წლის 2 მარტს ბოლშევიკების ლიდერი ს. ორჯონიკიძესა და საქართველოს ახლადჩამოყალიბებულ „რევოლუციურ კომიტეტს" სწერდა: „უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამოინახოს მისაღები კომპრომისი ჟროდანიასთან, ან მის მსგავს ქართველ მენშევიკებთან, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებამდე (ომის დაწყებამდე — ა.ბ.) აბსოლუტურად მტრულად როდი იყვნენ განწყობილნი გარკვეული პირობებით საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარების აზრისადმი".[44]

ქართველმა კომუნისტებმა კიდეც სცადეს ნ. ჟორდანიასთან და დამფუძნებელი კრების ზოგიერთ დეპუტატთან საერთო ენის გამონახვა. შ. ელიავამ და მ. ორახელაშვილმა აუწყეს ამ მოლაპარაკების შესახებ ვ. ლენინს. მაგრამ შეთანხმება გაძნელდა. 1921 წლის 12 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაადგინა: თუ სოციალ-დემოკრატიული და სხვა პოლიტიკური პარტიები ოფიციალურად აღიარებენ საბჭოთა ხელისუფლებას, მათი წარმომადგენლები შეეყვანათ რევოლუციური კომიტეტის (სახკომსაბჭოს წინამორბედი ორგანო) შემადგენლობაში. იმავე დღეს ს. ქავთარაძემ ხელმეორედ შესთავაზა ნ. ჟორდანიას საქართველოში დარჩენა და კომუნისტებთან თანამშრომლობა.

მაგრამ ვ.ი. ლენინის 1921 წლის 2 მარტის დირექტივა ვერ განხორციელდა, რევკომისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლების შეთანხმება შეუძლებელი გახდა. თუმცა ერთმნიშვნელოვან საკითხზე მაინც გამოინახა საერთო ენა, რაც განაპირობა თურქეთის მიერ აჭარისა და ბათუმის მიმართ დაკავებულმა

პოზიციამ. ბრესტის ზავით საბჭოთა მთავრობამ ბათუმის ოლქი ფაქტობრივად თურქეთს გადასცა. მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების, გერმანისა და მისი მოკავშირე თურქეთის დამარცხების შემდეგ საბჭოთა მთავრობის პოზიცია რამდენადმე შეიცვალა. 7 მაისის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ბათუმის ოლქზე საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებები აღიარა. თურქეთის მთავრობამ ხელსაყრელ მომენტად ჩათვალა რუსეთ-საქართველოს ომი და თავის ჯარები აჭარაში შემოიყვანა. შეიქმნა აჭარისა და ბათუმის კვლავ თურქეთის შემადგენლობაში მოქცევის საფრთხე. როგორც ჩანს, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა ამჯობინებდა აჭარა გასაბჭოებული საქართველოს შემადგენლობაში დარჩენილიყო და რევკომთან დაიწყო მოლაპარაკება აჭარის ერთობლივად დაცვის თაობაზე. 1921 წლის 18 მარტს ქ. ქუთაისში გაიმართა მოლაპარაკება, მიმავალი და მომავალი მთავრობის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შემდეგ შეთანხმებას: 1) შეწყდეს საომარი მოქმედება; 2) დემოკრატიული მთავრობა ახდენს საბჭოთა ჯარების საწინააღმდეგო ფრონტის ლიკვიდაციას, სტოვებს საქართველოს ტერიტორიის იმ ნაწილსაც, რომელიც აქამდე მას უჭირავს და საშუალებას აძლევს რევკომის განკარგულებაში მყოფ ჯარებს შევიდნენ ბათუმის ოლქში, დაიცვან იგი თურქთა შემოსევისაგან; 4) საჯავახოდან ბათუმამდე კვლა რჩება საქართველოს რესპუბლიკის ადმინისტრაცია და რევკომის ჯარი აქ შედის როგორც დემოკრატიული მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილი ძალა.[45]

მალე ამის შემდეგ უკვე ბათუმში მყოფმა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სპეციალური მატარებელი გაგზავნა სამტრედიაში და დააჩქარა ბათუმში საბჭოთა ჯარის შეყვანა. რუსეთ-საქართველოს გაერთიანებულმა ჯარებმა შესძლეს აჭარიდან თურქი ასკერების განდევნა. მაგრამ ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი — კოლა-არტაანი, შავშეთი, იმერეხვი და სხვ. ისევ თურქთა ხელში რჩებოდა.

ბათუმის საკითხზე ორ მხარეს შორის მიღწეული შეთანხმება უკანასკნელი აღმოჩნდა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობამ საერთოდ სრული უნდობლობა გამოუცხადა საბჭოელ ოკუპანტებს. ნ. ჟორდანიამ და მისმა თანამებრძოლებმა პრინციპული პოზიცია ბოლომდე დაიცვეს, მათ უარი თქვეს კომუნისტთა მარიონეტობაზე; საქართველოს ტერიტორია დატოვეს, საფრანგეთს

შეაფარეს თავი და იქ მიიღეს საქართველოს ემიგრანტული მთავრობის სტატუსი.

ამგვარად, საბჭოთა რუსეთმა დაარღვია 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო შეთანხმება, განახორციელა პირდაპირი აგრესია შეიარაღებული ინტერვენციის ფორმით, მოახდინა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია და ძალდატანებითი გასაბჭოება. ამას მარტო საქართველოს დამოუკიდებლობის გაუქმება როდი მოჰყვა; 1921 წლის 16 მარტის რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების ძალით საქართველოს ჩამოერთვა და თურქეთს გადაეცა შავშეთი, იმერხევი, არდაგანი და სხვა რაიონები – 12115 კვ. კმ ტერიტორია. ცოტა გვიან, გადაწყვეტილებით შერეული კომისიებისა, რომელთა თავმჯდომარე რუსეთის წარმომადგენელი იყო საქართველოს ჩამოაჭრეს და მეზობელ რესპუბლიკებს – სომხეთსა და აზერბაიჯანს გადასცეს ბორჩალოს მაზრის ნაწილ (3812 კვ. კმ) და ზაქათალის ოლქი (3564 კვ. კმ). 1921 საბედისწერო წელს საქართველომ დაკარგა სულ თითქმის 20 ათასი კვ. კმ. ტერიტორია.

ქართველი ხალხი, ბუნებრივია, ვერც თავისუფლების დაკარგვას შეეგუა და ვერც თავის ისტორიული ტერიტორიების ჩამოცილებას. 1921 წელსვე დაიწყო ბრძოლა კომუნისტური რეჟიმის დამხობის, დამოუკიდებელი დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენისათვის.

რუსეთის კომპარტია და მის კვალზე ქართველი კომუნისტები დემაგოგიურად აცხადებდნენ, რომ 1921 წლის 25 თებერვლის აქტის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს. მოხდა მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი წყობილების სოციალისტურ სახელმწიფოებრივი წყობილებით შეცვლა. მაგრამ არა მარტო ქართველი ერი, არამედ მთელი მსოფლიო ხედავდა, რომ საბჭოთა რუსეთის შეიარაღებულმა ინტერვენციამ, მის მომდევნო ხანაში განხორციელებულმა ღონისძიებებმა საქართველოს ფაქტობრივი ანექსია დაამკვიდრა. ქართული საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო წმინდა ფორმალობას წარმოადგენდა, ფიქცია იყო. მისი მარიონეტული კომპარტია და მთავრობა კრემლის კარნახით მოქმედებდა. იგი, რა თქმა უნდა, ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ქართველი ერის მხარეს იყო, გმობდა საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას. ამით გამხნევებული საქართველოს პირველი რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელსაც საფრანგეთმა მიანიჭა ემიგრანტული მთავრობის სტატუსი, თავიდანვე აქტიურ ანტისაბჭოურ საქმიანობას შეუდგა. ცდილობდა ევროპის სახელმწიფოებისაგან მიეღო რეალური სამხედრო-პოლიტიკური დახმარება, მათი შემწეობით აღედგინა საქართველოს სუვერენული სახელმწიფო. აქტიურობდნენ საქართველოში ჯერ კიდევ არსებული პოლიტიკური პარტიებიც. სოციალ-დემოკრატებმა, ეროვნულ დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა შესძლეს ორგანიზაციული გაერთიანება, შექმნეს „დამოუკიდებლობის კომიტეტი“, ჩამოაყალიბეს სამხედრო ცენტრი და დაიწყეს ანტიბოლშევიკური აჯანყების მომზადება.

სვანეთში, კახეთსა და ხევსურეთში ანტისაბჭოური გამოსვლები 1921 წელსვე მოხდა. საბჭოთა მთავრობამ აჯანყების კერათა სალიკვიდაციოდ მსხვილი საჯარისო ერთეულები გაგზავნა. ხელმეორედ მოახდინა დასახელებული რეგიონების ოკუპაცია. დამოუკიდებლობის კომიტეტმა სცადა დაშვებული შეცდომების გამოსწორება, ლოკალური „ბუნტების“ ნაცვლად ერთიანი ანტიბოლშევიკური აჯანყების ორგანიზება. გამოსვლები დაიწყო 1924 წლის 28 აგვისტოს. ბრძოლის ველზე პირველი გამოვიდა ჭიათურა-საჩხერის რაზმი. მეორე დღეს მის კვალს გაჰყვნენ გურიის, სამეგრელოს, არაგვის ხეობის შეიარაღე-

ბული რაზმები. ანტიბოლშევიკური გამოსვლები დაიწყო თბილისსა და ქუთაისშიც, მაგრამ ვერ მოხერხდა აჯანყებულთა ძალების კოორდინაცია. საბჭოთა მთავრობამ კი შესძლო თავის ჯარის ყველაზე საშიშ უბნებში კონცენტრაცია და დამსჯელი ოპერაციები განახორციელა, გაანადგურა აჯანყებულთა რაზმები, დახვრიტა სამი ათასამდე კაცი.

ილუზორული აღმოჩდა დასავლეთისაგან დახმარებაზე და საბჭოური იმპერიის ეროვნულ ძალებზე დამყარებული იმედი. 1924 წლის ტრაგედიის შემდეგ საქართველოს ინტელიგენციის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში აღინიშნა, რომ რეალიზმის დაკარგვა, ავანტიურულ აჯანყებათა მოწყობა საფრთხის ქვეშ აყენებს ქართველი ერის თვით არსებობასაც კი. მეცნიერებმა, პედაგოგებმა მწერლებმა ყველას მოუწოდეს შექმნილ სიტუაციაში ძშვიდობიანი მეთოდები გამოეყენებიათ ქართველი ერის არსებითი ინტერესების დასაცავად. და მართლაც, ეროვნული შინაარსის გამოსვლები კარგა ხანს აღარ მომხდარა. საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ ოცნების სფეროში გადაინაცვლა. ქართველმა ხალხმა აშკარა პროტესტის გამოთქმის გარეშე გადაიტანა 1937 წლის ტრაგედია, კოლექტივიზაცია-ინდუსტრიალიზაციის სინძელეები. აქტიურად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომში, თავისი დიდი წვლილი შეიტანა ფაშიზმის განადგურებაში, დანგრეული მეურნეობის აღდგენა-განვითარებაში.

„შიში შეიქმს სიყვარულსაო“ ღაღადებს ქართული ანდაზა. ტოტალურმა რეჟიმმა ნამდვილი სიყვარული, რა თქმა უნდა, ვერ მოიპოვა. მაგრამ მან შესძლო ინტელიგენციის საგრძნობი ნაწილის მოთვინიერება, დამორჩილება. გაბატონდა „სოციალისტური რეალიზმის“ პრინციპები. თანდათან მომძლავრდა კონიუნქტურული პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, რომელშიც ასახულია კომპარტიის ხელმძღვანელი როლი, ხოტბაშესხმულია ყველა ის გეგმა და წამოწყება, რასაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებდა. ეროვნული და დემოკრატიული მიმართულება თვალს მიეფარა, მაგრამ მთლიანად არ გამქრალა. ბევრი მოღვაწე და პიროვნება ინარჩუნებდა შინაგან თავისუფლებას, რომელიც შეცვლილ სიტუაციაში ამოხეთქავდა და დადებით ნაყოფს მოიტანდა. შინაგანი თავისუფლებით გამსჭვალული ადამიანები ქმნიდნენ ჭეშმარიტად მეცნიერულ ნაშრომებს, პროზის, პოეზიისა და ხელოვნების შედევრებს.

ხრუშჩოვის მმართველობის დროს თითქოს დაიწყო საიმპერიო რეჟიმის ლიბერალიზაცია. მაგრამ საბჭოური სისტემის სტრუქტურაში

არაფერი შეცვლილა. სტალინური კანონების შერბილებამ მეტი თავისუფლება მისცა მმართველ ზედაფენას. ჩვეულებრივი მოვლენა გახდა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დოვლათის მითვისება. პარტიულ და საბჭოთა აპარატში ჩამოყალიბდა კორუმპირებული ბიუროკრატია,გაჩნდა ახალი ტიპის გაბატონებული კლასი,რომელიც ხალხის სახელს ეფარებოდა, მაგრამ არსებითად ხალხს უპირისპირდებოდა.

საბჭოური სისტემის პოლიტიკურმა გადაგვარებამ მოარყია ,,სოციალისტური" სახელმწიფოს ეკონომიკურ-სოციალური საფუძველი. ინტელიგენციამ, ხალხის საგრძნობმა ნაწილმა დაინახა და გაიგო, რომ მიწისა და წარმოების სხვა საშუალებათა გასაზოგადოების კომუნისტური თეორიის რეალიზაციის შედეგი იყო არა მარტო ძველი გაბატონებული კლასების, არამედ მთელი ხალხის ექსპროპრიაცია. საბჭოთა სახელმწიფოს გადაქცევამ მონოპოლისტურ მესაკუთრედ და მეწარმედ მინიმუმამდე შეზღუდა უშუალო მწარმოებლის დამოუკიდებლობა, აღმოფხვრა მასში მეურნეობის გაუმჯობესების სტიმული. გამოიწვია ეკონომიკური კრიზისი, გააძლიერა სოციალ-პოლიტიკური ანტაგონიზმი. კომპარტიის ლიდერებმაც შეიგნეს, რომ საჭიროიყო პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია, ეკონომიკის სტრუქტურაში, მისი მართვის ფორმებში არსებითი კორექტივების შეტანა, კერძო და საზოგადოებრივი ინიციატივისათვის გაცილებით ფართო ასპარეზის დათმობა. შემუშავდა გარდაქმნის სტრატეგია. დაიწყო ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების გატარება.

1988 წელს მ. გორბაჩოვმა საბჭოთა ფედერაციის სრულყოფის საკითხიც დააყენა. სსრ კავშირი ფაქტიურად უნიტარული სახელმწიფო იყო და ფორმალური ფედერაციის რეალურ ფედერაციად გადაქცევის პერსპექტივას საბჭოთა იმპერიის დაჩაგრული ერები სიხარულით შეხვდნენ. ყველა საღად მოაზროვნე მოქალაქეს საჭიროდ მიაჩნდა ეროვნული თავისუფლებისა და თანასწორობის დამკვიდრება, მოკავშირე რესპუბლიკათა უფლება-კომპეტენციის გაფართოება. შინამმართველობის ძირითადი ფუნქციების რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მთავრობისათვის გადაცემა. მაგრამ ბევრ პატრიოტს ესეც არ აკმაყოფილებდა. საქართველოში საკმაოდ ხმამაღლა გაისმა საბჭოთა იმპერიის კონფედერაციულ სახელმწიფოდ გარდაქმნის მოთხოვნა, რასაც მ. გორბაჩოვი და მისი გარემოცვა ხიშტებით შეხვდა. ამის შემდეგ ყველა საბჭოურ რესპუბლიკაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი

მოძრაობა ახალ ფაზაში შეიდა. საქართველო ამ მოძრაობის ავანგარდში აღმოჩნდა.

XX ს-ის 80-იან წლებში ქართველმა საზოგადოებამ მიზნად დაისახა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. აქტიურობდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოება, ჰელსინკის კავშირი, ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული დამოუკიდებლობის, რესპუბლიკური პარტიები და სხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობანი. ისინი მართავდნენ მასობრივ არასანქცირებულ მიტინგებს, დემონსტრაციებს. განსაკუთრებით აქტიურობდა ახალგაზრდობა. მან თამამად ააფრიალა ეროვნული სამფეროვანი დროშა, ომი გამოუცხადა ტოტალურ რეჟიმს, რუსულ დიდმპყრობელურ შოვინიზმს.

1988 წლის 12 ნოემბერს თბილისში დაიწყო მასობრივი მიტინგები, 22 ნოემბერს იგი შიმშილობაში გადაიზარდა. პროტესტის ეს უკიდურესი ფორმა გამოიწვია სსრკ კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებების პროექტმა, რომელიც აუქმებდა რესპუბლიკების კავშირიდან გასვლის ფორმალურ უფლებას და აკანონებდა საბჭოური იმპერიის ყველაზე ცხელ წერტილებში საგანგებო წესების შემოღებას. საქართველოს კომპარტია იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. მისი მითითებით რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სათანადო მოთხოვნილება გაგზავნა ცენტრში. საკავშირო ხელისუფლებამ უკან დაიხია. უარი თქვა კონსტიტუციაში დიდმპყრობელურ-შოვინისტური კორექტივების შეტანაზე.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი და დემოკრატიული მოძრაობის ლიდერებმა იგრძნეს, რომ კომუნისტური ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის უნარი შესწევდათ და 1989 წლის 4 აპრილს მთავრობის სასახლესთან კიდევ უფრო გრანდიოზული მიტინგი დაიწყეს. 6 აპრილს დემონსტრანტებმა მოითხოვეს საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და რესპუბლიკიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გაყვანა. ცენტრმა აღარ დათმო. საქართველოში სპეციალური დამსჯელი რაზმები გამოგზავნა. 9 აპრილს დილის 4 საათზე დაიწყო მიტინგის დარბევა. ორლესული ნიჩბებით, რეზინის ხელკეტებით და მომწამველი ქიმიური გაზებით შეიარაღებულმა ჯარისკაცებმა შემზარავი ხოცვა-ჟლეტა დაატრიალეს. დაიღუპა 19 ადამიანი. ქიმიური გაზებით მოწამლულთა რაოდენობამ ორი ათასს გადააჭარბა.

9 აპრილს თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ მსოფლიო საზოგადოების საყოველთაო პროტესტი გამოიწვია. საბჭოთა მთავრობამ

თავისი მოქმედების გამართლება ვერ შესძლო. საზოგადოებრივი აზრი ქართველი ხალხის სასარგებლოდ განეწყო. საქართველოში ტოტალური რეჟიმი ფაქტობრივად გაუქმდა. მაგრამ აღმოცენდა წინააღმდეგობა ეროვნულ პარტიებს შორის. ეროვნული ფორუმი ფაქტობრივად დაიშალა. რადიკალთა ნაწილმა გადაწყვიტა მონაწილეობა მიეღო ახალი კანონის შესაბამისად განზრახულ დემოკრატიულ არჩევნებში. მეორე ნაწილმა ბოიკოტი გამოუცხადა უმაღლესი საბჭოს არჩევნებს.

ზვიად გამსახურდიას დასმა უფრო სწორად შეაფასა შექმნილი სიტუაცია. იგი ზომიერ პოზიციაზე დადგა და წინასაარჩევნო ბრძოლისათვის შეემზადა. გ. ჭანტურიამ, ი. წერეთელმა და ეროვნული ფორუმის სხვა ლიდერებმა, მართალია, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს ზ. გამსახურდიას სტრატეგია და ტაქტიკა, მაგრამ მათმა სატელევიზიო გამოსვლებმა უკუშედეგი გამოიღო. საქართველოს მოსახლეობამ ზურგი შეაქცია არა მარტო მოდერნიზებულ კომუნისტურ ხელმძღვანელობას, არამედ დაუპირისპირდა ეროვნული ფორუმის პარტიებსაც. ხალხის თვალში ეროვნული გმირის შარავანდედით შეიმოსა ზვიად გამსახურდია. იგი გადაიქცა საქართველოს დამოუკიდებლობის, ქართველი ერის ერთიანობის სიმბოლოდ. ამომრჩეველთა უმრავლესობამ ხმა მისცა ზ. გამსახურდიას მიერ შექმნილ „მრგვალი მაგიდის“ ბლოკს, რომელმაც განახლებულ უმაღლეს საბჭოში დეპუტატთა 62% გაიყვანა. კომპარტია 26,6%-ს დასჯერდა.

ინტელიგენციის დიდმა ნაწილმა ზ. გამსახურდიას ასეთი დიდი უპირატესობით გამარჯვება კომუნისტების უნიათობითა და ეროვნულ ფორუმში დარჩენილი პარტიების ტაქტიკური შეცდომით ახსნა. მისი აზრით, ფორუმის პარტიებს არჩევნებში რომ მონაწილეობა მიეღოთ, უმაღლეს საბჭოში გაიყვანდნენ საკმაო რაოდენობის დეპუტატებს და შესძლებდნენ ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბებას, რომლის იგნორირებას მრგვალი მაგიდის ბლოკი ვერ შესძლებდა.

დიდი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ კონგრესის არჩევნებიც გაიმართა. შეიქმნა პარლამენტგარეშე ოპოზიცია. მან, მართალია, სცადა მმართველ ბლოკთან შეთანხმების მიღწევა, მაგრამ უშედეგოდ. შინაგანი დაპირისპირება თანდათან გაძლიერდა, ერის გამთლიანება ვერ მოხერხდა.

1991 წლის 31 მარტს ჩატარებულ რეფერენდუმზე საქართველოს მოსახლეობის 97 პროცენტმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. ქართველი ერის ამ ნების საფუძველზე 9 აპრილს უზენაესმა საბჭომ გამოაქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია,

რასაც მთელი ქართველი ერი ზეიმით შეხვდა. ორიოდე კვირის შემდეგ უზენაესმა საბჭომ ზ. გამსახურდია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია, მაგრამ იგი არ დაკმაყოფილდა ამით და 26 მაისისათვის პრეზიდენტის პირდაპირი და საყოველთაო არჩევნები დანიშნა.

პრეზიდეტის პოსტზე ზ. გამსახურდიასთან ერთად სხვა პარტიებმაც დაასახელეს თავიანთი კანდიდატები. უზენაეს საბჭოს მიერ პრეზიდენტად უკვე არჩეულ ზ. გამსახურდიას წინასაარჩევნო კამპანიაში გაცილებით ძლიერი პოზიციები ჰქონდა. მას მხარს უჭერდა პრესა, ტელევიზია, რადიო. მაგრამ არჩევნების შედეგებმა არსებითად მაინც რეალურად ასახა საქართველოს მოსახლეობის მაშინდელი განწყობილება. ამჯერადაც ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ზ. გამსახურდიას სახელთან აკავშირებდა დიდი ხნის სანუკვარ დამოუკიდებლობის მოპოვებას, იმედოვნებდა, რომ მისი მეთაურობით საქართველო შესძლებდა აღორძინება-განვითარებას, მსოფლიოს მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში ჩადგომას. ამიტომ იყო, რომ ამომრჩეველთა 93 პროცენტმა ზ. გამსახურდიას მისცა ხმა. მას მიანდო ეროვნული სახელმწიფოს მეთაურობა.

ასე წარმატებით დაიწყო ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, საქართველოს მესამე რესპუბლიკის ჩამოყალიბების პროცესი. პრეზიდენტს, მთავრობას, მმართველ ბლოკს საერთოდ და ოპოზიციასაც ეკალებოდა გამოეყენებიათ პირველი რესპუბლიკის წარმატებისა და მარცხის გაკვეთილები, უარი ეთქვათ პირად და ვიწრო პარტიულ ინტერესებზე, მიეღწიათ ქართველი ერის გამთლიანებისათვის, ამით გაემართლებინათ გამოთქმული თვალსაზრისი, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეა არა მეორე მარიონეტული საბჭოური რესპუბლიკა, არამედ – მესამე რესპუბლიკა, რომელიც ყალიბდებოდა თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს სახით.

მაგრამ პოლიტიკოსებმა ვერ გაამართლეს ხალხის ნდობა და იმედი. დაშვებულ იქნა სერიოზული შეცდომები. მოწოდების სიმაღლეზე ვერც პირველი პრეზიდენტი აღმოჩნდა. მან ვერ მონახა საერთო ენა პარლამენტგარეშე ოპოზიციასთან. კიდევ მეტი, ვერ შესძლო „მრგვალი მაგიდის“ ერთიანობის შენარჩუნება. მთავრობის თავმჯდომარის პოსტი დატოვა თენგიზ სიგუამ, განზე გადგა გვარდიის სარდალი თენგიზ კიტოვანიც. შინაპოლიტიკური ანტაგონიზმი თანდათან გაძლიერდა. სამოქალაქო ომის საშიშროების პირობებში გონიერმა მოღვაწეებმა მოითხოვეს ეროვნული თანხმობის მთავრობის შექმნა. წამოყენებულ

იქნა, აგრეთვე, 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის და დამფუძნებელი კრების მოწვევის წინადადება. მაგრამ თითქმის ყველაფერი რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

შინა ომის თავიდან აცილება, ალბათ, შეიძლებოდა. გამოითქმოდა სხვადასხვა თვალსაზრისი, გაფრთხილება, რომ არ უნდა შექმნილიყო პოლიტიკურ ბრძოლაში იარაღის გამოყენების პრეცენდენტი, რადგან იგი გამოიწვევდა ერის გახლეჩას, სამოქალაქო ომის ესკალაციას. მაგრამ დაპირისპირებულმა მხარეებმა საბედისწერო, დანაშაულის ტოლფასი შეცდომა მაინც დაუშვეს. 1991 წლის 22 დეკემბერს შინა ომი დაიწყო. მთავრობის სასახლეში გამაგრებულ პრეზიდენტს იცავდა ზუგდიდის ბატალიონი და მოხალისეთა რაზმი. მას მხარს უჭერდა „მრგვალი მაგიდის“ პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა. მოპირდაპირე მხარეს იდგა ეროვნული გვარდია კიტოვანის მეთაურობით და მერაბ კოსტავას საზოგადოება. მოსახლეობის დიდი ნაწილი თავისებურ ნეიტრალიტეტის პოზიციაზე რჩებოდა.

ორივე მხარე იყენებდა მძიმე ტექნიკას – ტანკებს, ჯავშნოსან მანქანებს, არტილერიას. დაზიანდა მთავრობის სასახლე, დაინგრა რუსთაველის პროსპექტზე განლაგებული ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლები, საცხოვრებელი სახლები. 1992 წლის დამდგეს, მას შემდეგ, რაც ბრძოლაში ჩაება ჯ. იოსელიანი და მხედრიონი, გამარჯვების სასწორი შეიარაღებული ოპოზიციის მხარეს გადაიხარა. 6 იანვარს, გამთენიისას პრეზიდენტმა გამსახურდიამ დატოვა მთავრობის სასახლე და გეზი სომხეთის საზღვრისაკენ აიღო. ცოტა მოგვიანებით ჩეჩნეთს შეაფარა თავი. შეიარაღებულმა ოპოზიციამ კი შექმნა სამხედრო საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სამეული – თ. კიტოვანი, თ. სიგუა, ჯ. იოსელიანი.

„ტრიუმვირატის“ მომხრეებმა ერთხანს სცადეს 1991-1992 წწ. მიჯნაზე თბილისში დატრიალებული ტრაგედია გაესაღებინათ „სახალხო დემოკრატიულ რევლუციად“, მაგრამ ეს ვერსია თვით თ. კიტოვანმაც კი უარყო, აღიარა, რომ მისმა გვარდიამ განახორციელა სამხედრო გადატრიალება. ამ ფაქტის პოლიტიკურ შეფასებაში ერთსულოვნება, ალბათ, გამორიცხულია. სამართლებრივი თვალსაზრისით კი ეს იყო ანტიკონსტიტუციური აქტი. იარაღით დამხობილი კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებს გარკვეული საფუძველი და უფლება ჰქონდათ (რაკი პრეცენდენტი უკვე შექმნილი იყო) იარაღის გამოყენებით ებრძოლათ თავისი ხელისუფლების რესტავრაციისათვის და

ფაქტიურად ასეც მოხდა.

სამხედრო საბჭომ ვერ მოიპოვა ხალხის მხარდაჭერა. მას არც ავტორიტეტი ყოფნიდა და არც საკმარისი ძალა გააჩნდა ქვეყანაში წესრიგის დასამყარებლად. მოკლე დროში თითქმის მთლიანად მოიშალა საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრება. გაბატონდა ანარქია, გაძლიერდა ბანდიტიზმი, ყაჩაღობა, მაფიოზური კლანების თარეში. მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენური სიტუაცია. დაძაბული რჩებოდა სიტუაცია ცხინვალის რაიონში, რთულდებოდა ვითარება აფხაზეთში. „სამხედრო ხუნტის" ერთ-ერთი ყველაზე სუსტი მხარე, აქილევსის ქუსლი იყო ის, რომ არ ჰქონდა საერთაშორისო აღიარება; ხელისუფლების სათავეში იარაღით მოსულ სამხედრო-პოლიტიკურ დაჯგუფებას ეჭვის თვალით უყურებდნენ დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოები, გაერო და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები.

თითქმის ყველასათვის ცხადი გახდა, რომ სამხედრო საბჭოს არ შეეძლო სიტუაციის ფლობა, ქვეყნის მართვა. უზურპატორებიც მიხვდნენ, რომ არალეგიტიმური, მხოლოდ ძალაზე დამყარებული ხელისუფლება დიდხანს ვერ იბოგინებდა. 1992 წლის 21 თებერვალს სამხედრო საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, ხალხს აუწყა, რომ აღადგენდა 1921 წლის კონსტიტუციას და არაუგვიანეს 1992 წლის შემოდგომისა ჩაატარებდა ახალ დემოკრატიულ არჩევნებს.

მაგრამ მანამდე რა ელოდა ქვეყანასა და ხალხს? ვის შეძლო სახელმწიფოებრივი პრესტიჟის გადარჩენა. კატასტროფისაკენ ქვეყნის შემდგომი დაქანების შეჩერება, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის მიღწევა. ხალხის საგრძნობმა ნაწილმა, ინტელიგენციამ მიიჩნია, რომ ამ კრიტიკულ სიტუაციაში საქართველოს სჭირდებოდა ისეთი გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწე, აღიარებული ავტორიტეტი, როგორიც იყო ედუარდ შევარდნაძე. სამხედრო საბჭოს ორგანიზატორთა არჩევანიც მასზე შეჩერდა.

1992 წლის 7 მარტს ე. შევარდნაძე თბილისში ჩამოვიდა. სამხედრო საბჭო სახელმწიფო საბჭოთ გარდაისახა. შექმნილ სიტუაციაში ტრიუმვირატი ერთხანს ახერხებდა ე. შევარდნაძის მორჩილებაში ყოლას, მისი სახელისა და გავლენის თავისი მიზნებისათვის გამოყენებას, მაგრამ თ. კიტოვანი და ჯ. იოსელიანი თავის ვარაუდებში შეცდნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ყველასათვის ცხადი გახდა, რომ მათ ვერ მოახერხეს შევარდნაძის გადაქცევა „სააღლუმო გენერლად", თავის ჩანაფიქრთა შემსრულებლად.

1992 წლის 11 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. კარგა ხნით დაკანონდა პარლამენტის თავმჯდომარისა და სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილებათა შერწყმა. ჩამოყალიბდა მრავალპარტიული პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა. საქართველოს მესამე რესპუბლიკის ხელისუფლება კვლავ ლეგიტიმური გახდა, რამაც გააადვილა საქართველოს საერთაშორისო აღიარება, მისი „დე-იურე" ცნობა. ზ. გამსახურდიას მიმდევრებმა 11 ოქტომბრის არჩევნები სიყალბედ, ხალხზე უხეში ზეწოლის შედეგად და ამდენად, უკანონოდ გამოაცხადეს, ბრძოლის ახალი გეგმა შეიმუშავეს, რომლის ამოქმედებას ხელი შეუწყო აფხაზეთში შექმნილმა რთულმა სიტუაციამ. ზ. გამსახურდიამ სცადა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი თავისი ხელისუფლების რესტავრაციისათვის გამოეყენებინა.

აფხაზი სეპარატისტები საკუთარი ძალებით, თუნდაც ყველა აფხაზი მათ ამოდგომოდა გვერდით, თავის მიზანს ვერ მიაღწევდნენ. ჩვენდა სამწუხაროდ, სეპარატისტებმა გარედან მიიღეს დახმარება. ვ. არძინბას მიერ მოწვეულ დაქირავებულ მკვლელთა რაზმელში რამდენიმე ათასი რუსი, ჩეჩენი, ადიღელი და სხვ. ეროვნების „ინტერნაციონალისტი" მეომარი (ბოევიკი) იყო გაერთიანებული. სწორედ მათი დახმარებით შესძლეს სეპარატისტებმა გამარჯვება, მთელი აფხაზეთის დაუფლება.

ამ მოვლენებმა ზვიად გამსახურდიას წისქვილზე დაასხა წყალი. იგი ჩეჩნეთიდან სამეგრელოში დაბრუნდა, ახალი ძალით განაგრძო ბრძოლა თავისი ხელისუფლების აღდგენისათვის. 1993 წლის 2 ოქტომბერს ზ. გამსახურდიას შეიარაღებულმა ძალებმა აიღეს ფოთი. 7 ოქტომბერს სუფსა, რამდენიმე დღის შემდეგ ლანჩხუთი და ოზურგეთი. გამარჯვებაში დარწმუნებული „ზუგდიდის მთავრობა" ატქიურობდა. იმართებოდა ადრინდელი შემადგენლობის უზენაესი საბჭოს სხდომებიც. პრემიერმა ბ. გუგუშვილმა დაიწყო ბრძანებების გაცემა მთელი საქართველოს მასშტაბით. ეროვნულ ბანკს აეკრძალა საკრედიტო ოპერაციების წარმოება მასთან შეთანხმების გარეშე.

17 ოქტომბერს ზვიადისტებმა შეტევის არეალი კიდევ უფრო გააფართოვეს, დაიკავეს სამტრედია და ხონი. დაიწყეს მზადება ქუთაისზე შეტევისათვის. იმავე ხანებში ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა მოლაპარაკება აწარმოვა ელცინთან, შესძლო რუსეთისაგან სამხედრო დახმარების მიღება. 20 ოქტომბერს ქუთაისში გამოჩნდნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ტანკები, სხვა გვარეობათა საჯარისო დანაყოფები. საქართველოს და მის

მოკავშირეთა შეიარაღებულმა ძალებმა განავითარეს საერთო შეტევა. 22 ოქტომბერს აიღეს სამტრედია. ექს-პრეზიდენტის ჯარებში აიწყო პანიკა, დემორალიზაცია. 25 ოქტომბერს გამოქვეყნდა ე. შევარდნაძის მოწოდება შინა ომის შეწყვეტის შესახებ. სამოქალაქო ომის არსებითად დასრულდა. ზვიად გამსახურდიას კვალი 27 ოქტომბერს დაიკარგა. მალე მან ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე.

სწორედ სამოქალაქო ომის ახალი ესკალაციის დროს მიიღო საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა გადაწყვეტილება დსთ-ში შესვლის შესახებ. ქართველმა საზოგადოებამ ეს ფაქტი არაერთგვაროვნად აღიქვა. შედარებით მცირე ნაწილმა მიიჩნია, რომ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის რესტავრაცია კონფედერაციის ფორმით და მისი სუბიექტები (მათ შორის საქართველოც) ჰკარგავდნენ სუვერენული უფლებების გარკვეულ ნაწილს. უფრო საღად მოაზროვნე პოლიტიკოსებმა და საზოგადო მოღვაწეებმა, დსთ-ს წესდების ანალიზის საფუძველზე დაასკვნეს, რომ ამ კავშირში გაწევრიანება, რაკი გათვალისწინებული არაა თანამეგობრობის ერთიანი საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შექმნა, არ ნიშნავს დამოუკიდებლობისა და საერთაშორისო სამართალსუბიექტობის დაკარგვას. საქართველოს დსთ-ში შესვლით გაძლიერდა რუსეთის, მთლიანად თანამეგობრობის როლი აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საკითხთა მოგვარებაში, რადგან წესდების თანახმად, წევრმა სახელმწიფომ თავის ტერიტორიული მთლიანობის გარანტია უნდა მოსთხოვოს პირველ რიგში თანამეგობრობას და თუ ეს საკმარისი არ აღმოჩნდება, ამის შემდეგ მიმართოს გაეროს და ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები გადაწყვიტოს საერთაშორისო სამართლის პრინციპების საფუძველზე.

გამოითქვა ის აზრიც, რომ საქართველოს გარედან არ ემუქრებოდა იმდენი საფრთხე, რაც შინაპოლიტიკური წინააღმდეგობებითა და ბანდიტურ-მაფიოზური კლანების თარეშით; ხელისუფლებაში ბლომად იყვნენ მოკალათებული ადამიანები (კიდევ მეტი მიილტვოდა მისკენ), რომელნიც ანგარებითი მიზნებით ანადგურებდნენ საქართველოს სიმდიდრესა და ყველაფერ იმას, რასაც სახელმწიფოს ელფერი უნდა მიეღო. 1993-1994 წლებში თვით მთავრობაც აღიარებდა, რომ ქვეყანაში კვლავ არსებობდა ანარქიული სიტუაცია, გრძელდებოდა ბანდიტების, მაფიოზებისა და სხვა დამნაშავე ელემენტების თარეში, რაც აძნელებდა სახელმწიფოებრივი სტრუქტურების ნორმალურ ფუნქციონირებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

1994 წლის დამდეგს პარლამენტმა დაამტკიცა კანონი „საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ". მის ძირითად მიზნად გამოცხადდა ქვეყნის შინაგანი მშვიდობის, საქართველოს სუვერენიტეტისა და ადამიანთა უსაფრთხოების დაცვა, მართლწესრიგის, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის დამყარება. მალე ძალაში შევიდა კანონი სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილების გაფართოების თაობაზე.

იმავე ხანებში ე. შევარდნაძის ინიციატივით ჩამოყალიბდა ახალი პოლიტიკური პარტია – „მოქალაქეთა კავშირი". ოპოზიციამ თავდაპირველად ის აღნიშნა, რომ ამ პარტიაში შევიდნენ საბჭოური პერიოდის პარტიულ-ნომენკლატურულ ელიტის წარმომადგენლები, რომელნიც ოცნებობდნენ დაკარგული ხელისუფლების კვლავ მოპოვებასა და მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის აღდგენაზე. მაგრამ მალე ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ე. შევარდნაძემ, მოქალაქეთა კავშირმა ხელი აიღო საბჭოური სტრუქტურების, სახელმწიფო სექტორის დაცვაზე, მხარი დაუჭირა სახელმწიფო მიწის ფონდისა და საწარმოების პრივატიზაციას. მიზნად დაისახა კერძო საკუთრების ფართო მასშტაბით დამკვიდრება, ინდივიდუალური წარმოება გამოაცხადა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლად, ქვეყნის აღორძინების გარანტად. პრესაში აღინიშნა, რომ სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობისა და „მოქალაქეთა კავშირის" ასეთ პოზიციაზე დადგომა ძირითადად განაპირობა დასავლეთის სახელმწიფოების, საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ზეწოლამ. და მართლაც, დასავლური ეკონომიკური სისტემის მესვეურები დაუფარავად ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ თუ საქართველოში არ მოხდებოდა სახელმწიფო სექტორის ლიკვიდაცია, კერძო საკუთრებისა და წარმოების დაჩქარებული გაფართოება, რესპუბლიკა ვერ მიიღებდა ფინანსურ დახმარებას, კრედიტებს, ვერ მოიზიდავდა უცხოურ ინვესტიციებს.

ცნობილია, რომ ბოლშევიკებმა არ დააცალეს ფულად-სასაქონლო მეურნეობასა და კაპიტალიზმს რუსეთის მრავალეროვნულ სახელმწიფოშიც შეესრულებია პროგრესული მისია. კომუნიზმის მშენებლობის უიმედო ექსპერიმენტის დაწყებით ეს ვეებერთელა სივრცე გამოთიშეს კაცობრიობის განვითარების მაგისტრალური ხაზიდან, ბუნებრივი პროცესისაგან. დღეს დამოუკიდებელი საქართველო ცდილობს დაუბრუნდეს ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური

განვითარების ბუნებრივ, მაგისტრალურ გზას; ააღორძინოს სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა, განავითაროს საბაზრო ეკონომიკა, კომერციული საქმიანობის სფეროში დააბრუნოს ისეთი ცნებები, როგორიცაა თვითღირებულება, ღირებულება, ფასი, მოგება, ეკვივალენტური ვაჭრობა.

მაგრამ, კონკრეტულად როგორ უნდა წარიმართოს ეს პროცესი, როგორ უნდა შეიცვალოს საკუთრებისა და წარმოების ფორმათა თანაფარდობა, ამის შესახებ საზოგადოებრივი აზრი არაერთგვაროვანია. ჩამოყალიბდა ორი მიმართულება. პირველის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ საბაზრო ეკონომიკის განვითარების აუცილებელი წინაპირობაა სახელმწიფო სექტორის მინიმუმამდე შემცირება, მსხვილ სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საწარმოთა ლიკვიდაცია, მათ ნაცვლად წვრილ გლეხთა, ფერმერთა და ბიზნესმენთა ინდივიდუალურ საწარმოთა შექმნა. მეორეთა აზრით, რაკი საქართველოს მესამე რესპუბლიკა პირველი რესპუბლიკის მემკვიდრეა, რაც 1918-1920 წლებში დადებითი გაკეთდა და დაიგეგმა უნდა ავაღორძინოთ. მსხვილი საწარმოების ნგრევა ქვეყანასა და ხალხს ზარალის მეტს არაფერს მოუტანს. ამიტომ მიზანშეწონილია მათი დიდი ნაწილის შენარჩუნება-მოდერნიზაცია; სახელმწიფო საწარმოების აქციონირება, ხოლო კოლმეურნეობათა ბაზაზე თავისუფალი კოოპერატივების ჩამოყალიბება.

პირველი თვალსაზრისი სჭარბობდა მმართველ წრეში და საკუთრება-მეურნეობის ფორმათა რეფორმა მის მიერ შემუშავებული გეგმით დაიწყო. ხელისუფლებამ თავდაპირველად თითქოს სწორი გეზი აიღო. აგრარული რეფორმის პირველ ეტაპზე მოხდა საკარმიდამო ნაკვეთების, გლეხურ მეურნეობათა გაფართოება. მაგრამ ამისათვის საკანონმდებლო ბაზა არ ყოფილა მომზადებული. ასევე ნაჩქარევად, ანარქიულ ვითარებაში განხორციელდა სამრეწველო საწარმოთა პრივატიზაცია. ასეთი ეკონომიკური პოლიტიკა, როგორც ჩანს, პასუხობდა უცხოური კაპიტალის, საერთაშორისო კომერციულ გაერთიანებათა ინტერესებს. ამიტომ იყო, რომ მათ ფართოდ გახსნეს სალარო. მიღებული დახმარებითა და კრედიტებით საქართველომ მართლაც შესძლო სულის მოთქმა. საზღვარგარეთიდან საქონლის იმპორტმა დიდ მასშტაბებს მიაღწია, ექსპორტი კი, ადგილობრივი წარმოების დაცემის გამო, მინიმუმამდე შემცირდა. საგარეო ვაჭრობის ბალანსი მკვეთრად პასიური გახდა, რაც, ბუნებრივია, უარყოფითად აისახა სახელმწიფო ბიუჯეტზე.

საბჭოური ცენტრალიზებული ეკონომიკური სისტემის დემონტაჟმა, კერძო ბიზნესზე ორიენტაციამ არსებითად შეცვალა სახელმწიფო

ბიუჯეტის მექანიზმი, მისი სტრუქტურა. კერძო მესაკუთრეებსა და ბიზნესმენებზე შეწერილი გადასახადი გადაიქცა ბიუჯეტის შევსების ძირთად წყაროდ. ეს უკანასკნელნი კი უკმაყოფილებას გამოთქვამენ, არც თუ უსაფუძვლოდ აცხადებენ, რომ მოგებაზე, დამატებით ღირებულებაზე დადებული გადასახადების ზრდა ზღუდავს ბიზნესმენთა ინიციატივას, აქტიურობას, წარმოების გაფართოების სტიმულს, აფერხებს საწარმოო ძალთა განვითარებას, ხელს უწყობს ქვეყნის გადაქცევას საზღვარგარეთული კაპიტალის სანედლეულო ბაზად და გამსაღებელ ბაზრად, რაც ზარალს აყენებს არა მარტო ბიზნესმენებს, არამედ საქართველოს მოსახლეობის საძმავლო ინტერესებს.

საქართველოს ხელისუფლება, ბუნებრივია, ცდილობდა საგადასახადო და საბაჟო სისტემის სრულყოფას, წარმოებისა და ვაჭრობის იმგვარად რეგულირებას, რომ არ დარღვეულიყო უცხოური კაპიტალისა და ადგილობრივ ბიზნესმენთა ინტერესების ბალანსი. თუ 1993 წლის მახასიათებელი იყო ქაოსი შინა და საგარეო ვაჭრობაში, სასაქონლო მარაგების განიავება, ეროვნული სიმდიდრის საზღვარგარეთ უკონტროლო გადინება, მომდევნო ორ წელიწადს მდგომარეობა რამდენადმე გაუმჯობესდა; დამტკიცდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის გეგმა, გატარდა ანტიკრიზისული პროგრამის რეალიზაციის ღონისძიებანი. გარკვეული შეთანხმებები დაიდო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის ხელმძღვანელებთან. გაფართოვდა უცხოეთიდან მომდინარე დახმარება. გართულებათა გარეშე განხორციელდა ფასების ლიბერალიზაცია. ჩამოყალიბდა კუპონის სტაბილური კურსი, რომელმაც შესაძლებელი გახადა ეროვნული ვალუტის – ლარის შემოღება. იგი გახდა ერთადერთი საგადასახადო საშუალება, საფუძველი წარმოების ზრდის სტიმულირებისა და ბიუჯეტის დაბალანსებისა ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტის გამოყენების გარეშე. პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილიზაციის პროცესის პარალელურად გაიზარდა უცხოელ ინვერსტორთა საქართველოთი დაინტერესება. 1995 წლის ბოლოს ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებობდა 100-ზე მეტი ერთობლივი ქართულ-საზღვარგარეთული საწარმო. ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საქართველო მიაკუთვნეს განვითარებადი ქვეყნების რიცხვს. მაგრამ აფრიკული სახელმწიფოებისაგან საქართველო განსხვავდება მოსახლეობის გაცილებით მაღალი კულტურით, სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის

არსებითად მაღალი დონით, რის გამოც საზღვრებს მიღმა მას უფრო ხშირად იხსენებენ არა განვითარებად, არამედ გარდაქმნად ქვეყნად.

1995 წელს დაჩქარდა ახალი კონსტიტუციის შემუშავების ტემპი. 2 ივლისს საქმიანობა დაამთავრა საკონსტიტუციო კომისიამ. კონსტიტუციის პროექტის განხილვას, საბოლოო რედაქციის დადგენას პარლამენტის მრავალი მღელვარე სხდომა მიეძღვნა. 1995 წლის 24 აგვისტოს პარლამენტმა დაამტკიცა კონსტიტუციის პროექტი, იგი საქართველოს მესამე რესპუბლიკის ძირითად კანონად იქცა, სახელმწიფოებრივი სტრუქტურებისა და სამოქალაქო საზოგადოების სამართლებრივი საფუძველი გახდა.

პოლიტიკური რეჟიმის ის ფორმა, რომელიც კონსტიტუციით აირჩია საქართველომ, უნიკალურია პოსტსაბჭოურ სივრცეში. ახალმა კონსტიტუციამ დააკანონა საპრეზიდენტო მმართველობა. პრეზიდენტი, მართალია, სათავეში უდგას აღმასრულებელ ხელისუფლებას, მაგრამ მისი ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა უზრუნველყოს ხელისუფლების სამი შტოს დამოუკიდებელი, ჰარმონიული მუშაობა და კონსტრუქციული თანამშრომლობა.

ახალი კონსტიტუციის და მისი შესაბამისი საარჩევნო დებულების შესაბამისად 1995 წლის 5 ნოემბერს ჩატარდა პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევნები. ე. შევარდნაძემ დაამარცხა ყველა კონკურენტი, მიიღო ხმების 75% და დაიკავა პრეზიდენტის პოსტი. საპარლამენტო არჩევნებში მოქალაქეთა კავშირმა გაიმარჯვა (მიიღო ხმების 24%). პარლამენტში თავისი წარმომადგენლები გაიყვანეს, აგრეთვე, ეროვნულ-დემოკრატებმა (8,4%), სრულიად საქართველოს აღორძინების კავშირმა (7,3%), სხვა პარტიებმა ვერ გადალახეს 5 პროცენტიანი ბარიერი, საკანონმდებლო ორგანოს გარეთ დარჩნენ. 26 ნოემბერს მოხდა პრეზიდენტის ინაუგურაცია. ე. შევარდნაძემ ფიცი დასდო ღვთისა და ხალხის წინაშე.

1995 წლის კონსტიტუციაში არ აისახა საქართველოს სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული მოწყობის პრობლემა. საკანონმდებლო ბაზის გარეშე განხორციელდა ქვეყნის დაყოფა მხარეებად. კვლავ ფუნქციონირებდნენ პრეზიდენტის მიერ დანიშნული რწმუნებულები (გუბერნატორები) და რაიონების გამგებლები. აღინიშნა, რომ გარდამავალ პერიოდისათვის შემუშავებული დროებითი დებულება დიდხანს ვერ იმოქმედებდა. ცენტრალური ხელისუფლების დავალებით შემუშავდა და პრესაში გამოქვეყნდა „კონცეფცია საქართველოს

სახელმწიფო-ტერიტორიალური მოწყობის პრინციპების შესახებ (რეგიონალიზმი)". ამ დოკუმენტის ავტორებმა დაგმეს სახელმწიფოს უნიტარული და ფედერაციული მოდელები, მიზნად დაისახეს ე. შევარდნაძის მიერ საფუძველდადებულ ადმინისტრაციულ პოლიტიკას და რეგიონალურ დაყოფას შეუქმნან საკანონმდებლო ბაზა. ავტორები თავს იქებენ იმით რომ კონცეფციაში ჩამოყალიბებული მექანიზმი ყველაზე ოპტიმალური და დინამიურია. გვარწმუნებენ რომ რეგიონალიზმი საკმაოდ მოქნილი სისტემაა. მის შესაბამისად შეიძლება გამოიყოს ხუთი ვარიანტი: ზოგიერთ მხარეს შეიძლება არც მიეცეს თვითმმართველი ერთეულის სტატუსი; სხვაგან პრეზიდენტი დანიშნავს გუბერნატორს, რომელიც სათავეში ჩაუდგება მხარის ადმინისტრაციას; ზოგიერთ მხარეში გუბერნატორი შეასრულებს არბიტრის ფუნქციას მხარის თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოთა ურთიერთობაში. მასვე მიეცემა ორივე ამ ორგანოს დათხოვნა-გადაყენების უფლებაც. კონცეფციის ავტორთა აზრით, სხვა მხარეებს მეტი პრივილეგიები და მაღალი სტატუსი მიენიჭება. იქ მოსახლეობა თვით აირჩევს როგორც წარმომადგენლობით, ისე აღმასრულებელ ორგანოს და მის მეთაურ გუბერნატორსაც და ბოლოს შესაძლებელია სახელმწიფომ რომელიმე მხარეს მიანიჭოს კონსტიტუციის მიღების უფლებაც კი.

კონცეფციის ავტორთაგან შემოთავაზებული ეს მრავალსტატუსიანი რეგიონალური სისტემა, ასიმეტრიული ფედერაცია არც სამართლიანია და არც დემოკრატიული. იგი იმ პრობლემას ვერ გადაჭრის, რისთვისაც შეთხზეს; ხანმოთეული სეპარატისტები სეპარატისტებად დარჩებიან. არც სეპარატიზმის ახალი კერების გაჩენაა გამორიცხული. სისტემის მთავარი ნაკლი ისაა, რომ დააკანონებს ადმინისტრაციულ აპარატის მოხელეთა საგრძნობლად გაზრდას, რაც ძმიმე ტვირთად დააწყვება სახელმწიფო ბიუჯეტს, ქვეყნის მოსახლეობას.

რეგიონალური დაყოფის მომხრენი თითქოს ანგარიშს უწევენ ისტორიულ ტრადიციას, ეთნოგრაფიული კუთხეების არსებობის ფაქტს, მაგრამ იმას კი ივიწყებენ, რომ ეს კუთხურობა ასაზრდოებდა ფეოდალურ დაქუცმაცებულობასა და პოლიტიკურ სეპარატიზმს. საქართველოს ერთიანი ფეოდალურ-მონარქიული სახელმწიფო დაიშალა. სწორად ამ ეთნოგრაფიული რეგიონების საფუძველზე ჩამოყალიბდა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოები, სამცხე-საათაბაგოს, გურიის, სამეგრელოს, სვანეთისა და აფხაზეთის სამთავროები.

გაძლიერდა აგრეთვე საერისთაო-სათავადოთა ბრძოლა შეუვალობისათვის. ეს იცოდნენ საქართველოს პირველი რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეებმა და მიუხედავად იმისა, რომ სეპარატისტულმა ტენდენციებმა იმ დროსაც იჩინა თავი აფხაზეთსა და ლიახვის ხეობაში, აზრად არავის მოსვლია მრავალსტატუსიანი რეგიონალური მართვა-გამგეობის სისტემის შექმნა. გაუქმდა რუსეთის მთავრობისაგან მემკვირდრეობად დატოვებული საქართველოს დაყოფა გუბერნიებად, მაზრების საფუძველზე ჩამოაყალიბა ადგილობრივი საერობო თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები. შეიქმნა აგრეთვე საქალაქო თვითმმართველობები (მუნიციპალიტეტები). 1921 წლის კონსტიტუციის თანახმად ყალიბდებოდა მხოლოდ აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს და ზაქათალის ავტონომიური ერთეულები.

მიზანშეწონილია ავაღორძინოთ, გავაგრძელოთ პირველი რესპუბლიკის ტრადიცია იმ კორექტივით, რომ თვითმმართველობის უფლება, გაუქმებული მაზრების ნაცვლად, მივანიჭოთ ამჟამად არსებული რაიონებს და რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქებს. თვითმმართვის გარკვეული უფლება მიეცეს დაბებსა და სასოფლო თემებსაც. სარაიონო და საქალაქო თვითმმართველობა უნდა გავიაზროთ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემის განუყოფელი ნაწილად, რომელიც იმოქმედებს საქართველოს კონსტიტუციისა და თვითმმართველობის დებულების საფუძველზე. შეასრულებს იმ ფუნქციებს, რასაც ცენტრალური ხელისუფლება კანონის შესაბამისად დაუთმობს და დააკისრებს მას.

ქართველი ხალხი არასდროს ყოფილა სხვატომელთა მჩაგვრელი და შემავიწროვებელი და არც დღეს უღალატებს ტოლერანტობის ტრადიციას, დაიცავს მის ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერთა წარმომადგენლების მოქალაქეობრივ უფლებებს. საქართველოს პარლამენტი, მართალია, არ დაუშვებს ე. წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიული ავტონომიის აღდგენას, მაგრამ გააგრძელებს 1918-1921 წლების ტრადიციას და უარს არ იტყვის მისცეს ოსებს ექსტერიტორიალური, კულტურულ-ნაციონალური ავტონომია. მათ უფლება ექნებათ შექმნან ეროვნული კავშირი, დაარსონ ეროვნული სკოლები, სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები. თუ ოსებს სურთ შეინარჩუნონ თავის ეროვნება — დაიცვან ენა, კულტურა, ტრადიციები, ამას მოახერხებენ არა თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში, სადაც საქართველოს ოსთა მხოლოდ 35-40% ცხოვრობს, არამედ

საქართველოს მთელი ოსური მოსახლეობის გამაერთიანებულ ექსტერიტორიალურ, კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიაში. კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიას მიიღებენ, თუ მოისურვებენ ეროვნულ კავშირებს შექმნიან აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები რუსები, სომხები, აზერბაიჯანელები და სხვა ერთა წარმომადგენლები. უფლება განუყოფელია მოვალეობისაგან; ამ ეროვნულმა კავშირებმა ძირითადად თვითონვე უნდა დააფინანსონ ეროვნული სკოლები და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი.

სახელმწიფოებრივი წყობილებისა და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურების სრულყოფა, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი პრობლემაა, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას უფრო მეტად ყოველდღიური საზრუნავი აწუხებს. სილატაკის ზღვარზე მისული ხალხი უპირველეს ყოვლისა ეკონომიკურ-სოციალურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობს.

1996 წელი საზოგადოებამ აღიქვა როგორც საყოველთაო ქაოსისა და განუკითხაობის დამთავრების, სახელმწიფოს სტაბილურობის ფაზაში შესვლის, კონსტიტუციის რეალურად ამოქმედების წელი. გამოჩნდა ეკონომიკური აღორძინების ნიშნები. რამდენადმე გადიდდა საბიუჯეტო შემოსავალი. შედარებით მეტი თანხები გამოიყო ძალოვანი სტრუქტურების სრულყოფისათვის. საგრძნობლად გაიზარდა პოლიციის კონტინგენტი, რეალურ ძალად გადაქცევის ტენდენცია გამოამჟღავნა ეროვნულმა არმიამაც.

საქართველოს ხელისუფრების ძირითადი ამოცანა გახდა საკონსტიტუციო და საპრეზიდენტო პროგრამების განხორციელება. პერსპექტიული გეგმის მიხედვით, 1997 წელს დასრულდებოდა არსებული საწარმოების ამოქმედება. ხოლო 1998-2000 წლებში შეიქმნებოდა ახალი ეკონომიკური სიმძლავრეები. წარმოების ზრდის საშუალო წლიური ტემპი უნდა ყოფილიყო 10-15%, რაც უზრუნველყოფდა 500 ათასი ახალი სამუშაო ადგილის შექმნას. ვარაუდობდნენ, რომ საბიუჯეტო სექტორში საშუალო თვიური ხელფასი გაიზრდებოდა 200 ლარამდე, ხოლო კერძო სექტორში 250-300 ლარამდე. იმავდროულად შესაძლებელი გახდებოდა სოციალური დახმარების დიფერენცირებული სისტემის შექმნა.

დიდი პერსპექტივები ისახებოდა საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის სფეროში. საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, მისი ნავსადგურები, რკინიგზები, არსებული და დაპროექტებული

ნავთსადენები იმის კარგ საფუძველს ქმნის, რომ საქართველო გადაიქცეს საერთაშორისო-სატრანზიტო ვაჭრობის გზაჯვარედინად, ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ დერეფნად, რაც უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში თანდათან მზარდი თანხების შემოსვლას და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებას.

სამწუხაროდ, ბევრი გეგმა-პროექტი ქაღალდზე დარჩა, მათი რეალიზაციის პირობები ვერ შეიქმნა. კიდევ მეტი, ბოლო წლების განმავლობაში ქვეყანასა და ხალხს ახალი საფრთხე დაემუქრა; სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული და კანონს ამოფარებულ მოხელეთა საგრძნობმა ნაწილმა პოლიტიკა, დაკავებული თანამდებობა პირადი შემოსავლისა და გამდიდრების წყაროდ აქცია. ელიტურმა და მასობრივმა კორუფციამ ფართო მასშტაბი მიიღო. თითქმის ჩვეულებრივი მოვლენა გახდა საგადასახადო-საბაჟო ობიექტებიდან ამოღებული თანხის წვრილი და მსხვილი მოხელეებისაგან მითვისება, ამის შედეგად სახელმწმფოს საშემოსავლო ბიუჯეტის დაკნინება. უხელფასობითა და უპენსიობით შეწუხებულმა ხალხმა გაიგო, რომ არც ბიუჯეტში შემოსული მწირი თანხები იხარჯებოდა დანიშნულებისამებრ. სამინისტროები და უწყებები, იქ დასაქმებული მოხელეები ბიუჯეტიდან გამოყოფილ თანხებს პირადი კეთილდღეობის ამაღლებისათვის იყენებენ. ეს სენი განსაკუთრებით ფართოდ გავრცელდა იმ დაწესებულებებში, სადაც თავს იყრის უცხოეთიდან შემოსული კრედიტები, გრანტები, ჰუმანიტარული დახმარების თანხები და მატერიალური ფასეულობანი. სახელმწიფოს უზენაეს ხელისუფლებას გაუძნელდა იმის დადგენა, თუ სად გაქრა, რაზე დაიხარჯა კრედიტებისა და დახმარების სახით მიღებული თითქმის ორი მილიარდი დოლარი. გამოაქონა ინფორმაციამ, რომ ელექტროსადგურების შეკეთებისათვის გამოყოფილი 600 მილიონი დოლარიდან მხოლოდ 180 მილიონი დაიხარჯა დანიშნულებისამებრ. დანარჩენი თანხა, როგორც ჩანს, კორუმპირებულმა მოხელეებმა მითვისეს.

ამ ფაქტებმა, ბუნებრივია, შეაშფოთა საქართველოს ხელისუფრების პატიოსანი ნაწილი, ფართო საზოგადოება. პრეზიდენტმა განაცხადა: „საქართველოში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, ჩვენი ქვეყნის გათავისუფლება ამ საზარელი, ეროვნული ენერგიის შემბოჭავი სენისაგან — ჩემი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია“. ე. შევარდნაძის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ შეიმუშავა „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებანი“, რომელმაც საზოგადოების საკმაოდ მაღალი შეფასება

დაიმსახურა. აღინიშნა, რომ პროგრამა მოიცავს კონკრეტულ ღონისძიებათა გეგმას, იმის საშუალებას იძლევა, რომ მოხდეს კორუფციის სხვადასხვა გამოვლინებათა ლოკალიზება, მათი ასპარეზის შევიწროება, ამ სენის მიზეზებისა და შედეგების აღმოფხვრა. წარმატების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა კორუფციის წინააღმდეგ უშელავათო ბრძოლაში არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხალხის წარმომადგენელთა მონაწილეობის ეფექტური მექანიზმის შექმნა.

დანაშაულებრივ ქმედებების, პოლიტიკური შეცდომების, ზნეობრივი დაცემის და სხვა უარყოფითი მოვლენების ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ სათანადო ყურადღება არ ექცევა ეროვნული იდეოლოგიის ჩამოყალიბება-სრულყოფას. აუცილებელია წინ წამოვწიოთ რამდენიმე პრიორიტეტული იდეა — საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, შინაგან სოციალ-პოლიტიკურ წინააღმდეგობათა დაძლევის და ერის კონსოლიდაციის, სიღატაკის აღმოფხვრისა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების, ეკონომიკური განვითარების ბაზაზე სოციალური სამართლიანობის დამკვიდრების და ა. შ. სავსებით შესაძლებელია მათი მთლიანობაში გააზრება, მეცნიერულად დასაბუთებული ეროვნული იდეოლოგიის შექმნა, რომლის შესაბამისად უნდა წარიმართოს საკანონმდებლო მუშაობა, ზოგადი კონცეფციებისა და კონკრეტული გეგმების შედგენა.

მიუხედავად სიძნელეებისა და ჯერ კიდევ გადაუჭრელი საკითხების სიმრავლისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ოპტიმიზმს ინარჩუნებს, დარწმუნებულია, რომ 10-15 წელიწადში ქართველი ერი ჩადგება მოწინავე ერთა რიგებში. საქართველო გადაიქცევა მაღალგანვითარებულ სამართლებრივ სახელმწიფოდ; აღდგება ქვეყნის ტერიტრიული მთლიანობა. ჩამოყალიბდება დასავლური ტიპის სოციალურად ორიენტირებული მართვა-გამგეობის სისტემა და სამოქალაქო საზოგადოება. თანდათანობით დამკიდრდება სოციალური სამართლიანობა და თანასწორობა ადამიანურ შესაძლებლობათა გამოყენებაში. ყველა მოქალაქე (ბიზნესმენი, მუშა, ფერმერი, პოლიტიკოსი, მეცნიერი, მწერალი, კულტურის მუშაკი, პედაგოგი და სხვ.) თავის უნარს მაქსიმალურად გამოიყენებს და გაწეული შრომა-ხარჯის შესაბამის შემოსავალსაც მიიღებს.

რეზიუმე

საქართველოს ტერიტორიაზე გვაროვნულ-ტომობრივი წყობიდან სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე გადასვლა სამი ათასი წლის წინ დაიწყო. ამის შემდეგ განვლილი ოცდაათი საუკუნე შინა ეკონომიკურ-სოციალური განვითარების პროცესი როდია მხოლოდ. იმავდროულად მიმდინარეობდა თითქმის პერმანენტული ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ირანელი, რომაელი, არაბი, თურქი და სხვა დამპყრობელი არცთუ იშვიათად ახერხებდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ხელყოფას, მისი მოსახლეობის მეტნეკლები ხნით დამორჩილებას, მაგრამ თავისუფლების მოყვარე ქართველი ხალხი არასდროს შერიგებია უცხოელთა ბატონობას, ბრძოლით იბრუნებდა დამოუკიდებლობას. ქართველი ხალხი ვერც რუსეთის იმპერიას შეეგუა, 117 წელი იბრძოდა ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის.

ანტირუსული, გამათავისუფლებელი მოძრაობისათვის ხელსაყრელი პირობები შექმნა 1914-1917 წლებში. ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილი იმედს ამყარებდა მსოფლიო ომში რუსეთის დამარცხება-დასუსტენაზე, მეორე კი — ანტანტის გამარჯვებასა და რუსეთის დემოკრატიზაციაზე. 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურ გადატრიალებას სამხრეთ კავკასიის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი უარყოფითად გამოეხმაურა. პოლიტიკურ პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა მიიღო დადგენილება ანარქიის მორევში ჩაძირული რუსეთისაგან გამოყოფის სესახებ. 1918 წ. აპრილში ამიერკავკასიის სეიმმა (პარლამენტმა) აუწყა მსოფლიოს, რომ შეიქმნა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი, დემოკრატიულ-ფედერაციული სახელმწიფო. მაგრამ მან ვერ გაუძლო ისტორიულ ქარტეხილებს და დაიშალა, სამ ნაწილად გაიყო. 1918 წ. 26 მაისს საქართველოს ეროვნულ საბჭომ გამოქვეყნა საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. შეიქმნა საქართველოს დროებითი პარლამენტი და დროებითი კოალიციური მთავრობა. ეს მოვლენები ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა. ახალი ძალით ამოქმედდა დევიზი — „ხმა ღვთისა და ხმა ერისა". მონარქიული ლეგიტიმიზმი დემოკრატიული ლეგიტიმიზმით შეიცვალა.

საქართველოს ხელისუფლებამ თავიდანვე დიდი ყურადღება მიაქცია ადმინისტრაციული აპარატის, მილიციის, არმიის შექმნას. გაუქმდა

ქვეყნის დაყოფა გუბერნიებად, სასოფლო რაიონებში (მაზრები) და ქალაქებში ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოები ჩამოყალიბდა. აგრარულმა რეფორმამ განმუხტა მემამულეთა და გლეხთა დაძაბული ურთიერთობა, სოციალურმა კანონმდებლობამ კი შეასუსტა კაპიტალისტთა და მუშათა კლასის ანტაგონიზმი. გატარდა სასამართლოს რეფორმა. დამკვიდრდა მოსამართლეებისა და ნაფიცმსაჯულთა არჩევითობის წესი. შეიქმნა უმაღლესი სასამართლო სენატი.

1919 წ. თებერვლის ბოლოს ჩატარდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. ხმების აბსოლუტური უმრავლესობა სოციალ-დემოკრატიამ მიიღო, მაგრამ ამ უზენაეს საკანონმდებლო ორგანოში სხვა პარტიებმაც გაიყვანეს დეპუტატები. კოალიციური მთავრობის ნაცვლად შეიქმნა ერთპარტიული მთავრობა. რამდენადმე გაძნელდა პარტიების კონსენსუსი, ოპოზიციის კონსტრუქციული საქმიანობა. მმართველ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მარცხნიდანაც აკრიტიკებდნენ და მარჯვნიდანაც. სოციალ-ფედერალისტები და სოციალ-რევოლუციონერები მთავრობას ბრალს სდებდნენ სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევასა და ბურჟუაზიული პოლიტიკის გატარებაში. ეროვნულ-დემოკრატები კი პირიქით, მმართველ პარტიას ადანაშაულებდნენ სოციალისტური ექსპერიმენტებით გატაცებაში, ბურჟუაზიული საკუთრების და წარმოების შეზღუდვაში. ოპოზიციონერები თითქმის არაფერს ამბობდნენ იმაზე, რომ ნოე ჟორდანიას მთავრობა ცდილობდა კომპრომისული ხაზის გატარებას, შერეული საზოგადოებრივი წყობილების შექმნას. მართალია თავისუფალ გასაქანს აძლევდა კერძო ინიციატივას, ხელს უწყობდა კაპიტალისტური საწარმოების გამრავლებას, მაგრამ არც კოოპერაციულ გაერთიანებათა ჩამოყალიბებასა და მოსახლეობის დაბალი ფენების სოციალური დაცვის საჭიროებას ივიწყებდა. მიზნად ისახავდა სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებას.

ფრაქციული ბრძოლის მიუხედავად, დამფუძნებელი კრება ნაყოფიერად საქმიანობდა. შეიქმნა, დამტკიცდა და ამოქმედდა მრავალი კანონი. წარმატებით იღვაწა საკონტიტუციო კომისიამ. საქართველოს პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციაში დაფიქსირდა დებულებები წოდებრივ განსხვავებათა მოსპობის, კანონის წინაშე ყველას თანასწორობის შესახებ. დაკანონდა სინდისისა და რწმენის, სიტყვის, შეკრების, კავშირების შექმნის, გაფიცვების თავისუფლება. კონსტიტუციამ სახელმწიფოს, ხელისუფლების მოვალეობად გამოაცხადა მოქალაქეთა საქმიანობის და ცხოვრების ნორმალური პირობების შექმნა.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა, ბუნებრივია, ცდილობდა მიეღწია დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისაგან „დე-ფაქტო“ და „დე-იურე“ აღიარებისათვის. მის მიერ ვერსალის საზავო კონფერენციაზე გაგზავნილმა დიპლომატიურმა დელეგაციამ არა ერთხელ მიმართა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, აშშ-ის მთავრობებს, გამარჯვებულ მოკავშირეებს ერთად, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო საქართველოს რესპუბლიკის იურიდიული ცნობა 1921 წლის იანვრამდე დაგვიანდა, რამაც გააძნელა ბევრი საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტა.

საქართველოს რესპუბლიკის მშვიდობასა და უშიშროებას სხვადასხვა დროს საფრთხეს უქმნიდა დენიკინის რეჟიმი, საბჭოთა რუსეთი, თურქეთი. ახლად შექმნილი სახელმწიფო ერთხანს წარმატებით იცავდა ტერიტორიულ მთლიანობას. იყო მომენტი, როცა საქართველოს შეიარაღებული ძალები ქვეყნის თავდაცვის საჭიროებამ ტუაფსამდე მიიყვანა. მაგრამ 1919-1920 წლებში დასავლეთის დემოკრატიული სამყაროსაგან სამხედრო-პოლიტიკურ დახმარებას მოკლებულ საქართველოს გაუძნელდა ჯერ დენიკინის ჯარისა და შემდეგ კი წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლა. მთავრობა იძულებული გახდა კომპრომისულ პოლიტიკაზე გადასულიყო; 1920 წლის 7 მაისს საქართველოსა და საბჭოთა რუსეთს შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება. ლენინის მთავრობამ იურიდიულად სცნო საქართველოს რესპუბლიკა, უარი თქვა მის საშინაო საქმეებში ჩარევაზე. ეს ქართული დიპლომატიის თითქოს დიდი წარმატება იყო, მაგრამ თითქმის ყველას ესმოდა, რომ ბოლშევიკებისაგან ხელმოწერილი ხელშეკრულება არსებითად ფარატინა ქაღალდს წარმოადგენდა, არ იძლეოდა უშიშროების გარანტიას და ამიტომ საქართველო ემზადებოდა თავდაცვითი ომისათვის.

საკუთარ ძალებზე დაყრდნობის პოლიტიკას ალტერნატივა თითქმის არ გააჩნდა; რუსეთ-პოლონეთის (1920 წ.) დამთავრების შემდეგ დასავლეთის დიდმა სახელმწიფოებმა უარი თქვეს აღმოსავლეთის საქმეებში ჩარევაზე, სამხრეთ კავკასია ფაქტიურად რუსეთის გავლენის სფეროდ აღიარეს. ინგლისმა ჯარი გაიყვანა საქაროველოდან. ბათუმის ოლქზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენას სიხარულით შეხვდა ქართველი ხალხი, მაგრამ მედალს მეორე მხარეც აქვს; დიდი ბრიტანეთის ჯარის ბათუმიდან გაყვანა იმის მაუწყებელიც იყო, რომ დასავლეთის დემოკრატიამ უარი თქვა ამ რეგიონში ბოლშევიკურ რუსეთთან დაპირისპირებაზე. საქართველოს რესპუბლიკისათვის

სამხედრო-პოლიტიკური დახმარების გაწევაზე. მდგომარეობა არც მაშინ შეცვლილა, როცა მოკავშირეებმა იურიდიულად სცნეს საქართველოს რესპუბლიკა (1921 წ. იანვარი). „დე-იურე" აღიარებულიდ, მაგრამ მაინც განმარტოებული საქართველო საბჭოური რუსეთის აგრესიის მსხვერპლი ხდებოდა.

კომუნისტურმა რუსეთმა დაარღვია 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1921 წლის 12 თებერვალს გამოუცხადებელი ომი დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ. თბილისის მისადგომებთან ერთკვირიან ბრძოლებში უპირატესობა საქართველოს შეიარაღებული ძალების მხარეს იყო. მაგრამ რუსეთის მოქმედ არმიას ახალი დივიზიები ემატებოდა, ქართული ჯარის რეზერვები კი ამოიწურა და მარცხი გარდაუვალი იყო.

რუსი და ქართველი ბოლშევიკები დემაგოგიურად აცხადებდნენ, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შედეგად საქართველოს დამოუკიდებლობა არ დაუკარგავს, მოხდა მხოლოდ ბურჟუაზიული სახელმწიფოს სოციალისტური სახელმწიფოთი შეცვლა. მაგრამ ყველა ხედავდა, რომ საბჭოური რუსეთის შეიარაღებულმა ინტერვენციამ საქართველოს ფაქტობრივი ანექსია დაამკვიდრა. ე. წ. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა ფიქცია იყო. მისი მარიონეტული მთავრობა მოსკოვის ნებას ასრულებდა. ამდენად, საბჭოური (მეორე) რესპუბლიკა ვერ ჩაითვლებოდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრედ.

მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ქართველი ერის მხარეს იყო, გმობდა საბჭოური იმპერიის დაპყრობით პოლიტიკას. ამით გამხნევებული საქართველოს ემიგრანტული მთავრობა, პოლიტიკური პარტიების უმრავლესობა, ქართველი ხალხი აგრძელებდა თავისუფლებისათვის ბრძოლას. ანტისაბჭოური გამოსვლები მოხდა 1921-1922, 1924 წლებში, რომლებიც სისხლში იქნა ჩახშობილი. ამ ტრაგედიის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის იდეამ დიდი ხნით ოცნების სფეროში გადაინაცვლა. XX ს-ის 80-90-იანი წლების მიჯნაზე კი ქართველი ხალხის და სხვა დაჩაგრული ერების გამანთავისუფლებელი მოძრაობამ დაანგრია საბჭოური იმპერია. ისტორია განმეორდა. 1991 წლის 9 აპრილს გამოქვეყნდა საქართველოს დამოუკიდებლობის დკლარაცია. შეიქმნა პირველი რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე საქართველოს მესამე სუვერენული რესპუბლიკა. მალე აღინიშნება მისი არსებობის ათი წლის თავი. სიძნელეები,

გადაუჭრელი პრობლემები, მართალია, ბევრია მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილი ოპტიმისტურადაა განწყობილი. დაარწმუნებულია, რომ ქართველი ერი მალე ჩადგება მსოფლიოს მოწინავე ერთა რიგებში. საქართველო გადაიქცევა მაღალგანვითარებულ სამართლებრივ სახელმწიფოდ. აღდგება ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, სრულყოფილი გახდება დასავლური ტიპის სოციალურად ორიენტირებული მართვა-გამგეობის სისტემა. დამკვიდრდება სამართლიანობა და თანასწორობა ადამიანურ შესაძლებლობათა გამოყენებაში. ყველა მოქალაქე თავის უნარს მაქსიმალურად გამოიყენებს და გაწეული შრომა-ხარჯის შესაბამის შემოსავალსაც მიიღებს.

ALEXSANDRE BENDIANISHVILI

THE FIRST REPUBLIC OF GEORGIA (1918-1921)

RESUME

The transition from family-tribal type of development to government type of country occirres three thousand years ago the territory of Georgia.

Since that not only economical and social developing changes have been taking place, but permanent struggle for the survival as a nation.

Rome, Arabia, Iran, Turkey and many other countries tried to capture Georgia, but the sense of freedom never left this nation and kept fighting for theindependence.

117 years fought Georgia with Russia to gain national freedom.

During the World War I 1914-1917 Georgian siciety hoped Russia would have lost the war. Georgia didn't welcome Bolshevik party;s victoy in 1917 local political parties and social organizations decided to separate from Russia and in 1918 Parliament declared about independent democratic federal government of Georgia. The government of Georgia made many successful changes in police department and army. Progressive agricultural, social and democratic changes took place at time.

In 1919 many political parties appeared. Socialict federalists critized social revolutionists and blamed each other in violation of democratic principles. Opposition didn't say anything to head of governmenr Noah Zhordania had to compromise in order to protect lower lawyers of society. Committee of expert worked successfully to make constitution, that gave freedom of religion, word etc. The government was in charge to prepare healthy background of normal living conditions for people.

Only in 1921 the first government of Georgia gaind de facto and de urea from the western countries. Russia, Turkey and Denikin regime was dangerous for the peace and dafety of Georgia, but it was very difficult to keep stand against Red Army and Denikin Army without

the help from the west. The government of Georgia had to compromise in 1920 Soviet Russia signed the document that independence of Georgia. But the signed paper was nothing for the Soviet Russia. Georgia understood that and got ready for the war.

The west denied to take part in south Caucuses affairs and England withdrew its army from Batumi. That meaint that Georgia became the victim of Soviet Russia.

Communistic Russia broke the peace agreement and in February 12, 1921 undeclared war began. The soviet army much stronger and Georgia was bleeding.

Despite the announcement of the government of Russia that Georgia didn;t lose its independence, but the fact was that Soviet Russian Army annexed Georgia and it became puppet government. Knowing that the western countries denied the policy of the soviet government the emigrated Georgian government, the majority of political parties and people kept fighting till 1921-21-24. But Georgian people never left the thoughts about independence and in April 9, 1991 declaration of independence was declared. Of course there are lots of problems, but the Georgian nation is optimistic and sure that Georgia soon becomes highly developed country.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

თავი I. საქართველო პირველი მსოფლიო ომისა და მეორე ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში

1. Совнетская историческая энциклопедия, т. 10, с. 978-979.
2. საქართველოს სცია, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 3296, ფურც. 1-3; საქ. 3671, ფურც. 13-14.
3. საქართველოს სცია, ფ. 13, ანაწ. 27, საქ. 3585, ფურც. 33.
4. „სახალხო ფურცელი", 1915, №217.
5. თ. ღლონტი, ავტონომია და ფედერაცია, თბ., 1917, გვ. 192-193.
6. ალ. ბენდიანიშვილი, ეროვნული საკითხი საქართველოში, 1801-1921, თბ., 1980, გვ. 202-203.
7. უკრაინის სცია, ფ. 385, ანაწ. 2, საქ. 24, ფურც. 10-12.
8. იქვე, ფურც. 19.
9. რ. გრძელიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის ეროვნული კომიტეტი, თბ., 1995, გვ. 6.
10. გიორგი გოცირიძე, ქართველი საზოგადოებრიობა და პირველი მსოფლიო ომი, გამომცემლობა „საქართველოს მოამბე", თელავი, 1997 წ. გვ. 13-15.
11. იქვე, გვ. 17.
12. რეზო გაბაშვილი, რაც გამახსენდა, იხ. დაბრუნება გ. შარაძის რედაქციით, ტ. III, 1992, გვ. 149-150.
13. იქვე, გვ. 151.
13'. „ანალები", 2000, II, გვ. 34.
14. რ. გაბაშვილი, რაც გამახსენდა, გვ. 164.
14'. უკრაინის სცია, ფ. 385, ანაწ. 1, საქ. 24, ფურც. 104-106.
15. იქვე.
16. „ქართული გაზეთი", ბერლინი, 1916, 15 აგვისტოს ნომერი.
16'. ო. ჯანელიძე, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, სადოქტორო დისერტაცია, გვ. 71-73.
17. „საქართველო", 1916 წ. 7 თებერვლის ნომერი.
18. საქართველოს სცია, ფ. 2080, საქ. 6, ფურც. 82-91.
19. "Известия Тифлисской Городской думы", 1915. №6-7, с. 60-65.
20. Особое свущание для разработки мероприятии направленных к устранению возрастающей дороговизны на кавказском крае, тб. 1915, с. 43-44.
21. საქართველოს სცია, ფ. 17, საქ. 693, ფურც. 2-4.
22. იქვე, ფურც. 28.
23. „სახალხო ფურცელი", 1915, №102.
24. „თანამედროვე აზრი", 1916, №58, №195.
25. საქართველოს სცია, ფ. 13, საქ. 3191, ფურც. 23-28.

26. იქვე, ფ. 13, საქ. 3675, ფურც. 44.
27. საქართველოს სცია, ფ. 17, საქ. 1078, ფურც. 15-17.
28. Падение царского режима. т. 7, 1927, с. 124.
29. Ш. И. Басилая, Закавказье в годы Первой Мировой войны, докторская дисертация, 1965, с. 393-398.
30. Падения царского режима, т. У. с. 308-309.
31. Н. Суханов, Записки о революции. кн.1. 1919, с. 17.
32. Протоколы Закавказских революционных советских организации, т. 1, с. 101.
33. „თანამედროვე აზრი", 1917, №52.
34. იქვე, №53.
35. „ერთობა", 1917, №198.
36. П. Н. Першин, Аграрная революция в Росий, кн. 1. М. 1966., с.с. 353-359, 405-406.
37. „საქართველო", 1917, 7. VI. №121.
38. იქვე, 29. VI. „140.
39. სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 704. ფურც. 4-9.
40. იქვე, ფურც. 2-29, 40.
41. იქვე, ფურც. 42-48.
42. „დუხოვნი ვესტნიკ", 1906, №4.
43. სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 704, ფურც. 159-167.
44. იქვე, ფ. 1579, ანაწ. 1, საქ. 169, ფურც. 10.
45. იქვე, ფურც. 42-44.
46. იქვე, საქ. 151, ფურც. 8.
47. იქვე, ფურც. 10-14.
48. იქვე, ფურც. 18-19.
49. იქვე, ფურც. 73-78.
50. სანკტ-პეტერბურგის სცია, ფ. 796, ანაწ. 186, საქ. 704, ფურც. 4-9.
51. „საქართველო", 1916, 10 მარტის ნომერი.
52. Петербургские ведемости, 1916. №59.
53. „საქართველ", 1916, 21 სექტემბრის ნომერი, იქვე21 დეკემბრის ნომერი.
54. „საქართველო", 1917, 15 მარტის ნომერი.
55. იქვე, 17 მარტის ნომერი.
56. ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918, გვ. 228-229.
57. „საქართველ", 1917, №67.
58. იქვე.
59. გიგი როგავა, რუსეთის საეკლესიო პოლიტიკა საქართველოში 1801-1917 წლებში, სადოქტორო დისერტაცია, 1999, გვ. 218-220.
60. იქვე, გვ. 228.
61. იქვე.

62. „საქართველო“, 1917, 18 სექტემბრის ნომერი.
63. გრ. რცხილაძე, ამიერკავკასიის თვითმმართველობა, თბ., 1917, გვ. 20-23.
64. უ. სიდამონიძე, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მოძრაობისა და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიოგრაფია, თბ., 1970, გვ. 202-207.
65. З. Авалов, Независитост Грузии, с. 4-5.
66. „საქართველო“, 1917, №№82, 83, 84.
67. იქვე, №88.
68. ო. ჯანელიძე, სადოქტორო დისერტაცია, გვ. 158.
69. „საქართველო“, 1917, №93.
70. „საქართველო“, 1917, №148.
71. შოთა ვადაჭკორია, პოლიტიკური პარტიები და საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა (1917), თბ., 1998, გვ. 12-14.
72. „სახალხო საქმე“, 1917, 16 სექტემბრის ნომერი.
73. უ. სიდამონიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 186-187.

თავი II. ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობა (1917 წ. ნოემბერი – 1918 წ. მაისი)

1. газ. Кавказский рабочий, 1917, №96.
2. ა. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917-1918 წწ.), თბ., 1957, გვ. 293-294.
3. საქართველოს სცია, ფ. 214, საქ. 3816, ფურც. 1-2.
4. იქვე, ფურც. 20-27.
5. საქართველოს სცია, ფ. 214, საქ. 3814, ფურც. 8-9.
6. Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тиф. 1919, с. 8-9.
7. შ. ვადაჭკორიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 27-28.
8. საქართველოს სცია, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 4, ფურც. 37-40.
9. შ. ვადაჭკორიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 30; რ. გრძელიძე, საქართველოს პოლიტიკური პარტიების ისტორია (1910-1924), თბ., 1998, გვ. 119-120.
10. საქართველოს სცია, ფ. 1836, საქ. 64, ფურც. 3-4.
11. იქვე, ფურც. 2.
12. იქვე, ფურც. 21-22.
13. გ. მაზნიაშვილი, მოგონებანი, ბათუმი, 1990, გვ. 11-12.
14. იქვე, გვ. 18-19.
15. Борьба за победу Советской власти в Грузии, с. 150-151.
16. „საქართველო“, 1918, 9. I, №6.
17. იქვე, 10. I. №7.
18. „საქართველო“, 1918, 14. I, №11.

19. იქვე, 30. I. №24.
20. „საქართველო“, 1918, 4. I, №3.
21. Закавказский Сейм, Стенографический отчет, сесия первая, с. 47-49.
22. იქვე, გვ. 49-51.
23. „საქართველო“, 1918, 27. II, №44.
24. საქართველოს სცია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 9, ფურც. 1-3.
25. ალ. ბენდიანიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 214-215.
26. საქართვეოლს სცია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 23, ფურც. 5-8.
27. „საქართველო“, 1918, 12. V, №89.
28. „საქართველო“, 1918, 7. V, №94; საქართველოს სცია, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 5, ფურც. 132-140.
29. „საქართველო“, 1918, 2. III, №62.
30. იქვე, 2. IV, №89.
31. საქართველოს სცია, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 132, ფურც. 15-16.

თავი III. საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. დროებითი პარლამენტი და დროებითი მთავრობა. (1918 წ. მაისი – 1919 წ. მარტი)

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990, გვ. 3-4.
2. „საქართველო“, 1918, 6. X, №187.
3. გიორგი გოცირიძე, პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, საკანდიდატო დისერტაცია, გვ. 136-138.
4. საქართველოს სცია, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 64, ფურც. 1-2.
4'. „საქართველო“, 1918, 21 ივნისის ნომერი.
5. იქვე, 1918, 26 ივნისის ნომერი.
5'. „ერთობა“, 1918, 23 ივნისის ნომერი.
6. „საქართველო“, 1918, 26, VI, №125.
7. საქართველოს სცია, ფ. 1825, ნაწ. 1, საქ. 4, ფურც. 68-69.
8. „ერთობა“, 1918, 30 აგვისტოს ნომერი.
9. „საქართველო“, 1918, 29 ივნისის ნომერი.
10. „საქართველო“, 1918, 18. VI, №119.
11. იქვე, 1918 წ., 29 ივნისის ნომერი.
12. „ერთობა“, 1918, 4. VI, №113.
13. საქართველოს სცია, ფ. 1938, ანაწ. 1, საქ. 37, ფურც. 23-24.
14. „საქართველო“, 1918, 31 აგვისტოს ნომერი.
15. საქართვეოლს სცია, ფ. 1938, ანაწ. 1, საქ. 37, ფურც. 26-31.
16. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, 1918-1921, თბ., 1990, გვ. 16-17.
17. იქვე, გვ. 55-56.

18. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 361, ფურც. 20-27, 37-38.
19. „საქართველო“, 1918, 31 ივლისის ნომერი.
20. საქართველოს სცია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 218, ფურც. 55.
21. „საქართველო“, 1918წლის 21 ივნისის ნომერი.
22. იქვე, 1918 წლის 6 ივლისის ნომერი.
23. იქვე, 1918 წლის 14 სექტემბრის ნომერი.
24. საქართველოს სცია, ფ. 1915, ანაწ. 1, საქ. 2125, ფურც. 1-2.
25. იქვე, ფ. 1823, ანაწ. 2, საქ. 135, ფურც. 18-20.
26. საქართველოს სცია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ, 37, ფურც. 58.
27. „საქართველო“, 1918 წლის 4 ოქტომბრის ნომერი.
28. საქართველოს სცია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 37, ფურც. 12, 71.
29. „საქართველო“, 1918, 23 ივნისის ნომერი.
29[1]. საქართველოს სცია, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 43, ფურც. 43-44.
30. იქვე, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 18, ფურც. 4-5.
31. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 1-2.
32. „საქართველო“, 1918, 18 ოქტომბრის ნომერი.
33. იქვე, 1918, 29 ოქტომბრის ნომერი; ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს საზღვრები, 1919 წ.
34. „საქართველო“, 1918, 24. X, №226.
35. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 25.
36. „საქართველო“, 1918, 26 დეკემბრის ნომერი.
27. იქვე.
38. „საქართველო“, 1918, 29. 12, №252.
39. „საქართველო“, 1919, 12 იანვრის ნომერი.
40. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 1, ფურც. 1-2.
41. იქვე, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 70, ფურც. 26-29.

თავი IV. საქართველოს დამფუძნებელი კრება. მრავალპარტიული დემოკრატიის მოღვაწეობა ეროვნული სახელმწიფოს აშენებისა და სრულყოფისათვის

1. საქართველოს სცია, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 6, ფურც. 99-100.
2. იქვე, ფურც. 40.
3. გაზ. „შრომა“, 1918, 9 აგვისტოს ნომერი.
4. იქვე, 1918, 15 დეკემბრის ნომერი.
5. „ჩვენი რესპუბლიკა“, 1917, 15 და 21 ნოემბრის ნომრები.
6. იქვე, 1917, 21 ოქტომბრის ნომერი.
7. „კლდე“, 1918, 15 სექტემბრის ნომერი.
8. „საქართველო“, 1918, 22 მარტის ნომერი.
9. „სახალხო საქმე“, 1919, 2 თებერვლის ნომერი.
10. იქვე, 1919, 25 იანვრის ნომერი.
11. იქვე.

12. გ. ჯანგველაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების იდეურ-ორგანიზაციული განადგურებისათვის (1903-1923 წწ.), თბ., 1974, გვ. 332-334.
13. „ახალი ნაკადი", 1919, 11 მაისის ნომერი.
14. „სახალხო საქმე", 1919, 12 აპრილის ნომერი.
15. იქვე.
16. გ. ჯანგველაძე, დასახელებული წიგნი, გვ. 266-267.
17. „სახალხო საქმე", 1919, 23 იანვრის ნომერი.
18. იქვე, 1919, 29 იანვრის ნომერი.
19. იქვე.
20. „სახალხო საქმე", 1919, 1 თებერვლის ნომერი.
21. იქვე, 1919, 7 თებერვლის ნომერი.
22. საქართველოს სცია, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 6, ფურც. 76-78.
23. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 66-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 2-5.
24. საქართველოს სცია, ფ. 1233, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 47.
25. „საქართველო", 1919, 20 თებერვლის ნომერი.
26. იქვე, 1919, 12 მარტის ნომერი.
27. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 6-9.
28. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მეორე სხდომის სტ. ჩანაწერი, იხ. სსცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 6-12.
29. იქვე, გვ. 9-14.
30. „სახალხო საქმე", 1919, 19 მარტის ნომერი.
31. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 25.
32. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 2, ფურც. 1-3.
33. იქვე, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 31-32.
34. იქვე, ფურც. 37-39.
35. იქვე, ფურც. 35-37.
36. დამფუძნებელი კრების 1919 წლის 6 მაისის სხდომის სტ. ანგარიში, გვ. 34-36; სსცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 215, ფურც. 2-3.
36'. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 78, ფურც. 12-13.
37. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 270-273.
38. საქართველოს დამფუძნებელი კრების მე-16 სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 9-10; მე-17 სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 5-6.
39. დამფუძნებელი კრების 90-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 17.
40. იქვე, გვ. 17-20.
41. იქვე.
42. იქვე, გვ. 35-39.
43. დამფუძნებელი კრების 92-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 6-10, 34-35.

44. იქვე, გვ. 20-24.
45. დამფუძნებელი კრების 93-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 10-11.
45'. საქართველოს სცია, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 46, ფურც. 3.
46. იქვე, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 156, ფურც. 14-20.
47. საქართველოს სცია, ფ. 1825, ანაწ. 1, საქ. 25, ფურც. 20-22.
48. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მეორე სესია, 59-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 7-21.
49. „საქართველო", 1921, 30 იანვრის ნომერი.
50. იქვე, 1920, 26 ნოემბრის ნომერი.
51. „საქართველო", 1920, 24 დეკემბრის ნომერი.
52. „საქართველო", 1920, 29 დეკემბრის ნომერი.
53. იქვე, 1920, 22 დეკემბრის ნომერი.

თავი V. თვითმმართველობის ორგანოთა ადგილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის სელისუფლების სტრუქტურაში

1. საქართველოს სცია, ფ. 1836, ანაწ. 1, საქ. 157, ფურც. 43-45.
2. გაზ. „ალიონი", 1917, №62.
3. Временное положение о Земских учсреждениях в Закавказье, 1918, с. 1-3.
4. იქვე, გვ. 43-51.
5. იქვე, გვ. 67-68.
6. Правила о проведений в действие временного положения, Тифлис, 1918 г.
7. Наказ о производстве выборов земских гласных в Закавкаье, Тифлис, 1918 г,
8. "Кавказский город", 1918, №5-6, с. 8-11.
9. იქვე, 1918, №7-8, გვ. 6-10.
10. Наказ о производстве выборов, ... с. 13,30.
11. "Борьба", 1918, 16.07. №118.
12. Г. Туманов, Организация Земства в Закавказье, Т, 1918, с. 8.
13. იქვე, გვ. 8-10.
14. შ. ვანიშვილი, ქართველი საზოგადოების ბრძოლა საერობო თვითმმართველობისათვის. მენშევიკური მთავრობის საერობო პოლიტიკის კრახი, საკანდიდატო დისერტაცია, 1974, გვ. 130-131.
15. საქართვეოლს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 2, ფურც. 6-7.
16. „ერთობა", 1919 წ., №82.
17. იქვე.
18. „ერთობა", 1919, №92.
19. საქართველოს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 204, ფურც. 1-5.
20. „კავკასიის ქალაქი", 1919, №5-6, გვ. 48-53.

21. „კავკასიის ქალაქი“, 1919, №13-15, გვ. 53-55.
22. „ერობა და ქალაქი“, 1920, №5. გვ. 25-30.
23. იქვე, №8, გვ. 3-5.
24. „ერთობა“, 1917, №60.
25. „საქართველო“, 1919, 24 იანვრის ნომერი.
26. „ერთობა“, 1919, 5 თებერვლის ნომერი.
27. „ერობა და ქალაქი“, 1919, №7-8, გვ. 47.
28. „კავკასიის ქალაქი“, 1918, №15-16, გვ. 1-5.
29. საქართველოს სცია, ფ. 1863, ანაწ. 1, საქ. 727, ფურც. 9, 81.
30. იქვე, ფ. 192, ანაწ. 7, საქ. 487, ფურც. 124-125.
31. „ერთობა“, 1919, 23 აგვისტოს ნომერი.
32. საქართველოს სცია, ფ. 1863, ანაწ. 1, საქ. 1095, ფურც. 230.
33. „კავკასიის ქალაქი“, 1919 წ., №16-17, გვ. 31-32.
34. „ერობა და ქალაქი“, 1920, №3, გვ. 38-39.
35. იქვე, №5, გვ. 56.
36. საქართველოს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 3-4.
37. „ერთობა“, 1919, №139.
38. იქვე, №206.
39. „ერობა და ქალაქი“, 1920, №3, გვ. 35-36.
40. იქვე. გვ. 5-8.
41. საქართველოს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 274, ფურც. 1-4.
42. იქვე, საქ. 280, ფურც. 1-2.
43. საქართველოს სცია, ფ. 1833, საქ. 104, ფურც. 54-58.
44. იქვე, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 31, ფურც. 44-57.
45. იქვე.
46. „ერობა და ქალაქი“, 1920, №1, გვ. 42-43; საქართველოს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 31, ფურც. 58-61.
47. საქართველოს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 13, ფურც. 14-16.
48. „ერთობა“, 1920, 7 იანვრის ნომერი.
49. „ერობა“, 1921, №1-2, გვ. 5-11.
50. „ერობა“, 1920, №11-12, გვ. 103-108; საქართველოს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1. საქ. 267, ფურც. 1-3.
51. „ერობა და ქალაქი“, 1920, №5, გვ. 17-23.
52. „ერობა“, 1920, №8, გვ. 44.
53. საქართველოს სცია, ფ. 1833, საქ. 229, ფურც. 160-164.
54. საქართველოს სცია, ფ. 1921, ანაწ. 1, საქ. 23, ფურც. 22-23.

თავი VI. საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავრობისეული პროგრამა. პოლიტიკური პარტიების პოზიცია

1. საქართველოს სცია. ფ. 417, ანაწ. 1, საქ. 311. ფურც. 10-15.

2. იქვე. საქ. 351, ფურც. 22.
3. იქვე. ფ. 417, ანაწ. 7, საქ. 64, ფურც. 2-35.
4. დამფუძნებელი კრების 88-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 21-23.
5. იქვე, გვ. 25-27.
6. სტატისტიკური კრებული, 1909-1921, თბ., 1923, გვ. 182.
6ª. საქართველოს სცია, ფ. 133, ანაწ. 1. საქ. 189, ფურც. 8.
7. საქართველოს სცია, ფ. 1861, ანაწ. 1, საქ. 66, ფურც. 2-7.
7ª. იქვე, საქ. 31, ფურც. 4-6.
8. იქვე, ფურც. 164-168.
8ª. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 3, ფურც. 6-9.
9. იქვე, საქ. 2, ფურც. 1-3.
10. იქვე, საქ. 3, ფურც. 31-32.
11. იქვე, საქ. 3, ფურც. 34-36.
12. იქვე, ფურც. 39-42.
13. საქართველოს სცია, ფ. 183, ანაწ. 1, საქ. 82, ფურც. 228-229.
14. დამფუძნებელი კრება, 76-ე სხდომა (1919 წ. 30. 12), სტ. ჩანაწერი, გვ. 6-9.
15. იქვე. გვ. 16-17.
16. იქვე, გვ. 17-19.
17. იქვე, გვ. 31-32.
18. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1. საქ. 231, ფურც. 17-18.
19. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 58-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 12-13.
20. იქვე, გვ. 16-19.
21. საქართველოს სცია, ფ. 1861, ანაწ. 2, საქ. 118, ფურც. 2-25.
22. იქვე, ფურც. 22-25.
24. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მე-80 სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 5-11.
25. იქვე, გვ. 11-16.
26. იქვე, გვ. 18-20.
27. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 407.
28. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ, 378, ფურც. 63-65.
29. საქართველოს დემოკრ. რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 325-355.
30. საქართველოს სცია, ფ. 1833, ანაწ. 1, საქ. 74, ფურც. 163-164.
31. საქართველოს პროფესიულ კავშირთა პირველი ყრილობის ოქმები, გვ. 35-40.
32. საქართველოს სცია, ფ. 1388, საქ. 97, ფურც. 19-217
33. ბორის გუბელიძე, ქართველი შენშევიზმის კრაში. თბ., 1978, გვ. 209.

34. „საქართველო“, 1920, 27. X, №132.
35. ციტირებულია ლ. თოიძის წიგნიდან – „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც“, თბ., 1991, გვ. 82-83.

თავი VII. სწავლა-განათლების სისტემა და კულტურა

1. საქართველოს სცია, ფ. 1935, ანაწ. 1, საქ. 1, ფურც. 22.
2. გაზ. „ერთობა“, 1917, 24 ნოემბრის ნომერი.
3. „ხალხის მეგობარი“, 1919, №688.
4. „საქართველო“, 1920, „74-75; „ერთობა“, 1920, №109; „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920, №44; ჟ. „განათლება“, 1920, №3.
5. დ. ჭუმბურიძე, სწავლა-განათლება საქართველოში, 1918-1921 წლებში; საქართველოს სცია, ფ. 1935, ანაწ. 1, საქ. 54, ფურც. 5-6.
6. იქვე, ფ. 15, საქ. 175, ფურც. 53-54.
7. საქართველოს სცია, ფ. 1935, ანაწ. 1, საქ. 8, ფურც. 40-42.
8. იქვე, საქ. 54, ფურც. 26-29.
9. იქვე.
10. საქართველოს სცია, ფ. 1935, ანაწ. 1, საქ. 186, ფურც. 3.
11. იქვე, ფ. 15, საქ. 3828, ფურც. 90.
12. „საქართველო“, 1918, პირველი ნოემბრის ნომერი.
13. „საქართველო“, 1920, №62.
14. ს. ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივანე ჯავახიშვილისა, თბ., 1984, გვ. 200-209.
15. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990, გვ. 57-61.
16. საქართველოს სცია, ფ. 1935, ანაწ. 1, საქ. 187, ფურც. 27-28.
17. რევაზ კვერენჩხილიძე, საქართველოს მწერალთა კავშირი, 1917-1982 წწ., თბ., 1983, ფურც. 10.
18. „საქართველო“, 1918, №74-75.
19- „ერთობა“, 1918, №194.
20. ა. ნიკოლეიშვილი, კულტურა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადოქტორო დისერტაცია, თბ., 1998, გვ. 76.
21. „სახალხო საქმე“, 1919, №645.
22. იქვე, №553.
23. „საქართველო“, 1919, №237.
24. „სახალხო საქმე“, 1919, №657.
25. „საქართველო“, 1920, №153.
26. ა. ნიკოლეიშვილი, დასახელებული სადოქტორო დისერტაციის ავტორეფერატი, გვ. 25-28.
27. ა. ნიკოლეიშვილის სადოქტორო დისერტაცია, გვ. 196.
28. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №101.

29. „საქართველო“, 1919, №23.
30. იქვე, №25.
31. ი. აბესაძე, ეროვნული კულტურის ფაქტორი „ქართველ ხელოვანთა საზოგადოების“ მოღვაწეობაში (1916-1933 წწ.), სადოქტორო დისერტაცია, გვ. 27.
32. „ერთობა“, 1919, №110; „სახალხო საქმე“, 1919, №№517, 521.

თავი VIII. საგარეო ორიენტაციის პრობლემა. ბრძოლა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის

1. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 40, ფურც. 8-13.
2. იქვე, ფურც. 23-25.
3. იქვე. ფურც. 28-30.
4. იქვე, ფურც. 31-32.
5. იქვე, ფურც. 3-33.
6. რ. ცუხიშვილი, სოჭისა და აფხაზეთის საკითხი ინგლის-საქართველოს ურთიერთობაში (1918-1921), გვ. 34-36.
7. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 40, ფურც. 39-40.
8. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 22-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 2-5.
9. იქვე, გვ. 11-20.
10. იქვე, გვ. 21.
11. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 40, ფურც. 46.
12. იქვე, გვ. 47-50.
13. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 57-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 7-8.
14. იქვე, გვ. 10-14.
15. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 48, ფურც. 8-9.
16. იქვე, საქ. 47, ფურც. 16-19.
17. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 48, ფურც. 22-25.
18. საქართველოს სცია, ფ. 1864, საქ. 47, ფურც. 32-40.
19. რამაზ ცუხიშვილი, ტერიტორიული საკითხები ინგლის-საქართველოს ურთიერთობაში, თბ., 1996, გვ. 17-19.
20. საქართველოს დამფუძნებელი კრება, 27-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 10-17.
20'. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 3, 2000 წ. გვ. 893, 913.
21. იქვე, გვ. 17-34.
22. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 47, ფურც. 104-105.
23. იქვე, ფურც. 106.
24. გაზ. „სახალხო საქმე“, 1920, 5 მაისის ნომერი.

25. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 47, ფურც. 122-123.
26. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მეორე სესია, მე-14 სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი, გვ. 4-7.
27. იქვე, გვ. 22-26.
28. იქვე, გვ. 41-42.
29. საქართველოს დამფუძნებელი კრება, მეორე სესია, მე-16 სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 7-8.
30. „სახალხო საქმე", 1920, 12.V, №823.
31. იქვე, 1920, 4. 06, №841.
32. იქვე, 1920, 8. 06, №844.
33. საქართველოს დამფუძნებელიკრება, მეორე სესია, 27-ე სხდომის სტ. ჩანაწერი, გვ. 14-15.
34. იქვე, გვ. 24-26.
35. საქართველოს სცია, ფ. 1864, ანაწ. 1, საქ. 47, ფურც. 131-133.
36. „საქართველო", 1920, 9. 09, №111.
37. იქვე, 1920, №145.
38. იქვე, 1920, №147.
39. იქვე.
40. ლევან თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებით გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც", თბ., 1991, გვ. 21-22.
41. „საქართველო", 1920, 9. 12, №169.
42. ლ. თოიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 43-44.
43. ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 42, გვ. 288-289.
44. ვ.ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 189-190.
45. ლ. თოიძე, დასახელებული წიგნი, გვ. 137-138.

წიგნის შინაარსი

შესავალი 3

თავი I
საქართველო პირველი მსოფლიო ომისა და მეორე
ბურჟუაზიულ-დეოკრატიული რევოლუციის პერიოდში 9

თავი II
ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს
ჩამოყალიბება. საქართველოს ეროვნული საბჭოს
საქმიანობა (1917 წ. ნოემბერი – 1918 წ. მაისი) 70

თავი III
საქართველოს დამოუკიდებლობის დეკლარაცია. დროებითი
პარლამენტი და დროებითი მთავრობა
(1918 წ. მაისი – 1919 წ. მარტი) 100

თავი IV
საქართველოს დამფუძნებელი კრება. მრავალპარტიული
დემოკრატიის მოღვაწეობა ეროვნული სახელმწიფოს
აშენებისა და სრულყოფისათვის 136

თავი V
თვითმმართველობის ორგანოთა ადგილი საქართველოს
პირველი რესპუბლიკის სახელმწიფოებრივ სტრუქტურაში 181

თავი VI
ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების
მთავრობისეული პროგრამა. პოლიტიკური პარტიების პოზიცია 220

თავი VII
სწავლა-განათლების სისტემა და კულტურა 257

თავი VIII
საგარეო ორიენტაციის პრობლემა. ბრძოლა
საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
შენარჩუნებისათვის 283

ბოლოთქმა 328
რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე 347
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები 354